www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეშმაკს აცვია პრადა

ლორენ ვაისბერგერი

ეშმაკს აცვია პრადა

ლორენ ვაისბერგერი

ეშმაკს აცვია პრადა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

1

მეჩვიდმეტე ავენიუსა და ბროდვეის კვეთაზე, თავხედი ყვითელი ტაქსების ბანდა მწვანე შუქის ანთებამდე ღრიალით დაიძრა და აინუნშიც არ ჩაუგდია ჩემი უშედეგო მცდელობები, დავუფლებოდი საკუთარ მანქანას. „კონუსი, აქსელერატორი, სიჩქარე (ნეიტრალურიდან — პირველში? თუ პირველიდან მეორეში?), კონუსი" — ვიმეორებდი როგორც შელოცვას, რომელიც დიდად ვერ მანუგეშებდა და კიდევ უფრო უძლური იყო, იმ მოგუგუნე მანქანების ნაკადში დამხმარებოდა. პატარა ავტომ ორჯერ დაილრინა, მოსწყდა და წინ, გზაჯვარედინზე გავარდა. გული ლამის ამომივარდა. მოულოდნელად მანქანა დინებას შეუერთდა და მეც სიჩქარეს ვუმატე, თან — როგორ! ქვემოთ დავიხედე, მინდოდა დავრწმუნებულიყავი, მეორე სიჩქარით მივდიოდი, მაგრამ ამ დროს წინა მანქანის საბარგული ავისმომასწავებლად მოახლოვდა და მაიძულა, მთელი ძალით დავწოლოდი მუხრუჭს — ფეხსაცმლის ქუსლიც მოვიტეხე. ჯანდაბა! მორიგი შვიდასდოლარიანი ფეხსაცმელი შეეწირა ჩემს სრულ უუნარობას, მოხდენილად ვმართო რთული სიტუაციები. ამ თვეში ეს უკვე მესამე შემთხვევაა. მანქანა რომ გაჩერდა, თითქოს შვებასავით ვიგრძენი (ჩანს, საბედისწერო დამუხრუჭებისას კონუსი დამავიწყდა). იმისთვის, რომ მანოლოს[1] ფეხსაცმელი გამეხადა და უკანა სავარძელზე მომესროლა, სულ რამდენიმე წამი მქონდა, საკმაოდ მშვიდი წამები, — თუ არ ჩავთვლით გაბმულ საყვირებსა და „დედის" ათასგვარ ვარიაციას, ყველა მხრიდან რომ დამატყდა თავს. გაოფლილ ხელისგულებს ვერაფერზე შევიწმენდდი, გარდა გუჩის[2] ზამშის შარვლისა, რომელიც თეძოებზე ისე მჭიდროდ მეტმასნებოდა, ბოლო ღილაკის შეკვრისთანავე ვგრძნობდი, როგორ იწყებდა ფეხები დაბუჟებას. რბილ ზამშს სველი თითების კვალი დააჩნდა. პიკის საათისას, ქალაქის ცენტრში, სადაც ყოველ ნაბიჯზე

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხიფათი იყო ჩასაფრებული, ვცდილობდი ღია, მექანიკური, ოთხმოცდაოთხათასიანი კაბრიოლეტი მემართა, — ამას უსიგარეტოდ ვერ გადავიტანდი.

— გოგო, გაინძერი! — შავტუხა მძღოლმა, ხშირი ბალანი რომ მოუჩანდა მაისურიდან, თავი გაიგიჟა — ავტოსკოლაში ხომ არ გგონია თავი?! შენი დედაც!

ხელი ცახცახით ავწიე და შუათითი ვუჩვენე, შემდეგ შევტრიალდი და ყურადღება აღარ მიმიქცევია. ერთადერთი რამ მადარდებდა მხოლოდ: რაც შეიძლება სწრაფად ამევსო ფილტვები ნიკოტინით. თითები ისევ დამენამა და ასანთის ღერები მიცვიოდა ხელიდან. ბოლოს სიგარეტს მოვუკიდე, მაგრამ მწვანე აინთო. იძულებული გავხდი, სიგარეტგაჩრილს მემართა საჭე, „კონუსი, აქსელერატორი, სიჩქარე (ნეიტრალურიდან პირველში? თუ პირველიდან მეორეში?), კონუსი" და ყოველი ჩასუნთქვისას სიგარეტს ვექაჩებოდი. სამი კვარტალი გავიარე, სანამ მანქანა მწყობრში ჩადგებოდა, მხოლოდ ამის შემდეგ შევძელი სიგარეტი გამომელო, მაგრამ დაფერფლება ველარ მოვასწარი და მისი გრძელი, ჰაეროვანი ფერფლი ზამშის შარვალზე სველი თითებისგან დატოვებულ ნაკვალევს დაეცა. არაჩვეულებრივია. სანამ გავიაზრებდი, რომ სამიოდე წუთში, მანოლოს ფეხსაცმლიანად, სულ სამი ათას ასი დოლარის ნივთები გადავყარე წყალში, — მობილურის ხმა შემომესმა. და თუმცა იმ წუთებში მთელი არსებით მჯეროდა, ცხოვრებაში უარესი არაფერი შემემთხვეოდა, აბონენტის ნომერმა დაამტკიცა, რომ ვცდებოდი: თვით იგი, მირანდა პრისტლი, ჩემი უფროსი რეკავდა.

— ან-დრე-ა! ან-დრე-ა! გესმით ჩემი, ან-დრე-ა? — მოვახერხე ჩემი „მოტოროლა" გამეხსნა, რაც ადვილი არ იყო, რადგან ორივე ხელი და (შიშველი) ტერფები მძღოლის სხვადასხვა ფუნქციის შესრულებით მქონდა დაკავებული. ტელეფონი ყურთან მხრით მივიბჯინე და ფანჯრიდან მოვისროლე სიგარეტის ნამწვი, რომელიც ლამის ველოსიპედისტს მოხვდა. სანამ გამისწრებდა, რამდენჯერმე ერთობ ძველმოდურად შემაგინა: „შენი დედაც".

— გისმენთ, მირანდა. გამარჯობა, მშვენივრად მესმის თქვენი.

— ან-დრე-ა! სად არის ჩემი მანქანა? ავტოფარეხში აქამდე არ მიგიყვანიათ?

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

როგორც იქნა, შუქნიშანზე წითელი აინთო. ალბათ — დიდი ხნით. მანქანა ისე გავაჩერე, არაფრისთვის და არავისთვის დამირტყამს. შვებით ამოვისუნთქე.

— მირანდა, სწორედ ახლა მანქანაში ვზივარ. რამდენიმე წუთში ავტოფარეხში ვიქნები, — მივხვდი, ნერვიულობდა და ალბათ ამიტომ მირეკავდა. დავარწმუნე, პრობლემა არ შემქმნია, მეც და მანქანაც წესრიგში ვართ და მალე ადგილზე ვიქნებით-მეთქი.

— ჰო, აი, კიდევ რა, — უხეშად შემაწყვეტინა — მინდა, ოფისში დაბრუნებამდე მედელინი ჩემთან სახლში გაიყვანო. წკაპ! და მობილური დადუმდა. რამდენიმე წამით ტელეფონს დავაშტერდი, მაშინ ვერ მივხვდი, რომ სრულებით შეგნებულად გამითიშა, რადგან ჩათვალა, რომ ყველაფერი ნათქვამი ჰქონდა. ვინ ოხერია მედელინი? სად არის ახლა? ნეტა თუ იცის, რომ უნდა მივაკითხო? რატომ ბრუნდება მირანდას ბინაში? და ღვთის გულისთვის, რისთვის ამკიდა ეს ყველაფერი მირანდამ, რომელსაც მძღოლიც ჰყავს, ეკონომიც და ძიძაც?

გამახსენდა, რომ ნიუ-იორკში საჭესთან ტელეფონით საუბარი კანონით ისჯება, მე კი ყველაზე ნაკლებად მჭირდებოდა, რომელიმე ბეჯით პოლიციელს გადავწყდომოდი, ამიტომ პირველ სავალ ხაზზე გადავედი და ავარიული ჩავრთე. „ჩაისუნთქე, ამოისუნთქე“ — საკუთარ თავს მოდუნების საშუალებას არ ვაძლევდი. ისიც კი გავიხსენე, რომ სანამ ხელის მუხრუჭს გამოვიყენებდი, პედლისთვის ფეხი უნდა ამეშვა. კარგა ხანი იყო, რაც მანქანა მართვის მექანიკური გადამცემით აღარ მეტარებინა, უფრო ზუსტად — ხუთი წელი. კოლეჯში, მეგობარმა ბიჭმა საკუთარი ავტო და მართვის რამდენიმე გაკვეთილი შემომთავაზა. მაშინ, რა დასამალია, სრული მარცხი განვიცადე. თუმცა, როგორც ჩანს, მირანდა მსგავსზე არც დაფიქრებულა, როცა საათ-ნახევრის წინ თავის კაბინეტში დამიბარა.

— ან-დრე-ა! ჩემი მანქანა ავტოფარეხშია გადასაყვანი. ახლავე მიხედე ამ საქმეს, რადგან საღამოს ჰემპტონებთან მივდივართ. სულ ეს არის.

მისი ვეებერთელა მაგიდის წინ, თითქოს იატაკს შევეზარდე, ის კი აღარ მიმჩნევდა ან მეჩვენებოდა ასე.

— სულ ესაა, საქმეს მიხედეთ, ან-დრე-ა! — თავი არ აუწევია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

„რა თქმა უნდა, მირანდა", — გავიფიქრე და ოთახიდან გავედი. ვცდილობდი განმესაზღვრა, რით დამეწყო დავალების შესრულება, რომლის დროსაც უეჭველად მრავალ დაბრკოლებას გადავეყრებოდი. პირველ რიგში, უნდა გამერკვია, სად იდგა ავტო. ალბათ — ერთ-ერთში იმ მილიონი სერვისცენტრიდან, ნიუ-იორკის ხუთ რაიონში რომ არის გაფანტული. ან მეგობარს ათხოვა და ახლა პარკ-ავენიუს რომელიმე კეთილმოწყობილ ავტოსადგომზე თბილი ადგილი ეკავა. და, რა თქმა უნდა, გამორიცხული არ იყო, მხედველობაში ჰქონოდა ახალშეძენილი (უცნობი მარკის) მანქანა, რომელიც (ასევე უცნობი) ავტომაღაზიიდან მასთან სახლში ჯერ არ გადაეყვანათ. მოკლედ, სამუშაო თავზე საყრელად მქონდა.

ჯერ მირანდას ბავშვების ძიძას დავურეკე. სამწუხაროდ, ავტომოპასუხე ჩაირთო, შემდეგ — ეკონომს. ის კი გამომადგა — მისგან გავიგე, რომ საუბარი ახალ მანქანაზე კი არა, მწვანე სპორტულ, ღია ავტოზე იყო, რომელსაც მირანდა საკუთარ ავტოფარეხში აყენებდა. თუმცა ეკონომს წარმოდგენა არ ჰქონდა მანქანის მარკასა და ამჟამინდელ მდებარეობაზე. მომდევნო ჩემს სიაში მირანდას მეუღლის თანაშემწე იყო. მან მითხრა, რომ ცოლ-ქმარი მართლაც ფლობდა ულტრათანამედროვე შავ ჯიპს, „ლინკოლნ-ნავიგატორს" და შედარებით მომცრო მწვანე „პორშეს"[3]. ესეც ასე! როგორც იქნა, ხელმოსაჭიდი ვიპოვე. მეთერთმეტე ავენიუზე, ოცდამეშვიდე და ოცდამერვე ქუჩების კვეთაზე მდებარე „პორშეს" ავტოსალონში ერთი სატელეფონო ზარით გავარკვიე, რომ მისის მირანდა პრისტლის „პორშე" კაბრიოლეტი „კარერა"[4] ახლახან შეუღებავთ მწვანედ და მასში ახალი სტერეოსისტემა ჩაუდგამთ. პირდაპირ — მიზანში!

ავტოსალონამდე სამსახურის მანქანით მივედი. იქ კი მირანდას სახელით ხელმოწერილი ქვითარი წარვადგინე, რაც მანქანის გაყვანის უფლებას მაძლევდა. ჩანდა, არავის ადარდებდა, რა კავშირი მქონდა მირანდასთან, ან უცხო პირი სხვის „პორშეს" რატომ ვითხოვდი. გასაღები მესროლეს და მხოლოდ გაეცინათ, როცა ვითხოვე, მანქანა სადგომიდან თვითონ გამოეყვანათ, რადგან მექანიკას კარგად ვერ ვმართავდი. ნახევარი საათი მოვანდომე ათი კვარტალის გავლას და მაინც ვერაფრით გავარკვიე, სად ან როგორ შემეხვია ისე, რომ ქალაქის ცენტრისკენ წავსულიყავი, სადაც, ეკონომის აღწერით, მირან-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

დას სახლი და ავტოსადგომი მდებარეობდა. შანსი, რომ ასე გაგრძელების შემთხვევაში საკუთარ თავს, ავტომანქანას, ველოსიპედისტებს, ქვეითებს და სხვა მოძრავ ობიექტებს არაფერს დავუშავებდი, ძალიან დაბალი იყო. ამ სატელეფონო ზარმა კი უარესად ამანერვიულა. კიდევ ერთხელ დავრეკე მასთან სახლში. ამჯერად ბავშვების ძიძამ მიპასუხა.

— გამარჯობა, კარა.

— გამარჯობა. ქუჩაში ხარ? თითქმის არაფერი მესმის,

— სწორედ ასეა. პროფილაქტიკიდან მირანდას „პორშე" უნდა გამომეყვანა, სპორტულ მანქანებს რიგიანად ვერ ვმართავ, ახლა კი მირეკავს და მთხოვს, ვილაც მედელინს მივაკითხო და შინ მივუყვანო. ხომ არ იცი, ვინ ოხერია ეს მედელინი, ან სად შეიძლება იყოს?

ათი წუთი გავიდა, სანამ კარა სიცილით გულს იჯერებდა.

— მედელინი — ეს მათი ფრანგული ბულდოგის ლეკვია, ახლა სტერილიზაციაზეა ვეტერინართან. უნდა მიმეკითხა, მაგრამ მირანდამ დამავალა ტყუპი სკოლიდან ადრე გამომეყვანა, ჰემპტონებთან მიდიან საღამოს.

— ხუმრობ? როგორ შევძლებ მისი ოხერი ძაღლის „პორშეთი" წამოყვანას, თან ისე, რომ არ დავიმტვრე? ეს შეუძლებელია.

— ისტ-საიდის ვეტერინარულ კლინიკაშია, 55-ე ქუჩაზე, პირველსა და მეორე ავენიუებს შორის. ბოდიში, ენდი, გოგონების გამოსაყვანად უნდა გავიქცე, თუ რამეა — დამირეკე, კარგი?

იმისთვის, რომ ამ მწვანე ურჩხულით ქალაქის ცენტრამდე მივსულიყავი, დიდი ძალისხმევა დამჭირდა. როცა მეორე ავენიუმდე მივაღწიე, სტრესისგან მთელი სხეული დამეჭიმა. ის-ის იყო, გავიფიქრე, უარესი რაღა დამემართება-მეთქი, უკნიდან ლამის მანქანამ დამარტყა. ერთი ნაკაწრიც ამ „პორშეზე" და — სამსახურს გამოვეთხოვებოდი (ორი აზრი არ არსებობდა), თუმცა ეს გასეირნება შესაძლოა სიცოცხლედაც დამჯდომოდა. მნიშვნელობა არა აქვს, დიდია თუ პატარა ავტოსადგომი, ქალაქის ცენტრში შუადღისას ყველა მათგანი გადავსებულია, ამიტომ ვეტერინარულ კლინიკაში დავრეკე და ვითხოვე, ძაღლი გარეთ გამოეყვანათ. რამდენიმე წუთში ქალბატონმა თავაზიანად მომიყვანა მედელინი. ლეკვი ფართხალებდა და იდორბლებოდა (მოვასწარი მირანდას მორიგი ზარისთვის

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

მეპასუხა. აინტერესებდა, რატომ არ ვიყავი აქამდე ოფისში). ქალბატონმა მედელინის პატარა მუცელზე ნაკერები მიჩვენა და მირჩია, ძალიან ფრთხილად მეტარებინა მანქანა, რადგან ძაღლი „დისკომფორტს განიცდიდა".

— გასაგებია, ქალბატონო. ვაპირებ ძალიან ნელა და ყურადღებით ვატარო, რადგან ჩემი კარიერა და შესაძლოა, სიცოცხლეც — ამაზეა დამოკიდებული. და თუ ძაღლიც იხეირებს, ეს მხოლოდ ბონუსი იქნება.

მედელინი მგზავრის სავარძელზე მოვათავსე. სიგარეტს მოვუკიდე, ყინულივით ტერფები დავჭიმე და თითები ავამოძრავე, რომ კონუსსა და მუხრუჭზე დაჭერა შემძლებოდა. „კონუსი, აქსელერატორი, სიჩქარე, კონუსი" — ვიმეორებდი. თან ვცდილობდი, ყურადღება არ მიმექცია ძაღლის საბრალო წკმუტუნისთვის, პედალზე ფეხის ყოველი დაჭერისას რომ მორთავდა ხოლმე. ლეკვი ტიროდა, ხან წკმუტუნებდა, ხანაც იღრინებოდა. მირანდას სახლამდე რომ მივაღწიეთ, ის უკვე ისტერიკის ზღვარზე იყო. იმის გამო, რომ ორივე ხელი დაკავებული მქონდა, ვერ ვეფერებოდი და ვერც ვიხუტებდი. შევეცადე სიტყვიერად დამემშვიდებინა, მაგრამ ამაოდ, ჩანდა, ჩემს ხმაში გულწრფელობას ვერ გრძნობდა. აი, რით დამთავრდა წიგნების, პიესების, ნოველებისა და პოემების შესწავლისა და დეტალური განხილვის ოთხი წელი: მოვალე ვარ, მშვიდობით მივიყვანო სახლამდე ჩაკურატებული პატარა თეთრი ბულდოგი და ამასთან არ გავკაწრო უზომოდ ძვირად ღირებული, სხვისი „პორშე". ცხოვრება მშვენიერია. სწორედ ამაზე ვოცნებობდი.

ავტოფარეხში მანქანის უვნებლად დაყენება მოვახერხე, ლეკვი გართულებების გარეშე ჩავაბარე შვეიცარს და გადავჯექი სამსახურის მანქანაში, რომელიც ამ ხნის განმავლობაში უკან მომყვებოდა. ხელები ჯერ კიდევ მიკანკალებდა. მძღოლს ისე შევეცოდე, თანაგრძნობის ნიშნად ჩემს დამშვიდებას შეეცადა, მითხრა, მექანიკის მართვა იოლი არ არისო. ნამდვილად არ ვიყავი თავაზიანი საუბრის განწყობაზე.

— მოდი, „ელიას-კლარკ-ბილდინგში" დავბრუნდეთ, — ვუთხარი და ღრმად ამოვისუნთქე. მან მანქანა მოატრიალა და სამხრეთით, პარკ ავენიუსკენ აიღო გეზი. ვინაიდან ყოველდღე ამ მარშრუტს გავდივარ, ხანდახან კი — დღეში ორჯერაც, ზუსტად ვიცოდი, რვა წუთი მქონდა სულის მოსათქმელად და მო-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

საფიქრებლად, თუ რა მომეხერხებინა „გუჩის“ დალაქავებული შარვლისთვის. ფეხსაცმელს კი აღარაფერი ეშველებოდა თუ, რა თქმა უნდა, მას იმ ხელოსნებთან არ მივიტანდი, საგანგებო სიტუაციებში „პოდიუმისთვის“ რომ მუშაობენ. ოფისამდე შვიდ წუთში მივედით. სხვა გზა არ იყო — ათსანტიმეტრიან ცალ ქუსლზე აყუდებულს წონასწორობადაკარგული ჟირაფივით უნდა მევლო. სასწრაფოდ სათავსისკენ გავემართე, გაფუჭებული ფეხსაცმელი „ჯიმი ჩუს“[4] ულტრათანამედროვე, წაბლისფერი ახალი ჩექმით შევცვალე, ძალიან მოუხდა რბილი ტყავისგან შეკერილ ქვედაბოლოს, იქვე რომ გადავიცვი, ზამშის შარვალი „სუპერდელიკატური რეცხვისთვის“ განკუთვნილი ტანსაცმლის გროვაზე დავაგდე (ფასი თითოზე — სამოცდათხუთმეტი დოლარიდან იწყებოდა), საგრიმიოროში შევირბინე, სადაც ერთ-ერთმა რედაქტორმა ჩემს ჩამორეცხილ მაკიაჟს თვალი რომ შეავლო, კოსმეტიკის ყუთი გამომიწოდა. „ცუდი არ არის“ — გავიფიქრე, როცა უზარმაზარი სარკეებიდან ერთ-ერთში ჩავიხედე. ვერც მიხვდებოდი, რომ რამდენიმე წუთის წინ ბეწვზე ეკიდა ჩემი სიცოცხლე და — მისიც, ვინც წინ გადამირბენდა. თავდაჯერებული ნაბიჯით გავემართე მდივნების ოთახისკენ, რომელიც მირანდას აპარტამენტის გვერდითაა და ჩემს ადგილზე ჩუმად დავჯექი. სანამ მირანდა შესვენებიდან დაბრუნდებოდა, რამდენიმე თავისუფალი წუთით შემეძლო მესარგებლა.

— ან-დრე-ა! — გამომძახა თავისი ცივი კაბინეტიდან — სად არის მანქანა და ლეკვი?

ადგილიდან მოვწყდი და ისე სწრაფად გავიქეცი, როგორც ეს ხავერდოვან რბილ იატაკზე თორმეტსანტიმეტრიანი ქუსლებით შეიძლებოდა და მისი მაგიდის წინ გავჩნდი.

— მანქანა ავტოფარეხშია, მედელინი კი თქვენს შვეიცარს ჩავაბარე, მირანდა, — ვუპასუხე ამაყად, რადგან დავალება ისე შევასრულე, მანქანის, ძაღლისა და საკუთარი თავისთვისაც არაფერი დამიშავებია.

— რატომ? — შემომიბღვირა, მასთან შესვლის შემდეგ პირველად მოსწყვიტა თვალი ჟურნალს „მოდის ბიბლია“ და ამომხედა.

— აკი გარკვევით გითხარი, ორივე აქ მოგეყვანა. წუთი-წუთზე გოგონები მოვლენ და მანქანა დამჭირდება.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ოჰ, იცით, მეგონა მითხარით, რომ გინდოდათ მათი...

— საკმარისია. შენი შეცდომები ნაკლებად მაინტერესებს. ნადი! მანქანა და ლეკვი მომიყვანე. თხუთმეტ წუთში გავდივართ. გასაგებია?

„თხუთმეტ წუთში? რას ბოდავს ეს ქალი? ქვემოთ ჩასასვლელად, სულ მცირე, ორი წუთი მაინც მჭირდება, სამსახურის მანქანით მირანდას სახლამდე — კიდევ ექვსი-შვიდი წუთი, შემდეგ მის რვაოთახიან ბინაში ლეკვის საპოვნელად — საღღაც სამი საათი, ოფისამდე მექანიკით ათი კვარტალის გამოვლაზე რომ არაფერი ვთქვა ".

— რა თქმა უნდა, თხუთმეტ წუთში, მირანდა.

როგორც კი ოფისიდან გამოვედი, ისევ კანკალმა ამიტანა, მაინტერესებდა, შესაძლებელი იყო თუ არა ოცდასამი წლისას, როგორც იტყვიან, გაფურჩქვნის ასაკში, ინფარქტი მიმეღო. სიგარეტს მოვუკიდე და მაშინვე ხელიდან გამივარდა, ჩემს ახალ „ჯიმი ჩუს" ჩექმას დაეცა, იმის ნაცვლად, რომ ძირს გადავარდნილიყო, ზედვე დარჩა და მრგვლად ამოწვა ტყავი. მაგარია, წავიბურტყუნე. უბრალოდ, მშვენიერია.

გონებაში გამოვთვალე, რომ დღეს ოთხი ათასი დოლარის ღირებულების ნივთები გავაფუჭე — ესეც ახალი პერსონალური რეკორდი. იქნებ ჩემს დაბრუნებამდე ფეხები გაფშიკოს-მეთქი, გავიფიქრე და გადავწყვიტე, რომ დრო იყო, ცხოვრება ნათელ ფერებში დამენახა. იქნებ სასწაული მომხდარიყო, რაიმე უჩვეულო, ეგზოტიკური დაავადება შეჰყროდა და ასე დაგველწია იმ არსებისთვის თავი. ბოლო ნაფაზი დავარტყი, მანქანის უკანა სავარძელზე გავიშოტე და საკუთარ თავს შევუტიე: „არაფერში გარგია მისი სიკვდილი, თუ ასე მოხდა, მოგიწევს დაემშვიდობო იმედს, რომ საკუთარი ხელით მოუღებ ბოლოს, ეს კი ძალიან დასანანი იქნება".

2

პირველ გასაუბრებამდე — „ელიას-კლარკის" ცნობილ ლიფტში ფეხის შედგმამდე — ცხოვრების აზრზე არ ვიყავი. მალალი მოდის სამყაროში ეს ლიფტები გადაადგილების ყველაზე

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

პოპულარულ საშუალებად ითვლება. მაშინ წარმოდგენაც არ მქონდა, რომ ქალაქის ყველაზე უკეთ ინფორმირებული ჟურნალისტები, რომლებიც ჟურნალ-გაზეთებში ნაღები საზოგადოების შესახებ წერენ, ასევე მასმედიის სხვა, გავლენიანი წარმომადგენლები, რომელნიც დაუღალავად უკან დასდევენ ბოლო მოდაზე, ელეგანტურად გამოწყობილ სელებრითებს, ზევით-ქვევით სწორედ ამ უხმაურო ლიფტებით დასრიალებდნენ. იქამდე არასოდეს მენახა ქალები ასე მბზინვარე ქერა თმებით. არ წარმომედგინა, რომ მაღალი მოდის საზოგადოება ამისთვის წელიწადში ექვსი ათას დოლარს ხარჯავდა, არც ის, რომ განდობილებს თვალის ერთი შევლებით შეეძლოთ ამოეცნოთ, თუ რომელ სტილისტს შეეღება ეს თმა. არც მსგავსი სიმპათიური მამაკაცები მენახა სადმე. არაჩვეულებრივად გამოიყურებოდნენ, არ იყვნენ ზედმეტად დაკუნთულები — ეს ხომ „არასექსუალურია“ — თუმცა მათი მოტმასნილი როლინგებისა და ტყავის შარვლების შემხედვარე მიხვდებოდით, რომ სპორტულ დარბაზებს ხშირად სტუმრობდნენ. ჩანთები და ფეხსაცმელები, როგორსაც უბრალო მოკვდავნი არ ატარებენ, ყვიროდა: „პრადა“![5] „არმანი“![6] „ვერსაჩე“![7]. მეგობრის მეგობარმა, რომელიც ჟურნალ „ჭორიკანას“ რედაქტორის ერთ-ერთი თანაშემწეა, მითხრა, რომ ზოგჯერ ესა თუ ის აქსესუარი თავის შემოქმედს სწორედ ამ ლიფტებში ხვდება. გულის ამაჩუყებელი შეხვედრაა — მიუჩიას[5], ჯორჯოსა[6] და დონატელას[7] საშუალება აქვთ, კიდევ ერთხელ დატკბნენ საკუთარი ქმნილებებით, შავი სტელეტოებითა[8] თუ გამჭვირვალე მძივების ჩანთით 2002 წლის ზაფხულისა თუ გაზაფხულის კოლექციებიდან. ვიცოდი, რომ ჩემი ცხოვრება შეიცვლებოდა, თუმცა, სასიკეთოდ-მეთქი, დარწმუნებით ვერ ვიტყოდი.

ოცდასამ წლამდე ამერიკის ერთ-ერთ პატარა, უღიმღამო ქალაქში ვიზრდებოდი. ჩემი არსებობაც უღიმღამო იყო, მას „სტერეოტიპულიც“ შეიძლება ვუწოდოთ.

კონექტიკუტის შტატის ქალაქ ეივონში ცხოვრება გულისხმობდა დამამთავრებელ კლასებში სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის აუცილებლობას, ახალგაზრდული ჯგუფების მიერ ორგანიზებულ კრებებზე დასწრებას, წვეულებებზე სიარულს გარეუბნის სახლებში, სადაც ალკოჰოლიან სასმელს დალევდი, ქალაქგარეთ წასული მშობლები კი ვერაფერს გაი-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

გებდნენ. სკოლაში სპორტულებით დავდიოდით, ჯინსებს შაბათობით გამოსასვლელად ვიცვამდით, ხოლო გოფრე ქვედაბოლოებს — „ნახევრად ოფიციალურ" წვეულებებზე, სადაც ცეკვები იმართებოდა. აი, კოლეჯში კი! ჩვენთვის სრულიად სხვა სამყარო გაიხსნა. ბრაუნის სტუდქალაქში გამართულ ღონისძიებებს, ლექციებსა და ყველა ტიპის „ტალანტისთვის", ორიგინალი ხელოვანისა თუ კომპიუტერზე შეშლილისთვის გახსნილ წრეებს თვლა აქ ჰქონდა. ნებისმიერი სახის ინტელექტუალური ან კრეატიული ინტერესის გამოხატვისა და ეზოტერიკული ან სხვა, არაპოპულარული საგნის არჩევის შემთხვევაშიც, ბრაუნის სასწავლებელი თავის წარმოჩენის ყველა პირობას გიქმნიდა. ერთადერთ გამონაკლისს ალბათ მაღალი მოდა წარმოადგენდა. პროვიდენსის მუზეუმებში უბრალო მაისურითა და ბოტასებით ოთხწლიანმა სიარულმა, ფრანგი იმპრესიონისტების შესწავლამ და ინგლისურ ლიტერატურაზე ვრცელი საკურსოების გაუთავებლად წერამ ჩემი პირველი სამსახურისთვის ნამდვილად ვერ მომამზადა.

მუშაობის დაწყებას რამდენადაც შემეძლო ვწელავდი. კოლეჯის დამთავრებიდან სამ თვეში მცირე თანხა შევაგროვე სამოგზაუროდ, დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში მატარებლით გავიარე ევროპა, სადაც პლაჟებზე მეტ დროს ვატარებდი, ვიდრე მუზეუმებში, იქიდან დიდად არავის ვეხმიანებოდი, თუ არ ჩავთვლით ალექსს, ჩემს შეყვარებულს, რომელთანაც სამი წლის ურთიერთობა მაკავშირებდა. ალექსმა იცოდა, თვე-ნახევარში აუცილებლად მოვიწყენდი, მას კი იმ დროისთვის პროგრამაში „ასწავლე ამერიკას" სტაჟირების ვადა ამოეწურებოდა და სექტემბრამდე თავისუფალი იყო. ზაფხულის არდადეგებზე სიურპრიზი გამიკეთა და ამსტერდამში დამადგა თავზე. უკვე მთელი ევროპა შემოვლილი მქონდა, მასაც იმავე ტურით შარშან ზაფხულს ემოგზაურა, ამიტომ ერთ-ერთ კაფეში სადილის შემდეგ, ოდნავ შეზარხოშებულებმა, სამოგზაურო თანხები გავაერთიანეთ და ბანგკოკამდე ორი ბილეთი შევიძინეთ.

ძირითადად სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია მოვიარეთ, დღეში ათ დოლარზე მეტი არ დაგვიხარჯავს. მოგზაურობისას გამუდმებით ჩვენს მომავალზე ვსაუბრობდით. ალექსი ანთებული იყო სურვილით, ნიუ-იორკის ერთ-ერთ მივარდნილ,

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნაკლებად პრესტიჟულ სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებლად დაეწყო მუშაობა. მთელი არსებით სურდა ახალგაზრდა ტვინების ფორმირებაში წვლილი შეეტანა და საზოგადოებისგან მივიწყებულ, გაჭირვებულ ადამიანებს დახმარებოდა. ასეთი შემართებით საუბარი მხოლოდ მას სჩვეოდა. ალექსისგან განსხვავებით ჩემი გეგმები გაცილებით მარტივი იყო. ვიმედოვნებდი, რომ რომელიმე პერიოდულ გამომცემლობაში ვიშოვიდი სამსახურს. თუმცა ეჭვი მეპარებოდა, რომ ახალკურდამთავრებულს პირდაპირ „ნიუ-იორკერში"[10] ამიყვანდნენ. მიუხედავად ამისა, მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, მომდევნო ხუთ წელიწადში სწორედ იქ მოვხვედრილიყავი. ამაზე ბავშვობიდან ვოცნებობდი, „ნიუ-იორკერი" ერთადერთი ადგილი იყო, სადაც მართლა მინდოდა მემუშავა. მახსოვს, ჟურნალს პირველად მაშინ გავეცანი, როცა მშობლების საუბარს მოვკარი ყური, დედამ თქვა: „დიდი ხანია აღარსად მინახავს, ასე კარგად რომ წერდნენ." მამა კი დაეთანხმა: „მართლაც ასეა, ახლანდელი მაკულატურიდან მხოლოდ ამ ჟურნალის წაკითხვა ღირს." მეც უმალ შემიყვარდა „ნიუ-იორკერი". მომწონდა მისი ცოცხალი და ზუსტი მიმოხილვები, გონივრული ილუსტრაციები, თუმცა ყველაზე მეტად მხიბლავდა თანამონაწილეობის შეგრძნება, ჟურნალი რომ განიჭებდა, თავს განსაკუთრებულ მკითხველად ვგრძნობდი. ბოლო შვიდი წლის განმავლობაში „ნიუ-იორკერი" ხელიდან არ გამიშვია, რედაქტორებისა და ავტორთა გვარებიც ზეპირად ვიცოდი.

ალექსთან ერთად ჩვენი ცხოვრების ახალ ასპარეზზე ვსაუბრობდით. ერთად ყველაფრის კეთება გვიხაროდა. ვგრძნობდით, რომ ბედი გვწყალობდა. უკან დაბრუნებას არ ვჩქარობდით, თითქოს ვიცოდით, ქარიშხლის მოახლოებამდე ეს ჩვენი ურთიერთობის ბოლო მშვიდი პერიოდი იყო და ამ სულელური მიზეზით დელიში კიდევ ორი კვირით გავიგრძელეთ ვიზები. ინდოეთის ეგზოტიკური ხედების დატოვება გვენანებოდა.

თუმცა ზღაპრიდან ცხადში ისე ვერაფერი დაგაბრუნებს, როგორც ამებური დიზენტერია. ბინძურ ინდურ ჰოტელში ერთი კვირა ძლივს გავჩერდი, მერე ალექსს ვთხოვდი, არ მივეტოვებინე, იმ ჯოჯოხეთურ ადგილას მარტოობაში სიკვდილისთვის ნუ გამიმეტებდა. ოთხ დღეში ნიუ-იორკში ჩავფრინდით. შეშფოთებულმა დედამ მანქანის უკანა სავარძელზე გადამაწ-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვინა და მთელი გზა მტუქსავდა. ებრაელი დედის ოცნება ახდა: სრული უფლება მიეცა, ყველა ნაცნობი ექიმი შინ მოეწვია და დარწმუნებულიყო, რომ ერთი პარაზიტიც არ დარჩენილა მისი პატარა გოგონას ორგანიზმში. ადამიანის სახის დასაბრუნებლად ორი კვირა დამჭირდა და ერთი იმდენიც — დასარწმუნებლად, რომ მშობლების სახლში გაჩერება გაუსაძლისი იყო. ჩინებული მშობლები მყავს, მაგრამ მათ მუდმივ შეკითხვაზე — სად მივდივარ ან როდის დავბრუნდები — პასუხის გაცემა ძალიან მომბეზრდა, ამიტომ ლილის დავურეკე და ჰარლემში[11], მის პატარა ბინაში საცხოვრებლად გადასვლის ნებართვა ვთხოვე, რაზედაც ლილი, როგორც კეთილშობილი ადამიანი, სიამოვნებით დამთანხმდა.

ჰარლემის პაწაწინა ბინაში ოფლში გაწუწულმა გავიღვიძე. ტკივილისგან თავი მისკდებოდა, მუცელი მტკიოდა და ვგრძნობდი, ყველა ნერვი მითამაშებდა. დამეთანხმებით, რომ ეს ძალზე არასექსუალურია. ოჰ, შემიბრუნდა, — გავიფიქრე შეშინებულმა. ჩანდა, პარაზიტებმა როგორღაც მოახერხეს და ხელმეორედ შეუტიეს ჩემს იმუნიტეტს. ამის გამო სამუდამო ტანჯვა მეწერა! „რა მეშველება, გაცილებით მძიმე დაავადება თუ შემეყარა? იქნებ ტროპიკული ციებ-ცხელების რაიმე ახალი ფორმაა? მალარია? ან იქნებ ებოლა?" ცოტა ხანს ჩუმად, გაუნძრევლად ვიწექი, ვცდილობდი, გარდაუვალ სიკვდილზე ფიქრს შევგუებოდი, რომ უეცრად გონებაში გასული ღამის მოვლენები ამომიტივტივდა: მწეველთა ბარი სადღაც ვესტ ვილიჯში. ისმის ჯაზ-ფუჟენი[12], „მარტინის" ჭიქაში რაღაც ძლიერი და ვარდისფერი სითხე ასხია. „ოჰ, ძალიან ცუდად ვარ!" მეგობრებს შევხვდი, შინ დაბრუნება მომილოცეს. სასმისს სასმისზე ვცლიდი. მადლობა ღმერთს, იშვიათი ჰემორაგიული ცხელება კი არა, უბრალოდ, ნაბახუსევზე ვიყავი. რას წარმოვიდგენდი, დიზენტერიის გამო წონაში 10 კილოგრამის დაკლებით ჩემი ორგანიზმი ალკოჰოლის ჩვეულ ნორმას რომ ვეღარ გაუმკლავდებოდა. სიმაღლე მეტრი და სამოცდაათი მქონდა, წონა — 55 კილოგრამი, ჩემი სხეული მსგავს გართობებს ვერ აიტანდა (თუმცა უკან რომ ვიხედები, პარამეტრები სავსებით შესაფერი იყო მოდის ჟურნალის თანამშრომლისთვის). თავი ძლივს წამოვწიე დივნიდან, რომელზეც ბოლო კვირა მიჯაჭვული ვიყავი. გადავწყვიტე, მთელი შინაგანი ძალები გამოჯანმრთელების-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

კენ მიმემართა. კვება, ურთიერთობის წესები, პირადი ჰიგიენა — ცხოვრების ამერიკულ ყაიდაზე დაბრუნება სრულებით არ გამჭირვებია, მაგრამ ამდენი ხნით მეგობართან სტუმრობა უკვე აღარ შეიძლებოდა. რუპიის დოლარში გადახურდავების შემდეგ მივხვდი, სადღაც ერთი კვირის სამყოფი თანხა დამრჩენოდა, ფულის შოვნის ერთადერთი გზა მშობლებისგან სესხება იყო, ამას კი დაუსრულებელი შეკითხვები და რჩევების კორიანტელი მოჰყვებოდა. ამაზე ფიქრმა მაიძულა, ლოგინიდან წამოვმდგარიყავი და ნოემბრის იმ საბედისწერო დღეს, ცხოვრებაში პირველად, გასაუბრებაზე წავედი. იქამდე მთელი კვირა სისუსტისა და სიცარიელის შეგრძნება არ მტოვებდა, ლილის ტახტზე ვნებივრობდი, სანამ არ მიყვირა, უმჯობესი იქნება, დღეში რამდენიმე საათი მაინც სუფთა ჰაერზე თუ გაისეირნებო. არ ვიცოდი, სად მეხეტიალა და მეტროპოლიტენის სამგზავრო ბილეთი შევიძინე. სადგურიდან სადგურამდე შემოვიარე გამომცემლობები და ყველგან ჩემი რეზიუმე დავტოვე. უხეიროდ შედგენილ სამოტივაციო წერილებს, რომლებშიც განვმარტავდი, რატომ მსურდა დამეკავებინა რედაქტორის თანაშემწის პოზიცია და დამეგროვებინა ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება, მსხვილ გამომცემლობებში დაცვის სამსახურს ვუტოვებდი. ძალიან დაღლილი ვიყავი იმისთვის, რომ მედარდა, წაიკითხავდნენ თუ არა ჩემს წერილებს, მით უფრო — დამიბარებდნენ თუ არა ინტერვიუზე, მაგრამ გუშინ ტელეფონი აწკრიალდა და რაც უნდა გასაოცრად ჟღერდეს, ვილაცამ „ელიას-კლარკის" კადრების განყოფილებიდან „საჭორაოდ" მიმიწვია. დარწმუნებული არ ვიყავი, ოფიციალური გასაუბრება რომ იქნებოდა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, „ჭორაობა" მეტად სასიამოვნოდ ჟღერდა.

„ადვილისა" და „პეპტოს" აბები მივიღე. მართალია, პიჯაკი ნაკლებად ეხამებოდა შარვალს, გამხდარ ტანზე ორივე კარგად მადგა. შიგნით ცისფერი კარდიგანი მეცვა, ფეხზე — ოდნავ გაცვეთილი დაბალძირიანი ფეხსაცმელი, თმა მსუბუქად შევიკარი და „საჭორაოდ" გავემზადე. „სტილზეა" და „მაგრად გამოიყურებაო" ნამდვილად არ იტყოდნენ ჩემზე, უფრო პირიქით, თუმცა ვერც იმას დავიჯერებდი, რომ ჩაცმულობა წარუმატებლობის მიზეზად შეიძლებოდა ქცეულიყო. ჩანდა, ნაავადმყოფარი საღად ვერ ვაზროვნებდი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

გასაუბრებაზე დროულად, დილის თერთმეტ საათზე გამოვცხადდი, სრულებით არ ვნერვიულობდი, სანამ ლიფტის მოლოდინში გრძელფეხება, თვიგის[14] მსგავს ლამაზმანებს არ გადავაწყდი. ენას არ აჩერებდნენ, დროდადრო გოგონების ყაყანს მათივე „სტელეტოების" პაკაპუკის ხმა ფარავდა. „ჩაისუნთქე, ამოისუნთქე, აქ იმისთვის ხარ, რომ გასაუბრებაზე დაგიბარეს, მერე წახვალ და ლოგინში შეწვები, ჩაისუნთქე, ამოისუნთქე". „ცხადია, ჟურნალ „რეაქშენში" მუშაობას ვისურვებდი! თუმცა, მგონი, „ბაზი" უფრო შემეფერება. როგორ? უნდა ავირჩიო? კეთილი, მაშ, გადაწყვეტილებისთვის ერთი დღე მომეცით, თქვენსა და „მეზონ ვუს" წინადადებებზე დავფიქრდები. არაჩვეულებრივია! "

ცოტა ხანში ჩემს ულიმლამო პიჯაკზე „სტუმრის" ბარათი მივიმაგრე (რამდენიმე წუთში აღმოვაჩინე, რომ შედარებით გათვითცნობიერებული სტუმრები ასეთ ბარათებს ხელჩანთებზე იბნევდნენ ან სულაც აგდებდნენ, და მხოლოდ ხელმოცარულებს ეკეთათ ის ბოლომდე) და ლიფტებისკენ გავემართე. შევედით. მაღლა და მაღლა ვიჭრებოდი, მივარღვევდი სივრცესა და დროს, მივიწევდი სექსუალურობის თვალშეუდგამი მწვერვალებისკენ, პირდაპირ მივემართებოდი... კადრების განყოფილებისკენ.

ლიფტში, სადაც ძვირფასი ტყავისა და სუნამოების შერეული სურნელი ეროტიკულ ატმოსფეროს ქმნიდა, თავს დამშვიდების უფლება მივეცი. სართულიდან სართულზე ვინაცვლებდით და თანდათან „ჭორიკანას", „მანტრასა" და „ბაზის" ლამაზმანები ლიფტს ტოვებდნენ. კარი მედიდურად, უხმაუროდ იღებოდა და მე სადად, გემოვნებით გაწყობილ, თოვლივით ქათქათა მისაღებებს ვხედავდი. სავარძლების სითეთრე იმდენად თვალში საცემი იყო, რომ ზედ ჩამოჯდომაც მოგერიდებოდა. ვაიდა, შემთხვევით ვინმეს გადაეპურჭყებინა, ავეჯი ალბათ შეძრწუნებული მორთავდა კივილს. კედლის კარადებში სქელი, გლუვი შუშის ქვეშ საჩვენებლად გამოფენილი ჟურნალები მოჩანდა. სახელწოდებებს შავი, ნაცნობი შრიფტების მიხედვით, იოლად ვარჩევდი. ისეთი ჟურნალები იყო, ყველა ამერიკელი რომ იცნობდა, მაგრამ მათგან ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს ყველაფერი ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი, გიგანტური კასრის სახურავქვეშ იხარშებოდა, თუხთუხებდა და მზადდებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

გამოვტყდები, რომ ნაყინით ვაჭრობაზე უფრო შთამბეჭდავი სამუშაო არ მქონია, თუმცა მეგობრებისგან, რომლებიც ბევრად გამოცდილები იყვნენ, მრავალი ისტორია მსმენოდა და ვიცოდი, რომ ნამდვილი საქმიანი ცხოვრება სრულიად სხვა რამ იყო. განსხვავებულ სამყაროში ტრიალებდი, იქ ვერ ნახავდი ფლუორესცენტულ ნათურებსა და ჭუჭყგამძლე ხალიჩებს, ხოლო ზეთიანი მდივნების ნაცვლად, მაღალქუსლიან ფეხსაცმელებზე შემდგარი, ელეგანტური და მოვლილი თანაშემწეები უძღვებოდნენ ყველაფერს. საოფისე ინვენტარი — ორგანაიზერები, სანაგვე ურნები, წიგნები იქ უბრალოდ არ არსებობდა. გაფართოებული თვალებით ვუცქერდი ჩემ წინ გაელვებულ დიდებულებას, სანამ მეექვსე სართულზე აღელვებული საუბარი არ შემომესმა.

— ის ნამდვილი ალქაჯია. ველარ ვუძლებ. და ვინ გაუძლებდა? არა, მართლა გეკითხები, სხვა ვინ აიტანს?— გველის ტყავისგან შეკერილ ქვედაბოლოსა და ღრმად ამოღებულ მაისურში ოც წლამდე გოგონა გასართობი კლუბის კლიენტს უფრო ჰგავდა, ვიდრე გამომცემლობის თანამშრომელს.

— ვიცი. ვი-ციიი. შენი აზრით, ბოლო ექვსი თვე მე რას ვუძლებ? მართლაც ძუკნაა! თან საშინელი გემოვნება აქვს, — დაეთანხმა მეგობარი მშვენიერი კულულების ქნევით.

როგორც იქნა, ლიფტი ჩემს სართულზე შეჩერდა და კარიც გაიღო. საინტერესოა, გავიფიქრე. საშუალო ფენის უფროსკლასელი გოგონას ყოველდღიურობისა და იქაური ატმოსფეროს ერთმანეთთან შედარების შემთხვევაში, არც კი ვიცი, რომელს ვამჯობინებდი. იქ მუშაობა გამონვევა იყო? ალბათ არა. მაშ — მშვიდი და სასიამოვნო? არც ეგ. ნუთუ სახალისო, ღიმილისა და სიამოვნების მომნიჭებელი? არა, გამორიცხული იყო! მაგრამ თუ დახვეწილობა, სინატიფე გიზიდავდათ და ამასთან, სიგიჟემდე გიყვარდათ მოდა, მაშინ „ელიას-კლარკი" თქვენს მექად იქცეოდა.

კადრების განყოფილების მდივანმა, ძვირფასი სამკაულითა და უნაკლო მაკიაჟით, ჩემი არაადეკვატურობა მაგრძნობინა.

— სანამ ელოდებით, შეგიძლიათ ჩვენი ჟურნალები გადაათვალიეროთ, — მითხრა მან.

იმ შემთხვევისთვის, თუ გამოცდას ჩამიტარებდნენ, შევეცადე ყველა მთავარი რედაქტორისა და კომპანიის სახელი დამე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE Scanned by CamScanner

მახსოვრებინა. „ჟურნალ „რეაქშენის" ხელმძღვანელი, სტივენ ალექსანდერი ხომ ვიცი, არც „ბაზის" მთავარი რედაქტორის, ტენერ მაიკლის დამახსოვრება მიჭირს. საინტერესო სხვა ვერაფერი ვნახე. მით უკეთესი. ყველაფერი გამომივა", — გავიფიქრე ჩემთვის.

საშუალო სიმაღლის ტანადმა ქალბატონმა თავი შარონად გამაცნო.

— ძვირფასო, მაშ, ჟურნალში მუშაობის დაწყება გსურთ? — მკითხა და თან თავისი გაკრიალებული, ცივი ოფისისკენ გამიძღვა, გრძელფეხება ლამაზმანებს ჩავუარეთ, მეგონა, მოდელები იყვნენ — საკმაოდ საპასუხისმგებლო ნაბიჯია ახალი კურსდამთავრებულისთვის, არ მეთანხმებით? კონკურენცია დიდია, მხოლოდ რამდენიმე არცთუ მაღალანაზღაურებადი ვაკანსიაა დარჩენილი, ხვდებით ალბათ რასაც ვგულისხმობ, არა?

ჩემს იაფფასიან პიჯაკს, მასთან შეუსაბამო შარვალსა და უგემოვნებო ფეხსაცმელს რომ დავხედე, გავიფიქრე, აქ რა ჯანდაბას ვაკეთებ-მეთქი. ერთი სული მქონდა, ჩემს ტახტამდე მიმეღწია, ყველიანი ჩიფსებისა და სიგარეტის მარაგი გვერდით მომეწყო და ორი კვირა მაინც აღარ ავმდგარიყავი. ფიქრებში გართულს, შარონმა თითქმის ჩურჩულით მითხრა:

— უნდა გამოგიტყდეთ, სწორედ ახლა ერთი არაჩვეულებრივი ადგილი გამოჩნდა, ცხადია, მას ხელიდან არავინ გაუშვებს!

ჰმ. ყურადღება მოვიკრიბე და შევეცადე მისთვის თვალებში შემეხედა. „ადგილი? ხელიდან არავინ გაუშვებს?" გონება დავძაბე. ნუთუ დახმარება სურდა? ან იქნებ მოვეწონე? მაგრამ როგორ? ჯერ ხომ სიტყვაც არ მითქვამს, განა შეიძლება, ასე მალე მოვწონებოდი? თანაც ავტომანქანებით მოვაჭრეს უცებ რატომ დაემსგავსა?"

— ძვირფასო, შეგიძლია მითხრა, ვინ არის „პოდიუმის" მთავარი რედაქტორი? — მკითხა და მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად შემომხედა.

და სიცარიელე, სრული სიცარიელე — არაფერი მახსოვდა. ვერ ვიჯერებდი, რომ გამოცდას მიწყობდა! „პოდიუმი" ცხოვრებაში არ წამიკითხავს — უბრალოდ, უფლება არ ჰქონდა, ასე მომქცეოდა! ღვთის გულისათვის, ვის რაში აინტერესებს

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

„პოდიუმი“ — მოდის ჟურნალი? განა რა უნდა ეწეროს იქ ღირებული! მისი პრიალა ფურცლები ხომ დიეტებისგან გალეულ მოდელების ფოტოებითა და სარეკლამო განცხადებებითაა სავსე. პირველივე სახელი, რომელიც გამახსენდა, ვუთხარი. რა თქმა უნდა, შევცდი. გონება მოვიკრიბე და გახსენება ვცადე. მას ხომ ყველა იცნობდა, მე კი ვერაფრით ვიხსენებდი!

— ახლა რატომღაც მის სახელს ვერ ვიხსენებ, თუმცა ცხადია, ვიცი. ვინ არ იცნობს მას! მე, უბრალოდ, ოჰ... იცით, რატომღაც დამავიწყდა, — წამით მუქი თაფლისფერი, დიდრონი თვალებით მომაჩერდა დაცვარულ სახეზე.

— მირანდა პრისტლი, — შიშნარევი მორიდებით მიჩურჩულა, — მისი სახელია მირანდა პრისტლი.

სიჩუმე ჩამოვარდა. დაახლოებით ერთი წუთი ხმა არც ერთს არ ამოგვიღია. შარონზე იყო დამოკიდებული, დახუჭავდა თუ არა თვალს ჩემს შეცდომაზე. აბა, რას წარმოვიდგენდი, სასოწარკვეთილი თუ ეძებდა თანაშემწეს მირანდასთვის, ის დღე-ღამეში ასჯერ მაინც თუ ურეკავდა და პოტენციურ კანდიდატებთან დაკავშირებით უსვამდა კითხვებს, რა ვიცოდი, რომ უკვე გადაწურული ჰქონდა იმედი, მოსაწონი კანდიდატი შეერჩია მისთვის, რომ გამეტებით სურდა ბოლოს და ბოლოს ეპოვა ვინმე, ვისაც მირანდა არ დაიწუნებდა. თუკი ამ პოზიციაზე დანიშვნის მცირე შანსი მაინც მქონდა — რაც ერთობ საეჭვო იყო, მაგრამ მაინც — და თან ამით შარონსაც საზრუნავს შევუმცირებდი, — რატომაც, არა? მაწყობდა!

მან გამიღიმა და მითხრა, რომ მალე მირანდას ორ თანაშემწეს შევხვდებოდი.

— ორ თანაშემწეს?

— დიახ, ორს, — ცოტა არ იყოს გაღიზიანებით მიპასუხა, — რა თქმა უნდა, მირანდას ორი თანაშემწე სჭირდება. უფროსი, ელისონი, დააწინაურეს, ახლა ის ერთ-ერთ ჟურნალში სილამაზის განყოფილების რედაქტორია, მის ადგილს უმცროსი თანაშემწე, ემილი დაიკავებს. ემილის თანამდებობა კი ვაკანტური რჩება. ანდრეა, ვიცი, რომ კოლეჯი ახლახან დაამთავრეთ და მსოფლიო დონის ჟურნალის სამზარეულოს არ იცნობთ, — სანამ საჭირო სიტყვებს შეარჩევდა, მრავალმნიშვნელოვანი პაუზა გააკეთა, — მაგრამ ვგრძნობ, ჩემი ვალია, მოვალეობაა, გითხრათ, თუ რამდენად კარგი შესაძლებლობა გეძლევათ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

მირანდა პრისტლი, — ისევ შეყოვნდა, ალბათ მირანდას თავი მდაბლად დაუკრა ფიქრებში, — მირანდა პრისტლი მოდის ინდუსტრიაში ყველაზე გავლენიანი ქალბატონი და შესაბამისად, მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ჟურნალის მთავარი რედაქტორია. გესმით? მსოფლიოში! მნიშვნელოვან შეხვედრებზე მის გვერდით ყოფნა, გამოჩენილ მწერლებთან და მოდელებთან შეხვედრა, ყოველდღიურად მისი დახმარება და წარმატების მასთან ერთად განაწილება... ველარაფერს დავამატებ, ასეთი სამუშაოსთვის მილიონობით გოგონა სულს ეშმაკსაც მიჰყიდდა.

— აჰ, დიახ, რა თქმა უნდა, მართლაც იღბალია, — მოკლედ მივუგე და საკუთარ თავს ვკითხე, რატომ მაინცდამაინც ჩემთან აქებდა შარონი იმ სამუშაოს, რისთვისაც სხვები სულს ეშმაკსაც მიჰყიდდნენ, მაგრამ ამაზე ფიქრისთვის დრო აღარ მრჩებოდა, შარონმა ტელეფონით გადარეკა და წამებში მირანდას ორ თანაშემწესთან გასაუბრებაზე ლიფტით ჩამიყვანა.

შარონის მანერულმა მეტყველებამ დამღალა, თუმცა წინ ემილისთან შეხვედრა მელოდა. მეჩვიდმეტე სართულზე, „პოდიუმის" ქათქათა მისაღებში მოცდამ მომიწია. ნახევარი საათის შემდეგ შუშის კარში მაღალი და გამხდარი გოგონა შემოვიდა. კლასიკური სიგრძის ტყავის კაბაში თეძოები ეკვეთებოდა, ყლალი თმა მოუწესრიგებლად, თუმცა ლამაზ კონად ჰქონდა შეკრული, მკრთალი, უნაკლო კანი, ერთი ჭორფლის, პიგმენტური ლაქის, ნაოჭის გარეშე დახვეწილი ფორმის ღაწვებზე გადატკეცოდა. არ გაულიმია. უბრალოდ გვერდით მომიჯდა და არცთუ დიდი ინტერესით დამაკვირდა. ზედაპირული დათვალიერება. შემდეგ კი, ისე, რომ ჩემთვის თავი არ წარუდგენია, სავარაუდოდ — ემილი, საკუთარ სამუშაოზე ალაპარაკდა. მონოტონურმა საუბარმა უფრო მეტი რამ მითხრა ემილიზე, ვიდრე მისმა სიტყვებმა: ჩანს, მსგავსი გასაუბრება ასჯერ მაინც ჰქონდა ჩატარებული, დიდ განსხვავებას ჩემსა და სხვა კანდიდატებს შორის ვერ ხედავდა და შესაბამისად, იმედოვნებდა, რომ დროის ხარჯვა დიდად არ მოუწევდა.

— სამუშაო მძიმეა. ამაში ეჭვი არ შეგეპაროს, ზოგჯერ დღეში თოთხმეტი საათი ვმუშაობთ, ხომ ხვდები, ხშირად არა, მაგრამ არც იშვიათად, — ისე დუდუნებდა, ჩემკენ არ გამოუხედავს, — აი, კიდევ რა არის მნიშვნელოვანი, სარედაქციო

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

საქმე არ გეხება. როგორც მირანდას უმცროს თანაშემწეს, მხოლოდ მისი დავალებებისა და სურვილების შესრულება მოგიწევს. ეს ნებისმიერი რამ შეიძლება იყოს, დაწყებული საკანცელარიო ნივთების შეკვეთიდან, საყიდლებზე სიარულის ჩათვლით. ნებისმიერ შემთხვევაში, საინტერესოდ გაერთობი. შეგიძლია წარმოიდგინო, რომ დღეებს გლამურული და გასაოცარი საზოგადოების გარემოში გაატარებ? გარწმუნებ, ნამდვილი საოცრება გელის! — ამოისუნთქა და ჩვენი საუბრის დაწყებიდან პირველად მომეჩვენა, მართლა იყო აღფრთოვანებული.

— ჩინებულია, — ვუპასუხე და გულწრფელად ასე ვფიქრობდი. ჩემი მეგობრები, რომლებიც კოლეჯის დამთავრებისთანავე დასაქმდნენ, ექვსთვიანი სტაჟირების შემდეგ უკმაყოფილონი და გადაქანცულნი ჩანდნენ. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რით იყვნენ დაკავებულნი — საბანკო საქმით, რეკლამის წარმოებით თუ საგამომცემლო საქმიანობით, — იმედი ყველას გაუცრუვდა. არ მოსწონდათ გრძელი სამუშაო დღე, კოლექტივი, გარემო და შიდაგანაწესი, მაგრამ ყველაზე მეტად მოწყენილობას უჩიოდნენ. თვლიდნენ, რომ კოლეჯში მიღებულ განათლებასთან შედარებით, მათი სამუშაო ბევრად იოლი იყო და მას ნებისმიერი მოთვინიერებული მაიმუნიც შეასრულებდა. საათობით ლაპარაკობდნენ ტელეფონზე, კომპიუტერის მონაცემთა ბაზაში მონაცემები ავტომატურად შეჰყავდათ, რეკავდნენ ადამიანებთან, რომელთაც საუბარი არ სურდათ, კომპიუტერული პროგრამის წლიურ კატალოგებში უსასრულოდ ახარისხებდნენ შესაბამის ინფორმაციას და თვეობით იკვლევდნენ სრულიად უაზრო საკითხებს. მათი უფროსობა შესრულებული სამუშაოთი კმაყოფილი იყო, თუმცა ესენი ირწმუნებოდნენ, კოლეჯის შემდეგ თანდათან გამოვთაყვანდითო. გამოსავალი კი არსად ჩანდა. შეიძლება მოდის მოტრფიალე არც ვიყავი, მაგრამ გამიხარდებოდა, თუ მოსაწყენ, არასაინტერესო სამსახურში საათობით ჯდომის ნაცვლად, რაიმე სახალისო საქმიანობას მივყოფდი ხელს.

— ჰო, ძალიან მაგარია, მართლაც ფანტასტიკურია. უბრალოდ ძალიან, ძალიან მაგარია. მოითმინე, ახლა ელისონს გაგაცნობ, ისიც კარგი გოგოა, — შუშის კარში ტყავის ქვედაბოლო გაუჩინარდა თუ არა, ახალი ფიგურა გამოჩნდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

ეფექტურმა აფროამერიკელმა გოგონამ თავი ელისონად, მირანდას ყოფილ უფროს თანაშემწედ გამაცნო, სწორედ იგი დააწინაურეს. პირველი, რაც თვალში მოგხვდებოდათ, მისი უნაკლო სხეული იყო. მუცელი იმდენად ჰქონდა შეზნექილი, გეგონებოდა საერთოდ არა აქვსო, თვალს ვერ მოაცილებდი ლამაზი ფორმის თეძოებს. გამაოცა, სამსახურში ასე თავისუფლად რომ აჩენდა მუცელს. ეცვა ნაზი ტყავის ვიწრო შავი შარვალი და ფუმფულა თეთრი ზედა (ბეწვის), რომელიც ეკვროდა მკერდს და ჭიპამდე ხუთი სანტიმეტრი აკლდა. გრძელი, გიშრისფერი თმა, ზურგზე რომ თავისუფლად ეყარა, სქელ და მბზინავ ქსოვილს მოგაგონებდათ. ხელისა და ფეხის ფრჩხილებზე პერლამუტრის თეთრი მანიკიური თითქოს შიგნიდან ანათებდა, ღია ფეხსაცმელი ემოსა, სიმაღლეში მეტრი და ოთხმოცი იყო, ქუსლები კი სამი სანტიმეტრით უფრო ამაღლებდა. ძალზე სექსუალურად გამოიყურებოდა. ნახევრად შიშველი იყო, მაგრამ ამავდროულად — ელეგანტური. მომეჩვენა, რომ სციოდა, ბოლოს და ბოლოს გარეთ ხომ ნოემბერი იდგა.

— გამარჯობა, როგორც მიხვდი, მე ელისონი ვარ, — თქვა და ტყავის შარვლიდან ბეწვები მოიცილა, — რედაქტორის თანამდებობაზე ახლახან დამაწინაურეს, ეს მირანდასთან მუშაობის ერთ-ერთი უპირატესობაა. მართალია, სამუშაო დღე გრძელი და შრომატევადია, მაგრამ დამიჯერე, ძალიან საინტერესოა, მირანდასთან მუშაობაზე მილიონობით გოგონა ოცნებობს. ის კი ისეთი ჩინებული რედაქტორია, იმდენად კარგი ადამიანია, გოგონებს თან ჰყვება. კარიერული წინსვლისთვის სხვაგან წლები დაგჭირდებოდა, აქ კი, მირანდასთან, გზას წელიწადში გაიკვლევ. თუ ნიჭიერი ხარ, პირდაპირ მაღალ პოზიციაზე დაგასაქმებს და... დაბნეულივით ლაპარაკობდა, უინტერესოდ. სიმართლე რომ ვთქვა, სულელის შთაბეჭდილება არ დაუტოვებია, მაგრამ თვალები ისე უბრწყინავდა, ვიფიქრე, რომელიმე სექტის წევრი ან ჰიპნოზის ზემოქმედების ქვეშ ხომ არაა-მეთქი. მეგონა ჩამეძინებოდა. ცხვირი რომ ხმაურით მომეხოცა, ან უბრალოდ, ოთახიდან გავპარულიყავი, ალბათ ვერც კი შეამჩნევდა.

როცა ბოლოს და ბოლოს დაასრულა და სხვა გასაუბრებაზე მეჩქარებაო, გატრიალდა, მისაღების ერთ-ერთ სავარძელზე

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოცელილივით დავეცი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი უკონტროლოდ, სწრაფად ხდებოდა, მე მაინც აღფრთოვანებული ვიყავი. მერე რა, რომ მირანდა პრისტლი თვალით არ მენახა, სამაგიეროდ, მისი პიროვნებით სხვები იყვნენ აღფრთოვანებულნი. მერე რა, რომ მოდის ჟურნალი იყო, აქაურობა რომელიმე მეორეხარისხოვან გამომცემლობას ბევრად მერჩივნა. დარწმუნებული ვიყავი, ჟურნალ „ნიუ-იორკერის" რეზიუმესთვის, „პოდიუმის" მითითება აპლიკაციაში გაცილებით პრესტიჟული იქნებოდა, ვიდრე „თვითნასწავლი მექანიკოსების" კომპანიისა. გარდა ამისა, ამ შანსისთვის მილიონობით გოგონა ხომ სულს ეშმაკსაც კი მიჰყიდდა!

დაახლოებით ნახევარი საათი ამ ფიქრებში ვიყავი გართული, როცა მისაღებში კიდევ ერთი მაღალი, უზომოდ გამხდარი ლამაზმანი შემოვიდა. სახელიც მითხრა, მაგრამ ვერ დავიმახსოვრე, მის ტანს მივშტერებოდი. გამჭვირვალე თეთრი ბლუზა, მჭიდროდ მომდგარი ჯინსის მინიკაბა და ვერცხლისბალთიანი მაღალქუსლიანი ღია ფეხსაცმელი ეცვა. მასაც შესანიშნავი მანიკიური ჰქონდა და გარუჯული, უნაკლო ტანი. ნორმალური ადამიანები ზამთარში ასე არ იცვამენ. გაშტერებული ვიდექი, ვიდრე ყურადღებას მომაქცევდა და მანიშნებდა, გავყოლოდი. მის გვერდით ჩემი უბადრუკი ჩაცმულობის, ცუდი ვარცხნილობის, ყოველგვარი ძვირფასეულობისა თუ აქსესუარის ნაკლებობის გამო თავი უზომოდ უხერხულად ვიგრძენი. იმ დღემდე არც შემინიშნავს, რომ ჩემი ჩანთა ჩემოდანს უფრო ჰგავდა, ვიდრე ქალის ხელჩანთას. შევწუხდი. ახლაც, როცა ვიხსენებ, რამდენად მოუქნელად ვიქცეოდი ნიუ-იორკის ყველაზე გემოვნებით ჩაცმულ და გარუჯულ ქალთა საზოგადოებაში, ვწითლდები სირცხვილისგან. მოგვიანებით, მეც ყველაფერი ვისწავლე და ერთ-ერთი მათგანი გავხდი. წარმომიდგენია, გასაუბრებისას რამდენს იცინებდნენ ჩემზე.

ჩემი სახელდახელო გაცნობის შემდეგ, მორიგმა ლამაზმანმა „პოდიუმის" აღმასრულებელი დირექტორის, შერლი ქერსტონის ოფისში შემიყვანა, სადაც ყველაფერი ცოტათი უცნაურად, მაგრამ მაინც ძალზე სიმპათიურად გამოიყურებოდა. გოგონა მთელი გზა გაუჩერებლად ლაპარაკობდა, მაგრამ ამჯერად მას მთელი ყურადღებით ვუსმენდი, რადგან ჩანდა, სამუშაო მართლა უყვარდა. აღფრთოვანებით საუბრობდა ჟურნალის „ტე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

ქსტუალურ" ასპექტებზე, არაჩვეულებრივ თემებზე, რომელ-ზედაც წერდა, მწერლებზე, ვისთანაც საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა და ასევე რედაქტორებზე, რომელთა მუშაობასაც თვალყურს ადევნებდა.

— სრულიად არაფერი გამეგება მოდაზე, — ამაყად განმიცხადა, — ასე რომ, უმჯობესი იქნება, თუ კითხვებს სხვას დაუსვამ.

როდესაც ვუთხარი, რომ მოდაზე, სტილსა და ტრენდებზე არც მე გამეგებოდა რამე, ზოგადი ცოდნაც კი არ გამაჩნდა და მისი სამუშაო გაცილებით მიმზიდველად მიმაჩნდა, სახე გაებადრა და მითხრა:

— თუკი ეს მართალია, ანდრეა, გამოდის, რომ სწორედ ის ხარ, ვინც ჩვენ გვჭირდება. ვფიქრობ, დროა, მირანდას შეხვდეთ და თუ მენდობით, გირჩევთ, მას თვალებში არ შეხედოთ, თავი მხნედ გეჭიროთ, უჩვენეთ, ვინ ხართ და მერწმუნეთ, მის პატივისცემას დაიმსახურებთ.

ამის თქმა იყო და, კიდევ ერთი ახალი ლამაზმანი მომეცლინა, რომელსაც მირანდამდე უნდა მივეცილებინე. ამისთვის სულ ნახევარი წუთი დაგვჭირდა, მაგრამ სანამ მივაბიჯებდით, ვგრძნობდი, რომ ყველა მე მიყურებდა. რედაქციის შემინული ოთახებიდან თვალს არ მაცილებდნენ, კუნძულებად ჩარიგებული პატარა სამდივნოებიდან ყველა მომჩერებოდა. ქსეროქსის აპარატთან მდგარმა სიმპათიურმა ყმაწვილმა გამომხედა და შემათვალიერა, იგივე გაიმეორა წარმოსადეგმა მამაკაცმაც, რომელიც ასი პროცენტით გეი იყო და ჩემში ჩაცმულობის გარდა არაფერი აინტერესებდა. ის-ის იყო, მირანდას კაბინეტის მოპირდაპირე ოთახში, სადაც მდივნები ისხდნენ, უნდა შემებიჯებინა, რომ ემილიმ „ჩემოდანი" ხელიდან გამომტაცა და თავისი სამუშაო მაგიდის ქვეშ შეაგდო. წამში მივხვდი, რას ნიშნავდა ეს — „თუ ასეთ ნივთს შიგნით შეიტან, შენდამი ნდობა ნულის ტოლი იქნება." და აი, მის კაბინეტში ვდგავარ. მახსოვს, ფართოდ გაღებული ფანჯრებიდან მზის კაშკაშა სხივები იღვრებოდა. შეხვედრის სხვა, გარეგნული დეტალები არ მახსენდება, გარდა იმისა, რომ თვალს ვერ ვაცილებდი მას.

რადგან მირანდა პრისტლის ფოტოც კი არ მენახა, მისმა სიგამხდრემ უბრალოდ შემაძრწუნა. თავისი ხმელი, ძალზე ნაზი და ქალური ხელი გამომიწოდა. თავი ასწია და თვალებში შე-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მომხედა, მაგრამ არ წამომდგარა. შეღებილი ქერა თმა დიდებულ კონად შეკრული და ბუნებრიობისთვის ოდნავ მოშვებული ჰქონდა. არ გაუღიმია, მაგრამ არც შევუშინებივარ. შავი, უშველებელი მაგიდის ფონზე ძალზე ნაზი და ერთი ციდა ჩანდა. დაჯდომა არ შემოუთავაზებია, იძულებული გავხდი, შავი ფერის კომფორტულ სავარძელში საკუთარი ნებით ჩავმჯდარიყავი. თვალებში შევხედე თუ არა, უმალ შევნიშნე, ყურადღებით მაკვირდებოდა, გულში ალბათ ჩემს „დახვეწილ" მიხრა-მოხრაზე ეცინებოდა. „ჩანს, ქედმაღალი და უხეშია, მაგრამ აუტანელი ხასიათისა ჯერ არაფერი ეტყობა", — ჩემთვის გავიფიქრე. საუბარი პირველმა დაიწყო.

— „პოდიუმში" რამ მოგიყვანათ, ან-დრ-ეა?— მკითხა მაღალი კლასის ბრიტანელისთვის დამახასიათებელი აქცენტით, ისე, რომ ჩემთვის თვალი არ მოუცილებია.

— იცით, შარონს ვესაუბრე და მან მითხრა, რომ თანაშემწე გესაჭიროებათ, — ხმა ოდნავ ამიკანკალდა. როცა დასტურის ნიშნად თავი დამიქნია, გამბედაობაც მომემატა — და ახლა, მას შემდეგ, რაც ემილის, ელისონსა და შერლისაც მოვუსმინე, მივხვდი, რომ სწორედ ის ადამიანი ვარ, ვისაც ეძებთ — ვუპასუხე და შერლის სიტყვები გამახსენდა. ერთხანს ინტერესით, მაგრამ უემოციოდ მაკვირდებოდა.

იმწუთას ძალიან მინდოდა სამუშაო მიმეღო. სწორედ ასე სწადიათ ადამიანებს ის, რისი დაუფლების იმედიც არ აქვთ. შეიძლება ეს იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაბარებისა ან საუნივერსიტეტო გამოცემაში ესეს გამოქვეყნების ტოლფასი არ ყოფილიყო, მაგრამ ჩემნაირი ადამიანისთვის, რომელიც წარმატებისკენ ასე ისწრაფოდა, — მიუხედავად იმისა, რომ თავმომწონე და არც ისე ნიჭიერი ვიყავი — ეს გამოწვევა იყო, ნამდვილი გამოწვევა. „პოდიუმის" მისაღებში შებიჯებისთანავე მივხვდი, იქ სამუშაოდ არ გამოვდგებოდი. შეუფერებელი არა მარტო ჩაცმულობისა და ვარცხნილობის გამო, არამედ ზოგადად, ჩემი დამოკიდებულებითაც ვიყავი. მოდის არაფერი გამეგებოდა და საერთოდაც, ის არ მაინტერესებდა. მიუხედავად ამისა, მაინც გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, მიმეღწია მიზნისთვის. ბოლოს და ბოლოს, ამ შესაძლებლობისთვის მილიონობით გოგონა ხომ სულს ეშმაკსაც კი მიჰყიდდა. კითხვებზე პასუხების გაცემა იმდენად დამაჯერებლად გავა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

გრძელე, საკუთარი თავისა გამიკვირდა. უკან დახევის დრო
არ იყო. საკმაოდ თავაზიანად და სასიამოვნოდ მესაუბრებო-
და, შფოთის მიზეზი არ მოუცია. როცა დაინტერესდა, უცხო
ენებს ვფლობდი თუ არა, ცოტა დავიბენი. ვუპასუხე, ივრითი
ვიცი-მეთქი. უეცრად შეყოვნდა, მაგიდას ხელებით დაეყრდნო
და ცივი ხმით მკითხა:

— ივრითი? იმედი მქონდა, ფრანგული ან სხვა რომელიმე
საჭირო ენა გეცოდინებოდათ.

მობოდიშებას ვაპირებდი, მაგრამ თავი შევიკავე:

— სამწუხაროდ, ფრანგულად სიტყვაც არ ვიცი, თუმცა
დარწმუნებული ვარ, ეს პრობლემა არ იქნება.

ხელები მაგიდას მოაშორა და ისევ ერთმანეთზე დაიწყო.

— რეზიუმეში გიწერიათ, რომ ბრაუნის უნივერსიტეტში
სწავლობდით. ასეა?

— დიახ, ასეა. ძირითად საგნად ინგლისური ენა ავირჩიე,
უფრო სწორად, წერის ოსტატობას ვეუფლებოდი. წერა ყო-
ველთვის ჩემი ვნება იყო. „რა უბედურებაა! — თავს ვუსაყვე-
დურე — „ვნება" რამ მათქმევინა?"

— მაშ, მწერლობისადმი თქვენი სწრაფვა მიანიშნებს, რომ
სამოდელო ბიზნესი დიდად არ გაინტერესებთ?— რაღაც სი-
თხე მოსვა ჭიქიდან, შემდეგ მოხდენილად დადგა თავის ადგი-
ლას. მირანდა ისეთი ქალების რიცხვს ეკუთვნოდა, პომადის
კვალს ჭიქებზე რომ არ ტოვებენ და ტუჩები დღის ნებისმიერ
მონაკვეთში უზადოდ აქვთ შეღებილი.

— აჰ, არა, რას ბრძანებთ! პირიქით, მოდაზე ვგიჟდები, —
ურცხვად მოვიტყუე — ერთი სული მაქვს, როდის გავიღრმავებ
ცოდნას, რადგან მჯერა, ოდესმე მოდაზეც დავწერ რამეს.

„რაო? ეს საიდან მოვიტანე?" — იმ დღეს რაღაც უჩვეულო
გამოცდილება შევიძინე.

ყველაფერი კარგად მიდიოდა, სანამ უკანასკნელი შეკითხვა
არ დამისვა.

— რომელ ჟურნალს კითხულობთ?

უმალ წინ გადავიხარე და მივუგე:

— იცით, აქამდე მხოლოდ „ნიუ-იორკერსა" და „ნიუსვიკს"
ვიწერდი, ხშირად ვკითხულობ „ბაზს", ხანდახან „თაიმსაც", მა-
გრამ იქ ძალიან მშრალი ენით წერენ... ასევე — ოდნავ კონსერვა-
ტორულ „იუეს ნიუსს", მრავალფეროვნებისთვის „ჭორიკანას"

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვადევნებ თვალს და რადგან ცოტა ხნის წინ უცხოეთიდან დავბრუნდი, ბევრი ჟურნალი წავიკითხე მოგზაურობაზე...

— ან-დრ-ეა, „პოდიუმს" თუ კითხულობთ?— შემაწყვეტინა, თვითონაც ჩემკენ გადმოიხარა და ყურადღებით დამაკვირდა.

რაღაც უნდა მომეაზრებინა, თან — სწრაფად. იმ დღეს პირველად ჩავვარდი გამოუვალ მდგომარეობაში. ტყუილი არ მითქვამს, თავის არიდება არ მიცდია, არც მიზეზი ამიხსნია, უბრალოდ ვუპასუხე.

— არა.

ათწამიანი დუმილის შემდეგ, ჩემს გასაცილებლად ემილის უხმო. მივხვდი, სამუშაო ჩემი იყო.

3

— რაღაც არ გეტყობა, რომ სამსახური გეშოვოს, — ნაზად მითხრა ალექსმა, ჩემმა შეყვარებულმა, თან ხელით ჩემს თმას ათამაშებდა, როცა ემოციით გადაღლილს მის კალთაში მედო თავი. გასაუბრებიდან პირდაპირ ბრუკლინში, მასთან გავემართე, კიდევ ერთი ღამის მარტოობაში გატარება ლილის ტახტზე აღარ მინდოდა. დღის ამბებიც უნდა მომეთხრო. ალექსთან საცხოვრებლად გადასვლა დიდი ხანია მინდოდა, მაგრამ მის შევიწროებას ვერიდებოდი.

— არ ვიცი, ეს რაში გჭირდება — ორ წუთში კი საუბრის მიმართულება შეცვალა — მიმზიდველი სამუშაო ჩანს. იმის თქმა მინდა, რომ იმ გოგომ, ელისონმა, მუშაობა მირანდას თანაშემწედ დაიწყო, ხომ ასეა? და ახლა ჟურნალის ერთ-ერთი რედაქტორია. ცუდი არ არის. მგონი, ცდად ღირს.

ძალიან ცდილობდა გავემხნევებინე. ერთმანეთი პირველ კურსზე, ბრაუნის უნივერსიტეტში გავიცანით და მას მერე აღარ დავშორებულვართ. მისი ხმის ტონალობებს და ყველა გამოხედვას ხუთი თითივით ვცნობდი. რამდენიმე დღის წინ, ბრონქსის სახელმწიფო სკოლაში დაიწყო მუშაობა და ისეთი გათანგული ბრუნდებოდა, ლაპარაკის თავიც არ ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი მოსწავლეების ასაკი ცხრა წელს არ აღემატებოდა, მათი ცინიზმისა და თავხედობის შემხედვარე,

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

იმედგაცრუებული ჩანდა. გაკვირვებული იყო ბავშვების ლექსიკით, იმით, რომ მარიხუანის ათამდე ჟარგონი იცოდნენ, თავისუფლად ლაპარაკობდნენ ორალურ სექსზე, ტრაბახობდნენ მოპარული ნივთებით და არ ეშლებოდათ, რომლის ნათესავი უფრო მკაცრი რეჟიმის ციხეში იჯდა. „ციხის ექსპერტები" — ასე ეძახდა მათ ალექსი. „ინგლისურად წერა რომ შეეძლოთ, ნებისმიერი მათგანი დაწერდა წიგნს „სინგ-სინგისა"[15] და „რიკერსის"[16] ციხეების უპირატესობებზე" — სულ იმის ფიქრში იყო, რა გზით დახმარებოდა მათ.

ხელი მაისურში შევუცურე და ზურგზე ვეფერებოდი. ისეთი დაქანცული იყო, მომერიდა კიდეც ჩემი გასაუბრების დეტალებით შემეწუხებინა, მაგრამ ვინმეს ხომ უნდა დავლაპარაკებოდი.

— ვიცი, სარედაქციო სამუშაოს შესრულებაზე ჯერ ლაპარაკიც ზედმეტია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რამდენიმე თვეში რამე გამოჩნდება — მივუგე — ხომ არ ფიქრობ, რომ იქ მუშაობით საკუთარ ღირებულებებსა და თავს ვუღალატებ? — ალექსმა მკლავზე ხელი მომხვია და გვერდით მომიწვა.

— პატარავ, შენ მწერლობის დიდი და გასაოცარი ნიჭი გაქვს, დარწმუნებული ვარ, სადაც უნდა იყო, ყველაფერი გამოგივა. რომელ ღალატზე ლაპარაკობ? ფულს მუშაობაში გიხდიან და აკი ამბობ, „პოდიუმთან" თანამშრომლობის ერთი წელი სხვაგან მუშაობის სამ წელს უდრისო? — თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

— ელისონმა და ემილიმ მითხრეს, თუ მირანდასთან მთელი წლით დარჩები და არ გაგაგდებს, შემდეგ ერთი სატელეფონო ზარით ნებისმიერ სასურველ ადგილს გაგიჩარხავსო.

— ჰოდა, დათანხმდი. კმარა, ენდი, ერთი წელიც, და „ნიუ-იორკერში" შესაფერის სამუშაოს იპოვი, ჰა? იქ მუშაობა ხომ ძალიან გინდა! ვეჭვობ, საქმე ისე წავა, იქ უფრო მალე აღმოჩნდები, ვიდრე წარმოგიდგენია.

— მართალი ხარ, სავსებით გეთანხმები!

— ჰო, გარდა ამისა, პირადად მე, ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ ნიუ-იორკში რჩები, — და ის ნაზი და ხანგრძლივი ამბორი მაჩუქა, ჩვენ რომ ვიცოდით.

— ნულა ნერვიულობ, როგორც ამბობ, დარწმუნებული არ ხარ, რომ აგიყვანენ. მაშ, მოვითმინოთ, წინ ნუ გავუსწრებთ მოვლენებს, კარგი?

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

უბრალო ვახშამი მოვამზადეთ და „ლატერმანის“[17] ყურებაში ჩაგვეძინა. მესიზმრებოდა, ცხრა წლის ბავშვებს ორგია მოეწყოთ სპორტულ მოედანზე, ძველ, ინგლისურ ვისკის ეძალებოდნენ და ჩემს საყვარელ ალექსს უყვიროდნენ, ამ დროს ტელეფონის ხმამ გამომაღვიძა.

ალექსმა მდუმარემ და თვალდახუჭულმა აიღო ყურმილი და მალევე გამომიწოდა, არ მეგონა თუ მის გამორთმევას შევძლებდი.

— გისმენთ, — ძლივს ამოვღერღე და საათს გავხედე, რვის თხუთმეტი წუთი იყო. „ვინ ჯანდაბა მირეკავს ამ დილაადრიან“, გავიფიქრე.

— მე ვარ, — ლილის ბრაზიანი ხმა შემომესმა.

— ჰო, რა გჭირს? კარგად ხარ?

— შენი აზრით, ასეთ დროს რომ გირეკავ, კარგად ვიქნები? საშინელი ნაბახუსევი ვარ, ვკვდები. მთელი ღამე ვარწყევდი, ის-ის იყო, ჩამეძინა, რომ ვილაც თავხედმა ქალმა გამაღვიძა, მთხოვა გადმომეცა, რომ „ელიას-კლარკის“ კადრების განყოფილებიდან არის და გეძებს. ამის დედაც, დილაუთენია გეძებენ? დაურეკე, ჩემი ნომერი დაივიწყონ.

— ოჰ, მაპატიე, ლილი. შენი ნომერი მივეცი, მე ხომ მობილური არ მაქვს. ვერ ვიჯერებ, ასე ადრიანად რომ დარეკეს! ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს? — საძინებლიდან ტელეფონი გავიტანე და კარი უხმაუროდ გამოვიხურე.

— აბა, შენ იცი, წარმატებებს გისურვებ! გამაგებინე, როგორ ჩაივლის, ოლონდ მომდევნო რამდენიმე საათში — არა, კარგი?

— რა თქმა უნდა. გმადლობ, ლილი, და კიდევ ერთხელ გიხდი ბოდიშს.

ისევ საათს გავხედე. ვერ ვიჯერებდი, რომ უთენია მომიწევდა საქმიანი საუბარი. ყავა მოვადუღე და ჭიქით ხელში ტახტზე ჩამოვჯექი. უნდა დამერეკა, სხვა გზა არ იყო.

— გამარჯობა, ანდრეა საქსი გაწუხებთ, — შევეცადე გარკვევით მეთქვა, მაგრამ ნამძინარევი, ხრინწიანი ხმა ამომივიდა.

— დილა მშვიდობის, ანდრეა! იმედი მაქვს არ გაგაღვიძე, — ხალისიანად მიპასუხა შარონმა — ალბათ, არა. იცი, ძვირფასო, ამიერიდან ტოროლასავით ადრე მოგიწევს წამოდგომა! შენთვის კარგი ამბები მაქვს! მირანდას ძალიან მოეწონე და მოუთმენლად გელის. ხომ გაგიხარდა? გილოცავ, ძვირფასო!

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

აბა, მირანდას ახალ თანაშემწედ თავს როგორ გრძნობ? ნარ-
მომიდგენია, ალბათ...— თავბრუ დამესხა, შევეცადე ტახტიდან
წამოვმდგარიყავი, ჭიქაში ყავა, წყალი ან რაიმე ისეთი ჩამემა-
ტებინა, აზრზე რომ მომიყვანდა და ინგლისურად ლაპარაკს
შევძლებდი, მაგრამ პირიქით, უკან გადავწექი და ბალიშებში
მოვკალათდი. რას მეკითხება — კმაყოფილი ვარ თუ არა? თუ
ოფიციალურ წინადადებას მთავაზობს? იმის გარდა, რომ მი-
რანდა პრისტლი ჩემით მოხიბლული იყო, ვერაფერი გავიგე,
— ...აღფრთოვანებული ხარ, არა? და ვის არ გაუხარდებოდა?
კეთილი, როდის შეძლებ მუშაობის დაწყებას? ორშაბათზე რას
იტყვი? მირანდა შვებულებაში იქნება და ამასობაში სიტუაცი-
ისა და გოგონების უკეთ გაცნობას შეძლებ. არაჩვეულებრივი
გოგონები გვყავს! — „გავეცნო? რა? ორშაბათიდან? საყვარე-
ლი გოგონები?"— გონება არ მომყვებოდა. მისი საუბრიდან
ერთადერთ გასაგებ ფრაზას ვუპასუხე მხოლოდ:

— ჰმ, იცით, არ მგონია, ორშაბათიდან შევძლო, — მშვი-
დად ვუთხარი, შევეცადე წინადადება გამართულად მეთქვა
და ჩემივე სიტყვებმა შოკში ჩამაგდო, გამომაფხიზლა. „გუშინ
„ელიას-კლარკ-ბილდინგში" ფეხი პირველად შევდგი, ამ დი-
ლით კი უკვე ვილაც მალვიძებს და მომდევნო სამ დღეში მუ-
შაობის დაწყებას მთავაზობს! პარასკევია, ეს დასაქცევი, და
მხოლოდ დილის შვიდი საათია! ესენი კი მთხოვენ საქმეს ორშა-
ბათსვე შევუდგე? — ვგრძნობდი, რომ მოვლენებს ვერ ვაკონ-
ტროლებდი — ასე უცნაურად რატომ მაჩქარებენ? ნუთუ ის
ქალი იმდენად დატვირთულია, რომ სასწრაფოდ ვჭირდები? და
რატომ აქვს შარონს შიშნარევი ხმა? ვითომ მირანდასი ეშინია?"
ორშაბათს მუშაობის დაწყება უბრალოდ შეუძლებელი იყო. სა-
ცხოვრებელი არ მქონდა. ჩემი მშობლები ეივონში ცხოვრობდ-
ნენ, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შინ უხალისოდ
დავბრუნდი, ზაფხულში, სამოგზაუროდ წასვლამდე, ნივთების
უმეტესობა მათთან დავტოვე, ხოლო გასაუბრებებისთვის რაც
დამჭირდებოდა, ჰარლემში, ლილის ტახტზე მქონდა მიყრილი.
ბინაში ჭურჭელს მე ვრეცხავდი, ვცდილობდი, საფერფლეები
მუდამ სუფთა ყოფილიყო და „ჰაგან დაზის" ნაყინს კილოო-
ბით ვეზიდებოდი, ლილი ალბათ ამიტომაც მიტანდა, მაგრამ
ვიფიქრე, შაბათ-კვირას მაინც დაისვენოს-მეთქი და ალექს-
თან წავედი. გამოსასვლელი ტანსაცმელი და კოსმეტიკის ჩან-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

თა ალექსთან, ბრუკლინში წამოვიღე, ლეპტოპი და შეუხედავი კოსტიუმი ლილის ბინაში დავტოვე, დანარჩენი ნივთები ეივონ-ში, მშობლებთან მეგულებოდა. ნიუ-იორკში უბინაოდ ვიყავი და არ მესმოდა, რატომ სჯეროდა ხალხს, რომ მედისონ ავენიუ ქალაქის ბოლოში იყო, ხოლო ბროდვეი — ცენტრთან ახლოს? სიმართლე გითხრათ, ისიც კი არ მესმოდა, „ცენტრში" რას გუ-ლისხმობდნენ. და მათ უნდოდათ, მუშაობა ორშაბათიდან და-მეწყო?

— ჰმ, იცით, ორშაბათიდან ვერ შევძლებ, რადგან ამჟამად ნიუ-იორკში საცხოვრებელი არ მაქვს, — სწრაფად ავუხსენი ყურმილზე ჩაფრენილმა, — ერთი-ორი დღე დამჭირდება ბინის დასაქირავებლად და ავეჯის შესაძენად, ხომ გესმით, არა?

— გასაგებია. ასე მოვიქცეთ, ოთხშაბათიდან დაიწყეთ, — მომიგდო პასუხად.

რამდენიმე წუთს ვივაჭრეთ და საბოლოოდ ნოემბრის ჩვიდ-მეტ რიცხვზე, ანუ ერთ კვირაზე შევთანხმდით. მსოფლიოს ყველაზე გიჟური უძრავი ქონების ბაზარზე რვა დღეში უნდა მეპოვა ბინა და ავეჯით გამეწყო. ყურმილი დავდე და ტახტზე გადავწექი. აკანკალებული ხელებიდან ტელეფონი გამივარდა. ერთი კვირაც და მუშაობას მირანდა პრისტლის თანაშემწედ ვიწყებდი. ერთი წუთით! აი, თურმე რა მაწუხებდა... თანამდე-ბობა ოფიციალურად არ მიმიღია, ვინაიდან ოფიციალურად ის არავის შემოუთავაზებია ჩემთვის. შარონს არც კი უთქვამს: „გვინდა შემოგთავაზოთ...", რადგან გადაწყვიტა, ჭკუათამყო-ფელი ასეთ შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებდა, არც სი-ტყვა „ხელფასი" უხსენებია. სიმწრისგან ლამის სიცილი დავი-წყე. ურთიერთობის ასეთი ფორმა წინასწარ შეიმუშავეს თუ რა ჯანდაბაა? ჩასაფრებულნი ელოდებიან, მძიმე ემოციური დღის ბოლოს მსხვერპლს ღრმა ძილით ჩაეძინოს და უთენია ატყობი-ნებენ გამაოგნებელ, საბედისწერო ამბავს? ან იქნებ თვლიან, რომ დროის ხარჯვა იქნებოდა უბრალო მოკვდავისთვის სამუ-შაოს მარტივად შეთავაზება? შარონი ასე იმიტომ მოიქცა, რომ ჟურნალ „პოდიუმს" წარმოადგენს? ცხადია, მან გადაწყვიტა, ამ არაჩვეულებრივ შეთავაზებას ხელიდან არ გავუშვებდი. „ელიას-კლარკში" ხომ ყოველთვის იციან, რა სჯობს. ჰოდა, ამჯერადაც მართლები აღმოჩნდნენ. ყველაფერი ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ ჩემთვის ჩვეული ორჭოფობისა

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ეჭვებისთვის დრო აღარ დამრჩა. ყველაფრის მიუხედავად, კარგი წინათგრძნობა მქონდა და უარის თქმა ნამდვილ სიგიჟედ მიმაჩნდა. იქნებ „ნიუ-იორკერში" მოსახვედრად ეს მართლაც დამხმარებოდა. უნდა მომენდომებინა. ბედი მწყალობდა.

გამხნევებულმა ყავა გადავკარი, ალექსსაც მოვუდუღე და სწრაფად მივიღე შხაპი. საძინებელ ოთახში რომ შევბრუნდი, ალექსი ახალგაღვიძებული დამხვდა.

— უკვე ჩაიცვი?— მკითხა და პატარა მრგვალი სათვალე გაიკეთა, მის გარეშე ღამურასავით უსინათლო იყო — დღეს ვინმემ მართლა დარეკა თუ სიზმარი ვნახე?

— არაფერი დაგსიზმრებია, — ვუპასუხე და ჯინსებითა და სვიტერით შევწექი ლოგინში. ვცდილობდი, სველი თმით ბალიში არ დამესველებინა — ლილი იყო, მის ნომერზე „ელიას-კლარკის" კადრების განყოფილებიდან დაურეკავთ. გამოიცანი, რატომ?

— აგიყვანეს?

— ამიყვანეს!

— ოჰ, მოდი აქ! — მითხრა, სწრაფად წამოჯდა და ჩამეხუტა — შენით ვამაყობ! ჩინებული ამბავია!

— მართლა ასე ფიქრობ? ვიცი, უკვე ვისაუბრეთ ამაზე, მაგრამ არჩევანის საშუალება არ მომცეს. უბრალოდ ჩათვალეს, რომ უარს არ ვიტყოდი.

— ეს არაჩვეულებრივი შესაძლებლობაა. მოდა არც ისე ცუდია, შეიძლება საინტერესოც იყოს, — თვალები გადავატრიალე, — კარგი, შეიძლება შეფასებაში გადავაჭარბე, მაგრამ რეზიუმეში „პოდიუმის" მითითება, სარეკომენდაციო წერილი იმ ქალისგან, მირანდასგან, ერთი-ორი სტატიაც ჟურნალის პრიალა ფურცლებზე და გეფიცები, „ნიუ-იორკერი" შეგეხვეწება, ჩვენთან იმუშავეო.

— იმედია, არ ცდები, — ვუთხარი, ლოგინიდან წამოვხტი და ზურგჩანთაში ჩემი ნივთების ჩაყრა დავიწყე. — დარწმუნებული ხარ, რომ მანქანა არ გჭირდება? რაც ადრე წავალ სახლში, მით უფრო მალე დავბრუნდები. მნიშვნელობა არა აქვს, მაინც ნიუ-იორკში გადმოვდივარ საცხოვრებლად. ამჯერად ოფიციალურად!

ალექსი შინ, ვესთჩესტერში, კვირაში ორჯერ ჩადიოდა და გვიანობამდე, ვიდრე დედა არ დაბრუნდებოდა სამუშაოდან,

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

უმცროს ძმასთან რჩებოდა, ამიტომ დედამისმა თავისი ძველი მანქანა აჩუქა, ალექსს ის სამშაბათამდე არ სჭირდებოდა, იმ დროისთვის კი უკვე ნიუ-იორკში ვიქნებოდი. შაბათ-კვირას სახლში წასვლას ისედაც ვგეგმავდი. განსაკუთრებით ახლა მიხაროდა, რადგან მშობლებს კარგ ამბებს ჩავუტანდი.

— არა, ნამდვილად არ დამჭირდება. გრანდ სთრითზე დგას, ნახევარ კვარტალს გაივლი და ქვემოთ ავტოგაჩერებაზეა. გასაღები სამზარეულოში, მაგიდაზე დევს. რომ ჩახვალ, დამირეკე, კარგი?

— კარგი. დარწმუნებული ხარ, რომ ვერ მოახერხებ? ხომ იცი, გემრიელი კერძები გელოდება — დედაჩემი მხოლოდ საუკეთესოს უკვეთს.

— მაცდურად ჟღერს, მაგრამ როგორც გითხარი, ხვალ საღამოს რამდენიმე ახალგაზრდა მასწავლებელი ვიკრიბებით, ცოტას გავხალისდებით და ვფიქრობ, ეს თანამშრომლობაშიც წაგვადგება. ვერაფრით გამოვაკლდები.

— ჩემო სიკეთის განსახიერებავ! ყოველთვის სწორად იქცევი, სადაც მიდიხარ, სიკეთეს თესავ. ალბათ აგითვალწუნებდი, ასე ძლიერ რომ არ მიყვარდე — დავიხარე და კოცნით გამოვემშვიდობე.

ოცნუთიანი ძებნის შემდეგ პატარა, მწვანე „ჯეტას"[18] ავტოგაჩერებაზე მივაგენი. ჩრდილოეთით 95-ე გზატკეცილზე გავედი, გადატვირთული სულაც არ იყო. ნოემბრისთვის უჩვეულოდ ცივი დღე იდგა, ყინავდა. ტემპერატურა ნულს ქვემოთ დაეცა, გზის პირას გუბეები გაყინულიყო, მაგრამ ზამთრის მზე ანათებდა და თვალებში მიჭყიტინებდა, ფილტვებში ცივ, სუფთა ჰაერს ვგრძნობდი. სახლამდე ისე ვიმგზავრე, ფანჯარა არ ამიწევია, „თითქმის ცნობილის" საუნდტრეკი გამეორების რეჟიმზე მქონდა დაყენებული და გაუჩერებლად ვუსმენდი. ცალი ხელით სველ თმას ვიშორებდი სახიდან, რადგან თვალებზე მეყრებოდა და ხელს მიშლიდა. გათოშილი თითები პირთან მივიტანე და შევეცადე ორთქლით ისე გამეთბო, რომ საჭე მემართა. კოლეჯის დამთავრებიდან ექვსი თვის თავზე ჩემი ცხოვრება ელვისებურად იცვლებოდა. მირანდა პრისტლიმ, გუშინდლამდე ჩემთვის აბსოლუტურად უცხო, მაგრამ აშკარა ძალაუფლების მქონე ქალმა, თანაშემწედ სწორედ მე ამირჩია. ახლა ნამდვილად მაქვს საფუძვლიანი საბაბი — უკვე როგორც

www.PDF.ChiaturaINFO.GE Scanned by CamScanner

სრულნლოვანს — კონექტიკუტიდან მანჰეტენზე გადავიდე საცხოვრებლად. როდესაც ჩემი ბავშვობის სახლს მივუახლოვდი, სიხარულისა და ალმაფრენის ჟრუანტელმა დამიარა. ლოყები სიცივისაგან გამწითლებოდა და მეწვოდა, გვერდითა სარკიდან ჩემი გაწეწილი თმა მოჩანდა, მაკიაჟი არ მესვა და მართალია, თოვლჭყაპში ჯინსის შარვლის ტოტებიც დავისვარე, მაინც მეგონა, რომ მზეთუნახავი ვიყავი. აი, ასეთმა — გათოშილმა და შეუღებავმა — ხალისიანად შევაღე სახლის კარი და დედას დავუწყე ძებნა. ისეთი უდარდელი, როგორიც მაშინ, აღარასოდეს ვყოფილვარ.

— მხოლოდ ერთი კვირა, ძვირფასო? ვერც კი ვხვდები, როგორ მოასწრებ ასე სწრაფად მუშაობის დაწყებას, — გაიკვირვა დედამ, თან ჩაის ურევდა. სამზარეულოს მაგიდასთან ჩვენს ადგილებზე ვისხედით. დედა, როგორც ყოველთვის, უკოფეინო საქარინიან ჩაის მიირთმევდა, მე კი „ინგლისურ საუზმეს" შევექცეოდი, შაქრით. მართალია, ოთხი წელი მშობლებთან აღარ ვცხოვრობდი, მაგრამ ორი მოზრდილი ფინჯანი ჩაი და პურის რამდენიმე ნაჭერზე გადასმული არაქისის კარაქი საკმარისი იყო, მგონებოდა, რომ სახლიდან არსად წავსულვარ.

— იცი, სიმართლე გითხრა, დიდი არჩევანი არ მქონდა, ძალიან გამიმართლა, ესეც რომ ვიშოვე. უნდა მოგესმინა როგორ მელაპარაკებოდა ტელეფონით ის ქალი — დედაჩემის გამომეტყველება უცვლელი იყო — რაც უნდა იყოს, ახლა ეგ არ მადარდებს. მუშაობას ძალიან ცნობილ ჟურნალში ვიწყებ, მისი ხელმძღვანელი მოდის ინდუსტრიაში ყველაზე გავლენიანი ქალია. მილიონობით გოგონა ამ შანსისთვის სულს ეშმაკსაც კი მიჰყიდდა — ერთმანეთს გავუღიმეთ, თუმცა მისი ღიმილი სევდანარევი იყო.

— შენი წარმატება მახარებს, — მითხრა მან, — როგორ გაიზარდე, ჩემო პაწაწინავ! ვიცოდი, რომ ასეც იქნებოდა, ახალ ცხოვრებას არაჩვეულებრივად დაიწყებდი, საყვარელო! ეჰ, მახსენდება, უნივერსიტეტი რომ დავამთავრე და საცხოვრებლად ნიუ-იორკში გადავედი. სულ მარტო ვიყავი დიდ ქალაქში, ქალაქი კი არა, საგიჟეთია. ერთდროულად გაფრთხობს კიდეც და აღგაფრთოვანებს. მინდა, ყოველი წუთით დატკბე, ყველა სპექტაკლს და ფილმს დაესწრო, შეხვდე ხალხს, საყიდლებზე და ბიბლიოთეკებში იარო. გული მიგრძნობს, შენი ცხოვრების

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

საუკეთესო წლები იწყება — ხელი ხელზე დამადო, რაც მას არ სჩვეოდა, — ვამაყობ შენით.

— გმადლობ, დე. იმდენად ხომ არ ამაყობ, რომ ნიუ-იორკში ბინა, ავეჯი და ახალი ტანსაცმელი მიყიდო?

— კი, აბა, სულ ამის ფიქრში ვარ, — ჟურნალი ნაზად მითავაზა კეფაში და მიკროტალღური ღუმლისკენ გაემართა, რომ თითო ფინჯანი ჩაი კიდევ დაესხა. უარი არ უთქვამს, თუმცა არც ჩეკის წიგნაკისთვის დაუვლია ხელი. მთელი საღამო ელექტრონული ფოსტით ვუკავშირდებოდი ნაცნობებს და ვეკითხებოდი, შემთხვევით ხომ არ სურდათ ვინმესთან ერთად ექირავათ ბინა, ან იქნებ იცოდნენ, ვინ ეძებდა კომპანიონს. აქა-იქ ონლაინგანცხადება განვათავსე და ისეთ ხალხსაც დავურეკე, ვისთანაც წლებია, არ მელაპარაკა, თუმცა უშედეგოდ. ბოლოს გადავწყვიტე, რომ თუ არ მინდოდა ლილისთან მეგობრობა დასრულებულიყო, ან ალექსი მეიძულებინა, გაეკეთებინა ის, რისთვისაც არც ერთი მზად არ ვიყავით, მაშინ ერთადერთი გზა მრჩებოდა — პატარა ოთახი მექირავებინა, ავეჯით გაწყობილი, რომ ნაკლები საზრუნავი მქონოდა.

შუაღამე გადასული იყო, ტელეფონმა რომ დარეკა. ყურმილის ასაღებად ბავშვობისდროინდელი საწოლიდან გადავიწიე და კინაღამ გადავვარდი. კედლიდან კრის ევერეტის — ბავშვობაში მისი ფანი ვიყავი — ჩარჩოში ჩასმული, ავტოგრაფიანი პლაკატი მიღიმოდა. მის ქვემოთ კი ჯერ ისევ ეკიდა ჟურნალიდან ამოჭრილი კირკ კამერონის სურათები. გამეღიმა.

— გამარჯობა, ბაჭია, მე ვარ, ალექსი, — ისეთი ხმა ჰქონდა, მივხვდი, რომ რაღაც მოხდა, მაგრამ კარგი თუ ცუდი, ვერ გამოვიცანი. — ახლახან კლერ მაკმილანისგან ელექტრონული წერილი მივიღე, ის ოთახის მეზობელს ეძებს. პრინსტონიდანაა. მგონი, იცნობ, ენდრიუს ხვდებოდა, ნორმალური გოგოა. გაინტერესებს?

— რა თქმა უნდა, მისი ნომერი იცი?

— არა, მხოლოდ მისი ელექტრონული მისამართი მაქვს, გადმოგიმისამართებ. მგონი, კარგი ვარიანტია.

სანამ ალექსთან საუბარს დავასრულებდი, კლერს წერილი მივწერე და როგორც იქნა დავიძინე. იმედი მქონდა, ყველაფერი სასიკეთოდ წარიმართებოდა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

კლერ მაკმილანი: „დიდი არაფერი. მისი ბინა მუქი და დეპრესიული იყო, თან — „ჰელზ ქიჩენში"![19] ბინის სანახავად რომ მივედი, კიბეებზე ნარკომანები ისხდნენ. უკეთესი შემოთავაზება სხვა არ მქონია. ერთ წყვილს შევხვდი, ოთახს აქირავებდნენ, მაგრამ გასაუბრებისას ურცხვად მიმანიშნეს, ხმაურიანი სექსი გვიყვარსო; ვესაუბრე დაახლოებით ოცდაათი წლის მხატვარ ქალბატონს, რომელსაც შინ ოთხი კატა ჰყავდა და მონდომებით ეძებდა მეხუთეს; ოცი წლის გეი კი თავის „ბორდელს" მთავაზობდა. იმ აუტანელ ბუნაგებში თვიურად ათას დოლარზე მეტი უნდა მეხადა, ჩემს ახალ სამსახურში კი ხელფასი, სავარაუდოდ, ოცდათორმეტი ათას ხუთას დოლარს შეადგენდა და მართალია, მათემატიკაში ძლიერი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ პროფესორობა არ სჭირდებოდა იმის გამოთვლას, რომ წლიურად ბინის ქირა თორმეტი ათასს წაიღებდა, დანარჩენს — საშემოსავლო. ამასობაში, რადგან უკვე სრულწლოვანი ვიყავი, ერთადერთი საკრედიტო ბარათი, რომლითაც „გაუთვალისწინებელი შემთხვევებისას" ვსარგებლობდი, მშობლებმა დამიბლოკეს. კარგია, არა?

ლილის, როგორც იქნა, გაუარა სამდღიანმა დეპრესიამ და ვინაიდან ჩემი თავიდან მოშორებით ერთობ დაინტერესებული იყო, ყველა ნაცნობს მისწერა და დახმარება სთხოვა. კოლუმბიის უნივერსიტეტის თანაკურსელმა დაურეკა და უთხრა, რომ მისი უფროსი იცნობდა ორ გოგონას, რომლებიც თანამობინადრეს ეძებდნენ. მაშინვე დავრეკე და ძალიან სასიამოვნო ხმის გოგონას, სახელად შანტის ვესაუბრე. მითხრა, რომ თავის მეგობარ კენდრასთან ერთად ეძებდა ვინმეს, ვინც აფერ ისტ საიდში, მანჰეტენზე მათთან ერთად იქირავებდა ბინას. ციცქნა ოთახი იყო, ფანჯრით, ტანსაცმლის კარადითა და ცალ მხარეს გაულესავი კედლით. თვეში რვაასი დოლარი უნდა მეხადა. ვკითხე, ბინას სამზარეულო და საშხაპე თუ აქვს-მეთქი. ჰქონია (სამაგიეროდ, იქ ჭურჭლის სარეცხი მანქანა, აბაზანა და ლიფტი არ იყო, მაგრამ პირველ საცხოვრებელს ფუფუნებას არავინ სთხოვს). არის! შანტი და კენდრა საყვარელი და მშვიდი ინდოელი გოგონები აღმოჩნდნენ, რომელთაც დიუკის უნივერსიტეტი ახლახან დაემთავრებინათ და საინვესტიციო ბანკში ჯოჯოხეთურად გრძელ საათებს ატარებდნენ. გაცნობის დღიდან მათი ერთმანეთისგან გარჩევა მიჭირდა. აი, ასე ვიპოვე ჩემი ახალი სახლი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

4

ახალ ბინაში გადასვლიდან სამი დღის შემდეგ თავს მაინც უცხოდ ვგრძნობდი. ვერაფრით შევეჩვიე, ციცქნა ოთახი იყო, იმაზე ფართო, ეივონში, სათავსი მქონდა. ჩვეულებრივ, ცარიელ ოთახს ავეჯით რომ გააწყობ, უფრო ფართოვდება, ამ შემთხვევაში კი პირიქით, თითქოს ბევრად დაპატარავდა. პირველად რომ ვნახე, ვიფიქრე, ინტერიერის გალამაზება აქაურობას შედარებით მოამყუდროვებს-მეთქი. ის ორსაწოლიან ლოგინს, ტანსაცმლის კარადას, ორ ტუმბოსაც დაიტევდა. მე და ლილი ალექსის მანქანით წავედით „იკეაში", რომელიც ნამდვილი სამოთხეა ახალგაზრდებისთვის, ავეჯის შერჩევა რომ სურთ. ღია ფერის ხის გარნიტური და ცისფერ ტონებში ნაქსოვი ხალიჩა შევიძინეთ. მოდისა არ იყოს, ძლიერი არც დიზაინში ვიყავი. როგორც მივხვდი, „იკეას" „ცისფერი პერიოდი" ჰქონდა. ვიყიდეთ ცისფერში გაწყობილი ბუმბულის საბანი — ყველაზე მსუბუქი, რაც იქ მოიძებნებოდა. ლილის რჩევით, ტუმბოსთვის შესაფერი ჩინური სანათურიც შევიძინე და პირადად შევარჩიე შავ-თეთრი ფოტოები შეულესავი აგურის კედლის გასალამაზებლად. ელეგანტურობა და ბუნებრიობა, არანაირი „ძენი"[20], ზუსტად ის, რაც დიდ ქალაქში დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყებად ჩემი პირველი ბინისთვის მჭირდებოდა.

ოთახში ავეჯის შეზიდვამდე ყველაფერი შესანიშნავად იყო, მაგრამ სახელდახელოდ შერჩეული ავეჯი იქ ვერ დავტიეთ. ალექსმა საწოლი ააწყო და „საგანგებოდ შეულესავი" კედლის (მანჰეტენზე ასე ეძახიან დაუმთავრებელ კედლებს) საპირისპიროდ დადგა. საწოლმა მთელი ოთახი დაიკავა. დიდი სარკის, ექვსუჯრიანი კამოდისა და ორი საყვარელი ტუმბოს უკან დაბრუნება მომიხდა. ალექსმა და მტვირთავებმა საწოლი წამოსწიეს, რათა მის ქვეშ მოცისფრო ხალიჩის დაგება მომეხერხებინა, ის საწოლზე დიდი იყო, იატაკის ნაწილი დაფარა და ვინაიდან ტუმბოები აღარ მქონდა, გადავწყვიტე, ჩინური აბაჟური როგორმე ლოგინსა და ძველი ხის კარადას შორის, ზედ ხალიჩაზე დამედგა. „დაუმთავრებელ კედელზე" სურათების დამაგრება ჯერ ორმაგი სკოჩით ვცადე, შემდეგ ლურსმნებით, ჭანჭიკებით, სუპერწებოთი, მაგრამ ვერაფერი გავაწყვე, სამი საათი ვიტანჯე, ვიდრე ხელები კედელზე ხახუნით არ და-

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

ვისისხლიანე. ბოლოს ვიფიქრე, რომ უმჯობესი იქნებოდა, ფოტოებს ფანჯრის რაფაზე თუ განვათავსებდი, მოპირდაპირედ მცხოვრები ქალის ცნობისმოყვარე თვალისგან მაინც დამიცავდა. ყველა ეს უსიამოვნება უმნიშვნელო იყო. მერე რა, რომ ჩემი ფანჯრიდან ზღაპრული ხედის ნაცვლად მაღალი სავენტილაციო მილი მოჩანდა? მერე რა, რომ კამოდისთვის ადგილი არ მქონდა? და რომ ვიწრო კარადა პალტოსაც ძლივს დაიტევდა? ის ჩემი ოთახი იყო, პირველი ოთახი, რომელიც მარტომ, მშობლებისა თუ თანამობინადრეთა დახმარების გარეშე მოვაწყვე და რომელიც სიგიჟემდე მომწონდა.

სამსახურის დაწყებამდე კვირადღე რჩებოდა და საგონებელში ვიყავი, რა ჩამეცვა პირველ სამუშაო დღეს. კენდრამ, მეზობელთაგან შედარებით საყვარელმა გოგონამ, ოთახში შემოიხედა და დახმარება შემომთავაზა, მაგრამ რადგან ისინი სამსახურში ულტრაკონსერვატორული კოსტიუმებით დადიოდნენ, მათი რჩევები ნაკლებად გამომადგებოდა. ეგრეთ წოდებულ მისაღებ ოთახში ბოლთას ვცემდი, ერთი ბოლოდან მეორემდე ოთხიოდე გამართული ნაბიჯის გადადგმა მჭირდებოდა. ბოლოს ტელევიზორის წინ სავარძელში ჩავესვენე. ნეტა რა უნდა გცმოდა პირველ დღეს, როცა მსოფლიოში ყველაზე მოდური ჟურნალის ყველაზე მოდურ რედაქტორთან თანაშემწედ იწყებდი მუშაობას? ვიცნობდი „პრადას" (უნივერსიტეტში რამდენიმე იაპონელი გოგონა ამ ბრენდის ზურგჩანთებს ატარებდა), „ლუის ვიტონს" (ჩემს ბებიებს მისი ჩანთები მოსწონდათ, ოღონდ მასზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ), და-ბოლოს — „გუჩის" (ალბათ იმიტომ, რომ მას ყველა იცნობს?), თუმცა ჩემს გარდერობში ამ დიზაინერთა ერთი ნივთიც კი არ მოიპოვებოდა. ან რა აზრი ჰქონდა? პაწაწინა კედლის კარადა სამივე ბრენდის სამოსით რომ გამომევსო, მაინც ვერ გამოვიყენებდი. ჩემს ოთახში შევედი, უფრო სწორად — „საწოლის ოთახში" და დიდ, ლამაზ ლოგინზე ისე გადავწექი, რომ მისი ხის კიდეზე ფეხი ვიტკინე. ჯანდაბა! ახლა რაღა ვქნა!

ბევრი ფიქრისა და ჩაცმა-გახდის შემდეგ არჩევანი ღია-ცისფერ სვიტერზე, მუხლამდე სიგრძის შავ ქვედაბოლოსა და მაღალქუსლიან შავ ჩექმაზე შევაჩერე. უკვე ვიცოდი, რომ ჩემი „ჩანთა-ჩემოდანი" იქ არ გამომადგებოდა, სხვა გზა არ იყო, შავი ტილოს პატარა ჩანთით უნდა წავსულიყავი. მახსოვს, იმ

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ღამეს ძალიან ვეცადე ნახევრად შიშველს (ქვედაბოლოსა და მაღალქუსლიანი ჩექმის ამარას) უშველებელი საწოლისთვის გვერდი ამექცია და მაღალ ქუსლებზე სიარულს მივჩვეოდი, თუმცა საბოლოოდ ქანცგაწყვეტილი ჩამოვჯექი საწოლზე.

აფორიაქებულს მკვდარივით ჩამეძინა. იმ დღეს, დილის ექვსის ნახევარზე გაღვიძება ადრენალინის მოზღვავებას დავაბრალე. ლოგინიდან ჩიტივით წამოვფრინდი. მთელი კვირა ნერვებაშლილი ვიყავი და თავი მისკდებოდა. მოსაწესრიგებლად, ოთხმოცდამეთექვსმეტე ქუჩისა და მესამე ავენიუს კუთხემდე მისასვლელად, იქიდან კი უსაფრთხო საზოგადოებრივი ტრანსპორტით ქალაქის ცენტრამდე სამგზავროდ, ზუსტად საათ-ნახევარი მრჩებოდა, ნახევარი საათი — საკუთარი თავისთვის, საათიც — მგზავრობისთვის. შხაპის მიღების პროცესი საშინელება იყო, მილები ისეთ ხმებს გამოსცემდნენ, თითქოს უსტვენენო. თავიდან ნელთბილი წყალი წამოვიდა, მაგრამ ბოლოსკენ ისე გაცხელდა, ლამის დავიწვი. სამი დღის შემდეგ გადავწყვიტე, საშხაპეში წყალი თხუთმეტი წუთით ადრე მომეშვა, შემდეგ ისევ ლოგინში დავბრუნებულიყავი და წამეძინა (თუმცა ძილში მილების ხმა მაინც ჩამესმოდა). წყლის გაცხელების შემდეგ კი (ამას დაორთქლილი სარკით ვხვდებოდი) საბანაოდ შევდიოდი.

ოცდახუთ წუთში სრული არაკომფორტული ეკიპირებით მზად ვიყავი — ეს რეკორდი იყო. უახლოესი მეტროსადგურის ძებნაში ათ წუთი დავკარგე, ჯობდა, დედაჩემის რჩევა გამეთვალისწინებინა და ამაზე წინდაწინ მეზრუნა, მაგრამ ძალიან დაკავებული ვიყავი. თავდაპირველად გასაუბრებაზე ტაქსით მივედი. ვხვდებოდი, მეტროთი მგზავრობა აუტანელი იქნებოდა. საბედნიეროდ, სალაროში ინგლისურენოვანი კონსულტანტი შემხვდა, რომელმაც თავაზიანად მირჩია, მეექვსე ხაზის მატარებლით 59-ე ქუჩამდე მივსულიყავი, მიმასწავლა, რომ იმ ქუჩიდან დასავლეთით, მედისონ ავენიუმდე ორი კვარტალი უნდა გამევლო. მარტივი იყო. მეტროს ვაგონში სიჩუმე იდგა და ციოდა, თითქმის ვერ დავინახე ჩემნაირი გიჟები, ნოემბრის სისხამ დილას, სამსახურში დაგვიანების შიშით, ექვს საათზე რომ წამოფრენილიყვნენ ლოგინიდან. მშვიდად, თავგადასავლების გარეშე ვიმგზავრე, მეტროსადგურიდან ზემოთ ამოსვლამდე არაფერი გადამხდენია.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმ აუტანლად ცივ დღეს ექსკალატორით ქუჩაში ამოვედი, ჯერ კიდევ ბნელოდა, ერთადერთი, რაც ანათებდა, ოცდაოთხსაათიანი ლუდის ბარი იყო. უკან „ბლუმინგეილის" დიდი სავაჭრო ცენტრი ვიცანი, დანარჩენი ყველაფერი უცხო იყო.

„ელიას-კლარკი", „ელიას-კლარკი", „ელიას-კლარკი", სად არის ეს შენობა? ას ოთხმოცი გრადუსით შემოვტრიალდი, რომ დასახელება „მე-60 ქუჩა და ლექსინგტონ ავენიუ" წამეკითხა. ლოგიკურად 59-ე ქუჩა შორს არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მედისონზე მოსახვედრად რომელ მხარეს წავსულიყავი? და საით იყო „დასავლეთი"? ერთი კვირის წინ ტაქსიმ შენობის კართან გამიჩერა, ახლა კი არაფერი მეცნობოდა. ცოტა ხანს ვიბორიალე, მიხაროდა, რომ დრო ჯერ კიდევ მქონდა. ბოლოს ყავის დასალევად პირველივე შემხვედრ ბისტროში შევედი.

— გამარჯობა, ხომ ვერ დამეხმარებით? „ელიას-კლარკ-ბილდინგამდე" გზას ხომ ვერ მიმასწავლით? — ვკითხე მოლარეს, რომელიც, ჩანდა, რაღაცაზე ნერვიულობდა. შევეცადე არ გამეღიმა, რადგან ნიუიორკელმა ნაცნობებმა გამაფრთხილეს, „ეს ეივონი არ არის" და „ხალხი სიკეთეზე სიკეთით არ პასუხობს". კაცის დაბღვერილმა გამოხედვამ ამანერვიულა, ალბათ უხეშობად ჩამითვალა-მეთქი და გავუღიმე. „ერთი დოლარი," მითხრა და თან ხელი გამომიშვირა.

— გზის სწავლებაში ფულს მახდევინებთ?

— ერთი დოლარი, რძიანი თუ ურძეო, თქვენი გადასაწყვეტია!

წუთით მივაჩერდი, ვიდრე არ მივხვდი, რომ მხოლოდ იმდენი ინგლისური იცოდა, რომ ყავა გაეყიდა.

— აჰ, მაშინ რძიანი. დიდი მადლობა. — დოლარიანი მივეცი და უარესად თავგზააბნეული გამოვედი გარეთ. გზას პრესის მეჯიხურეებსაც ვეკითხებოდი, მეეზოვეებიც არ დამიტოვებია, ბოლოს ძველ ფურგონში მცხოვრებ მაწანწალებსაც ვთხოვე დახმარება, მაგრამ ამაოდ, ვერავინ მითხრა, როგორ მივსულიყავი მედისონ ავენიუმდე. სწორედ ამ დროს დელი, ჩემი დეპრესია და დიზენტერია გამახსენდა. „რაც უნდა იყოს, მაინც ვიპოვი!"

რამდენიმე წუთი ისევ უაზროდ მივაბიჯებდი მძინარე ქალაქში, სანამ „ელიას-კლარკ-ბილდინგის" შესასვლელი კარის წინ არ აღმოვჩნდი. ფოიედან შემინულ კარში შუქი გამოკრთოდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

და დილის ბინდში შენობა თბილი და მყუდრო მოჩანდა. წამით ვიფიქრე, როგორი სასიამოვნო ადგილია-მეთქი, მაგრამ შესასვლელი კარი ვერ გავაღე, ისევ ვცადე, ძვრა არ იყო, ბოლოს მთელი სხეულით მივაწექი, სახე ლამის მინაზე დამრჩა, მანაც იკადრა და დატრიალდა. ჯერ მძიმედ ამოძრავდა, თითქოს მკარნახობდა, უფრო ძლიერ მომაწექიო, მერე ტემპს უმატა, ბოლოს კი ისე დაბზრიალდა, რომ უკნიდან მომეწია და წონასწორობადაკარგული წაქცევას ძლივს გადავურჩი. ვესტიბიულში მყოფი დაცვის თანამშრომელი სიცილით იგუდებოდა:

— აბა, როგორი იყო? არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი, — ხითხითით მითხრა, თან პუტკუნა ლოყები უთამაშებდა — მაგარი რამეა ეს მბრუნავი კარი. — შევხედე თუ არა, გადავწყვიტე, რომ მეზიზღებოდა. ვიცოდი, ამიერიდან რაც უნდა გამეკეთებინა, მას არასოდეს მოვეწონებოდი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც გავულიმე.

— მე ანდრესი მქვია — მითხრა და ჩამოსართმევად ხელი გამომიწოდა, მაგრამ ჯერ ნაქსოვი ხელთათმანი გაიხადა.

— მე მირანდა პრისტლის ახალი თანაშემწე ვარ, დღეს „პოდიუმში" ვიწყებ მუშაობას. — ვუპასუხე.

— ვიზიარებ! — მითხრა, თავი უკან გადასწია და ახარხარდა — თუ გინდა ჩაინიშნე კიდეც: „ვი-ზი-ა-რებ!" ედუარდო, მოდი, მირანდას ახალ სათამაშოს შეხედე! საიდან ჩამოხვედი, გოგონა, ასეთი გულუბრყვილო? ალბათ ბანძი კანზასი — ძველი ტოპეკადან[21]? ცოცხლად შეგჭამს, ჰა, ჰა, ჰა!"

საკადრის პასუხს გავცემდი, მაგრამ სოლიდური აღნაგობის, იმავე უნიფორმაში ჩაცმული მამაკაცი მოგვიახლოვდა და ყოველგვარი მორიდების გარეშე ამათვალიერ-ჩამათვალიერა. დასაცინად მოვემზადე, მაგრამ მას მსგავსი არაფერი უთქვამს და პირდაპირ თვალებში შემომხედა.

— მე ედუარდო მქვია, ეს იდიოტი კი მიკია, — მიკი იმედგაცრუებული ჩანდა, ამხანაგი რომ ვერ აიყოლია, — მის ნათქვამს ყურადღებას ნუ მიაქცევ, უბრალოდ ხუმრობს, — ნიუიორკელი ესპანელისთვის დამახასიათებელი გამოთქმით ლაპარაკობდა. ჟურნალი მომაწოდა — ეს შეავსე და დროებით საშვს გამოვწერ. კადრების განყოფილებას კი უთხარი, რომ ფოტოსურათიანი ბარათი დაგიმზადონ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

ეტყობა, ისეთი მადლიერი თვალებით ვუყურებდი, რომ შერცხვა, უხერხულად შეიშმუშნა და ჟურნალი მაგიდაზე დადო.

— მიდი, შეავსე. წარმატებები, გოგონა! დამიჯერე, ნამდვილად დაგჭირდება!

იმდენად აღელვებული და აფორიაქებული ვიყავი, რომ ბოლო წინადადების ახსნა არ მითხოვია, არც იყო საჭირო. ერთადერთი, რასაც სამუშაოზე დათანხმების შემდეგ, ბოლო კვირის განმავლობაში ვაკეთებდი, ჩემს უფროსზე ინფორმაციის შეგროვება იყო. „გუგლში“ ვიპოვე, რომ მირანდა პრისტლი, იგივე მირიამ პრინჩეკი ლონდონის ისტ ენდში დაბადებულა. მისი ოჯახი, ბევრი სხვა ორთოდოქსი ებრაელის მსგავსად, უკიდურესად გაჭირვებული, მაგრამ ღრმადმორწმუნე ყოფილა. მამამისი უმეტეს დროს ძველი ებრაული ტექსტების შესწავლას უთმობდა და მხოლოდ დროდადრო თუ წაიმუშავებდა სადმე, ამიტომ ოჯახი ძირითადად ებრაელთა თემის კმაყოფაზე ცხოვრობდა. დედა მირიამზე მშობიარობას გადაჰყვა და ბავშვების აღსაზრდელად ბებია (დედის დედა) გადმოსულა მათთან. ბავშვები კი ბლომად ყოფილან! თერთმეტი და-ძმა. მათი უმეტესობა მამის კვალს გაჰყვა, საღვთო ცხოვრება აირჩია, ერთი-ორს უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებაც მოუხერხებია, ადრეულ ასაკში დაქორწინებულა და ახლა თურმე მრავალშვილიანი ოჯახები ჰყავთ. იმ ტრადიციულ გარემოში ერთადერთი გამონაკლისი მირიამი ყოფილა.

ჩვიდმეტის შესრულებიდან სამი თვის თავზე, იმ შეკონწიწებული ჯიბის ფულით, დროდადრო და-ძმა რომ აძლევდა, სკოლა მიატოვა, სახლიდან წავიდა და იმედისმომცემი, დამწყები ბრიტანელი დიზაინერის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა. მისი მოვალეობა სეზონური ჩვენებების ორგანიზება იყო. თურმე თავაუღებლად მუშაობდა ლონდონის მაღალი მოდის სამყაროში, ღამღამობით კი ფრანგულს სწავლობდა, მალე პარიზში ფრანგულენოვანი „ჭორიკანას“ უმცროსი რედაქტორიც გახდა. იმ დროისთვის ცოტა რამ თუ აკავშირებდა საკუთარ ოჯახთან, რომლისთვისაც გოგონას ცხოვრების სტილი და ამბიციები მიუღებელი იყო, მირიამს კი მათი ძველმოდური ღვთისმოსაობა და სიახლეებისადმი შიში არ ესმოდა. ოჯახთან საბოლოო განხეთქილება მაშინ ჩამოვარდა, როცა

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ოცდაოთხი წლისამ ფრანგულენოვან „ჭორიკანაში" დაიწყო მუშაობა, მირანდა პრისტლიდ გარდაისახა და ეთნიკურ წარმომავლობაზე ასე აშკარად მიმანიშნებელი გვარი დაივიწყა. მალე ლონდონელი მდაბიოს უხეში მეტყველება უზადო ლიტერატურულმა შეცვალა. ჯერ ოცდაათისაც არ იყო, როცა უბრალო ებრაელი გოგონადან დახვეწილ ქალბატონად იქცა. მოდის ჟურნალის სამყაროში წარმატებას სწრაფი, გაბედული ნაბიჯებით მიაღწია. ათი წელი ფრანგულენოვანი „პოდიუმის" სათავეში იდგა, შემდეგ კი „ელიასმა" მსოფლიოში ყველაზე ცნობილი, ამერიკული „პოდიუმი" ჩააბარა. ეს წარმატების მწვერვალი იყო. ნიუ-იორკში ორ ქალიშვილთან და ქმართან, იმ დროისთვის ცნობილ როკმომღერალთან ერთად (რომელიც სახელის მოხვეჭის მიზნით სიხარულით გამოჰყვა ამერიკაში) გადმოვიდა საცხოვრებლად და მეხუთე ავენიუსა და 76-ე ქუჩის კუთხეში, პენტჰაუზში დაბინავდა. მირანდას გადმოსვლის შემდეგ „პოდიუმში" ახალი ერა დაიწყო და უკვე მეექვსე წელია გრძელდებოდა. „პრისტლის წლები" — ასე უწოდებდნენ მას.

ბედისა თუ რაიმე სასწაულის წყალობით, თითქმის მთელი თვე მირანდას გარეშე უნდა მემუშავა. ყოველ წელს შვებულებას მადლიერების დღემდე ერთი კვირით ადრე იღებდა და სამსახურში ნაახალწლევს ბრუნდებოდა. როგორც მითხრეს, რამდენიმე კვირას ოჯახთან ერთად, ჩვეულებრივ, ლონდონის სახლში ატარებდა, მაგრამ ამჯერად ქმარ-შვილი ორი კვირით დომინიკელთა რესპუბლიკაში ოსკარ დე ლა რენტას მამულში ძალით წაუყვანია. შობასა და ახალ წელს ოჯახი პარიზში, სასტუმრო „რიცში" ხვდებოდა. ასევე გამაფრთხილეს, რომ მიუხედავად შვებულებისა, მირანდა მაინც შემართებით მუშაობდა და თანამშრომლებისგანაც იმავეს მოითხოვდა. ამ ხნის განმავლობაში კარგად მომამზადებდნენ და „მის უდიდებულესობას" განსწავლული დავხვდებოდი. ამით მირანდას საგანმანათლებლო პროცესში ჩემ მიერ დაშვებული შეცდომების გამო ნერვიულობა ასცდებოდა. ჩემთვისაც ასე ჯობდა. ზუსტად დილის შვიდ საათზე, ედუარდოს სარეგისტრაციო ჟურნალში ხელი მოვაწერე და ტურნიკეტში პირველად გავიარე. სანამ ლიფტის კარი დაიხურებოდა, ედუარდომ მოასწრო და მომაძახა:

— ცხვირი არ ჩამოუშვა!

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

იმ დღეს ემილი რაღაც გასაოცრად ლამაზი იყო. თხელი, მჭიდროდ მომდგარი და თან ნაოჭიანი მაისური და ზეთისხილისფერი შარვალი ეცვა. მისაღებ ოთახში მელოდა „სტარბაქსის“ ჭიქით ხელში, თან დეკემბრის ახალ ნომერს ფურცლავდა. ფეხები მალალქუსლიანი ფეხსაცმლით ჟურნალების მაგიდაზე მოხდენილად შემოეწყო. თეთრ, გამჭვირვალე ბამბის მაისურში შავი ლიფი უჩანდა. ტუჩის საცხი ალბათ ყავის სმისას გადღაბნოდა, ტალღოვანი წითური თმა კი მხრებზე თავისუფლად ეყარა და ისე გამოიყურებოდა, თითქოს სამი დღე-ღამე ლოგინში გაეტარებინა.

— გამარჯობა და კეთილი იყოს შენი მობრძანება, — წაიბურტყუნა და თუ დაცვის თანამშრომლის შემოწმებას არ ჩავთვლით, პირველი ოფიციალური დათვალიერებაც გავიარე. — კარგი ჩექმაა, — გული ამიჩქარდა. „გულწრფელად მეუბნებოდა თუ დამცინოდა?..“ გაუგებარი ტონით მითხრა. ტერფები უკვე მტკიოდა, ფეხის თითები მიმჭყლეტოდა, მაგრამ თუ ჩემმა ჩაცმულობამ „პოდიუმისგან“ ქათინაური დაიმსახურა, ეს ტკივილად ღირდა. ემილი ცოტა ხნით კიდევ მაკვირდებოდა, ბოლოს ფეხები მაგიდიდან ჩამოიღო და თეატრალურად ამოიხვნეშა, — მაშ, დავიწყოთ. გაგიმართლა, რომ ახლა აქ არ არის — მითხრა — იმის თქმა კი არ მინდა, რომ ცუდია, პირიქით... — შიშნარევი ხმით დაამატა. მოგვიანებით საკუთარ თავს ვუთხარი, ალბათ ეს „პოდიუმის“ შიდა ფსიქოზის კლასიკური ნიშანია-მეთქი. იმას ვგულისხმობდი, რომ, საკმარისი იყო „ელიას-კლარკის“ რომელიმე თანამშრომელს მირანდაზე რაიმე უხეშად ან საყვედურით დასცდენოდა, თუნდაც სამართლიანად, რომ შიში იპყრობდა. ეგონათ, მირანდა აუცილებლად გაიგებდა და სიტყვები სასწრაფოდ უკან მიჰქონდათ. ჩემი სამუშაო დღის ერთ-ერთ გასართობს ასეთი საუბრების მოსმენა წარმოადგენდა. ემილიმ თავისი ბარათი ელექტროაპარატში გაატარა და ორივე შიგნით შევედით. მოხვეულ-მოხვეული დერეფნებით გვერდიგვერდ ჩუმად მივაბიჯებდით მირანდას ოფისისკენ, რომელიც სართულის შუაგულში მდებარეობდა. დავინახე, როგორ გააღო კარი, პალტო და ჩანთა ერთ-ერთ მაგიდაზე დააგდო და პირდაპირ მირანდას აპარტამენტებისკენ გაემართა.

— ეს შენი სამუშაო მაგიდა იქნება, — და თავისი მაგიდის წინ მდგარ „L“ ფორმის გლუვზედაპირიან ხის მაგიდაზე მანიშ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

ნა. მასზე „აიმაკის“ ცინცხალი ფირუზისფერი კომპიუტერი, ტელეფონი და პლასტმასის საქაღალდე იდგა, იქვე ეწყო კალმები, ქაღალდის საკინძები, უჯრებში კი ბლოკნოტები ელაგა.

— ნივთების უმეტესობა დაგიტოვე. ასე ჯობს, ჩემთვის კი ახალ საკანცელარიო ნივთებს შევუკვეთ.

ემილი უფროს თანაშემწედ ახლახან დაანინაურეს, მისი ადგილი კი მე მერგო. ამიხსნა, რომ ამ პოზიციაზე „პოდიუმში“ კიდევ ორ წელს დაყოფს, შემდეგ კი ელვის სისწრაფით დაწინაურდება. თანაშემწის სამწლიანი პროგრამის დასრულების შემდეგ, მოდის სამყაროში საუკეთესო ადგილის დამკვიდრების გარანტიას მიიღებს. მე კი ვიმედოვნებდი, რომ ამ ჟურნალში ერთწლიანი გამოცდილება საკმარისი იქნებოდა „ნიუ-იორკერისთვის“. ელისონი სილამაზის განყოფილებაში ახალ თანამდებობაზე უკვე გადასული დამხვდა. იქ მას ახალი კოსმეტიკური საშუალებების, საცხებისა და თმის შამპუნების ტესტირება ევალებოდა. ვეჭვობდი, თანაშემწის გამოცდილება ამგვარი მოვალეობის შესრულებაში თუ გამოადგებოდა, მაგრამ მაინც გაოცებული ვიყავი. აშკარა იყო: ისინი, ვინც მირანდასთან მუშაობას გაუძლებდნენ, სასურველ თანამდებობებს იკავებდნენ.

დანარჩენებმა სადღაც საათის ათისთვის დაიწყეს სამსახურში მოსვლა, დაახლოებით ორმოცდაათი თანამშრომელი გვყავდა. მოდას, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი განყოფილება ეჭირა. აქსესუარებზე პასუხისმგებელი თანაშემწეების ჩათვლით, აქ დაახლოებით ოცდაათი ადამიანი იყო დასაქმებული. მაკიაჟის, კოსმეტიკისა და არტის განყოფილებები შერეული იყო. ხელმძღვანელობაზე საჭორაოდ ისინი ემილისთან შემორბოდნენ და თან ახალ გოგონას, მე მამოწმებდნენ. იმ დილას ათობით ადამიანს შევხვდი. „ქოლგეითის ღიმილით“ მიღიმოდნენ და ჩემით გულწრფელად დაინტერესებული ჩანდნენ.

ყველა მამაკაცი გადაპრანჭული გეი იყო, საკუთარ თავზე შეყვარებულები მოტკეცილ ტყავის შარვლებსა და მჭიდრო მაისურებში დააბიჯებდნენ. მაისურები ნავარჯიშებ კუნთებზე ეკვროდათ. მხატვრული რედაქტორი — მამაკაცებისგან ყველაზე უფროსი — შამპანურისფერი თხელი, ქერა თმით ისე გამოიყურებოდა, თითქოს თავი ელტონ ჯონთან პაექრობისთვის მიეძღვნა. თვალის ქვეშ შავ ფანქარს ისვამდა და ბოცვრის

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

ბენვის მოკასინებით დაფაჩუნებდა. ეს აქ მიღებული იყო. გეები სტუდქალაქშიც გვყავდა, რამდენიმე მათგანთან ვმეგობრობდი კიდეც, მაგრამ „პოდიუმის" ჰომოსექსუალისტების მსგავსნი აქამდე არ მენახა. თავი ბროდვეის შოუზე მეგონა, კერძოდ — სპექტაკლზე „რენტა," სადაც მსახიობებსა და ტექნიკურ პერსონალს განურჩევლად საუკეთესო სასცენო კოსტიუმები ეცვათ.

ქალები, უფრო სწორად გოგონები, ინდივიდუალური სილამაზით გამოირჩეოდნენ. თითქმის ყველა გამაოგნებელი გარეგნობისა იყო. ძირითადად, ოცდახუთ წლამდე იქნებოდნენ, რამდენიმე კი — ოცდაათისაც. უსახელო თითზე უშველებელი ბრილიანტის ბეჭდებს ატარებდნენ, თუმცა ვერ დავიჯერებდი, რომელიმეს შვილი ჰყოლოდა ან საერთოდ, ფიზიოლოგიური მშობიარობა შესძლებოდა. ასე იყო თუ ისე, ათსანტიმეტრიან ქუსლებზე მათ გრაციოზულად ეჭირათ თავი. ლამაზი მოყვანილობის, რძისფერი, მანიკიურიანი თითებით ხელს მართმევდნენ და მეცნობოდნენ: „ჯოსელინი, „ჰოუფთან" ვმუშაობ," „ნიკოლაი მოდის განყოფილებიდან", „სტეფი, აქსესუარებს ვკურირებ." მხოლოდ ერთ მათგანს, შაინას, სიმაღლე მეტრსა და სამოცდაათზე ნაკლები ჰქონდა, მაგრამ იმდენად ნაზი და ფარფატა იყო, რომ ზედმეტ სანტიმეტრს ნამდვილად ვერ აიტანდა. თითოეული მათგანის წონა ორმოცდათხუთმეტ კილოგრამზე მეტი არ იქნებოდა.

სატრიალო სკამზე ვიჯექი და მათი სახელების დამახსოვრებას ვცდილობდი, როცა მთელი დღის განმავლობაში ნანახი ლამაზმანებიდან, ყველაზე მომხიბლავი გოგონა შემოვიდა, იფიქრებდი, მისი ქიშმირის სვიტერი ვარდისფერი ლრუბლებით მოუქსოვიათო. გაშლილი ღია ფერის თმა თავისუფლად ჩამოშლოდა ზურგზე. მეტრსა და სამოცდაათ სანტიმეტრზე ოდნავ მაღალი, წონაში ზუსტად იმდენი იყო, ვერტიკალური მდგომარეობა რომ შეენარჩუნებინა. ამავე დროს მოცეკვავესავით მოხდენილად მოძრაობდა. ღაწვები შეფაკლოდა, თითზე კი ოთხკარატიანი ბრილიანტის ნიშნობის ბეჭედი უბრჭყვიალებდა. დამინახა, რომ მას მივჩერებოდი, ამიტომაც ხელი ცხვირთან მომიტანა და განმიცხადა:

— მე შევქმენი, — ჯერ ბეჭედს დახედა ღიმილით, მერე მე შემომხედა. ემილის დახმარება მჭირდებოდა, მაგრამ ის ტე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE Scanned by CamScanner

ლეფონზე ესაუბრებოდა ვილაცას. ვიფიქრე, გოგონა ბეჭედზე მანიშნებდა, ჩემი დიზაინით შეიქმნაო, მაგრამ შემდეგ დასძინა — ხომ მაგარი ფერია? ერთი ფენა „ზეფირისაა", მეორე კი — „პოანტების". საერთოდ, თავდაპირველად „პოანტების" ფერი დავადებინე, შემდეგ დანარჩენი ფერები. სრულყოფილებაა — ღია ტონი, სადაც ერთი ფენა მეორეში არ გადადის. ამიერიდან სულ ამ ფერის მანიკიურს გავიკეთებ! — შემდეგ ფეხსაცმლის ქუსლებით შეტრიალდა და ოთახიდან გავიდა. „აა, ჩემთვისაც სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა!" — ფიქრში მივაძახე ოთახიდან გასულს.

თანამშრომლების გაცნობის პროცესი ძალიან მომეწონა. საკუთარ ფრჩხილებზე უცნაურად შეყვარებული ერთი ლამაზმანის გარდა, ყველა გულთბილად და მეგობრულად შემხვდა, ჩანდა, ჩემი გაცნობა გულწრფელად აინტერესებდათ. ემილი გვერდიდან არ მომშორებია, საშუალებას ხელიდან არ უშვებდა და მასწავლიდა, ვინ არ უნდა გამებრაზებინა, ვისთან დავმეგობრებულიყავი, ვინ მართავდა საუკეთესო წვეულებებს, ხოლო როდესაც მას „მანიკიურიანი გოგონა" აღვუწერე, სახე გაუნათდა.

— მართლა! — შეიცხადა აღფრთოვანებულმა. არ მახსოვს, აქამდე ასეთი რეაქცია ჰქონოდა ვინმეზე, — აუჰ, ხომ მაგარი გოგოა?

— ჰო, კარგი გოგონაა. იცი, ბევრი არც გვისაუბრია, მხოლოდ თავის მანიკიურზე მელაპარაკებოდა.

ემილიმ ამაყად გაიღიმა.

— ჰო? ახლა ნუ მეტყვი, არ ვიცი, ვინ არისო!

გონება დავძაბე, შევეცადე გამეხსენებინა, იქნებ კინოვარსკვლავი, ცნობილი მომღერალი, ან სულაც მოდელი ყოფილიყო, მაგრამ ვერაფრით გავიხსენე. აჰა, ახლა გასაგებია, რატომ არ გამეცნო, ალბათ ვინმე გამოჩენილია-მეთქი, ვიფიქრე. მისი ვინაობა უნდა მცოდნოდა, მაგრამ რომ არ ვიცოდი?

— არ მახსენდება, არ ვიცი, ვინმე ცნობილია?

ამის გაგონებაზე ემილის სახეზე გაოცება და ზიზღი დაეხატა.

— აჰა, — მიპასუხა ისე, თითქოს „იდიოტს!" უფრო გულისხმობდა. — მისი სახელია ჯესიკა დუშასი. გაჩერდა და მიყურებდა. მეც ვუყურებდი. არაფერი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

— ეს გვარი არ გაგიგია, არა?

ახალი ინფორმაცია გონებაში გადავამოწმე, მაგრამ ზუსტად ვიცოდი, წარმოდგენა არ მქონდა, ვის გულისხმობდა ემილი. თან ეს თამაში უკვე მომბეზრდა.

— ემილი, აქამდე არასოდეს შევხვედრივარ მას და მისი გვარიც არაფერს მეუბნება. იქნებ დამდო პატივი და მითხრა, ვინაა? — ვცდილობდი, სიბრაზე არ გამომემჟღავნებინა. სასაცილო ის იყო, რომ სინამდვილეში ცალ ფეხზე მეკიდა, მაგრამ ვიდრე სათქმელს ბოლომდე არ მეტყოდა, ემილის ჩემი საბოლოო განადგურება ჰქონდა გადაწყვეტილი.

ისე გამილიმა, თითქოს ვეცოდებოდი.

— რა თქმა უნდა. უბრალოდ უნდა გეკითხა. ის ჯესიკა დუშასია, როგორ გითხრა, დუშასი! ქალაქში ყველაზე მაგარი ფრანგული რესტორანი ხომ იცი? ჰოდა, მისი მშობლებისაა. ხომ მაგარია? თან წარმოუდგენლად მდიდრები არიან.

— მართლა? — მივუგე და შევეცადე თავი მომეკატუნებინა, ვითომ მეც აღფრთოვანებული ვიყავი და ვეთანხმებოდი, რომ ლამაზმანი მხოლოდ მისი მშობლების განთქმული ფრანგული რესტორნების ქსელის გამო უნდა მცოდნოდა, — ძალიან მაგარია.

რამდენიმე სატელეფონო ზარს შემდეგი ფრაზით ვუპასუხე: „მირანდა პრისტლის ოფისი, გისმენთ," თუმცა ორივე, მეც და ემილიც ვნერვიულობდით, რომ თავად მირანდა დარეკავდა და მე სათანადო პასუხს ვერ გავცემდი. პანიკაში ჩავვარდი, როდესაც ძლიერი ბრიტანული გამოთქმით ქალბატონმა დარეკა, ტელეფონი დაუფიქრებლად ემილის ვესროლე, მაგრამ ჯერ პაუზის ღილაკს დავაჭირე.

„ის არის," ვუჩურჩულე შეშფოთებულმა. „შენ უპასუხე."

ემილიმ პირველად შემომხედა თავისი „განსაკუთრებული" მზერით. მას ემოციების გამომჟღავნება დიდად არ სჩვეოდა, მაგრამ საკმარისი იყო, წარბები მაღლა აეწკიპა და ნიკაპი წინ გამოეწია, რომ მის სახეზე ერთდროულად სიბრალულსა და ზიზღს ვკითხულობდი.

„მირანდა? ემილი ვარ," თქვა და თან გაიღიმა თითქოს მირანდას ტელეფონით ხედავდა. გაჩუმდა. მოიღუშა. „ო, მიმი, ბოდიში! ახალ გოგონას მირანდა ეგონე! ვიცი, სასაცილოა! მომიწევს ვასწავლო, რომ ყველა ბრიტანული გამოთქმით მოლა-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

პარაკე ქალბატონი აუცილებელი არაა ჩვენი უფროსი იყოს!" გადმომხედა და თან ლამაზად ამოქნილი წარბები უფრო მაღლა ასწია.

ცოტა ხანს იჭორავეს, ამასობაში ემილისთვის განკუთვნილ სატელეფონო ზარებს მე ვპასუხობდი და საჭირო ინფორმაციას ვინიშნავდი. შემდეგ მან თითოეულს გადაურეკა, მოგვიანებით კი დაწვრილებით ამიხსნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა თითოეულს მირანდას ცხოვრებაში. დაახლოებით შუადღისკენ, სწორედ მაშინ, როცა თავი ამტკივდა, ტელეფონის ზარი გაისმა და ყურმილში ბრიტანული გამოთქმა გავიგონე.

— გამარჯობა, ელისონ, თქვენ ხართ? — ცივი და ავტორიტეტული ხმით მკითხეს — ქვედაბოლო დამჭირდება! — ემილი შემოტრიალდა და ჩემს სახეზე პანიკა რომ დაინახა, ყურმილი ყოველგვარი თავაზიანობის გარეშე გათიშა, არც კი უთქვამს „გადმოგირეკავთ" ან „კარგად ბრძანდებოდეთ". ღილაკს დააჭირა, მირანდას ხაზზე ჩაერთო და ფართოდ გაიღიმა.

— მირანდა, ემილი ვარ. რით შემიძლია დახმარება? — ბლოკნოტი და კალამი მოიმარჯვა და შუბლმოღუშულმა შენიშვნების წერა გიჟივით დაიწყო. — დიახ, რა თქმა უნდა, ბუნებრივია, — როგორ მოულოდნელადაც დაიწყო ეს საუბარი, ისევე მოულოდნელად დასრულდა. მოთმინებით ვუყურებდი. ჩემს გამომეტყველებაზე თვალები გადაატრიალა.

— ჩანს, შენთვის პირველი დავალება გამოჩნდა. ხვალისთვის მირანდას, სხვა ნივთებთან ერთად, ახალი ქვედაბოლო სჭირდება. ასე რომ, ყველაფერი სულ მცირე, სალამოს რეისამდე უნდა მოვაგროვოთ.

— კეთილი, აბა, როგორი ქვედაბოლო სურს? — ვკითხე, ჯერ კიდევ გაოგნებულმა, რომ ქვედაბოლოს დომინიკელთა რესპუბლიკაში გადაფრენა მოუწევდა მხოლოდ იმიტომ, რომ მან ასე ისურვა.

— არ დაუკონკრეტებია, — ცალყბად მიპასუხა და ყურმილი მოიმარჯვა, — გამარჯობა, ჯოსელინ, მე ვარ. ქვედაბოლოს ითხოვს, სალამოს მისის დე ლა რენტა მიფრინავს, მასთან უნდა მივიტანოთ, მირანდას ის ჩაუტანს. არა, წარმოდგენა არ მაქვს. არა, არც ეგ უთქვამს. მართლა აზრზე არ ვარ. კარგი, გმადლობ.

შემდეგ ჩემკენ შემოტრიალდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

— როდესაც არ აკონკრეტებს თუ რა უნდა, საქმეს უფრო გვირთულებს, ხომ გესმის, თვითონ ასეთი რაღაცებით თავს არ ინუხებს. არც ქსოვილი, არც ფერი, არც სტილი და არც ბრენ-დის დასახელება უთქვამს, მაგრამ არაფერია, მისი ზომა და გემოვნება ზედმიწევნით ვიცი, ასე რომ, გამოცნობას შევძლებ. ახლახან ველაპარაკე ჯოსელინს მოდის განყოფილებიდან და ისინი მზადყოფნაში არიან.

უეცრად ჯერი ლუისი[22] წარმოვიდგინე, რომელიც დიდი ელექტრონული დაფის ფონზე იდგა და ქვედაბოლოების ტე-ლემარათონი მიჰყავდა. დასარტყამი ინსტრუმენტების ხმა და შეძახილები „ვუალა! გუჩი!" — მქუხარე აპლოდისმენტე-ბი! მაგარია. „მზადყოფნა" ჩემი პირველი გაკვეთილი აღმოჩ-ნდა, შორიდან ეს ძალიან სასაცილოდ მეჩვენა, თუმცა უნდა გამოვტყდე, პროცესი „სამხედრო მზადყოფნას" არაფრით ჩამოუვარდებოდა. მე და ემილიმ მოდის განყოფილებიდან ინს-ტრუქციები რვა თანაშემწეს გადავეცით, ისინი კონკრეტული სიის მიხედვით სასწრაფოდ დაუკავშირდნენ დიზაინერებს, მა-ღაზიებს. თანაშემწეები „საკონტაქტო პირებთან" რეკავდნენ და სხვადასხვა დიზაინერის სახელოსნოებსა და მანჰეტენის ცნობილ სავაჭრო ცენტრებში მირანდა პრისტლის სახელით (დიახ, მირანდა პრისტლისთვის, სწორედ მისთვის) სასურველ ქვედაბოლოს ეძებდნენ. ყველა ცნობილი მოდის სახლის — „მაი-კლ კორსის"[23], „პრადას", „ვერსაჩეს", „ფენდის"[24], „შანელის"[25], „ბარნის"[26], „ქლოეს"[27], „კელვინ კლაინის"[28], „ბერგდორფის"[29], „რობერტო კავალისა"[30] და „საქსის"[31] — პიარმენეჯერებმა წუ-თებში შემოგვთავაზეს (ზოგიერთმა პირადად მოიტანა კიდეც) ყველა ის ქვედაბოლო (მიუხედავად იმისა, სად ჰქონდათ ისინი — მაღაზიებსა თუ საწყობებში), რომელსაც, მათი ვარაუდით, მირანდა პრისტლი მოინონებდა.

პროცესს, რომელიც ჩემ თვალწინ მიმდინარეობდა, მაღალი დონის ქორეოგრაფიულ ბალეტს თუ შევადარებდი, ყოველმა მონაწილემ ზუსტად იცოდა, თუ სად, რა და როდის უნდა გაე-კეთებინა და რა იქნებოდა მისი შემდეგი ნაბიჯი. სანამ სამუშაო სრულდებოდა, ემილიმ იმ ნივთების მოტანა დამავალა, ქვედა-ბოლოსთან ერთად რომ უნდა გაგვეგზავნა.

— მანქანა 58-ე ქუჩაზე დაგელოდება, — მითხრა, თან ორ ტელეფონზე ერთდროულად ლაპარაკობდა. ინსტრუქციები

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

„პოდიუმის“ ბლოკნოტის პატარა ფურცელზე დამიწერა. მერე მოულოდნელად მობილური ტელეფონი მესროლა და მითხრა:

— აი, აიღე, იმ შემთხვევაში, თუ დაგჭირდები ან შეკითხვა გაგიჩნდება. არასოდეს გათიშო და ყოველთვის უპასუხე — ტელეფონი და ქალალდის ფურცელი გამოვართვი. 58-ე ქუჩისკენ გავემართე, ვფიქრობდი, ნეტა როგორ ვიპოვიდი „ჩემს მანქანას“ ან რას გულისხმობდა ეს სიტყვა? ის იყო, გადასასვლელზე უნდა გადავსულიყავი, რომ დაბნეულმა ირგვლივ მიმოვიხედე და შევამჩნიე, რომ პირში ჩიბუხით, ჭაღარათმიანი კაცი მომიახლოვდა.

— თქვენ პრისტლის ახალი გოგონა ხართ? — პირში ჩიბუხგაჩრილმა მკითხა. თავი თანხმობის ნიშნად დავუქნიე.

— მე რიჩი მქვია, დისპეტჩერი ვარ, თუ მანქანა გჭირდებათ, მე უნდა მომმართოთ. გასაგებია, ლამაზო? — თავი ისევ დავუქნიე და შავი კადილაკის უკანა სავარძელში ჩავჯექი. მან კარი მომიხურა და მანქანაც დაიძრა.

— საით, მის? — მძღოლის შეკითხვამ გამომაფხიზლა. გამახსენდა, რომ წარმოდგენა არ მქონდა, სად მივდიოდი. ჯიბიდან ქალალდის ფურცელი ამოვაძვრინე: რალფ ლორენის სტუდიო 57. ქ. ვესტ საიდის 335, სართ. მე-6. იკითხე ლინა. ის მოგცემს ყველაფერს, რაც ჩვენ გვჭირდება. მძღოლს მისამართი ვუთხარი და ფანჯრისკენ მივტრიალდი. ზამთრის ცივი დღე იყო, დღის პირველი საათი, ოცდასამი წლისა ვიჯექი სედანში, რომელსაც მძღოლი მართავდა და რალფ ლორენის სახელოსნოსკენ მივემართებოდი. შიმშილისგან გული მიმდიოდა. თხუთმეტი კვარტალი პიკის საათში დაახლოებით ორმოცდახუთ წუთში გავიარეთ, მაშინ პირველად გამოვცადე ქალაქის საცობები, მძღოლმა მითხრა, შენს გამოსვლამდე შორიახლო ვიმოძრავებო, მეც გადავედი და სახელოსნოსკენ გავემართე. მეექვსე სართულზე, მისაღებში ლინა ვიკითხე. რამდენიმე წუთში კიბეზე ასე ოც წლამდე საყვარელმა გოგონამ ჩამოირბინა.

— გამარჯობა, — მომესალმა და თან ხმოვანი „ა“ გაწელა — თქვენ მირანდას ახალი თანაშემწე, ანდრეა უნდა იყოთ, ასეა? ჩვენ ის ძალიან გვიყვარს, ასე რომ, კეთილი იყოს ჩვენს გუნდში მობრძანება! — მითხრა და გამიღიმა. ღიმილი დავუბრუნე. მაგიდის ქვემოდან დიდი ცელოფანის ყუთი გამოათრია და ზედ იატაკზე გადმოაბრუნა, — აი, ქეროლაინის საყვარელი

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯინსები სამ სხვადასხვა ფერში გვაქვს და აქვეა რამდენიმე ახალგაზრდული მაისურიც. კესიდი რალფის ხაკის ქვედაბოლოებზე უბრალოდ აფრენს, ზეთისხილისფერი და ნაცრისფერი ტონები უყვარს, — ყუთიდან ჯინსის ქვედაბოლოები, ქურთუკები და რამდენიმე წყვილი წინდა გადმოყარა. სახტად დავრჩი, ტანსაცმელი იმდენი იყო, რომ ცხრიდან თორმეტ წლამდე ასაკის ოთხ ბავშვს გამოაწყობდა. ჰო, მაგრამ, ვინ იყვნენ კესიდი და ქეროლაინი? ინტერესით მივჩერებოდი ძირს მოფანტულ ტანსაცმელს. რას უნდა წარმოადგენდე, რომ „რალფ ლორენის" სამი ფერის ჯინსის გარდა, სხვა მარკის ჯინსებს არ კადრულობდე? ალბათ სახეზე ისეთი დაბნეულობა მეწერა, რომ ლინამ განზრახ შემაქცია ზურგი და ჩანთაში ტანსაცმლის ჩალაგება დაიწყო, — უბრალოდ ვიცი, მირანდას გოგონები ამ ტანსაცმელზე გაგიჟდებიან. წლებია, მათ ჩვენ ვაცმევთ, რალფი პირადად არჩევს ხოლმე მათთვის ტანსაცმელს — განმარტებისთვის თვალებით მადლობა გადავუხადე და ჩანთა მხარზე გადავიკიდე. სანამ ლიფტის კარი დაიხურებოდა, გულწრფელად გამიღიმა და მომაძახა: — წარმატებები! გაგიმართლა, რომ ასეთი საუცხოო სამსახური იშოვე! — მისი სიტყვები გონებაში მე დავამთავრე: „მილიონობით გოგონა ამ შანსისათვის სულს ეშმაკსაც კი მიჰყიდდა!" მაგრამ უეცრად იმაზე დავფიქრდი, რომ ის წუთი იყო, რაც გამოჩენილი დიზაინერის სახელოსნოდან ხელში ათასობით დოლარის ღირებულების ტანსაცმლით სავსე ჩანთით გამოვედი, მგონი, არ ტყუოდა.

ყველაფერი წარმატებით დაიწყო, ნახევარი დღე უკვე გასული იყო. ვფიქრობდი, ნეტა თუ გამიბრაზდებოდნენ, წუთით რომ გავქცეულიყავი და სენდვიჩი მეყიდა, თუმცა გამოსავალი მაინც არ მქონდა. დილის შვიდ საათზე რომ კროასანი ვჭამე, მის მერე პირში არაფერი ჩამედო. ორი საათი სრულდებოდა. ბოლოს გავბედე და მძღოლს ვთხოვე, მანქანა სწრაფი კვების ობიექტთან შეეჩერებინა, გადავწყვიტე, სენდვიჩი მისთვისაც მეყიდა. როდესაც ინდაურის სენდვიჩი მდოგვის საწებლით მივაწოდე, გაოცებისგან პირი დააღო, შევწუხდი, უხერხულობაში ხომ არ ჩავაგდე-მეთქი:

— ვიფიქრე, გეშიებოდათ, მთელი დღე საჭესთან ზიხართ, არც თქვენ გისადილიათ, — შევეცადე ამეხსნა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— გმადლობთ, მის, თქვენს ყურადღებას ვაფასებ. უბრალოდ, „ელიას-კლარკის“ გოგონებს აგერ უკვე თორმეტი წელია დავატარებ და მსგავსი ყურადღება არც ერთს გამოუჩენია, თქვენ მართლაც სასიამოვნო გოგონა ხართ — ძლიერი, თუმცა გაურკვეველი გამოთქმით მიპასუხა და სარკიდან გამომხედა. გავუღიმე, უეცრად უსიამოვნო შეგრძნება დამეუფლა და წამებშივე გამიარა. საცობში სენდვიჩებს შევექცეოდით, თან მის საყვარელ სიმღერას ვუსმენდით, რომელიც, ჩემი აზრით, ისტერიკაში მყოფი ქალის კივილს უფრო ჰგავდა, გიტარის ფონზე მომღერალი გაუგებარ ენაზე ერთსა და იმავე სიტყვებს ატრიალებდა.

ემილის შემდეგი ინსტრუქცია იყო, თეთრი შორტები, რომელიც მირანდას ჩოგბურთის სათამაშოდ სჭირდებოდა. ნუთუ „შანელი“ თეთრ სპორტულ შორტებს კერავდა? მძღოლმა „ვიპ“[32] სალონთან მიმიყვანა, ასაკოვანმა გამყიდველმა ქალბატონმა, რომელსაც გადაჭიმულ სახეზე თვალები გადმოკარკლოდა, საკიდიდან ნული ზომის, თეთრი, ნატურალური ბამბა-ლიკრის საუცხოო შორტი ჩამოხსნა და შემდეგ ხავერდის ჩანთაში შეახვია. გაოცებული ვფიქრობდი, რომ შორტები თექვსმეტი წლის გოგონასაც არ მოერგებოდა, არათუ — ზრდასრულ ქალს.

გამყიდველს შევხედე:

— თქვენი აზრით, მირანდა ამას მართლა ჩაიცვამს? — თან შინაგანად მოვემზადე, რომ ეს ქალი პირს დააღებდა და გადამსანსლავდა.

მომაჩერდა:

— იმედი მაქვს, მის, რადგან შორტი სპეციალურად მირანდას ზომების მიხედვით შეიკერა, — სისინით მითხრა, თან ჩანთა მომაწოდა, — გადაეცით, რომ მისტერ კოპელმანი მოკითხვას უთვლის. — „აბა რა, ქალბატონო! კოპელმანისგან რომ არ გადავცე მოკითხვა, ისე როგორ იქნება!“ — გავიფიქრე გულში.

ემილის ინსტრუქციის თანახმად, ჩემი შემდეგი გაჩერება „გზად ცენტრისკენ“ იყო. მერიასთან ახლომდებარე „ჯეი ენდ აის“ კომპიუტერულ სამყაროში უნდა შემევლო. ჩანდა ეს იყო ერთადერთი მაღაზია, სადაც „ველური დასავლეთის მეომრებს“ შეიძენდი, ეს კომპიუტერული თამაში მირანდას ოსკარ დე ლა რენტასა და ანეტის ვაჟისთვის, მოსესთვის საჩუ-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქრად სურდა. ერთ საათში ცენტრში ვიყავით და მივხვდი, რომ ამ მობილურით საქალაქთაშორისო ზარების განხორციელება იყო შესაძლებელი და მეც სახლის ნომერი სიხარულით ავკრიფე, მინდოდა მშობლებისთვის მეხარებინა, რამდენად არაჩვეულებრივი სამსახური მხვდა წილად.

— მამა, გამარჯობა, ენდი ვარ. აბა, გამოიცანი, სად ვარ ახლა? კი, რა თქმა უნდა, სამსახურში, მაგრამ ჩემი ახალი სამსახური მანქანას, მძღოლსა და მანჰეტენზე სიარულს გულისხმობს. „რალფ ლორენის" და „შანელის" სახელოსნოებში ვიყავი, შემდეგ კომპიუტერული თამაშები ვიყიდე და ახლა ოსკარ დე ლა რენტასთან მივდივარ პარკ ავენიუზე, რათა ეს ყველაფერი გადავცე. არა, მისთვის არა, მირანდა მათ „დრ"-ში სტუმრობს. ანეტი, დე ლა რენტას მეუღლე, ამაღამ იქ მიფრინავს და რაღაცებს ვატანთ. ჰო, პირადი თვითმფრინავით! წარმოგიდგენია, მამი? რა თქვი? არა, „დრ" დომინიკელთა რესპუბლიკას ნიშნავს!

მამას უცნაური ხმა ჰქონდა, კმაყოფილი ჩანდა ჩემი ბედნიერი ხმით. იმ დასკვნამდე მივედი, რომ უმაღლესი განათლებით რაღაც კურიერის მსგავს პოზიციაზე დავინიშნე, რაც მე სრულებით მაწყობდა. „ლორენის" ტანსაცმელი, „შანელის" არაჩვეულებრივი შორტები და კომპიუტერული თამაში საუცხოო გარეგნობის შვეიცარს პარკ ავენიუს ვესტიბიულში დავუტოვე (აი, თურმე რატომ საუბრობდნენ ასეთი გატაცებით პარკ ავენიუზე!), უკან, „ელიას-კლარკ-ბილდინგში" გავემართეთ. როცა ოფისში შევაბიჯე, უამრავი წითელი და თეთრი პაკეტით გარშემორტყმული ემილი ბუდისტივით იჯდა იატაკზე, საჩუქრებს უბრალო თეთრ ქაღალდში ახვევდა და ლენტით კრავდა. ჩვენს მაგიდებს შორის იდენტური ფორმის ასობით, შესაძლოა ათასობით, ყუთი ელაგა, მირანდას ოფისიც ასევე იყო გადავსებული. ემილიმ ვერ შენიშნა, რომ თავზე წამოვადექი და ვაკვირდებოდი. დავინახე, თითო პაკეტის შესაფუთად ორიოდ წუთი სჭირდებოდა, კიდევ თხუთმეტი კი ატლასის თეთრი ბაბთის მისამაგრებლად. წამსაც არ კარგავდა, მოქნილად მოძრაობდა და გამზადებულ პაკეტებს თავის უკან, გროვად აწყობდა. შეფუთული ნივთების რაოდენობა სულ უფრო იზრდებოდა, თუმცა გროვა არ იშლებოდა. სამუშაო იმდენი იყო, რომ ამ ტემპში კიდევ ოთხი დღე რომ ემუშავა, ვერ დაასრუ-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლებდა. რამდენჯერმე დავუძახე კიდეც, მაგრამ კომპიუტერში ჩართული ოთხმოციანების მუსიკის ფონზე არაფერი ესმოდა.

— ემილი! გამარჯობა, დავბრუნდი, — ჩემკენ მოტრიალდა და წამით ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ვერ მიცნო. უმეტყველო თვალებით შემომაცქერდა. თუმცა წამებში „ახალი გოგონას" სტატუსმა გაახსენა, ვინც ვიყავი და სწრაფად მკითხა.

— აბა, როგორ ჩაიარა? ხომ ყველაფერი მიიტანე, რაც სიაში ეწერა? — თავი თანხმობის ნიშნად დავუქნიე — კომპიუტერული თამაშიც? როცა მაღაზიაში დავრეკე, ერთი ცალიღა იყო დარჩენილი. მიუსწარი? — თავი ისევ დავუქნიე — და დელა რენტას შვეიცარს ტანსაცმელთან და შორტებთან ერთად ჩააბარე პარკ ავენიუზე, ხომ?

— დიახ, უპრობლემოდ. ყველაფერმა კარგად ჩაიარა, რამდენიმე წუთის წინ ყველაფერი ადგილზე მივიტანე. ინტერესი მკლავს, ნუთუ მირანდა მართლა ჩაიცვამს იმ...

— მისმინე, ტუალეტში უნდა გავვარდე, შენ გელოდებოდი. ცოტა ხნით ტელეფონს მიაქციე ყურადღება, კარგი?

— ჩემი წასვლის მერე ტუალეტში არ შესულხარ? — გაოგნებულმა ვკითხე, — კი მაგრამ, რატომ? ხუთი საათი რამ მოგათმენინა?

ემილი შეფუთულ ყუთზე ბაფთის მიკვრას ცდილობდა, ცივად რომ ამომხედა.

— მირანდას არ უყვარს, როცა ტელეფონს მისი თანაშემწეების გარდა სხვა პასუხობს, იძულებული ვიყავი, დაგლოდებოდი. მართალია, შემეძლო ორი წუთით შემერბინა, მაგრამ ვიცი, რამდენად გიჟური დღე აქვს და შემთხვევით რომ დაერეკა, ადგილზე უნდა დავხვედროდი. ასე რომ, ამიერიდან მე და შენ ერთმანეთთან შეუთანხმებლად არსად გავდივართ — ტუალეტშიც კი. ვმუშაობთ ერთ გუნდად, რათა მირანდასთვის სამუშაო საუკეთესოდ შევასრულოთ. გასაგებია?

— გასაგებია. — ვუპასუხე, — მიდი, მე აქ ვიქნები, — ვუთხარი. ემილი გატრიალდა და გავიდა. მაგიდას ხელებით დავეყრდენი. ნუთუ საბრძოლო გეგმის მიხედვით, წინასწარ შეუთანხმებლად ტუალეტში ვერ გახვალ? საკუთარი შარდის ბუშტი დაიმორჩილა და საპირფარეშოში მხოლოდ იმის შიშით არ შევიდა, რომ მაინცდამაინც მისი არყოფნის წუთებში ატლანტის ოკეანის გალმიდან მირანდა დაურეკავდა? გამოდის, რომ

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

ასეა. ცოტათი მეუცნაურა და ვიფიქრე, ალბათ ემილი ზედმეტად მონადინებული თანამშრომელია-მეთქი. გამორიცხულია, მირანდას საკუთარი თანაშემწეებისაგან ასეთი მსხვერპლი მოეთხოვა. ამაში დარწმუნებული ვიყავი. თუ ვცდებოდი?

პრინტერიდან რამდენიმე ქაღალდი ავიღე და სათაურს დავხედე: „საშობაო საჩუქრები მიღებულია." ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი. საჩუქრების ჩამონათვალი ექვს ფურცელს მოიცავდა და თითოეული საჩუქრის გვერდით გამომგზავნის სახელი იყო მითითებული — ჯამში ორას ორმოცდათექვსმეტი. ინგლისის დედოფლის საქორწინო საჩუქრების სიას ჰგავდა. გადასახედად საკმაო დრო დამჭირდა. ჩამონათვალში ამოვიკითხე „ბობი ბრაუნის" კოსმეტიკის ნაკრები თვით ბობი ბრაუნისგან, „ქეით სპეიდის" ექსკლუზიური ტყავის ხელჩანთა თვით ქეით სპეიდისაგან, „ბონდ სტრით სმაითსონის" ღვინისფერი ტყავის ორგანაიზერი გრეიდონ კარტერისგან, უძვირფასესი თხელი ბეწვის საძილე ტომარა მიუჩია პრადასგან, ბისერებით გაწყობილი სამაჯური აირინ ლაუდერისგან, ბრილიანტის ნამსხვრევებით გამშვენებული მაჯის საათი დონატელა ვერსაჩესგან, შამპანურის ყუთი სინტია როულისგან, მძივებიანი მაისური და მისივე საღამოს ჩანთა მარკ ბედგლისა და ჯეიმს მიშკასგან, „კარტიეს" კალმისტართა ნაკრები ირვ რავიცისგან, შინშილის ბეწვის კაშნე ვერა ვონგისგან, „ზებრა" ჟაკეტი ალბერო ფერეტისგან, მეწამული ფერის ქიშმირის საბანი როზმარი ბრავოსგან — ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. საჩუქრებში მითითებული იყო, ასევე, თითქმის ყველა დიზაინერის მიერ შექმნილი ნებისმიერი ზომისა და ფორმის ჩანთები: ჰერბ რითისგან, ბრუს ვებერისგან, ჟიზელა ბუნდჰენისგან[33], ჰილარი კლინტონისგან, ტომ ფორდისგან, კელვინ კლაინისგან, ენი ლეიბოვიცისგან[34], ნიკოლ მილერისგან, ანდრინე ვიტადინისგან[35], მაიკლ კორსისგან, ჰელმუთ ლანგისგან, ჯორჯო არმანისგან, ჯონ საგასგან, ბრუნო მალისგან, მარიო ტესტინოსგან და ნარციზო როდრიგესისგან[36] — ყველას ჩამოთვლა დიდ დროს წაიღებდა. ჩამოწერილი იყო ათობით საქველმოქმედო ორგანიზაცია, სადაც მირანდას სახელით სხვადასხვა სახის საქველმოქმედო შენაწირი ირიცხებოდა: ძვირად ღირებული შამპანურების ათობით ბოთლი, რვა თუ ათი ცალი „დიორის"[37] ჩანთა, ოცდაოთხი ცალი თუ უფრო მეტი სურნელოვანი სანთელი, აღმო-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

სავლურ სტილში დამზადებული რამდენიმე ცალი კერამიკული ნაკეთობა, აბრეშუმის პიჟამები, წიგნები ტყავის ყდით, აბაზანის აქსესუარები, შოკოლადები, სამაჯურები, ხიზილალა, ქიშმირის ბლუზები, მოჩარჩოებული ფოტოები და იმდენი ყვავილი (ქოთანში და უქოთნოდ), რომ ჩინეთში, სადაც ხუთასი წყვილი ერთდროულად ქორწინდება, საქორწინო დეკორაციისთვის საფეხბურთო სტადიონს გაავსებდა. „ღმერთო ჩემო! ეს რა არის! ნუთუ ეს სინამდვილეში ხდება? როგორ უნდა ვიმუშაო ქალთან, რომელიც საშობაოდ მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ადამიანებისაგან ორას ორმოცდათექვსმეტ საჩუქარს იღებს?" რაღაც ეჭვი შემეპარა. მართალია, სიაში ჩემთვის მხოლოდ რამდენიმე ძალიან ცნობილი დიზაინერისა და გამოჩენილი ადამიანის გვარი ამოვიკითხე, მაგრამ წარმოდგენა არ მქონდა, რომ მათ შორის ასევე იყვნენ მსოფლიოში ყველაზე წარმატებული ფოტოგრაფები, ვიზაჟისტები, მოდელები, მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები და „ელიას-კლარკი-ბილდინგის" ხელმძღვანელობა. მაინტერესებდა, ამათგან ემილი ყველას იცნობდა თუ არა. ოთახში რომ დაბრუნდა, თავი მოვიკატუნე, თითქოს სია არც მაინტერესებდა, მაგრამ ჩანდა, რომ საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, სიას გავცნობოდი.

— გასაოცარია, არა? ის მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ქალია! — მაგიდიდან ფურცლები აიღო და კითხვისას ისე ამოიოხრა, რომ „ვნების" გარდა ვერაფერს დაარქმევდით — უფრო გასაოცარი რამ გინახავს ცხოვრებაში? ეს გასული წლის სიაა, შენთვის ამოვბეჭდე, რომ წარმოდგენა გქონდეს, წელს რა მოგველის, მალე საჩუქრების მოტანას დაიწყებენ. ეს ჩვენი სამუშაოს საუკეთესო ნაწილია — მისი ყველა საჩუქრის გახსნა.

დავიბენი:

— როგორ, მის საჩუქრებს ჩვენ ვხსნით? კი მაგრამ, თვითონ რას აკეთებს?

— სრულ ჭკუაზეხარ? მირანდას გამოგზავნილი საჩუქრების ნახევარი არ მოსწონს. ზოგი საერთოდ შეურაცხმყოფელიცაა მისთვის და არასოდეს ვუჩვენებ. მაგალითად, ეს, — მითხრა და პატარა ყუთი მიჩვენა. „ბენგ ენდ ოლუფსენის" ფირმის დისტანციური ტელეფონი იყო, ნამდვილი ვერცხლის პანელებით, ორი ათასი მილის რადიუსის თავისუფლად დაფარვა შეეძლო. ერთი-ორი კვირის წინ სავაჭრო ცენტრში ვიყავით და

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

იმავე ფირმის სტერეოსისტემაზე ალექსი ლამის შეიშალა, იქიდან ვიცოდი, რომ ტელეფონი, რომელსაც ყველა ის ფუნქცია ჰქონდა, რაც კი შეიძლება ზოგადად ტელეფონს ჰქონდეს, ხუთას დოლარზე მეტი ღირდა. — წარმოდგენილი გაქვს? ვიღაცას ეყო თავხედობა და მირანდას ეს გამოუგზავნა! — მითხრა და ტელეფონი გადმომიგდო, — შენი იყოს თუ გინდა, ამას მირანდასთან მაინც არასოდეს გამოვაჩენ, ვერ აიტანს, რომ მისთვის რაიმე ელექტრონულის ჩუქება გაბედეს, — სიტყვა „ელექტრონული" ისე წარმოთქვა, თითქოს „დაინფიცირებულს" გულისხმობდა. ტელეფონი მაგიდის უჯრაში შევინახე და შევეცადე სიხარულისგან არ გამღიმებოდა. ეს შესანიშნავი იყო! საოჯახო ნივთების სიაში დისტანციური ტელეფონის ყიდვა პირველ ადგილზე მქონდა და სულ რაღაც ორი წუთის წინ ხუთას დოლარზე მეტი ღირებულების ნივთი მაჩუქეს! — ისე, — განაგრძო ემილიმ, თან მირანდას ოფისში, იატაკზე ისევ ბუდისტივით მოკალათდა, — მოდი, რამდენიმე საათით ღვინის ბოთლების შეფუთვა გავაგრძელოთ და მერე დღევანდელი საჩუქრების გახსნაც შეგეძლება. აი, იქ დევს, — უკან მაგიდაზე გროვებად დაწყობილ ფერად ყუთებზე, პაკეტებსა და კალათებზე მიმანიშნა.

— ამ საჩუქრებს მირანდას სახელით ვგზავნით? — ვკითხე, თან ყუთი ავიღე და თეთრ ქაღალდში მისი შეფუთვა დავიწყე.

— ჰო, ყოველ წელს ერთი და იგივეა. პირველ ადგილზე „ელიას-კლარკის" ხელმძღვანელობა და ცნობილი დიზაინერებია, ისინი ასევე მირანდას მეგობრებიც არიან და მათ „დომ პერინონის" შამპანურს უგზავნის. ამ კატეგორიაში იურისტი და ბულალტერიც შედის. შემდეგ მოდიან ტყუპის მასნავლებლები, თმის სტილისტები და ასე შემდეგ. მათ „კლიკოს ქვრივის" მარკის შამპანურით ასაჩუქრებს, ხოლო იმ ხალხს, ვინც მირანდას ეტიკეტის გამო უგზავნის საჩუქრებს, ასევე მის ვეტერინარს, ძიძებს, რომლებიც კარას ცვლიან ხოლმე, მაღაზიების თანამშრომლებს, ვისთანაც მირანდა ხშირად სტუმრობს, და კონექტიკუტში მისი სახლის მომვლელებს, — „რუფინო შანტით" ულოცავს შობას. მოკლედ, ნოემბრის დასაწყისში ოცდახუთი ათასი ბოთლი შამპანური შევუკვეთე. ჩვეულებრივ მათ „შერი ლემანი" გვაწვდის ხოლმე, შეფუთვაში დრო თვემდე გვეხარჯება. გაგვიმართლა, რომ მირანდა ახლა

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

აქ არაა, შეგვიძლია სახლში წავიღოთ და იქ შევფუთოთ და რაც ყველაზე მთავარია, ყველაფერს „ელიასი" იხდის.

— ალბათ „შერი ლემანს" რომ შეეფუთა, ორმაგს მოითხოვდა, არა? — ინტერესით ვიკითხე, თან საჩუქრების იერარქიას ვიმახსოვრებდი.

— ჩვენ რაში გვენაღვლება? — წაიბურტყუნა, — დამიჯერე, მალე მიხვდები, რომ აქ ფული პრობლემა არაა. უბრალოდ, მირანდას მათი შესაფუთი მასალა არ მოსწონს. შარშან შესაფუთად ეს თეთრი ქაღალდი მივეცით და უხეიროდ შეფუთეს. — ამაყად განმიცხადა.

მას შემდეგ, რაც ემილიმ შეფუთვის ტექნიკა ამიხსნა, ექვს საათამდე ვფუთეთ. თან „პოდიუმის" უცნაური და გასაოცარი სამყაროს ბოლომდე შეგრძნებას ვცდილობდი. ემილი მიხსნიდა თუ როგორი ყავა (ლატე დიდ ჭიქაში შაქრის ორი ნატეხით) უყვარს მირანდას. ამ დროს ოფისში ულამაზესი ქერა გოგონა შემოვიდა მოწნული კალათით, რომელიც ჩვილის სატარებელ კალათს მოგაგონებდათ. მირანდას კაბინეტთან ცქმუტავდა, თითქოს ეშინოდა რუხი ფერის ნაზი ხალიჩა მცოცავ ქვიშად არ გადაქცეულიყო და ზედმეტი მოძრაობის გამო „ჯიმი ჩუს" ჩექმიანად ქვემოთ არ ჩაეტანა.

— გამარჯობა, ემ. ქვედაბოლოები მოვიტანე. ბოდიში, რომ ასე დამაგვიანდა, დღესასწაულებისთვის როცა გჭირდება, ადგილზე ვერავის ნახავ. მოკლედ, იმედია მისი გემოვნების შესაფერისს იპოვი. — თქვა და ქვედაბოლოებით სავსე კალათას დახედა.

ემილიმ ზიზღნარევი გამომეტყველება მიიღო:

— მაგიდაზე დატოვე. რაც არ გამოდგება, დაგიბრუნებ. შენს გემოვნებას თუ გავითვალისწინებთ, ვფიქრობ, უმეტესობა უვარგისი იქნება. — ეს ბოლო წინადადება ჩუმად, მხოლოდ ჩემს გასაგონად წაიბურტყუნა.

ქერა ლამაზმანი დაბნეული ჩანდა, ეტყობოდა, დიდი პოპულარობით არ სარგებლობდა, მაგრამ მე სასიამოვნო გოგონად მომეჩვენა. კითხვა გამიჩნდა, თუ რატომ სძულდა ასე ემილის, მაგრამ იმდენად გრძელი და დამღლელი დღე იყო, იმდენი ვირბინე, რომ აღარაფერი ვთქვათ საჩუქრების დახარისხება-შეფუთვასა და მათი იერარქიის დამახსოვრებაზე, შეკითხვის თავი ნამდვილად აღარ მქონდა. ემილიმ კალათა მაგიდაზე

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

დადო და დოინჯშემორტყმული ზედ დააშტერდა. რასაც მირანდას ოფისიდან ვხედავდი, კალათში ასე ოცდახუთამდე სხვადასხვა სახის ქსოვილის, ფერისა თუ ზომის ქვედაბოლო იდო. მართლაც რომ არ დაუკონკრეტებია, რა უნდოდა! თავი არც კი შეიწუხა, ემილისთვის მიენიშნებინა, მაინც რა ტიპის ქვედაბოლო სურდა — ოფიციალურ ვახშამზე ჩასაცმელი, სპორტული მატჩისთვის შესაფერი, თუ სულაც საცურაო კოსტიუმზე შემოსაცმელი? ჯინსი თუ შიფონი? საიდან უნდა გვცოდნოდა, რა მოეწონებოდა? და მგონი, პასუხს მალე გავიგებდი. ემილიმ კალათა მირანდას ოფისში ფრთხილად შემოიტანა და ჩემგან არც ისე შორს, ნაზად დადო იატაკზე. ძირს დაჯდა, სათითაოდ დაიწყო მათი ამოლაგება და გარშემო დალაგება. „სელინის" ყაისნაღით ნაქსოვ კაბაზე ფუკსიას ორნამენტები გამაოგნებელი სილამაზის ჩანდა, შემდეგ „კელვინ კლაინის" შავი მარგალიტისფერი გაშლილი ქვედაბოლო ამოიღო, მას მოსდევდა თვით მისტერ დე ლა რენტას შავი ზამშეს ქვედაბოლო, რომელიც დაბლა შავი ბისერებით იყო გაწყობილი. ასევე ამოალაგა წითელი, ღია ვარდისფერი და იასამნისფერი ქვედაბოლოები, ზოგი მაქმანიანი, ზოგიც ქიშმირის. ნაწილი კოჭებამდე სიგრძისა იყო და სიარულისას ალბათ გრაციოზულად ირხეოდა, ნაწილი კი ისეთი მოკლე, ქამარი გეგონებოდათ. აბრეშუმის ყავისფერი ქვედაბოლო ავიღე და მივიზომე, მუხლს ოდნავ სცდებოდა, ისეთი ვიწრო იყო, მასში მხოლოდ ცალ ფეხს თუ ჩავტევდი. შემდეგ ტიულისა და შიფონის პლისე გრძელ ქვედაბოლოებს შევავლე ხელი, მეტისმეტად გამოსასვლელი მეჩვენა, ალბათ „ჩარლსტონ-გარდენის" წვეულებაზე თუ ჩაიცვამდი. ემილიმ კალათიდან კიდევ ერთი ქვედაბოლო ამოიღო. ამჯერად გახეხილი ჯინსის უზარმაზარი ყავისფერი ტყავის ქამრით. ბოლოს რაღაც დაჭმუჭნილი, წინგადასადები, ნახევრად გამჭვირვალე ვერცხლისფერი ნაჭრის, სუფრასავით ქვედაბოლო ამოაძვრინა. ნუთუ ეს ქვედაბოლოა? ნეტა ვინ უნდა ჩაიცვას იგი?

— გამოდის, მირანდას ქვედაბოლოებზე გართულება აქვს, არა? — ვკითხე, რადგან უფრო აზრიანი ვერაფერი მოვიფიქრე.

— წარმოიდგინე, რომ სულაც არა, მირანდას გართულება მხოლოდ შარფებზე აქვს. — არც კი შემოუხედავს, ისე მიპასუხა, თითქოს ის წუთია გაეგო, ჰერპესვირუსი რომ ჰქონდა და

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

თვალს მარიდებდა, — აუცილებლად უნდა იცოდე, რომ ეს მისი ერთ-ერთი ახირებაა.

— მართლა? — შევეცადე ინტერესით მეკითხა და არა შეშფოთებით, — შარფებზე აქვს გართულება? მეც მიყვარს ტანსაცმელი, ჩანთები, ჩექმები, როგორც ნებისმიერ გოგონას, თუმცა ამას „გართულებას" ვერ დავარქმევდი — ვგრძნობდი, აქ რაღაც გაცილებით რთულად იყო საქმე, ვიდრე ამას ემილი ამბობდა.

— ჰო, ხომ იცი, შეიძლება ქვედაბოლოს ჩაცმა რაიმე განსაკუთრებული მიზეზით უნდოდეს, მაგრამ შარფებზე ეკეტება. შარფი მისი სტილის განუყოფელი შტრიხია, ხელწერასავითაა. ხვდები? — მკითხა და თან შემომხედა. ეტყობა, სახეზე მეწერა, რომ აზრზე არ ვიყავი, რაზე ლაპარაკობდა.

— გასაუბრების დროს ხომ გახსოვს, რა ეცვა?

— რა თქმა უნდა, — სწრაფად მივუგე და გავიფიქრე, უმჯობესი იქნებოდა გავჩუმებულიყავი და არ შემტყობოდა, რომ სულ არ მახსოვდა მირანდას ჩაცმულობა, — მაგრამ, რაღაც, შარფი არ მახსენდება.

— მას ყოველთვის, ყოველთვის, უკეთია „ჰერმესის"[38] თეთრი შარფი, ძირითადად — ყელზე, ხანდახან მისი სტილისტი თმის გრაგნილზე შემოახვევს ხოლმე ლამაზად, შეიძლება საერთოდაც ქამრის სანაცვლოდ მოარგოს. შარფი მისი ხელწერაა. ყველამ იცის, რომ რაც უნდა მოხდეს, მირანდა პრისტლის „ჰერმესის" თეთრი შარფი ყოველთვის უკეთია. მაგარია, არა?

ზუსტად ამ დროს შევამჩნიე, რომ „კარგოს"[39] შარვალზე ქამრის ნაცვლად შემოხვეული მოყვითალო-მომწვანო შარფი გამჭვირვალე მაისურიდან ემილისაც მოუჩანდა.

— მას მოსწონს ასეთი დავალებების მოცემა, ეს შემთხვევა ამის ნათელი მაგალითია. მოკლედ, იმ იდიოტებს, მოდის ცოდნას რომ იჩემებენ, წარმოდგენა არა აქვთ, რა მოსწონს მირანდას. აბა, ამას დახედე? საშინელებაა! — და საოცრად ლამაზი, მძიმე ნაჭრისგან შეკერილი გაშლილი ქვედაბოლო მიჩვენა. მუქ შოკოლადისფერ ფონზე ოქროსფერი წინწკლები ეყარა, რაც სხვა ქვედაბოლოებთან შედარებით, გამოსასვლელი სამოსის იერს სძენდა.

— გასაგებია, — ოღონდ შეეწყვიტა და მგონი, მეასეჯერ თუ მეათასეჯერ დავეთანხმე, აღარც კი მახსოვს.

— ეს უბრალოდ კატასტროფაა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

არადა, იმდენად ლამაზი ქვედაბოლო იყო, საკუთარ ქორ-წილზე სიამოვნებით ჩავიცვამდი.

ემილი ისევ ლაპარაკობდა, მიყვებოდა თუ როგორი მოდელები, ქსოვილები და ნაჭრები მოსწონდა მირანდას. შიგადაშიგ რომელიმე კოლეგასაც გაჰკრავდა კბილს. საბოლოოდ სამი ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ქვედაბოლო შეარჩია და გასაგზავნად გადადო, თუმცა ლაპარაკი მაინც არ შეუწყვეტია. მისი მოსმენა ვცადე, მაგრამ უკვე შვიდი ხდებოდა და ვერ გამეგო, რა მემართებოდა, მშიოდა, გული მერეოდა თუ უბრალოდ, გადაქანცული ვიყავი. მგონი, — სამივე ერთად. ვერც კი შევნიშნე, როდის შემოვიდა ოფისში ყველაზე მაღალი ადამიანი, ვინც კი ოდესმე ცხოვრებაში მენახა.

— ᲨᲔᲜ! — ᲛᲝᲛᲔᲡᲛᲐ ᲣᲙᲜᲘᲓᲐᲜ, — ᲬᲐᲛᲝᲓᲔᲥᲘ ᲓᲐ ᲘᲡᲔ ᲓᲐᲓᲔᲥᲘ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲓᲐᲒᲘᲜᲐᲮᲝ!

შევტრიალდი და დავინახე დაახლოებით ორ მეტრზე მაღალი კაცი, გარუჯული კანითა და შავი თმით. მე მიყურებდა. ას ოცი კილოგრამი მაინც იქნებოდა, ათლეტური აღნაგობა ჰქონდა, გეგონებოდა, საცაა ჯინსები კუნთებზე შემოასკდებაო.... ღმერთო დიდებულო! მას „ქეთსუითი"[40] ეცვა! და თან — სექსუალურად მოტკეცილი ჯინსის შარვალი წელზე ქამრით, მკლავებზე აწეული სახელოებითა და მოსასხამით. ბეწვის მოსასხამი საბანივით ჰქონდა მოდებული სქელ კისერზე, შავი ლაკის ფეხსაცმლის უზარმაზარ ნაკვალევს ალბათ ჩოგბურთის ჩოგნით თუ გაზომავდი. იქნებოდა ასე ოცდათხუთმეტის, მაგრამ ათლეტური აღნაგობა, მუქი კანი და ქალური ნაკვთები ათი წლით აახალგაზრდავებდა. ხელით მანიშნა, ადექიო. ისე წამოვდექი, რომ მისთვის თვალი არ მომიშორებია, მან მყისვე ჩემი „შესწავლა" დაიწყო.

— აბა, აბა, ვნახოთ ერთი, — ისე დაიბღავლა, თითქოს ფალცეტოს პატრონი ყოფილიყო, — ხომ იცი, მშვენიერი გოგო ხარ, მაგრამ ძალიან სერიოზული! თან ვატყობ, ჩაცმა-დახურვა დიდად არ გადარდებს!

— მე ანდრეა ვარ. მირანდას ახალი თანაშემწე.

ამხედ-დამხედა, ჩემი სხეულის ყოველი სანტიმეტრი შეისწავლა. ემილი დამცინავად გვაკვირდებოდა. აუტანელი სიჩუმე ჩამოვარდა.

— ᲛᲣᲮᲚᲐᲛᲓᲔ ᲥᲕᲔᲓᲐᲑᲝᲚᲝ ᲓᲐ ᲛᲣᲮᲚᲐᲛᲓᲔ ᲩᲔᲥᲛᲐ? ᲮᲣᲛᲠᲝᲑ, ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲕ? ᲘᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲗᲣ ᲐᲖᲠᲖᲔ ᲐᲠ

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

ხარ ან კართან დიდი შავი ასოებით წარწერა არ წაგიკითხავს — ჟურნალი „პოდიუმი“ — მოდის სამყაროს უმნიშვნელოვანესი ჟურნალი პლანეტაზე! მაგრამ არ იდარდო, ფისუნია! ნაიჯელი მოგხედავს და სულ მალე ნაცრისფერი ვირთხა აღარ იქნები! — თავისი ტორები თეძოებზე დამადო და შემომატრიალა. მის მზერას ფეხებსა და საჯდომზე ვგრძნობდი, — ძალიან მალე, ძვირფასო, გპირდები, რადგან ძალიან კარგი „მასალა“ ხარ. მაგარი ფეხები გაქვს, შესანიშნავი თმა და მსუქანიც არ ხარ. მსუქნებს ვერაფერს მოვუხერხებ, მათი ატანა არ მაქვს. ძალიან მალე, ძვირფასო...

მინდოდა გავბრაზებულიყავი, მომეცილებინა მისი ხელები, მაგრამ რამდენიმე წუთში გავიაზრე, რომ ჩემთვის სრულიად უცხო ადამიანმა — მერე რა, რომ თანამშრომელმა — გულწრფელად, ყოველგვარი მორიდების გარეშე შემაფასა, გამომლანძღა და შემაქო. არაფერი გამომივიდა, ვერ გავბრაზდი. პირიქით, მომეწონა მისი კეთილი მწვანე თვალები. ისინი იცინოდნენ, არ დამცინოდნენ, ყველაზე მეტად კი მხიბლავდა, რომ გამოცდა ჩავაბარე. ის ხომ ნაიჯელი იყო — მარტო სახელი ჟღერდა, როგორც „მადონა“ ან „პრინცი“ — მოდის კანონმდებელი, რომლის სახელი მეც კი გამეგონა. ტელევიზია თუ ჟურნალები, ყვითელი პრესის ქრონიკა მასზე წერდა და ლაპარაკობდა. მან კი მშვენიერი მიწოდა. მითხრა, რომ კარგი ფეხები მაქვს! „ნაცრისფერ ვირთხას“ ვივიწყებთ! ნაიჯელი შემიყვარდა!

გავიგონე, ემილიმ უთხრა, შეეშვიო, მაგრამ მე არ მინდოდა, რომ ის წასულიყო. სამწუხაროდ, კარისკენ გაემართა, ბეწვის მოსასხამს მიაქანავებდა. მინდოდა გავდევნებოდი, მეთქვა, რომ მისი გაცნობით ბედნიერი ვარ, რომ უხეში კრიტიკის გამო თავი დამცირებულად არ მიგრძნია, რომ სიხარულით ცას ვეწიე, როცა ჩემზე „მუშაობის“ სურვილი გამოთქვა, მაგრამ სიტყვის თქმაც ვერ მოვასწარი — ნაიჯელი შემოტრიალდა, ორი უშველებელი ნაბიჯით თუ ნახტომით ჩვენ შორის მანძილი დაფარა, ჩემ წინ გაჩნდა, წელზე ხელი მომხვია და ჩამიხუტა. როდესაც თავი მკერზე დავადე „ჯონსონს ბეიბის“ სურნელი შევისუნთქე. ნაიჯელს მეც ჩავეხუტე. ცოტა ხანში უკან დაიხია, ჩემი ხელი თავის ხელებში მოიქცია და ყვირილით მითხრა:

— კეთილი იყოს თოჯინების სახლში შენი მობრძანება, პატარავ!

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

5

— რა გითხრა? — მკითხა ლილიმ, რომელსაც პირში მწვანე ჩაის ნაყინით სავსე კოვზი ჰქონდა გაჩრილი. ცხრა საათზე ერთმანეთს „სუში სამბაში" შევხვდით, რათა ჩემი სიახლეები მისთვის მეხარებინა. პირველ ხელფასამდე მშობლებმა „საგანგებო სიტუაციებში" გამოსაყენებელი საკრედიტო ბარათი დამიბრუნეს. გულში მადლობას ვუხდიდი, რომ სწორედ იმ ბარათით შევექცეოდით მე და ლილი თინუსის სენდვიჩს წყალქვეშა მცენარეების სალათით.

— მითხრა, კეთილი იყოს, პატარავ, თოჯინების სახლში შენი მობრძანებაო! გეფიცები ასე მითხრა, ხომ მაგარია?

კოვზით ხელში ლილი პირდაღებული მომშტერებოდა.

— დამიჯერე, ყველაზე მაგარი სამსახური გაქვს! — მომიგო ლილიმ, რომელიც თვლიდა, რომ ასპირანტურას ერთი წლით სადმე ნორმალურ ადგილას წამუშავება ჯობდა.

— მართლაც ასეა! თუმცა ცოტა უცნაური სამუშაოა, მაგრამ მაინც ძალიან მაგარი, — ვუპასუხე და თან „ბრაუნის" ნამცხვარს ვციცქნიდი, — ხანდახან ეჭვი მეპარება, იქნებ ჯობდა სწავლა გამეგრძელებინა, მოკლედ...

— ჰო, აბა რა, დარწმუნებული ვარ, ძალიან მოგეწონებოდა ნახევარ განაკვეთზე მუშაობა და თან ლექციებზე სირბილი, ძვირად ღირებულ, თან სრულიად უსარგებლო სადოქტოროში ფულის ყრა. ეს გინდოდა? არ მითხრა ახლა, შენი მშურსო. ნარმოგიდგენია ყოველ ღამე დილის ოთხამდე ლუდის ბარში მუშაობა და მერე მთელი დღე ლექციებზე ჯდომა? განა ეს გინდა? დაბოლოს, თუ ოდესმე ასპირანტურა დავამთავრე — დიდი კითხვის ნიშნით — თუ ოდესმე დავამთავრე, გარანტია არა მაქვს, რომ სამუშაოს ვიშოვი. მოკლედ... — ნაძალადევად გამილიმა და ბოთლიდან ლუდი „საპორო" მოსვა.

ლილი კოლუმბიის უნივერსიტეტის ასპირანტურაში კლასიკურ რუსულ ლიტერატურას სწავლობდა და საღამოობით სადღაც-სადღაც მუშაობდა. ბებიას ვერაფერში ეხმარებოდა, რადგან საკუთარ თავს ძლივს ინახავდა, სტიპენდია კი არ ჰქონდა. საერთოდაც გასაკვირი იყო, რომ იმ დღეს არ მუშაობდა და ჩემთან შეხვედრა მოახერხა. ყოველთვის, როცა ლილი თავის ცხოვრებაზე წუწუნს იწყებდა, კარგად ნაცად ხერხს მივმართავდი.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მაშინ რატომ არ დაანებებ სწავლას თავს, ლილ? — მაინც ვკითხე, თუმცა პასუხი მილიონჯერ მქონდა მოსმენილი. ჩაიცინა და თვალები აატრიალა.

— იმიტომ, რომ მიყვარს! — სარკასტულად წაიმღერა. მიუხედავად იმისა, რომ ამას არასოდეს აღიარებდა, რადგან წუწუნი უფრო ეხალისებოდა, ცხოვრების სწორედ ასეთი სტილი მოსწონდა. რუსული კლასიკური ლიტერატურა მერვე კლასიდან შეუყვარდა. ერთხელ მასწავლებელმა ის მრგვალი სახითა და შავი ხვეული თმით ლოლიტას[1] შეადარა, გაკვეთილების მერე ლილი პირდაპირ შინ წავიდა და ნაბოკოვის კითხვას შეუდგა, მასწავლებლის მიერ ლოლიტასთან მის შედარებას სრულებით არ შეუწუხებია, პირიქით — ნაბოკოვის ყველა ნაწარმოები გადააკითხვინა. ამას ტოლსტოი, გოგოლი და ჩეხოვი მოჰყვა. ინსტიტუტში ჩაბარების დრო რომ დადგა, ლილიმ ბრაუნის უნივერსიტეტის რუსული ლიტერატურის ფაკულტეტი აირჩია, მისაღებ გამოცდაზე გააოცა პროფესორი, რომელიც სწორედ ამ მიმართულების სპეციალისტი იყო და ათქმევინა, რომ ჩვიდმეტი წლის ასაკში რუსული ლიტერატურის ასეთი მცოდნე არათუ აბიტურიენტი ან სტუდენტი, მაგისტრანტიც კი არ ჰყოლია.

ლიტერატურა ახლაც ძალიან უყვარს, რუსულ გრამატიკას სიყვარულით სწავლობს, ორიგინალში კითხულობს და წერს, მაგრამ წუწუნი უფრო სიამოვნებს.

— ჰო, ალბათ დაგეთანხმები, რომ საუკეთესო სამსახური ვიშოვე. წარმოიდგინე, „რალფ ლორენის", „შანელის" მოდის სახლები და ოსკარ დე ლა რენტას ბინა ვნახე, თან მუშაობის პირველსავე დღეს! არ ვიცი, „ნიუ-იორკერში" ეს რამდენად დამეხმარება, მაგრამ მგონი, ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. რეალობიდან ძალიან შორს ვარ. ხვდები, არა?

— მაშ, როცა აზრზე მოხვალ და რეალობას დაუბრუნდები, იცი, სადაც მიპოვო, — მითხრა და ჩანთიდან მეტროს „სამგზავრო" ამოიღო — თუ შემთხვევით ჰარლემის პატარა გეტო, ჩემი ორმოცდაათი კვადრატული „მდიდრული" ბინა მოგენატრა, იცოდე, შენს განკარგულებაშია.

ფული გადავიხადეთ, დამშვიდობებისას ერთმანეთს გადავეხვიეთ. მანამდე ლილიმ მიმასწავლა, მეშვიდე ავენიუსა და კრისტოფერ სთრიტის კუთხიდან ჩემს ახალ ბინამდე როგორ

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

წავსულიყავი. მის წინაშე რამდენჯერმე დავიფიცე, რომ ვიცოდი, სად მდებარეობდა უახლოესი მეტროსადგური, რომელი ხაზის მატარებელი მიმიყვანდა მეექვსე ავენიუმდე და როგორ უნდა მივსულიყავი 56-ე ქუჩით ჩემს ახალ ბინამდე, მაგრამ როგორც კი დავცილდით, მაშინვე ტაქსიში ჩავხტი.

მხოლოდ ამ ერთხელ-მეთქი, — დავპირდი საკუთარ თავს, თბილ სავარძელში მოვკალათდი და შევეცადე ისე მესუნთქა, არ მეგრძნო ოფლის სუნი, მძღოლს რომ ასდიოდა. აკი უკვე „პოდიუმის" თანამშრომელი ვიყავი.

სამუშაო კვირამ ისე ჩაიარა, როგორც პირველმა სამუშაო დღემ, რითაც ძალიან კმაყოფილი ვიყავი. პარასკევს, დილის შვიდზე მე და ემილი ერთმანეთს კვლავ თოვლივით ქათქათა ვესტიბიულში შევხვდით. მან საშვი გადმომცა ჩემი ფოტოთი, რომელიც არც მახსოვდა, როდის გადავიღე.

— სამეთვალყურეო კამერით არის გადაღებული, — მიპასუხა, როცა ფოტოს დავაჩერდი, — რომ იცოდე, ირგვლივ ყველგან ვიდეოკამერაა. სერიოზული ქურდობის შემთხვევები იყო, ამის გამო ტანსაცმლისა და ძვირფასეულობის განყოფილებებმა ვიდეოთვალის დაყენება ითხოვეს. როგორც ჩანს, კურიერები და ხანდახან რედაქტორებიც ცდუნებას ვერ უძლებენ. ასე რომ, ახლა ყველა კონტროლდება — მითხრა და აპარატში თავისი ბარათი გაატარა. ჩვენ წინ შუშის კარი გაიღო.

— აკონტროლებენ? ეს რას ნიშნავს?

ემილი ჩვენი სამდივნოსკენ დერეფნით მიემართებოდა, „სევენის" მოტკეცილ ყავისფერ შორტებში გამოწყობილი სწრაფად მიაბიჯებდა. რამდენიმე დღის წინ მითხრა, რომ ასეთი შორტები შემეძლო მეც შემეძინა, რადგან მირანდა გოგონებს ოფისში მათი ჩაცმის უფლებას აძლევდა.

— ეს და „MJ" წავა, მაგრამ მხოლოდ პარასკეობით და თან, მაღალქუსლიანები თუ გაცვია.

— „MJ"?

— „მარკ ჯეიკოფსი"[42] — გაღიზიანებულმა მიპასუხა, — ასე რომ, სამეთვალყურეო კამერებისა და ამ ბარათების წყალობით ზედმიწევნით იციან, ვინ რას აკეთებს, — მითხრა, „გუჩის" ჩანთა მაგიდაზე დააგდო და შეიხსნა ტანზე მომდგარი ტყავის ქურთუკი, რომელიც ნოემბრის ცივ ამინდს სრულებით

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

არ შეეფერებოდა, — იცი, სანამ რაიმე არ დაიკარგება, არა მგონია, ვიდეოჩანაწერებს ამოწმებდნენ, მაგრამ ბარათებს კი ნამდვილად აკონტროლებენ. ბარათი შენს ყოველ მოძრაობას აფიქსირებს, მისი საშუალებით იციან, სად იმყოფები და ნებისმიერ დროს მოგძებნიან, შეგამოწმებენ, სად ხარ, ასე რომ, თუ გასვლა გენდომება — რაც შეუძლებელია, მაგრამ მაინც, იმ შემთხვევაში, რაიმე უბედურება თუ მოხდა — შენს ბარათს მომცემ და მე გავატარებ, რომ გაცდენილი საათები ხელფასიდან არ დაგექვითოს. ჩემთვისაც იმავეს გაკეთება გევალება, რადგან აქ ეს ყველასთვის წესია.

ჯერ კიდევ მის სიტყვებზე — „რაც შეუძლებელია" — ვფიქრობდი, ის კი ლაპარაკს აგრძელებდა:

— აი, გამომართვი, ანგარიშსწორების ბარათია, რომელზედაც თანხას დარიცხავ და სალაროში გამოიყენებ, სასადილოსთვისაა. რა თქმა უნდა, ამით ყოველთვის ეცოდინებათ, რას ჭამ, — მითხრა და მირანდას ოფისის კარი გააღო, იატაკზე დასკუპდა, ღვინის ბოთლებით სავსე თეთრ ყუთებს სწვდა და მათი შეფუთვა დაიწყო.

— რაში აინტერესებთ, ვინ რითი იკვებება? — ვკითხე და უეცრად მეგონა, რომ პირდაპირ მხატვრულ ფილმ „ნაფოტში" შევდგი ფეხი.

— ჰმ, ზუსტად არ ვიცი. შესაძლოა, არც აინტერესებდეთ, მაგრამ ცოდნით კი ეცოდინებათ. იგივე ეხება სპორტულ დარბაზებსა და პრესის განყოფილებაში წიგნებისა და ჟურნალების შეძენას. მგონი, ეს ორგანიზებულობაში ეხმარებათ.

ორგანიზებულობაში? ვმუშაობდი კომპანიაში, სადაც „ორგანიზებულობა" განისაზღვრებოდა იმის ცოდნა-არცოდნით, თუ ვინ რომელ სართულზე ადი-ჩამოდიოდა და რას მიირთმევდა სადილად, ბოსტნეულის წვნიანებსა თუ „ცეზარს", ან რამდენ ხანს ატრიალებდა ველოსიპედის პედლებს. აუჰ, როგორ გამმართლებია? ბედი მქონია!

დილის ექვსის ნახევარზე გაღვიძებისა და სამსახურში გაქცევის შემდეგ (მეოთხე დღე იყო, ასე გრძელდებოდა) დამატებითი ხუთი წუთი მჭირდებოდა ენერგიის მოსაკრებად, პალტოს გასახდელად და სამუშაო მაგიდასთან დასაჯდომად. ვიფიქრე, თავს ჩამოვდებ და წუთით დავისვენებ-მეთქი, მაგრამ ემილის ჩახველება გავიგონე. ხმამაღლა ჩაახველა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არ გინდა, დამეხმარო? — მკითხა, თუმცა ეს კითხვა სულაც არ ჟღერდა უხეშად, მაგალითად ასე: „მოდი, შეახვიე". თეთრი შესაფუთი მასალა გადმომიდო და ისევ თავის საქმიანობას მიუბრუნდა. მისი „მაკის" კომპიუტერიდან ჯუველ კილჩერი კიოდა. ჩამოჭერი, შემოახვიე, შემოკეცე, დააკარი — ასე ვმუშაობდით მთელი დილა და ყოველი ოცდამეხუთე ყუთის შეფუთვის შემდეგ კურიერს ვურეკავდით, რომ ისინი საწყობში ჩაეტანა. ყუთები ადრესატებთან დაგზავნამდე, სადღაც შუა დეკემბრამდე, იქ შეინახებოდა. ჩემი მუშაობის პირველი ორი დღის განმავლობაში ქალაქგარეთ გასაგზავნი ბოთლები უკვე მზად იყო და საწყობში „დიეჩელს" ელოდა. ვიცოდი, რომ ყოველი მათგანი გაგზავნიდან არა უგვიანეს მომდევნო დილისა, დანიშნულების ადგილზე იქნებოდა, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, რატომ ჩქარობდნენ ასე (ჯერ ხომ ნოემბერი არ დასრულებულიყო), თუმცა უკვე კარგად მქონდა გაცნობიერებული, რომ ამის შესახებ არაფერი უნდა მეკითხა. დაახლოებით ას ორმოცდაათ ბოთლს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში „ფედექსით" გავაფრენდით. პრისტლისგან საჩუქრები გაიგზავნებოდა პარიზში, კანში, ბორდოში, მილანში, რომში, ფლორენციაში, ბარსელონაში, ჟენევაში, ბრუგეში, სტოკჰოლმში, ამსტერდამსა და ლონდონში. ათობით ღვინის ბოთლი ლონდონში! „ფედექსი" მათ პეკინსა და ჰონკონგში, ქეიფთაუნსა და თელ-ავივში, დუბაიშიც (დუბაიში!) კი ჩაიტანდა. ამ ღვინით ადღეგრძელებდნენ მირანდას ლოს-ანჯელესში, ჰონოლულუში, ნიუ-ორლეანში, ჩარლსტონში, ჰიუსტონში, ბრიჯჰემთონსა და ნანტაკიტში. ნიუიორკელი მეგობრები, ექიმები, მოსამსახურეები, სტილისტები, ძიძები, ვიზაჟისტები, ფსიქოთერაპევტები, ხელოვნების წარმომადგენლები, იოგის ინსტრუქტორები, პირადი მწვრთნელები, მძღოლები და მაღაზიების პერსონალი — განურჩევლად ყველა, მირანდასგან ბოთლით ღვინოს მიიღებდა საჩუქრად. რა თქმა უნდა, მოდის ინდუსტრიის წარმომადგენლები — დიზაინერები, მოდელები, მსახიობები, რედაქტორები, სარეკლამო აგენტები, პიარმენეჯერები და ყველა, ვისაც რაიმე კავშირი აქვს მოდასთან, შესაფერი დონის ღვინოს მიიღებდნენ „ელიას-კლარკ-ბილდინგის" კურიერთა სამსახურის საშუალებით.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

— შენი აზრით, ეს ყველაფერი რა დაჯდება? — ვკითხე ემილის, თან მგონი, მეათასეჯერ მოვახიე შეფუთულ ყუთს ქაღალდის ნაწიბური.

— უკვე გითხარი, რომ ოცდახუთი ათასი დოლარისა შევუკვეთე.

— არა, ჯამში რამდენი ელირება? ვგულისხმობ, როცა ამანათებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გზავნი, ალბათ ზოგ შემთხვევაში ტრანსპორტირების საფასური ბოთლის ფასზე ძვირი გიჯდება, განსაკუთრებით თუ არაპრივილეგირებულ პირს ეგზავნება.

დაინტერესდა. პირველად შემომხედა ასეთი ინტერესით, მანამდე მხოლოდ ზიზღით, გაღიზიანებით ან ინდიფერენტულად მიყურებდა ხოლმე.

— მოიცა, დავფიქრდე, ქვეყნის შიგნით „ფედექსით" მიწოდების ფასი სადღაც ოცი დოლარის ფარგლებშია, ხოლო ყველა საერთაშორისო გზავნილი დაახლოებით სამოცი დოლარი ჯდება, სულ სადღაც ცხრა ათასი დოლარი გამოდის. ვიღაცისგან მსმენია, რომ კურიერები თერთმეტ დოლარს ახდევინებენ შეკვრაში, ასე რომ, ორას ორმოცდაათი ასეთი შეკვრა ორი ათას შვიდას ორმოცდაათი დოლარის ღირებულებისაა. ამასთან, გაითვალისწინე ჩვენი დროც (თუკი შეფუთვას მთელი კვირა დასჭირდა) და რა თქმა უნდა, ამ ორკვირიანი შრომის ანაზღაურება, ესეც კიდევ ოთხი ათასი... — აი აქ კი შევცბი, ჩვენი ერთი კვირის ხელფასი ძალიან უმნიშვნელო თანხა იყო, — ჰო, სადღაც თექვსმეტი ათასი გამოდის საერთო ჯამში. მაგარია, ჰა? მაგრამ რას იზამ, ხომ გესმის, ის მირანდა პრისტლია.

პირველი საათისთვის ემილიმ გამომიცხადა, რომ შიოდა და სასადილოდ აქსესუარების განყოფილების გოგონებთან ერთად გარეთ აპირებდა გასვლას. ვიფიქრე, საჭმელს აქ ამოიტანდა, რადგან აქამდე ასე იქცეოდა, მაგრამ შევცდი. გავიდა ათი, თხუთმეტი, ოცი წუთი, არ გამოჩენილა. რაც მუშაობა დავიწყე, სასადილოში არასოდეს გვისადილია, გვეშინოდა, მირანდას არ დაერეკა, რაც სასაცილო იყო. გახდა ორი საათი, სამის ნახევარი, სამი, მაგრამ ემილი არ ჩანდა, მე კი შიმშილისგან უკვე კუჭი მეწვოდა. ვცადე, მისთვის მობილურზე დამერეკა, მაგრამ ხმოვანი ფოსტა ჩაირთო. ნეტა სასადილოში ხომ არ მოკვდა? — გავიფიქრე. იქნებ სალათის ფოთლები გაეჩხირა ყელში, ან

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

უბრალოდ, ხილის წვენის დალევის შემდეგ ჩაეძინა? ერთი გა-
ფიქრება, დავაპირე კიდეც ვინმესთვის მეთხოვა, რამე ამო

-
ტანეთ-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე, ჩემი მხრიდან მსგავსი
საქციელი ძალზე „პრიმადონული" იქნებოდა. ბოლოს და ბო-
ლოს სადილების „ტარება" მგონი, სულაც ჩემს მოვალეობებ-
ში შედიოდა „აჰ, იცი, გოგონა, უბრალოდ ძალიან დაკავებული
ვარ, საჩუქრებს ვფუთავ, შუა გზაში ვერ მივატოვებ და იქნებ
ჩემთვის ინდაურის სენდვიჩი ან კროასანი ამოგეტანა? მშვენიე-
რია". ამის თქმას უბრალოდ ვერ შევძლებდი. ოთხი შესრულდა,
ემილი კვლავ არ გამოჩნდა, არც მირანდას დაურეკავს, ამიტომ
მეც დაუფიქრებლად გავედი ოფისიდან და ის უყურადღებოდ
დავტოვე.

თავიდან დერეფანი მოვათვალიერე, იქნებ ემილის მოკვრა
თვალი-მეთქი, შემდეგ მისაღებამდე პრაქტიკულად მივირბი-
ნე და ლიფტის ღილაკს ოცჯერ მაინც დავაჭირე თითი. სოფიმ,
აზიური წარმოშობის ლამაზმანმა ჯერ შემომხედა, მერე წარბე-
ბი აწკიპა და ბოლოს გვერდზე გაიხედა. ზუსტად არ ვიცი, რა-
ტომ ჰქონდა ამგვარი რეაქცია, მირანდას ოფისი უმეთვალყუ-
როდ რომ მივატოვე, თუ ჩემმა მოუთმენლობამ გააოცა ასე?
ამაზე ფიქრის დრო არ მქონდა. როგორც იქნა, ლიფტიც მოვი-
და. ზუსტად იმ დროს შევედი, როდესაც „პუმას" მწვანებოტა-
სიანმა და ზღარბთმიანმა ნარკომანივით გამხდარმა უცნობმა
ტიპმა გამიღიმა და შემდეგ თითი „კარის დახურვის" ღილაკს
დააჭირა. მიუხედავად იმისა, რომ ლიფტში თავისუფლება
იყო, ჩემთვის ადგილის დასათმობად არავინ განძრეულა.
ჩვეულებრივ მსგავსი საქციელი მაღიზიანებდა, მაგრამ ახლა
მხოლოდ საჭმელი მადარდებდა და იმაზე ვიყავი კონცენტრი-
რებული, რომ უკან რაც შეიძლება მალე დავბრუნებულიყავი.

თანამშრომლები შუშითა და გრანიტით მოპირკეთებული
სასადილოს შესასვლელთან ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, ქათმები-
ვით კრიახებდნენ, ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ და ლიფტი-
დან გამოსულებს აკვირდებოდნენ. „ელიას" ადმინისტრაციის
მეგობრები. უმალ ემილი გამახსენდა, ჩემთვის უკვე აეხსნა,
მსგავს ჯგუფებს მოვლენათა ეპიცენტრში ყოფნა განსაკუ-
თრებულ სიხარულს რომ განაცდევინებდა. ლილი მთხოვდა
დამეპატიჟა იმ სასადილოში, რადგან მანჰეტენის თითქმის
ყველა ჟურნალ-გაზეთი იქაური მენიუს მრავალფეროვნებაზე

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

კერძების ხარისხსა და გამოჩენილ კლიენტებზე წერდა, მაგრამ ამისთვის მზად არ ვიყავი. გარდა ამისა, ოფისში დატვირთული გრაფიკის გამო, იმ დღემდე იქ ორ-სამ წუთზე მეტხანს არც ვჩერდებოდი, კერძებს ვირჩევდი, ფულს ვიხდიდი და გამოვრბოდი. ასე ვიყავით შეთანხმებული მე და ემილი, და მეგონა, რომ სულ ასე გაგრძელდებოდა.

იქვე მდგარ გოგონებს შორის გზა გავიკვლიე და ვიგრძენი, როგორი ინტერესით მაკვირდებოდნენ, ცდილობდნენ გაეგოთ ცნობილი ვინმე ვიყავი თუ არა. პასუხი: უარყოფითი. თავდაჯერებით ჩავუარე „ცივის" სექციას, სადაც თეფშებზე „მარსალას" საწებლით შეზავებული ხბოსა და ცხვრის ხორცის ლამაზი ნაჭრები იდო, ძლივს ავუქციე გვერდი პიცის სახეობებს (პომიდვრის სხვადასხვა საწებლითა და თხის ყველით), რომლებიც კედლის მხარეს, პატარა მაგიდაზე „ნახშირწყლების" სექციაში დაეწყოთ, ადვილი არ იყო pièce de résistance[43] სავსე სივრცეში მოძრაობა, სალათების ნაირსახეობა გამოეფინათ დახლზე „მწვანილეული" (მაგალითად: „მწვანილეულთან გნახავ"), რომელიც სიგრძით თვითმფრინავის ასაფრენ-დასაფრენ ბილიკს უფრო ჰგავდა და ოთხივე მხრიდან თავისუფლად მიუდგებოდი. ხალხმრავლობის გამო ხმამაღლა მომიწია ამეხსნა, რომ სოიის ტკბილეული სრულებით არ მაინტერესებდა და მხოლოდ ამის შემდეგ დამითმეს გზა. ყველაზე ბოლოს, სუნელების განყოფილების უკან — ეს უკანასკნელი კოსმეტიკის დახლს უფრო ჰგავდა — სუპეულის დახლი იყო განთავსებული. ამ განყოფილების დაბალი პოპულარობა იმით აიხსნებოდა, რომ მზარეული უარს ამბობდა მცენარეული, ნაკლებად ცხიმიანი, უცხიმო და ნახშირწყლების დაბალი შემცველობის ინგრედიენტების გამოყენებაზე. უბრალოდ უარზე იყო. შედეგად მთელ სასადილოში მხოლოდ მის დახლთან არ იდგა რიგი. ამხელა კომპანიაში ერთადერთი ვიყავი, ვინც სამსახურის დაწყებიდან მთელი კვირის განმავლობაში, სადილის დროს მისკენ გარბოდა და ამიტომ ხელმძღვანელობამ დახლის მენიუ დღეში თითო კერძამდე შეამცირა. იმ დღეს პომიდვრის ჩედერს[44] ველოდი, მაგრამ მზარეულმა მოლუსკის სქელი შეჭამანდი მომაწოდა და ამაყად განმიცხადა, კერძს არაჟანი უხვად აქვსო. „მწვანილეულის" დახლთან მდგომი სამი ადამიანი შემოტრიალდა და მომაშტერდა. ერთადერთი წინაღობა მრჩებოდა, როგორმე გვერ-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

დი უნდა ამეელო მაგიდისთვის, სადაც საგანგებოდ მონეული
შეფ-მზარეული სანახაობას მართავდა და საშიმის ნაჭრებს
ოსტატურად აწყობდა ლანგარზე. მისი სახელი — ნობუ მაცუ-
ხიტა ბარათზე ამოვიკითხე, გახამებულ ქათქათა საყელოსთან
რომ მიემაგრებინა და გადავწყვიტე, ოფისში ასვლისთანავე მის
შესახებ ინფორმაცია მომეძიებინა. კიბეს ავუყევი და ზემოდან
გადავხედე შეფ-მზარეულის ირგვლივ შეკრებილ ხალხს, მიეხ-
ვდი, რომ ვიყავი ერთადერთი თანამშრომელი, ვინც მას მონუ-
რი მორჩილებით არ შეჰყურებდა. ნეტა რა უფრო უარესი იყო,
ნობუ მაცუხიტას სახელის არცოდნა თუ მირანდა პრისტლისა?
მინიატიურულმა მოლარემ ჯერ სუპს დახედა, მერე თეძოებზე
შემავლო თვალი. ამას უკვე მივეჩვიე, ისე მიყურებდა, თითქოს
ასი კილო ვყოფილიყავი და რვა ცალი „ბიგ მაკი" ამეღოს.
თვალებით მკითხა: „ეს მართლა გინდათ?" მაგრამ მე პარანოი-
დული ეჭვები მოვიშორე და საკუთარ თავს შევახსენე, რომ ის
ქალი დიეტოლოგი ან მოდის ჟურნალის რედაქტორი კი არა,
კაფეტერიის უბრალო მოლარე იყო.

— იცით, ამ ბოლო დროს სუპს ბევრი არ ყიდულობს — მშვი-
დად მითხრა და სალაროს ღილაკები ააწკაპუნა.

— ჰო, ბევრი არავინ მინახავს მოლუსკის სქელი შეჭამანდით
ხელში, — წავიბურტყუნე, ბარათი გავატარე და გულში ვისურ-
ვე, რაც შეიძლება მალე ამოერტყა ჩეკი.

გაჩერდა, ჩემკენ მოტრიალდა, ყავისფერი თვალები მოჭუტა
და თვალებში შემომხედა.

— ჰო, ალბათ იმიტომ, რომ მზარეული ცხიმიანი ინგრე-
დიენტების გამოყენებას არ იშლის, წარმოიდგინეთ, რამდენი
კალორიაა სუპში! იცით, ეგ პატარა ულუფა წონაში რამდენს
მოგამატებინებთ? მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ მისი სურ-
ნელიც საკმარისია ზედმეტი ხუთი კილოს ასაკრეფად... — „შენ
კი ის არ ხარ, ვინც თავს ამგვარი ფუფუნების უფლებას უნდა
აძლევდეს," — მეუბნებოდა მისი მზერა.

„ღმერთო დიდებულო! განა საკმარისი არ არის? თავი ძლი-
ვს დავაჯერე, ზომიერი წონისა და სიმაღლის პატრონი ვარ-მე-
თქი, განსაკუთრებით მას მერე, რაც „პოდიუმის" ყველა ქერა
ლამაზმანმა, ღიად ჩამიტარა პარამეტრების ტესტირება. ახლა
კი ეს მოლარე გამიზნულად მიმანიშნებს, რომ მსუქანი ვარ?"
ჩემს ულუფას ხელი ვტაცე და წამოვედი. საშინელი ფიქრების

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

გასაფანტად პირდაპირ საპირფარეშოში შევედი, რომელიც, მოხერხებულად, სასადილოს გვერდზე იყო განთავსებული. ბოლოს დილით ჩავიხედე სარკეში და ზუსტად ვიცოდი, რომ მის მერე არაფერი შეცვლილა. სარკისკენ მივტრიალდი და ჩავიხედე. სიბრაზისგან დამანჭული სახე მიყურებდა.

— აქ რა ჯანდაბას აკეთებ? — ემილი ჩემს ანარეკლს უყვიროდა. შეცბუნებული ზუსტად იმ დროს მოვტრიალდი მისკენ, როცა ტყავის ქურთუკი „გუჩის" ჩანთაზე გადაიკიდა და სათვალე შუბლზე აიწია. მაშინ მივხვდი, სამსაათ-ნახევრის წინ რომ მითხრა, გარეთ გავდივარო, შენობიდან გასვლას გულისხმობდა. სამი საათი გაუფრთხილებლად, პრაქტიკულად სატელეფონო ხაზზე დამტოვა სადილისა და საპირფარეშოში გასვლის საშუალების გარეშე. თუმცა ამას მნიშვნელობა ალარ ჰქონდა, გულის სიღრმეში ვიცოდი, რომ არასწორად მე მოვიქეცი — ოფისი მივატოვე და ვილაც ჩემი თანატოლი ახლა ამაზე ყვირილით მსაყვედურობდა. საბედნიეროდ, კარი გაიღო და „ჭორიკანას" მთავარი რედაქტორი შემოვიდა. ორივე აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერა, ამასობაში ემილიმ ხელი დამავლო, საპირფარეშოდან გამომიყვანა და პირდაპირ ლიფტისკენ წამათრია. ლიფტის მოლოდინში გვერდიგვერდ ვიდექით. ჩემს მკლავს იყო ჩაფრენილი, მე კი ისეთი გამომეტყველება მქონდა, თითქოს ის-ის იყო, ლოგინში ჩავისველე. ყველაფერი ძალიან წააგავდა იმ სცენას, სადაც გამტაცებელი დღისით, მზისით, ქალს იარაღს აბჯენს ზურგზე და მუქარის ძალით სარდაფში საწამებლად მიათრევს.

— ეს როგორ გამიკეთე? — სისინებდა, „პოდიუმის" მისაღებში ხელის კვრით შემაგდო და ჩვენს ოფისში შემიყვანა — მე ვარ უფროსი თანაშემწე. მესმის, რომ ახალი ხარ, მაგრამ პირველივე დღეს ხომ გაგაფრთხილე: ჩვენ მირანდას უყურადღებოდ არასოდეს ვტოვებთ!

— კი მაგრამ, ის ხომ ახლა აქ არაა, — ამოვიკნავლე.

— ჰო, მაგრამ შეეძლო დაერეკა და არავინ უპასუხებდა ამ ოხერ ტელეფონს! — და კივილით მოაჯახუნა ჩვენი ოფისის კარი, — ჩვენი უპირველესი პრიორიტეტი, ჩვენი ერთადერთი პრიორიტეტი, მირანდა პრისტლია. წერტილი. და თუ ამის გაკეთება არ შეგიძლია, ნუ დაგავიწყდება, რომ მილიონობით გოგონა ამ სამუშაოსთვის სულს ეშმაკსაც კი მიჰყიდის! ახლა კი შენი

www.PDF.ChiaturaINFO.GE Scanned by CamScanner

ავტომოპასუხე შეამოწმე. თუ დარეკა, დავილუპეთ, უბრალოდ დავილუპეთ.

მინდოდა მაგიდის ქვეშ შევმძვრალიყავი და სული გამეფრ-თხო. როგორ შემეძლო საქმის ასე გაფუჭება მუშაობის პირ-ველსავე კვირას? მირანდა ოფისში არც კი მოსულა და მე უკვე მისი დაღალატება მოვასწარი. მერე რა, რომ მშიოდა? მოცდა ხომ შემეძლო? აქ ხალხი გულწრფელად ცდილობს მუშაობას, ხალხი, რომელიც მე უკვე დავაღალატე! ჩემი ავტომოპასუხე შევამოწმე.

„გამარჯობა, ენდი, ალექსი ვარ." ალექსი იყო. „სად ხარ? პირველად არ მპასუხობ. ერთი სული მაქვს, საღამოს როდის გნახავ, შეხვედრა ხომ ისევ ძალაშია? მოკლედ, შენი გადასაწყ-ვეტია, სავახშმოდ სად წავალთ. როცა მოისმენ, გადმომირეკე. სადღაც ოთხისთვის სამასწავლებლოში ვიქნები. მიყვარხარ!"

თავს დამნაშავედ ვგრძნობდი და გადავწყვიტე, ამის გამო მასთან შეხვედრა გადამედო. პირველი კვირა ისეთი საგიჟეთი მქონდა, რომ მე და ალექსს ერთმანეთი წესიერად არც კი გვე-ნახა, ამიტომ სპეციალური გეგმა შევიმუშავეთ, რომ იმ საღა-მოს სადმე ერთად გვევახშმა. მალევე მივხვდი, რომ თუ ღვინის ერთ ჭიქაზე ჩამეძინებოდა, საღამო საინტერესო სულაც არ იქნებოდა, თან რატომღაც სიმშვიდე და მარტოობა მინდოდა. გადავწყვიტე, მისთვის გადამერეკა და ჩვენი შეხვედრა მომ-დევნო საღამოსთვის დამეთქვა.

ემილი თავზე მადგა, რადგან თავისი ავტომოპასუხე უკვე შეემოწმებინა. დამშვიდებული გამომეტყველებით მივხვდი, რომ მირანდას მისთვის მოკვლის მუქარით შეტყობინება არ დაეტოვებინა. თავი უარის ნიშნად გავაქნიე, რომ არც ჩემთან იყო მისგან რაიმე.

„გამარჯობა, ენდი, კარა ვარ, მირანდას გოგონების ძიძა. იმის თქმა მინდა, რომ ცოტა ხნის წინ მირანდამ დარეკა — გული გამიჩერდა — მითხრა, ოფისში არავინ მპასუხობსო, მი-ვხვდი, რომ რაღაცაში იყო საქმე და ამიტომ ვუთხარი, რომ ეს წუთია, ორივეს გელაპარაკეთ, ასე რომ, დამშვიდდით, კარგი? სერიოზული არაფერია, უნდოდა, ფაქსით ჟურნალი „მოდის ბიბლია" გადაგეგზავნათ. ასლი მქონდა და მე გადავუგზავნე. დასტურიც მივიღე. არ დაიძაბოთ. უბრალოდ მინდოდა, რომ ეს გცოდნოდათ. აბა, ბედნიერი შაბათ-კვირა, გოგონებო! მოგვი-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნებით შეგეხმიანებით, ნახვამდის!" ეს გოგო, ჩემი სიცოცხლის გადამრჩენელი, წმინდანი იყო! სულ ერთი კვირაა, რაც ვიცნობდი, ისიც ტელეფონით და მასზე შეყვარებული ვიყავი. ემილის კეთილი ორეული იყო. მისგან ყველაფრით განსხვავდებოდა: მშვიდი ხასიათი ჰქონდა, რეალისტურად აზროვნებდა და სულ არ აინტერესებდა მოდა. აღიარებდა, რომ მირანდას კაპრიზები აუტანელი იყო, თუმცა კონტროლს არ კარგავდა; ერთი უიშვიათესი თვისება ჰქონდა, საკუთარ თავსაც ისე დასცინოდა, როგორც სხვა ნებისმიერს.

— არა, არ დაურეკავს, — ვუპასუხე ემილის. მოვატყუე და თან გამარჯვების ნიშნად გავულიმე, — გადავრჩით.

— ამჯერად, — უკმეხად მომიჭრა. — არ დაგავიწყდეს, რომ მართალია, ერთად ვმუშაობთ, მაგრამ აქ უფროსი მე ვარ. თუ ხანდახან სადილზე გასვლა მომინდება — და ამის სრული უფლება მაქვს — ჩემს ნაცვლად აქ შენ დარჩები. ეს კი მეორეჯერ არ განმეორდება. გასაგებია?

თავს ძალა დავატანე, რომ პასუხად ერთი-ორი „ტკბილი" სიტყვა არ მეთქვა. — გასაგებია, — ვუპასუხე, — გასაგებია.

საღამოს შვიდი საათისთვის ბოთლები შეფუთული და კურიერებისთვის მიწოდებული გვქონდა. ინციდენტის შესახებ ხმა აღარ ამოგვიღია. რვა საათისთვის როგორც იქნა ტაქსიში ჩავჯექი (ამ ერთხელაც!) და ასე ათზე უკვე შინ, ლოგინზე გართხმული ვიყავი, ტანსაცმელი არც კი გამიხდია. ისევ მშიოდა, ხოლო იმაზე ფიქრი, რომ საჭმლის საყიდლად გასვლა მომინევდა, ცუდად მხდიდა, რადგან სასადილოს ძიებაში საკუთარ უბანში უკვე ოთხჯერ დავიკარგე.

ჩემი ცინცხალი დისტანციური ტელეფონით სანუნუნოდ ლილისთან დავრეკე.

— გამარჯობა! მეგონა, შენ და ალექსს დღეს გასვლითი საღამო გქონდათ — მითხრა ლილიმ.

— ჰო, გვქონდა, მაგრამ მკვდარივით ვარ. წინააღმდეგი არაა, ხვალ რომ შევხვდეთ სადმე. ვფიქრობ, ამ საღამოს საჭმელი უბრალოდ შევუკვეთო. მოკლედ ასე, შენ რას შვრები? როგორ ჩაიარა სამუშაო დღემ?

— მხოლოდ ორი სიტყვით: ყველაფერი გავაფუჭე. კარგი, ერთი სიტყვით: გამომივიდა! ვერც კი წარმოიდგენ, რა მოხდა და როცა გაიგებ, იცი... ის რომ...

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

— ლილ, ამოლერღე, თორემ სადაცაა ჩამეძინება.

— კეთილი. დღეს ძალიან საყვარელი ბიჭი გამეცნო. სემინარს ბოლომდე დაესწრო და მერე ჩემთან სალაპარაკოდ დარჩა. ყავის დასალევად დამპატიჟა და თან ჩემს დისერტაციაზე სურდა საუბარი.

— კარგი დასაწყისია, რას საქმიანობს?

ლილი თითქმის ყოველ ღამე, სამუშაოს შემდეგ ახალ-ახალ ბიჭს ხვდებოდა, თუმცა თავისი მეორე ნახევარი ვერ ეპოვა. ერთხელაც იდეალური მამაკაცის შეფასების სისტემა შეადგინა. ეს მას მერე მოხდა, რაც ლილის მეგობარმა ბიჭებმა მის წინაშე „ათქულიანი სისტემით" განიხილეს იმ გოგონების ღირსებები, რომლებსაც ხვდებოდნენ. „პირველში ექვსი ქულა, მეორეში — რვა და მესამეში კი „გ" პლუსით" — ასე შეაფასა ჯეკმა ის გოგონა, რომელთანაც წინა საღამოს პაემანზე იყო. ჩანდა, რომ ყველამ იცოდა, რას ნიშნავდა ეს: პირველი — გარეგნობას, მეორე — აღნაგობას, მესამე — ხასიათს, რომელსაც ანბანის შესაბამისი ასოს მეშვეობით ადგენენ. მათგან განსხვავებით, ლილიმ მამაკაცების შეფასება გაცილებით რთული მეთოდით არჩია. „იდეალური მამაკაცის შესაფასებელი პირადი სისტემა" შეადგინა, რომელიც მთლიანობაში ათქულიანი იყო და თითოეული კანდიდატი გულდასმით ფასდებოდა.

რა თქმა უნდა, იდეალურ მამაკაცს ხუთი მთავარი ღირსება უნდა ჰქონოდა: ინტელექტი, იუმორის გრძნობა, გარეგნობა და ისეთი სამსახური, რომელიც „ნორმალურად" ჩაითვლებოდა. გამომდინარე იქიდან, რომ ასეთის პოვნა ადვილი საქმე სულაც არ იყო, ჩამოთვლილ ღირსებებს მეორადი ღირსებების ხუთეული ემატებოდა. ეს გულისხმობდა ნაგიჟარი „ყოფილის", აბეზარი მშობლებისა და სექსზე გადარეული თანამობინადრეების არარსებობას, ითვალისწინებდა ასევე ყმაწვილის უჩვეულო ჰობსა თუ მისწრაფებას, რომელიც სპორტთან ან პორნოგრაფიასთან დაკავშირებული არ იყო. ამგვარ მოთხოვნებს მხოლოდ ერთმა გაუძლო, საბოლოო ჯამში ცხრა-ნახევარი ქულა დააგროვა, მაგრამ თვითონ მიატოვა ლილი.

— შვიდზე ოდნავ მეტი ქულა დაუფიქრებლად მივეცი. მოკლედ, გეი არ არის, იელში დრამატურგიას სწავლობს და ისრაელის პოლიტიკა აშკარად ესმის, რადგან „ატომური იარა-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლით მის განადგურებაზე" სიტყვა ერთხელაც არ დასცდენია, რაც ძალიან მეამა.

— მომწონს! კარგია. აბა, რა გინდა? რას ერჩი? ახლა არ მითხრა, საყვარელ კომპიუტერულ თამაშზე ბევრი მელაპარაკაო.

— უარესი მითხრა — ამოიხვნეშა.

— რა, ნუთუ შენზე გამხდარია?

— უარესი, — დათრგუნვილი ხმა ჰქონდა.

— მორჩი ახლა, უარესი რაღა უნდა იყოს?

— ლონგ აილენდზე ცხოვრობს...

— ლილი! რას ამბობ, გეოგრაფიული შეუთანხმებლობაა პრობლემა? ამის გამო იწუნებ? კარგი რა...

— მშობლებთან ერთად ცხოვრობს, — შემანყვეტინა.

— აა...

— უკვე ბოლო ოთხი წელია, მათთან ერთად ცხოვრობს.

— ღმერთო ჩემო!

— და ეს ძალიან მოსწონს. ამბობს, რომ ვერ წარმოუდგენია მამიკოსა და დედიკოს გარეშე დიდ ქალაქში მარტო ცხოვრება.

— ვაიმე! აღარ გააგრძელო. არ მახსოვს, შვიდი ქულა პირველივე პაემანზე განულებულიყოს. შენმა ბიჭმა რეკორდი მოხსნა, გილოცავ! შენი დღე ჩემს დღეზე ბევრად საშინელი ყოფილა! — ვუთხარი და წინ გადავიხარე, კარს ფეხი ვკარი. ხმაური შემომესმა, ჩანდა, შანტი და კენდრა სამსახურიდან დაბრუნდნენ, კაცის ხმაც გავიგონე და დავინტერესდი — ნეტა რომელიმეს შეყვარებული თუ ჰყავს. გასულ კვირას, ორივე ერთად ათ წუთზე მეტხანს არ მინახავს, რადგან მათი სამუშაო საათები ჩემსაზე გაცილებით გრძელი იყო.

— მართლა? ჩემზე უარესი დღე როგორ შეიძლება გქონოდა? მოდის ჟურნალში მუშაობ... — მეუბნებოდა ლილი, როდესაც კარზე კაკუნის ხმა გავიგონე.

— ერთი წუთი მოითმინე, კარზეა ვილაც. შემოდით! — ამ პატარა სივრცისთვის ცოტათი ხმამაღლა მომივიდა. დაველოდე, სანამ კარი გაიღებოდა, ჩემს მშვიდ მეზობელს აინტერესებდა, სახლის მეპატრონეს თუ დავუკავშირდი და ქირის ერთობლივად გადახდის თაობაზე თუ შევუთანხმდი (არ დამირეკავს), ერთჯერადი თეფშები თუ ვიყიდე (არა) და მათთან ვინმემ თუ დარეკა (არა) და ამ დროს ოთახში ალექსიც შემოვიდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE Scanned by CamScanner

— გამარჯობა... დაგირეკავ, კარგი? ალექსი მოვიდა — მისმა მოულოდნელმა გამოჩენამ ისე გამახარა, რომ ავღელდი კიდეც, სხეული შხაპის მიღებასა და თბილ ლოგინში შეგორებას მთხოვდა.

— ჰო, წადი, ჩემგან მოკითხვა გადაეცი, კარგი ბიჭია და ხელიდან არ გაუშვა.

— თითქოს არ ვიცოდე. ბავშვების მფარველი ანგელოზია, — ვუთხარი, თან ალექსს გავუღიმე, — აბა, კარგად! — და ყურმილი დავდე.

— გამარჯობა, — საწოლზე წამოვჯექი, მერე წამოვდექი და ალექსს მივუახლოვდი, — რა სიურპრიზია! — ვუთხარი და ჩასახუტებლად გავიწიე, მაგრამ მან უკან დაიხია. ხელები ზურგს უკან ჰქონდა.

— რა მოხდა?

— არაფერი, უბრალოდ ვიცი, რომ გრძელი და მძიმე კვირა გქონდა და რადგან კარგად გიცნობ, მივხვდი, მშიერი იქნებოდი, საჭმელი მოგიტანე, — მითხრა და დიდი ყავისფერი ქაღალდის შეკვრა გამოაჩინა, აი, ისეთი, ადრე მაღაზიებში ბოსტნეულს რომ აწყობდნენ ხოლმე. ცხიმით დალაქული შეკვრიდან მადისაღმძვრელი სურნელი ამოდიოდა.

— დაუჯერებელია! როგორ მიხვდი, რომ მშიერი ვარ და საჭმლის „მოპოვებაზე" ვფიქრობ? ცოტაც და, ალბათ ხელს ჩავიქნევდი.

— ჰოდა, აქ მოდი, ვჭამოთ! — ნასიამოვნები ჩანდა, შეკვრა გახსნა, მაგრამ ჩემი ოთახის იატაკზე ორივე ვერ მოვთავსდებოდით. ვიფიქრე, სასტუმრო ოთახში გავალთ-მეთქი, მაგრამ სამსახურიდან მოსული, დაქანცული შანტი და კენდრა იქვე ტახტზე ისხდნენ, წინ მზა სალათის კონტეინერები თავახდილი ედოთ და ტელევიზორს უყურებდნენ. თავიდან მეგონა, სატელევიზიო გადაცემა აინტერესებდათ, მაგრამ მერე შევნიშნე, რომ ჩასძინებოდათ. მაგარი ცხოვრება გვაქვს!

— მოიცა, რაღაც მოვიფიქრე! — მითხრა ალექსმა და სამზარეულოში ფეხაკრეფით გავიდა. უკან დაბრუნებულმა ორი უშველებელი ცელოფანის ყუთი შემოიტანა და ჩემი ლოგინის ლურჯ გადასაფარებელზე დადო, მერე შეკვრიდან ორი ცალი დიდი ჰამბურგერი, ერთი მოზრდილი ყუთი შემწვარი ფრი, კეტჩუპი, ხელსახოცები და ჩემთვის ორი შეკვრა მარილი ამოიღო.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

გახარებულმა ტაში შემოვკარი, თუმცა მაშინვე მირანდას იმედგაცრუებული სახე წარმომიდგა, თითქოს მეკითხებოდა: „შენ რა, ამ ჰამბურგერის შეჭმას აპირებ?“

— კიდევ მაქვს რაღაც. აბა ნახე! — მითხრა და ზურგჩანთიდან ვანილის პანაწინა ორცხობილები, ბოთლით წითელი ღვინო და ორი ერთჯერადი ჭიქა ამოიღო.

— დამცინი? — ვიკითხე ნაზად. ვერ ვიჯერებდი და ეს ყველაფერი მას შემდეგ გააკეთა, რაც პაემანი ასე უხეშად ჩავშალე.

ჭიქით ღვინო მომაწოდა და მომიჭახუნა.

— არა, სულაც არა. როგორ იფიქრე, რომ შენს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი კვირის ამბებით არ დავინტერესდებოდი? მსოფლიოში ყველაზე კარგ ჩემს გოგონას გაუმარჯოს!

— გმადლობ, — ვუთხარი და ღვინო მოვწრუპე, — გმადლობ, გმადლობ, გმადლობ!

6

— ღმერთო ჩემო, ეს რა, თვით მოდის ჟურნალის რედაქტორია? — დამცინავად შეჰკივლა ჯილიმ, როცა კარი გავაღე, — აბა, აქ მოდი, უფროსმა დამ შენ წინაშე მუხლი მოიყაროს!

— მოდის ჟურნალის რედაქტორი? — გამეცინა, — ეგ ნაკლებად. მე „მოდის შეცდომა“ უფრო შემეფერება. კეთილი იყოს შენი ცივილიზაციაში დაბრუნება — ათი წუთი მაინც ვიყავით ჩახუტებულები და მისი გაშვება არ მინდოდა. ძალიან გამიჭირდა, როდესაც სტენდფორდში ჩააბარა და ცხრა წლის ასაკში მშობლებთან მარტო დამტოვა, უფრო უარესი ის იყო, რომ თავის შეყვარებულს, და ახლა უკვე ქმარს, ჰიუსტონში გაჰყვა საცხოვრებლად. ჰიუსტონში! ნესტიან და კოლოებით სავსე მხარეში. ეს კიდევ არაფერი — ჩემი მზეთუნახავი და დახვეწილი უფროსი დაიკო, რომელსაც ნეოკლასიკური ხელოვნება სიგიჟემდე უყვარდა და გული ცუდად უხდებოდა პოეზიის კითხვისას, სამხრეთულ კილოზე ალაპარაკდა. დროებით ალაპარაკებას კი არ ვგულისხმობ, არამედ — მძიმე კილოკავურ მეტყველებას, ვულგარულად გაწელილ ხმოვნებს, რომლის მოსმენისას ყურები მტკივდებოდა. კაილის ჯერ კიდევ ვერ ვპა-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტიობდი, რომ ჩემი დაიკო იმ საშინელ ადგილას წაიყვანა საცხოვრებლად. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგი სიძე მყავდა, საკმარისი იყო პირი გაელო, ყველაფერი დაგავიწყდებოდა.

— გამარჯობა, ენდი, ძვირფასო, ყოველ ნახვაზე ლამაზდები და ლამაზდები (ლა-მაა-ზდ-ეე-ბი), რას გაჭმევენ ამ „პოდიუმში" ასეთს, ა?

უცებ მომინდა ჩოგბურთის ბურთი შემეტენა მისთვის პირში, რომ ხმა ალარ ამოელო, მაგრამ უცებ ისე გამილიმა, სხვა გზა არ მქონდა, მივედი და ჩავეხუტე. მართალია, ძალიან მდაბიურად ლაპარაკობდა, მოურიდებლად იცინოდა, მაგრამ მეტყველებისა და ქცევის გამოსწორებას გულით ცდილობდა და თან ბრმა უნდა ყოფილიყავი, ვერ დაგენახა, როგორ გაგიჟებით უყვარდა ჩემი და. დავიფიცე, რომ მისი პირის დაღებისა და მეტყველებისთვის ყურადღება არ მიმექცია.

— ჩემს სამუშაოს ნამდვილად ვერ ვუწოდებ იმ ადგილს, სადაც ადამიანის დაპურება ცხოვრების მიზნად გადაქცევიათ. თუ ხვდები, რას ვგულისხმობ? იქაურობა წყალს მიაქვს და არა საჭმელს. მაგრამ ეგ არაფერი! კაილ, შენც ძალიან კარგად გამოიყურები! იმედია, ჩემს დას იმ საშინელ ქალაქში მოწყენილობისაგან არ კლავ!

— ენდი, საყვარელო, თუ ასე გაინტერესებს, ერთხელაც გვესტუმრე. ალექსიც წამოიყვანე და კარგი არდადეგები მოვიწყოთ. მაგრა გავერთობით, აი ნახავ! — ჯერ მე გამილიმა, მერე ჯილს. პასუხად ჯილი ლოყაზე ნაზად მიეფერა. ერთმანეთი თავდავიწყებით უყვარდათ!

— მართლაც, ენდი, ქალაქი კულტურის ძეგლებით საკმაოდ მდიდარია, იქ ბევრი რამით შეძლებ დაკავდე. უბრალოდ ძალიან საწყენია, რომ ერთმანეთს მხოლოდ აქ, ამ სახლში ვნახულობთ, — მითხრა ჯილიმ და თან სასტუმრო ოთახისკენ წამათრია, — თუ ეივონს უძლებ, ჰიუსტონში პრობლემა არ გექნება.

— ენდი, აქ ხარ? ნიუ-იორკიდან ჩვენი მოუცლელი გოგონა ჩამოსულა, აბა, აქ მოდი, დედას დაენახვე, — სამზარეულოდან გამომძახა დედამ, — მეგონა, რკინიგზის სადგურიდან დაგვირეკავდი.

— მე და ერიკამ ერთი მატარებლით ვიმგზავრეთ, დედამისმა მოაკითხა სადგურში, სწორედ მისის რეიესს გამოვყევი სახლამდე. როდის ვჭამთ? ისე მშია, ვკვდები.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— იქნებ ჯერ მოწესრიგდე? დაგელოდებით. ნამგზავრი ხარ, ხომ იცი, უკეთესია თუ...

— დედა! — და თვალებით ვუსაყვედურე.

— ენდი! უბრალოდ ბრწყინავ. მოდი აქ და მამიკოს ჩაეხუტე, — მამა მაღალი კაცი იყო და მიუხედავად იმისა, რომ ორმოცდაათს გადააბიჯა, მაინც სიმპათიურად გამოიყურებოდა, შემოსასვლელში იდგა და მიღიმოდა. დავინახე, რომ ზურგს უკან „სკრაბის" ყუთს მალავდა და ელოდა სანამ სხვები ყურადღებას აღარ მოგვაქცევდნენ. შემდეგ ფეხი ოდნავ გასწია, ყუთზე მანიშნა და პირის მოძრაობით მითხრა: „სეირს გიჩვენებ. მე გაგაფრთხილე, დანარჩენი შენ იცი."

გამელიმა და თავი დავუქნიე. საღი აზრის მიუხედავად, მივხვდი, რომ ოჯახთან მომდევნო ორმოცდარვა საათის გატარება ისე მახარებდა, როგორც არასდროს ამ ოთხი წლის განმავლობაში. მადლიერების დღე ჩემი საყვარელი დღესასწაული იყო და გადაწყვეტილი მქონდა, დაუვიწყარი დრო გამეტარებინა.

სასადილო ოთახში შევიკრიბეთ და დედაჩემის მიერ უხვად შეკვეთილ სადილს შევექეცით. ეს მადლიერების დღესასწაულისადმი დედასგან მიძღვნილი ნადიმის ტრადიციული ებრაული ვარიანტი იყო. ლანგრებზე პროფესიონალურად დალაგებული ბეიგელები[46] შებოლილი ორაგულითა და მათზე წასმული ყველით, თევზეული და კარტოფილის ალადები ერთჯერად თეფშებსა და დანა-ჩანგლებს ელოდნენ. დედაჩემმა კერძებს ისეთი სიხარულითა და სიამაყით დახედა, იფიქრებდი, რომ ოჯახის დასაპურებლად მთელი კვირა სამზარეულოში ტრიალებდა.

მათ ჩემი ახალი სამსახურის შესახებ ყველაფერი ვუამბე, მთელი გულით შევეცადე სამუშაოს ის ფუნქციები ამეხსნა, ჯერ რიგიანად თვითონაც რომ ვერ გავრკვეულიყავი. წუთით გავიფიქრე, ალბათ რა სასაცილოდ ეჩვენებათ-მეთქი ქვედაბოლოების სახელები, საჩუქრების ფუთვაში გატარებული საათები და ის პატარა საშვი, რომლის საშუალებითაც ადმინისტრაციამ ყველა შენი ნაბიჯი იცოდა.

გამიჭირდა მათი დარწმუნება, თუ რამდენად საჭირო, მნიშვნელოვანი და დროული იყო ჩემი სამსახური. გაუჩერებლივ ვლაპარაკობდი, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ ამეხსნა იმ კომპანიის არსი, რომელიც მართალია, გეოგრაფიულად

www.PDF.ChiaturaINFO.GE Scanned by CamScanner

ჩემი სახლიდან ორი საათის მანძილზე მდებარეობდა, მაგრამ მზის სულ სხვა სისტემაში იყო მოქცეული. ყველა თავს მიქნევდა, მილიმოდა და რაღაცებს მეკითხებოდა კიდეც. ცდილობდნენ ეჩვენებინათ, რომ მართლა აინტერესებდათ, მაგრამ ვიცოდი, მათთვის ეს ყველაფერი უცხოდ და სრულიად გაუგებრად ჟღერდა. ხალხს, რომლებსაც რამდენიმე კვირის წინ უფრო მოვწონდი, არასოდეს გაეგონა სახელი „მირანდა პრისტლი". სულაც არ მწყენია, რომ ჩემს სამსახურზე დიდად არ შეიშალნენ, ვერ უარვყოფ, რომ შეიძლება „ელიას-კლარკი" ოდნავ თეატრალურია და ზედმეტად იერარქიული, მაგრამ იქ მუშაობა მაინც აღმაფრთოვანებელია და საუცხოოც. იმის უარყოფა, რომ საუკეთესო სამსახური მქონდა, უბრალოდ შეუძლებელი იყო.

— ენდი, შენი აზრით, იქ ერთ წელს გაძლებ? იქნებ გაგრძელებაც მოგინდეს, ჰა? — მკითხა დედამ და თან მამას თეფშზე შებოლილორაგულიანი ბეიგელი გადაუღო.

კონტრაქტში ეწერა, რომ მირანდასთან ერთი წელი უნდა მემუშავა — თუ, რა თქმა უნდა, არ მომხსნიდა (ამის ალბათობა რეალობისგან შორს სულაც არ იყო) და თუ ჩემს მოვალეობებს კარგად, პროფესიონალურად და ენთუზიაზმით შევასრულებდი, — ეს ნაწილი კონტრაქტში არ ეწერა, მე მხოლოდ ემილის, ელისონისა და კადრების განყოფილების ნახევარი თანამშრომლების სიტყვებს ვიმოწმებდი, — მირანდა იმ თანამდებობის მიღებაში დამეხმარებოდა, რომელსაც მოვისურვებდი. რა თქმა უნდა, ისინი „პოდიუმში" ან სულ მცირე, „ელიას-კლარკ-ბილდინგში" მუშაობას გულისხმობდნენ. თავისუფლად შემეძლო მომეთხოვა ნებისმიერი ადგილი დაწყებული კულინარიული წიგნების მიმომხილველიდან, დამთავრებული „პოდიუმში" ჰოლივუდის სელებრითებთან საკონტაქტო პირის თანამდებობით. მირანდას უკანასკნელმა ათივე თანაშემწემ, ვინც მასთან მუშაობას წელიწადს გაუძლო, კარიერის გასაგრძელებლად დაუფიქრებლად „პოდიუმის" მოდის განყოფილება აირჩია, მაგრამ მე ვცდილობდი, ამ ფაქტს არ დავეთრგუნე. მირანდასთან მუშაობის ერთი წელი სხვასთან მუშაობის სამიდან ხუთ წელს უდრიდა და თან პრესტიჟული პოზიციის დაუფლებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რა თქმა უნდა, ჯერჯერობით ძალიან მეგობრულად მეპყრობიან. ემილი ცოტათი გამაღიზიანებელია, მაგრამ სხვა მხრივ ყველაფერი რიგზეა. იმის თქმა მინდა, რომ როცა ლილი თავისი გამოცდების ამბებს მიყვება, ან ალექსი სამსახურის საშინელ გარემოზე საუბრობს, ვხვდები, რომ მათგან განსხვავებით გამიმართლა. მუშაობის პირველივე დღეს, პირველივე დავალების შესრულებისას, განა ვის ემსახურება მძღოლი? მიპასუხეთ, ვის? ჰოდა, ალბათ, კიდევ ერთი წელი იქ მუშაობა ცუდი არ იქნება, თან მინდა მირანდა სწრაფად დაბრუნდეს, ვფიქრობ, უკვე მზად ვარ ამისთვის.

ჯილიმ თვალები გადაატრიალა და ისეთი სახით შემომხედა, თითქოს მეუბნებოდა: „კარგი რა, ენდი, გეყო სისულელეების როშვა! ყველამ კარგად ვიცით, რომ ნაგიჟარ დედაკაცთან მუშაობ, რომელსაც მოდის ფანების ანორექსიული ჯარი ახვევია გარს, ხოლო შენ იქ მუშაობა იმდენად არ მოგწონს, რომ ცდილობ ყველაფერი ვარდისფერში დახატო". თუმცა ამის ნაცვლად მიპასუხა:

— მართლაც კარგია, ენდი, საუკეთესო შესაძლებლობა მოგეცა.

ის სუფრის წევრებიდან ერთადერთი იყო, ვისაც შეეძლო ჩემი გაგება, რადგან სანამ საცხოვრებლად მესამე სამყაროს დონის შტატში გადავიდოდა, დაახლოებით წელიწადი პარიზის ერთ-ერთ პატარა კერძო მუზეუმში მუშაობდა და haute couture (მაღალ მოდაზე) რაღაც გაეგებოდა. მისი მხრიდან ეს ესთეტის ინტერესი უფრო იყო მოდისადმი, ვიდრე მომხმარებლისა. ამის მიუხედავად, მოდის სამყაროს ჯილი ასე თუ ისე იცნობდა.

— ჩვენც გვაქვს ახალი ამბები, — თქვა და კაილს გადასწვდა ხელის ჩასაკიდად, მან კი ყავის ჭიქა მაგიდაზე დადო და ჯილის თავისი ორივე ხელი შეაგება.

— ო, ღმერთო ჩემო, — უეცრად შეჰკივლა დედამ, თან ისე ამოისუნთქა, თითქოს ვილაცას მისი მხრებიდან ორი ათწლეულის მანძილზე დაგროვილი ასკილოიანი ტვირთი მოეხსნას, — უკვე დრო იყო.

— ორივეს გილოცავთ! უნდა ვაღიარო, დედაშენი უკვე სერიოზულად დარდობდა ამ ამბავს. ახალდაქორწინებულები აღარ ხართ, ჰოდა, გვაინტერესებდა, — თქვა მაგიდის თავში მჯდომმა მამამ და წარბები აწკიპა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ძალიან კარგია, მაგარია. უკვე დროა, დეიდა გავხდე. აბა, პატარას როდის ველოდებით?

ორივე ისეთი გაოგნებული ჩანდა, წუთით ვიფიქრე, შემთხვევით ხომ არ შეგვეშალა და მათი „კარგი" ამბავი იმაში ხომ არ მდგომარეობს, რომ კაილმა, როგორც იქნა, მამამისის იურიდიული ფირმა მიატოვა და ჩემი დის ოცნების გალერეას ერთად ხსნიან-მეთქი. შეიძლება ზედმეტი მოგვივიდა, მაგრამ დიდი ხანია გვეწადა გაგვეგო, რომ მალე მე პატარა დისშვილი, ხოლო ჩვენს მშობლებს — შვილიშვილი ეყოლებოდათ. ბოლო დროს ჩემი მშობლები სულ ამაზე საუბრობდნენ, გამუდმებით უტრიალებდნენ იმ მიზეზებს (ოთხი წლის ცოლ-ქმარი არიან, ორივე ოცდაათისა გახდა), რატომაც კაილსა და ჩემს დას შვილები უნდა გაეჩინათ. ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ამ საკითხმა ევოლუცია განიცადა, ოჯახის აჩემებად იქცა და მოგვიანებით კრიზისში გადაიზარდა.

ჩემი და შეწუხებული ჩანდა. კაილი მოიღუშა. მშობლებს კი ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, გეგონებოდა, სადაცაა გული წაუვათო. დაძაბულობა იზრდებოდა. ჯილი წამოდგა, კაილს მიუახლოვდა, კალთაში ჩაუჯდა, მკლავები შემოხვია, ლოყაზე სახე მიადო და ყურში რაღაც უჩურჩულა. დედას გადავხედე, რომელიც ალბათ ათ წამში გაითიშებოდა, ნერვიულობისგან ქვედა ქუთუთოების ნაოჭები გაღრმავებოდა. საბოლოოდ, როგორც იქნა, ორივე ახითხითდა, შემოგვიტრიალდა და ერთხმად განგვიცხადა:

— ბავშვს ველოდებით.

გულზე მოგვეშვა, სიხარულისგან ერთმანეთს ვეხუტებოდით და ვულოცავდით. დედა ისე წამოფრინდა, რომ სკამიც გადააყირავა და კართან მდგარი კაქტუსის ქოთანიც ზედ მიაყოლა. მამა ჯილის ჩაეხუტა და ორივე ლოყა დაუკოცნა. მოფერებით გული რომ იჯერა, ბოლოს თავზე ეამბორა. არ მახსოვს, ქორწილის შემდეგ მისთვის ამდენი ეკოცნოს, თუმცა მას უკოცნელი არც კაილი დარჩენია.

ქილას, რომელშიც „დოქტორ ბრაუნის" მაყვლის წვენი ესხა, პლასტმასის ჩანგალი მივუკაკუნე და მათ სადღეგრძელო შევთავაზე.

— გთხოვთ ყველამ სასმისები ასწიოთ და ის პატარა საქსი ადღეგრძელოთ, რომელიც ჩვენს ოჯახს მალე შეემატება, —

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

კაილმა და ჯილიმ მრავლისმეტყველად გადმომხედეს, — კარგი, დაე, პატარას ჰარისონი ერქვას, მაგრამ გულით ის მაინც საქსი იქნება. მაშ, გაუმარჯოს კაილსა და ჯილის, მომავალ სრულყოფილ მშობლებს, რომლებიც სამყაროს მალე მათსავით სრულყოფილ პატარას აჩუქებენ.

გამაგრილებელი სასმელები თუნუქის ქილებითა და ყავის ჭიქებით მივუჭახუნეთ ერთმანეთს, გახარებული სახეებით ვადღეგრძელეთ ცოლ-ქმარი და ჩემი დის სამოცსანტიმეტრიანი მუცელი. სანამ მაგიდას ვალაგებდი, უფრო სწორად, სანამ ყველაფერს სანაგვე ყუთში ვუშვებდი, დედა გარდაცვლილი ნათესავების სახელების ჩამოთვლით ჯილის ტვინს უბურღავდა, ბავშვს ის დავარქვათ ან ესო, კმაყოფილი კაილი ყავას წრუპავდა, მე და მამამ კი დრო ვიხელთეთ და სათამაშოდ კაბინეტში შევიპარეთ. მამამ სტერეომაგნიტოფონი ჩართო. პაციენტების მიღებისას ყოველთვის ასე იქცეოდა. შედეგად სხვა ოთახებიდან ხმა არ შემოდიოდა და არც პაციენტთან მის საუბარს ისმენდა ვინმე. როგორც ნებისმიერ სხვა ფსიქოლოგს, მამასაც ოთახის შორეულ კუთხეში ტყავის დიდი ნაცრისფერი დივანი ედგა, ტყავი ისეთი ნაზი იყო, რომ ზედ დაწოლა და მის მხრებზე თავის ჩამოდება მიყვარდა. იქვე სამი სკამი იდგა, წინა მხარე გამოწეული ჰქონდათ, ასე რომ, ზედ ჩამომჯდარი პაციენტის სხეული სპეციალურ მდგომარეობას იღებდა, როგორც მამა ამბობდა — „ემბრიონის მსგავსს". შავი ფერის პრიალა სამუშაო მაგიდაზე თხელეკრანიანი კომპიუტერის მონიტორი იდგა, მისი სკამი კი მსგავსად მაგიდისა, შავი და მაღალზურგიანი იყო და ძალზე კომფორტულად გამოიყურებოდა. კედლის შემინული კარადა სავსე იყო წიგნებით ფსიქოლოგიაზე. ბამბუკის ჯოხებით გავსებული ბროლის მაღალი ლარნაკი ძირს იდგა, ხოლო ჩარჩოში ჩასმული რამდენიმე ფერადი რეპროდუქცია კედელზე (ერთადერთი ნათელი ნერტილი ოთახში) კაბინეტს ფუტურისტულ იერს მატებდა. მე და მამა დივანსა და მაგიდას შორის იატაკზე მოვკალათდით:

— ენდი, აბა, მომიყევი, რა ხდება სინამდვილეში, — მითხრა და ქვებით სავსე პატარა სათამაშო ხის ყუთი მომაწოდა, — დარწმუნებული ვარ, ახლა ემოციებით ხარ გადატვირთული.

ჩემი შვიდი ქვა ავარჩიე და წინ ფრთხილად დავილაგე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

— ჰო, ეს ორი კვირა საგიჟეთი მქონდა. ჯერ ახალ ბინაში გადასვლა, მერე მუშაობის დაწყება. ისეთი უცნაური ადგილია, ახსნა გამიჭირდება. ყველა ძალიან გამხდარი და ლამაზია, საუცხოო ტანსაცმელი აცვიათ, თან სასიამოვნო ხალხია, მეგობრულებიც ჩანან. ზოგჯერ კი მგონია, რაღაც ძლიერ წამლებს სვამენ. არ ვიცი...

— რა? რის თქმას აპირებდი?

— რაღაც ბოლომდე ვერ ვხვდები. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს კარტის სახლი იყოს და ერთ მშვენიერ დღეს თავზე ჩამომენგრევა. თავიდან ვერ ვიშორებ იმ აზრს, რომ მოდის ჟურნალში ჩემი მუშაობა არასერიოზულია, ხომ გესმის? ალბათ იმიტომ, რომ აქამდე სხვა არაფერი მქონია და ეს დიდად არც მადარდებდა. ახლა კი საკმაოდ გამომწვევი სამსახური მაქვს, ჩემთვის რაღაც ახალია, ხომ ხვდები? ალბათ ამიტომ ვარ ასე, — თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია, — ვიცი, რომ „საუცხოო" ადგილია, მაგრამ მაინც იმაზე ვფიქრობ, „ნიუ-იორკერისთვის" რამდენად მომამზადებს. და რადგან ჯერჯერობით ყველაფერი ზღაპრულად მიდის, გამუდმებით რაღაც ცუდის მოლოდინში ვარ. ან იქნებ სულაც მე გავაფრინე?

— ეგ ნაკლებად, საყვარელო. უბრალოდ ძალიან მგრძნობიარე ხარ, მაგრამ უნდა დაგეთანხმო, რომ გამართლებით ნამდვილად გაგიმართლა. ხალხი ისე ერთფეროვნად ცხოვრობს, რომ რასაც შენ ერთ წელიწადში ნახავ, იმის ნახვასა და განცდას ვერასოდეს შეძლებენ. წარმოგიდგენია? უნივერსიტეტი ახლახან დაამთავრე და უკვე მსოფლიოს ყველაზე სარფიანი ჟურნალის რედაქციაში, ამ სამყაროში ყველაზე გამოჩენილ ქალთან მუშაობ! ყველაფერს შენი თვალით ხედავ, ყველაფერს მოვლენების ეპიცენტრიდან აკვირდები, თან თუ ყურადღებით იქნები და ღირებულებებსაც არ დაივიწყებ, ერთ წელიწადში უფრო მეტს ისწავლი, ვიდრე ამ ინდუსტრიაში მომუშავეთა უმეტესობა მთელი კარიერის მანძილზე, — მითხრა და დაფის შუაგულში თავისი პირველი სიტყვა „ბიძგი" დაალაგა.

— არაა ცუდი პირველი სვლისთვის, — ვუთხარი, ქულები გადავთვალე, რადგან პირველი სიტყვა იყო, ორზე გადავამრავლე. „მამა: ოცდაორი ქულა, ენდი: ნული". სიტყვები რაღაც არ გამომდიოდა. „ლასს" „ანი", „მანი" და „ენი" დავუმატე და ჩემი საცოდავი პირველი ექვსი ქულა მოვიპოვე.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— უბრალოდ, მინდა დაგარწმუნო, რომ წარმატებისთვის ეს კარგი შანსია, — თან ქვებით სავსე ყუთს აქეთ-იქით აქნევდა, — რაც მეტს ვფიქრობ, მით უფრო ვრწმუნდები, რომ წინ კარგი ამბები გელის.

— მეც ასე ვფიქრობ. ქაღალდზე თითები უკვე იმდენჯერ დავისერე, რომ სიცოცხლის ბოლომდე მეყოფა. იმედია, მალე უფრო საინტერესო საქმეებით დამაკავებენ.

— ასეც იქნება, საყვარელო. აი, ნახავ. შეიძლება ახლა გგონია, რომ სისულელეებს აკეთებ, მაგრამ დამიჯერე, ცდები. ვგრძნობ, რაღაც ფანტასტიკურის დასაწყისია, ამასთან, შენს უფროსზე პატარა კვლევა ჩავატარე. ეგ მირანდა შეიძლება მაგარი ფხუკიანი ქალი ჩანს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, შეგიყვარდება და მგონი, რომ მასაც შეუყვარდები, — მითხრა და კმაყოფილი გამომეტყველებით ჩემი სახელის პირველი ასო — „ანი" — გამოიყენა და თავისი მორიგი სიტყვა: „პირსახოცი" ააწყო.

— იმედია, არ ცდები, მამი, მართლა.

— ის მოდის ჟურნალის, „პოდიუმის" მთავარი რედაქტორია, ხომ იცით? — ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით ვამბობდი ყურმილში.

— აჰ, ვხვდები, ვისაც გულისხმობთ! — მითხრა ჯულიამ, „წიგნები მოზარდთათვის" რედაქციის უმცროსმა სარეკლამო აგენტმა, — ჩინებული ჟურნალია. ვგიჟდები იქ გამოქვეყნებულ წერილებზე, სადაც მოზარდი გოგონები საკუთარ პრობლემებზე წერენ. ნეტა მართალია, რასაც იქ ვკითხულობთ? ერთ წერილს ვიხსენებ, სადაც...

— არა, არა, ის ჟურნალი საყმაწვილო არ არის. იგი უფრო ზრდასრული ქალებისთვისაა განკუთვნილი, იდეაში ასეა. თქვენ რა, „პოდიუმი" არასოდეს გინახავთ? — „ნუთუ ეს შესაძლებელია?" ჩემთვის გავიფიქრე, — მოკლედ, მისი გვარია პ-რ-ი-ს-ტ-ლ-ი, დიახ, მირანდა, — ვუპასუხე, მაგრამ მოთმინების ფიალა მევსებოდა.

ნეტა რა რეაქცია ექნებოდა მირანდას, რომ გაეგო, ტელეფონით იმ ადამიანს ვესაუბრებოდი, ვისაც მასზე წარმოდგენა არ ჰქონდა. ალბათ დიდად არ აღფრთოვანდებოდა.

— მადლობელი ვიქნები, თუ მალე დამიკავშირდებით, — ვუთხარი ჯულიას, — და თუ უფროსი სარეკლამო აგენტი მოვა, გადაეცით, დამირეკოს.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

შუა დეკემბრის პარასკევ დილით მივხვდი, რომ შაბათ-კვირა ახლოვდებოდა. მუშაობის ათი საათილა მრჩებოდა. ვცდილობდი, „მოდის-აზრზე-არმყოფი" ჯულიასთვის ამეხსნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ფიგურა იყო მირანდა პრისტლი, რომლისთვისაც ღირდა წესებზე თვალის დახუჭვა და ცოტა ხნით საღი აზრის დავიწყება, რაც გაცილებით რთული აღმოჩნდა, ვიდრე ველოდი. საიდან უნდა მცოდნოდა, რომ მირანდას თანამდებობისა და ზეგავლენის ახსნა მომიწევდა ადამიანისთვის, რომელსაც დედამიწის ზურგზე ყველაზე **პრესტიჟული მოდის ჟურნალის, ან მისი მთავარი რედაქტორის** შესახებ სიტყვა არ ჰქონდა გაგებული. ჩემი ოთხკვირიანი მუშაობის პერიოდში, უკვე კარგად ვიცოდი, რას ნიშნავდა მისი ავტორიტეტი და ზეგავლენა. კერძოდ, ჩემს სამუშაო ფუნქციებში შედიოდა ადამიანების დარწმუნება, დაყოლიება ან რაიმე სხვა გზით მათი იძულება, თუმცა, ხშირად, ჩემი ცნობილი უფროსის სახელის გაგონებისთანავე სწორზე დგებოდნენ.

საუბედუროდ, ჯულია ისეთ აკადემიურ გამომცემლობაში მუშაობდა, სადაც „ვიპი" პერსონის სტატუსს ნორა ეფრონი[47] ან ვენდი ვასერშტეინი[48] უფრო მიიღებდნენ, ვიდრე ისეთი ქალი, რომელიც მსოფლიოში განთქმული იყო თავისი დახვეწილი გემოვნებით ბეწვეულში. გამახსენდა და შევეცადე გამეგო მისი, აკი ზუსტად ხუთი კვირის წინ მეც იმავე მდგომარეობაში ვიყავი, მაგრამ ვერ შევძელი. მიუხედავად იმისა, მახსოვდა, რომ ოდესღაც ჩემს ცხოვრებაშიც იყო ასეთი სასწაული პერიოდი, დიახ, მახსოვდა და მშურდა კიდეც მოდის სფეროში ჯულიას უმეცრებისა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, დავალება უნდა შემესრულებინა. ჯულია კი მის შესრულებაში არ მეხმარებოდა.

მომდევნო დღეს, შაბათს „ჰარი პოტერის" მეოთხე ნაწილი გამოდიოდა. მირანდას ათი წლის ტყუპს, ორივეს, სათითაოდ უნდოდათ ეს წიგნი. წიგნის პირველ ტირაჟს ორშაბათამდე მაღაზიებში არ დადებდნენ, მე კი ისინი როგორმე შაბათ დილით, იმ წუთებში, როგორც კი სტამბის საწყობებიდან გამოიტანდნენ, ხელში უნდა ჩამეგდო. ბოლოს და ბოლოს, „ჰარი და კომპანია" პირადი თვითმფრინავით პარიზში გაემგზავრებოდა ამ ფიქრებში ვიყავი, როცა ტელეფონის ხმამ გამომაფხიზლა

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყურმილი ავიღე. სატელეფონო ზარებს უკვე სულ მე ვპასუხობ-
დი. ემილი, როგორც იქნა, დამშვიდდა და უკვე მირანდასთან
საუბრებსაც მანდობდა. მაგრამ, ღმერთო! ამას ლაპარაკი არ
ერქვა — ის დღეში ალბათ ოცდაოთხჯერ რეკავდა, შორიდანაც
კი ახერხებდა ჩემს ცხოვრებაში შემოჭრასა და ერთიანად ჩემს
დამორჩილებას. ბრძანებების გაცემას დილის შვიდი საათი-
დან იწყებდა, ითხოვდა უამრავი რამის შესრულებას და სანამ
შინ წასვლის დრო დადგებოდა, ანუ ცხრა საათამდე, წამით არ
მქონდა მოცლა.

— ან-დრ-ეა, გესმით? ვინმემ მიპასუხეთ! ან-დრ-ეა! — ჩემი
სახელის გაგონებისთანავე სკამიდან წამოვხტი. წამი დამჭირდა
იმის გასააზრებლად, რომ მირანდა ოფისში არ იყო, არც ქვეყა-
ნაში იმყოფებოდა და მადლობა ღმერთს, დავმშვიდდი. ემილიმ
მითხრა, რომ მირანდას წარმოდგენაც არ ჰქონდა იმაზე, რომ
ელისონი დაწინაურდა და მე მის ახალ თანაშემწედ ამიყვანეს.
როგორც მიხსნიდნენ, ეს მისთვის უმნიშვნელო დეტალები იყო.
რაში აინტერესებდა, ვინ უპასუხებდა მის სატელეფონო ზარს,
მთავარია, დავალება შეესრულებინათ.

— ვერ ვხვდები, ყურმილის აღების შემდეგ ხმის ამოღებას
ამდენი ხნით რატომ აყოვნებთ?— მკითხა. ნებისმიერი სხვა
ადამიანისგან მსგავსი შენიშვნა საყვედური უფრო იქნებოდა,
მაგრამ მირანდა ამას, როგორც შეეფერებოდა, ცივად და მკა-
ცრად ამბობდა, — იქნებ აქამდე არ შეგინიშნავთ, რომ იმ ხნის
განმავლობაში, რაც მანდ მუშაობთ, მე ვრეკავ, თქვენ კი მპასუ-
ხობთ. ნუთუ ასე ძნელია? ვრეკავ. მპასუხობთ. ან-დრ-ეა, რო-
გორ გგონიათ, შეძლებთ ამ სამუშაოს თავი გაართვათ?

მიუხედავად იმისა, რომ ვერ მხედავდა, თავი ისე დავუქ-
ნიე, თითქოს ბავშვი ვიყავი და ჭერში სპაგეტის სროლისას
გამომიჭირეს. შევეცადე მისთვის „მადამ"-მეთქი არ მეთქვა.
შეცდომისთვის, რომელიც ერთი კვირის წინ მომივიდა, კინა-
ღამ სამსახურიდან დამითხოვეს.

— დიახ, მირანდა. ბოდიში, — თავდახრილმა, მშვიდი ხმით
ვუპასუხე და იმწუთასვე ვინანე, რომ რაც მისაყვედურა, იმას
ადრევე ვერ მივხვდი, ვინანე, რომ საჭიროზე მეტი დრო მჭირ-
დებოდა წარმომეთქვა შემდეგი ფრაზა — „მირანდა პრისტლის
ოფისი, გისმენთ." თავს გამუდმებით ვუმეორებდი, რომ მისი
დრო ჩემსაზე გაცილებით ძვირფასი იყო.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— კარგი, ახლა, რადგან ამდენი დრო დამაკარგვინეთ, იქნებ დაგვენყო: მისტერ ტომლინსონისთვის თუ შეუკვეთეთ ადგილი? — მკითხა.

— დიახ, მირანდა. მისტერ ტომლინსონისათვის ადგილი „ოთხ სეზონში" პირველი საათისათვის დავჯავშნე.

ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა. ათი წუთის ნინ დამირეკა და „ოთხ სეზონში" შეკვეთის გაკეთება დამავალა, ახლა კი მისტერ ტომლინსონისთვის, მისი მძღოლისა და ტყუპის ძიძისთვის თავიდან უნდა დამერეკა და მეთქვა, რომ ყველაფერი შეიცვალა.

— ასე რომ, გადავიფიქრე. „ოთხი სეზონი" ირვისთან სასადილოდ შესაფერი ადგილი არ არის. „ლა სერკეში" დაჯავშნეთ მაგიდა ორი კაცისთვის და არ დაგავინყდეთ მეტრდოტელს შეახსენოთ, რომ გვსურს, ვისხდეთ დარბაზის სილრმეში, მყუდროდ, და არა — გამოსაჩენად. სილრმეში. სულ ეს არის.

როცა მირანდას ტელეფონით პირველად ვესაუბრე, საკუთარი თავი დავარწმუნე, რომ ფრაზით „სულ ეს არის", სინამდვილეში მადლობას მიხდიდა, მაგრამ ზუსტად ერთ კვირაში მივხვდი, რომ ვცდებოდი.

— რა თქმა უნდა, მირანდა, გმადლობთ, — ღიმილით ვუპასუხე. ვიგრძენი, რომ ნამით შეყოვნდა და ალბათ ფიქრობდა, რა ეპასუხა. ნეტა თუ ხვდებოდა, — ამ გზით ვცდილობდი მიმენიშნებინა, რომ ის არასოდეს ამბობდა „გმადლობ". ნუთუ უცნაურად არ ეჩვენებოდა ის, რომ მისი ქმრისთვის შეკვეთილი მაგიდის გამო, მადლობას მე ვუხდიდი. სარკასტული სატელეფონო კომენტარებისა და უკმეხი ბრძანებების პასუხად მას მადლობას ვეუბნებოდი. მინდა გითხრათ, ჩემთვის ეს ძალზე სასიამოვნო ტაქტიკა აღმოჩნდა. იცოდა, რომ რაღაცნაირად დავცინოდი, მაგრამ რას მეტყოდა? „ან-დრ-ეა, თქვენი მადლობების მოსმენა არ მსურს?" „ასეთი ფორმით მადლიერების გამოხატვას გიკრძალავთ?" ისე, თუ დაუფიქრდებოდი, მსგავსი რამის თქმა თავისუფლად შეეძლო.

„ლა სერკე," „ლა სერკე," „ლა სერკე," გონებაში ვიმეორებდი. გადავწყვიტე შეკვეთა დაუყოვნებლივ შემესრულებინა, რომ რაც შეიძლება სწრაფად დავბრუნებოდი გაცილებით რთულ დავალებას, „ჰარი პოტერის" მეოთხე ნაწილის ორ ეგზემპლარად შოვნას. „ლა სერკე" უპრობლემოდ დამთანხმდა დღის ნე-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

კაილმა და ჯილიმ მრავლისმეტყველად გადმომხედეს, — კარგი, დაე, პატარას ჰარისონი ერქვას, მაგრამ გულით ის მაინც საქსი იქნება. მაშ, გაუმარჯოს კაილსა და ჯილის, მომავალ სრულყოფილ მშობლებს, რომლებიც სამყაროს მალე მათსავით სრულყოფილ პატარას აჩუქებენ.

გამაგრილებელი სასმელები თუნუქის ქილებითა და ყავის ჭიქებით მივუჭახუნეთ ერთმანეთს, გახარებული სახეებით ვადღეგრძელეთ ცოლ-ქმარი და ჩემი დის სამოცსანტიმეტრიანი მუცელი. სანამ მაგიდას ვალაგებდი, უფრო სწორად, სანამ ყველაფერს სანაგვე ყუთში ვუშვებდი, დედა გარდაცვლილი ნათესავების სახელების ჩამოთვლით ჯილის ტვინს უბურღავდა, ბავშვს ის დავარქვათ ან ესო, კმაყოფილი კაილი ყავას წრუპავდა, მე და მამამ კი დრო ვიხელთეთ და სათამაშოდ კაბინეტში შევიპარეთ. მამამ სტერეომაგნიტოფონი ჩართო. პაციენტების მიღებისას ყოველთვის ასე იქცეოდა. შედეგად სხვა ოთახებიდან ხმა არ შემოდიოდა და არც პაციენტთან მის საუბარს ისმენდა ვინმე. როგორც ნებისმიერ სხვა ფსიქოლოგს, მამასაც ოთახის შორეულ კუთხეში ტყავის დიდი ნაცრისფერი დივანი ედგა, ტყავი ისეთი ნაზი იყო, რომ ზედ დაწოლა და მის მხრებზე თავის ჩამოდება მიყვარდა. იქვე სამი სკამი იდგა, წინა მხარე გამოწეული ჰქონდათ, ასე რომ, ზედ ჩამომჯდარი პაციენტის სხეული სპეციალურ მდგომარეობას იღებდა, როგორც მამა ამბობდა — „ემბრიონის მსგავსს". შავი ფერის პრიალა სამუშაო მაგიდაზე თხელეკრანიანი კომპიუტერის მონიტორი იდგა, მისი სკამი კი მსგავსად მაგიდისა, შავი და მაღალზურგიანი იყო და ძალზე კომფორტულად გამოიყურებოდა. კედლის შემინული კარადა სავსე იყო წიგნებით ფსიქოლოგიაზე. ბამბუკის ჯოხებით გავსებული ბროლის მაღალი ლარნაკი ძირს იდგა, ხოლო ჩარჩოში ჩასმული რამდენიმე ფერადი რეპროდუქცია კედელზე (ერთადერთი ნათელი წერტილი ოთახში) კაბინეტს ფუტურისტულ იერს მატებდა. მე და მამა დივანსა და მაგიდას შორის იატაკზე მოვკალათდით:

— ენდი, აბა, მომიყევი, რა ხდება სინამდვილეში, — მითხრა და ქვებით სავსე პატარა სათამაშო ხის ყუთი მომაწოდა, — დარწმუნებული ვარ, ახლა ემოციებით ხარ გადატვირთული.

ჩემი შვიდი ქვა ავარჩიე და წინ ფრთხილად დავილაგე.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჰო, ეს ორი კვირა საგიჟეთი მქონდა. ჯერ ახალ ბინაში გადასვლა, მერე მუშაობის დაწყება. ისეთი უცნაური ადგილია, ახსნა გამიჭირდება. ყველა ძალიან გამხდარი და ლამაზია, საუცხოო ტანსაცმელი აცვიათ, თან სასიამოვნო ხალხია, მეგობრულებიც ჩანან. ზოგჯერ კი მგონია, რალაც ძლიერ წამლებს სვამენ. არ ვიცი...

— რა? რის თქმას აპირებდი?

— რალაც ბოლომდე ვერ ვხვდები. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს კარტის სახლი იყოს და ერთ მშვენიერ დღეს თავზე ჩამომენგრევა. თავიდან ვერ ვიშორებ იმ აზრს, რომ მოდის ჟურნალში ჩემი მუშაობა არასერიოზულია, ხომ გესმის? ალბათ იმიტომ, რომ აქამდე სხვა არაფერი მქონია და ეს დიდად არც მადარდებდა. ახლა კი საკმაოდ გამომწვევი სამსახური მაქვს, ჩემთვის რალაც ახალია, ხომ ხვდები? ალბათ ამიტომ ვარ ასე, — თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია, — ვიცი, რომ „საუცხოო" ადგილია, მაგრამ მაინც იმაზე ვფიქრობ, „ნიუ-იორკერისთვის" რამდენად მომამზადებს. და რადგან ჯერჯერობით ყველაფერი ზღაპრულად მიდის, გამუდმებით რალაც ცუდის მოლოდინში ვარ. ან იქნებ სულაც მე გავაფრინე?

— ეგ ნაკლებად, საყვარელო. უბრალოდ ძალიან მგრძნობიარე ხარ, მაგრამ უნდა დაგეთანხმო, რომ გამართლებით ნამდვილად გაგიმართლა. ხალხი ისე ერთფეროვნად ცხოვრობს, რომ რასაც შენ ერთ წელიწადში ნახავ, იმის ნახვასა და განცდას ვერასოდეს შეძლებენ. წარმოგიდგენია? უნივერსიტეტი ახლახან დაამთავრე და უკვე მსოფლიოს ყველაზე სარფიანი ჟურნალის რედაქციაში, ამ სამყაროში ყველაზე გამოჩენილ ქალთან მუშაობ! ყველაფერს შენი თვალით ხედავ, ყველაფერს მოვლენების ეპიცენტრიდან აკვირდები, თან თუ ყურადღებით იქნები და ღირებულებებსაც არ დაივიწყებ, ერთ წელიწადში უფრო მეტს ისწავლი, ვიდრე ამ ინდუსტრიაში მომუშავეთა უმეტესობა მთელი კარიერის მანძილზე, — მითხრა და დაფის შუაგულში თავისი პირველი სიტყვა „ბიძგი" დაალაგა.

— არაა ცუდი პირველი სელისთვის, — ვუთხარი, ქულები გადავთვალე, რადგან პირველი სიტყვა იყო, ორზე გადავამრავლე. „მამა: ოცდაორი ქულა, ენდი: ნული". სიტყვები რალაც არ გამომდიოდა. „ლასს" „ანი", „მანი" და „ენი" დავუმატე და ჩემი საცოდავი პირველი ექვსი ქულა მოვიპოვე.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— უბრალოდ, მინდა დაგარწმუნო, რომ წარმატებისთვის ეს კარგი შანსია, — თან ქვებით სავსე ყუთს აქეთ-იქით აქნევდა, — რაც მეტს ვფიქრობ, მით უფრო ვრწმუნდები, რომ წინ კარგი ამბები გელის.

— მეც ასე ვფიქრობ. ქალალდზე თითები უკვე იმდენჯერ დავისერე, რომ სიცოცხლის ბოლომდე მეყოფა. იმედია, მალე უფრო საინტერესო საქმეებით დამაკავებენ.

— ასეც იქნება, საყვარელო. აი, ნახავ. შეიძლება ახლა გგონია, რომ სისულელეებს აკეთებ, მაგრამ დამიჯერე, ცდები. ვგრძნობ, რალაც ფანტასტიკურის დასაწყისია, ამასთან, შენს უფროსზე პატარა კვლევა ჩავატარე. ეგ მირანდა შეიძლება მაგარი ფხუკიანი ქალი ჩანს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, შეგიყვარდება და მგონი, რომ მასაც შეუყვარდები, — მითხრა და კმაყოფილი გამომეტყველებით ჩემი სახელის პირველი ასო — „ანი“ — გამოიყენა და თავისი მორიგი სიტყვა: „პირსახოცი“ ააწყო.

— იმედია, არ ცდები, მამი, მართლა.

— ის მოდის ჟურნალის, „პოდიუმის“ მთავარი რედაქტორია, ხომ იცით? — ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით ვამბობდი ყურმილში.

— აჰ, ვხვდები, ვისაც გულისხმობთ! — მითხრა ჯულიამ, „წიგნები მოზარდთათვის“ რედაქციის უმცროსმა სარეკლამო აგენტმა, — ჩინებული ჟურნალია. ვგიჟდები იქ გამოქვეყნებულ წერილებზე, სადაც მოზარდი გოგონები საკუთარ პრობლემებზე წერენ. ნეტა მართალია, რასაც იქ ვკითხულობთ? ერთ წერილს ვიხსენებ, სადაც...

— არა, არა, ის ჟურნალი საყმაწვილო არ არის. იგი უფრო ზრდასრული ქალებისთვისაა განკუთვნილი, იდეაში ასეა. თქვენ რა, „პოდიუმი“ არასოდეს გინახავთ? — „ნუთუ ეს შესაძლებელია?“ ჩემთვის გავიფიქრე, — მოკლედ, მისი გვარია პ-რ-ი-ს-ტ-ლ-ი, დიახ, მირანდა, — ვუპასუხე, მაგრამ მოთმინების ფიალა მევსებოდა.

ნეტა რა რეაქცია ექნებოდა მირანდას, რომ გაეგო, ტელეფონით იმ ადამიანს ვესაუბრებოდი, ვისაც მასზე წარმოდგენა არ ჰქონდა. ალბათ დიდად არ აღფრთოვანდებოდა.

— მადლობელი ვიქნები, თუ მალე დამიკავშირდებით, — ვუთხარი ჯულიას, — და თუ უფროსი სარეკლამო აგენტი მოვა, გადაეცით, დამირეკოს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

შუა დეკემბრის პარასკევ დილით მივხვდი, რომ შაბათ-კვირა ახლოვდებოდა. მუშაობის ათი საათიღა მრჩებოდა. ვცდილობდი, „მოდის-აზრზე-არმყოფი" ჯულიასთვის ამეხსნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ფიგურა იყო მირანდა პრისტლი, რომლისთვისაც ღირდა წესებზე თვალის დახუჭვა და ცოტა ხნით საღი აზრის დავიწყება, რაც გაცილებით რთული აღმოჩნდა, ვიდრე ველოდი. საიდან უნდა მცოდნოდა, რომ მირანდას თანამდებობისა და ზეგავლენის ახსნა მომიწევდა ადამიანისთვის, რომელსაც დედამიწის ზურგზე ყველაზე **პრესტიჟული მოდის ჟურნალის, ან მისი მთავარი რედაქტორის** შესახებ სიტყვა არ ჰქონდა გაგებული. ჩემი ოთხკვირიანი მუშაობის პერიოდში, უკვე კარგად ვიცოდი, რას ნიშნავდა მისი ავტორიტეტი და ზეგავლენა. კერძოდ, ჩემს სამუშაო ფუნქციებში შედიოდა ადამიანების დარწმუნება, დაყოლიება ან რაიმე სხვა გზით მათი იძულება, თუმცა, ხშირად, ჩემი ცნობილი უფროსის სახელის გაგონებისთანავე სწორზე დგებოდნენ.

საუბედუროდ, ჯულია ისეთ აკადემიურ გამომცემლობაში მუშაობდა, სადაც „ვიპი" პერსონის სტატუსს ნორა ეფრონი[47] ან ვენდი ვასერშტეინი[48] უფრო მიიღებდნენ, ვიდრე ისეთი ქალი, რომელიც მსოფლიოში განთქმული იყო თავისი დახვეწილი გემოვნებით ბეწვეულში. გამახსენდა და შევეცადე გამეგო მისი, აკი ზუსტად ხუთი კვირის წინ მეც იმავე მდგომარეობაში ვიყავი, მაგრამ ვერ შევძელი. მიუხედავად იმისა, მახსოვდა, რომ ოდესღაც ჩემს ცხოვრებაშიც იყო ასეთი სასწაული პერიოდი, დიახ, მახსოვდა და მშურდა კიდეც მოდის სფეროში ჯულიას უმეცრებისა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, დავალება უნდა შემესრულებინა. ჯულია კი მის შესრულებაში არ მეხმარებოდა.

მომდევნო დღეს, შაბათს „ჰარი პოტერის" მეოთხე ნაწილი გამოდიოდა. მირანდას ათი წლის ტყუპს, ორივეს, სათითაოდ უნდოდათ ეს წიგნი. წიგნის პირველ ტირაჟს ორშაბათამდე მაღაზიებში არ დადებდნენ, მე კი ისინი როგორმე შაბათ დილით, იმ წუთებში, როგორც კი სტამბის საწყობებიდან გამოიტანდნენ, ხელში უნდა ჩამეგდო. ბოლოს და ბოლოს, „ჰარი და კომპანია" პირადი თვითმფრინავით პარიზში გაემგზავრებოდა. ამ ფიქრებში ვიყავი, როცა ტელეფონის ხმამ გამომაფხიზლა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

ყურმილი ავიღე. სატელეფონო ზარებს უკვე სულ მე ვპასუხობ-
დი. ემილი, როგორც იქნა, დამშვიდდა და უკვე მირანდასთან
საუბრებსაც მანდობდა. მაგრამ, ღმერთო! ამას ლაპარაკი არ
ერქვა — ის დღეში ალბათ ოცდაოთხჯერ რეკავდა, შორიდანაც
კი ახერხებდა ჩემს ცხოვრებაში შემოჭრასა და ერთიანად ჩემს
დამორჩილებას. ბრძანებების გაცემას დილის შვიდი საათი-
დან იწყებდა, ითხოვდა უამრავი რამის შესრულებას და სანამ
შინ წასვლის დრო დადგებოდა, ანუ ცხრა საათამდე, წამით არ
მქონდა მოცლა.

— ან-დრ-ეა, გესმით? ვინმემ მიპასუხეთ! ან-დრ-ეა! — ჩემი
სახელის გაგონებისთანავე სკამიდან წამოვხტი. წამი დამჭირდა
იმის გასააზრებლად, რომ მირანდა ოფისში არ იყო, არც ქვეყა-
ნაში იმყოფებოდა და მადლობა ღმერთს, დავმშვიდდი. ემილიმ
მითხრა, რომ მირანდას წარმოდგენაც არ ჰქონდა იმაზე, რომ
ელისონი დაწინაურდა და მე მის ახალ თანაშემწედ ამიყვანეს.
როგორც მიხსნიდნენ, ეს მისთვის უმნიშვნელო დეტალები იყო.
რაში აინტერესებდა, ვინ უპასუხებდა მის სატელეფონო ზარს,
მთავარია, დავალება შეესრულებინათ.

— ვერ ვხვდები, ყურმილის აღების შემდეგ ხმის ამოღებას
ამდენი ხნით რატომ აყოვნებთ?— მკითხა. ნებისმიერი სხვა
ადამიანისგან მსგავსი შენიშვნა საყვედური უფრო იქნებოდა,
მაგრამ მირანდა ამას, როგორც შეეფერებოდა, ცივად და მკა-
ცრად ამბობდა, — იქნებ აქამდე არ შეგინიშნავთ, რომ იმ ხნის
განმავლობაში, რაც მანდ მუშაობთ, მე ვრეკავ, თქვენ კი მპასუ-
ხობთ. ნუთუ ასე ძნელია? ვრეკავ. მპასუხობთ. ან-დრ-ეა, რო-
გორ გგონიათ, შეძლებთ ამ სამუშაოს თავი გაართვათ?

მიუხედავად იმისა, რომ ვერ მხედავდა, თავი ისე დავუქ-
ნიე, თითქოს ბავშვი ვიყავი და ჭერში სპაგეტის სროლისას
გამომიჭირეს. შევეცადე მისთვის „მადამ"-მეთქი არ მეთქვა.
შეცდომისთვის, რომელიც ერთი კვირის წინ მომივიდა, კინა-
ღამ სამსახურიდან დამითხოვეს.

— დიახ, მირანდა. ბოდიში, — თავდახრილმა, მშვიდი ხმით
ვუპასუხე და იმწუთასვე ვინანე, რომ რაც მისაყვედურა, იმას
ადრევე ვერ მივხვდი, ვინანე, რომ საჭიროზე მეტი დრო მჭირ-
დებოდა წარმომეთქვა შემდეგი ფრაზა — „მირანდა პრისტლის
ოფისი, გისმენთ." თავს გამუდმებით ვუმეორებდი, რომ მისი
დრო ჩემსაზე გაცილებით ძვირფასი იყო.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— კარგი, ახლა, რადგან ამდენი დრო დამაკარგვინეთ, იქნებ დაგვეწყო: მისტერ ტომლინსონისთვის თუ შეუკვეთეთ ადგილი? — მკითხა.

— დიახ, მირანდა. მისტერ ტომლინსონისათვის ადგილი „ოთხ სეზონში" პირველი საათისათვის დავჯავშნე.

ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა. ათი წუთის წინ დამირეკა და „ოთხ სეზონში" შეკვეთის გაკეთება დამავალა, ახლა კი მისტერ ტომლინსონისთვის, მისი მძღოლისა და ტყუპის ძიძისთვის თავიდან უნდა დამერეკა და მეთქვა, რომ ყველაფერი შეიცვალა.

— ასე რომ, გადავიფიქრე. „ოთხი სეზონი" ირვისთან სასადილოდ შესაფერი ადგილი არ არის. „ლა სერკეში" დავჯავშნეთ მაგიდა ორი კაცისთვის და არ დაგავიწყდეთ მეტრდოტელს შეახსენოთ, რომ გვსურს, ვისხდეთ დარბაზის სილრმეში, მყუდროდ, და არა — გამოსაჩენად. სილრმეში. სულ ეს არის.

როცა მირანდას ტელეფონით პირველად ვესაუბრე, საკუთარი თავი დავარწმუნე, რომ ფრაზით „სულ ეს არის", სინამდვილეში მადლობას მიხდიდა, მაგრამ ზუსტად ერთ კვირაში მივხვდი, რომ ვცდებოდი.

— რა თქმა უნდა, მირანდა, გმადლობთ, — ღიმილით ვუპასუხე. ვიგრძენი, რომ წამით შეყოვნდა და ალბათ ფიქრობდა, რა ეპასუხა. ნეტა თუ ხვდებოდა, — ამ გზით ვცდილობდი მიმენიშნებინა, რომ ის არასოდეს ამბობდა „გმადლობ". ნუთუ უცნაურად არ ეჩვენებოდა ის, რომ მისი ქმრისთვის შეკვეთილი მაგიდის გამო, მადლობას მე ვუხდიდი. სარკასტული სატელეფონო კომენტარებისა და უკმეხი ბრძანებების პასუხად მას მადლობას ვეუბნებოდი. მინდა გითხრათ, ჩემთვის ეს ძალზე სასიამოვნო ტაქტიკა აღმოჩნდა. იცოდა, რომ რაღაცნაირად დავცინოდი, მაგრამ რას მეტყოდა? „ან-დრ-ეა, თქვენი მადლობების მოსმენა არ მსურს?" „ასეთი ფორმით მადლიერების გამოხატვას გიკრძალავთ?" ისე, თუ დაუფიქრდებოდი, მსგავსი რამის თქმა თავისუფლად შეეძლო.

„ლა სერკე," „ლა სერკე," „ლა სერკე," გონებაში ვიმეორებდი. გადავწყვიტე შეკვეთა დაუყოვნებლივ შემესრულებინა, რომ რაც შეიძლება სწრაფად დავბრუნებოდი გაცილებით რთულ დავალებას, „ჰარი პოტერის" მეოთხე ნაწილის ორ ეგზემპლარად შოვნას. „ლა სერკე" უპრობლემოდ დამთანხმდა დღის ნე-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბისმიერ დროს მისტერ ტომლინსონისა და ირვისთვის მაგიდის დაჯავშნაზე.

ემილიმ ოფისში შემოისეირნა და მკითხა, მირანდამ დარეკა თუ არაო.

— მხოლოდ სამჯერ და მოხსნით ერთხელაც არ დამმუქრებია, — ამაყად ვუპასუხე, — მართალია, მიმანიშნა, მაგრამ ღიად არაფერი უთქვამს, პროგრესია, შენ რას იტყვი? — ცოტათი თავი გავისულელე. გაეცინა. შემდეგ მისი გურუს, მირანდას სურვილით დაინტერესდა, — ყრუ-მუნჯი მამიკოსთვის რესტორანში დაჯავშნილი ადგილი შემაცვლევინა. არ მესმის, რატომ მაკეთებინებს ამას, პირადი თანაშემწე ხომ ჰყავს? მაგრამ მე ხომ ზედმეტ კითხვებს არ ვსვამ!

„მისტერ ბრმა, ყრუ და მუნჯი" — ასე შევარქვით მირანდას მესამე ქმარს. მართალია საზოგადოებამ მისი ყრუმუნჯობის შესახებ არაფერი იცოდა, თუმცა ჩვენთვის ნათელი იყო, რომ ის ყველაფერთან ერთად ბრმაც იყო. აბა, სხვანაირად როგორ შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ასეთი სასიამოვნო ადამიანი მირანდასთან თანაცხოვრებას უძლებდა.

ახლა ყრუ-მუნჯი მამიკოსთვის უნდა დამერეკა. ეს სწრაფად უნდა გამეკეთებინა, თორემ შესაძლოა, რესტორანში შეხვედრაზე დაეგვიანა. ირვი რავიცთან — „ელიას-კლარკის" აღმასრულებელ დირექტორთან საქმიანი შეხვედრისათვის შვებულებიდან რამდენიმე დღით დაბრუნდა, მათთან სადილობა ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. მირანდას სურდა, როგორც ყოველთვის, ყველაფერს უნაკლოდ ჩაევლო. ყრუ-მუნჯი მამიკოს ნამდვილი სახელი ჰანთერ ტომლინსონი იყო. ის და მირანდა ჩემს იქ მისვლამდე, ერთი წლით ადრე დაქორწინებულან და როგორც მომიყვნენ, საკმაოდ უცნაური რომანი ჰქონიათ. მირანდა აქტიურობდა, ჰანთერი პასიურობდა. ემილიმ გამანდო, თურმე მირანდა არ ეშვებოდა, უკან დასდევდა, ისიც ამდენი სირბილისაგან გადაღლილა და ქორწინებაზე დასთანხმებია. მეორე ქმარს (სამოციანების ცნობილი როკჯგუფის ერთ-ერთი წამყვან სოლისტსა და ტყუპის მამას) თურმე ამის შესახებ წარმოდგენაც არ ჰქონდა, სანამ მირანდას ადვოკატმა განქორწინების საბუთები სახეზე არ ააფარა. კანონიერი განქორწინებიდან ზუსტად თორმეტ დღეში, მირანდა კვლავ გათხოვდა. მისტერ ტომლინსონი, მეუღლის ბრძანების თანახმად, საცხო-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვრებლად მეხუთე ავენიუზე, მირანდას პენთჰაუზში გადავიდა. მირანდას ერთხელ შევხვდი, მისი ქმარი კი თვალით არ მენახა, თუმცა ცოლ-ქმრის სატელეფონო საუბრებით ჩანდა, რომ ნამდვილი ოჯახი შეექმნათ.

მესამე, მეოთხე, მეხუთე ზარი... მმმ, ნეტა სად არის მისი მდივანი? უმჯობესი იქნებოდა ავტომოპასუხე ჩართულიყო, იმ დღეს მეგობრული საუბრების გუნებაზე სულაც არ ვიყავი, არადა ყრუ-მუნჯ მამიკოს მსგავსი საუბრები ძალიან უყვარდა. ყურმილი მისმა მდივანმა აიღო.

— მისტერ ტომლინსონის ოფისი, გისმენთ, — მძიმე სამხრეთული მახვილებით მიპასუხა მდივანმა, — რით შემიძლია გემსახუროთ? (რით შ-ე-მიძლია გემსახურო-თ?).

— გამარჯობა, მარტა, ანდრეა ვარ. მისმინე, საჭირო არ არის მისტერ ტომლინსონს პირადად ვუთხრა, შენ გადაეცი, კარგი? მისთვის დავჯავშნე...

— ძვირფასო, ხომ იცი, მისტერ ტომლინსონს როგორ უყვარს შენთან საუბარი. წამით დამელოდე, — და სანამ სიტყვის თქმას მოვასწრებდი, ყურმილში ბობი მაკფერნის სიმღერა „არ იდარდო, მშვიდად იყავი" ჩაირთო. მშვენიერია. მოლოდინის რეჟიმისთვის მსოფლიოში ყველაზე ოპტიმისტური სიმღერის შერჩევა ნამდვილად ყრუ-მუნჯი მამიკოს სტილში იყო.

— ენდი, ძვირფასო, ეს შენ ხარ? — მშვიდად მკითხა თავისი გამორჩეული ხმით, — მისტერ ტომლინსონს ჰგონია, რომ ემალები. დიდი ხანია არ გვისაუბრია, უფრო ზუსტად, კვირა-ნახევარი, — გარდა იმისა, რომ მისტერ ტომლინსონი ყრუ, მუნჯი და ბრმა იყო, ამასთან ის საკუთარ თავზე მესამე პირში საუბრობდა. ღრმად ჩავისუნთქე.

— გამარჯობა, მისტერ ტომლინსონ, მირანდამ მთხოვა გადმომეცა, რომ დღეს, პირველ საათზე „ლა სერკეში" სადილობთ. მან ასევე გადმოგცათ, რომ...

— ძვირფასო, — მშვიდად და ზანტად მიპასუხა, — სამუშაოსგან ერთი წუთით დაისვენე. მიეცი საშუალება მოხუცს, შენი ამბები მოისმინოს. მას ხომ არაფერს დაუმალავ? აბა, ძვირფასო, როგორ მოგწონს ჩემს ცოლთან მუშაობა?

„როგორ მომწონს მის ცოლთან მუშაობა? ჰმ, ერთი დავფიქრდე, ნეტა რას გრძნობენ პაწაწინა ძუძუმწოვრები, როდესაც თავს მტაცებელი ესხმით? რა თქმა უნდა, სიხარულს! სიგიჟემ-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

დე ბედნიერი ვარ თქვენს ცოლთან მუშაობით. როცა დაკავებულები არ ვართ, ერთმანეთს სახეზე ტალახის ნიღბებს ვუკეთებთ და პირად ცხოვრებაზე ვეჭორავებით. არაჩვეულებრივ დროს ვატარებთ! ალბათ გესმით, არა? ვმეგობრობთ და რამე. ერთი სიტყვით, კარგად ვერთობით."

— მისტერ ტომლინსონ, ჩემი სამუშაო ძალიან მომწონს, ხოლო მირანდასთან მუშაობაზე უბრალოდ ვგიჟდები, — სუნთქვა შევიკავე და გულში ლოცვა წარმოვთქვი, რომ თავი არ გამეყიდა.

— გასაგებია, მაშინ მისტერ ტომლინსონი სიხარულისგან უბრალოდ მეცხრე ცაზეა, ასე კარგად რომ აეწყო ყველაფერი.

„მართლა, ჰო, დეგენერატო, მეცხრე ცაზე ხარ, არა?"

— დიდი მადლობა, მისტერ ტომლინსონ, სასიამოვნო დღეს გისურვებთ! — მოკლედ მოვუჭერი და გავუთიშე, სანამ ჩემი უქმე დღეების შესახებ გარდაუვალ დაკითხვას მომიწყობდა.

სკამს ზურგით მივეყრდენი და ოფისში უაზროდ მიმოვიხედე. ემილი მირანდას „ამერიკან ექსპრესის" მორიგ ოციათასიან ჩეკს ჩაჰკირკიტებდა, ლამაზი ფორმის წარბები შეეკრა, სამუშაოზე იყო კონცენტრირებული. „ჰარი პოტერის" პროექტი ყელში ძვალივით მქონდა გაჩხერილი. უქმეებზე დასვენება თუ მინდოდა, რაღაც უნდა მეღონა.

მე და ლილიმ გადავწყვიტეთ, რომ შაბათ-კვირას ფილმების ყურებაში გავატარებდით. მე სამსახურით დავიქანცე, ის — ლექციებით. ასე რომ, ერთმანეთს შევპირდით, შაბათ-კვირა ერთად, მის დივანზე ლუდსა და ჩიფსებზე გაგვეტარებინა. არანაირი სხვა საჭმელი. არანაირი დიეტური „კოლა" და არავითარი შავი შარვლები, მიუხედავად იმისა, რომ ორივეს მუდამ შავი შარვლები გვეცვა. ნიუ-იორკში ჩემი გადმოსვლის შემდეგ დიდი ხანია ერთად არ ვყოფილვართ.

მე და ლილი მერვე კლასიდან ვმეგობრობდით. პირველად, როცა ის ბუფეტში დავინახე, მაგიდასთან მარტო იჯდა და ტიროდა. მას მერე, რაც მშობლებმა მიატოვეს, ბებიასთან, ეივონში გადმოვიდა საცხოვრებლად და ჩვენს სკოლაში დაიწყო სიარული. მისი მშობლები, რამდენიმე თვით ადრე „მკვდრების" ფანკლუბს შეერთებიან (და რადგან მხოლოდ ცხრამეტი წლისანი იყვნენ, „ელესდე"[49] უფრო აინტერესებდათ, ვიდრე საკუთარი შვილი), ლილი ნიუ-მექსიკოში, კომუნაში („კოლექტივში",

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

როგორც ლილი ეძახდა), გიჟმაჟ მეგობრებთან დაუტოვებიათ, წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ შვილი არ ენახათ, ამიტომ ბებიამ ლილი კომუნიდან („სექტიდან", როგორც მას ბებია ეძახდა) თავისთან, ეივონში წამოიყვანა. როცა გავიცანი, იმ დღეს ბებიას აბურდული თმის შეჭრა და კაბის ჩაცმა მოუთხოვია მისთვის, რის გამოც ლილი ბუფეტში იჯდა და გულამოსკვნილი ტიროდა. ლაპარაკის მანერამ და უცნაურმა ფრაზებმა — „ძენის მოციქულს ჰგავხარ" ან „მოდი, უბრალოდ განვიტვირთოთ" — უმალ მომხიბლა, ვერც კი მივხვდით, ისე დავმეგობრდით. სკოლის განმავლობაში განუყრელი მეგობრები ვიყავით, შემდეგ ბრაუნის უნივერსიტეტში ჩავაბარეთ და ოთახშიც ერთად ვცხოვრობდით. ლილის დღემდე არ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომელი უფრო მოსწონდა — „მაკის" პომადა თუ კანაფის ყელსაბამი. ცოტათი „უცნაური" იყო იმისთვის, რომ ყველაფერი ისე ეკეთებინა, როგორც ამას ზოგადად, საზოგადოების ნორმალური ნაწილი აკეთებს. ერთმანეთს ვავსებდით. ლილი ძალიან მენატრებოდა. იმ დღიდან, როდესაც ასპირანტურაში ჩააბარა, ხოლო მე მირანდას ვირტუალური მონა გავხდი, ერთმანეთს თითქმის ვერ ვხედავდით.

ერთი სული მქონდა, შაბათ-კვირა როდის დადგებოდა. თოთხმეტსაათიანი მუშაობა ჩემს ტერფებს, მკლავებსა და წელს დასტყობოდა. მომიწია სითხეში ჩამედო კონტაქტური ლინზები, რომლებსაც ბოლო ათი წელია ვატარებ და ისევ სათვალე მომერგო, რადგან თვალები თითქმის სულ მშრალი და დაღლილი მქონდა. დღეში ერთ კოლოფს ვეწეოდი და პრაქტიკულად „სტარბაქსის" ყავითა (რაც გასავალ ხარჯებში იწერებოდა) და სწრაფი კვების ობიექტებში ნაყიდი მზა სუშით ვარსებობდი (მის საფასურსაც „ელიასი" იხდიდა). გავხდი. წონა, რომელიც დიზენტერიის გამო დავკარგე, ცოტა ხნით ისევ აღვიდგინე, მაგრამ რაც „პოდიუმში" დავიწყე სირბილი, მალევე დავიკელი. ალბათ ჰაერში ტრიალებდა რაღაც ისეთი, რაც კილოგრამებზე მოქმედებდა, ან იქნებ იქაური საკვებისადმი ჩემი დამოკიდებულება იყო მიზეზი? გაცივება და ჯანმრთელი ფერის დაკარგვა უკვე მომეხერხებინა, არადა ჯერ სულ ოთხი კვირა იყო გასული. მხოლოდ ოცდასამი წლის ვიყავი და მირანდა ქალაქში ჯერ კიდევ არ იყო. ამის დედაც! შაბათ-კვირის დასვენება დავიმსახურე!

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

„ჰარი პოტერზე“ დავალების მოცემა მოულოდნელი იყო ჩემთვის. მირანდამ დილით დარეკა და რამდენიმე წამში მითხრა რა სურდა, მე კი ნახევარი დღე დამჭირდა, რომ გადმომეთარგმნა და გამეგო, რა სურდა. მალევე მივხვდი, მირანდა პრისტლის სამყაროში უმჯობესი იყო რამე შეგშლოდა, შემდეგ დიდი დრო და ფული დაგეხარჯა ამ შეცდომის გამოსასწორებლად, ვიდრე გელიარებინა, რომ აზრზე არ იყავი, თავისი ბრიტანული გამოთქმით რას გავალებდა და მისთვის განმარტება მოგეთხოვა. ამიტომ, როდესაც „ჰარი პოტერის“ პარიზში გაგზავნა მიბრძანა, ინტუიციამ მიკარნახა, რომ ეს დავალება შაბათ-კვირის გეგმებს ჩამიშლიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ, რაც მირანდამ ტელეფონი გამითიშა, გაფართოებული თვალებით ემილის გადავხედე.

— აჰ, რაა? რა? რა მითხრაა? — შეწუხებული ხმით ვკითხე, საკუთარ თავს ვერ ვიტანდი, როცა მეშინოდა, მირანდასთვის მეთხოვა ნათქვამის გამეორება, — რატომ ვერ ვიგებ ამ ქალის ლაპარაკს? მეც ხომ ინგლისურად ვლაპარაკობ, ბოლოს და ბოლოს ეს ჩემი მშობლიური ენაა! ემ? ზუსტად ვიცი, ამას ჩემს გასაგიჟებლად აკეთებს.

ემილიმ მისთვის ჩვეული ზიზღისა და სიბრალულის გამომეტყველებით გადმომხედა:

— რადგან წიგნი ნიუ-იორკში ხვალ გამოდის, ისინი კი პარიზში იმყოფებიან, მას ვერ შეიძენენ, ამიტომ მირანდას სურს, ორი ეგზემპლარი ტეტერბოროს აეროპორტში მიიტანო და თვითმფრინავით პარიზში გაუგზავნო, — ცივად და მკაფიოდ გამოცრა, თან ისეთი თვალებით მიყურებდა, აბა, გამებედა და მირანდას უაზრო ინსტრუქციებზე რამე მეთქვა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ემილი ყველაფერზე წამსვლელი იყო, ოღონდ კი მირანდას ცხოვრება ოდნავ უფრო კომფორტული გაეხადა. თვალები გადავატრიალე და გავჩუმდი.

არ ვაპირებდი ჩემი უქმე დღეები მირანდას ხუშტურების გამო დამეთმო და ამიტომ დავალების შესრულებას მთელი ძალისხმევით შევუდექი. მეხმარებოდა ის, რომ ნებისმიერ თანხაზე მიმინწდებოდა ხელი და მისი ავტორიტეტის გამოყენებაც შემეძლო. ნახევარი დღე „ჰარი პოტერის“ ხელში ჩაგდებას მოვანდომე. პირველ რიგში ერთი-ორი სიტყვით ჯულიას მივწერე გამომცემლობაში „წიგნები მოზარდთათვის“:

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ძვირფასო ჯულია,

ჩემმა თანაშემწემ, ანდრეამ დამარწმუნა, რომ თქვენ ხართ ის არაჩვეულებრივი პიროვნება, ვისაც შემიძლია თხოვნით მივმართო. მან ასევე მითხრა, რომ თქვენ ხართ ერთადერთი ადამიანი, ვისაც ხელი მიგიწვდებათ იმ არაჩვეულებრივი წიგნის ორ ეგზემპლარზე, რომელიც ხვალ ასე მჭირდება. მინდა იცოდეთ, თუ როგორ ვაფასებ თქვენს ძალისხმევასა და კომპეტენტურობას. მსურს ასევე იცოდეთ, თუ რამდენად გაახარებთ ჩემს გოგონებს ამ წიგნებით. გთხოვთ, არ მოგერიდოთ და გამაგებინოთ, თუ ოდესმე რამეში ჩემი დახმარება დაგჭირდებათ, სულ უმნიშვნელო წვრილმანშიც კი, რათა შესაძლებლობა მომეცეს თქვენნაირ არაჩვეულებრივ გოგონას მადლობა გადავუხადო.

გკოცნით და გეხვევით,

მირანდა პრისტლი“.

მისი ხელმოწერა უნაკლოდ გავაყალბე (მეცადინეობის შედეგი იყო — მახსოვს, როდესაც ემილი თავზე მადგა და მასწავლიდა, როგორ მომეხაზა „ა“-ს მუცელი). წერილს „პოდიუმის“ ბოლო ნომერი დავურთე — ის, რომელიც ჯერ პრესის ჯიხურებში არ იყიდებოდა, და კურიერი ვაფრინე, რათა შეკვრა სასწრაფოდ ქალაქის ცენტრში, გამომცემლობის „წიგნები მოზარდთათვის“ სათავო ოფისში მიეტანა. ესეც თუ არ გაჭრიდა, საქმეს აღარაფერი ეშველებოდა. მირანდას არ ადარდებდა, მის ხელმოწერას რომ ვაყალბებდით. პირიქით, უმნიშვნელო დეტალებით თავს არ იწუხებდა, არადა, რომ გაეგო, რამდენად თავაზიანი წერილი მივწერე მისი სახელით გამომცემლობას, დარწმუნებული ვარ, სიბრაზისაგან გალურჯდებოდა.

სამი კვირით ადრე მირანდას სატელეფონო ზარის გამო ყველა ჩემს გეგმას ალბათ დაუყოვნებლივ გადავდებდი და შაბათ-კვირასაც კი ვიმუშავებდი, მაგრამ ახლა, უკვე გამოცდილების მქონემ და გამოწვრთნილმა, გადავწყვიტე წესებზე თვალები ცოტა დამეხუჭა. იქიდან გამომდინარე, რომ მომდევნო დღეს არც მირანდა, არც გოგონები „ჰარი პოტერს“ აეროპორტში არ დახვდებოდნენ, საჭიროდ არ ჩავთვალე წიგნი იქ პირადად მიმეტანა. რაღაც წვრილმანი საქმეები მოვაგვარე იმ იმედით, რომ ჯულია ჩემთვის წიგნის ორ ეგზემპლარს იშოვიდა, თან გულში ამაზე ლოცვას არ ვწყვეტდი. ჯერ ერთგან დავრეკე, მერე მეორეგან და საქმეც აეწყო:

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბრაიანი, აკადემიური რედაქციის მდივანი, რომელსაც რამდენიმე საათში ჯულიასგან ნებართვა ექნებოდა, სალამოს „ჰარი პოტერის" ორ ეგზემპლარს ოფისიდან შინ წაიღებდა და ამგვარად, შაბათს სამსახურში წიგნებისთვის აღარ მიბრუნდებოდა. ის, მათ აფერ ვესთ ენდში თავისი სახლის შვეიცარს დაუტოვებდა. მე კი, მომდევნო დღის თერთმეტ საათზე მათ მოსატანად მანქანას გავგზავნიდი. წიგნებს მირანდას მძღოლი, იური წამოიღებდა, რომელიც უმალ დამირეკავდა და დამიდასტურებდა, რომ წიგნები თან აქვს და ტეტერბოროსკენ მიემართება. აეროპორტიდან „ჰარი პოტერის" ორი ეგზემპლარი მისტერ ტომლინსონის პირად თვითმფრინავში მოხვდებოდა, იქიდან კი — პარიზში. ერთი გაფიქრება გავიფიქრე, მთელ ამ მისიას კოდური სახელი ხომ არ მივანიჭო-მეთქი, რომ „სუკის" რომელიმე ჯაშუშურ ოპერაციას მეტად დამსგავსებოდა, მაგრამ გადავიფიქრე, როდესაც გამახსენდა, რომ იური ინგლისურს კარგად ვერ ფლობდა და შეიძლება ყველაფერი არევ-დარეოდა. ისიც კი გავარკვიე, რამდენად სწრაფად მუშაობდა ექსპრესკურიერი „დი-ეიჩ-ელი", მაგრამ შეკვრის მიწოდება ორშაბათამდე ვერ მოხერხდებოდა. ამიტომ დავალების შესრულება მხოლოდ თვითმფრინავით იყო შესაძლებელი. თუ ყველაფერი ისე წარიმართებოდა, როგორც დავგეგმე, კესიდი და ქეროლაინი კვირა დილით პარიზულ ბინაში რომ გაიღვიძებდნენ, ჭიქა რძესთან ერთად „ჰარი პოტერიც" დახვდებოდათ და მის თავგადასავალს მეგობრებზე ერთ დღით ადრე წაიკითხავდნენ. ამის გაფიქრებაზე გულში სითბო ვიგრძენი, მართლა ვიგრძენი. ბრძანებების გაცემის შემდეგ, როცა ყველა მზად იყო დავალების შესასრულებლად, ჯულიამ დამირეკა — მართალია, მსგავსი ქმედება მკაცრად ისჯებოდა და სავსებით შესაძლებელია, ხელმძღვანელობასთან პრობლემები შეეჰქმნოდა, მაინც მოხარული იყო იმით, რომ მისის პრისტლის თხოვნა შეასრულა და ბრაიანს წიგნს ორ ეგზემპლარად დაუტოვებდა. ამინ.

— შენ გჯერა, რომ ის მართლა დაინიშნა? — მკითხა ლილიმ და გადაახვია „ფერის ბიულერის" კასეტა, რომლის ყურებაც ის წუთი იყო, დავასრულეთ, — იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ ხომ მხოლოდ ოცდასამი წლისანი ვართ, ღვთის გულისათვის! ასეთი სიჩქარე რა საჭირო?

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

— ვიცი და მართლა უცნაურია, — სამზარეულოდან გამოვ-
ძახე, — იქნებ დედ-მამა არ აძლევდა უფლებას, დაოჯახებამდე
კუთვნილი ქონებით ესარგებლა? ეს საკმარისი მიზეზია იმის-
თვის, ვინმეს თითზე ნიშნობის ბეჭედი წამოაცვა, ან იქნებ სუ-
ლაც მარტოდ გრძნობდა თავს?

ლილიმ შემომხედა და გადაიხარხარა.

— ჰო, აბა, წარმოუდგენელია ისე უყვარდეს, რომ მზად
იყოს, დარჩენილი ცხოვრება მასთან გაატაროს. ეს ხომ უკვე
დავადგინეთ, არა?

— ჰო, მაგრამ ეს გამოსავალი არაა. მაშ, სხვა მოსაზრებაც
მითხარი.

— კარგი, იძულებული ვარ, ავირჩიო რიგით მესამე მო-
საზრება. გეია. როგორც იქნა, თავს გამოუტყდა — არადა, მე
ყოველთვის ვიცოდი — და იმასაც მიხვდა, რომ ამას მშობლები
ვერ გადაიტანდნენ, ასე რომ, გამოსავალი ქორწინებაში იპოვა.
აბა, რას ფიქრობ?

სიაში შემდეგი „კასაბლანკა" იყო. ლილიმ სწრაფად გა-
დაახვია ფილმის ტიტრები, სანამ მე „ცხელ შოკოლადს" მი-
კროტალღოვან ღუმელში ვაცხელებდი. მის პაწაწინა ბინაში,
„მორნინგსაიდ ჰაითზე", პარასკევ საღამოდან შაბათ დილამ-
დე ტახტიდან არ წამოვმდგარვართ, მხოლოდ მოსაწევად ან
მორიგი ბლოკბასტერის საყურებლად თუ ვდგებოდით. შაბათ
შუადღეს განსაკუთრებით მოტივირებულები ვიყავით და რამ-
დენიმე საათით სოჰოშიც კი ჩავისეირნეთ. წვეულებისთვის,
რომელსაც ლილი ახალი წლისთვის გეგმავდა, ორივემ ახალი
მაისურები შევიძინეთ. იმავე დღეს რომელიღაც კაფეს ტერა-
საზე დიდი ჭიქებით მივირთვით გოგლიმოგლი. როცა მის ბი-
ნაში დავბრუნდით, დაღლილობისგან ფეხზე ძლივს ვიდექით.
მთელი ღამე თი-ენ-თიზე ხან „როცა ჰარი შეხვდა სალის",
ხანაც „შაბათის პირდაპირ ეთერს" ვუყურებდით. მთლიანად
მოვეშვი, ჩემი ყოველდღიური აუტანელი საქმიანობა აღარც
კი მახსოვდა. სრულებით გადამავიწყდა მისია „ჰარი პოტე-
რი", ვიდრე კვირას ტელეფონის ხმა არ შემომესმა. ღმერთო
ჩემო! ისაა! ლილი იმ მომენტში ვილაცას, ალბათ ჯგუფელს,
მობილურით რუსულად ესაუბრებოდა. გმადლობ, გმადლობ,
უფალო: ის არ იყო, მაგრამ მაინც ვერ დავწყნარდი. უკვე
კვირა დილა იყო და წარმოდგენა არ მქონდა, იმ შტერულმა

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

წიგნებმა პარიზამდე თუ ჩააღწია. ისე გავერთე ჩემს უქმეებზე, იმდენად მოვეშვი, რომ გადამოწმება სულ ამომიფრინდა თავიდან. რა თქმა უნდა, ტელეფონი ჩართული მქონდა თან მაქსიმალურ ხმაზე, მაგრამ მაინც, სხვის ზარს არ უნდა დავლოდებოდი, დაგვიანებულზე უკვე ველარაფერს გამოვასწორებდი. უნდა ავმდგარიყავი და პრიმიტიული გზით — გადასამოწმებლად დამერეკა. ნეტა როგორ გაართვეს თავი მისიის შემსრულებლებმა მათთვის დაკისრებულ ვალდებულებებს, რომელიც უმაღლესი დონის ქორეოგრაფიული მონახაზით დავგეგმე?

ჩანთაში ხელი ჩავყავი და დავუნყე ძებნა მობილურ ტელეფონს, რომელიც „პოდიუმში" მომცეს, რათა ყოველთვის, ნებისმიერი დღის ნებისმიერ მონაკვეთში ხაზზე ვყოფილიყავი და მირანდასთვის მეპასუხა. როგორც იქნა, ჩანთის სარჩულში გახლართული ტელეფონი გავათავისუფლე, ამოვიღე და ლოგინზე ზურგით გადავვარდი. პატარა ეკრანზე დახედვისთანავე მივხვდი, რომ მომსახურების ზონიდან გასული იყო. ინტუიციამ მიკარნახა, რომ მირანდა რეკავდა, მაგრამ ვინაიდან ტელეფონი მის ზარს არ იჭერდა, ავტომოპასუხეზე დატოვა შეტყობინება. მობილური შემზიზღდა, იმ წუთებში „ბენგ ენდ ოლუფსენის" მარკის ჩემი ახალი ტელეფონიც შემზიზღდა, ლილის ტელეფონიც ვერ ავიტანე, შევიძულე ტელეფონის რეკლამები, ჟურნალებში განთავსებული ფოტოები, თვით ალექსანდრე გრეჰემ ბელიც კი შემძულდა. მირანდა პრისტლისთან მუშაობა ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებაში რიგ გვერდით მოვლენებს იწვევდა, მათგან ყველაზე არაბუნებრივი ტელეფონების მიმართ ჩემი ყოვლისმომცველი აგრესია იყო.

როცა ტელეფონი რეკავს, ადამიანთა უმეტესობას უხარია. ეს ნიშნავს, რომ ვილაც შენთან დაკავშირებას ცდილობს, აინტერესებს, როგორ ხარ, რა გეგმები გაქვს. ჩემში კი ტელეფონის ზარი შიშსა და განგაშს იწვევდა. ბევრს ჰგონია, რომ ეს ახალი ტელეფონები ათასგვარი შესაძლებლობისა და ფუნქციის გამო სახალისოა. ჩემთვის კი მსგავსს არაფერს ნიშნავდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ მირანდასთან მუშაობამდე, მისი ზარის მოლოდინში არასოდეს ვყოფილვარ. „პოდიუმში" სამსახურის დაწყებიდან რამდენიმე დღეში სატელეფონი კომ-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

პანიაში განცხადება შევიტანე და შემდეგი ფუნქციები ჩავართვევინე: „მეორე ხაზი“ (მისთვის დაკავებული რომ არასოდეს იყოს), „ნომრის ამომცნობი“ (მის ზარებს რომ არ ვუპასუხო), „მეორე ხაზი ნომრის ამომცნობით“ (როცა ერთ ხაზზე ვსაუბრობ, მისი ზარები უპასუხოდ რომ დავტოვო), „ხმოვანი ფოსტა“ (რათა არ მიმიხვდეს, რომ სხვა ხაზზე ვსაუბრობ და მას ამიტომ არ ვპასუხობ). მსგავსი სატელეფონო მომსახურებისთვის თვეში ორმოცდაათ დოლარს ვიხდიდი, ეს კი სულიერ სიმშვიდედ ნამდვილად მიღირდა. მთლად სიმშვიდედაც არა, მაგრამ... შემზადებაში ნამდვილად მშველიდა.

სამწუხაროდ, მობილურ ტელეფონს მსგავსი შესაძლებლობები არ ჰქონდა, ფუნქციურად ის სახლის ტელეფონს უფრო ჰგავდა, მაგრამ მირანდასთვის არ არსებობდა მიზეზი და გამართლება, თუ რატომ შეიძლება ტელეფონი გათიშული ყოფილიყო. მისი ზარის იგნორირება დაუშვებელი იყო. „პოდიუმში“ მუშაობის დაწყებისას, როდესაც ემილიმ მობილური ტელეფონი — სტანდარტული საოფისე ტექნიკის ნაწილი — გადმომცა, მკაფიოდ ამიხსნა, რომ სულ თან უნდა მეტარებინა და უპასუხოდ არ დამეტოვებინა. მას სატელეფონო ზარის უპასუხოდ დატოვების რამდენიმე მიზეზი დავუსახელე, არც ერთი მათგანი არ მიიღო.

— რომ მეძინოს?— იდიოტობა ვკითხე.

— გაიღვიძე და უპასუხე, — მითხრა და თან ფრჩხილებზე ლაქის წასმა გრძელი ფუნჯით გააგრძელა.

— თუ ძალიან გემრიელ კერძს შევექცევი?

— მოიქეცი, როგორც დანარჩენი ნიუიორკელები იქცევიან, — ჭამისას უპასუხე.

— თუ გინეკოლოგთან ვარ შემოწმებაზე?

— რამდენადაც ვიცი, იქ ყურებს არ გითვალიერებენ, არა? კარგი. გასაგებია.

ეს ოხერი მობილური მეზიზღებოდა, მაგრამ უპასუხოდ მაინც ვერ დავტოვებდი. მირანდასთან ამ ტელეფონით ისე ვიყავი დაბმული, როგორც ყელზე შემოხვეული ჭიპლარით, საკმარისი იყო გავნძრეულიყავი, გაგუდვით მემუქრებოდა. გამუდმებით მირეკავდა, ამაზე ჩემმა სხეულმა ინტუიციური რეაგირება გამოიმუშავა, როგორც თავის დროზე პავლოვის ძაღლმა. ბრრრ-ბრრრ. გულის ფეთქვამ იმატა. ბრრრრრ. თითი

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ავტომატურად მივაჭირე და მხარიც დამეჭიმა. ბრრრრრ. „ოო, ნეტა თავს დამანებებდეს! რა იქნება, რომ ჩემი არსებობა დაივიწყოს!"

შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა. დღემ ისე მშვენივრად ჩაიარა, რომ აზრადაც არ მომსვლია, დაფარვის ზონიდან თუ გავიდოდი, მეგონა პრობლემის შემთხვევაში უბრალოდ დამირეკავდნენ — ნომერი პირველი შეცდომა. სანამ ტელეფონი ისევ ჩაირთვებოდა ოთახში წინ და უკან სიარულით ალბათ რამდენიმე კილომეტრი გავიარე. სუნთქვა შევიკარი და ავტომოპასუხის ღილაკს დავაჭირე: 1) დედაჩემი მე და ლილის საუცხოო დროის გატარებას გვისურვებდა. 2) სან-ფრანცისკოდან ნიუ-იორკში საქმეზე ჩამოსული ძველი მეგობარი შეხვედრას მთხოვდა. 3) ჩემი და მახსენებდა, რომ კაილის დაბადების დღე ახლოვდებოდა და მისთვის მისალოცი ღია ბარათის გაგზავნა არ დამვიწყებოდა. თითქმის სულ ეს იყო, რომ არა არცთუ ისე მოულოდნელი, საზარელი ბრიტანული გამოთქმა, რომლის გაგონებისთანავე ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

— ან-დრ-ეა. ეს მე ვარ, მირანდა. დღეს კვირაა, პარი-ზ-ში უკვე დილის ცხრა საათია, მაგრამ გოგონებს თავიანთი წიგნები ჯერ არ მიულიათ. „რიცში" დამირეკეთ და დამარწმუნეთ, რომ წიგნები მალე პარიზში გვექნება. სულ ეს არის. წკაპ.

ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ყელში რაღაც გამეჩხირა. როგორც ყოველთვის, შეტყობინება მისალმების, მადლობისა და დამშვიდობების მსგავს სიტყვებს არ შეიცავდა. ეს ხომ გასაგებია, მაგრამ საშინელება ის იყო, შეტყობინება თითქმის ნახევარი დღის წინ დამიტოვა და მე არც კი გადამირეკავს. დათხოვნის მიზეზი უკვე არსებობდა და ვიცოდი, რომ ველარაფერს შევცვლიდი. როგორც გამოუცდელმა, ჩავთვალე, რომ ჩემი გეგმა უნაკლოდ შესრულდებოდა და არც გამხსენებია, რომ იურის არ დაურეკავს და არ დაუდასტურებია, რომ შეკვრა შვეიცარს გამოართვა და აეროპორტში მიიტანა. ტელეფონების წიგნაკში მოვძებნე მისი ნომერი, რომელზეც, კვირის ნებისმიერ დღესა და საათს, მირანდა მასაც ჩემსავით უპრობლემოდ უკავშირდებოდა.

— გამარჯობა იური, ანდრეა ვარ. ბოდიში, რომ კვირადღეს გაწუხებ, მაგრამ მაინტერესებს გუშინ იმ მისამართზე თუ მიხვედი, რომელიც მოგეცი და წიგნები თუ წამოიღე?

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— გამარჯობა, ენდი, მიხარია შენი ხმის გაგონება, — მიპასუხა ძლიერი რუსული აქცენტით, რომელიც ჩემზე იავნანასავით მოქმედებდა. პირველი შეხვედრის მერე ჩემს სახელს ისეთი სიყვარულით წარმოთქვამდა, როგორც ეს საყვარელ, მოხუც ბიძებს სჩვევიათ. ყრუ-მუნჯი მამიკოსგან განსხვავებით იურის „ენდი" სულაც არ მაღიზიანებდა, — რა თქმა უნდა, როგორც დამავალე, წიგნები წამოვიღე, შენ გგონია, არ მინდოდა შენი დახმარება?

— რა თქმა უნდა, არა, იური. უბრალოდ მირანდამ დამირეკა და მითხრა, რომ წიგნები ჯერ არ მიუღიათ და მაინტერესებდა, — ცოტა ხნით ჩუმად იყო, შემდეგ იმ მფრინავის ნომერი ჩამაწერინა, რომელიც გუშინ პარიზამდე პირად თვითმფრინავს მართავდა.

— ოჰ, გმადლობ, გმადლობ, გმადლობ, — ვუმეორებდი, ნომერს გამწარებით ვიწერდი და გულში ვლოცულობდი, რომ ამ მფრინავს მაინც შესძლებოდა ჩემთვის ყველაფრის ახსნა, — გავიქეცი. ბოდიში, რომ ასე გითიშავ, აბა, შენ იცი და სასიამოვნოდ გაატარე დღე!

— მადლობა, ენდი, შენც ისიამოვნე ამ უიკენდით. მე ვფიქრობ, რომ მფრინავი კაცი დაგეხმარება წიგნების მოძებნაში. სასიამოვნო ილბალს გისურვებ, — მითხრა და გამითიშა.

ლილი ორცხობილას აცხობდა, მთელი სულით მინდოდა მივხმარებოდი, მაგრამ ამ საქმისთვის ახლა რომ არ მიმეხედა, სამსახურს სამუდამოდ დავემშვიდობებოდი. იქნებ სულაც დამითხოვეს და ჩემთვის ამის სათქმელად თავი არავინ შეიწუხა? გავიფიქრე. არ გამიკვირდებოდა, მსგავსი რაღაცები „პოდიუმის" ტრადიციებში იყო. ერთხელ ერთ-ერთი მოდის რედაქტორი საკუთარ თაფლობის თვეს გაათავისუფლეს. ამ ამბის შესახებ შემთხვევით, ბალის[50] ქუჩებში სეირნობისას გაიგო, როდესაც ჟურნალი „მოდის ბიბლია" შეიძინა. სწრაფად ავკრიფე მფრინავის ნომერი, მაგრამ როდესაც ავტომოპასუხე ჩაირთო, იმედგაცრუებისგან კინაღამ გული გამისკდა.

„გამარჯობა, ჯონათანი ბრძანდებით, არა? მე ანდრეა საქსი ვარ ჟურნალ „პოდიუმიდან", მირანდა პრისტლის პირადი თანაშემწე და გუშინდელ ფრენასთან დაკავშირებით შეკითხვა მაქვს. ოჰ, იცით, ვიფიქრე, რომ შეიძლება ისევ პარიზში ხართ ან იქნებ უკან ბრუნდებით. უბრალოდ, წიგნებზე მინდოდა გა-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მერკვია, აჰ, მოკლედ, მაინტერესებდა პარიზში თუ მშვიდობიანად ჩაიტანეთ. შეგიძლიათ შემდეგ ნომერზე გადმომირეკოთ? 917-555-8702. გთხოვთ, როგორც კი მოახერხებთ, დამირეკეთ. გმადლობთ და ნახვამდის."

ვიფიქრე, „რიცის" კონსიერჟისთვისაც დამერეკა და მეკითხა, შემთხვევით ხომ არ ახსოვდა, მიიტანა თუ არა მანქანამ პარიზის პატარა, კერძო აეროპორტიდან წიგნების შეკვრა, მაგრამ უცებ გამახსენდა, რომ ჩემი მობილურით საერთაშორისო ზარებს ვერ განვახორციელებდი. ეს იყო ერთადერთი ოპერაცია, რომლის შესრულებაც იმ წუთებში მჭირდებოდა, მაგრამ ამისთვის ჩემი ტელეფონი უძლური იყო. ამ დროს ლილიმ გამომძახა, ჩემთვის ყავა მოედუღებინა და ორცხობილაც მზად ჰქონდა. სამზარეულოში შევედი და ერთი ცალი ავიღე. ლილი „სისხლიან მერის" წრუპავდა. აჰ. კვირა დილით ამას ნეტა რა ასმევდა?

— ისევ მირანდა? — მკითხა და თან თანაგრძნობით შემომხედა.

თავი დავუქნიე.

— ამჯერად, ძალიან შემეშალა, — ვუპასუხე და მოწოდებული თეფში გამოვართვი, — დიდი შანსია, გამიშვან.

— კარგი რა, პატარავ, სულ ასე ამბობ! არ გაგათავისუფლებს. შენი თავაუღებელი შრომა არც კი უნახავს. იმედია, ამას არ იზამს, რადგან მსოფლიოში ყველაზე საუცხოო სამსახური გაქვს!

ფრთხილად გავხედე, შევეცადე სიმშვიდე შემენარჩუნებინა.

— ჰო, რას მიყურებ? — გააგრძელა — მერე რა, რომ ჭირვეულია და ცოტას აფრენს. განა ყველა ეგრე არაა? სამაგიეროდ, ფეხსაცმელებს, კოსმეტიკასა და ტანსაცმელს გჩუქნის, ვარცხნილობას უფასოდ გიკეთებს, თანაც, რა ტანსაცმელია! რომელ სამსახურში ჩუქნიან თანამშრომელს ყოველდღიური ხმარებისთვის ოტ-კუტიურის ნახელავს? ენდი, შენ „პოდიუმში" მუშაობ, რას ვერ ხვდები? შენი სამსახურისთვის ბევრი მკვლელობას ჩაიდენდა.

მივხვდი. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ლილის, ჩემი ბავშვობის მეგობარს, ჩემი საერთოდ არ ესმოდა. მასაც, როგორც სხვებს, ის გიჟური ამბები და ისტორიები იტაცებდა, იქ რომ ვისმენდი და მერე ვყვებოდი. ნამდვილი გლამურული ჭორიკანა

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

გავხდი, მაგრამ მას წარმოდგენაც არ ჰქონდა, რამდენად ძნელი იყო მუშაობის ყოველი დღე „პოდიუმში". ვერც კი წარმოედგინა, რომ ყოველ დილით, ოფისში ტანსაცმლის გამო სულაც არ მივდიოდი, არ ესმოდა, რომ უფასო სამოსი ვერ შეამსუბუქებდა იქაურ რეჟიმს. დრო იყო, საუკეთესო მეგობრისთვის თვალი ამეხილა ჩემს სამყაროზე, დარწმუნებული ვიყავი, გამიგებდა. უბრალოდ, მისთვის ამის ახსნა იყო საჭირო. დრო იყო, ვინმესთვის გამეზიარებინა, თუ რა ხდებოდა სინამდვილეში. ის-ის იყო, სათქმელად მოვემზადე იმ იმედით, რომ მოკავშირეს გავიჩენდი, რომ ჩემი ტელეფონი აწკრიალდა. ჯანდაბა! კედელზე მისი შენარცხება მომინდა, მომინდა ყურმილში ჩამეყვირა, ჯანდაბამდე გზა გქონიათ-მეთქი, მაგრამ იმედის ნაპერწკალი მაინც მქონდა, რომ ჯონათანი მირეკავდა. ლილიმ გამილიმა და მითხრა, აუჩქარებლად მესაუბრა. თავი სევდიანად დავუქნიე და ზარს ვუპასუხე.

— ანდრეა ბრძანდებით? — მამაკაცის ხმა იყო.

— დიახ, თქვენ ჯონათანი ხართ?

— დიახ. ახლახან დავრეკე სახლში და თქვენი შეტყობინება მოვისმინე. პარიზიდან უკან მოვფრინავ, ახლა ატლანტის ოკეანის თავზე ვარ და ისე გელაპარაკებით. შეტყობინებაში შეწუხებული ხმა გქონდათ, ვიფიქრე, დავურეკავ და გავიგებ, რა ხდება-მეთქი.

— გმადლობთ! გმადლობთ! ამას ძალიან ვაფასებ. მართალი ბრძანდებით, ძალიან ვღელავ, რადგან მირანდამ დილით დამირეკა და გამაგებინა, რომ მისთვის ამანათი არ მიუტანიათ. მანქანის მძღოლს ხომ ნამდვილად გადაეცით?

— რა თქმა უნდა. იცით, მის, ჩემი საქმე არ არის კითხვების დასმა, უბრალოდ მივფრინავ იქ, სადაც დამავალებენ და ვცდილობ, ტვირთი დაუზიანებლად მივიტანო დანიშნულების ადგილამდე, მაგრამ სიმართლე გითხრათ, კონტინენტის ერთი ბოლოდან მეორეში პატარა შეკვრის ჩასატანად ნამდვილად არ დავფრინავ. ვიფიქრე, რომ სასიცოცხლო რამ იდო მასში — ორგანო ტრანსპლანტაციისთვის ან კონფიდენციალური დოკუმენტაცია. ასე რომ, ძალიან დიდი სიფრთხილითა და ყურადღებით გადავეცი მძღოლს, ზუსტად ისე, როგორც დამავალეს. „რიციდან" მის წასაღებად კარგი ბიჭი იყო მოსული, არანაირი პრობლემა არ შექმნილა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მადლობა გადავუხადე და გავუთიშე. „რიცის“ კონსიერჟმა მისტერ ტომლინსონისა და „ჰარის“ დასახვედრად პარიზის დე გოლის კერძო აეროპორტში მანქანა გაგზავნა. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წავიდა, მირანდას წიგნები კვირას, ადგილობრივი დროით დილის შვიდ საათზე ხელთ უნდა ჰქონოდა, აზრად არ მომდიოდა თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო. სხვა გამოსავალი არ მქონდა, კონსიერჟისთვის უნდა დამერეკა და რადგან ჩემი მობილურით ამას ვერ ვიზამდი, უნდა მეპოვა ისეთი ტელეფონი, რომელსაც საერთაშორისო ზარების განხორციელება შეეძლო. გაცივებული ორცხობილიანი თეფში ავიღე და სამზარეულოს სანაგვე ყუთში გადავუძახე. ნახევრად ჩაძინებული ლილი ისევ ტახტზე იწვა. ჩავეხუტე, დავემშვიდობე და ვუთხარი, რომ მოგვიანებით დავურეკავდი, შემდეგ შენობიდან გამოვედი და ტაქსი გავაჩერე, პირდაპირ ოფისისკენ გავემართე.

— ჩვენი გეგმები? — აწუწუნდა — ვაპირებდი „აშშ-ის პრეზიდენტი“ ჩამერთო. აუ, რატომ მიდიხარ? ჯერ ისევ კვირაა, მთელი საღამო წინ გვაქვს!

— ვიცი, ლილ, ბოდიში. ამას ახლავე უნდა მივხედო. აქ დარჩენაზე მეტად არაფერი მინდა, მაგრამ ახლა სხვაგვარად არ გამოვა. მოგვიანებით დაგირეკავ, კარგი?

ოფისში არავინ იყო, ჩანს ყველა თანამშრომელი გოგონა შეყვარებულ ბანკირებთან ერთად „პასტისში“ საუზმობდა. ჩაბნელებულ ოთახში ჩემს მაგიდას მივუჯექი, ღრმად შევისუნთქე და ნომერი ავკრიფე. საბედნიეროდ, მისიე რენომ, ჩემმა საყვარელმა „რიცის“ კონსიერჟმა მიპასუხა.

— ანდრეა, ძვირფასო, როგორ გიკითხოთ? ქალბატონისა და ტყუპის სტუმრობამ კვლავ გაგვახარა, — მოიტყუა. ემილისგან ვიცოდი, რომ მირანდა ისე ხშირად ჩერდებოდა „რიცში“, მთელმა პერსონალმა ზეპირად იცოდა მისი და მისი გოგონების სახელები.

— დიახ, მისიე რენო, ისიც ვიცი, თუ როგორი მოხიბლულია თქვენი სტუმართმოყვარეობით, — საპასუხო ტყუილი ჩემი მხრიდან. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად სტუმართმოყვარე იყო საწყალი კონსიერჟი, მირანდა მაინც რაღაცით უკმაყოფილო რჩებოდა. თუმცა ეს მას მსგავსი ტყუილების თქმაში ხელს არ უშლიდა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მისმინეთ, მაინტერესებს, მირანდას თვითმფრინავის დასახვედრად მანქანა თუ გაგზავნეთ და მძღოლი უკან, სასტუმროში დაბრუნდა თუ არა?

— რა თქმა უნდა, ძვირფასო. ორი საათის წინ. დილის რვა საათზე აქ იყო. ამ დავალების შესასრულებლად ჩვენი საუკეთესო მძღოლი გავგზავნე, — ამაყად მიპასუხა. ნეტა თუ იცოდა, რისთვის არბენინეს წინ და უკან მისი საუკეთესო მძღოლი ქალაქში.

— მაშინ, რაღაც უცნაურია, რადგან მირანდამ შეტყობინება დამიტოვა, რომ შეკვრა არ მიუღია. გადავამოწმე მძღოლთან, რომელიც იფიცება, რომ შეკვრა აეროპორტში მიიტანა, მფრინავიც ასევე მარწმუნებს, რომ შეკვრა პარიზში ჩამოიტანა და თქვენს მძღოლს გადასცა, ახლა კი თქვენ მეუბნებით, რომ მძღოლი სასტუმროში დილის რვა საათზე დაბრუნდა. მაშ, რატომ ვერ მიიღო შეკვრა?

— ერთადერთი გამოსავალია, ქალბატონს თავად ჰკითხოთ, — ყალბი ენთუზიაზმით მიპასუხა. — მოითმინეთ, ახლავე გადაგრთავთ.

იმედს ვიტოვებდი, რომ აქამდე საქმე არ მივიდოდა და ამ პრობლემას მასთან საუბრის გარეშე მოვაგვარებდი. რა უნდა ვუპასუხო, თუ ისევ გააგრძელა მტკიცება, რომ შეკვრა არ მიუღია? ან იქნებ მართებული იქნება შევთავაზო, კარგად მოთვალიეროს საკუთარი ნომრის მაგიდა, რომელზეც საათების წინ შეკვრა დაუტოვეს? ან იქნებ ელოდება, რომ ისევ თავიდან დავგეგმავ ყველაფერს და ოკეანის გაღმა გავუგზავნი წიგნების მორიგ ეგზემპლარებს დღის ბოლომდე? ან იქნებ ამჯერად საიდუმლო სამსახურის აგენტი უნდა დავიქირავო დავალების უსაფრთხოებიდან გამომდინარე, რომ პირადად უზრუნველყოს წიგნების უსაფრთხოდ ჩატანა პარიზში? ამაზე ფიქრი ღირდა.

— რა თქმა უნდა, მისიე რენო. გმადლობთ დახმარებისათვის.

რამდენიმე წამი და, ზარიც გავიდა. დაძაბულობისგან ცოტათი გავოფლიანდი, ხელები ჩემს სპორტულ შარვალზე შევიმშრალე და გავიფიქრე, ნეტა მირანდას რა მოუვიდოდა სამსახურში რომ სპორტულებში ვენახე. „მშვიდად და თავდაჯერებულად!“ თავს ვიმშვიდებდი. სატელეფონო ხაზის მეორე მხრიდან კისრის მოგრეხას ვერ შეძლებს.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— დიახ? — შორიდან შემომესმა, ფიქრებიდან უმალ გამოვერკვიე. ქეროლაინმა მიპასუხა, ის მხოლოდ ათი წლის იყო და უკვე — დედამისის ასლი სატელეფონო საუბრებში, ისიც დედის მსგავსად ცივად და უხეშად გპასუხობდა. კესიდი კი ყურმილს თავაზიანად იღებდა — „გისმენთ."

— გამარჯობა, ჩიტუნია, — ავჟღურტულდი, თავი მეზიზღებოდა, როდესაც ბავშვთან მლიქვნელურად უნდა მელაპარაკა, — ანდრეა ვარ, ოფისიდან, დედიკო მანდ ხომ არ არის?

— ჩემს დედიკოს გულისხმობ? — და თან როგორც ყოველთვის, ამერიკული გამოთქმა ბრიტანულით შემისწორა, — რა თქმა უნდა, ახლავე დავუძახებ.

ერთ-ორ წუთში მირანდამ მიპასუხა.

— დიახ, ან-დრ-ეა? იმედი მაქვს, გადაუდებელი საქმეა. ხომ იცით, როგორ ვერ ვიტან, როცა შვილებთან ყოფნისას მაწუხებენ, — მოკლედ განმიცხადა ცივი ხმით. „ხომ იცით, როგორ ვერ ვიტან, როცა შვილებთან ყოფნისას მაწუხებენ?"

უცებ კივილი მომინდა. „შენ რა, შენი დედაც, მეხუმრები? გგონია იმისთვის გირეკავ, რომ შენი ჯანმრთელობა მოვიკითხო? თუ შენი ხმის გაგონების გარეშე ერთ დღესაც ვერ ვძლებ? ჩემს გოგონებთან დროის ტარებაზე რაღას იტყვი?" მეგონა, სიბრაზისგან გული წამივიდოდა, მაგრამ ღრმად შესუნთქვით თავის ხელში აყვანა მოვახერხე.

— მირანდა, ვწუხვარ, რომ ცუდ დროს გირეკავთ, მაგრამ იმისთვის გაწუხებთ, რომ დავრწმუნდე, მიიღეთ თუ არა წიგნები, თქვენი შეტყობინება მოვისმინე, სადაც მეუბნებით, რომ არ მიგიღიათ, მაგრამ ყველა, ვისაც ველაპარაკე, მეუბნება, რომ...

უცერემონიოდ შემანყვეტინა, შემდეგ კი ნელი და თავდაჯერებული ხმით მიპასუხა.

— ან-დრ-ეა, უფრო ყურადღებით უნდა მისმინოთ. მსგავსი რამ საერთოდ არ მითქვამს. შეკვრა დილით ადრე მივიღეთ. ამ სისულელის გამო ადრიანად გაგვაღვიძეს კიდეც, — ყურებს არ ვუჯერებდი. მისი შეტყობინება ხომ არ დამსიზმრებია? ალცჰაიმერისთვის ჯერ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი! — მე გითხარით ის, რომ წიგნის ორი ეგზემპლარი, როგორც მე დაგავალეთ, არ მიგვიღია. შეკვრაში მხოლოდ ერთი წიგნი იდო, ალბათ ხვდებით, რამდენად იმედგაცრუებული დარჩნენ გოგონები. მოუთმენლად ელოდნენ, როდის ნაიკითხავდნენ ამ წიგნის

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

საკუთარ ეგზემპლარებს. ახლა კი ამიხსენით, თუ რატომ არ შეასრულეთ ჩემი დავალება?

ვერ ვიჯერებდი. ეს უბრალოდ წარმოუდგენელი იყო. ან სიზმარში ვიყავი, ან რომელიმე პარალელურ სამყაროში, სადაც საღი აზრისა და ლოგიკის კანონები არ მოქმედებდა.

— მირანდა, ზუსტად მახსოვს, რომ ორი ეგზემპლარი მთხოვეთ და მეც ასევე ორი წიგნი შევუკვეთე, — ენა დამება, ამ სისუსტის გამო საკუთარი თავი შემზიზღდა, — „წიგნები მოზარდთათვის" გამომცემლობის თანამშრომელს ველაპარაკე და გარკვევით ვუთხარი, რომ ორი ეგზემპლარი გჭირდებოდათ, ასე რომ, აზრზე არ ვარ...

— ან-დრ-ეა, ხომ იცით, თავის მართლების მცდელობებზე რა აზრისაც ვარ? ახლა თქვენი ახსნა-განმარტებების მოსმენა არ მსურს. იმედს ვიტოვებ, რომ მსგავსი რამ მომავალში არ გამეორდება. გასაგებია? სულ ეს არის. — და გამითიშა.

დაახლოებით ხუთი წუთი ვიდექი ასე სახტად და ყურმილში დაკავების ზუმერს ვუსმენდი. გონება დამიბნელდა. ნეტა მისი მოკვლა შემძლებოდა! შესაძლებლობები ავწონ-დავწონე, ნეტა ვისზე იეჭვებდნენ? ჩემზე? რა თქმა უნდა — არა. „პოდიუმში" მისი მკვლელობის მოტივი იმდენს აქვს, რომ კონკურენცია დიდი იქნება. ნეტა თუ შევძლებდი მშვიდად მეყურებინა თუ როგორ ამოხდებოდა სული ხანგრძლივი მტკივნეული აგონიით? ცხადია შევძლებდი, ამაში ეჭვი არ მეპარებოდა — საქმე ის იყო, რა ხერხით მომეკლა, რომ მისი საშინელი პერსონისაგან მსოფლიოს დაეღწია თავი.

ყურმილი ფრთხილად დავდე. ხომ სწორად გავიგე მისი შეტყობინება? მობილურს დავწვდი და ხელმეორედ მოვისმინე: „ან-დრ-ეა. ეს მე ვარ, მირანდა. დღეს კვირაა, პარი-ზ-ში უკვე დილის ცხრა საათია, მაგრამ გოგონებს თავიანთი წიგნები ჯერ არ მიულიათ. „რიცში" დამირეკეთ და დამარწმუნეთ, რომ წიგნები მალე პარიზში გვექნება. სულ ეს არის."

ყველაფერი რიგზე იყო. ნაცვლად ორისა, მათ ერთი წიგნი მიიღეს, მაგრამ სპეციალურად გააკეთა ისე, რომ მეფიქრა, თითქოს ძალიან დიდი, კარიერის დამანგრეველი შეცდომა დავუშვი. სულაც არ ანალვლებდა, რომ პარიზში დილის ცხრა საათზე ნიუ-იორკში ღამის სამი საათი ინებოდა და რომ ამით დასვენების დღეებს ჩამიშლიდა. მხოლოდ იმიტომ დამირეკა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

ცოტათი რომ გავეგიჟებინე, წყობიდან გამოვეყვანე, იმისთვის დამირეკა, რომ ჩემი პროვოცირება მოეხერხებინა და კიდევ იმისთვის, რომ უფრო მეტად შემზიზღებოდა.

7

ლილისთან საახალწლო წვეულებამ მხიარულად და მოკრძალებულად ჩაიარა: უნივერსიტეტელი მეგობრები მოვიდნენ და რამდენიმე კაცი მოიყვანეს, შამპანურს ქალალდის ჭიქებით ვსვამდით. ახალი წლის შეხვედრა დიდად არასოდეს მხიბლავდა, არ მახსოვს, ვინ უწოდა მას „დილეტანტთა ღამე" (მგონი, ჰიუ ჰეფნერმა), თქვა, რომ გართობის მხრივ, წელიწადის დანარჩენი სამას სამოცდაოთხი ღამე ახალი წლისას არაფრით ჩამოუვარდებოდა, ძნელი იყო, არ დასთანხმებოდი. სავალდებულო სმა და იძულებითი მხიარულება დროს ტარებას სულაც არ ნიშნავდა. ასე იყო თუ ისე, პატარა წვეულების გამართვით ლილიმ კლუბის ასორმოცდაათდოლარიან ბილეთებზე ფული დაგვაზოგვინა, აღარაფერს ვამბობ თაიმს სკვერში გათოშვის სულელურ იდეაზე. წვეულებაზე ყველამ თითო ბოთლი მეტ-ნაკლებად კარგი სასმელი მივიტანეთ. ლილიმ კი მისვლისთანავე სასტვენები და ბრჭყვიალა ქუდები ჩამოგვირიგა. საღამო მშვენივრად გავატარეთ და თორმეტი საათის დადგომას ჭიქებით ხელში შეზარხოშებულები შევხვდით სახურავზე, საიდანაც მთელ ჰარლემი მოჩანდა. იმ დროისთვის, როცა სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ, ლილი ისეთი მთვრალი იყო, ფეხზე ძლივს იდგა, გული ერეოდა, მისი მარტო დატოვება შემეშინდა, ამიტომ მე და ალექსმა ჩანთა ჩავულაგეთ და ტაქსით ჩემთან წავედით. სამივე იქ დავრჩით, ლილის სასტუმრო ოთახში ეძინა, დილით კი დასანაყრებლად წავედით.

მიხაროდა, რომ სადღესასწაულო დღეები იწურებოდა და დრო იყო, ცხოვრებისთვის, ჩემი ახალი სამსახურისთვის მიმეხედა, თანაც — სერიოზულად. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს იქ ათი წელი ვმუშაობდი, სინამდვილეში, ახალი თანამშრომელი ვიყავი. დიდი იმედი მქონდა, რომ მირანდას დაბრუნების შემდეგ ვითარება გაუმჯობესდებოდა. შეიძლება ნებისმიერი, ვისაც კი

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტელეფონით ესაუბრები, უგულო ურჩხულად მოგეჩვენოს, გან-
საკუთრებით კი ის, ვინც სამსახურისგან ასე შორს, შვებულებაში,
თავს არაკომფორტულად გრძნობს. მჯეროდა, რომ პირველი
თვის ტანჯვა-ნამებას საქმიანი გარემო და ურთიერთობები
ჩაანაცვლებდა და ერთი სული მქონდა, მენახა თუ როგორ ნარ-
მართებოდა ყოველივე.

სამი იანვრის ცივ და ნაცრისფერ დილას, თერთმეტის ნუ-
თებზე სამსახურში სიამოვნებით გამოვცხადდი. გახარებულმა
ემილიმ დაწვრილებით მოამბო იმ ბიჭზე, რომელიც ლოს-ანჯე-
ლესში საახალწლო წვეულებაზე გაიცნო. „სუპერსექსუალუ-
რი ბიჭი", „ავტორი სიმღერების, რომელიც უეჭველად გაპიტ-
დება", დაჰპირდა ემილის, რომ მომდევნო რამდენიმე კვირაში
მას ნიუ-იორკში მოინახულებდა. იმ დილით ოფისში ძალიან
საყვარელ ყმანვილს, სილამაზის განყოფილების რედაქტორის
თანაშემწეს ვესაუბრე, მას ვასარის უნივერსიტეტი ახლახან
დაემთავრებინა, მიუხედავად არჩევანისა — ესწავლა ვასარში
და ემუშავა მოდის ჟურნალში, მისი მშობლები აზრზე ვერ მო-
დიოდნენ, რომ შვილს ბიჭები მოსწონდა.

— ოჰ, გთხოვ, ჩემთან ერთად წამოდი, რა! გპირდები, საუ-
ცხოო დროს გავატარებთ. ენდი, აი ნახავ, ერთი-ორ ისეთ ბიჭს
გაგაცნობ! მარტო გეებთან კი არ ვმეგობრობ! ეს ხომ მარშალის
წვეულებაა! ალბათ სასწაული იქნება, — მეჩურჩულებოდა ჯეიმ-
სი. მე წინ გადავიხარე და ელექტრონული ფოსტა შევამოწმე-
ემილი კაბინეტის მეორე ბოლოში, უდარდელად ჰყვებოდა თავის
გრძელთმიან მომღერალთან შეხვედრის დეტალებს.

— სიხარულით წამოვიდოდი, ხომ იცი, მაგრამ შეყვა-
რებულთან ერთად საღამო ჯერ კიდევ შობამდე დავგეგმე-
დიდი ხანია ვაპირებთ სადმე სასიამოვნოდ ვივახშმოთ, ბოლო
შეხვედრა ჩემ გამო ჩაიშალა.

— კარგი რა, გთხოვ წამოდი, რა გემართება? ყოველდღე
კი ვერ შეხვდები ყველა დროის, ყველაზე ნიჭიერ კოლო-
რისტს მსოფლიოში! უამრავ სელებრითს ნახავ, დიდებულად
ჩაცმულს, ამ კვირის საახალწლო წვეულებებიდან ეს საუკე-
თესო გლამურული საღამო იქნება! მერედა, ორგანიზატორები
ვინ არიან? ჰარისონი და შრიფთმენი! ღმერთო ჩემო! ეს როგორ
უნდა გამოტოვო? მითხარი, რომ მოდიხარ, ჰო? — მითხრა და
თვალები ისე საყვარლად მილულა, სიცილი ვერ შევიკავე.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჯეიმს, წამოსვლა ძალიან, ძალიან მინდა, „პლაზაში“ არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ გეგმებს ვერ შევცვლი. მე და ალექსმა მის სახლთან ახლოს, პატარა, იტალიურ რესტორანში უკვე დავჯავშნეთ მაგიდა და ახლა ველარაფრით ვეტყვი უარს, — ვიცოდი, რომ ჯავშანს ვერ გავაუქმებდი და არც მინდოდა. ერთადერთი სურვილი მქონდა, მთელი ღამე ალექსთან გამეტარებინა, მისი ახალი კლასგარეშე პროგრამის ამბები მომესმინა, მაგრამ სადღაც მაინც მწყდებოდა გული, რომ იმავე საღამოს იმართებოდა წვეულება, რომლის შესახებ ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში გაზეთები განუწყვეტლივ წერდნენ. მთელი მანჰეტენი გადარეულივით ელოდებოდა მარშალ მედენს, მსოფლიოში თმის საუკეთესო კოლორისტს, რომელიც ყოველწლიურად მასპინძლობდა ნიუ-იორკის ამ თავყრილობას. ამბობდნენ, მისი ახალი წიგნის, „შემღებე, მარშალოს“ გამოცემასთან დაკავშირებით, წლევანდელი საღამო ყველაზე მასშტაბური იქნებაო. მიუხედავად ამისა, მაინც არ ვაპირებდი ვარსკვლავური წვეულება შეყვარებულთან პაემანში გამეცვალა.

— კარგი, რა გაეწყობა. ოღონდ მერე არ თქვა, რომ არსად გეპატიჟები. გული არ დაგწყდეს, როცა ხვალინდელ „სიქს ფეიჯში“ ჩემს ფოტოს ნახავ ჯეი ლოსა და მერაიასთან ერთად, კარგი? — და ნაწყენივით გავიდა ოთახიდან, თითქოს პატივმოყვარეობა შეულახეს. პატივმოყვარე კი ნამდვილად იყო.

ახალი წლის პირველმა კვირამ მშვიდად ჩაიარა. საჩუქრებს ჯერ ისევ ვხსნიდით და ვახარისხებდით. ერთ დილას კი თვალისმომჭრელი სილამაზის საჩუქარი გავხსენი — სვაროვსკის თვლებით გაწყობილი სტელეტოები იყო. შეკვრები უკვე დაგზავნილი გვქონდა და ოფისებში ტელეფონები დუმდა, რადგან ბევრი ჯერ ისევ შვებულებაში იყო. მირანდა პარიზიდან კვირის ბოლოს ბრუნდებოდა და შესაბამისად, სამსახურში ორშაბათამდე არ ველოდით. ემილი დარწმუნებული იყო, მირანდას დავალებების შესრულებას მისი დახმარების გარეშეც მოვახერხებდი, ამაში მეც ვეთანხმებოდი. მასთან ერთად ყველაფერი ახლიდან გავიარე და ბოლოს აღმოჩნდა, რომ ბლოკნოტი შენიშვნებით გამევსო. ვიმედოვნებდი, რომ ყველაფერი დავიმახსოვრე: ყავა — მხოლოდ „სტარბაქსის“, ლატე დიდი

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჭიქით, შაქრის ორი ნატეხით, ორი ხელსახოცით, ერთი მოსა-
რევი ჩხირით. საუზმე — „მანხი“ გამოძახებით ტელეფონის
შემდეგ ნომერზე: 555–3948, ნაზი ყველის ერთი, ბეკონის ოთხი
თხელი ნაჭრით, ორი სოსისით. გაზეთები — ფოიეში პრესის
ჯიხურიდან: „ნიუ-იორკ თაიმსი“, „დეილი ნიუსი“, „ნიუ-იორკ
პოსტი“, „ფაინენშალ თაიმსი“, „ვაშინგტონ პოსტი“, „იუესეი
თუდეი“, „ვოლ სთრით ჯორნალი“, „მოდის ბიბლია“, ოთხშაბა-
თობით: „ნიუ-იორკ ობზერვერი“. ყოველკვირეული ჟურნალები
ორშაბათობით: „თაიმი“, „ნიუსვიკი“, „ოუეს ნიუსი“, „ნიუ-იორ-
კერი“(!!!), „ნიუ-იორკ ტაიმ-აუტი“ „ნიუ-იორკი“, „ეკონომისტი“
და ა.შ. ჩამონათვალი უსასრულო იყო: საყვარელი ყვავილები,
საძულველი ყვავილები, მისი ექიმების სახელები, მისამართები
და ტელეფონის ნომრები, მის სახლში მომუშავე პერსონალთან
დაკავშირებული სრული ინფორმაცია. ვიცოდი, რა უყვარდა
წასახემსებლად, რომელ წყალს სვამდა, რა ზომის ტანსაცმელს
(დაწყებული თეთრეულით, დამთავრებული სათხილამურო
ჩექმით) ატარებდა, ჩამოწერილი მქონდა იმ ხალხის სიაც, ვის-
თან საუბარიც (ყოველთვის) სიამოვნებდა, და ხალხისა, ვის-
თან საუბარიც (არასოდეს) არ სიამოვნებდა... ვინიშნავდი და
ვინიშნავდი. ემილისგან მასზე უამრავი რამ შევიტყვე და როცა
წერა დავამთავრეთ, მივხვდი, რომ პრაქტიკულად არ არსებო-
და რაიმე, რაც მირანდა პრისტლიზე არ ვიცოდი, რა თქმა უნდა,
გარდა იმისა, თუ რა ხდიდა მას ასეთ მნიშვნელოვან ფიგურად.
ყველა ბლოკნოტი გადავსებული მქონდა მირანდას მოსაწონი
თუ არმოსაწონი საკითხებით, თუმცა მაინც ვერ ვხვდებოდი, მე
რატომ უნდა მცოდნოდა ეს ყველაფერი?

— ჰო, გასაოცარი ვინმეა, — ღრმად ამოისუნთქა ემილიმ,
თან საჩვენებელ თითზე ტელეფონის კაბელს იხვევდა — ეს
ყველაზე, რომანტიკული შაბათ-კვირა იყო ჩემს ცხოვრებაში.

ზუუ! ალექსანდრე ფაინემანისგან ელექტრონული წერილი
მივიღე. დავაწკაპუნე და გავხსენი. ოჰო, მაგარია! მიუხედავად
იმისა, რომ ალექსი საკმაოდ ხშირად მიგზავნიდა „ელიას-კლარ-
კში“ ელექტრონულ ბარათებს, რატომღაც ყოველ ჯერზე მომ-
დიოდა შეტყობინება, რომ წერილი „ახალი აბონენტისგან“ მი-
ვიღე. გავხსენი:

„გამარჯობა, პატარავ, როგორ მიდის სამუშაო? როგორც
ყოველთვის, გაგიჟებენ, არა? გახსოვს, ერთხელ გითხარი,

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

იერემია პატარა გოგონებს შინიდან ქაღალდის საჭრელი დანის მოტანითა და დაჭრით დაემუქრა-მეთქი, მოკლედ, აღმოჩნდა, რომ სერიოზულად ამბობდა, დღეს სკოლაში დანა მოიტანა და ერთ-ერთ გოგონას მკლავზე დაუსვა, შემდეგ „ბოზი" უწოდა. ჭრილობა ღრმა არ არის, მაგრამ როცა მასწავლებელმა ბიჭს მიზეზი ჰკითხა, მან უპასუხა, რომ დედამისს საყვარელი მოჰქცევია ასე. წარმოგიდგენია, ენდი? ის ჯერ მხოლოდ ექვსი წლისაა! მოკლედ, ამ საღამოს დირექტორმა მასწავლებელთა კრება დანიშნა. ვშიშობ, ვახშმის გადადება მოგვიწევს. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ მაინც მიხარია, რომ მსგავს შემთხვევას გამოხმაურება მოჰყვა, ეს გაცილებით მეტია, ვიდრე ვიმედოვნებდი. ხომ გესმის, არა? გთხოვ, არ გამიბრაზდე! მოგვიანებით დაგირეკავ და გპირდები, ამ საქციელს გამოვისყიდი.

მიყვარხარ, ა".

„გთხოვ, არ გამიბრაზდე?" „იმედია, გესმის?" — მისმა ერთმა მოსწავლემ მეორე დაჭრა და იმედი აქვს, რომ მე წინააღმდეგი არ ვიქნები თუ ჩვენს ვახშამს გადავდებთ? მე კი ამ დროს მუშაობის დაწყებიდან პირველივე კვირას ჩავშალე ვახშამი მხოლოდ იმის გამო, რომ ლიმუზინით მგზავრობამ და საჩუქრების ფუთვამ დამღალა. მინდოდა მეტირა, მინდოდა დამერეკა და მეთქვა, რომ სრულებით არ ვბრაზობდი, პირიქით, ყველაფერი მესმოდა და ძალიანაც ვამაყობდი იმით, რომ მოსწავლეებზე ასე ზრუნავდა და რომ სამსახურს პირველ ადგილზე აყენებდა. „პასუხის" ღილაკზე დავაწკაპუნე და ის-ის იყო, უნდა მიმეწერა, რომ ჩემი სახელი გავიგონე, მეძახდნენ.

— ანდრეა! მოდის. ათ წუთში აქ იქნება, — ემილი ლამის ყვიროდა, მაგრამ ამავდროულად სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობდა.

— მმმ? ბოდიში, რა მითხარი...

— მირანდა მოდის, რამდენიმე წუთში ოფისში იქნება. უნდა მოვემზადოთ.

— უკვე მოდის? მე კი მეგონა, შაბათამდე არ დაბრუნდებოდა...

— როგორც ჩანს, გადაიფიქრა. ახლა კი ამოძრავდი! ქვემოთ ჩადი, მისი ჟურნალ-გაზეთები ამოიტანე და მაგიდაზე ისე დაალაგე, როგორც გასწავლე. როცა მორჩები, მისი სამუშაო მაგიდა გადაწმინდე და მარცხენა მხარეს ჭიქით „პელეგრინო" დაუდგი, ყინულითა და ლიმონის ნაჭრით, დარწმუნდი, რომ სა-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

პირფარეშოში ყველაფერი წესრიგშია. გასაგებია? გაინძერი! უკვე მანქანაშია, წუთებში აქ იქნება, ცხადია, თუ საცობში არ მოხვდა!

ოფისიდან შურდულივით გავვარდი. მესმოდა, როგორ კიოდა ემილი შიდა ტელეფონში: „ყველას გადაეცი, რომ მოდის"! ზუსტად სამ წამში გავიფრინე დერეფანი, მოდის განყოფილებაც, მაგრამ ყველა მხრიდან უკვე ისმოდა შეშინებული შეძახილები: „ემილიმ, მირანდა მოდისო", „მირანდა მოდის!" და შემდეგ სისხლისგამყინავი ხმა: „უკვე აქ არიიიიიიიიიიის!"

თანაშემწეები შეშლილებივით აწესრიგებდნენ ტანსაცმელს, რომელიც კედლების გასწვრივ საკიდრებზე ეკიდა, რედაქტორები საკუთარი ოფისებისაკენ გარბოდნენ, დავინახე, თუ როგორ გაიხადა ვიღაცამ დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი და სასწრაფოდ თორმეტსანტიმეტრიან ქუსლებზე შედგა, სხვები პომადებს ისვამდნენ, წამწამებს იპრეხდნენ და ლიფის ბრეტელებს ისწორებდნენ. მამაკაცთა ტუალეტიდან ერთ-ერთი რედაქტორი გამოვარდა, მას უკან ჯეიმსი გამოჰყვა, შავი ქიშმირის სვიტერს არანორმალურივით იწმენდდა და პირში მენთოლის ტაბლეტებს იტენიდა. ვერ მივხვდი, მირანდას მოსვლის ამბავი როგორ შეიტყვეს ტუალეტში, თუკი იქ გადამცემები არ ეყენა.

ძალიან მინდოდა გავჩერებულიყავი და საკუთარი თვალით მენახა, როგორ დასრულდებოდა ყველაფერი, მაგრამ მე თვითონ, როგორც თანაშემწეს, ჩემს უფროსთან, მირანდასთან შეხვედრამდე ათ წუთზე ნაკლები დრო მრჩებოდა. ამ შეხვედრაზე რაიმე შეცდომის დაშვებას ცოცხალი თავით არ ვაპირებდი. ვცდილობდი, არ შეემჩნიათ, რომ გავრბოდი, მაგრამ იმის შემხედვარეს, თუ როგორ თავქუდმოგლეჯილი დარბოდა ყველა აქეთ-იქით, სითამამე მომემატა.

— ანდრეა! ხომ იცი, მირანდა მოდის! — მომაძახა თავის მაგიდასთან, მიმლებში მჯდომმა სოფიმ, როცა ჩავუქროლე.

— ჰო, ვიცი, მაგრამ შენ საიდან გაიგე?

— საყვარელო, ჩვენ ყველაფერი ვიცით. ახლა კი გირჩევ, ერთი ადგილი გაანძრიო. აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ მირანდა პრისტლის ყველაზე მეტად ლოდინი არ უყვარს.

მადლობა გადავუხადე, ლიფტში შევვარდი და იქიდან გამოვძახე:

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— სამ წუთში ჟურნალ-გაზეთებთან ერთად დავბრუნდები!

ლიფტში მდგომმა ორმა ქალბატონმა უკმაყოფილოდ გამომხედა და მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ვკიოდი.

— მაპატიეთ, — მოვუბოდიშე და შევეცადე მშვიდად მესუნთქა, — ეს-ესაა, გავიგეთ, რომ ჩვენი მთავარი რედაქტორი მოულოდნელად სამსახურში მოდის, ჩვენ კი მასთან შესახვედრად მზად არ ვართ, ამიტომაც ყველა ოდნავ განერვიულებულია, — ვერ მივხვდი, უცხო ხალხს ამდენი რატომ ველაპარაკე.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, მირანდასთან მუშაობთ? მოიცადეთ, გამოვიცნო — თქვენ მისი ახალი თანაშემწე ხართ? ანდრეა, ხომ? — მითხრა გრძელფეხება შავგვრემანმა, რომელსაც ოცდათორმეტზე მეტი კბილი ჰქონდა და პირს პირანიასავით ამოძრავებდა. მისი მეგობარიც წამში გამოცოცხლდა.

— ჰო, ანდრეა ვარ, — ჩემი სახელი ისე წარმოვთქვი, თითქოს საკუთარი ვინაობა მაეჭვებდა, — მართლაც, მე ვარ მირანდას ახალი თანაშემწე.

ამ დროს ლიფტი ფოიეში გაჩერდა, ნახევრად ღია კარიდან მარმარილოს ქათქათა კედლებმა გამოანათა. ნაბიჯით წინ წავიწიე და სანამ კარი ბოლომდე გაიღებოდა, მასში გავძვერი, უკნიდან ერთ-ერთმა მათგანმა მომაძახა:

— იღბლიანი გოგონა ხარ, ანდრეა. მირანდა გასაოცარი ქალია, მილიონობით გოგონა სულს ეშმაკსაც კი მიჰყიდდა შენი სამუშაოსთვის!

შევეცადე მოლუშულსახიან იურისტებს შორის გამევლო და ფოიეს კუთხეში მდგარ პრესის ჯიხურს ლამის შევასკდი. გამყიდველი ქუვეითელი ჩია კაცი იყო, სახელად აჰმედი, რომელსაც პრიალაფურცლებიანი ჟურნალები, უშაქრო ტკბილეული და დიეტური გაზიანი სასმელები კოხტად დაელაგებინა. ის შობამდე, მომზადების პროგრამის გავლისას გამაცნო ემილიმ და იმედი მქონდა, ჩემს დახმარებას შეძლებდა.

— ახლავე შეჩერდი! — მიყვირა, როცა დახლთან მდგარი სტენდიდან გაზეთების მოკრება დავიწყე, — შენ მირანდას ახალი გოგონა ხარ, არა? აქეთ მოდი. დავინახე, რომ აჰმედი დახლს ქვემოთ რაღაცას ეძებდა, დახრილს სახე გასწითლებოდა, — აჰა! — და წელში ისე მკვირცხლად გაიმართა, რამდენადაც შეეძლო მოხუცს, რომელსაც ორივე ფეხი მოტეხილი ჰქონდა, — ესენი გამომართვი, ჩემს დალაგებულ ჟურნალ-გაზეთებს

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

კი ნუ აურევ. ამათ ყოველდღე გადავდებ ხოლმე შენთვის, მეშინია არ დამიმთავრდეს, თავს ვიზღვევ, — მითხრა და თვალი ჩამიკრა.

— დიდი მადლობა, აჰმედ. ვერც კი აგიხსნით, თუ როგორ დამეხმარეთ. რას მირჩევთ, ჟურნალებიც ხომ არ ავიღო?

— თქვენს ადგილას ასე მოვიქცეოდი. უკვე ოთხშაბათია, ესენი კი ორშაბათის ნომრებია. თქვენს უფროსს ეს დიდად არ მოეწონება, — მცოდნესავით მიპასუხა, კვლავ დახლს ქვემოთ დაიწყო ქექვა და როცა გაიმართა, მკლავები ჟურნალებით ჰქონდა სავსე, თვალის ერთი შევლებით მივხვდი, რომ ჩემი სიიდან მეტ-ნაკლებად ყველა ჟურნალი ხელთ მქონდა.

საშვი, საშვი, ნეტა სად ჯანდაბაში მქონდა ეს ოხერი საშვი? მკაცრი სტილის თეთრ პერანგზე ხელი დავისვი და აბრეშუმის ლენტის საკიდი ვიპოვე, ის ემილიმ მირანდას „ჰერმესის" ერთ-ერთი შარფიდან გამომიჭრა: „მირანდას თანდასწრებით ბარათის ტარება საჭირო არ არის, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მისი მოხსნა დაგავიწყდება, პლასტმასის საკიდარზე მაინც გექნება მიბნეული" — ეს ბოლო სიტყვები პრაქტიკულად ზიზღით მითხრა.

— აი, ინებეთ, აჰმედ, დიდი მადლობა დახმარებისთვის, მაგრამ ახლა ძალიან, ძალიან მეჩქარება. მალე აქ იქნება.

ბარათი აპარატში გაატარა და აბრეშუმსაკიდიანი საშვი ყელზე ისე დამკიდა, თითქოს ოლიმპიური მედალი ყოფილიყო:

— ახლა კი გაიქეცი, იჩქარე!

ჟურნალ-გაზეთებს ხელი ვტაცე და გავიქეცი. საშვი ისევ ამოვიღე, ზუსტად დაცვის გვერდით ერთ-ერთ ტურნიკეტში გავატარე, რათა „ელიას-კლარკის" ლიფტში აღმოვჩენილიყავი. გავატარე და გაღება ვცადე. ამაოდ. ერთხელაც ვცადე, ამჯერად უფრო ძლიერად. არაფერი.

— ერთი მკოცნის, მეორე მეხვევა, მე კი ორივე მომწონს, — შემომესმა მსუქანი და ყოველთვის ოდნავ გაოფლილი დაცვის მოსამსახურის, ედუარდოს ხმა. ჯანდაბა. მისთვის შეხედვაც არ იყო საჭირო იმის მისახვედრად, რომ შეთქმულივით მიკრავდა თვალს და მიღიმოდა, მოითხოვდა სიმღერაში ავყოლოდი, ბოლო ორი კვირის განმავლობაში მასთან ერთად დუეტის შესრულება ყოველდღე მიწევდა. როგორც ჩანდა, რჩეული სიმღერების გაუთავებელი სია ჰქონდა და ტურ-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნიკეტში მანამდე არ მატარებდა, სანამ მას არ ავყვებოდი. გუშინ „მე ძალზე სექსუალური ვარ“ იმღერა: „მილანისთვის ძალზე სექსუალური ვარ, მილანისთვის ძალზე სექსუალური ვარ, ნიუ-იორკი და იაპონია,“ თან ფოიეში ისე დააბიჯებდა, თითქოს პოდიუმზე ყოფილიყო. თუ ხასიათზე ვიყავი, შეიძლება გამცინებოდა კიდეც, მაგრამ არა იმ დღეს. მირანდას პირველად ვხვდებოდი და ვერაფრით დავიგვიანებდი, დაგვიანება უბრალოდ წარმოუდგენელი იყო. მინდოდა ერთი კარგად მეთავაზებინა მისთვის იმის გამო, რომ ტურნიკეტთან დამაყუდა, როცა დანარჩენი თანამშრომლები თავისუფლად გადი-გამოდიოდნენ.

— თუ არ დამაფასებენ, უბრალოდ მივატოვებ მა-ათ, — წავიმღერე, ზოგიერთი სიტყვა ჩავყლაპე, ზუსტად ისე, როგორც ამას მადონა აკეთებს. წარბები აწკიპა:

— სად არის შენი ენთუზიაზმი, გოგონა?— მისი სიტყვების გაგონებაზე მომინდა ავფეთქებულიყავი, მაგრამ გაზეთებით სავსე ჩანთა დახლზე დავაგდე, ორივე ხელი მაღლა ავწიე, თეძოები ავათამაშე და გაბუტული ტუჩებით დავიწყე:

— „მატერიალური, მატერიალური, მატერიალური... სამყარო!“— თითქმის ვკიოდი, ტაშს ვუკრავდი, ვკვნესოდი, და, როგორც იქნა, გამატარა.

შენიშვნა: ედუარდოს ავუხსნა, როდის და სად არის მიზანშეწონილი ჩემი შერცხვენა.

ლიფტით ავედი, ჩავუქროლე სოფის, რომელმაც კარი უსიტყვოდ და თავაზიანად გამიღო. პატარა სამზარეულოში შევარდნაც არ დამვიწყებია, რათა მაღალ ჭიქაში ყინულის ნატეხები ჩამეყარა, მათ მიკროტალღური ღუმლის თავზე, პატარა კარადაში საგანგებოდ მირანდასთვის ვინახავდით. ცალ ხელში ყინულებით, მეორეში — ჟურნალებით სამზარეულოდან გამოვედი თუ არა, მოსახვევში პირდაპირ ჯესიკას, იმავე „მანიკიურიან გოგონას“ შევასკდი. შეწუხებულსა და შეშინებულს ჰგავდა.

— ანდრეა, იცი, რომ მირანდა მალე აქ იქნება? — მკითხა და თან ამათვალიერ-ჩამათვალიერა.

— ვიცი. ცალ ხელში მისი გაზეთები მიჭირავს და მეორეში — მისი წყალი, ორივე კაბინეტში უნდა შევუტანო. ბოდიში, მაგრამ...

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

— ანდრეა! — შეჰკივლა, როცა გვერდით ჩავუარე, ჭიქიდან ყინულის ნატეხები გადმომიცვივდა და ზუსტად არტგანყოფილების წინ დაიყარა, — ფეხსაცმლის გამოცვლა არ დაგავიწყდეს!

გავშრი და ფეხებზე დავიხედე. ბოტასებში ვიყავი. მართალია, ისინი რომელიმე ცნობილი დიზაინერის შექმნილი არ იყო, მაგრამ მაინც ძალიან ლამაზად გამოიყურებდა. მიუხედავად იმისა, რომ სამსახურში ყველა ბოლო მოდაზე ჩაცმულ-დახურული დადიოდა, მირანდას არყოფნისას ისე ეცვათ, რაც მისი თანდასწებით გამორიცხული იყო. ჩემი ხასხასა წითელი ბოტასები ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა.

სულ სველი ვიყავი, სამდივნოში რომ დავბრუნდი.

— ყველა გაზეთი თან მაქვს და ყოველი შემთხვევისთვის ჟურნალებიც წამოვიღე. ერთადერთი, რაც მადარდებს, ისაა, რომ ფეხსაცმლის გამოცვლა მომიწევს, არა?

ემილიმ ყურსასმენები მოიხსნა და მაგიდაზე დაყარა.

— ჰო, ასე ვერ დაენახვები. — ტელეფონი აიღო და შიდა ნომერი აკრიფა, — ჯეფ, „ჯიმი ჩუს" ერთი წყვილი ამომიტანე ზომა... — და ფეხებზე დამხედა, — ცხრა-ნახევარი, — მე ამ დროს „პელეგრინოს" პატარა ბოთლი გამოვიღე და ჭიქაში წყალი ჩავასხი, — ცხრა-ნახევარი. არა. ახლავე. არა, ჯეფ, სერიოზულად გეუბნები. ამწუთასვე. ღვთის გულისათვის! ანდრეას ბოტასები აცვია, წითელი ბოტასები და ის კი ნებისმიერ წუთში აქ იქნება. კარგი, გმადლობ.

მოგვიანებით შევამჩნიე, რომ იმ ოთხ წუთში, რაც ქვემოთ ვიყავი, ემილის თავისი გახეხილი ჯინსი ტყავის შარვლით შეეცვალა, ხოლო მოდური მოკასინების ნაცვლად მოხდილი სტელეტოები ჩაეცვა. მას ასევე მთელი ოფისის დაპრიალება მოესწრო, მაგიდებიდან ნივთები აეღო, უჯრებში ჩაეყარა, მათ ნაცვლად კი ის საჩუქრები დაელაგებინა, რომელთა გაგზავნაც მირანდას სახლში ვერ მოვასწარით. ახლა პომადასა და რუჯს ერთდროულად ისვამდა და დაჟინებით მანიშნებდა, გავნძრეულიყავი.

გაზეთების ჩანთას ხელი დავავლე და მის კაბინეტში მდგარ პატარა მაგიდაზე დავდე. ემილიმ მითხრა, რომ იმ მაგიდასთან მირანდა საათობით იდგა და მისთვის გამოგზავნილ ფოტოებს ათვალიერებდა. გაზეთების დალაგებაც იქვე მირჩია. კიდევ

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთხელ ჩავიხედე ბლოკნოტში რიგითობის გასახსენებლად — ჯერ „ნიუ-იორკ თაიმსი", შემდეგ „ვოლ სთრით ჯორნალი" და „ვაშინგტონ პოსტი". ისინი ერთმანეთის მიყოლებით ისე დავალაგე, გაშლილ მარაოს მოგაგონებდათ. „მოდის ბიბლია" ერთადერთი გამონაკლისი იყო — ის მაგიდის შუაგულში დავდე.

— აქ არის! ანდრეა, გამოდი! უკვე ამოდის, — გავიგონე ემილის ხრინწიანი ჩურჩული, — იურიმ დარეკა, ეს წუთია, მანქანიდან გადმოვიდა.

ჟურნალი მის მაგიდაზე დავდე, „პელეგრინო" კი — მაგიდის კუთხეში, ზოლიან ხელსახოცზე (მაგრამ რომელ მხარეს? ვერ ვიხსენებდი, სად უნდა დამედგა) და მირანდას ოფისიდან გამოვვარდი, მერე ისევ შევტრიალდი და უკანასკნელად შევავლე თვალი ყველაფერს. ჯეფმა, ერთ-ერთმა თანაშემწემ მოდის განყოფილებიდან, რომელიც ჩვენებებისთვის ტანსაცმელს აწესრიგებდა, ფეხსაცმლის ყუთი მესროლა და წამში გაუჩინარდა. ყუთი მაშინვე გავხსენი, შიგ „ჯიმი ჩუს" მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი დამხვდა, აქლემის ბეწვის თასმები შუაში კოხტად იყო გადაწნული. ეს სილამაზე, სულ მცირე, რვაასი დოლარი მაინც ეღირებოდა. „ჯანდაბა! მათი ჩაცმა არ გინდა?!". ბოტასები სწრაფად გავიხადე და მაგიდის ქვეშ შევყარე, წინდებიც მივაყოლე. მარჯვენა თასმა შედარებით იოლად შევიკარი, მარცხენა კი — ვერაფრით. ვგრძნობდი, შესივებულ ფეხზე როგორ წიწკნიდა თასმა კანს, საბოლოოდ შეკვრა მაინც მოვახერხე და ის-ის იყო სკამზე გავსწორდი, რომ მირანდაც შემოვიდა.

ადგილზე გავქვავდი. სრულიად გავქვავდი. ტვინს მუშაობა უჭირდა, ვხვდებოდი, თუ რამდენად სულელურად გამოვიყურებოდი, მაგრამ გასანძრევად საკმარისი ძალა არ შემწევდა. მაშინვე შემამჩნია, ალბათ იმიტომ, რომ ემილის ელოდა, მის ყოფილ მაგიდასთან კი მე დავხვდი. მომიახლოვდა, მაგიდის კიდეს მიეყრდნო და ხელი გადაუსვა, შემდეგ გადმოიწია და ძალიან ახლოდან დაათვალიერა სკამს მიჯაჭვული ჩემი სხეული. ღიაცისფერმა თვალებმა ჩემი თეთრი პერანგი, წითელი ველვეტის მინიქვედაბოლო და აქლემის ბეწვით გაწყობილი „ჯიმი ჩუს" სანდლები აათვალიერ-ჩაათვალიერა. ვიგრძენი, რომ ამ სწრაფად მოძრავი თვალებით ჩემი კანის, თმის ყოველი ღერისა და ტანსაცმლის შეფასება მოასწრო, თუმცა სახეზე ცივი გამომეტყველება არ შესცვლია. დაიხარა და სახე უფრო

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მომიახლოვა, ჩვენ შორის ოცდაათი სანტიმეტრი თუ იქნებოდა, ექსკლუზიური სალონური შამპუნისა და ძვირად ღირებული სუნამოს სურნელს ვგრძნობდი და ტუჩებთან ყოველი ნაოჭის დანახვა შემეძლო, მაგრამ მიუხედავად მისი დაჟინებული მზერისა, მას სახეში დიდხანს ვერ ვუყურებდი. არაფერი ეტყობოდა, რომ ა) ერთხელ უკვე შევხვედროდი; ბ) მისი ახალი თანამშრომელი ვიყავი და გ) ემილი არ მერქვა.

— გამარჯობა, მისის პრისტლი, — იმპულსურად ამოვიკნავლე, მას კი სიტყვაც არ დასცდენია. ასეთი დაძაბულობა ჩემთვის აუტანელი იყო, ამიტომ თავი ვერ შევიკავე და ბლუყუნი განვაგრძე, — აღფრთოვანებული ვარ იმით, რომ თქვენთან ვიმუშავებ. დიდი მადლობა ამ შესაძლებლობისათვის... — „მოკეტე! უბრალოდ პირი დახურე! თავმოყვარეობა სულ დაკარგე!"

ჩამიარა. ჩემს თვალიერებას შეეშვა, უკან დაიხია, ჩემი ბლუყუნისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია, გატრიალდა და გავიდა. გავწითლდი, დაბნეულობა, ტკივილი, დამცირება და ემილის მზერა ერთდროულად ვიგრძენი. თავი ავწიე და დავინახე, რომ ის მართლაც მომჩერებოდა.

— მივიღეთ სიახლეები? — მირანდას კონკრეტულად არც ერთისთვის არ უკითხავს, გახარებულმა შევამჩნიე, თუ როგორ გაემართა ჩემ მიერ ორგანიზებული პატარა მაგიდისკენ, თავის კაბინეტში.

— დიახ, მირანდა. აი, ინებეთ, — თავაზიანად უპასუხა ემილიმ, შეშლილივით ნამოხტა და ის საქაღალდე მიაწოდა, რომელშიც მისთვის განკუთვნილ შეტყობინებებს ვინახავთ. წყნარად ვიჯექი და ვუყურებდი, მისი ოფისის კედლებზე ჩამოკიდებული ჩარჩოიანი სურათების ფონზე როგორ დააბიჯებდა, ფოტოების ნაცვლად შუშებში მის ანარეკლს ვუყურებდი. ემილიმ მაგიდასთან უხმაუროდ დაიწყო რაღაცების კეთება. ნუთუ ერთმანეთს სიტყვასაც კი ვერ ვეტყვით, სანამ მირანდა ოფისშია? გავიფიქრე და ემილის იგივე შეკითხვა ელფოსტით გავუგზავნე. დავინახე, რომ წერილი გახსნა, წაიკითხა და პასუხიც მომწერა: „გამოიცანი. თუ რამის თქმა გინდა, მიჩურჩულე. არავითარი ლაპარაკი და კიდევ, — არ გაბედო და მეორედ „მისის პრისტლით" არ მიმართო, უბრალოდ — მირანდა, გასაგებია?" თითქოს სილა გამაწნესო, თავი ავწიე და თანხმობის ნიშნად დავუქნიე. უეცრად ჩემს მაგიდაზე ქურქი დავინახე, რომელ-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

საც ცალი სახელო მაგიდის კიდეზე ჰქონდა გადაგდებული. ცხვირწინ საუცხოო, გრძელბეწვიანი ზღაპრული ქურქი მედო. გაოგნებულმა ემილის შევხედე. მან თვალები გადაატრიალა, კარადაზე მანიშნა, შემდეგ პირის მოძრაობით მითხრა: „ჩამოკიდე!" სარეცხი მანქანიდან გამოღებული სველი საბანივით მძიმე იყო, კარადამდე ორივე ხელით ძლივს მივათრიე, თან ვცდილობდი, იატაკს არ შეხებოდა.

კარადაში, აბრეშუმის საკიდარზე ფრთხილად დავკიდე, შემდეგ კი კარი ნაზად და მშვიდად დავხურე.

ადგილზე დაჯდომაც ვერ მოვასწარი, რომ მირანდა თავისი კაბინეტიდან გამოვიდა და ამჯერად უკვე ფეხზე მდგარი თავისუფლად ამათვალიერ-ჩამათვალიერა. უცნაური იყო, მაგრამ ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ მისი მზერისაგან სხეული მეწვოდა, გაშეშებულმა სკამამდეც კი ვერ მოვახერხე მისვლა, რათა დავმჯდარიყავი. ის-ის იყო, ცეცხლი თმაზე მომედებოდა, რომ ულმობელი მზერით თვალი თვალში გამიყარა.

— ქურქი მინდა, — მშვიდად განმიცხადა, ჩემს ყურებას განაგრძობდა. მაინტერესებდა, ნეტა თუ იცოდა, ვინ ვიყავი, თუ შეამჩნია, ან საერთოდ ადარდებდა, რომ თანაშემწედ უცხო ადამიანი ჰყავდა? მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გასაუბრება რამდენიმე კვირის წინ შედგა, მის გამოხედვაში ხსოვნის ნიშანწყალიც არ ერია.

— რა თქმა უნდა, — ამოვღერღე და კვლავ კარადისკენ შევტრიალდი, გავლა ცოტა უხერხული იყო, რადგან სწორედ კარადასა და ჩემ შორის იდგა. რომ არ დავჯახებოდი, გვერდზე გავიწიე, მხარი ავუქციე და კარადა გამოვაღე. სანტიმეტრითაც არ გაწეულა, გზა რომ დაეთმო და მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემთვის თვალი არ მოუცილებია. კარის გაღება მოვახერხე, ქურქს ხელები კარგად ჩავჭიდე და ძალიან ფრთხილად გამოვიღე კარადიდან. თავი ძლივს შევიკავე, რომ მისთვის არ მესროლა, რისი დიდი სურვილიც მქონდა. ნეტა თუ დაიჭერდა? მაგრამ ნაცვლად ამისა, ქურქი ჯენტლმენივით მოვასხი ქალბატონს. ერთი გრაციოზული მოძრაობა და, ის უკვე ქურქში იყო, მობილური ტელეფონი, ერთადერთი ნივთი, რომელიც ოფისში მოსვლისას თან ჰქონდა, აიღო.

— ემილი, წიგნი დღესვე მინდა, — უთხრა და ოფისიდან თავდაჯერებული ნაბიჯით გავიდა, ვერც კი შენიშნა, რომ დე-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

რეფანში მდგომი სამი ქალი მის მოულოდნელ გამოჩენაზე დაიბნა და თავები ძირს დახარეს.

— დიახ, მირანდა. ანდრეა დღესვე მოგიტანთ.

აი, სულ ეს იყო. და წავიდა. იმ ოთხწუთიანმა ვიზიტმა მთელ გამომცემლობაში იმდენად დიდი განგაში, გიჟური სამზადისი და ნაჩქარევი გახდა-ჩაცმა გამოიწვია, რომ კოსმეტიკისა და საწყობის განყოფილებებიც კი მოიცვა. ჩემმა გამოუცდელმა თვალმა კი მხოლოდ ერთ რამ შენიშნა, ეს ყველაფერი დიდი უაზრობა იყო.

8

— არ გაიხედო! — მითხრა ჯეიმსმა ისე, რომ პირი არც კი გაუღია და მუცლითმეზღაპრესავით ალაპარაკდა, — რიზ ვიზერსპუნი გამოჩნდა.

უეცრად შევტრიალდი, რის გამოც ჯეიმსი უხერხულად შეიშმუშნა. რა თქმა უნდა, ეს რიზი იყო, შამპანურს ნრუპავდა, შემდეგ თავი უკან გადასნია და გადაიხარხარა. არ მინდოდა, უნახავივით მივშტერებოდი, მაგრამ ვერ შევძელი, ის ჩემი ერთ-ერთი საყვარელი მსახიობი იყო.

— ჯეიმს, ძვირფასო, როგორ მიხარია, რომ ჩემს პატარა წვეულებაზე მოსვლა შეძელი, — დამცინავად თქვა გამზდარმა, მაგრამ ძალიან ლამაზმა მამაკაცმა, რომელიც უკნიდან მოგვეპარა.

— აბა, აქ ვინ მოგიყვანია? — იკითხა მას მერე, რაც ჯეიმსი გადაკოცნა.

— მარშალ მადენი, ფერთა შეხამების გურუ, ეს ანდრეა საქსია. ანდრეა...

— მირანდას ახალი თანაშემწე, — დაასრულა მარშალმა და გამილიმა, — პატარავ, შენ შესახებ ყველაფერი ვიცი, კეთილი იყოს შენი ფეხი ჩვენს ოჯახში. ვიმედოვნებ, მალე მესტუმრები და გპირდები, ერთად შეეძლებთ შენი, მმმ, თმის შელამაზებას, — და თავზე ხელი სიყვარულით გადამისვა, შემდეგ თმის ბოლოები აიღო და თმის ძირებს შეადარა, — ერთი ხელის შევლება, რაიმე თაფლისფერი ელფერი და ახალი სუპერმო-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

დელი დაიბადება. ჩემი ნომერი ჯეიმსს გამოართვი, ფისუნია, კარგი? და როგორც კი მოიცლი, აუცილებლად მინახულე, სათქმელად ალბათ ადვილია, არა? — წაიმღერა და რიზისკენ ნარნარით გაემართა.

ჯეიმსმა ნაღვლიანად ამოისუნთქა.

— თმის დიდოსტატია, — ამოიხვნეშა, — საუკეთესო და ერთადერთია. ნამდვილი მამაკაცია, ამასთან არაჩვეულებრივი გარეგნობა აქვს. — ნამდვილი მამაკაცია? სასაცილო იყო. ადრე ამ ფრაზის გაგონებისას, რატომღაც თვალწინ კალათბურთის ფარისკენ ბურთით ხელში გაქანებული კილ ონილი[51] წარმომიდგებოდა ხოლმე და არა — თმის კოლორისტი.

— დიდებული ვინმეა, ამაში უნდა დაგეთანხმო. ერთმანეთს ხომ არ ხვდებოდით? — ისე კარგი წყვილი იქნებოდა: „პოდიუმის“ სილამაზის განყოფილების ასოცირებული რედაქტორი და მსოფლიოში ყველაზე სასურველი და მოთხოვნადი კოლორისტი.

— მხოლოდ ოცნებებში. უკვე ოთხი წელია, რაც ერთ პარტნიორთან ცხოვრობს. წარმოგიდგენია? ოთხი წელი. კი მაგრამ, როდის აქეთ დაიწყეს სექსუალურმა გეებმა მონოგამიური ურთიერთობები? ეს უბრალოდ უსამართლობაა!

— კარგი ერთი! მაშინ, ტრადიციული ორიენტაციის მამაკაცებსა და მათ მონოგამიურ ურთიერთობებზე რაღას იტყვი? შეგახსენებ, რომ მეც ერთი მამაკაცის ერთგული ვარ, ასე რომ! ყველაფერი სამართლიანადაა, — სიგარეტი კარგად მოვქაჩე და პირიდან თითქმის იდეალური რგოლი გამოვუშვი.

— აბა, გამოტყდი, ენდი, აღიარე, რომ აქ ყოფნით ბედნიერი ხარ, რომ ეს ყველაზე საუცხოო წვეულებაა, — ღიმილით მითხრა მან.

ამ წვეულებაზე მე და ალექსის შეხვედრის გადადების გამო კი არ დავთანხმდი ჯეიმსს, არამედ იმიტომ, რომ უბრალოდ არ მომეშვა. ძნელად თუ წარმოვიდგენდი, რომ ერთი გახმაურებელი წიგნის გამო გამართულ თავყრილობაზე რაიმე საინტერესო მოხდებოდა, მაგრამ უნდა გამოვტყდე, გაოცებული დავრჩი, როდესაც ჯონი დეპი მოგვიახლოვდა და ჯეიმსს მიესალმა. ენა გადავყლაპე, ის არა მარტო გამართული ინგლისურით საუბრობდა, არამედ ხუმრობდა კიდეც. კმაყოფილი დავრჩი, რომ საკუთარი თვალით ვნახე ჟიზელი, ყველაზე ლამაზი

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლამაზმანთა შორის! ის წარმოუდგენლად დაბალი აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, უფრო კმაყოფილი ვიქნებოდი, ჩასკვნილიც რომ ყოფილიყო, ან სახე, რომელსაც ჟურნალების პრიალა გარეკანებზე ტონა მაკიაჟი უფარავდა, აკნეთი[52] ჰქონოდა დაფარული, მაგრამ სიამოვნებისთვის მისი სიგრძეც საკმარისი აღმოჩნდა. მოკლედ, ბოლო საათ-ნახევრის განმავლობაში ყველაფერი კარგად მიდიოდა.

— ყველაზე საუცხოო-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ... — ვუპასუხე, თან მისკენ გადავიხარე და ამ დროს წიგნის მაგიდასთან მდგარ სახემოლუშულ, მაგრამ ძალზე სიმპათიურ ბიჭს მოვკარი თვალი, — არც იმდენად ურიგოა, როგორც წარმომედგინა, თანაც დღევანდელი ამბების შემდეგ ასეთი განტვირთვა ნამდვილად გვჭირდებოდა.

მირანდას მოულოდნელი გამოჩენა-გაუჩინარების შემდეგ ემილიმ განმიცხადა, რომ მირანდასთან შინ მისვლისა და წიგნის მიტანის პატივი პირველად იმ საღამოს მექნებოდა. „წიგნი" ზამბარაზე აკინძულ ფურცლებს წარმოადგენდა და სიდიდით ტელეფონების წიგნაკს მიაგავდა. მასში „პოდიუმის" ყველა მიმდინარე მოვლენა იყო ჩაკრული. როგორც ემილიმ ამიხსნა, როცა მირანდა ოფისში იყო, მნიშვნელოვანი საქმეები ვერ კეთდებოდა, არტგანყოფილება, ისე როგორც მთელი სარედაქციო ჯგუფი, დროს მასთან კონსულტაციებში ატარებდა, ის ხომ ყოველ ხუთ წუთში იცვლიდა მოსაზრებას. ამიტომ ოფისები ნამდვილ მუშაობას ხუთი საათის შემდეგ იწყებდნენ, როცა მირანდას შინ (ტყუპთან დროის გასატარებლად) გაისტუმრებდნენ ხოლმე. არტჯგუფი თავიდან ქმნიდა ჟურნალის მაკეტს ახალი ფოტოებით, ხოლო სარედაქციო ჯგუფი მირანდას მიერ მიწვდილ მასალას ბეჭდავდა. წიგნის პირველ გვერდზე დიდ ასოებით ეწერია „მპ". შესწორებულ მასალას ყველა რედაქტორი არტგანყოფილებაში გადაგზავნიდა, სადაც რომელიმე თანაშემწეს, თითქმის მთელი საღამო (იმ დროს ოფისები უკვე ცარიელი იყო) უნდა ემუშავა და ყველა ახალი ფოტო თუ ტექსტი პატარა დანადგარის საშუალებით სპეციალურ ქაღალდებზე მიეკრა. ასე იქმნებოდა ასაკინძი „წიგნის" გვერდები. მისი გამზადების შემდეგ, უკვე ჩემი სამუშაო იწყებოდა. ის მირანდასთან სახლში მე უნდა მიმეტანა და რადგან ყველაფერი ნარმოების პროცესზე იყო დამოკიდებული, ეს ვიზიტი შეიძლება

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

საღამოს რვიდან თერთმეტ საათამდე გაგრძელებულიყო. მირანდა წიგნს საკუთარ შენიშვნებს ურთავდა და მომდევნო დღეს რედაქციაში მოჰქონდა. ამის შემდეგ მთელ სარედაქციო ჯგუფს ყველაფერი თავიდან უნდა გაევლო. ემილიმ ყური მოჰკრა ჯეიმსთან ჩემს საუბარს, შეიტყო, რომ მასთან ერთად პრეზენტაციის წვეულებაზე მივდიოდი და უმალ საუბარში ჩაერია:

— ხომ იცი, წიგნის დასრულებამდე ვერსად წახვალ? — ემილის გადავხედე, ჯეიმსს კი სახეზე ეწერა, რომ მას ყბაში სიამოვნებით უთავაზებდა, — ჰო, მინდა გითხრა, რომ ამიერიდან ეს უკვე შენი მოვალეობაა, რის გამოც უზომოდ ბედნიერი ვარ. ხანდახან წიგნი ძალიან, ძალიან გვიან მზადდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მირანდას ის ყოველ საღამოს უნდა ჰქონდეს, გასაგებია? სახლიდან მუშაობს. მოკლედ, დღეს შენთან ერთად დავრჩები და ყველაფერს გაჩვენებ, მაგრამ ხვალიდან — შენ იცი.

— გასაგებია, გმადლობ. შემთხვევით ხომ არ იცი, დღეს რომელზე შეიძლება დასრულდეს მისი მომზადება?

— არ ვიცი, ყოველთვის სხვადასხვა დროს ამზადებენ ხოლმე. შეგიძლია არტგანყოფილებას ჰკითხო.

საბოლოოდ, წიგნი ადრიანად, ცხრის ნახევარზე დაამზადეს და მას შემდეგ, რაც ის არტგანყოფილების გადაქანცულ თანამშრომელს გამოვართვი, მე და ემილიმ 59-ე ქუჩაზე ფეხით გავისეირნეთ. ემილის პოლიეთილენის ჩანთები ეკავა, რომელშიც ქიმწმენდიდან გამოტანილი ტანსაცმელი საკიდარებითვე იყო მოთავსებული. ამიხსნა, რომ წიგნის მიტანასთან ერთად ქიმწმენდიდან მირანდას ტანსაცმლის გამოტანაც მევალებოდა. სარეცხი მას სამსახურში მოჰქონდა და რადგან ძალიან ილბლიანი ვიყავი, ქიმწმენდაში დარეკვასა და კურიერის გამოძახებაზეც მე უნდა მეზრუნა. ქიმწმენდის ადმინისტრაცია სარეცხის წასაღებად „ელიას-კლარკში" დაუყოვნებლივ გზავნიდა კურიერს და გარეცხილ-გაუთოებულ სამოსს ერთ დღეში გვიბრუნებდა. გარეცხილ ტანსაცმელს ოფისის კარადაში ვინახავდით, ვიდრე იურის არ გადავცემდით ან მირანდას თავად არ მივუტანდით შინ. ვერაფერს იტყოდი, ჩემი სამუშაო თანდათან სულ უფრო ინტელექტუალურ ხასიათს იძენდა!

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ეი, რიჩი! — თითქოს მეგობრულად დაუძახა ემილიმ დის-
პეტჩერს, რომელიც კბილის ჩხირს ღრღნიდა, მახსოვს, მას ჩემი
მუშაობის პირველსავე დღეს შევხვდი, — ეს ანდრეაა, დღეიდან
წიგნს მირანდასთან ის ატარებს. ყურადღება მიაქციე, მას კარ-
გი მანქანა მოემსახუროს, გასაგებია?

— არის, ცეცხლისფერთმიანო! პირიდან ჩხირი გამოიღო და
ჩემზე ანიშნა, — ამ „ქერას" მე მივხედავ.

— ძალიან კარგი. ჰო, და კიდევ, შეგიძლია კიდევ ერთი მან-
ქანა მოგვცე? მირანდასთან წიგნის მიტანის შემდეგ სხვადასხ-
ვა გზით მივდივართ.

ჩვენ წინ ორი უშველებელი „თაუნ ქარის" მანქანა გაჩერდა,
მანქანიდან ვეებერთელა მძღოლი გადმოვიდა და უკანა კარი
გაგვიღო. ემილი მანქანაში პირველი ჩახტა და ეგრევე მობი-
ლური ამოიღო, შემდეგ მძღოლს გასძახა, „მირანდა პრისტლის
მისამართზე, თუ შეიძლება." მძღოლმა თავი დააქნია და მანქა-
ნა დაძრა.

— ყოველთვის ერთი და იგივე მძღოლია? — ვიკითხე, რად-
გან მაინტერესებდა, მირანდას მისამართი საიდან იცოდა.

ემილიმ მანიშნა, გაჩუმდიო, სანამ თანამობინადრე გოგონას
ავტომოპასუხეზე შეტყობინებას უტოვებდა:

— არა, მაგრამ მირანდას მისამართი კომპანიის ყვე-
ლა მძღოლმა იცის. ოცჯერ მაინც ვეყოლები მიყვანილი იქ
თითოეულს. ასე რომ, არ ინერვიულო, — და ისევ მობილურს
მიუბრუნდა. უკან ფანჯარაში გავიხედე და დავინახე, მეორე
მანქანა მოგვყვებოდა.

მეხუთე ავენიუსთვის დამახასიათებელი შენობის წინ შე-
ვჩერდით, იდეალურად სუფთა ტროტუარი, ლამაზი აივნები
და რაღაც არაჩვეულებრივი, მყუდროდ განათებული ვესტი-
ბიული. სმოკინგსა და ქუდში გამოწყობილი მამაკაცი ჩვენს
მანქანას მოუახლოვდა და კარი გაგვიღო. გადმოვედით. მაინ-
ტერესებდა, რატომ არ შეიძლებოდა ტანსაცმლისა და წიგნის
მასთან დატოვება. რამდენადაც ვიცოდი, ამ უცნაურ ქალაქში
შვეიცართა მოვალეობაში ეს ნამდვილად შედიოდა. ემილიმ თა-
ვისი „გუჩის" ლოგოიანი ჩანთიდან „ლუის ვიტონის" საბნევზე
აცმული გასაღები გამომიწოდა.

— აქ დაგელოდები. მისი ბინაა პენთჰაუზი A. ახვალ, კარს
გააღებ, წიგნს ფოიეში მაგიდაზე დატოვებ, ტანსაცმელს კი —

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

კარადასთან, საკიდარზე. კარადაში — არა, არამედ — საკიდარზე. და წამოხვალ. რაც უნდა იყოს, ზარი არ დარეკო, არც დააკაკუნო. ეს არ უყვარს. უხმაუროდ შედი და გამოდი! — შემდეგ ტანსაცმელი და წიგნი მომაწოდა და ისევ მობილურს მიუბრუნდა. „კარგი, ამას შევძლებ. წიგნისა და ტანსაცმლის გამოა ამხელა ამბავი?"

მელიფტემ თავაზიანად გამიღიმა და მას შემდეგ, რაც გასაღები გადაატრიალა, პენთჰაუზების ღილაკს თითი ნაზად მიაჭირა. ის ჩაგრულ, მოწყენილ და უმწეო ქალს ჰგავდა, ქმრის მოღერებულ მუშტებს რომ იტანდა და წინააღმდეგობას ველარ უწევდა.

— დაგელოდებით, — ნაზად მითხრა, თან იატაკს დააცქერდა, — მხოლოდ რამდენიმე წუთი დაგჭირდებათ.

დერეფანში მუქი, ბურგუნდიული ღვინისფერი ხალიჩები ეგო, ფეხსაცმლის ქუსლი ხალიჩას გამოვდე და კინაღამ წავიქეცი. კედლებზე გაკრულ ქსოვილივით სქელ, კრემისფერ ქაღალდს მთელ სიგრძეზე წვრილი ხაზები გასდევდა, ერთ მხარეს ხავერდგადაკრული დივანი იდგა. ჩემ წინ გახსნილ კარებზე „პენთჰაუზი B" ეწერა, მაგრამ შემოვტრიალდი თუ არა, ზუსტად იდენტური კარი დავინახე წარწერით: „პენთჰაუზი A". ზარის დარეკვისაგან თავი დროულად შევიკავე. ემილის გაფრთხილება გამახსენდა და გასაღები საკეტში შევაცურე, მარჯვნივ გადავატრიალე და სანამ ვარცხნილობას მოვინესრიგებდი და წარმოვიდგენდი, თუ რა დამხვდებოდა კარის მეორე მხარეს, დიდ და ფართო შემოსასვლელში აღმოვჩნდი, სადაც ბატკნის ხორცის უგემრიელესი კატლეტების სურნელი ტრიალებდა. ის იქ იყო, ჩემ პირდაპირ იჯდა და გრაციოზულად მიჰქონდა პირისკენ ჩანგალი. ორი პატარა, შავთმიანი, ერთნაირი გოგონა, რომელთა შორისაც მაგიდა იდგა, ერთმანეთს უყვიროდა, ხოლო მაღალი, ჭაღარა, უხეში გამომეტყველებისა და დიდცხვირიანი მამაკაცი გაზეთს კითხულობდა.

— დე, უთხარი, რომ უფლება არ აქვს, ჩემს ოთახში შემოვიდეს და ჩემი ჯინსები აიღოს! ჩემი არ ესმის! — ჩხაოდა ერთ-ერთი პატარა. მერე ჩანგალი გადადო და მაგიდის მარცხენა მხარეს მდგარი ჭიქიდან მოსვა, რითიც დავასკვენი, რომ „პელეგრინოს" ლიმონით წრუპავდა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ქეროლაინ, კესიდ, საკმარისია. მეტის მოსმენა აღარ მინდა. თომას, პიტნის ჟელე დაგვიმატეთ! — დაიძახა მირანდამ. ოთახში სწრაფად შემოვიდა მამაკაცი, რომელსაც ვერცხლის სინი მოჰქონდა, ზედ — ვერცხლისავე ფიალით. სავარაუდოდ, მზარეული იყო. უეცრად მივხვდი, რომ დაახლოებით ნახევარი წუთი მათ შევცქეროდი. ვერ მამჩნევდნენ, მაგრამ როგორც კი შემოსასვლელის მაგიდისკენ მივბრუნდებოდი, დამინახავდნენ. ძალიან ფრთხილად შევტრიალდი, მაგრამ ვიგრძენი, რომ ყველამ ჩემკენ გამოიხედა. ვერ ავცდი. ის-ის იყო, მისალმება გადავწყვიტე, რომ გამახსენდა, იმ დილით ოფისში სრული დეგენერატივით, უაზროდ რომ ვიბლუკუნე. ამიტომ ხმა არ ამომიღია და მაგიდას დავუწყე ძებნა. მაგიდა, მაგიდა, მაგიდა. აი ისიც. წიგნი მაგიდაზე დავდე. ახლა კი ტანსაცმელზე მიდგა ჯერი. დაბნეულმა მივიხედ-მოვიხედე, საკიდარს ვეძებდი, სადაც ტანსაცმელი უნდა ჩამომეკიდა, მაგრამ კონცენტრაცია მიჭირდა.

სუფრასთან სიჩუმე ჩამოვარდა, ვგრძნობდი, მიყურებდნენ. არავინ მომსალმებია. გოგონებს ალბათ არც კი ადარდებდათ, რომ სრულიად უცხო ადამიანი მათი სახლის შემოსასვლელში დაბორიალებდა. როგორც იქნა, კარის უკან პატარა სათავსი შევნიშნე და შევეცადე ტანსაცმელი ფრთხილად შემეკიდა, მაგრამ ცუდი ფორმის კაუჭების გამო გამიჭირდა.

— კარადაში არა, ემილი, — მირანდას მშვიდი და ზომიერი ხმა შემომესმა, — არამედ, საგანგებოდ მათთვის განკუთვნილ საკიდზე.

— ოჰ, მმ, გამარჯობა! — „იდიოტო, მოკეტე! შენი სალამი სულ არ სჭირდება, უბრალოდ, ის გააკეთე, რასაც გეუბნება!" მაგრამ არ გამომდიოდა. ძალიან უცნაურად მომეჩვენა, რომ არ მომესალმნენ, არც იმით დაინტერესდნენ, თუ რას ვაკეთებდი, სრულებით არ აწუხებდათ, რომ ვილაც მათ სახლში დაიპარებოდა. „ემილი? დამცინის? დაბრმავდა? მართლა ვერ ამჩნევს, რომ მე მისი ახალი თანაშემწე ვარ და არა ის, ვინც მასთან წელიწადზე მეტხანს მუშაობდა?"

— გამარჯობა, მირანდა, მაგრამ მე ანდრეა ვარ. თქვენი ახალი თანაშემწე, — სიჩუმე. ყოვლისმომცველი, აუტანელი, უსასრულო, გამანადგურებელი, უსაშველო სიჩუმე. ვიცოდი, ხმა არ უნდა ამომელო, ვიცოდი, რომ საკუთარი ხელით ვითხრიდი

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

საფლავს, მაგრამ თავი ვერ შევიკავე, — მმმ, მოკლედ, ბოდიში გაუგებრობისთვის. უბრალოდ საკიდარზე დავკიდებ, როგორც მითხარით და გავქრები, — „ლაპარაკი შეწყვიტე! სულ ცალ ფეხზე ჰკიდია, რას გააკეთებ. უბრალოდ დაკიდე და გაეთრიე!" — აბა, გემრიელად მიირთვით! სასიამოვნო იყო თქვენთან შეხვედრა, — შემოვტრიალდი და მივხვდი, რომ არა მარტო სულელურად ვიქცეოდი, არამედ სისულელეებსაც ვლაპარაკობდი. „სასიამოვნო იყო თქვენთან შეხვედრა!" მე ხომ მათ არ ვიცნობდი, რადგან არავის გავუცნივარ მათთვის.

— ემილი! — კარის სახელურს დავწვდი თუ არა, მისი ხმა გავიგონე, — ემილი, ხვალ მსგავსი რამ არ განმეორდეს. ძალიან არ გვსიამოვნებს, როდესაც ხელს გვიშლიან, — სახელური თავისით გადატრიალდა და როგორც იქნა, დერეფანში აღმოვჩნდი.

ეს წუთით გაგრძელდა, მაგრამ მეგონა, ოლიმპიურ თამაშებში ვილებდი მონაწილეობას და საცურაო აუზი ერთი შესუნთქვით უნდა გადამეცურა.

დივანზე ჩამოვჯექი და რამდენჯერმე ღრმად შევისუნთქე. ძუკნა! პირველად, „ემილი" რომ დამიძახა, შეიძლება მართლაც შეეშალა, მაგრამ მეორედ უკვე განგებ მოიქცა ასე. ადამიანის დამცირება და შეურაცხყოფა თუ გინდა, სხვისი სახელით უნდა მიმართო, ოღონდ მანამდე აინუნშიაც არ უნდა ჩააგდო ის ფაქტი, რომ იგი შენთან, სახლში იმყოფება! ვიცოდი, რომ ჟურნალის ყველაზე დაბალი რანგის თანამშრომელი ვიყავი, — ემილი ხელიდან არ უშვებდა შემთხვევას, ჩემთვის ეს შეეხსენებინა — მაგრამ ნუთუ მირანდასთვისაც ასეთი აუცილებელი იყო აშკარა მინიშნება?

ალბათ მთელი ღამით დავრჩებოდი იქ, რეალური სამყაროს მიღმა და მირანდას პენთჰაუზის კარს წარმოსახვითი ტყვიებით დავცხრილავდი, მაგრამ უეცრად ვიღაცამ ჩაახველა. ავიხედე და დავინახე, რომ სევდიანი მელიფტე მოთმინებით მელოდა.

— ბოდიშს გიხდით, — ვუთხარი და ლიფტში შევედი.

— არაფერია, — თითქმის ჩურჩულით მიპასუხა და თან ხის იატაკს დასცქეროდა, — შეეჩვევით.

— რა ბრძანეთ? ვერ...

— არა, არაფერი. თქვენი სართული, მის. სასიამოვნო საღამოს გისურვებთ, — ლიფტის კარი გაიღო და ვესტიბიულში

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მობილურ ტელეფონზე ხმამაღლა მოსაუბრე ემილი დავინახე. როგორც კი დამინახა, დაკეცა.

— აბა, როგორ ჩაიარა? უპრობლემოდ, არა?

მისთვის ყველაფრის მოყოლა მეწადა, მსურდა, თანაეგრძნო ჩემთვის, გავემხნევებინე, მსურდა, ერთი გუნდი ვყოფილიყავით, მაგრამ ვიცოდი, რომ ამით მისგან ერთ ქოქოლას კიდევ დავიმსახურებდი, ეს კი ყველაზე ნაკლებად მჭირდებოდა.

— ყველაფერმა კარგად, გართულების გარეშე ჩაიარა. ვახშმობდნენ და მეც ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც დამარიგე.

— ძალიან კარგი. მოკლედ, დღეიდან ეს შენი მოვალეობაა. ამის შემდეგ მანქანა სახლში მიგიყვანს. აბა შენ იცი, კარგი დრო გაატარე მარშალის წვეულებაზე! ნამდვილად არ გავაცდენდი, მაგრამ ეპილაციაზე „ბიკინის" გასაკეთებლად ჩავეწერე და ვერაფრით გადავდებ, წარმოგიდგენია, მომდევნო ორი თვის განმავლობაში თავისუფალი ადგილი არ აქვთ! თან არ დაგავიწყდეს, ახლა შუა ზამთარია! ალბათ ეს ის ხალხია, ვინც ზამთარში გადის შვებულებაში, რას იტყვი? ვერ გავიგე, რა დაემართათ ნიუიორკელ ქალებს, ამ შუა ზამთარში ყველას ერთად რატომ მოუნდა „ბიკინის" კეთება? ეს ისეთი უცნაურია! მაგრამ აბა, რას ვიზამ?

მისი ხმის ტემბრი თავს მატკივებდა, აზრი არ ჰქონდა, რას ვუპასუხებდი, სამუდამოდ მქონდა მისჯილი მესმინა საუბრისთვის „ბიკინის" ეპილაციაზე. იქნებ ჯობდა, მირანდასთან მომხდარი მომეყოლა, მისი კივილი უფრო სასიამოვნო იქნებოდა.

— კარგი, აბა, რას ვიზამთ? ახლა წავალ, ჯეიმსს დავპირდი, ცხრაზე შევხვდებოდი, არადა უკვე ათს გადასცდა. ხვალამდე!

— ჰო! კარგი! ო, აი კიდევ რა, მართალია, მომზადება უკვე ყველაფერში გაიარე, მაინც შვიდზე უნდა იყო სამსახურში, მე კი — რვაზე. მირანდამ ეს იცის და ესმის, რომ უფროსი თანაშემწე გვიან მოდის, რადგან ის უფრო მეტს მუშაობს, — კინაღამ კისერში ვწვდი, — უბრალოდ ყველაფერი ისე გააკეთე, როგორც გასწავლე. თუ დაგჭირდი, დამირეკე, მაგრამ წესით ყველაფერი ზეპირად უნდა იცოდე. ნახვამდის! — მომაძახა და ჩახტა მეორე მანქანაში, რომელიც მირანდას სახლის წინ გვიცდიდა.

— ნახვამდის! — დავუძახე და ძალით გავუღიმე. მძღოლს უნდოდა გადმოსულიყო და ჩემთვის კარი გაეღო, მაგრამ ვუ-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

თხარი, რომ საჭირო არ იყო და უკან ჩავჯექი, — თუ შეიძლება პლაზასთან მიმიყვანეთ.

მიუხედავად იმისა, რომ ტემპერატურა პლუს შვიდ გრადუსზე მეტი არ იქნებოდა, ჯეიმსი გარეთ, კიბეზე მიცდიდა. შინ წასულიყო, გამოეცვალა და ახლა გამხდარი ჩანდა ზამშეს შავ შარვალსა და ზოლიან თეთრ მაისურში, რომლის ფონზე შესანიშნავად უჩანდა სოლარიუმში მიღებული რუჯი. მასთან შედარებით, „გეფის" მინიქვედაბოლოში ალბათ ძალიან უბრალოდ გამოვიყურებოდი.

— ეი, ენდი, აბა, როგორ ჩაიარა მირანდასთან წიგნის მიტანამ? — გარდერობის რიგში დავდექით და უეცრად ბრედ პიტს მოვკარი თვალი.

— ღმერთო დიდებულო! ალბათ ხუმრობ, არა? ეს ბრეტ პიტია?

— აჰა, ხომ იცი, ჯენიფერი თმას მარშალთან იღებავს, ალბათ ისიც აქაა. იქნებ ახლა მაინც დამიჯერო, როცა გეუბნები, გვერდიდან არ მომშორდე-მეთქი. მოდი, რამე დავლიოთ.

რიზისა და ჯონის გარდა ამ წვეულებას სხვა გამოჩენილი ადამიანებიც ესწრებოდნენ, მე კი სადღაც ღამის პირველი საათისათვის უკვე ოთხი ჭიქა მქონდა დალეული და მხიარულად ვეჭორავებოდი ჟურნალ „ვოგის" მოდის განყოფილების ერთ-ერთ თანაშემწეს. „ბიკინის" ეპილაციას განვიხილავდით, თან — გატაცებით. ამჯერად საუბარი სულ არ მაღიზიანებდა. „ღმერთო!" ჩემთვის გავიფიქრე, როდესაც ჯეიმსის ძებნაში სტუმრებს შორის გზას მივიკვლევდი და ჰაეროვან კოცნას ვგზავნიდი იმ მიმართულებით, სადაც ჯენიფერ ენისტონის გამოჩენას მიესალმებოდნენ. სულაც არ იყო ცუდი წვეულება. ცოტა დავლიე, არადა ექვს საათში სამსახურში უნდა ვყოფილიყავი, სახლში კი თითქმის მთელი დღე ფეხი არ შემედგა. ჯეიმსი დავინახე, მარშალის ერთ-ერთ კოლორისტს მგზნებარედ კოცნიდა, ის-ის იყო მისკენ გავემართე, რომ მოულოდნელად ზურგზე ვილაცამ ხელი დამადო.

— ჰეი, — მითხრა საოცრად მომხიბლავმა მამაკაცმა, რომელიც მოსვლისთანავე შევნიშნე. ალბათ ვილაცაში შეეშალე, მის მეგობარ გოგონას მიმამსგავსა-მეთქი, ის კი მაინც მილიმოდა.

— საუბარი დიდად არ გიყვართ, არა?

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ოჰ, თქვენ კი, რაკი „ჰეი“-ს ამბობთ, თავი ალბათ უზადო მოსაუბრედ მიგაჩნიათ, არა?“ „ენდი! მოკეტე!“ დავტუქსე საკუთარი თავი. „ვიღაც არაჩვეულებრივი მამაკაცი მოულოდნელად გიახლოვდება და ცნობილი ადამიანების წვეულებაზე ცდილობს გაგეცნოს, შენ კი ამ დროს რას აკეთებ?“ თუმცა ჩემი პასუხით შეურაცხყოფილი არ დარჩენილა, პირიქით, მთელი გულით მიღიმოდა.

— ბოდიში, — წავიბურტყუნე და თან ჩემს ცარიელ ჭიქას დავხედე, — მე ანდრეა მქვია. დასაწყისისათვის, ვფიქრობ, ასე ჯობს, — ვუთხარი და ჩამოსართმევად ხელი გავუწოდე. თან იმაზე ვფიქრობდი, ჩემგან რა უნდოდა.

— სიმართლე გითხრათ, თქვენი წინა პასუხიც ძალიან მომეწონა. მე კრისტიანი ვარ. სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, ენდი, — მარცხენა თვალიდან ყავისფერი კულული გადაიწია და ბოთლიდან „ბუდვაიზერი“ მოსვა. ნაცნობი სახე ჰქონდა, მაგრამ მაინც ვერ ვიხსენებდი.

— ლუდი? — და ბოთლზე მივანიშნე, — არ მეგონა მსგავს წვეულებებზე დაბალი დონის სასმელებიც თუ მოიძებნებოდა, — მთელი ხმით გადაიხარხარა. მე კი მეგონა, ჩაიცინებდა.

— თქვენ ყოველთვის იმას ამბობთ, რასაც ფიქრობთ, არა? — ალბათ მკვდრისფერი დამედო, რადგან ისევ გამიღიმა და მითხრა, — არა, არა, ნუ მიწყენთ, ძალიან კარგი და უიშვიათესი თვისებაა მოდის სამყაროში. უბრალოდ, შამპანურის წრუპვა, როგორც ეს მიღებულია, ვერ შევძელი, ხომ გესმით? არაბუნებრივი მგონია. ამიტომ ბარმენს ვთხოვე და მანაც სამზარეულოდან ლუდი გამომიტანა.

თვალზე კულული ისევ ჩამოუვარდა და ისევ შეისწორა, შემდეგ კი სპორტული შავი ფერის ქურთუკის ჯიბიდან კოლოფით სიგარეტი ამოიღო და შემომთავაზა. ერთი ღერი გამოვართვი და ხელი შეგნებულად გავუშვი, რათა საშუალება მქონოდა, დავხრილიყავი და აღებისას უკეთესად შემეთვალიერებინა.

სიგარეტი მისი პრიალა, ოთხკუთხედცხვირიანი და ფოჩიანი (რაც ეჭვგარეშეა „გუჩიზე“ მიუთითებდა) ლოუფერიდან[53] რამდენიმე სანტიმეტრის მოშორებით დაეცა. შევნიშნე, რომ „დიზელის“ გახეხილი ჯინსი ეცვა. გრძელი, ფართო ჯინსი პრიალა ლოუფერების ქუსლებს მთლიანად ფარავდა, რის გამოც შარვალს ბოლოები ჩამოძენძოდა. შავი ქამარი — სავარაუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

დოდ, ასევე „გუჩისა“ იყო, თუმცა დარწმუნებული არ ვიყავი — ჯინსებს ზედ თეძოებზე უმაგრებდა, უბრალო თეთრი ბამბის მაისური — ალბათ „ჰეინესის“ იყო, თუმცა „არმანისა“ ან „ჰუგო-ბოსისას“[54] უფრო ჰგავდა — ქამარში ჩაეტანა, რაც კარგად აჩენდა მის გარუჯულ კანს. შავი, ძვირად ღირებული სპორტული ქურთუკი არაჩვეულებრივად ადგა, ალბათ შეკვეთით იყო დამზადებული, რომ მისი საშუალო, ამავდროულად ძალზე სექსუალური აღნაგობა გამოეკვეთა. ყველაზე მეტად კი მისმა მწვანე თვალებმა მომხიბლა. ზღვის ქაფის ფერია-მეთქი, გავიფიქრე და ჩემი სკოლისდროინდელი აკვარელის საღებავები გამახსენდა, ან იქნებ იხვის ფრთებში რომ მწვანე ურევია, იმ ფერის თვალები ჰქონდა? სიმაღლით, აღნაგობითა და იერით ალექსს ჰგავდა, თუმცა გაცილებით ევროპული და ნაკლებად „აბერქრომბის“[56] სტილში იყო. ალექსზე ცოტათი უფრო თავდაჯერებული ჩანდა, გარეგნობით ჯობდა და ასაკითაც მასზე უფროსი, სადღაც ასე, ოცდაათამდე იქნებოდა. მოკლედ, ალექსზე გაცილებით ეფექტური იყო.

სიგარეტზე მომიკიდა.

— აბა, ანდრეა, ასეთ წვეულებაზე რამ მოგიყვანათ? ალბათ იმ იღბლიანთა შორის ხართ, რომლებიც მარშალს „პირად კოლორისტად“ მიიჩნევენ?

— არა, ვშიშობ, რომ ცდებით. ყოველ შემთხვევაში, ჯერ ასე არ არის, თუმცა თავაზიანად მიმანიშნა, რომ მის დახმარებას ვსაჭიროებ, — სიცილით ვუპასუხე. უეცრად მივხვდი, რომ ამ უცხო ადამიანზე შთაბეჭდილების მოხდენას ძალიან ვცდილობდი, — „პოდიუმში“ ვმუშაობ. სილამაზის განყოფილებიდან ერთ-ერთმა მეგობარმა აქ ძალით მომათრია.

— აჰ, „პოდიუმში“? — საუკეთესო ადგილია მათთვის, ვისაც სადომაზოხიზმი იტაცებს. მოგწონთ?

ვერ გავიგე, რაზე მეკითხებოდა, სადომაზოხიზმზე თუ „პოდიუმზე“? თუმცა აშკარა იყო, ჟურნალის შიდა სამზარეულოს ჩინებულად იცნობდა და წარმოდგენილიც ჰქონდა, თუ როგორ ჩანდა იქაურობა გარედან. იქნებ ჩემი წიგნის ამბების მოყოლით მომეხიბლა? არა, ამას ვერ გავაკეთებდი, რადგან წარმოდგენა არ მქონდა, ვინ იყო იგი... თუმცა ვეჭვობდი, რომ თვითონაც „პოდიუმში“ მუშაობდა, მაგალითად, ჩემთვის მანამდე უცნობ, რომელიმე შორეულ ფილიალში, ან იქნებ „ელიას-კლარკის“

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

სხვა ჟურნალის თანამშრომელი იყო, ან სულაც იმ „ფეიჯ სიქსის“ ერთ-ერთი მატყუარა ჟურნალისტი, რომელთა შესახებაც ემილი მაფრთხილებდა. „ჯადოქრებივით გეცხადებიან, — მეუბნებოდა ავისმომასწავლებელი ხმით, — ცდილობენ შეცდომაში შეგიყვანონ და რაიმე ინფორმაცია დაგცინცლონ მირანდას ან „პოდიუმის“ შესახებ. სიფრთხილე გამოიჩინე.“ ვიცოდი, რომ მსგავსი შეგონებებითა და ელექტრონული ბარათებით, „პოდიუმი“ საკუთარ თანამშრომლებს აიძულებდა, ხმა არ ამოეღოთ. მეც „პოდიუმის“ პარანოიამ მძლია.

— დიახ, — მივუგე, შევეცადე ბუნებრივად და ზოგადად მეპასუხა, — უცნაური ადგილია. მოდა დიდად არ მაინტერესებს, წერა მირჩევნია, მაგრამ დასაწყისისათვის ცუდი არ არის. თქვენ რას საქმიანობთ?

— მწერალი ვარ.

— მართლა? ალბათ როგორი სასიამოვნოა! — იმედი მქონდა, იმედგაცრუება ვერ შემატყო.

ყოველთვის მაღიზიანებდა, რომ ნიუ-იორკში თავი ყველას მსახიობად, მწერლად ან პოეტად მოჰქონდა. „ადრე — უნივერსიტეტის გაზეთში ვწერდი, — გავიფიქრე ჩემთვის, ჯანდაბა, ყოველთვიურ ჟურნალში ესსეც კი გამოვაქვეყნე, როცა ჯერ ისევ სკოლაში ვსწავლობდი. შენი აზრით, ამის გამო მწერალი მქვია?“

— რაზე წერთ?

— ძირითადად ბელეტრისტი ვარ, მაგრამ ამჟამად ჩემს პირველ ისტორიულ რომანზე ვმუშაობ, — მიპასუხა, ისევ მონრუპა ლუდი და შემაწუხებლად საყვარელი თმა შეისწორა.

„პირველი ისტორიული რომანიო“, — და ამით სხვა, არაისტორიულ რომანებზე მიმანიშნა. საინტერესოა.

— რას ეხება?

წამით დაფიქრდა და შემდეგ მიპასუხა:

— რომანი ახალგაზრდა ქალის თვალით დანახულ მეორე მსოფლიო ომზე მოგვითხრობს. ჯერ ისევ კვლევის პროცესში ვარ, თვითმხილველებს ვესაუბრები და ასე შემდეგ. მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მაქვს დაწერილი. ვფიქრობ...

საუბარს აგრძელებდა, მაგრამ მე უკვე ვიცოდი, ვინ იდგა ჩემ წინ, ღმერთო დიდებულო! წიგნის შინაარსიც გამახსენდა, აკი ახლახან მის შესახებ სტატიას გავეცანი „ნიუ-იორკერ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

ში". ჩანდა, მთელი ლიტერატურული სამყარო მოუთმენლად ელოდა მის მომდევნო წიგნს, აღფრთოვანებული იყვნენ იმ რეალისტური ხედვით, რომელთაც ავტორი თავისი გმირის საშუალებით აცნობდა მკითხველს. წვეულებაზე ვიყავი და კრისტიან კოლინსვორთს ვესაუბრებოდი, უდარდელ, გენიოს ბიჭუნას, რომელმაც პირველი ნაწარმოები ჯერ კიდევ ოცი წლის ასაკში გამოაქვეყნა, როცა იელის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო. კრიტიკოსები მის პირველ წიგნზე შეიშალნენ. ის მეოცე საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან ლიტერატურულ ნაშრომად აღიარეს, პირველ რომანს კიდევ ორი წიგნი მოჰყვა, თითოეული მათგანი წინამორბედზე გაცილებით დიდხანს რჩებოდა ბესტსელერთა სიაში. „ნიუ-იორკერმა" მასთან ინტერვიუც გამოაქვეყნა. ჟურნალი მას „ლიტერატურულ სფეროში დიდ წარმატებებს უწინასწარმეტყველებდა" და მიაჩნდა, რომ „მიმზიდველი გარეგნობით, გემოვნებითა და თანდაყოლილი ხიბლით ის არა მარტო წარმატებული ავტორი, არამედ სიცოცხლის ბოლომდე მანდილოსანთა გულთამპყრობელიც იქნებოდა."

— ოჰ, დიდებულია, — მივუგე და უეცრად ისეთი დაღლილობა ვიგრძენი, რომ რაიმე ჭკვიანურის, საზრიანისა და სასაცილოს თქმის თავი არ მქონდა. ეს ადამიანი საუცხოო მწერალი იყო და რა ჯანდაბას აკეთებდა აქ? როგორ დამეჯერებინა, რომ ჩემთან საუბარი სიამოვნებდა? ალბათ დრო გაჰყავდა, სანამ მისი საცოლე ან შეყვარებული სადმე ათიათასდოლარიანი ფოტოსესიით იყო დაკავებული. „ანდრეა, რა აზრი აქვს ამაზე ფიქრს? — გაბრაზებულმა ვკითხე საკუთარ თავს, თუ დაგავიწყდა, შეგახსენებ, რომ არაჩვეულებრივი, კეთილი, ერთგული და უსაყვარლესი შეყვარებული გყავს. საკმარისია!" სახელდახელოდ რაღაც მიზეზი მოვიფიქრე და შინ წასვლა მოვინდომე, კრისტიანი გაოცებული მიყურებდა.

— შეგაშინეთ? — ღიმილით მკითხა.

— შემაშინეთ? და თქვენი რატომ უნდა შემშინებოდა? თუ რა თქმა უნდა, ამის მიზეზი არსებობს...— თავი ვერ შევიკავე და ფლირტითვე ვუპასუხე. მასთან ეს ისე ბუნებრივად გამოდიოდა.

მკლავზე მომკიდა ხელი და თავისკენ შემატრიალა:

— გაგაცილებთ.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვიდრე ვეტყოდი, რომ სახლს დახმარების გარეშეც მივაგ-ნებდი, რომ მასთან საუბარი სასიამოვნო იყო, თუმცა ვიმე-დოვნებდი, ჩემთან ამოსვლას არ აპირებდა, — „პლაზას“ წითე-ლხალიჩებიან კიბეებზე უკვე ერთად ვიდექით.

— ტაქსი ხომ არ გჭირდებათ? — გვკითხა გასვლისას შვეიცარმა.

— დიახ, თუ შეიძლება ქალბატონისთვის გამოიძახეთ, — უპასუხა კრისტიანმა.

— არ არის საჭირო, მანქანა მელოდება, აი იქ, — ვუპასუხე და 58-ე ქუჩაზე „პარიზის თეატრის“ წინ მდგარ „თაუნ ქარის“ მანქანების მწკრივზე მივუთითე. მისთვის არ შემიხედავს, მა-გრამ ვგრძნობდი, ისევ თავისი განსაკუთრებული ღიმილით ილიმებოდა. მანქანამდე მიმაცილა და კარი გამიღო, შემდეგ კი გალანტურად მიმანიშნა, უკანა სავარძელზე დაბრძანდითო.

— გმადლობთ, — ვუთხარი და დამაჯერებლად, ყოველგვა-რი უხერხულობის გარეშე ხელი გავუწოდე, — ძალიან სასია-მოვნო იყო თქვენი გაცნობა, კრისტიან.

— ჩემთვისაც, ანდრეა, — ხელი გამომიწოდა, მაგრამ ჩამორთმევის ნაცვლად მეამბორა, ჩემს ხელზე ტუჩები საჭი-როზე ცოტათი უფრო დიდხანს გააჩერა, — იმედია, ერთმა-ნეთს მალე შევხვდებით.

მოვახერხე და მანქანაში უსაფრთხოდ ჩავჯექი. მთელი ძალით ვცდილობდი, არ გავწითლებულიყავი, თუმცა ვგრძნობ-დი, რომ ძალისხმევა უკვე დაგვიანებული იყო. კარი მომიხურა და მანქანის დაძვრამდე მიცქერდა.

უცნაურად არ მომჩვენებია, რომ „თაუნ ქარის“ მანქანის სალონი ორი თვის წინ საერთოდ არ მენახა, რომ ბოლო ექვ-სი საათის განმავლობაში მძღოლი ჩემს მითითებებს ასრუ-ლებდა, რომ იმ სალამომდე გამოჩენილ ადამიანს არასოდეს შევხვედროდი და ცოტა ხნის წინ ჰოლივუდის ცნობილ სახეებ-თან ვსაუბრობდი, ხელზეც კი მეამბორნენ — დიახაც, ასე იყო, ნიუ-იორკის ერთ-ერთმა ყველაზე სასურველმა სასიძომ ხელ-ზე მაკოცა. „არა, არა, სისულელეა“, თავს ვუმეორებდი, „ეს ყველაფერი იმ სამყაროს ნაწილია, სადაც შენ არაფერი გესა-ქმება“. შეიძლება მიმზიდველიც ყოფილიყო, მაგრამ ილუზიე-ბად არ ღირდა! თუმცა მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ჩემს

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

ხელს დავშტერებოდი და ყველა დეტალის გახსენება მსურდა. შემდეგ ხელი უხეშად ჩავყავი ჩანთაში და მობილურს დავუწყე ძებნა, ამოვიღე და სანამ ალექსის ნომერს ვკრეფდი, იმაზე დავფიქრდი, თუ რას მოვყვებოდი და რას — არა.

9

სამი თვე დამჭირდა, ვიდრე უსასრულო რაოდენობის იმ ძვირფას ტანსაცმელს მოვირგებდი, რომელსაც „პოდიუმი" ასე გულუხვად მთავაზობდა. სამი უსაშველოდ გრძელი თვე — როცა სამუშაო დღეს თოთხმეტი საათი ეთმობოდა, ძილს — მხოლოდ ხუთი და არც ერთი წუთით მეტი, სამი უსაშველოდ გრძელი თვე, რომლის განმავლობაშიც ყოველდღე ვითმენდი გაუთავებელ „დათვალიერებას", ამ ხნის განმავლობაში ქათინაური ერთხელაც არ მიმიღია, მეტიც, არ მიგრძნია, რომ მათთვის საერთოდ ვარსებობდი. სამი საშინლად გრძელი კვირა იმ შეგრძნებით გავატარე, რომ სრული იდიოტი, არაკომპეტენტური და უუნარო ვარ (კიდევ ცხრა კვირა მრჩებოდა!), სამთვიანი ტანჯვის შემდეგ გადავწყვიტე შევცვლილიყავი და სამსახურში მეც გამოპრანჭულს მევლო.

ოთხთვიანმა გარდასახვამ — ადრიანად გაღვიძებამ, ჩაცმამ და უთენია სახლიდან გაქცევამ ბოლოს ისე დამქანცა, საკუთარ თავს გამოვუტყდი, გაცილებით მარტივი იქნებოდა, თუ კარადა „შესაფერი" სამოსით მექნებოდა გამოტენილი, რადგან სამსახურში ტანსაცმლის ყოველდღიური ჩაცმა-გახდა ჩემი რუტინის სტრესულ ნაწილად იქცა. მაღვიძარა იმდენად ადრე ირთვებოდა, რომ ვერავის გავანდობდი, რომელ საათზე ვდგებოდი რეალურად, რადგან ამ სიტყვების წარმოთქმაც კი ფიზიკურ ტკივილს მაყენებდა. დილის შვიდზე მუშაობის დაწყება ძალიან რთული იყო, ჩემი აზრით, ამისთვის შეიძლებოდა იდიოტიზმიც გეწოდებინა. აქამდე ასე ადრე სულ რამდენჯერმე თუ ავმდგარვარ: როცა სადღაც მივფრინავდი და აეროპორტში მიწევდა წასვლა და როცა საგამოცდო ციებ-ცხელებისას, მეცადინეობას გვიან ვამთავრებდი. თუმცა მაშინ ვიცოდი, რომ გათენებისთანავე, ლოგინი და მთელი დღის ძილი მელოდა. ეს

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

კი სულ სხვა რამ იყო — ძილის უფლების მუდმივი, უმოწყალო და არაადამიანური შეზღუდვა. აზრი არ ჰქონდა მცდელობებს, ღამის თორმეტ საათამდე დამეძინა და დროზე ავმდგარიყავი, მაინც ძალზე მიჭირდა. ბოლო ორი კვირა განსაკუთრებით რთული იყო, რადგან ზაფხულის ერთ-ერთ პირველ ნომერს ვამზადებდით, ასე რომ, სამსახურში წიგნს თერთმეტ საათამდე ველოდი ხოლმე. და როცა მირანდასთან მიმქონდა, უკვე შუაღამე იყო. შინ ძირითადად დამშეული ვბრუნდებოდი. გვიან ვვახშმობდი, ტანსაცმელს ვიხდიდი, ლოგინისკენ პრაქტიკულად მივღოღავდი და ბალიშზე თავის დადებისთანავე მეძინებოდა.

მაღვიძარა ერთადერთი იყო, რაზეც ვრეაგირებდი, ის დილის 5:30-ზე ირთვებოდა, ფეხს საბნიდან გამოვწევდი და მაღვიძარას მიმართულებით ვიქნევდი (ის მიზანმიმართულად ლოგინის ბოლოში, ფეხებთან მედო, ამით თავს ვაიძულებდი, რაიმე მოძრაობა გამეკეთებინა). ფეხს ჰაერში უმისამართოდ მანამ ვიქნევდი, სანამ საზარელი ხმა გარკვეული დროით არ დადუმდებოდა. შემდეგ ისევ იწყებდა რეკვას თანამიმდევრულად და გაუჩერებლად. მაღვიძარა ყოველ შვიდ წუთში ერთხელ ირთვებოდა, სანამ დილის 6:04-ზე შხაპის მისაღებად დაფეთებული არ წამოვხტებოდი.

ტანსაცმლის ჩაცმა-გახდა ჩვეულებრივ დილის 6:31-სა და 6:37-ს შორის მიმდინარეობდა. ლილიც კი — უბრალო სტუდენტურ ჯინსებში, „ელ. ელ. ბინის" იაფფასიან სვიტერსა და ინდური კანაფის ყელსაბამში — რომელსაც მოდის დიდად არაფერი გაეგებოდა, ყოველ შეხვედრაზე, ერთსა იმავეს მეუბნებოდა: „არ მესმის, რატომ დადიხარ ასე ჩაცმული? ბოლოს და ბოლოს „პოდიუმში" შენ მუშაობ თუ მე? ისე გამოიყურები, ენდი, როგორც ყოველი მეორე, სულ არ გეტყობა, „პოდიუმის" თანამშრომელი რომ ხარ."

მან არ იცოდა, რომ ბოლო რამდენიმე თვე უთენია ვდგებოდი, რომ მოდურ ჩაცმაში ჩემი ულიმღამო, „ბანანის რესპუბლიკის" მოქალაქის გარდერობით „პოდიუმის" თანამშრომლებს ვერაფრით გავეჯიბრებოდი. ყოველ დილით, ხელში მიკროტალღოვან ღუმელში მოდულებული ყავით დაახლოებით ნახევარ საათს ვიდექი და გამწარებული ვცდილობდი ჩექმების, ქამრების, შალისა და ნატურალური ქსოვილით დამზადებუ-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლი ტანსაცმლის მორგებას. შესაფერი მაღალყელიანი წინდების შესარჩევად სულ მცირე, ხუთჯერ მაინც ვიცვლიდი და ამ ყველაფრის შემდეგ იმის მოსმენა მიხდებოდა, თუ როგორ არ შეეხამებოდა მათი ფერი ან სტილი ჩემს სამოსს. ფეხსაცმელების ქუსლები ზედმეტად დაბალი ან ზედმეტად ძველმოდური, ანდა ზედმეტად სქელი იყო. არასოდეს მიტარებია ქიშმირის სამოსი. ტანგებზე ხომ წარმოდგენაც არ მქონდა(!), რის გამოც გიჟივით ვცდილობდი რაიმეს მოფიქრებას, რომ საცვლის ხაზები მოტკეცილ ტანსაცმელზე არ დამტყობოდა. ამით კი, რა თქმა უნდა, თანამშრომლებს შესვენებებზე ჭორაობის საბაბს ვაძლევდი. როგორ არ ვცადე, მაგრამ თავი მაინც ვერ ვაიძულე, სამსახურში ტოპებით მევლო.

სამი თვის შემდეგ დავნებდი. ძალიან გადაღლილი ვიყავი — ემოციურად, ფიზიკურად და გონებრივად. მუშაობის დაწყებიდან სამი თვის განმავლობაში ყოველ დილით ტანსაცმლის შერჩევამ და გადარჩევამ ენერგია სრულიად გამომაცალა. ის დღეც სხვა დღეების მსგავსი იყო, ცალ ხელში ჩემი ყვითელი ჭიქა, წარწერით „მე ♥ პროვიდენსი" მეჭირა, ხოლო მეორით კი „აბერქრომბის" ტანსაცმელს ვქექავდი. „რატომ ვეწინააღმდეგები?" საკუთარ თავს ვკითხე. დიზაინერების ტანსაცმლის ტარება სულაც არ ნიშნავს, რომ სული გავყიდე, ხომ ასეა? ამასთან, კომენტარები ჩემს ჩაცმულობაზე სულ უფრო ხშირი და ღვარძლიანი გახდა. იმაზე დავფიქრდი, რომ ამას შესაძლოა „პოდიუმში" ჩემი მუშაობისთვის საფრთხე შეექმნა. კედლის სარკეში ჩავიხედე და საკუთარი თავის დაცინვა მომინდა: „მეიდენფორმის" ლიფსა (ჰა!) და „ჯოკეის ბიკინის" ბამბის საცვლებში (ჰა, ჰა!) გამოწყობილი გოგონა ცდილობდა „პოდიუმის" სტანდარტებს მიახლოებოდა? ჰა, ჰა! ეს ძონძები არ გამოდგებოდა. ბოლოს და ბოლოს „პოდიუმში" ვმუშაობდი! და თუნდაც იმგვარი ტანსაცმლის ტარება, რომელიც გახეული, დალაქული ან ძველმოდური არ იყო, სულ არ ნიშნავდა, რომ შესაფერისად გამოვიყურებოდი, ესენი აღარ გამომადგებოდა. ჩემი საქმიანი პერანგები, რომლებიც წინ ღილებზე იკვრებოდა, გადავდე და ჩანთიდან „პრადას" ტვიდის ქვედაბოლო, „პრადას" შავი როლინგი და „პრადასვე" მუხლამდე სიგრძის ჩექმა ამოვიღე. ჯეფმა ესენი წინა საღამოს მომცა, როცა „წიგნს" ველოდი.

— ეს რა არის? — ვკითხე და ჩანთა გავხსენი.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ენდი, ეს ისაა, რაც ყოველდღე უნდა გეცვას, რა თქმა უნდა, თუ აქ მუშაობის სურვილი გაქვს, — ღიმილით მიპასუხა, თუმცა თვალს მარიდებდა.

— ბოდიში, ვერ გავიგე?

— მისმინე, უბრალოდ სურვილი მაქვს, იცოდე, მმ, შენი ჩაცმულობა აქ დიდად არავის მოსწონს. ვიცი, რომ ეს ნივთები ძვირია, მაგრამ გამოსავალი მოიძებნება. გარდერობში იმდენი ტანსაცმელი მაქვს, ვერავინ შეამჩნევს, თუკი დროდადრო ვინმეს რაიმეს ვათხოვებ, — და თითებით ბრჭყალების ნიშანი მოხაზა, „ვათხოვებო", — სარეკლამო განყოფილებასაც დაუკავშირდი, რომ თავის დიზაინერებთან ფასდაკლების ბარათი მოგცენ. მე მხოლოდ ოცდაათპროცენტიანი ბარათი მაქვს, მაგრამ ვინაიდან შენ მირანდას თანაშემწე ხარ, ძალიან გამიკვირდება, თუ საერთოდ რამეს გამოგართმევენ. არანაირი საჭიროება არ გაქვს, „გეფის" ტანსაცმელში იარო.

იმის ახსნა არ დამიწყია, რომ „მანოლოს" ნაცვლად „ნაინ ვესტის" ფეხსაცმელებს ვიცვამდი, არც ის მითქვამს, რომ „ბარნის" ზლაპრულ სავაჭრო ცენტრში სიარულისა და მერვე სართულზე ცნობილ დიზაინერთა ჯინსების შეძენის ნაცვლად, „მესის" სავაჭრო ცენტრის ახალგაზრდულ სექციაში ნაყიდი ჯინსით ვკმაყოფილდებოდი, რადგან ეს ჩემი ერთგვარი მცდელობა იყო, „პოდიუმისთვის" მეჩვენებინა, რომ ძვირფასი ნივთები ვერ შემაცდენდა. ამის ნაცვლად, ჯეფს თავს ვუქნევდი, ჩანდა, ძალიან ეუხერხულებოდა გაემხილა ჩემთვის, რომ სამსახურში ყოველდღიური დაცინვის საგანი ვიყავი. ნეტა ვინ აიძულა, ეს ეთქვა? ემილიმ? თუ თვით მირანდამ? ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ჯანდაბა! მუშაობის სამ თვეს უკვე გავუძელი, ასე რომ, თუ „ურბანული ტანსაცმლის" ნაცვლად „პრადას" როლინგში გამოვეწყობოდი, რაც იქ ყოფნას კიდევ ცხრა თვე გაახანგრძლივებდა, დაე, ასეც ყოფილიყო! გარდერობის დაუყოვნებლივ შეცვლა გადავწყვიტე.

სახლიდან სადღაც დილის 6:50-ზე გავედი და გამოვტყდები, ძალიანაც მომწონდა, როგორც გამოვიყურებოდი. იქვე ახლოს, პატარა სასადილოში მომუშავე ბიჭმა ჩემს დანახვაზე დაუსტვინა, სულ ათი ნაბიჯიც არ მქონდა გადადგმული, რომ ვილაც ქალბატონმა გამაჩერა, სამი თვეა თქვენნაირ ჩექმას ვეძებო. ჩემთვის გავიფიქრე, რომ მსგავს შეფასებას ქალი

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

იოლად და სიამოვნებით მიეჩვეოდა. ყოველდღიურად ყველას რაღაცის ატანა გვიწევდა, ეს კი გაცილებით უკეთესი მოსასმენი იყო, ვიდრე ჩემი თანამშრომლების ღვარძლიანი კომენტარები. ჩვეულებრივ, მესამე ავენიუზე გავუხვიე თუ არა, ხელი ავწიე და ტაქსი გავაჩერე, უკანა სავარძელში ჩავეშვი, შიგნით თბილოდა. იმდენად დაღლილი ვიყავი, იმანაც არ მანუგეშა, მეტროთი რომ არ ვმგზავრობდი.

— მედისონის 640. თუ შეიძლება სწრაფად, — ტაქსის მძღოლმა, გეფიცებით, სარკეში თანაგრძნობით გამომხედა

— აჰ, გასაგებია, „ელიას-კლარკ-ბილდინგი" — მიპასუხა.

97-ე ქუჩაზე გავედით, მარცხნივ ლექსინგტონის ავენიუზე გავუხვიეთ და 59-ე ქუჩამდე პრაქტიკულად ვიფრინეთ, შემდეგ კი დასავლეთით, მედისონისკენ, ავიღეთ გეზი. მოძრაობა თავისუფალი იყო და ტაქსიმ ზუსტად ექვს წუთში ხმაურით დაამუხრუჭა მაღალი, ვიწრო, მბზინვარე მონოლითის წინ, რომელიც სრულ ჰარმონიაში იყო თავის მრავალ ბინადართან. როგორც ყოველთვის, მგზავრობის თანხამ სულ 6.40 დოლარი შეადგინა, მე კი მძღოლს ათდოლარიანი გავუწოდე სიტყვებით:

— ხურდა დაიტოვეთ, — მიხაროდა, როცა ყოველ დილით მათ სახეებზე სიხარულსა და გაოცებას ვხედავდი, — პოდიუმი იხდის, — დავამატე.

ამასთან დაკავშირებით სწორედ რომ პრობლემა არ იყო. ერთი კვირა დამჭირდა მივმხვდარიყავი, რომ ბუღალტერია „ელიას-კლარკის" ძლიერ მხარეს არ წარმოადგენდა და სიმართლე რომ ვთქვათ — არც პრიორიტეტს. თავისუფლად შემეძლო მგზავრობის ხარჯებში ყოველდღე ათდოლარიანი გამეშვა. სხვა კომპანია ალბათ დაინტერესდებოდა, რა უფლებით ვხარჯავდი ყოველდღიურად ათ დოლარს ტაქსიში, მაგრამ „ელიას-კლარკში" ამას ვერც ამჩნევდნენ, უფრო მეტად ის აკვირვებდათ, რატომ ვიწუხებდი თავს, თუკი შემეძლო სამსახურებრივი მანქანითა და მძღოლით მესარგებლა. იმაზე ფიქრი, რომ ყოველდღიურად კომპანიას ზედმეტ ათ დოლარს ვცინცლავდი — რაც არ მგონია, მის ბიუჯეტზე ასახულიყო — გაცილებით უკეთეს ხასიათზე მაყენებდა. ალბათ იტყვით, ეს ჩუმი აგრესია იყოო, მე კი ამას სამაგიეროს გადახდას ვეძახდი.

ტაქსიდან კმაყოფილი გადმოვხტი შეგრძნებით, რომ ვილაცას დღე გავუხალისე და მედისონის 640-ისკენ გავემართე.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მართალია მას „ელიას-კლარკ-ბილდინგს“ ეძახდნენ, თუმცა შენობის ნახევარი ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ბანკს, „ჯეი-ეს ბერგმანს“ (სულაც არ იყო გასაკვირი) ეკავა. ჩვენ მათთან საერთო არაფერი გვქონდა, ლიფტებიც კი, მაგრამ მდიდარ ბანკირებსა და ჩვენი ჟურნალის ლამაზმანებს ვესტიბიულში ერთმანეთის ათვალიერება-ჩათვალიერებაში ეს ხელს სრულებით არ უშლიდა.

— ეი, ენდი. როგორ ხარ, დიდი ხანია არ მინახავხარ.

ხმა, რომელიც უკნიდან მომესმა, მორიდებული და უხალისო მომეჩვენა. ვინც უნდა იყოს, ნეტა საერთოდ რისთვის გამომელაპარაკა-მეთქი, გავიფიქრე.

გონებაში სამუშაო დღისათვის ვემზადებოდი. ყოველდღიური რუტინა ედუარდოსთან მისალმებით იწყებოდა. ამ დროს კი ჩემი სახელი გავიგონე, შევტრიალდი და ბენჯამენს შევეფეთე. ის ლილის უნივერსიტეტის დროინდელი ყოფილი შეყვარებული იყო. შენობის წინ, შესასვლელთან, ზედ ტროტუარზე იჯდა და ჩანდა, ეს სულაც არ ადარდებდა. მართალია ედუარდო ლილის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელთაგან მხოლოდ ერთ-ერთს წარმოადგენდა, მაგრამ ამავდროულად ერთადერთი იყო, ვინც ჩემს მეგობარს მართლა უყვარდა. ბენჯი (ამ სახელს ვერ იტანდა) დიდი ხანია არ მენახა. ალბათ, მას მერე, რაც ლილიმ ჯგუფური სექსისას შეუსწრო იმ გოგონებთან, რომლებიც მასთან ერთად კაპელაში მღეროდნენ. ბენჯი მის ბინაში, ზედ სასტუმრო ოთახის იატაკზე, „სოპრანოსა“ და „კონტრალტოსთან“ კოტრიალებდა. მას მერე შეშინებული გოგონები ლილის თვალს ვერ უსწორებდნენ. მე კი ვცდილობდი დამემშვიდებინა, ვეუბნებოდი, რომ ეს მხოლოდ საუნივერსიტეტო თავგადასავალი იყო და რომ მალე ყველაფერი დაავიწყდებოდა, მაგრამ ცხადია, ლილი ამაზე არ წამოეგო, რამდენიმე დღე იტირა და პირობაც ჩამომართვა, რომ მომხდარზე კრინტს არსად დავძრავდი. არავისთვის მითქვამს, თუმცა ბენჯი დეტალურად ჰყვებოდა, რომ „ორ მომღერალს მიართვა, ხოლო მესამე ამ ყველაფერს უყურებდა“. მოიგონა, თითქოს ტახტზე მოკალათებული ლილი სიამოვნებით უცქერდა, როგორ კაცურად იქცეოდა მისი დიდი და ცუდი ბიჭი. ლილიმ დაიფიცა, რომ არასოდეს არავინ შეუყვარდებოდა. ჯერჯერობით პირობას ასრულებდა. ბევრთან იწვა, მაგრამ

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

გვერდით დიდხანს არავის იჩერებდა. ეშინოდა, მათში რაიმე მოსაწონი არ აღმოეჩინა.

კიდევ ერთხელ შევხედე და შევეცადე, ჩემ წინ მდგარი ბიჭის თვალებში ძველი ბენჯი დამენახა. მახსოვს, სიმპათიური გარეგნობისა და კარგი აღნაგობის ერთი ჩვეულებრივი ყმაწვილი იყო, მაგრამ როგორც ჩანს „ბერგმანის“ ბანკს იგი მოჩვენებად ექცია. დაჭმუჭნილი კოსტიუმი აშკარად დიდი ჰქონდა და ისე გამოიყურებოდა, თითქოს კოკაინის დოზა უფრო სჭირდებოდა, ვიდრე ის „მალბორო“, ხელში რომ ეჭირა. ჯერ მხოლოდ შვიდი საათი იყო, ბენჯი კი მთელი ღამის ნამუშევარი გეგონებოდა. გავხალისდი, ჩავთვალე, რომ სამაგიერო მიეზღო ლილისთან ასე მოქცევის გამო, მსიამოვნებდა იმაზე ფიქრიც, რომ უთენია მუშაობით მხოლოდ მე არ ვიტანჯებოდი. მართალია, ჩემგან განსხვავებით ის წელინადში ალბათ ას ორმოცდაათი ათას დოლარს შოულობდა, მაგრამ ხომ ორივე ერთნაირად ვიღლებოდით?

ხელში სიგარეტით, რომელიც ზამთრის ბინდიან დილას მკაფიოდ ჩანდა, სამხედრო სალამი მომცა და თავისკენ მიხმო. ვნერვიულობდი არ დამგვიანდებოდა, მაგრამ ედუარდომ გამომეტყველებით მანიშნა: „ნუ გეშინია, ჯერ არ მობრძანებულა, დამშვიდდი“ და მეც ბენჯამენისკენ გავემართე. ამღვრეული, იმედდაკარგული თვალებით იცქირებოდა. ალბათ ფიქრობდა, რომ ტირანი ჰყავდა უფროსად. აჰ! ნეტა სცოდნოდა. გადახარხარება მომინდა.

— შევამჩნიე, რომ ერთადერთი ხარ, ვინც ასე ადრიანად მოდის სამსახურში, — ჩაიბურტყუნა, მე კი ამ დროს ჩანთაში პომადას ვეძებდი, ლიფტში შესვლამდე რომ წამესვა, — აბა, რა ხდება?

ისეთი დაღლილი, დაჩაგრული ჩანდა, რომ თანავუგრძნე, შემებრალა კიდეც, მაგრამ თვითონაც ძლივს ვიდექი ფეხზე, შემდეგ გამახსენდა როგორი თვალები ჰქონდა ლილის, როცა ბენჯის გონებაჩლუნგი მეგობრები ეკითხებოდნენ, მოგეწონა ჯგუფური სექსის ცქერა, თუ მონაწილეობას ამჯობინებდიო, — და თანაგრძნობის განცდა უმალ გამიქრა.

— ის ხდება, რომ ჩემი უფროსი ძალიან მომთხოვნია, მისი ბრძანებებისთვის მზად რომ ვიყო, ამ წყეული ჟურნალის თანამშრომლებისგან განსხვავებით, ორსაათ-ნახევრით ადრე მოვდივარ, — ბრაზისა და სარკაზმისგან თავი ვერ შევიკავე.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— უჰ, რა დაგემართა? უბრალოდ გკითხე, ბოდიში, არ მეგონა, ასეთი რეაქცია თუ გექნებოდა. სასიამოვნოდ ნამდვილად არ ყლერს, რომელი ჟურნალია?

— მირანდა პრისტლისთან ვმუშაობ, — იმ იმედით ვუპასუხე, რომ მისი სახელი არ ეცოდინებოდა. ის ფაქტი, რომ ერთი შეხედვით საუკეთესო განათლების მქონე, პროფესიულად წარმატებულ ადამიანებს, წარმოდგენა არ ჰქონდათ მირანდას ვინაობაზე, დიდ ბედნიერებას მანიჭებდა, სიხარულით მეცხრეცაზე ვიყავი. ჩემდა სასიხარულოდ, ბედმა ამჯერადაც გამიღიმა. მან მხრები აიჩეჩა, შეისუნთქა და ისე შემომხედა, თითქოს ჩემგან ახსნას ელოდა.

— ის „პოდიუმის" მთავარი რედაქტორია, — ხმადაბლა ვუპასუხე, — და ყველაზე დიდი ძუკნა, ვინც კი ოდესმე შემხვედრია. მართლა! მის მსგავსს არავის ვიცნობ. ეჭვი მეპარება, რომ საერთოდ ადამიანი იყოს, — დიდი სურვილი მქონდა ბენჯამენისთვის საყვედურების გრძელი სია წამეკითხა, მაგრამ „პოდიუმის" მძლავრი პარანოია ამოქმედდა. ავნერვიულდი, შიშმა მომიცვა და თავი დავირწმუნე, რომ ეს უცხო ადამიანი შესაძლოა მირანდას რომელიმე ხელქვეითი ან სულაც „ობზერვერისა" ან „სიქს ფეიჯის" მოგზავნილი ყოფილიყო, თუმცა კი ვერაფრით დავიჯერებდი. ბოლოს და ბოლოს ბენჯამენს წლებია ვიცნობდი და დარწმუნებული ვიყავი, მირანდასთან ვერ იმუშავებდა. გამორიცხვა მაინც არაფრის შეიძლებოდა. განა რა მაძლევდა იმის საფუძველს, რომ მირანდას ხელქვეითი არ იყო? ან ხომ შეიძლებოდა ვინმეს მოესმინა, როგორ ვაძაგებდი მირანდას? დაშვებული შეცდომა სწრაფად უნდა გამომესწორებინა, — რა თქმა უნდა, მოდისა და გამომცემლობის სამყაროში ის ყველაზე გავლენიანი ქალბატონია, შესაბამისად ნიუ-იორკში მსგავს წარმატებას იოლად ვერ მიაღწევ, მმ, მისი სიმკაცრეც გასაგებია, ხომ გესმის? ალბათ მეც ასეთი ვიქნებოდი. ჰო, ასე რომ... მმ, ახლა უნდა გავიქცე. შენი ნახვა გამიხარდა, — ვუთხარი და შესასვლელი კარისაკენ ჩქარი ნაბიჯით, თავდახრილი გავემართე. ბოლო დროს, ალექსის, ლილისა და ჩემი მშობლების გარდა, ყველასთან ასე მემართებოდა, თავს ვერ ვიკავებდი, მირანდა არ გამომელანძღა.

— ეეჰ, გული არ გაიტეხო, — მომაძახა, როდესაც ბანკის ლიფტისკენ გავემართე, — მე, ხუთშაბათიდან აქ ვარ, — მითხრა და ასფალტზე სიგარეტის ნამწვი ჩააქრო.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— დილა მშვიდობის, ედუარდო, — მივესალმე და მას დაღლილი, საცოდავი თვალები მივაპყარი, — ამ ოხერ ორშაბათს ვერ ვიტანთ.

— გამარჯობა, მეგობარო, ნუ განიცდი. ამჯერად მოსვლა დაასწარი, — ღიმილით მიპასუხა. რა თქმა უნდა, იმ საშინელ დღეებს გულისხმობდა, როდესაც მირანდა დილის ხუთზე მოდიოდა სამსახურში და ვინაიდან საშვის ტარებაზე უარს ამბობდა, ოფისში ის ჩემი საშვით უნდა ამეყვანა. „ელიას-კლარკში" მისვლისთანავე ის ჩემთან და ემილისთან რეკვას იწყებდა, ბოლოს და ბოლოს ერთ-ერთი ჩვენგანი ფხიზლდებოდა, აზრებს იკრებდა და სამსახურში ისე გამორბოდა, თითქოს ნაციონალური უსაფრთხოების საკითხები ჰქონდა გადასაჭრელი.

ტურნიკეტში გასვლა ვცადე, თან გულში ღმერთს ვევედრებოდი, ედუარდოს წარმოდგენის გამართვის გარეშე გავეტარებინე, მაგრამ ამაოდ.

— „ეი! მითხარი აბა რა გინდა, მართლა, მართლა რა გინდა!" — დაიწყო სიმღერა ფართოდ გაღიმებულმა ესპანური კილოთი.

სიხარული, რომელიც ტაქსისტის გახარებამ და მირანდაზე ადრე მოსვლამ მომიტანა, წამში გაქრა. ყოველ დილას ტურნიკეტის წინ მხოლოდ იმ სურვილით ვიდექი, რომ დაცვის მაგიდას გადავწვდომოდი და ედუარდოს სახე რიგიანად გამელამაზებინა, მაგრამ რადგან მე ასეთი „გამსწორებელი" გოგონა ვიყავი, ის კი სამსახურში ჩემი ერთადერთი მეგობარი იყო, სუსტი ხმით ავყევი.

— „გეტყვი, რაც მინდა, მართლა, მართლა, რაც მინდა-მინდა-მინდა-მინდა-მინდა-მართლა-მართლა-მართლა, რაც მინდა ზ-ზ-ზ-ზ აჰ, აჰ, აჰ," — უგულოდ ვმღეროდი და ასე მივაგებდი პატივს „სფაის გერლზის" ოთხმოცდაათიანების ჰიტს.

ედუარდომ კიდევ ერთხელ გამიღიმა და გამატარა.

— ეი, თექვსმეტი ივლისი არ დაგავიწყდეს! — მომაძახა.

— მახსოვს, თექვსმეტი ივლისი! — გავძახე და ასე შევეხმიანე ჩვენი საერთო დაბადების დღის შეხსენებას. არ ვიცი, როგორ აღმოვაჩინეთ, რომ ერთსა და იმავე დღეს ვიყავით დაბადებულები, ედუარდოს ეს ძალიან მოსწონდა. რაღაც აუხსნელი მიზეზით, ყოველ დილით ამ თემაზე საუბარი ჩვენს პირად რიტუალად იქცა. ამის გარეშე დღე არ ჩაივლიდა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ელიას-კლარკის“ მხარეს სულ რვა ლიფტი მუშაობდა. ნაწილი მეჩვიდმეტე სართულამდე და ნაწილიც — იქიდან მაღლა. სინამდვილეში პირველი ჩვიდმეტი სართული ცნობილ ფირმებს ეკავათ. მათ შესახებ ლიფტების თავზე გაჩახჩახებული სარეკლამო პანელები გვამცნობდა. მეორე სართულზე თანამშრომლებისთვის უფასო სპორტული დარბაზი იყო, „წრიული ნაუტილუსის“ ოთახითა და ასობით სხვადასხვა ტიპის ტრენაჟორით. გამოსაცვლელ ოთახებთან საუნა, ჯაკუზი, ორთქლის აბაზანები განეთავსებინათ და უნიფორმაში ჩაცმული დამლაგებლები მიდი-მოდიოდნენ, იქვე იყო სილამაზის სალონიც, სადაც მანიკიურს, პედიკიურს, სახის მასაჟსა თუ მაკიაჟს გაიკეთებდი. საბრძოლო ხელოვნების დარბაზს ბევრი სტუმრობდა, გაგონილი მქონდა, რომ დილის ექვსიდან ათამდე გვერდს ვერ აუქცევდი იქაურ რიგებს, მწერლები, რედაქტორები, გაყიდვების განყოფილების თანამშრომლები სამი დღით ადრე ეწერებოდნენ იოგასა და კიკბოქსინგის გაკვეთილებზე და თუ თხუთმეტი წუთით ადრე არ გამოცხადდებოდნენ, ადგილი ეკარგებოდათ. ადამიანებისთვის ცხოვრების გამარტივების საკითხში „ელიას-კლარკის“ პოლიტიკამ გამაოგნა.

ჭორის დონეზე ვიცოდი, რომ სარდაფში საბავშვო ბაღი იყო, მაგრამ ბავშვიანს იქ არავის ვიცნობდი. ასე რომ, ბაღის არსებობაში მთლად დარწმუნებული არ ვიყავი. ყველაზე მნიშვნელოვანი მესამე სართულიდან იწყებოდა, იქ სასადილო იყო. მირანდა უბრალო „მოჯამაგირეების“ საზოგადოებაზე უარს ამბობდა, თუ რა თქმა უნდა სადილობა ირვ რავიცთან, „ელიას-კლარკის“ აღმასრულებელ დირექტორთან არ უწევდა, ამ უკანასკნელს კი სასადილოში თანამშრომლების წინაშე გამოჩენა დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა.

ლიფტით მაღლა და მაღლა ავდიოდი, გზად გამოჩენილი ფირმების სახელები ციმციმებდნენ. ზოგიერთს სხვა კომპანიასთან სართულის გაზიარება უხდებოდა და ასეთ შემთხვევაში, კომპანიები მისალები ოთახის სხვადასხვა მხარეს, შემინული კარისგან ზურგშექცევით იყვნენ განთავსებული. მეჩვიდმეტე სართულზე გავედი და შუშის კარში ჩავიხედე. „ელიას-კლარკ-ბილდინგის“ გენიოს არქიტექტორს შემოქმედებითი წიაღსვლების დროს სარკეებიანი ლიფტების შეტანა პროექტში აზრადაც არ მოსვლია. როგორც ყო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

ველთვის, დამავიწყდა ჩემი ელექტრონული საშვი — აი, ის, რომლის საშუალებითაც ადმინისტრაციამ ჩვენი ყოველი ნაბიჯი, შენაძენები, ადგილმდებარეობა იცოდა — და მომიწია ოფისში ძალადობრივი გზით შევჭრილიყავი. სოფი ათამდე არ მოდიოდა, ამიტომ მისი სამუშაო მაგიდის ქვეშ შევძვერი და ის ღილაკი ვიპოვე, რომლის საშუალებითაც შუშის კარი იღებოდა. დავაჭირე და მისაღები ოთახიდან სირბილით გავექანე ოფისისკენ, შიგ შეღწევა კარის დახურვამდე რომ მომესწრო. ხანდახან ამის გაკეთება სამჯერ-ოთხჯერ მიწევდა. თუმცა დღეს მეორე ცდაზევე მოვახერხე.

სამსახურში მისვლამდე, სართული ყოველთვის ჩაბნელებული მხვდებოდა და სანამ ჩემს მაგიდასთან მივიდოდი, ერთი და იგივე მეორდებოდა. ოფისში მარცხენა მხარეს განთავსებული სარეკლამო განყოფილების გოგონები „ქლოას" მაისურებსა და მაღალქუსლიან ფეხსაცმელებში გამოწყობილნი უხვად არიგებდნენ „პოდიუმის" სავიზიტო ბარათებს. ისინი სრულებით და მთლიანად ჩამოცილებული იყვნენ რედაქციაში მიმდინარე პროცესებს. სწორედ სარედაქციო ჯგუფი არჩევდა სამოსსა და აქსესუარებს მოდური გამოფენებისთვის, უთანხმდებოდა საუკეთესო ავტორებს, მართავდა გასაუბრებებს მოდელებთან, იწვევდა ფოტოგრაფებს, დაკავებული იყო ჟურნალის დიზაინის შერჩევითა და გამოცემის საქმეებით. რედაქციის თანამშრომლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დამოგზაურობდნენ, ესწრებოდნენ ჩვენებებს, იღებდნენ საჩუქრებს და ფასდაკლებებს ყველა დიზაინერისგან, ეძებდნენ ახალ ტრენდებს და არ აკლდებოდნენ არც ერთ წვეულებას „პარიზსა" და „ფლოუტში", რადგან „ხომ უნდა სცოდნოდათ, თუ რა ეცვა ხალხს".

სარეკლამო განყოფილება ცდილობდა, არ ჩამორჩენილიყო და თავისი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოეყენებინა. ზოგჯერ წვეულებებსაც მართავდა, თუმცა (თუ ემილის დამცინავ ნათქვამს დავუჯერებთ) ცნობილები იქ არ დადიოდნენ, ნიუ-იორკის ბომონდს ის საღამოები არ აინტერესებდა. ანალოგიური წვეულების წინ ჩემთან სატელეფონო ზარი არ წყდებოდა, სრულიად უცხო ხალხი მიკავშირდებოდა და მოსაწვევებს მთხოვდა: „იცით, არ ვიცოდით „პოდიუმი" წვეულებას თუ მართავდა, მე რატომ არ დამპატიჟეთ?", წვეულების გამართვის

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

შესახებ ყოველთვის სხვისგან ვიგებდი. რედაქცია საკუთარ თანამშრომლებს არ ეპატიჟებოდა, ისინი მაინც არ წავიდოდ-ნენ. „პოდიუმის“ გოგონებს თითქოს სხვების დაცინვა, გაძევ-ება და გარიყვა აკლდათ, ახლა შიდადაპირისპირებულ კლანება-დაც ჯგუფდებოდნენ.

სარეკლამო განყოფილებიდან გზა ვიწრო დერეფანში გავა-გრძელე, მეგონა არასდროს დასრულდებოდა, ვიდრე მარ-ცხენა მხარეს, პატარა სამზარეულომდე არ მივედი. ვინაიდან სამსახურში ყავაზე მონოპოლია „სტარბაქსს“ ეჭირა, ხოლო კერძებს სასადილოს ან ქალაქის ცენტრში მდებარე რომე-ლიმე სწრაფი კვების ობიექტს უკვეთდნენ, სამზარეულოში ჩაისა და ყავის დიდი არჩევანი გვქონდა, საყინულეში კი ყველა სახის მზა პროდუქტი უხვად დაგროვილიყო. იქ შესვლა მაინც ძალზე მსიამოვნებდა, ის თითქოს გეპატიჟებოდა: „ჰეი, აბა, შემოიხედე, ყველაფერი გვაქვს: „ლიპტონის“ ჩაის ერთჯერა-დი პაკეტები, „სვიით-ენ-ლოუს“ შაქრის შემცვლელები და იმ შემთხვევაში, თუ გუშინდელი სადილის გაცხელება მოგინდე-ბა, მიკროტალღოვანი ღუმელიც აქ არის! სხვებს არაფრით ჩამოვუვარდებით!“

საბოლოოდ, სადღაც 7:05-ზე, მირანდას ანკლავებში შევა-ღწიე. ისეთი დაღლილი ვიყავი, რომ ძლივს ვმოძრაობდი, მა-გრამ ჩემი ყოველდღიური მოვალეობები მოდუნების საშუალე-ბას არ მაძლევდა. ასე რომ, საქმეს მონდომებით შევუდექი. მისი ოფისი გავალე და ნათურები ავანთე. გარეთ ჯერ ისევ ბნელო-და, მე კი ძალიან მომწონდა ყოვლისშემძლე უფროსის საქმიანი ოფისის უკუნში ფანჯარასთან დგომა და განათებული, მოუს-ვენარი ნიუ-იორკის ზემოდან თვალიერება. საკუთარ თავს ფილმის ერთ-ერთ გმირად წარმოვიდგენდი (აირჩიეთ ნების-მიერი, სადაც შეყვარებულები ერთმანეთს მგზნებარედ ეხვე-ვიან მდინარესთან ახლოს მდგარი ექვს მილიონად შეფასებული სახლის ტერასაზე), თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს სამყაროს მწვერვალზე ვიდექი. შემდეგ კი ნათურები გაჩახჩახდებოდა და ჩემი წარმოდგენაც ქრებოდა, ნიუ-იორკის ალიონი ფანტავდა შეგრძნებას, რომ ქვეყანაზე შეუძლებელი არაფერია და მხო-ლოდ ქეროლაინისა და კესიდის იდენტურ სახეებს ვხედავდი.

ამის მერე შესასვლელის კარადას ვაღებდი, მის პალტოს იქ ვკიდებდით ხოლმე (ხანდახან — ჩემსასაც, თუმცა ეს მხოლოდ

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაშინ ხდებოდა, როცა მას ბეწვის ქურქი არ ეცვა, რადგან ჩემი და ემილის შალის პალტოებს თავისი წაულის გვერდით ვერ ეგუებოდა). კარადაში სხვა სამოსსაც ვინახავდით: ნახმარ პალტოებს, ათიათასობით ღირებულების ტანსაცმელს, ქიმწმენდიდან გამოტანილ მირანდას ძვირფას სამოსს, რომელიც მოგვიანებით მასთან სახლში უნდა მიგვეტანა და სულ მცირე, ასობით „ჰერმესის" ცნობილ, თეთრ შარფს. როგორც გავიგე, იმ წელს „ჰერმესმა" გადაწყვიტა თეთრი აბრეშუმის ოთკუთხედი სადა, თუმცა ელეგანტური შარფების გამოშვება შეეწყვიტა. ამის გამო, კომპანიამ მირანდას წინაშე თავი უხერხულად იგრძნო და ბოდიშიც მოუხადა. მირანდამ ჩვეულებრივ, ცივად განუცხადა, რომ მათი გადაწყვეტილების გამო იმედგაცრუებულია და გადაწყვიტა დარჩენილი მარაგი მთლიანად შეეძინა. ჩემს იქ მისვლამდე ორი დღით ადრე ოფისში დაახლოებით ხუთასი შარფი მიეტანათ, მიუხედავად ამისა, მარაგის მხოლოდ ნახევარი იყო დარჩენილი. მირანდა მათ ყველგან ტოვებდა: რესტორნებში, კინოთეატრებში, მოდის ჩვენებებზე, კვირის შეხვედრებზე, ტაქსებში, თვითმფრინავებში, ტყუპთან სკოლაში და ჩოგბურთის კორტებზეც.

რა თქმა უნდა, შარფი მისი სტილის განუყოფელ შტრიხს წარმოადგენდა, მის გარეშე სახლიდან არ გადიოდა, მაგრამ ეს ფაქტი მაინც ვერ ამართლებდა შარფების უმეტესი ნაწილის გაქრობას. ცხვირსახოცები ეგონა? ან იქნებ შენიშვნების ჩასანიშნად ქაღალდის ნაცვლად იყენებდა? რაც უნდა ყოფილიყო, მათ ერთჯერადად მოიხმარდა და ამით პრობლემას გვიქმნიდა, რადგან არც ერთმა ჩვენგანმა არ იცოდა, როგორ აეხსნა მისთვის, რომ შარფები მალე გამოილეოდა. „ელიას-კლარკი" თითოში ორას დოლარს იხდიდა, მაგრამ მირანდა მათ ისე იყენებდა, თითქოს „კლინექსის" ქაღალდის ხელსახოცი ყოფილიყო. თუ ასე გააგრძელებდა, ორ წელიწადში მარაგი ამოიწურებოდა.

კარადის შიდა თაროზე ნარინჯისფერი ყუთები განვათავსე, ისინი უსარგებლოდ დიდხანს არ რჩებოდა — ყოველ მესამე ან მეოთხე დღეს რესტორანში სადილობდა და გასვლის წინ მეუბნებოდა:

— ან-დრ-ეა, შარფი მომაწოდეთ, — თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ როცა შარფების მარაგი გაუთავდებოდა, აქედან

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

დიდი ხნის წასული ვიქნებოდი და ჩემ ნაცვლად ვილაც უბე-
დურს მოუწევდა მირანდასთვის იმის გამხელა, რომ „ჰერმესის"
თეთრი შარფების მარაგი ამოწურულია და მათ ვერ იშოვიან,
ველარც იყიდიან, ვერ შეუკვეთენ და, ვერც ინტერნეტითა და
უცხოური ფოსტით გამოიწერდნენ, ეს უკვე შეუძლებელი იყო.
ამაზე ფიქრიც შიშს მგვრიდა.

ის-ის იყო, კარადა დავკეტე და ოფისში შევბრუნდი, რომ იუ-
რიმ დამირეკა.

— ანდრეა, ალო, ალო. ეს მე ვარ, იური. თუ შეიძლება ქვე-
მოთ ჩამოდი, 58-ე ქუჩაზე ვარ, პარკ ავენიუსთან ახლოს, ზუს-
ტად სპორტული კლუბის წინ. შენთვის რაღაც მაქვს.

დროულმა ზარმა ირიბად მიმანიშნა, რომ მალე მირან-
და ოფისში იქნებოდა. დილაობით იურის მიგზავნიდა ხოლმე
მისი ნივთების ზემოთ ასატანად თუ ქიმწმენდაში ნასაღებად.
მირანდას ჭუჭყიანი ტანსაცმელი მე უნდა დამეხარისხებინა,
იგივე ეხებოდა ფეხსაცმელებსა თუ ჩანთებს, ადგილზე უნდა
დამებრუნებინა ყველა ჟურნალისა თუ გაზეთის ასლი და, რა
თქმა უნდა, „წიგნი", ნასაკითხად შინ რომ მიჰქონდა. ამგვარად
მე ვიყავი ის მანქანა, რომელსაც ყველა ეს ნივთი ოფისში აჰ-
ქონდა და მის მოსვლამდე თანამიმდევრულად ანესრიგებდა.
როგორც წესი, იურის გამოგზავნიდან ნახევარ საათში ის უკვ
ოფისში იყო, იური ნივთების მოტანის შემდეგ მის წამოსაყვა-
ნად ბრუნდებოდა.

როგორც ემილიმ მითხრა, მირანდა შეიძლება ნებისმიერ
ადგილას ყოფილიყო, რადგან ღამით არასოდეს ეძინა. ამის და-
ჯერება მიჭირდა, ვიდრე სამსახურში ემილიზე ადრე სიარული
არ დავიწყე, სადაც ავტომოპასუხეზე მირანდას შეტყობინება
ყოველთვის პირველი მხვდებოდა. ყოველ ღამე, პირველიდან
დილის ექვს საათამდე, გამონაკლისის გარეშე, ის ავტომოპასუ-
ხეზე დაახლოებით ცხრა ორაზროვან შეტყობინებას გვიტოვებ-
და. მაგალითად ასეთი: „კესიდს ახალი ნეილონის ჩანთა უნდა,
აი, ისეთი, მისი ასაკის გოგონები რომ ატარებენ. შეუკვეთეთ
საშუალო ზომისა და იმ ფერის, რომელსაც თვითონ აირჩევს",
ან ასეთი: „სამოცდაათიანების ქუჩაზე ანტიკვარულ მაღაზიაში
ძველი კამოდი ვნახე, სასწრაფოდ მჭირდება მაღაზიის ზუსტ
მისამართი და ტელეფონის ნომერი." საიდან უნდა გვცოდნო-
და, ნეილონის როგორ ჩანთებს ატარებდნენ ათი წლის გოგონ

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბი ან სამოცდაათიანების ქუჩის ასობით მაღაზიიდან კონკრეტულად რომელ ანტიკვარულ მაღაზიას გულისხმობდა, ანდა რომელი მიმართულებით მდებარეობდა იგი? დასავლეთით თუ აღმოსავლეთით? როგორც ჩანდა, ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში ამ მაღაზიებიდან ერთ-ერთში რაღაც მოსაწონი ეპოვა. ყოველ დილით შეტყობინებებს ყურადღებით ვუსმენდი და ვინიშნავდი, შემდეგ „გამეორების" ღილაკს ვაჭერდი და ყველაფერს თავიდან რამდენჯერმე ვუსმენდი. მისი გამოთქმის გამო შეტყობინების გაგება მიჭირდა, ვცდილობდი ყურადღებით მომესმინა მისი ყოველი სიტყვა და ასე ამეცილებინა თავიდან მისთვის კითხვების დასმა დამატებითი ინფორმაციის მისაღებად.

ერთხელ შეცდომა მომივიდა და ემილის შევთავაზე, იქნებ მირანდასთვის გვეთხოვა, უფრო დაწვრილებით აგვიხსნას დავალება-მეთქი, რის გამოც მისგან მორიგი მრისხანე მზერა დავიმსახურე. მირანდასათვის შეკითხვების დასმა მიუღებელი იყო. ამას ჯობდა შეცდომა დაგეშვა და შემდეგ მისგან საყვედური გესმინა. იმისთვის, რომ მომეძებნა მირანდას ანტიკვარული მაღაზია, რომელშიც მას ძველისძველი კამოდი მოეწონა, მთელი ორდღე-ნახევარი ლიმუზინში გავატარე. მთელი მანჰეტენი გადავატრიალე, სამოცდაათიანების ქუჩა, პარკის ორივე მხარეც კი. ჯერ იორკის ავენიუთი (დასახლებული რაიონი) დავიწყე, შემდეგ პირველ ქუჩაზე გადავედი, მეორეზე გავაგრძელე, ისევ ზემოთ, მესამეზე ავედი და ბოლოს — კვლავ ქვემოთ, ლექსინგტონ ავენიუზე. პარკ ავენიუ (ასევე მჭიდროდ დასახლებული რაიონი) გამოვტოვეთ, თუმცა მედისონიდან გავუყევი და სამძებრო საქმიანობა ახლა ვესტ საიდის მხარესაც გავშალე. კალთაში ტელეფონების წიგნითა და ხელში კალმით, მანქანის ფანჯრიდან თვალებდაჭყეტილი ვიყურებოდი, ყოველი ანტიკვარული მაღაზიის დანახვაზე მანქანიდან გადმოსახტომად მზად ვიყავი. თითოეულ მათგანში პერსონალურად შევდიოდი, თუმცა მეოთხე მაღაზიის შემდეგ მათი თვალიერების ყოველგვარი სურვილი დამეკარგა.

— გამარჯობა, შემთხვევით ანტიკვარულ კამოდებს ხომ არ ყიდით? — ვკიოდი.

მეექვსე მაღაზიიდან გამოსული თავს ასე უკვე აღარ ვიწუხებდი და ზღურბლიდანვე ვკითხულობდი. ზოგიერთი ცინ-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

გლიანი გადამყიდველი ამათვალიერ-ჩამათვალიერებდა — რაც გარდაუვალი იყო — იმის დასადგენად, ვინმე ისეთი ხომ არ ვიყავი, ვის გამოც თავის შეწუხება ულირდა. ზოგი ლიმუზინს ამჩნევდა და ძუნწად მომაგებებდა: „დიახ", ან: „არა", მაგრამ ზოგს სურდა, რომ კამოდი, რომელსაც ასე გამწარებით ვეძებდი, მათთვის დაწვრილებით ამეწერა.

თუ იტყოდნენ, რომ აღწერილობის მსგავს ავეჯს ყიდდნენ, მორიგ კითხვას ვსვამდი:

— ამ ბოლო დროს თქვენთან შემთხვევით მირანდა პრისტლი ხომ არ ყოფილა? — თუ მანამდე გიჟად არ მთვლიდნენ, ამ შეკითხვის მერე უკვე მზად იყვნენ, დაცვა გამოეძახათ. რამდენიმეს წარმოდგენაც არ ჰქონდა, ვისზე ვეკითხებოდი, ეს კი არაჩვეულებრივად გამახალისებელი ფაქტი იყო, რადგან ქვეყანაზე ჯერ კიდევ დადიოდა ნორმალურად მოაზროვნე ხალხი, რომელთა ცხოვრებასაც მირანდა არ განკარგავდა და კიდევ იმიტომ, რომ მათთან საუბრის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. ხოლო ის უბედურები, რომლებიც მის სახელს ცნობდნენ, ცნობისმოყვარეობით ინტერესდებოდნენ. ზოგს იმის გაგება სურდა, ჟურნალში რა მიმართულებით ვწერდი. მიუხედავად ჩემ მიერ გამოგონილი ამბებისა, მირანდა ბევრს მაღაზიაში თვალით არ ენახა (გამონაკლისს სამი მათგანი წარმოადგენდა: „ქალბატონ პრისტლის თვეებია, ჩვენთან არ შემოუხედავს, არადა, როგორ მოგვენატრა! ძალიან გთხოვთ, გადაეცით მოკითხვა ფრენკისგან, შარლოტასგან, სარასგან, და ა.შ").

ძებნის დაწყებიდან მესამე დღეს მაღაზიის ადგილმდებარეობა ჯერ კიდევ დაუდგენელი იყო. საბოლოოდ ემილი დამთანხმდა, რომ ჯობდა მირანდასთვის მდგომარეობა ამეხსნა. როცა მისი მანქანა შენობის წინ გაჩერდა, ოფლმა დამასხა. ედუარდოს დავემუქრე, რომ ტურნიკეტს უბრალოდ გადავახტებოდი, თუ წარმოდგენის გარეშე არ გამატარებდა. ჩვენს სართულზე რომ ავედი, პერანგი სულ სველი მქონდა. ოფისში შევედი თუ არა, ხელები ამიკანკალდა და მომზადებული სიტყვა (გამარჯობა, მირანდა. გმადლობთ მოკითხვისთვის, კარგად ვარ. თქვენ როგორ გიკითხოთ? იცით, მინდოდა გცოდნოდათ, რომ თქვენ მიერ აღწერილი ანტიკვარიატის მაღაზია ვერაფრით ვიპოვე. შემთხვევით, ხომ არ გახსოვთ, მანჰეტენის რომელ ნაწილში მდებარეობდა იგი? დასავლეთით თუ აღმოსავლე

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

თით? ან იქნებ სულაც დასახელება გახსოვდეთ?) სადღაც გაუჩინარდა, სავარაუდოდ — ჩემი ანერვიულებულ-აფორიაქებული ტვინის რომელიმე კუნჭულში. არსებული ეტიკეტის დარღვევით ყველა შეკითხვა წერილობითი ფორმით წარვუდგინე, მის მაგიდასთან მიახლოების ნებართვა ვითხოვე, ალბათ იმიტომ დამთანხმდა, რომ ჩემი მხრიდან მსგავსი საქციელით შოკირებული იყო. მოკლედ რომ გითხრათ, მირანდამ ღრმად და თეატრალიზებურად ამოისუნთქა, თითქოს ყველაფრისაგან გადაღლილმა მოწყალება გაიღო და მრავალფეროვანი სალანძღავი სიტყვებით შემამკო, შემდეგ „ჰერმესის" შავი ტყავის ორგანაიზერი გახსნა (რომელიც რაღაც გაუგებარი მიზეზის გამო „ჰერმესის" თეთრ შარფზე ჰქონდა მიბმული) და მაღაზიის სავიზიტო ბარათი ამოიღო...

— ეს ინფორმაცია შეტყობინებაში დაგიტოვეთ, ან-დრ-ეა. როგორც ჩანს, ჩაწერა გაგიჭირდათ, არა? — ძალიან მომინდა სავიზიტო ბარათი ნაკუწებად მექცია და მისთვის თავზე დამეყარა, მაგრამ ნაცვლად ამისა, თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. უფრო მეტად გავბრაზდი, როცა სავიზიტო ბარათს დავხედე და მაღაზიის მისამართი ამოვიკითხე: აღმოსავლეთის 86-ე ქუჩა, 244. რა თქმა უნდა, მნიშვნელობა არ ჰქონდა, აქამდე სად ვეძებდი — აღმოსავლეთით თუ დასავლეთით, მეორე ავენიუზე თუ ამსტერდამის ავენიუზე — რადგან მაღაზია, რომლის ძებნასაც ბოლო ოცდაცამეტი საათი მოვანდომე, სამოცდაათიანების ქუჩაზე საერთოდ არ იყო.

ამის შესახებ მაშინ გამახსენდა, როდესაც მირანდას ერთერთ დაგვიანებულ შეტყობინებას ვიწერდი და იურისთან შესახვედრად ქვემოთ სირბილით გავეშურე. იური ყოველ დილით დაწვრილებით მიხსნიდა, თუ სად გააჩერა მანქანა, რათა თეორიულად მისი პოვნა ადვილად შემძლებოდა, მაგრამ ამას აზრი არ ჰქონდა, რაც უნდა სწრაფად ჩავსულიყავი ქვემოთ, ის უკვე ვესტიბიულში იდგა და მირანდას ნივთებს თვითონ ეზიდებოდა შიგნით, რომ ქუჩაში ზევით-ქვევით მე არ მერბინა. გამიხარდა, რომ იმ დღესაც იგივე განმეორდა: ტურნიკეტთან იდგა და ხელში ჩანთები, ტანსაცმელი და წიგნები ეჭირა, ის საყვარელ და ძალიან კეთილ ბაბუას მაგონებდა.

— ასე ნუ მორბიხარ, გესმის? — ძლიერი რუსული აქცენტით მითხრა, — მთელი დღე დარბიხარ, დარბიხარ, დარბიხარ.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მან ძალიან დაგტვირთა საქმით, ამიტომ მირჩევნია, მე მოგიტანო ეს ნივთები, — მითხრა და თან ჩანთებიან-ყუთებიანად გამატარა ტურნიკეტში, — აბა, ჭკუით იყავი, ხომ გაიგე? და კარგ დღეს გისურვებ.

იურის მადლობა თვალებით გადავუხადე. შემდეგ კი ედუარდოს ნახევრად ხუმრობით შევხედე:

— უბრალოდ, ვერ გადამირჩები, ახლა ცეკვა-სიმღერა რომ მომთხოვო, — ამან იმოქმედა და ყოველგვარი კომენტარის გარეშე გამიშვა. სასწაულს უნდა ვუმადლოდე, რომ პრესის ჯიხურთან შეჩერება არ დამავიწყდა, აჰმედმა მირანდას დილის გაზეთები უკლებლივ დამახვედრა. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალ-გაზეთების ნომრებს ფოსტალიონი მირანდას სამუშაო მაგიდაზე დილის ცხრა საათზე უტოვებდა, მათი მეორე ნაკრები მაინც უნდა შემეძინა და მინიმუმამდე დამეყვანა ალბათობა, რომ ოფისში გაზეთების გარეშე წუთით არ დარჩენილიყო. იგივე იყო სხვა ყოველკვირეული გამოცემების შემთხვევაშიც. როგორც ჩანს, არავის ადარდებდა, რომ ყოველდღე ცხრა გაზეთსა და შვიდ ჟურნალში ფულს მხოლოდ იმისთვის ვყრიდით, რომ მირანდას ჭორების სვეტი და მოდის სიახლეები წაეკითხა. ამოტანილი ნივთები ჩემი მაგიდის ქვეშ შევყარე და ბრძანებების პირველ რაუნდს დაველოდე. დიდი ხნის წინ დამახსოვრებული „მანხის" ნომერი ავკრიფე, რომელიც ქალაქის ცენტრში სწრაფი კვების ობიექტს წარმოადგენდა. როგორც ყოველთვის ხორხემ მიპასუხა.

— გამარჯობა, ბაჭია, მე ვარ, — თან ყურმილი მხრით მივიბჯინე ყურთან და „ჰოთმეილი" შევამოწმე, — აბა, დავიწყოთ.

მე და ხორხე უკვე მეგობრები ვიყავით. დილით ტელეფონით სამჯერ-ოთხჯერ საუბარი ადამიანებს ერთმანეთთან საოცრად სწრაფად აახლოებს.

— გაგიმარჯოს, პატარავ, ახლავე გამოგიგზავნი ვინმეს. ის უკვე მანდაა? — მკითხა. ცხადი იყო, ვისაც გულისხმობდა — ჩემს დარეხვილ უფროსს და „პოდიუმის" მთავარ რედაქტორს, მაგრამ არა მგონია, ზუსტად სცოდნოდა, თუ ვინ ისაუზმებდა მათთან შეკვეთილი საუზმით. ხორხე ჩემი „დილის კაცებიდან" ერთ-ერთი იყო. ედუარდოს, იურის, ხორხესა და აჰმედს „დილის კაცები" შევარქვი, რადგან ჩემი დღე მათთან ერთად იწყებოდა. ისინი „პოდიუმის" თანამშრომლების რიგებში არ შედიოდნენ,

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიუხედავად ამისა, იმ ადამიანებთან ურთიერთობა ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა, ჩემი უფროსის ცხოვრება და მუშაობა გამარტივებულიყო, თუმცა მირანდას ძალაუფლებასა და ავტორიტეტზე არც ერთ მათგანს წარმოდგენა არ ჰქონდა.

საუზმე ნომერ პირველი გზაში იყო და რამდენიმე წუთში მოგვიტანდნენ, მისი გადაყრის დიდი შანსი მქონდა. მირანდა დღეში ბეკონის ცხიმიან, ქოლესტერინით სავსე ოთხ ნაჭერს ჭამდა, რომელსაც დიდი ჭიქით „სტარბაქსის" ლატეს (ორი ნატეხი შაქარი არ დამავიწყდეს!) აყოლებდა. რამდენადაც ვიცოდი, ამასთან დაკავშირებით რედაქციაში ორი აზრი იყო გაბატონებული. პირველი ის, რომ მირანდა ალბათ მთელი ცხოვრება ატკინის[57] დიეტას იცავდა, ან მეორე, რომ მის ორგანიზმს მეტაბოლიზმის ზებუნებრივი უნარი გააჩნდა, ეს ალბათ გენეტიკური იყო. რაც უნდა ყოფილიყო, მირანდა ცხიმიან და აბსოლუტურად არაჯანსაღ საკვებს მშვიდად მიირთმევდა, როცა სხვები თავს ამის უფლებას ვერ მისცემდნენ. იმის გამო, რომ კერძი ათ წუთში ცივდებოდა, იძულებული ვიყავი, მის სამსახურში გამოჩენამდე რამდენჯერმე შემეკვეთა. კერძის გაცხელება მიკროტალღოვან ღუმელში შემეძლო, მაგრამ ამას ამჩნევდა („ან-დრ-ეა, რა საზიზღრობაა! ახლავე შემიკვეთეთ ახალი საუზმე!"). მისთვის საუზმეს ყოველ ოც წუთში ვუკვეთდი. მირეკავდა და მეუბნებოდა „ან-დრ-ეა, ძალიან მალე ოფისში ვიქნები. საუზმე შემიკვეთეთ", როგორც წესი, მსგავს ზარსა და მის გამოჩენას შორის შუალედი ორი-სამი წუთი იყო, მიუხედავად ამისა, საუზმის შეკვეთა მაინც რამდენჯერმე მიხდებოდა. იყო შემთხვევები, როცა დარეკვით თავს არ იწუხებდა. ხანდახან კი მის ზარამდე საუზმე ორჯერ მქონდა შეკვეთილი, მესამე კი გზაში იყო.

ტელეფონმა დარეკა. ალბათ ის იყო, ასე ადრე სხვა არავინ რეკავდა.

— მირანდა პრისტლის ოფისი, გისმენთ, — ვუპასუხე და მისი ცივი ხმის მოსასმენად მოვემზადე.

— ემილი, ათ წუთში მანდ ვიქნები და საუზმე მზად დამახვედრეთ.

ემილისაც ემილის ეძახდა და მეც. ამით ხაზს უსვამდა, თუ რამდენად უმნიშვნელო არსებებს წარმოვადგენდით მის თვალში. სადღაც გულის სიღრმეში თავს შეურაცხყოფილად

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვგრძნობდი, თუმცა მალე მის საქციელს შევეჩვიე. თან ისეთი გადაღლილი ვიყავი, რომ ეს უკვე ნაკლებად მადარდებდა.

— დიახ, მირანდა, ახლავე მივხედავ, — მაგრამ მან ყურმილი უკვე გათიშა. ოფისში ნამდვილი ემილი შემოვიდა.

— ჰეი, აქაა? — ჩურჩულით მკითხა და როგორც ყოველთვის, მირანდას ოფისს შეშინებული მიაცქერდა. ჩვენი უფროსის მსგავსად დილით არც ის მოგესალმებოდა.

— არა, მაგრამ დარეკა და შემატყობინა, რომ ათ წუთში მოვა. მალე დავბრუნდები.

სიგარეტის კოლოფი და მობილური ტელეფონი პალტოს ჯიბეში ჩავიდე და ოფისიდან გავვარდი. ქვემოთ ჩასასვლელად, მედისონის ქუჩაზე გადასასვლელად, „სტარბაქსის" ყავის რიგში ჩასადგომად და ამასთან ჩემი პირველი ღერის მოსაწევად მხოლოდ რამდენიმე წუთი მქონდა. სიგარეტის ნამწვი ფეხით ჩავაქრე და 58-ესა და ლექსინგტონის კუთხეში „სტარბაქსის" ყავის რიგში ჩავდექი, რიგს გადავხედე. ჩემ წინ რომ რვა ადამიანი ყოფილიყო, კიდეც მოვიცდიდი, მაგრამ ამჯერად ოცზე მეტი კაცი იდგა. საწყალი „პროფესიონალები" იდგნენ და თავიანთი ძვირად ღირებული კოფეინის დოზას ელოდნენ, დრო არ ითმენდა, მათთვის უნდა დამესწრო. მსგავს საქციელს არ ვამართლებდი, მაგრამ მირანდას ვერ გავაგებინებდი, რომ მისთვის ლატეს ყიდვას ნახევარსაათიანი ლოდინი სჭირდებოდა. ორკვირიანმა დაჟინებულმა ზარებმა და საყვედურებმა („ან-დრ-ეა, უბრალოდ არ მესმის, ოცდახუთი წუთის წინ დაგირეკეთ და საუზმე და ყავა გთხოვეთ. მსგავსი რამ უბრალოდ მიუღებელია!") „სტარბაქსის" ადმინისტრაციასთან გარიგებაზე წასვლა მაიძულა.

— მმ, გამარჯობა. გმადლობთ, რომ ჩემთვის დრო გამონახეთ, — მივმართე ჩია, აფროამერიკელ ქალბატონს, რომელიც „სტარბაქსის" ობიექტს ხელმძღვანელობდა, — ვიცი, შეიძლება ეს გიჟურად ჟღერდეს, მაგრამ იქნებ რამე მოგვფიქრებინა ჩემთან დაკავშირებით? — ვცდილობდი, კარგად ამეხსნა, რომ ძალიან მნიშვნელოვან ფიგურასთან ვმუშაობდი, პრაქტიკულად შეუვალ ადამიანთან, რომელსაც დილით ყავის დასალევად ლოდინი არ უყვარდა. ვკითხე, თუ არსებობდა საშუალება, მისთვის სწრაფად მოემზადებინათ ყავა და იგი ურიგოდ ამეღო. რაღაც წარმოუდგენელი დამთხვევით მე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

რიონი, ობიექტის მენეჯერი, მოდის უნივერსიტეტში საღამოს ცვლის მარკეტინგის ფაკულტეტზე სწავლობდა.

— ღმერთო ჩემო, ხუმრობთ, არა? თქვენ ხომ მირანდა პრისტლისთან მუშაობთ? და ის ჩვენს ლატეს მიირთმევს? დიდი ჭიქით, არა? ყოველ დილით? დაუჯერებელია! ო, დიახ, დიახ, რა თქმა უნდა! ყველას გავაფრთხილებ, ახლავე მოგხედავენ! ამაზე არ იდარდოთ! ის ხომ მოდის ინდუსტრიაში ყველაზე გავლენიანი ფიგურაა! — აგრძელებდა მერიონი და ყოველ მის სიტყვას მეც ენთუზიაზმით ვუქნევდი თავს.

აი, ასე შევძელი აგრესიული და თვითკმაყოფილი ნიუიორკელების გრძელ რიგში ყავის ურიგოდ აღება, რომლის ლოდინშიც მრავალი წუთი გავიდოდა. ამის გამო სულაც არ ვამაყობდი, არც თვითკმაყოფილებას განვიცდიდი და არც სიამოვნებას. პირიქით, ასეთი საქციელი ყოველთვის მაძრწუნებდა. იმ დღეს განსაკუთრებულად გრძელი რიგი იყო, გველის კუდივით იკლაკნებოდა და გარეთ, ქუჩაში გადიოდა. უხერხულობა ვიგრძენი, როცა შეკვეთა გამომიტანეს, თავი მისკდებოდა, დაღლილი თვალები მეწვოდა. შევეცადე, არ მეფიქრა, რომ ოთხი წელი იმისთვის ვიზეპირებდი პოემებს, ვიკვლევდი პროზაულ ნაწარმოებებს და თავს ვიკლავდი მაღალი ნიშნებისთვის, რომ ცხოვრებისგან უფრო მეტს მოველოდი და არა ქალაქის ერთერთ ყავის სახლში დგომასა და მირანდასთვის დიდი ჭიქებით ლატეს ზიდვას. ლატეს გარდა თითო დიდი ამარეტო-კაპუჩინო, მოკა-კაპუჩინო და კარამელ-მაჩიატო შევუკვეთე, ამასთან ერთად ექვსი ცალი მრგვალი ფუნთუშა და კროასანი. თანხამ სულ ოცდარვა დოლარი და ოთხმოცდასამი ცენტი შეადგინა. ქვითარი საფულის ცალკე განყოფილებაში სხვა ქვითრებთან ერთად საგულდაგულოდ მოვათავსე, რათა მოგვიანებით „ელიას-კლარკის" ბუღალტერიას აენაზღაურებინა.

ვჩქარობდი, მირანდას ბოლო ზარიდან თორმეტი წუთი იყო გასული და ვიცოდი, რომ ოფისში იჯდა, სიბრაზისგან დუღდა და ფიქრობდა, სად ჯანდაბაში ვუჩინარდებოდი ყოველ დილით? ჩანდა, მისთვის მიტანილ ლატეზე „სტარბაქსის" ლოგო პასუხისთვის საკმარისი არ იყო. სანამ შეკვეთას გამოვართმევდი, ტელეფონმა დამირეკა. ჩვეულებისამებრ გული გადამიქანდა. ვიცოდი, რომ ის იყო, აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავი, რომ მირანდა იქნებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყოველ

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯერზე შიშისგან ვკვდებოდი. ეკრანზე დაწერილმა სახელმა ჩემი ეჭვი გაამართლა, მაგრამ როდესაც ვუპასუხე, აღმოჩნდა, რომ მირანდას ტელეფონით ემილი მირეკავდა.

— აქაა და ყველაფერს ბდღვნის, — ჩურჩულით მითხრა ემილიმ, — გირჩევ, მალე დაბრუნდე.

— ვცდილობ, — თითქმის ღმუილით ვუპასუხე. თან წონასწორობის შენარჩუნებას შევეცადე, რომ მუყაოს ყუთში ჩაწყობილი ყავის ჭიქები და ჩანთით ფუნთუშეული ხელიდან არ გამვარდნოდა, მეორე ხელით ხომ ტელეფონი მეჭირა და მას ვესაუბრებოდი.

ჩემსა და ემილის შორის განხეთქილების მთავარი მიზეზი სწორედ ეს იყო. რადგან ის მირანდას „უფროსი" თანაშემწე იყო, მე „პირადი" თანაშემწე მერქვა. მის ყავასა და საჭმელზე მე უნდა მეზრუნა, მის შვილებს გაკვეთილების მომზადებაში მე უნდა დავხმარებოდი და ბოლოს მის წვეულებებზე კერძების მისატანად მთელ ქალაქში აქეთ-იქით ისევ მე უნდა მერბინა. ამ დროს ემილი მხოლოდ მის ხარჯთაღრიცხვას აწესრიგებდა და ორგანიზებას უკეთებდა მოგზაურობის გრაფიკს. მისი მოვალეობებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც რამდენიმე თვეში ერთხელ მირანდას პირადი გარდერობის დალაგება იყო. ასე რომ, როდესაც ყოველ დილით მე მის დავალებებზე დავრბოდი, ემილი ოფისში მარტო რჩებოდა, რის გამოც ტელეფონის ზარებზე პასუხი და უკმაყოფილო მირანდას ყოველი მოთხოვნის დაკმაყოფილება თავად უხდებოდა. მისი მოკლესახელოიანი მაისურების მშურდა. ის ხომ ჩემგან განსხვავებით თბილ შენობას დღეში ექვსჯერ არ ტოვებდა და რაიმეს მოსაძებნად, მოსატანად ან შესაგროვებლად ნიუ-იორკის ქუჩებში არ დაძრწოდა. ემილის კი ჩემი შურდა, რადგან სიგარეტის მოსაწევად და ტელეფონზე სალაპარაკოდ ოფისიდან საჭიროზე მეტი ხნით გასვლის მიზეზი ყოველთვის მქონდა.

ვინაიდან ყავა და ფუნთუშები დასარიგებელი მქონდა, ოფისში დაბრუნებას გაცილებით დიდხანს ვანდომებდი, ვიდრე იქიდან გამოსვლას. მსიამოვნებდა, როცა უსახლკაროებს საუზმეს საკუთარი ხელით ვურიგებდი, საბრალოებს სადაც დაუღამდებოდათ, იქ უთენდებოდათ, ხან შენობების კიბეებზე ეძინათ და ხანაც პირდაპირ — 57-ე ქუჩის ტროტუარზე. მიუხედავად პოლიციის მიერ მათი დაშლის არაერთი მცდელობი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

სა, — ისინი, ცხადია, მუნიციპალიტეტის ლოზუნგით „ქალაქი მაწანწალების გარეშე!“ ხელმძღვანელობდნენ — მაწანწალები მაინც ახერხებდნენ და, ზუსტად იმ დროს, როდესაც მე ყავის მოსატანად პირველ რეისს ვაკეთებდი, ისევ თავიანთ ძველ ადგილებს უბრუნდებოდნენ. მართლაც რაღაც ფანტასტიკური, დოპინგის მსგავსი იყო, რომ „ელიას-კლარკის“ თანხებით შეძენილი ძვირად ღირებული ყავა და ფუნთუშები ქალაქის ყველაზე არასასურველი მცხოვრებლების ხელში ხვდებოდა.

შარდისსუნიან კაცს, რომელსაც „ჩეიზ ბანკის“ წინ ეძინა, ყოველთვის მოკა-კაპუჩინოთი ვუმასპინძლდებოდი. მის გამოსართმევად არასოდეს გაულვიძია, მაგრამ მე მაინც ყოველ დილით, თავქვეშ ამოდებულ იდაყვთან ვუდგამდი (რა თქმა უნდა, საწრუპით) და როდესაც რამდენიმე საათის შემდეგ ყავისთვის მეორე რეისს ვაკეთებდი, ის იქ უკვე აღარ მხვდებოდა.

ურიკაზე მჯდომ მოხუც ქალბატონს, რომელსაც ხელში მუყაოს ქაღალდი ეჭირა წარწერით: „ᲣᲡᲐᲮᲚᲙᲐᲠᲝ. ᲡᲐᲭᲛᲚᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲪᲕᲚᲝᲓ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ ᲘᲐᲢᲐᲙᲔᲑᲘ ᲛᲝᲒᲘᲠᲔᲪᲮᲝᲗ“, „კარამელ-მაჩიატო“ მივაწოდე. ის მალე ტერეზად გამეცნო, მირანდას მსგავსად, მისთვისაც ლატეს ვყიდულობდი, მადლობას მიხდიდა, მაგრამ ცხელს არასოდეს სვამდა. ბოლოს შევთავაზე, რაიმე სხვა ხომ არ გირჩევნიათ-მეთქი, უარის ნიშნად თავი დარწმუნებით გააქნია და მითხრა, რომ წუნია არ იყო, თუმცა მომწარო ლატეს რაიმე უფრო ტკბილს ამჯობინებდა. მეორე დილით ვანილიანი ყავა ნაღებით მივართვი, ვკითხე, ესიამოვნა თუ არა, ძალიან კარგიაო, მითხრა, მაგრამ ამჯერად თურმე ზედმეტად ტკბილი შევურჩიე. მომდევნო დღეს, როგორც იქნა, მისი გემოვნების ყავა ვიყიდე, ტერეზას ჩვეულებრივი ნაღებიანი ყავა ჰყვარებია, კარამელის სიროფით და ყოველ ჯერზე, როდესაც მას ყავას ვუწვდიდი, თავის უკბილო ღიმილს მჩუქნიდა.

მესამე ყავა ნიგერიელ რიოსს ეკუთვნოდა, ის პატარა ხალიჩაზე დაწყობილი კომპაქტდისკებით ვაჭრობდა. უსახლკაროს არ ჰგავდა, მაგრამ ერთხელ, როცა ტერეზას ყავას ვაწვდიდი, მომიახლოვდა და მკითხა, უფრო სწორად, წამიმღერა: „ჰეი, ჰეი, ჰეი, შენ, „სტარბაქსის“ ფერიავ! ჩემი ყავა სად არის?“ მომდევნო დღეს მას დიდი „ამარეტო-კაპუჩინო“ ვუყიდე და მას მერე დავმეგობრდით. ყოველ დღე ყავისთვის ოცდაოთხი დოლარით მეტს ვხარჯავდი (მირანდას ლატე მხოლოდ ოთხი დო-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლარი ღირდა) და ამით კომპანიისადმი ჩემს ფარულ აგრესიას გამოვხატავდი, მათი დასჯა მინდოდა იმის გამო, რომ მირანდას ამხელა თავისუფლებას ანიჭებდნენ.

ყავას და ფუნთუშებს ჭუჭყიან, აქოთებულ და შეშლილ მაწანწალებს მხოლოდ იმიტომ ვურიგებდი, რომ მათ ამის ფასი იცოდნენ, ფულს უაზროდ არ ხარჯავდნენ და ალბათ კიდევ იმიტომ, რომ ეს ამბავი სამსახურში რომ გაეგოთ, უბრალოდ გადაირეოდნენ.

იმ დროისთვის, როცა ვესტიბიულში შევედი, პედროს, რომელსაც ძლიერი მექსიკური აქცენტი ჰქონდა, „მანხადან" შეკვეთა უკვე მოეტანა და ერთ-ერთ ლიფტთან ედუარდოს ესპანურად ესაუბრებოდა.

— აი ისიც, ჩვენი გოგოცუნა, — თქვა პედრომ და ამის გაგონებაზე რამდენიმე „კლარკერმა" ჩვენკენ გამოიხედა, — როგორც ყოველთვის, ბეკონი, სოსისი და ერთი ცალი საშინელი შესახედაობის ყველი. დღეს რატომღაც ყველის ასორტი არ შეგიკვეთია! მიკვირს, ამდენს ჭამ და მაინც ასეთი გამხდარი ხარ, გოგონი! — ღიმილით მითხრა. თავს ძალა დავატანე, რომ მისთვის არ მეთქვა, თუ რამდენად მცდარი წარმოდგენა ჰქონდა სიგამხდრეზე. პედრომ ძალიან კარგად იცოდა, რომ ეს ჩემი საუზმე არ იყო, მაგრამ როგორც სხვა დანარჩენს, რომლებსაც ყოველ დილით რვა საათამდე ველაპარაკებოდი, დეტალებზე წარმოდგენა არ ჰქონდა. ჩვეულებრივ, ათდოლარიანი მივაწოდე, აქედან საუზმე სამი დოლარი და ოთხმოცდაცხრამეტი ცენტი ღირდა და ზემოთ ავედი.

ოფისში რომ შევედი, ტელეფონზე ლაპარაკობდა, მისი გველის ტყავის „გუჩის" პალტო ჩემს მაგიდაზე ეგდო. წნევა ამივარდა. „ნეტა მოკლავდა ორი ნაბიჯის გადადგმა, კარადის გაღება და საკუთარი პალტოს საკიდარზე ჩამოკიდება? რატომ აგდებს ჩემს სამუშაო მაგიდაზე?" ლატე მაგიდაზე დავდე და ემილის გადავხედე, რომელიც ტელეფონის სამ სხვადასხვა ხაზზე ლაპარაკობდა. ვერ შემამჩნია, ალბათ ვერც ჩემს მაგიდაზე დაგდებული პალტო შენიშნა, ადგილი რომ მიეჩინა. ჩემი პალტო მაგიდის ქვემოთ შევაგდე, კარადაში მისი „დაინფიცირების" შიშით ვერ შევკიდებდი.

უჯრიდან შაქრის ორი ნატეხი და საწრუპი ამოვიღე. თავი ძლივს შევიკავე, რომ მის ყავაში არ ჩამეფურთხებინა. შემდეგ

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

პატარა ფაიფურის თეფშზე დანიურ ყველთან ერთად ხორცის ცხიმიანი ნაჭერი დავდე და ხელები მის სარეცხზე შევიხოცე, ის ჩემი მაგიდის ქვემოთ მქონდა შეტენილი, ქიმწმენდას ჯერ არ წაელო, ცხადია, მირანდას ამას ვუმალავდი. თეორიულად, მისი თეფშები ყოველდღე მე უნდა მერეცხა ნიჟარაში, მაგრამ თავს ამაზე ვერ შევიწუხებდი. ყველას თვალწინ მისი ჭურჭლის რეცხვა უზომოდ დამამცირებლად მიმაჩნდა, ამიტომ ყოველი საუზმის შემდეგ თეფშებს სველი ხელსახოცებით ვწმენდდი, ყველის ნარჩენებს კი ფრჩხილებით ვაცილებდი. იმ შემთხვევაში, თუ თეფშები ძალიან ცხიმიანი იყო და ნარჩენებმიმხმარი, „პელეგრინოს“ ბოთლს ვხსნიდი და მასზე ვასხამდი. მადლობელი უნდა ყოფილიყო, რომ მაგიდის სადეზინფექციო საშუალებას ან სხვა რომელიმე მათეთრებელს არ ვიყენებდი. დარწმუნებული ვიყავი, მორალურ დეგრადაციას განვიცდიდი, მაგრამ ეს სულაც არ მაწუხებდა.

— გახსოვდეთ, მინდა, რომ ჩემი გოგონები ილიმებოდნენ, — ვილაცას ეუბნებოდა ტელეფონში. მისი ტონით მივხვდი, რომ ლუსიას, ჩვენების ხელმძღვანელს ელაპარაკებოდა, ბრაზილიაში ჩვენება კარზე იყო მომდგარი და მოდელები ჩაცმა-დახურვის საკითხებს განიხილავდნენ, — მხიარულები, ჯანმრთელები, ქათქათა კბილებით... არანაირი სერიოზული გამომეტყველება და შავი ტონების მაკიაჟი არ გამაგონოთ. მინდა, ბრწყინავდნენ. სერიოზულად გეუბნებით, ლუსია, ნაკლებს არ დავთანხმდები.

თეფში მაგიდაზე დავდგი. ლატე, ხელსახოცი და საჭირო ატრიბუტები გვერდით მივულაგე. მირანდას ჩემთვის არც კი შემოუხედავს. წამით შევყოვნდი, იქნებ საბუთებით სავსე საქაღალდეები მოეჩეჩებინა ფაქსით გასაგზავნად, მაგრამ რადგან ყურადღება არ მომაქცია, ოფისიდან გავედი. დილის რვაზე უკვე ისეთი დაღლილი ვიყავი, თითქოს თორმეტი საათი მემუშავა. როგორც იქნა, მეღირსა და მთელი დილის განმავლობაში სკამზე პირველად დავჯექი. ის-ის იყო „ჰოთმეილში“ უნდა შევსულიყავი, მიღებული ელექტრონული წერილები შემემოწმებინა, რომ ოფისიდან გამობრძანდა. მუხლამდე სიგრძის, გამოყვანილ და ტანზე მომდგარ ქვედაბოლოზე პიჯაკი ეცვა, ხოლო ვიწრო წელზე ლამაზი ქამარი გაეკეთებინა. უმშვენიერესად გამოიყურებოდა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ან-დრ-ეა, ლატე ცივია. ნეტავ რატომ? ალბათ იმიტომ, რომ მის მოსატანად ამდენი ხანი დაგჭირდათ. გზაში გაცივდა. წადით და ახალი მომიტანეთ.

ღრმად შევისუნთქე და შევეცადე, რომ სახეზე სიძულვილი არ დამტყობოდა. მან „ცივი ლატე" მაგიდაზე დამიდგა და „ვენითი ფეას" („ამაოების ბაზარი") ახალი ნომერი აიღო, რომელიც სპეციალურად მისთვის მოიტანეს. ემილის მზერა ვიგრძენი. მის გამომეტყველებაში ერთდროულად თანაგრძნობა და ზიზღი გამოიხატა. ვეცოდებოდი, რომ ერთი და იგივე ჯოჯოხეთური დავალება რამდენჯერმე უნდა შემესრულებინა, მაგრამ ვერ იტანდა, როცა ვბედავდი და ამის გამო უკმაყოფილებას გამოვხატავდი. ბოლოს და ბოლოს ასეთი სამსახურისთვის მილიონობით გოგონა სულს ეშმაკსაც კი მიჰყიდდა, არა?

ზუსტად იმ ხმაზე ამოვიხვნეშე, ბოლო ხანებში მირანდას გასაგონად რომ დავხვეწე, თუმცა არც ისე ხმამაღლა უნდა გამომსვლოდა, რომ თავის კაბინეტში სასაყვედუროდ გამოვეძახე. კიდევ ერთხელ ჩავიცვი პალტო და ფეხები ვაიძულე ლიფტისკენ ევლო. წინ კიდევ ერთი გრძელი დღე მელოდა.

ოც წუთში ყავისთვის მეორედ გავედი, ამჯერად ყველაფერმა გაცილებით უკეთესად ჩაიარა. „სტარბაქსთან" გრძელი რიგი არ იდგა. ჩემს დანახვაზე მარიონმა უმალ გაამზადა ლატე მაღალ ჭიქაში და როგორც კი შევაბიჯე, თავად მომემსახურა. ამჯერად ბევრი არაფერი დამიმატებია, რადგან თითქმის სასოწარკვეთილი ვიყავი, სამსახურში უკან დაბრუნება და ჩემს მაგიდასთან დაჯდომა მინდოდა, მაგრამ ჩემთვის და ემილისთვის ორი კაპუჩინო მაინც შევუკვეთე. ის-ის იყო, ფული გადავიხადე, რომ ტელეფონზე დამირეკეს. „ეშმაკსაც წაულია ეს აუტანელი ქალი! ამ გაუმაძღარი, მოუთმენელი და უბრალოდ საშინელი ძუკნას ადგილი ჯოჯოხეთშია! ოთხ წუთზე მეტი არაა, რაც გამოვედი; ამჯერად რამ გადარია ნეტა?" მუყაოს ყუთი, ყავის ჭიქებით კვლავ ცალ ხელში გადავიტანე, ხოლო მეორით, პალტოს ჯიბიდან მობილური ტელეფონი ამოვაცურე. ჩემთვის გადავწყვიტე, რომ მისი საქციელის გამო, კიდევ ერთი ღერი სიგარეტის მოწევას ვიმსახურებდი და მნიშვნელობა არ ექნებოდა, რომ ცალ ხელში ამ დროს მდულარე ყავის ყუთი უნდა მჭეროდა. ტელეფონს დავხედე, მირანდა არ იყო. ეკრანზე ლილის ნომერი დაეწერა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

— გამარჯობა, ცუდ დროს ხომ არ გირეკავ? — მკითხა აღტყინებით. მაჯის საათს დავხედე და გავიფიქრე, რომ ახლა წესით, ლექციაზე უნდა ყოფილიყო.

— მმ, მთლად კარგი დრო არ არის, ყავის მეორე რეისი მაქვს, მინდა გითხრა, ეს ერთი სიამოვნებაა. ისე საუცხოოდ ვერთობი, ვერ წარმოიდგენ, ეს ისე, ცნობისთვის. აბა, შენკენ რა ხდება, ლექციაზე რატომ არ ხარ ამ დროს?

— ჰოო, გუშინ ვარდისფერმაისურიან ბიჭთან ერთად ვიყავი კლუბში და ძალიან ბევრი „მარგარიტა" დავლიეთ, ის ახლაც მთვრალია. მოკლედ, მისი მარტო დატოვება ვერ გავბედე, მაგრამ ახლა ამისთვის არ ვრეკავ.

— ჰოო? — ლილის ცალი ყურით ვუსმენდი, რადგან ცალი ხელით სიგარეტი ამოვიღე და მოვუკიდე. ამ დროს მობილური ყურთან მხრით მივიბჯინე, რის შემდეგაც ერთ-ერთი ჭიქიდან კაპუჩინო გადმომეღვარა.

— ბინის მეპატრონეს თავხედობა ეყო და დილის რვა საათზე იმის სათქმელად მომიკაკუნა, რომ მასახლებს, — შეწუხებულმა მითხრა.

— გასახლებენ, ლილი, კი მაგრამ, რატომ? ახლა რა უნდა ქნა?

— როგორც ჩანს, დარწმუნდა, რომ სანდრა გერსი არ ვარ, რომ მას იქ უკანასკნელი ექვსი თვე არ უცხოვრია და რადგან არც მისი ნათესავი ვარ, უფლება არ აქვს, ბინა მომაქირაოს. რა თქმა უნდა, ეს ვიცოდი, სწორედ ამის გამო ვასაღებდი თავს სანდრად. არ ვიცი, როგორ გაარკვია, მაგრამ ახლა სიმართლე იცის. მოკლედ, ამას მნიშვნელობა აღარ აქვს, რადგან მე და შენ შეგვიძლია ბინა ერთად ვიქირაოთ! შენ ხომ ბინის ქირას შანტისა და კენდრასთან ერთად თვიურად იხდი? და მათთან იმიტომ ცხოვრობ, რომ სხვა გზა არ გაქვს, ხომ ასეა?

— ჰო.

— ჰოდა, ახლა ყველაფერი შეიცვალა! სადმე ერთად ვიქირაოთ, სადაც მოგვეწონება!

— მაგარია! — რაღაცნაირად უხალისოდ ვუპასუხე, არადა გულის სიღრმეში ეს აზრი ძალიან მომეწონა.

— ანუ, თანახმა ხარ, რომ ბინა ერთად ვიქირაოთ, არა? — ეჭვნარევი ხმით მკითხა ლილიმ.

— თანახმა ვარ, ლილ, აბა რა! სიმართლე გითხრა, უმაგრესი იდეაა. ასე იმიტომ გიპასუხე, რომ შუა ქუჩაში მდულარე ყავით

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხელში ვდგავარ, რომელიც ჭიქიდან ჟონავს და მარცხენა მკლავზე მეღვრება...

ზზზ, ზზზ... მეორე ხაზზე მირეკავდნენ. სიგარეტით კინაღამ კისერი დავიწვი, როდესაც ტელეფონის ჩამოღება ვცადე. ემილი მირეკავდა.

— ჯანდაბა, ლილ, მირანდა მირეკავს. უნდა გავიქცე. გამოსახლებას გილოცავ! ძალიან მიხარია ჩვენ გამო! მერე გადმოგირეკავ, კარგი?

— კარგი, მე კი...

ღილაკს დავაჭირე და შინაგანად მორიგი გამოლანძღვისთვის მოვემზადე.

— ისევ მე ვარ, — მკაცრი ხმით მითხრა ემილიმ, — სად ჯანდაბაში დადიხარ? ეს ოხერი ყავა სადაა, ამდენი ხანი რას აკეთებ? ხომ არ დაგავიწყდა, ადრე შენს ადგილზე მე ვიყავი და ზუსტად ვიცი, მის მოტანას რა დრო სჭირდება...

— რაა? — ვკითხე ხმამაღლა და თან თითები მიკროფონს დავადე, — რა მკითხეე? შენი არ მესმის, თუ შენ გესმის ჩემი, მაშინ იცოდე, რომ რამდენიმე წამში მანდ ვარ! — შემდეგ ტელეფონი გავთიშე და ჯიბეში ჩავიდე. მალბორო ჯერ ბოლომდე მოწეული არ მქონდა, რომ ტროტუარზე დავაგდე და უკან, სამსახურში გავიქეცი.

მირანდამ პატივი დამდო და ყავა მიირთვა, თბილმა ლატემ საშუალება მოგვცა ათიდან თერთმეტამდე ამოგვესუნთქა, მან თავისი ოფისის კარი მიიხურა და მთელი ამ ხნის განმავლობაში ყრუ-მუნჯ მამიკოს ტელეფონით ეჭუკჭუკებოდა. ის ოფიციალურად გასულ ოთხშაბათს გავიცანი, როდესაც სადღაც რვა საათისთვის მირანდას სახლში წიგნი მივიტანე. ზუსტად იმ დროს, კარადიდან პალტოს იღებდა და ჩემთან საუბრისას საკუთარ თავს მესამე პირში მოიხსენიებდა. იმ საღამოდან მოყოლებული, ყოველ შეხვედრაზე დიდი ყურადღებით მექცეოდა, ყოველთვის ინტერესდებოდა ჩემი სამუშაოთი და ამა თუ იმ დავალების შესრულებისას ჩემ მიერ გაწეულ ძალისხმევას აქებდა. რა თქმა უნდა, ასეთი ყურადღება მისი ცოლის სიუხეშეს სულაც არ აბათილებდა, მაგრამ მისი მხრიდან მსგავსი საქციელი მაინც სასიამოვნო იყო.

ის-ის იყო, პიარის განყოფილების თანამშრომლებისთვის უნდა დამერეკა და რაიმე უფრო შესაფერი ტანსაცმელი მეთხოვა, რომ მირანდას ხმამ გამომაფხიზლა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ემილი, სადილი გამიმზადეთ, — ოფისიდან გამოგვძახა, კონკრეტულად არავინ უგულისხმია, რადგან ჩვენგან „ემილი" ნებისმიერი შეიძლება ყოფილიყო. ნამდვილმა ემილიმ მე შემომხედა და თავი დამიქნია, ნება დამრთო, გაინძერიო. სმიტისა და ვოლენსკის ნომერი ჩემი ოფისის ტელეფონების წიგნში იყო დაპროგრამებული. დავრეკე თუ არა, ახალი გოგონა ხმაზე ვიცანი.

— გამარჯობა, კიმ, ანდრეა ვარ, მირანდა პრისტლის ოფისიდან. სებასტიანი ახლოს ხომ არ არის?

— ოჰ, გამარჯობა, რა თქვი, რა მქვიაო? — მნიშვნელობა არ ჰქონდა, კვირაში ორჯერ, სამჯერ თუ მილიონჯერ დავურეკავდი და იმდენჯერვე ვეტყოდი თუ არა სახელს, ის ყოველ ჯერზე, მაინც ერთსა და იმავეს მეკითხებოდა და ისე იქცეოდა, თითქოს ცხოვრებაში პირველად ვურეკავდი.

— მირანდა პრისტლის ოფისიდან, „პოდიუმიდან" ვრეკავ. მისმინე, არ მინდა უხეშად გამომივიდეს... — „არადა ძალიანაც მინდა" — მაგრამ ძალიან მეჩქარება. იქნებ სებასტიანს დაუძახო? — სხვას რომ ეპასუხა, უპრობლემოდ გადავცემდი მირანდას ყოველდღიური კერძის შეკვეთას, მაგრამ ამ გოგონას ტვინი იმდენად ნელა უმუშავებდა, რომ მსგავს დავალებას ვერ ვანდობდი. ამიტომ იძულებული გავხდი, თავად მენეჯერს დავლაპარაკებოდი.

— მმ, კარგი, ვნახავ, თუ სცალია, — „დამიჯერე, კიმ, მერე და როგორ სცალია. მირანდა პრისტლის მზესავით ეთაყვანება."

— ენდი, ძვირფასო, როგორ ხარ? — ყურმილში სებასტიანის სუნთქვა შემომესმა, — იმედია, იმისთვის მირეკავ, რომ ჩვენი სათაყვანებელი მთავარი რედაქტორისთვის სადილი უნდა შეუკვეთო, ასეა, არა?

ძალიან მაინტერესებდა, რას მიპასუხებდა იმაზე, რომ სადილი მირანდასთვის კი არა, ჩემთვის მინდოდა. საერთოდ ამ რესტორნის მომსახურება კერძის ასეთი ფორმით შეკვეთას არ ითვალისწინებდა, მაგრამ „დედოფლისთვის" გამონაკლისს უშვებდნენ.

— დიახ, ასეა. ახლახან მითხრა, რომ სიამოვნებით მიირთმევდა თქვენი რესტორნის რომელიმე უგემრიელეს კერძს და მთხოვა თქვენთვის მოკითხვა გადმომეცა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მირანდა მონამებრივი სიკვდილის მუქარის ქვეშაც კი ვერ გაიხსენებდა იმ რესტორნისა და მით უმეტეს, მისი მეოცნებე მენეჯერის სახელს, მაგრამ სებასტიანი, როგორც ყოველთვის, არაჩვეულებრივ გუნებაზე დგებოდა, როდესაც ასეთ რამეებს ვეუბნებოდი, იმ დღესაც „მოკითხვის" ამბავი იმდენად ესიამოვნა, რომ ქალივით ატკვარცალდა.

— მაგარია! უბრალოდ დაუჯერებელი! როცა მოხვალ, ყველაფერი მზად დაგხვდება, — განახლებული შემართებით მიპასუხა, — ახლავე შევუდგები ამ საქმეს! ენდი, გთხოვ მოკითხვა ჩემგანაც გადაეცი, კარგი?

— რა თქმა უნდა, გადავცემ. აბა, შეხვედრამდე!

მისი „ეგოს" დაკმაყოფილება დამღლელი საქმე იყო, მაგრამ მიღირდა, რადგან ასე სამუშაო გაცილებით მიადვილდებოდა. ყოველთვის, როცა მირანდა გარეთ არ სადილობდა, კერძს ამ რესტორნიდან ვუკვეთდი. ის სიმშვიდეში საკუთარ ოფისში დახურულ კარს მილმა მიირთმევდა. საგანგებოდ ამისთვის ჩემს მაგიდაზე პატარა სკივრში ფაიფურის თეფშებს ვინახავდი. აქედან უმეტესობა იმ დიზაინერების ნახელავი იყო, რომელთაც ახალი „საოჯახო" ხაზი გამოეშვათ, ზოგი კი უბრალოდ სასადილოდან მქონდა ამოტანილი. ცოტა არ იყოს, ზედმეტიც კი იქნებოდა ამდენი ნივთის: ლანგრების, სტეიკის საჭრელი დანებისა და ზოლიანი ხელსახოცების შენახვა, ამიტომ სებასტიანი გამზადებულ კერძთან ერთად ამ წვრილმანსაც ითვალისწინებდა.

და აი, კიდევ ერთხელ შემოვიცვი ჩემი პალტო, ავიღე სიგარეტი, მობილური ტელეფონი და თებერვლის იმ ნაცრისფერ დღეს, რომელიც სულ უფრო ნაცრისფერდებოდა, სადილის მოსატანად გავემართე. მართალია, 49-ესა და მესამე ავენიუს კუთხემდე სულ თხუთმეტი წუთის სავალი იყო, ერთი გაფიქრება გავიფიქრე კიდეც, მანქანით წავსულიყავი, თუმცა მერე გადავწყვიტე, ფილტვები სუფთა ჰაერით გამეწმინდა. სიგარეტს მოვუკიდე, კვამლი შევისუნთქე და ფილტვებიდან გამოვუშვი, არ ვიცი, ცივი ჰაერით, კვამლითა თუ გაღიზიანებით იყო გამოწვეული, მაგრამ თავი ძალიან კარგად ვიგრძენი.

უაზროდ მოსიარულე ტურისტებს გვერდს უკვე იოლად ვუქცევდი. ადრე ქუჩაში მობილური ტელეფონებით მოლაპარაკე ხალხი მაღიზიანებდა, მაგრამ იმ გადარეული დღეების განმავლობაში თავად გავხდი მოსიარულე რაცია. ტელეფონი ამოვი-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ღე და ალექსს სკოლაში დავურეკე, თუ ჩემი გამოთვლები სწორი იყო, იმ დროისთვის ალბათ სასადილოში უნდა ყოფილიყო. ორი ზარის შემდეგ მაღალი ტემბრის მქონე ქალმა მიპასუხა.

— გამარჯობა. თქვენ დაუკავშირდით 277-ე საშუალო სკოლას, მისის ვაითმორი გისმენთ, რით შემიძლია დაგეხმაროთ?

— ალექს ფაინემანს სთხოვეთ, თუ შეიძლება?

— ვინ კითხულობს?

— ანდრეა საქსი. ალექსის მეგობარი.

— აა, გასაგებია, ანდრეა, ეს თქვენ ხართ? თქვენზე ბევრი გვსმენია, — ისეთი ხმით ლაპარაკობდა, იფიქრებდი, ნებისმიერ წუთას გაიგუდებაო.

— ოჰ, მართლა? ეს... ძალიან სასიამოვნოა. თქვენზეც არანაკლები მსმენია. ალექსი ყველას ძალიან გაქებთ.

— ამის მოსმენა მსიამოვნებს, მაგრამ მე თუ მკითხავთ, თქვენც არანაკლებ სერიოზული სამუშაო გაქვთ, ანდრეა. ალბათ საოცრად საინტერესოა ისეთ ნიჭიერ ქალთან მუშაობა, როგორიც მირანდაა. ძვირფასო, თქვენ ძალიან იღბლიანი გოგონა ხართ.

„აჰა. ყველაფერი გასაგებია, ვაითმორ. ძალიან იღბლიანი გოგონა ვარ, არა? შენ ვერც კი წარმოიდგენ, ისეთი იღბლის პატრონი ვარ. ერთი რას იტყოდი, ჰიგიენური საფენების საყიდლად რომ გაეშვი უფროსს და შემდეგ მადლობის ნაცვლად სახეში მოეხალა, არასწორად გიყიდიაო და „შეცდომის" გამოსასწორებლად თავიდან გაეგზავნე? ალბათ იღბალს უნდა ვუმადლოდე, რომ ყოველდღე, დილის რვა საათამდე სხვის ოფლიან, დალაქულ ტანსაცმელს ვახარისხებ და მერე ქიმწმენდას ვუგზავნი. მოითმინე, ჯერ სად ხარ, არ დამიმთავრებია! და ალბათ ყველაზე მეტად იღბალი იმაში მწყალობს, რომ ზედიზედ სამი კვირაა, ქალაქში ძაღლების მომშენებელი არ დამიტოვებია სუფთა ჯიშის ფრანგული ბულდოგის ლეკვის ძებნაში და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ორ საშინლად გათამამებულ და ჭირვეულ პატარა გოგონას საკუთარი შინაური ცხოველი ჰყავდეს. ახლა კი დავამთავრე!"

— ოჰ, დიახ, ეს საუცხოო სამსახურია, — ზერელედ მივუგე, — ამ სამუშაოსთვის მილიონობით გოგონა სულს ეშმაკსაც კი მიჰყიდდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

— რა თქმა უნდა, ძვირფასო! აი, ზუსტად ახლა შემოვიდა ალექსი, ახლავე დავუძახებ.

— გამარჯობა, ენდი. როგორ ხარ? სამუშაო როგორ მიდის?

— არც კი მკითხო. გამოვედი, რომ სადილი მივართვა. შენზე რას მეტყვი?

— ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა. სადილის შემდეგ ჩემს კლასს მუსიკის გაკვეთილი აქვს, ასე რომ, საათ-ნახევარი თავისუფალი ვარ, ეს ძალიან მახარებს, შემდეგ ფონეტიკის გაკვეთილი უნდა ჩავატარო! — შეწუხებული ხმით მიპასუხა, — თუმცა მგონი, სწორად კითხვას მაინც ვერ ისწავლიან.

— თავდასხმებზე რას იტყვი? ვინმე ახალი ხომ არ დაუჭრიათ?

— არა.

— მაშ, რაღა გინდა? ჩემგან განსხვავებით, უპრობლემო, მშვიდი დღე გქონია. დატკბი. წერა-კითხვაზე ზრუნვა ხვალისთვის შემოინახე. ჰო, იცი, რა მოხდა? ლილიმ დამირეკა დილით. ჰარლემიდან ასახლებენ და გადავწყვიტეთ, ბინა ერთად ვიქირაოთ. კარგია, არა?

— ოჰ, მშვენიერია! გილოცავ! მოვიდა დრო. ერთად ძალიან გაერთობით. მაგრამ თუ დავფიქრდები, საშიშიც კია. ოცდაოთხი საათი ლილისთან ურთიერთობა... და ლილის ბიჭებთან... დამპირდი, რომ ჩემთან ხშირად დარჩები!

— რა თქმა უნდა. თუმცა შენ ჩემთანაც ისე იგრძნობ თავს, როგორც საკუთარ სახლში, სწორედ ისე — როგორც სტუდ-ქალაქში ცხოვრების ბოლო წელს.

— სამწუხაროა, ასეთი იაფფასიანი ბინა რომ დაკარგა. სხვა მხრივ კი, ჩინებულია.

— ჰო, მეც ძალიან გამიხარდა. შანტი და კენდრა კარგი გოგონები არიან, მაგრამ უცხო ხალხთან ცხოვრება ძალიან მომწყინდა, — ინდური კერძები მიყვარდა, მაგრამ ჩემი ტანსაცმელი სუნელების სუნით იჟღინთებოდა და ეს არ მომწონდა, — ლილის ვკითხავ და თუ სურვილი ექნება, საღამოს ეს ამბავი აღვნიშნოთ, ცოტაც დავლიოთ. რას იტყვი, შემოგვიერთდები? სადმე ისთ ვილიჯში შევხვდეთ, შენგან არც ისე შორს.

— კი, რა თქმა უნდა, კარგი აზრია. საღამოს ლახმონტში ჩავირბენ ჯოისთან, ასე, რვაზე ქალაქში ვიქნები. იმ დროისთვის შენ კიდევ მუშაობ, ამიტომ მაქსის ნახვას მოვასწრებ და

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

შემდეგ ერთად შეგხვდებით. მისმინე, ლილი ვინმეს ხვდება? ვიფიქრე, მაქსსა და მას შეეძლოთ...

— რა იფიქრე? — სიცილით ვკითხე, — დაასრულე, რის თქმასაც აპირებდი. შენი აზრით, ჩემი მეგობარი ბოზია? ის უბრალოდ უკომპლექსოა და სხვა არაფერი. ვინმეს ხვდება თუ არა? გთხოვ, ეს რა შეკითხვაა? გუშინ ღამე ვილაც „ვარდისფერმაისურიან ბიჭთან" ერთად გაატარა, არა მგონია, მას ვიცნობდე.

— გასაგებია. აი, ზარიც დაირეკა. წიგნის მიტანის შემდეგ შემეხმიანე.

— გასაგებია, აბა, კარგად!

ის-ის იყო, ტელეფონი ჯიბეში უნდა ჩამედო, რომ ისევ აწკრიალდა. ნომერი არ მეცნო, მაგრამ მაინც ვუპასუხე, შვებით ამოვისუნთქე, როდესაც არც ემილი იყო, არც — მირანდა.

— მირ... გისმენთ? — ავტომატურად ვუპასუხე, ჩემი მობილური უცებ ოფისის ტელეფონში ამერია, — „მირანდა პრისტლის ოფისი, გისმენთ" — ჩემი მშობლებისა და ლილის გარდა, რა თქმა უნდა, ძალიან უხერხულად ჟღერდა სხვებისთვის.

— ეს მომხიბლავი ანდრეა საქსია, რომელიც მარშალის წვეულებაზე ჩემდა უნებურად შევაშინე? — მკითხა ჩახლეჩილმა, მაგრამ ძალზე სექსუალურმა ხმამ. კრისტიანი! მისი არსებობა თითქმის გადამავიწყდა, რადგან ხელზე ამბორის შემდეგ აღარ შემხმიანებია. ამის მიუხედავად, მისი მოხიბვლისა და გაოცების სურვილი, მასთან პირველი შეხვედრისას რომ გამიჩნდა, ისევ დამიბრუნდა. თავს მოვუწოდე, სიმშვიდე შემენარჩუნებინა.

— დიახ, მე ვარ. თქვენ ვინ ბრძანდებით? იმ წვეულებაზე სხვადასხვა მიზეზით უამრავმა მამაკაცმა მოახერხა ჩემი შეშინება, — „კარგია, ჯერჯერობით მშვენივრად მიდის. ღრმად ისუნთქე და გულგრილად ელაპარაკე."

— ვერ წარმომედგინა თუ ასეთი კონკურენცია იყო, — მოკლედ მომიჭრა, — მაგრამ ალბათ არ უნდა გამიკვირდეს. როგორ ხართ, ანდრეა?

— კარგად, სიმართლე გითხრათ, მშვენივრად, — უცბად მოვიტყუე, რადგან „კოსმოპოლიტენში" წაკითხული სტატია გამახსენდა: „როცა ახალგაცნობილ მამაკაცს ესაუბრებით, შეინარჩუნეთ სიმშვიდე და აფრქვიეთ დადებითი ემოციები, რადგან „ნორმალურ" მამაკაცებს მწარე სარკასტული პასუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

ხები არ მოსწონთ," — სამსახურში ყველაფერი რიგზეა. სიმართლე გითხრათ, იქ სიხარულით დავდივარ, ბოლო დროს სამუშაო განსაკუთრებით საინტერესო გახდა — უამრავ რამეს ვსწავლობ, ჩემს ირგვლივ იმდენი სიახლეა! მოკლედ, საუცხოოა. თქვენზე რას მეტყვით? — „საკუთარ თავზე ბევრს ნუ ილაპარაკებთ, ნუ ეცდებით საუბარი თქვენ წაიყვანოთ, შეუქმენით პარტნიორს ყველა პირობა, რომ ნებისმიერ თემაზე და განსაკუთრებით მისთვის ყველაზე ახლობელზე, ანუ საკუთარ თავზე საუბარი შეძლოს."

— ძალზე ოსტატურად ცრუობთ, ანდრეა. იმ ადამიანისთვის, ვინც ტყუილების მოსმენას მიჩვეული არაა, მართლაც დამაჯერებლად ჟღერს თქვენი სიტყვები, მაგრამ მატყუარა მატყუარას ვერ გააცურებს. არ იდარდოთ, ამჯერად თავს მოვიკატუნებ, — ვერაფერს იტყოდი, გამომიჭირა. პირი გავაღე, რომ მისი ბრალდებები უარმეყო, მაგრამ სიცილი ავტეხე.

— ვინაიდან ვაშინგტონის საჰაერო რეისზე ჩასხდომა გამოცხადდა, უსაფრთხოების სამსახურს კი არ სიამოვნებს ტურნიკეტში გასვლისას ტელეფონით რომ ვსაუბრობ, — პირდაპირ საქმეზე გადავალ, შაბათისთვის რაიმე გეგმები თუ გაქვთ? — „ვერ ვიტან, როდესაც ხალხი კითხვებს ასე სვამს, გეგმები გაქვს თუ არაო, და ამავდროულად არ გეუბნება, თვითონ რას გთავაზობს. ნუთუ მის მეგობარ გოგონას დახმარება სჭირდება? და მანაც იფიქრა, ამ საქმისთვის მე გამოვდგები? ან იქნებ სურს, ვიდრე „ნიუ-იორკ თაიმსს" მორიგ ინტერვიუს მისცემდეს, მისი ძაღლი გავასეირნო?..." ვფიქრობდი, რა პასუხი გამეცა, მაგრამ ამ დროს დასძინა, — შაბათისთვის „ბაბო" დავჯავშნე. ცხრა საათზე. მეგობრები ვიქნებით, ძირითადად ჟურნალების რედაქტორები და საკმაოდ საინტერესო ხალხი. ასევე „ბაზის" მთავარი რედაქტორი და რამდენიმე ჟურნალისტი „ნიუ-იორკერიდან", მოკლედ, კარგი საზოგადოება შეიკრიბება. რას იტყვით? მოხვალთ?

ამ დროს სასწრაფოს მანქანამ, იმ იმედით, რომ გზას დაუთმობდნენ, ანთებული ფარებითა და ჩართული სირენით ჩამიქროლა, მძღოლებს მისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ და ამის გამო ის სხვა ავტომანქანების მსგავსად წითელზე შეჩერდა. პაემანს მთხოვდა? დიახ, მგონი, ზუსტად ასე იყო, პაემანს მთხოვდა! კრისტიან კოლინსვორთს ჩემთან შეხვედრა

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

სურდა! — შაბათს, საღამოს, „ბაბოში“, სადაც ზუსტად მასავით განათლებული, საინტერესო ხალხი შეიკრიბებოდა, მათ შორის, რა თქმა უნდა, „ნიუ-იორკერის“ ჟურნალისტები, — ის პაემანზე მეპატიჟებოდა! გონება დავძაბე და შევეცადე გამეხსენებინა, შემთხვევით, წვეულებაზე მასთან საუბარში ხომ არ წამომცდენია, რომ ნიუ-იორკის რესტორნებიდან „ბაბო“ ჩემი რჩეული იყო. იტალიურ სამზარეულოზე ვგიჟდებოდი და ვიცოდი, რომ ის რესტორანი მირანდასაც ძალიან მოსწონდა. იქ წასვლის სურვილი მკლავდა. ერთხელ ჩემთვის და ალექსისათვის მთელი ერთი კვირის ხელფასი გადავდე და მაგიდის დაჯავშნა ვცადე, სამწუხაროდ, ყველა ადგილი ხუთი თვით ადრე დაეჯავშნათ. სამ წელზე მეტი იყო, რაც ალექსის გარდა პაემანზე წასვლა ჩემთვის არავის ეთხოვა.

— მმ, კრისტიან, ღმერთმანი, მართლა ძალიან მინდა, — დავიწყე, და შევეცადე ის ფაქტი დამევიწყებინა, რომ სიტყვა „ღმერთმანი“ გამოვიყენე! ვინ ლაპარაკობს ასე? გონებაში მოულოდნელად „ბინძური ცეკვებიდან“ ის ადგილი ამომიტივტივდა, სადაც ბეიბი ამაყად ეუბნება ჯონს, ხელში ნესვი მიჭირავსო. ის სცენა სწრაფად ამოვიგდე თავიდან და შევეცადე, რამენაირად შეცდომა გამომესწორებინა, — სიამოვნებით... — „ჰო, იდიოტო, ეს ხომ უკვე თქვი, შეეცადე რამე სხვა მოიფიქრო“ — მაგრამ ვერ შევძლებ. მე... მმ... შაბათს სხვა გეგმები მაქვს.

არ იყო ცუდი პასუხი, გავიფიქრე. მართალია, სირენების გამო ვკიოდი, მაგრამ, მაინც ღირსეული პასუხი გავეცი. ორი დღით ადრე პაემანზე დათანხმება არ ღირდა და სულაც არ იყო საჭირო იმის თქმა, რომ შეყვარებული მყავდა, რა მისი საქმე იყო. განა ვტყუოდი?

— ანდრეა, მართლა არ გცალიათ, თუ იმის გეშინიათ, რომ შეყვარებულს არ მოეწონება, საღამოს სხვა მამაკაცთან თუ გაატარებთ? — უეჭველად გარკვევას ცდილობდა, მყავდა თუ არა შეყვარებული.

— ნებისმიერ შემთხვევაში, ეს თქვენ არ გეხებათ, — ძალით ვუპასუხე და საკუთარ თავზე გავლიზიანდი.

მესამე ავენიუ გადავკვეთე და შევამჩნიე, რომ ჩემი გზა არ იყო, თუმცა ამის შემჩნევამდე კინაღამ ფურგონმა დამარტყა.

— კეთილი. ამჯერად შეგეშვებით, მაგრამ შეხვედრას კიდევ გთხოვთ და მგონია, რომ შემდეგზე უკვე დაგითანხმებთ.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ოჰ, მართლა ასე გგონიათ? რა გაძლევთ ამის თქმის მიზეზს? — მისი თავდაჯერებულობა, რომელიც სექსუალურობას სძენდა, თანდათან ქედმაღლობაში გადაიზარდა. მთავარი ის იყო, რომ ასეთი საუბრისას მისი ხმა კიდევ უფრო მიმზიდველად ჟღერდა.

— წინათგრძნობა, ანდრეა, უბრალოდ, წინათგრძნობა. თქვენს პატარა ლამაზ თავს ამაზე ფიქრით ნუ აიტკივებთ და ნურც შეყვარებულის გამო იდარდებთ, უბრალოდ მეგობრულად დაგპატიჟეთ გემრიელი კერძების დასაგემოვნებლად და სასიამოვნო საზოგადოების გასაცნობად. ანდრეა, იქნებ ისიც, თქვენი შეყვარებულიც დავპატიჟო? ალბათ კარგი ბიჭია, სიამოვნებით გავიცნობდი.

„არა!" — კინაღამ ვიკივლე იმის გაფიქრებაზე, რომ მაგიდასთან ერთმანეთის პირისპირ ისხდებოდნენ. ამან შემზარა. ისინი რადიკალურად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, თუმცა თავის მხრივ ორივე არაჩვეულებრივი იყო. კრისტიანის წინაშე ალექსის გულუბრყვილობისა და წესიერების გამო თავს უხერხულად ვიგრძნობდი. კრისტიანი ალექსს ალბათ მიამიტ პროვინციელად ჩათვლიდა. მე კი შემრცხვებოდა, რომ ალექსი საკუთარი თვალით იხილავდა, თუ რამდენად მხიბლავდა კრისტიანის სტილი, თავდაჯერებულობა, საკუთარი თავისადმი ურყევი რწმენა. ჩემი მხრიდან მისი ასე დამცირება შეუძლებელი იყო.

— არა, — გამეცინა, უფრო სწორად, ძალით გავიცინე, რომ პასუხი რაც შეიძლება ბუნებრივად გამომსვლოდა, — არ მგონია, ეს კარგი იდეა იყოს. თუმცა დარწმუნებული ვარ, მასაც ესიამოვნება თქვენი გაცნობა.

ჩემთან ერთად გაიცინა, მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ დამცინავად.

— ანდრეა, უბრალოდ ვიხუმრე. დარწმუნებული ვარ თქვენი შეყვარებული, მაგარი ბიჭია, მაგრამ მისი გაცნობა დიდად არ მაინტერესებს.

— კარგი, გასაგებია. იმის თქმა მინდოდა, რომ ვიცი, თქვენ...

— ბოდიში, მაგრამ უნდა გავიქცე. დამირეკეთ თუ გადაიფიქრებთ, კარგი? შემოთავაზება ძალაშია. აბა, სასიამოვნო დღეს გისურვებთ, — და სანამ ვუპასუხებდი, გათიშა.

რა ჯანდაბა იყო ეს? ყველაფერი თავიდან გავაანალიზე: სექსუალურმა და ძალიან ჭკვიანმა მწერალმა საიდანლაც ჩემი

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მობილური ტელეფონის ნომერი გაიგო და იმისთვის დამირეკა, რომ შაბათ საღამოს სუპერპოპულარულ რესტორანში პაემანზე დავეპატიჟე? იმის თქმა გამიჭირდება, შეყვარებულის შესახებ წინასწარ ფლობდა თუ არა ინფორმაციას, მაგრამ ამ ამბით დიდად გაკვირვებული არ ჩანდა. ერთადერთი, რაც ზუსტად ვიცოდი, იყო ის, რომ მას ტელეფონით ძალიან დიდხანს ვესაუბრე. საათს რომ დავხედე, სადღაც ოცდაცამეტ წუთზე მეტი იყო, რაც ოფისიდან გამოვედი. ჩვეულებრივ ამ დროს უკვე ოფისში ვიყავი.

ტელეფონი ჯიბეში ჩავიდე და შევამჩნიე, რომ რესტორნის წინ ვიდექი. მასიური ხის კარი შევაღე. შევედი თუ არა, ჩაბნელებული სივრცის მყუდრო გარემოში აღმოვჩნდი. მიუხედავად იმისა, რომ იქაურობა სავსე იყო ბანკირებითა და იურისტებით, რომლებიც სადილად თავიანთ საყვარელ სტეიკებს შეექცეოდნენ, მათი ჩამიჩუმი არ ისმოდა, თითქოს ინტერიერის ფერთა გამა ისე შეერჩიათ, ჩქამსაც კი შთანთქავდა.

— ანდრეა! — გავიგონე აღფრთოვანებული სებასტიანის ხმა. ჩემკენ რვიანების ხაზვით გამოემართა, თითქოს ხელში სასიცოცხლო მნიშვნელობის წამალი მჭეროდა, — თქვენმა სტუმრობამ ისე გაგვახარა! მის უკან მდგარმა მოტკეცილ ნაცრისფერ ქვედაბოლოებიანმა ორმა გოგონამ მის ნათქვამზე თანხმობის ნიშნად თავი დააქნიეს.

— მართლა? და რატომ? — თავს ვერ ვიკავებდი, სებასტიანის გაღიზიანება მომწონდა. ის ისეთი მლიქვნელი იყო.

წინ გადმოიხარა და აღფრთოვანებული სახით მკითხა.

— როგორ? განა არ იცით, თუ როგორ სიხარულს ანიჭებს „სმით ენდ ვოლენსკის" მთელ პერსონალს ის ფაქტი, რომ მის პრისტლი ჩვენი რესტორნით სარგებლობს? „პოდიუმი" ხომ ისეთი არაჩვეულებრივი ჟურნალია! მისი გამაოგნებელი სტილი და ულამაზესი ფოტოები, არაფერს ვამბობ ფანტასტიკურად დაწერილ ლიტერატურულ სტატიებზე... ამ ჟურნალზე ყველანი ვგიჟდებით!

— ლიტერატურული სტატიები? — ვკითხე და თან ძალიან შევეცადე, არ გადამეხარხარა. თანხმობის ნიშნად თავი ამაყად დამიქნია და როდესაც ერთ-ერთი მიმტანი მას მხარზე შეეხო, მიტრიალდა და ჩანთა გამოართვა.

შეიძლება ითქვას, რომ სიხარულისაგან ყვიროდა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ინებეთ! შესანიშნავი მთავარი რედაქტორისთვის შესანიშნავად მომზადებული სადილი, რომელსაც მის ასევე შესანიშნავ თანაშემწეს გადავცემთ, — მითხრა და თვალი ჩამიკრა.

— გმადლობ, სებასტიან, ჩვენ ამას ძალიან ვაფასებთ, — ბამბის ჩანთაში (აი ისეთში, წარწერა რომ აქვს „ნიუ" და მანჰეტენზე ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სტუდენტები მხარზე გადაკიდებულს რომ დაატარებენ. თუმცა ჩემი ჩანთა ლოგოს გარეშე იყო) ჩავიხედე, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ ყველაფერი რიგზე იყო. საქონლის ხორცის შოტლანდიური ფილესისხლი კონტეინერიდან იღვრებოდა, უმი შესახედაობა ჰქონდა. არის. ორი ცალი ძალიან პატარა ზომის შემწვარი კარტოფილი ისეთი ცხელი იყო, ორთქლი ასდიოდა. არის. ერთი ცალი პატარა კონტეინერი კარტოფილის პიურეთი, კარაქში კარგად ადღვებილი ფაფუკი მასა. არის. ზუსტად რვა ცალი ერთი ზომისა და ფორმის სატაცური, რომელთაც დიდი და წვნიანი თავები ჰქონდა და ქათქათა თეთრი ბოლოები. ესეც არის. რკინის საკარაქე შიგნით კარაქით, სამარილე კოშერული მარილით და სტეიკის ხისტარიანი დანა, ასევე შრაშუნა ხელსახოცი თეთრი ზოლებით, რომელიც იმ დღეს ისე დაეკეცათ, რომ პლისექვედაბოლოს წააგავდა. ძალიან ლამაზი იყო. სებასტიანი ჩემგან რეაქციას ელოდა.

— სებასტიან, უბრალოდ შესანიშნავია! ისე შეეაქ, თითქოს პატარა ლეკვი ყოფილიყო, დღეს საკუთარ თავს გადააჭარბეთ!

სიხარულისაგან სახე გაუნათდა, შემდეგ თვალები ძირს დახარა:

— ძალიან დიდი მადლობა, თქვენ იცით, როგორ მიყვარს მის პრისტლი და ეს ჩემთვის დიდი პატივია, ხომ ხედებით...

— მისთვის სადილის მომზადება? მისი ნათქვამი დავამთავრე.

— ჰო, დიახ, სწორედ. თქვენ მიმიხვდით, რაც ვიგულისხმე.

— რა თქმა უნდა, სებასტიან. დარწმუნებული ვარ, ძალიან მოეწონება. — ჩემი გული ვერ გაუძლებდა მისთვის მეთქვა, რომ მისვლისთანავე ამოვალაგებდი კონტეინერებიდან მის „ქმნილებებს", რადგან მირანდა, რომელსაც ასე ალმერთებდა, ხელსახოცს, — სინამდვილეში ხელსახოცს სულ არ ჰგავდა, და

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მნიშვნელობა არ ჰქონდა ბოულინგის ჩანთის ფორმა ჰქონდა თუ მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის — უბრალოდ სახეში მიუგდებდა. ჩანთა მკლავზე გადავიკიდე და ის-ის იყო, წასასვლელად შევტრიალდი, რომ ტელეფონმა დამირეკა.

სებასტიანი იმ იმედით მომაშტერდა, რომ გაეგო, შემთხვევით მისი სიყვარულის ობიექტი ხომ არ მირეკავდა. იმედი არ გაუცრუვდა.

— ემილი, შენ ხარ? ემილი, თქვენი არ მესმის! — მირანდას გაცოფებული ხმა გავიგონე.

— გისმენთ, მირანდა. დიახ, ანდრეა ვარ, — მშვიდად ვუპასუხე, მისი სახელის გაგონებაზე სებასტიანს კინაღამ გული წაუვიდა.

— ანდრეა, შემთხვევით ჩემს სადილს თქვენ ხომ არ ამზადებთ? ჩემს საათს თუ დავუჯერებთ, სადილი ოცდათხუთმეტი წუთის წინ გთხოვეთ. მე ვერ მოვძებნე ერთი მიზეზიც — ცხადია, იმის გამო არა, რომ სამუშაოს კარგად ასრულებთ — თუ რატომ არ დევს სადილი ახლა ჩემ წინ. შეგიძლიათ ამიხსნათ? — „უმნიშვნელო მილწევა! ამჯერად სახელით მომმართა, მაგრამ ზეიმისაგან შორს ვართ!"

— აჰ, მმ, იცით, ძალიან ვწუხვარ, რომ ასე დამაგვიანდა. რაღაც გაუგებრობა იყო...

— წვრილმანები არ მაინტერესებს, გესმით?

— დიახ, რა თქმა უნდა, მესმის, მალე ვიქნები...

— იმის სათქმელად გირეკავთ, რომ სადილი მინდა და ის ახლავე მინდა. ნიუანსების დრო არ მაქვს, ემილი. ჩემი. სადილი. მინდა. ახლავე! — გამოცრა და გათიშა. ხელები ისე ამიცახცახდა, რომ ტელეფონი გამივარდა და უეცრად მომეჩვენა, რომ მისგან დარიშხანი ჟონავდა.

სებასტიანს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, იფიქრებდი, სადაცაა, გული წაუვაო. ძირს დაიხარა, ტელეფონი აიღო და მომაწოდა.

— ანდრეა, ჩვენითაა უკმაყოფილო? იმედია, არ ფიქრობს, რომ ჩვენ რამით დავალალატეთ? ანდრეა, ჩვენზეა ნაწყენი? — ტუჩები აუკანკალდა და შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. უცებ მომინდა, რომ შემზიზღებოდა ზუსტად ისე, როგორც მირანდა მეზიზღებოდა, მაგრამ პირიქით, ძალიან შემეცოდა. „რატომ დარდობდა ასე მირანდაზე, ერთი შეხედვით უბრალო, თუმცა

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

სრულიად არაჩვეულებრივი ადამიანი? რატომ სურდა, რომ როგორმე მისთვის ესიამოვნებინა, შთაბეჭდილება მოეხდინა ან სურვილები აესრულებინა? იქნებ აჯობებდა ჩემი ადგილი მისთვის დამეთმო, რადგან უეცრად იქიდან წამოსვლა გადავწყვიტე. დიახაც, აი, ასე. უბრალოდ შევიდოდი და განცხადებას დავწერდი. ვინ ჯანდაბა მოითმენდა მის ასეთ გამოხდომებს? ვინ მისცა ჩემთან ან სხვა ნებისმიერთან ასე ლაპარაკის უფლება? თანამდებობამ? ძალაუფლებამ? ავტორიტეტმა? თუ ამ ოხერმა „პრადამ"? იქნებ გამაგებინოთ, სად გაგონილა, ადამიანს ასე ცუდად ეპყრობოდე?"

ხელმოსაწერად გამზადებული ქვითარი დახლზე იდო, „ელიას-კლარკი" მორიგ ოთხმოცდათხუთმეტ დოლარს იხდიდა. ხელი ისე გაკვრით მოვაწერე, კაციშვილი ვერ გაიგებდა, ხელმომწერი მე ვიყავი, მირანდა თუ მაჰათმა განდი, მაგრამ იმ მომენტში ჩემთვის ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ჩანთას ხელი ვტაცე, ტერმინს „სადილის ხორცი" სხვა მნიშვნელობაც მივანიჭე, საწყალი სებასტიანი უპასუხოდ, უმწეოდ დავტოვე, გარეთ გავვარდი, მაშინვე ტაქსიში ჩავხტი და ასაკოვანი კაცი კინალამ წავაქციე. მობოდიშებისთვის დრო არ მქონდა, სამსახურში მელოდნენ. მძღოლმა სასწაული მოახდინა და პიკის საათში რამდენიმე კვარტალი ათ წუთში გამატარა. ოცდოლარიანი გავუწოდე, რომ მქონოდა, ორმოცდაათიანსაც მივცემდი და „ელიას-კლარკისთვის" რამეს მოვიფიქრებდი, მაგრამ საფულეში მსგავსი კუპიურა არ მედო. მძღოლმა სწრაფად დაიწყო ხურდის ძებნა, მე კი არც დაველოდე, ისე გადმოვხტი და კარი მივუხურე. ვიფიქრე, უმჯობესი იქნებოდა, თავის პატარა გოგონას თუ დაახარჯავდა ან ცხელი წყლის გამათბობელს შეაკეთებდა, შეეძლო რამდენიმე კათხა ლუდიც ეყიდა ქვინსის[58] ტაქსოპარკში. დარწმუნებული ვიყავი, ის ამ ფულს „სტარბაქსის" ყავაზე უკეთეს რამეში დახარჯავდა.

შენობაში შევვარდი და კუთხეში მდგომი „კლარკერების" გაოცებულ მზერას ყურადღება არ მივაქციე. დავინახე, რომ „ბერგმანის" ლიფტიდან ბენჯი გამოვიდა, მაგრამ სწრაფად ვაქციე ზურგი, რომ მასთან საუბარში დრო არ დამეხარჯა. ბარათი გავატარე და ტურნიკეტის კარის გაღება ფეხით ვცადე. ჯანდაბა! მას თეძო ისე მივარტყი, რომ ვიცოდი, რამდენიმე წუთში იმ ადგილას დიდი სილურჯე მექნებოდა. ავიხედე და ჩემ

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნინ პუტკუნა, ოფლიან სახეზე თეთრი კბილების ორი მწკრივი დავინახე. ედუარდო. ალბათ მეხუმრებოდა. შეუძლებელი იყო! გაბრაზებული მზერით ვუთხარი: „ვერ ელირსები!", მაგრამ არ გაჭრა. მისთვის თვალი არ მომიცილებია, ისე გადავინაცვლე მეორე რიგში, დანადგარში ბარათი ელვის სისწრაფით გავატარე და კარისკენ გავექანე. მოახერხა და კარი ცხვირწინ ჩამიკეტა, შემდეგ კი ჩემს ყოფილ რიგში მდგარი „ელიასკლარკერები" სათითაოდ გაატარა. სულ ექვსი კაცი, მე კი ისეთი იმედგაცრუებული ვიყურებოდი, რომ ტირილი მინდოდა.

ედუარდოს იმ დღეს თანაგრძნობის ნატამალი არ გააჩნდა.

— გოგონი, ასე ნუ იცქირები. ამას შენს სატანჯველად კი არა, გასამხიარულებლად ვაკეთებ. ახლა კი, ყურადღებით! „მგონი, მარტო დავრჩით... ირგვლივ არავინ ჩანს... მგონი, მარტო დავრჩით... მხოლოდ ჩვენი გულების ფეთქვა ისმის."

— ედუარდო! ამაზე რა, უნდა ვიცეკვო? ამ სისულელისთვის ახლა არ მცალია!

— კარგი, კარგი, ნუ იცეკვებ, მხოლოდ იმღერე. მე დავიწყებ, შენ დაამთავრე. „ბავშვებო, წესიერად! აი რას ამბობენ ჩვენზე, როდესაც ერთად ვართ. შენ თამაშობ და მათ კი არ ესმით და ჩვენ..."

ვიფიქრე, თუ ოდესმე ზემოთ ავიდოდი, განცხადების დაწერა ალარ მომიხდებოდა, ისინი თავად დამითხოვდნენ. ამიტომ გადავწყვიტე, არაფერი დაშავდებოდა თუ ვინმეს გავამხიარულებდი.

— „დავრბივართ სწრაფად... — გავაგრძელე — ხელიხელჩაკიდებულები მივქრით ღამე, შემომხვევ ხელებს და ჩვენც ვეცემით, მერე კი ამბობ..." — როცა დავინახე, რომ ის დეგენერატი მიკი, პირველ დღეს რომ გავიცანი, მოყურადებული იყო, ედუარდოსკენ გადავიხარე. სიმღერა ახლა უკვე მან გააგრძელა: „მგონი, მარტო დავრჩით... ირგვლივ არავინ ჩანს... მგონი, მარტო დავრჩით... მხოლოდ ჩვენი გულების ფეთქვა ისმის." ახარხარდა და ხელი ამიწია. ხელი ხელზე დავარტყი და ტურნიკეტის ბზუილის ხმაც გავიგონე.

— გემრიელად მიირთვი, ენდი! — სიცილით მომაძახა.

— შენც, ედუარდო! შენც!

ლიფტით მგზავრობამ მშვიდად ჩაიარა. ოფისის შესასვლელთან სამსახურიდან წასვლა გადავიფიქრე. ასეთ ნაბ-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

იჯს მოუმზადებელი ვერ გადავდგამდი. მირანდა ალბათ შემომხედავდა და მეტყოდა: „არა, ვერ გაგათავისუფლებთ“ — და რას ვეტყოდი ამაზე? მხოლოდ ერთი წელი, ტანჯვა-წამების მხოლოდ და მხოლოდ ერთი წელი! თორმეტი თვე, ორმოცდა-თორმეტი კვირა და სამას სამოცდახუთი დღე უნდა გამეძლო ამ სანაგვეში მუშაობისთვის და მერე იმას გავაკეთებდი, რაც მომეპრიანებოდა. მოთხოვნებით ლაპარაკი ჭკვიანური არ იქ-ნებოდა, გარდა ამისა, სხვა სამსახურის ძებნისთვის ძალზე დაღლილი ვიყავი. მეტი რომ არ შეიძლებოდა, ისეთი დაღლილი.

ოთახში რომ შევედი, ემილიმ ამომხედა.

— მალე დაბრუნდება. მისტერ რავიცის ოფისში შევიდა რამდენიმე წუთით. ანდრეა, კარგი რა, ამდენი ხანი სად იყავი? ძალიან კარგად იცი, რომ როდესაც იგვიანებ, მე მეკითხება, სად დადიხარ და რა პასუხი გავცე? ვუთხრა, რომ ყავის მოტანის ნა-ცვლად სიგარეტს ეძაჩები ან სადილის ნაცვლად შეყვარებულს ელაპარაკები ტელეფონზე? ანდრეა, ცუდად იქცევი, უბრა-ლოდ, არ ხარ მართალი, — მითხრა და მორჩილი გამომეტყვე-ლებით ისევ კომპიუტერს მიუბრუნდა.

რა თქმა უნდა, მართალი იყო. უსამართლოდ ვექცეოდი საკუთარ თავს, მას და სხვა ნებისმიერ ადამიანს. თავი ძალიან ცუდად ვიგრძენი, რომ ემილის სამუშაოს ასე ვურთულებდი, რადგან ოფისიდან დასასვენებლად და მოსადუნებლად გას-ვლის შემდეგ ყოველ დაგვიანებულ წუთზე მირანდას ყურა-დღება ემილიზე გადაჰქონდა. დავიფიცე, რომ ჩემს პასუხისმ-გებლობებს უფრო მონდომებით მოვეკიდებოდი.

— ყველაფერში მართალი ხარ, ემ და ბოდიშს გიხდი. უფრო სერიოზულად მივხედავ საქმეებს, გპირდები. — გულწრფელად გაოცებულმა შემომხედა, რაც ცოტათი მესიამოვნა კიდეც.

— ანდრეა, მადლობელი დაგრჩებოდი. ჩემზე უკეთ არავინ იცის შენი სამუშაო, სულ ცოტა ხნის წინ შენს ადგილზე მე ვიყა-ვი და კარგად ვიცი, რამდენად ძნელია. დამიჯერე, მისთვის ყა-ვის მოსატანად გადაუღებელ თოვლსა და წვიმაში ხუთჯერ, ექ-ვსჯერ ხანდახან შვიდჯერაც კი გავსულვარ. ისე ვიღლებოდი, რომ განძრევის თავი აღარ მქონდა. ასე რომ, ზუსტად ვიცი, რა სამუშაოს ასრულებ! ხანდახან მხოლოდ იმისთვის მირეკავდა, რომ არ ახსოვდა ლატე ან სადილი სად ედო, ხანაც კი იმის გა-გება სურდა, კბილის პასტა „განსაკუთრებულად მგრძნობიარე

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ღრძილებისთვის“ სად დადო და მის მოსაძებნად მგზავნიდა. თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ ღრძილები მაინც ჰქონდა მგრძნობიარე. ამ დროს მე ჯერ ისევ სამსახურში ვიყავი, გარეთ ფეხიც კი არ მქონდა გადგმული! მაგრამ ის ასეთია, ენდი. აქ ასეა ყველაფერი აწყობილი. ნუ ეწინააღმდეგები, თორემ გადაიწვები. ასე რომ იქცევა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცუდი ადამიანია, ამას გაუთვითცნობიერებლად აკეთებს. ის უბრალოდ ასეთია.

თავი თანხმობის ნიშნად დავუქნიე, მაგრამ ამ აზრთან შეგუება მაინც მიჭირდა. მართალია, სხვაგან არ მემუშავა, მაგრამ იმის დაჯერება მაინც მიჭირდა, რომ სხვა უფროსებიც ასე ექცეოდნენ ხელქვეითებს. იქნებ ვცდებოდი?

ჩანთა მაგიდაზე დავდე და მირანდას სადილის ამოლაგება-გამზადებას შევუდექი. ცხელი კონტეინერებიდან ყველაფერი სათითაოდ ამოვალაგე და ფაიფურის თეფშებზე დავაწყვე (იმედი მქონდა, რომ გემოვნებით). ვალაგებდი და მხოლოდ პერიოდულად ვჩერდებოდი ცხიმიანი ხელების ვერსაჩეს შარვალზე შესახოცად, რომელიც ქიმწმენდაში ჯერ კიდევ არ გამეგზავნა. ყველაფერი ტექტონის ხისგან დამზადებულ ლანგარზე განვათავსე. გვერდით საკარაქე, სამარილე და ზოლებიან, თეთრ ხელსახოცში (რომელიც უკვე პლისექვედაბოლოს აღარ ჰგავდა) გახვეული ვერცხლის დანა-ჩანგალი მივუწყვე. არტისტულ შედევრს სწრაფად შევავლე თვალი და აღმოვაჩინე, რომ „პელეგრინო“ დამვიწყებოდა. ჯობდა ავჩქარებულიყავი, რადგან ოფისში ნებისმიერ წუთს შემოაბიჯებდა. მინისამზარეულოში შევვარდი და მუჭით ყინულების ნატეხები ავიღე, თან ხელებს სულს ვუბერავდი, რომ არ გამყინვოდა. ძალიან გამიჭირდა, არ გამელოკა, იქნებ სჯობდა, ასეც მოვქცეულიყავი? არა, არა, ამაზე მაღლა უნდა ვმდგარიყავი. „საჭმელში არ ჩაუფურთხო და არც ყინულის ნატეხები გალოკო!“ — გავუმეორე საკუთარ თავს.

ოფისში შევედი, მაგრამ ის ჯერ არ დაბრუნებულიყო. ერთადერთი ის დამრჩენოდა, რომ ბოთლიდან წყალი ჭიქაში ჩამესხა და ნატიფად გაწყობილი ლანგარი მის სამუშაო მაგიდაზე მომეთავსებინა. როცა დაბრუნდებოდა, სიხარულისაგან შეხტებოდა და თავის ვეებერთელა მაგიდას ენთუზიაზმით მიუჯდებოდა, შემდეგ ვინმეს კარს მიახურვინებდა და მთელი ერთი

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

საათით ტელეფონით ყრუ-მუნჯ მამიკოსთან ილაქლაქებდა. ამასობაში ჩვენი სადილობის დროც დადგებოდა! ერთ-ერთი ჩვენგანი სასადილოში ჩაქანდებოდა და პირველივეს, რაც ხელში მოხვდებოდა, იყიდდა. შემდეგ უკანვე ამოქანდებოდა, რათა საჭმლის საყიდლად მეორეს შესძლებოდა გაქცევა. თუ შემთხვევით მირანდა ოფისიდან მოულოდნელად გამოვიდოდა, საჭმელს მაგიდის ქვეშ ან კომპიუტერის ეკრანის უკან დავმალავდით. „პოდიუმში" ერთი დაუწერელი კანონი არსებობდა — მირანდა პრისტლის თანდასწრებით არც ერთი თანამშრომელი არ ჭამდა. წერტილი.

ჩემი საათის მიხედვით სამის თხუთმეტი წუთი იყო. კუჭმა თავი შემახსენა, სადილი იგვიანებდა. დილით ყავის საყიდლად რომ გავედი, შოკოლადის ფუნთუშა ვჭამე, მას შემდეგ კი შვიდი საათი გავიდა. ისე მშიოდა, მზად ვიყავი, ჩემი უფროსის შოტლანდიური ფილეც კი მეჭამა.

— ემ, შიმშილისგან გული მიმდის. სასადილოში ჩავირბენ და რამეს ავიღებ. შენც წამოგიღო?

— ხომ არ გააფრინე? მისთვის ჯერ სადილი არ შეგიტანია, ნებისმიერ წუთში დაბრუნდება.

— სერიოზულად გეუბნები. მართლა ცუდად ვარ. მოცდა ძალიან მიჭირს, — უძილობა და სისხლში შაქრის დაბალი შემცველობა ერთად თავბრუსხვევის შეგრძნებას მაძლევდა. იმედი არ მქონდა, რომ რაც უნდა მალე დაბრუნებულიყო, მისთვის ლანგრის შეტანას შევძლებდი.

— ანდრეა, იაზროვნე! როგორ ფიქრობ, რა მოხდება, შემთხვევით ლიფტში ან მისაღებში რომ შეეფეთო? მიხვდება, რომ ოფისში არ ხარ და გადაირევა! ასეთ რისკზე წასვლა არ ღირს. ერთი წამით დამელოდე, მე მოგიტან რამეს, — მითხრა, საფულეს ხელი სტაცა და ოფისიდან გავარდა. ოთხ წამში დავინახე, მირანდა ჩემკენ დერეფანში მოაბიჯებდა. მისი მოლუშული სახის დანახვაზე შიმშილი, დაღლილობა და თავბრუსხვევა მყისიერად გამიქრა. ადგილიდან წამოვფრინდი და ლანგარი მაგიდაზე დავუდე, შემდეგ ადგილზე დავბრუნდი და დავჯექი თუ არა, თავბრუ ისევ დამესხა, პირი გამიშრა და ორიენტაცია დავკარგე — „ჯიმი ჩუს" ჩექმებმა ოფისის ზღურბლი გადმოჰკვეთა. ჩემკენ არც კი გამოუხედავს, მადლობა ღმერთს! როგორც ჩანს, შენიშნა, რომ ამჯერად ნამდვილი ემილი იყო

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

გასული. ისეთი წარმოდგენა შემექმნა, რომ მისტერ რავიცთან შეხვედრას კარგად არ უნდა ჩაევლო ან შესაძლებელია, იმაზე ყოფილიყო გაბრაზებული, რომ მისტერ რავიცი თავად არ ეახლა ოფისში და ამიტომ მირანდას მოუხდა იქ მიბრძანება. მისტერ რავიცი ჯერჯერობით ერთადერთი პიროვნება ჩანდა, ვის აზრსაც ის ანგარიშს უწევდა.

— ან-დრ-ეა! ეს რა არის? ღვთის გულისათვის, ამიხსენით, ეს რა ჯანდაბაა?

სკამიდან წამოვხტი და წამში მის მაგიდასთან გავჩნდი, ორივემ მაგიდაზე დავიხედეთ და იმ კერძებს შევხედეთ, რომელსაც მირანდა, ჩვეულებრივ, სადილობისას მიირთმევდა (ცხადია მაშინ, როცა რესტორანში არ მიდიოდა). გონებაში სწრაფად გადავამოწმე ყველაფერი. შემთხვევით რამე ხომ არ აკლდა, ხომ ყველაფერი თავის ადგილზე იდო, კერძიც ხომ სწორად იყო მომზადებული, — მაგრამ გავიგე, რა სჭირდა?

— მმ... ეს... ა... იცით, ეს თქვენი სადილია, — ვუპასუხე მშვიდად, თან ძალიან შევეცადე სარკასტული პასუხი არ გამომსვლოდა, ეს კი ძალიან ძნელი იყო, რადგან ნათქვამი ასე ისმოდა: „რამე შემეშალა?"

ჩემს პასუხზე პირი ოდნავ გააღო, ზედა ტუჩი ასწია და იმ წუთებში მომეჩვენა, რომ თავისი ბასრი ეშვები დამანახვა.

— რამე შემეშალა? — ხმა დაიწვრილა და გამაჯავრა. მინდა გითხრათ, ჩემს ხმას არ ჰგავდა, საერთოდ ადამიანისას არ ჰგავდა. თვალები მოჭუტა, ჩემკენ გადმოიხარა და მხოლოდ მას რომ სჩვეოდა, ისეთი ხმით მითხრა.

— დიახაც, შეგეშალათ. რაღაც ძალიან, ძალიან შეგეშალათ. გეკითხებით, რატომ შემომიტანეთ ეს და მაგიდაზე რატომ დამიდგით?

მთელი გონებით ვცდილობდი, მისი ეს ახალი რებუსი გამომეცნო. რა სჭირდა ამ ქალს? ვითომ რატომ არ უნდა შემეტანა სადილი ლანგრით და მის მაგიდაზე არ დამედო? მხედველობაში თუ მივიღებთ იმას, რომ ერთი საათის წინ ცხრაჯერ მაინც დამირეკა, სადილი მომიტანეო, ახლა, რა, აღარ უნდოდა? მაგრამ მის შეკითხვაზე სხვა ვერსია არ გამაჩნდა. იქნებ ლანგარზე რომ ელაგა, ის არ მოეწონა? შეუძლებელია: ათასჯერ მაინც მიმირთმევია ასე სადილი და ამის გამო ერთხელაც არ უსაყვედურია. შემთხვევით ხორცის არასასურველი ნაჭერი ხომ არ

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩაუდეს? არა, სწორედ ის ნაჭერი იყო. ერთხელ, რესტორანმა მისთვის ნერწყვისმომგვრელი ფილე გამომიგზავნა, იფიქრეს, შოტლანდიურზე უფრო მეტად მოეწონებოდა, მაგრამ მირანდამ რომ დაინახა, ისე გაცხარდა, იფიქრებდი, საცაა ინფარქტს მიიღებსო, რესტორანში დამარეკვინა, თვითონ თავზე მადგა და დამკიოდა, მაიძულა, პირადად შეფმზარეულისთვის სიტყვასიტყვით გადამეცა, თუ რამდენად აღშფოთებული იყო მისი თვითნებობით.

— ძალიან ვწუხვარ, მის, მთელი გულითა და სულით, — საწყლად მითხრა მთელ სამყაროში ყველაზე კეთილი ხმის პატრონმა, — სიმართლე გითხრათ, ვიფიქრე, რადგან მისის პრისტლი ჩვენი საუკეთესო კლიენტია, საფირმო კერძი ესიამოვნება-მეთქი. ქვითარში ზედმეტი თანხა არც კი შემიტანია, ამაზე არ იდარდოთ. პირობას გაძლევთ, მსგავსი რამ აღარ განმეორდება, — კინაღამ ვიტირე, როდესაც მირანდამ მიბრძანა მისთვის გადამეცა, რომ შეფმზარეულის ადგილს მეორეხარისხოვანი ბისტროს გარდა ვერც ერთ პრესტიჟულ რესტორანში ვერ ელირსებოდა. ძალიან გამიჭირდა, მაგრამ მისი ბრძანება მაინც შევასრულე. საწყალმა კაცმა კი, კიდევ ერთხელ მოიბოდიშა და მირანდას ყოველ სიტყვას უპროტესტოდ დაეთანხმა. იმ დღიდან მოყოლებული, მას მხოლოდ სისხლიან შოტლანდიურ ფილეს უმზადებდნენ. ხორცი წესრიგში იყო და ამიტომ წარმოდგენა არ მქონდა, ახლა რაზე მსაყვედურობდა.

— ან-დრ-ეა. მისტერ რავიცის თანაშემწემ არ გადმოგცათ, რომ რამდენიმე წუთის წინ იმ საშინელ სასადილოში მე და მან ერთად ვისადილეთ? — მშვიდად მკითხა, თითქოს ცდილობდა, თავი ხელში აეყვანა და კონტროლი არ დაეკარგა. „რა ქნა? — სირბილი, სებასტიანის სისულელეები, მისი გაცოფებული ზარები, ოთხმოცდათხუთმეტი დოლარის ხარჯი, „ტიფანის" სიმღერა, სადილის განწყობა, მისი დაბრუნების მოლოდინში თავბრუსხვევისა და შიმშილის თმენა, შემდეგ კი მისთვის სადილის მირთმევა — და ამ ყველაფრის შემდეგ შემოდის და მეუბნება, რომ უკვე ისადილა?"

— აჰ, არა, მას არ დაურეკავს. ანუ აღარ სადილობთ? — ვკითხე და თან ლანგარზე ვანიშნე.

ისე შემომხედა, თითქოს საკუთარი შვილის შეჭმა შემეთავაზებინა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— თქვენი აზრით, ემილი? — ჯანდაბა! აქამდე სახელით მომმართავდა!

— ჩემი აზრით, აა... ალბათ, აღარ გენდომებათ.

— რა ალმოჩენაა თქვენი მხრიდან, ემილი! პირდაპირ ძალიან გიმართლებს, ასეთი ჭკვიანი რომ მყავხართ. ახლა კი, ეს აქედან მოგაცილეთ. შემდეგში მსგავსი რამ აღარ განმეორდეს. სულ ეს არის.

სწრაფად ჩემს ფანტაზიაში წარმოვიდგინე ზუსტად ისე, როგორც ფილმებში, ერთი ხელის მოსმით თუ როგორ მოვიფრიალებდი მაგიდიდან მის სადილს. ის კი შოკირებული მომაშტერდებოდა და მსგავსი უხეში ლაპარაკის გამო მომიბოდიშებდა, მაგრამ რეალობაში მაგიდაზე მისმა ფრჩხილების კაკუნმა დამაბრუნა და მეც ლანგარი სწრაფად ავიღე და ოფისიდან გამოვედი.

— ან-დრ-ეა, კარი გაიხურეთ! საკუთარ თავთან მარტო დარჩენა მჭირდება! — გამოსვლისას მომაძახა. ალბათ, სტრესული შეხვედრის შემდეგ საკუთარ მაგიდაზე ასეთი გემრიელი სადილის დანახვამ მისი ხასიათის გაფუჭება გამოიწვია.

გამოვედი თუ არა, ჩვენს ოთახში ემილი შემოვიდა, ჩემთვის დიეტური „კოლა" და ქიშმიშის შეკვრა ეყიდა. „წესით, ეს სადილის შემდეგ სასუსნავი უნდა ყოფილიყო და არა სადილი. ვის გაუგონია ქიშმიშში ცხიმის კალორიები ან შაქარი?" მირანდას ბოლო ბრძანება რომ გაიგო, სასწრაფოდ მისი ოფისის კარის დასაკეტად გაექანა და გზად ქიშმიშის შეკვრა თავის მაგიდაზე დააგდო.

— რა მოხდა? — ჩურჩულით მკითხა, თან ხელუხლებელი ლანგარი შეათვალიერა, რომელიც ჩემს მაგიდასთან ადგილზე გაქვავებულივით ხელში მეჭირა.

— ოჰ, ჩვენს ტურფას უკვე უსადილია, — სისინით ვუპასუხე, — და ახლახან საყვედურებით შემამკო იმის გამო, რომ ვერ გამოვიცანი, ვერ ვიწინასწარმეტყველე და შიგ თავში ვერ ჩავხედე — შიოდა თუ არა!

— ხუმრობ, არა? — მკითხა მან, — იმის გამო გაგთათხა, რომ მისი სადილის მოსატანად გავარდი, როგორც ეს თავად გიბრძანა, და შემდეგ იმაზე გაბრაზდა, რომ სხვაგან ისადილა და შენ ეს არ იცოდი? ეგ ძუკნა!

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. ემილიში ეს ფენომენალური ცვლილება იყო, რადგან ლექციების წაკითხვის ნაც-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვლად, რომელიც ყოველთვის — „უბრალოდ ვერ ვხვდები, რა გჭირს" — ფრაზით მთავრდებოდა, ჩემი მხარე დაიჭირა. მაგრამ ნუ მოტყუვდებით! ეს იმდენად დაუჯერებელი იყო, რომ არ შეიძლებოდა სიმართლე ყოფილიყო, თითქოს მზე გამქრალიყო და მისგან ცას მხოლოდ ვარდისფერი და ცისფერი ზოლებილა შერჩენოდა! ემილის გაბრაზებული სახე თანდათან შეეცვალა. „პოდიუმის" პარანოია დაუბრუნდა.

— გახსოვს, ანდრეა, ადრე რაზე გელაპარაკე? — აჰა, ისიც. პარანოიამ თორმეტ საათს მიუკაკუნა, — ამას იმიტომ არ აკეთებს, რომ განყენინოს. უბრალოდ, მას იმდენად მნიშვნელოვანი სამუშაო და მაღალი თანამდებობა აქვს, რომ ჩვენზე ფიქრით თავს ვერ დაიღლის. ასე რომ, ნუ ეწინააღმდეგები. გადაყარე საჭმელი და ჩვეულ რიტმში გავაგრძელოთ, — მითხრა და მკაცრი გამომეტყველებით კომპიუტერისკენ შეტრიალდა. ზუსტად ვიცოდი, ნერვიულობდა, მირანდამ ჩემს საუბარს ყური ხომ არ მოჰკრაო, ნერვიულობდა იმის გამო, რომ ნებისყოფამ უმტყუნა, სახეზე გაწითლებული და საკუთარ თავზე გაბრაზებული ჩანდა. აზრზე არ ვიყავი, ამდენისთვის როგორ გამეძლო.

გავიფიქრე, სტეიკი თვითონ ხომ არ მეჭამა, მაგრამ მერე გამახსენდა, რომ ის მირანდას მაგიდაზე იდო და გული ამერია. ლანგარი სამზარეულოში გავიტანე და დანა-ჩანგლის, „ბაკარას" ჭიქის, ზოლიანი ხელსახოცის, სამარილის, საკარაქისა და ფაიფურის თეფშების გარდა ყველაფერი ნაგვის ურნაში ჩავუშვი, ყველაფერი გადავყარე. რა აზრი ჰქონდა, ხვალ იმავეს შევუკვეთდი, ის კი, თავისი ხუშტურისამებრ, იმავეს გაიმეორებდა.

„დრინქლენდში" რომ მივედი, ალექსი — შეწუხებული, ხოლო ლილი მთვრალი ჩანდა. გონებაში გავიფიქრე, იქნებ ალექსს ვინმემ უთხრა, რომ სახელგანთქმულმა, ჩემზე უფროსმა, მაგრამ ამავე დროს სრულიად ხისთავიანმა ბიჭმა პაემანზე დამპატიჟა. ნეტა იცოდა? იქნებ იგრძნო? ღირდა კი მისთვის ამის თქმა? არა, ასეთი წვრილმანის მისთვის მოყოლა საჭირო არ იყო. იმის აღიარებას ხომ არ ვაპირებდი, რომ სხვა ბიჭი მომეწონა? ასე რომ, მოსაყოლი არაფერი იყო, რადგან ეს კარგს არაფერს მომიტანდა.

— გამარჯობა, ფეშენგოგონავ! — ჯინ-ტონიკის აწევით მომესალმა ლილი და სასმელი ჯემპრზე ისე დალვარა, რომ ვერც

www.PDF.ChiaturaINFO.GE Scanned by CamScanner

შეამჩნია, — თუ ჯობს ამიერიდან ოთახის მეზობელი გიწოდო? მიდი, დალიე. ეს სადღეგრძელო უნდა დავლიოთ! — მაგრამ „სადღეგრძელოს“ ნაცვლად „სად-ღღ-ეგრძელო“ უფრო გამოუვიდა. ალექსს ვაკოცე და გვერდზე მივუჯექი.

— დღეს უმაგრესად გამოიყურები! — მითხრა და ჩემს „პრადურ“ ჩაცმულობას შემფასებლურად შეავლო თვალი, — ასე როდის შეიცვალე?

— ოჰ, დღეს. ზუსტად მას მერე, რაც განმიცხადეს, რომ ჩემი ჩაცმულობა სამსახურს დამაკარგვინებდა. საკმაოდ დამამცირებლად ჟღერდა, მაგრამ უნდა გამოვტყდე, ყოველდღე ასეთი კარგი ხარისხის ტანსაცმლის ტარება არც ისე ცუდია.

— მისმინეთ, ბავშვებო, ძალიან ვწუხვარ, რომ ასე დავიგვიანე. წიგნს საუკუნე ველოდი და ბოლოს, როცა მირანდას მივუთრიე, კუთხის მაღაზიაში რეჰანის ყიდვა დამავალა.

— მეგონა, მზარეული ჰყავდა, — მკითხა ალექსმა, — ის რა, ვერ იყიდდა?

— მას არა მარტო მზარეული ჰყავს, არამედ ეკონომიც და ძიძაც, მაგრამ სუნელებისა და საკაზმების ყიდვა მე რატომ დამავალა, ახლაც ვერ ვხვდები. ძალიან გავბრაზდი, როცა აღმოჩნდა, რომ რეჰანი არც კუთხის მაღაზიაში ჰქონდათ, არც — მედისონ ავენიუზე და არც — პარკ ავენიუზე. ლეგსინგტონ ავენიუმდე ჩასვლა მომიხდა, მაგრამ რა თქმა უნდა, ვერც იქ ვიყიდე. ფეხით ავუყევი აღმართს, ცხრა კვარტალი გავიარე, სანამ „დე' აგოსტინოს“ არ შევეფეთე და საბოლოოდ იქ ვიყიდე, ამასობაში ორმოცდათხუთმეტი წუთი დავკარგე, მგონი, ჯობდეს, ამ წყეული სუნელების ნაკრები ვიყიდო და თან ვატარო. აქვე მინდა გითხრათ, რომ ამიერიდან უფრო მომზადებული ვიქნები, შემთხვევით რეჰანს თუ მოისურვებს. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რამდენი საჭირო რამ ვისწავლე ამ ჟურნალში! რედაქტორობამდე არაფერი მიკლია! — მათ ყველაფერი ენთუზიაზმით მოვუყევი.

— შენს მომავალს გაუმარჯოს! — წამოიძახა ლილიმ, ალბათ იმიტომ, რომ ჩემს მონათხრობში სარკაზმის ნატამალი ვერ შეამჩნია.

— ზედმეტი მოუვიდა, — მითხრა მშვიდად ალექსმა, თან ისე უყურებდა, როგორც საავადმყოფოში, მძიმე მდგომარეობაში მყოფ შორეულ ნათესავს, — მაქსთან ერთად დროზე მოვედი,

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ის დიდხანს არ გაჩერებულა, მაგრამ მგონი, ლილიმ მოსვლა გაცილებით დაგვასწრო ან ძალიან მალე თვრება.

ლილის ყოველთვის უყვარდა სმა და ეს უცნაური სულაც არ იყო, რადგან მას ყველაფერი უყვარდა. პირველმა მოსნია მარიხუანა საშუალო სკოლაში, პირველმა დაკარგა ქალწულობა დამამთავრებელ კლასებში და ასევე პირველმა განიცადა პარაშუტიდან ხტომის ექსტრემალური შეგრძნება უნივერსიტეტში სწავლისას. მიუხედავად იმისა, უყვარდათ თუ არა ლილი სხვებს, მას ყველა და ყველაფერი უყვარდა, რადგან ის თავს ცოცხალ არსებად გრძნობდა.

— არ მესმის, როგორ უნვები მას, როცა იცი, რომ თავის შეყვარებულთან დაშორებას არ აპირებს, — ერთხელ ვუთხარი, პირველ კურსზე რომ ვიყავით და ის ვილაც ბიჭს ჩუმად ხვდებოდა.

— მე კი არ მესმის, როგორ უძლებ ამდენ წესს, — მოკლედ მომიჭრა, — შენს აწყობილ და დაგეგმილ ცხოვრებას მარილი აკლია, ენდი! ხანდახან კარგია, თავი ცოცხალ, თავისუფალ არსებად იგრძნო!

შეიძლება ამ ბოლო დროს ცოტა მეტს სვამდა, მაგრამ ვიცოდი, რომ პირველი წლის პროგრამა მისთვისაც კი ნარმოუდგენლად სტრესული იყო. მისი ლექტორები კოლუმბიის უნივერსიტეტში უფრო მომთხოვნები და ნაკლებად გულისხმიერები იყვნენ, ვიდრე ისინი, ვინც ბრაუნის უნივერსიტეტში პრაქტიკულად ლილის დაკრულზე ცეკვავდნენ. შეიძლება ცუდი აზრი სულაც არ იყო, გავიფიქრე და თან მიმტანს ვანიშნე. სტრესის გამკლავებაში იქნებ ალკოჰოლური სასმელი დამხმარებოდა. ჭიქით არაყი „აბსოლუტი" და გრეიპფრუტის წვენი შევუკვეთე. დიდი ყლუპი მოვსვი. უფრო ცუდად გავხდი, რადგან გამახსენდა, რომ ემილის მიერ ნაყიდი ქიშმიშისა და დიეტური „კოლას" გარდა პირში არაფერი ჩამსვლოდა.

— დარწმუნებული ვარ, უნივერსიტეტში მძიმე ორი კვირა ჰქონდა, — ვუპასუხე ალექსს ისე, თითქოს ლილი ჩვენთან ერთად არც მჯდარიყო. ვერც კი შეამჩნია, მასზე რომ ვსაუბრობდით, რადგან ძალზე გართული იყო, ბართან ვილაც ტიპს გამომწვევ მზერას ესროდა. ალექსმა მხრებზე ხელი შემომხვია, თავისკენ უფრო ახლოს მიმიწია და ჩამეხუტა. მის მკლავებში

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავს ისე კარგად ვგრძნობდი, რომ მომეჩვენა, ასეთი სიახლოვე დიდი ხანია არ გვქონოდა.

— ვერ ვიტან, როდესაც ადამიანებს განწყობას ვუფუჭებ, მაგრამ შინ უნდა წავიდე, — მითხრა ალექსმა და თმა ყურზე გადამიწია, — გაუძლებ ამასთან მარტო დარჩენას?

— ასე მალე მიდიხარ?

— მალე? ენდი, შენი მეგობრის თრობას ორი საათია ვითმენ. შენს სანახავად მოვედი, მაგრამ აქ არ დამხვდი. ახლა კი თითქმის თორმეტია და თემები ჯერ არ გამისწორებია, — მშვიდად მითხრა, თუმცა ნაწყენი ჩანდა.

— მესმის და ბოდიში, მართლა ძალიან ვწუხვარ. ხომ იცი, აქ ვიქნებოდი, რომ შემძლებოდა. ხომ იცი, არა...

— ვიცი. იმას კი არ ვგულისხმობ, რომ რაიმე არასწორად გააკეთე ან შეგეძლო სხვანაირად მოქცეულიყავი. ყველაფერი მესმის, მაგრამ ჩემი გაგებაც სცადე. კარგი?

დავეთანხმე და ვაკოცე, თუმცა თავი ძალიან ცუდად ვიგრძენი. თავს პირობა მივეცი, რომ ამას გამოვისყიდდი. ერთ საღამოს გამოვნახავდი და მხოლოდ ჩვენ ორისთვის რაიმე ძალიან განსაკუთრებულს დავგეგმავდი, ბოლოს და ბოლოს, მას ჩემთვის იმდენი რამის პატიება უხდებოდა.

— გამოდის, ღამითაც არ დარჩები? — უკანასკნელად ვცადე.

— მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ლილის გამო არ დაგჭირდი. აუცილებლად უნდა მივიდე შინ და თემები გავასწორო, — ჩამეხუტა, დამშვიდობების წინ მაკოცა, შემდეგ ლილის აკოცა ლოყაზე და გასასვლელისაკენ გაემართა.

— თუ რამე, დამირეკე, — მითხრა და გარეთ გავიდა.

— ეე, რატომ წავიდა ალექსი? — იკითხა ლილიმ, თუმცა მთელი საუბრის განმავლობაში გვისმენდა, — შენზეა გაბრაზებული?

— ალბათ, — ამოვიოხრე და საკუთარ ტილოს ჩანთას ჩავეხუტე, — ამ ბოლო დროს ძალიან ცუდად ვექცევი.

ბართან მივედი, მაინტერესებდა, მენიუში წასახემსებლად რა ჰქონდათ, მოვტრიალდი და რას ვხედავ! „ვოლ სთრით" ტიპი ლილის არ მისკუპებია? ოცდაათამდე უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისი თმით თუ ვიმსჯელებდით, წლოვანების დადგენა გაჭირდებოდა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლილის პალტო ავიღე და მივაწოდე.

— ლილი, ჩაიცვი, მივდივართ, — ვუთხარი, თუმცა „ვოლ სთრით" ტიპისთვის თვალი არ მომიცილებია. ეტყობოდა, დაბალი იყო, მის ნაკლს ნაკეცებიანი ხაკის ტანსაცმელი ვერ ფარავდა. ენა ჩემი საუკეთესო მეგობრის ყურთან ძალიან ახლოს ჰქონდა მიტანილი, რის გამოც თანდათან ვბრაზდებოდი.

— ეი, სად გეჩქარებათ? — წრიპინა ხმით მკითხა, გეგონებოდა ცხვირში ლაპარაკობსო, — მე და შენი მეგობარი ერთმანეთის გაცნობას ახლა ვიწყებთ.

ლილიმ გაუღიმა, ნათქვამზე დაეთანხმა და თან შეეცადა თავისი ცარიელი კათხიდან ლუდი მოესვა.

— ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ ჩვენი წასვლის დროა. თქვენი სახელი?

— სტიუარტი.

— სასიამოვნო იყო თქვენთან შეხვედრა, სტიუარტ. მოდით, თქვენი ნომერი ლილის მიეცით და უკეთ რომ იქნება, დაგირეკავთ, ან შეიძლება არც დაგირეკოთ. აბა, რას იტყვით? — ღიმილით ვკითხე.

— აჰ, მოკლედ. პრობლემა არაა. სხვა დროს გნახავთ, — გვითხრა და ბარისკენ სწრაფად გაემართა.

— მე და სტიუარტი ახლა ვიწყებთ ერთმანეთის გაცნობას, არა სტიუ? — მითხრა ლილიმ და სტუარტისკენ შეტრიალდა, მაგრამ მისი ადგილი ცარიელი დახვდა. ლილი დაიბნა.

— სტიუარტს ეჩქარებოდა, ლილი, ადექი, წავიდეთ. — მის ორბორტიან მწვანე პალტოს ხელი ვტაცე და შემოვაცვი, შემდეგ ფეხზე წამოვაყენე, წონასწორობის აღდგენამდე ერთი-ორი წამი იქანავა. გარეთ ყინავდა და ვიფიქრე, სუფთა ჰაერი გამოაფხიზლებდა.

— ცუდად ვარ, — წაიბურტყუნა.

— ვიცი, საყვარელო, ვიცი. მოდი ტაქსიში ჩავსხდეთ და შენთან წავიდეთ, კარგი? ხომ არ გაგიჭირდება?

უარის ნიშნად თავი გააქნია, მაგრამ ამ დროს წინ გადაიხარა და ზედ ყავისფერ ჩექმაზე გული აერია. ჯინსებიც ცოტა დაეცვარა. ახლა უყურებდნენ ჩემს დაქალს „პოდიუმის" გოგონები! — ჩემთვის გავიფიქრე

ჩამოვსვი ფანჯრის რაფაზე, რომელსაც ჩანდა, სიგნალიზაცია არ ჰქონდა და ვუბრძანე, არ განძრეულიყო. ქუჩის გადაკვე-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

თაზე ოცდაოთხსაათიანი ბარი დავინახე, ლილის წყალი ნამდ-
ვილად სჭირდებოდა. ჩემს დაბრუნებამდე გული კიდევ არევია,
ამჯერად — პალტოზე, ამღვრეული თვალებით მიყურებდა.
ორი ბოთლი „პორტლენდ სპრინგი" ვუყიდე, ერთი ბოთლი და-
სალევად, მეორე — გასაწმენდად. მეორე უფრო მნიშვნელო-
ვანი ჩანდა. ერთი ბოთლი მისი ჩექმის გაწმენდას დავახარჯე,
ხოლო მეორე კი პალტოსი. ჯობდა სველი ყოფილიყო, ვიდრე
დასვრილი. ის ისეთი გათიშული მთვრალი იყო, რომ არაფერი
უგრძნია.

იმისთვის, რომ ტაქსისტს მანქანაში ჩავესვით, მისი დარწ-
მუნება მომიხდა, რომ ხურდას ბლომად დავუტოვებდი. ეს
ჩემი ბიუჯეტისთვის საკმაოდ დიდი ხარჯი იქნებოდა, რადგან
ლოუერ ისტ საიდიდან აფერ ვესტ საიდში მივდიოდით. გამოვ-
თვალე და მგზავრობა სადღაც ოც დოლარს შეადგენდა. თანხა
შემეძლო „ელიას-კლარკში" ამენაზღაურებინა, მირანდას ხარ-
ჯებს მივაწერდი. გადავწყვიტე, ზუსტად ასე მოვქცეულიყავი.

მეოთხე სართულამდე ასვლა ტაქსით მგზავრობასთან შე-
დარებით რთული აღმოჩნდა. მაგრამ ლილის მოუხდა, ოც-
დახუთწუთიანმა სიარულმა ის ცოტა გამოაფხიზლა. მართა-
ლია, ტანსაცმელი მე გავხადე, მაგრამ აბაზანაში ყოველგვარი
დახმარების გარეშე მიიღო შხაპი. გამოსვლისთანავე საწოლზე
ვანიშნე, რომელზეც პირქვე დაემხო და ეგრევე დაიძინა. მძინა-
რეს რომ დავხედე, უნივერსიტეტის დღეების ნოსტალგია მო-
მაწვა, მე და ლილის ერთად თავს რამდენი რამ გადაგვხდომია.
ახლაც კარგად ვერთობოდით, მაგრამ მაშინდელ უდარდელო-
ბას არაფერი შეედრებოდა.

იმაზე დავფიქრდი, რომ ბოლო დროს ლილი ძალიან ბევრს
სვამდა. თითქმის სულ მთვრალი იყო. როდესაც ეს ალექსმა
ერთი კვირის წინ მითხრა, დავარწმუნე, რომ ის ჯერ კიდევ სტუ-
დენტი იყო და რეალურ სამყაროში, სადაც ზრდასრულ ადამია-
ნებს პასუხისმგებლობები აკისრიათ (მაგალითად: „პელეგრი-
ნოს" დასხმა), არ ცხოვრობდა. იმის თქმა მინდოდა, ჩვენთვის
ეს პირველი არ იყო. მახსოვს, ერთხელ მე და ლილიმ „სენიორ
ბაყაყში" უაზროდ ბევრი დავლიეთ, ჩვენი გაცნობის მერვე
წლისთავის აღსანიშნავად სამი ბოთლი წითელი ღვინო გამოვ-
ცალეთ, ხოლო კურსის დამამთავრებელი გამოცდების შემდეგ
იმდენი რომი და კოლა ვსვით და სიმღერა „ვარდი უეკლოდ ვის

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოუკრეფია" კარაოკეზე შევასრულეთ. იმ ღამეს სტუდქალაქ-
ში მისვლამდე ლილიმ მანქანა ოთხჯერ მაინც გააჩერა. შემდეგ
კი ჩემი თმა ეჭირა ხელში, როდესაც მე უნიტაზს ვებღაუჭებო-
დი. როდესაც მას ოცდაერთი წელი შეუსრულდა, ჩემს ბინაში
მთვრალი ავათრიე და ლოგინში ჩავაწვინე, ყოველ ათ წუთში
ვუმოწმებდი სუნთქვას და საბოლოოდ, როცა ჩაეძინა და და-
ვრწმუნდი, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა,
მის გვერდით ქვემოთ, იატაკზე მე ჩამეძინა. იმ ღამეს ორჯერ
გაეღვიძა. პირველად ძალიან შეეცადა ნაგვის ურნაში არეოდა
გული, ის საწოლის გვერდით დავუდგი, მაგრამ ჩანს, დაიბნა და
კედლის კუთხე არჩია... მეორედ კი მაშინ გახდა ცუდად, როცა
აპირებდა გულწრფელად მობოდიშებას და იმის თქმას, რომ
ძალიან ვუყვარდი და ჩემზე უკეთეს მეგობარს ვერ ინატრებდა
ცხოვრებაში. მეგობრობაც ეს არ არის? მეგობრები თვრებიან
და სისულელეებს აკეთებენ, ჩვენი ვალია, ერთმანეთზე ვი-
ზრუნოთ, არა? თუ ეს მხოლოდ უნივერსიტეტში გატარებულ
მხიარულ წლებს ეხებოდა? თუმცა ალექსი საწინააღმდეგოს
მიმტკიცებდა, რომ ლილის რაღაც სჭირდა, თუმცა მე მის
შეშფოთებას არ ვიზიარებდი.

ვიცოდი, იმ ღამით მასთან უნდა დავრჩენილიყავი, მაგრამ
ღამის ორი საათი იყო და სამსახურში წასვლა ხუთ საათში მი-
წევდა. ჩემი ტანსაცმელი ნარწყევის სუნით ყარდა, ხოლო ლი-
ლის კარადაში ჩემი სამსახურის შესაფერს ვერაფერს ვიპო-
ვიდი, განსაკუთრებით კი — განახლებული სტილის შემდეგ.
ამოვიხვნეშე და საბანი გადავაფარე, შემდეგ მაღვიძარა დილის
შვიდ საათზე დავუყენე. იმ შემთხვევაში, თუ ნაბახუსევზე ვერ
შეძლებდა, ლექციისთვის დროულად ამდგარიყო.

— ნახვამდის, ლილ! მე სახლში წავედი, ხომ კარგად ხარ?
— ვკითხე და დისტანციური ტელეფონის ყურმილი თავთან და-
ვუდე. თვალები გაახილა, პირდაპირ თვალებში შემომხედა და
გამილიმა.

— გმადლობ, — წაიბუტბუტა და თვალები დახუჭა. მარა-
თონში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, ბალახის საკრეჭსაც კი
ვერ ჩართავდა, ისეთ მდგომარეობაში იყო, მაგრამ გამოიძინებ-
და და დილით უკეთ იქნებოდა.

— პატივი მქონდა, — ვუპასუხე, მიუხედავად იმისა, რომ
პირველად ოცდაოთხი საათის განმავლობაში არ მირბე-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნია, არაფერი გადამიადგილებია, არაფერი გამინმინდავს, არაფრისთვის გამიკეთებია რეორგანიზაცია და საერთოდ არ შემისრულებია სხვა მსგავსი დავალებები.

— დილით დაგირეკავ — ვუთხარი და იმ იმედით გავემართე კარისკენ, რომ ფეხები არ მიმტყუნებდა, — რა თქმა უნდა, თუ ცოცხალი დავრჩით, — და როგორც იქნა, სახლში წავედი.

10

— მიხარია, რომ დაგიჭირე, — კარას ხმა გავიგონე ტელეფონში. ნეტა დილის რვის თხუთმეტ წუთზე ასე რატომ ქოშინებდა? — ოჰო! ასე ადრე არასოდეს მირეკავ. რამე მოხდა? — წამში მივაყარე შეკითხვები და ათობით აზრმა გამიელვა გონებაში, რა შეიძლება მირანდას დასჭირვებოდა.

— არა, არა, არაფერი სერიოზული. იმის სათქმელად გირეკავ, რომ ყრუ-მუნჯი მამიკო გზაშია და მალე გნახავს. უბრალოდ გაფრთხილებ, დღეს ლაპარაკის განსაკუთრებულ ხასიათზეა.

— ოჰ, მაშინ რალა მიჭირს. ერთი კვირის წინ ჩემი ცხოვრების შესახებ დაკითხვა მომიწყო, ჰოდა, მიკვირდა, ჩემი ყველაზე დიდი თაყვანისმცემელი სად გაქრა-მეთქი! — ვუთხარი და თან კომპიუტერზე ჩემი საქმიანი გეგმის ბეჭდვა დავასრულე და „ამობეჭდვაზე" დავაწკაპუნე.

— იღბლიანი ხარ, უნდა გამოგიტყდე, ჩემდამი ინტერესი მთლიანად დაკარგა, — თეატრალურად ამოიხვნეშა, — ახლა მისთვის მხოლოდ შენ არსებობ. გავიგონე, რომ შენთან მეტროპოლიტენში ჯეკის საპატივცემლო წვეულების დეტალურ განხილვას აპირებს.

— დიდებულია, გადასარევია! ერთი სული მაქვს, მის ძამიკოს როდის შევხვდები. აქამდე მხოლოდ ტელეფონით ვესაუბრებოდი და შთაბეჭდილება დამრჩა, რომ დიდი რეგვენი ვინმეა. დარწმუნებული ხარ, რომ აქეთ მოდის? იქნებ არსებობს შანსი, რომ მამაზეციერი დღეს მასთან შეხვედრას ამაცილებს?

— არა, შეუძლებელია აიცილო. ზუსტად ვიცი, გზაშია. მირანდა დილის ცხრის ნახევარზე ორთოპედთანაა ჩაწერილი, ასე რომ, არ მგონია, ოფისში ერთად მოვიდნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

ემილის მაგიდაზე სწრაფად გადავამოწმე შეხვედრების წიგ-
ნი და მართლაც, მირანდას დილით შეხვედრები არ ჰქონდა და-
ნიშნული. წინ მისგან თავისუფალი დილა მელოდა.

— ფანტასტიკურია! დილით ყრუ-მუნჯ მამიკოზე უკეთეს
მოსაუბრეს კაცი ვერ ინატრებს! ნეტა ამდენს რატომ ლაპარაკ-
ობს?

— შენს კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხია: მასზეა დაქორწი-
ნებული და ცხადია, თავში ყველაფერი წესრიგში ვერ აქვს. და-
მირეკე თუ რამე განსაკუთრებით სასაცილო გითხრას. ახლა
გავიქეცი. ქეროლაინმა მირანდას „სტილას" პომადით აბაზანის
სარკე სულ გადლაბნა.

— საოცარი ცხოვრება გვაქვს, არა? მსოფლიოში ყველაზე
საუცხოო გოგონები ვართ. მოკლედ, გმადლობ, რომ გამაგები-
ნე და მოგვიანებით შეგეხმიანები.

— კარგი, აბა, დროებით!

ყრუ-მუნჯი მამიკოს მოლოდინში იმ დღის გეგმას გადა-
ვხედე. ასევე გადავხედე, მირანდას მიმართვას მეტროპოლი-
ტენის ხელოვნების მუზეუმის საბჭოსადმი. მუზეუმის ერთ-
ერთ გალერეაში წვეულების გამართვის ნებართვას სთხოვდა
მაზლის ნიშნობის აღსანიშნავად. იმ ადამიანს დასანახად ვერ
იტანდა, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, ის ოჯახის წევრი იყო.
ჯეკ ტომლინსონმა, ყრუ-მუნჯი მამიკოს უმცროსმა ძმამ,
ოჯახს განუცხადა, რომ ცოლი და სამი შვილი საკუთარ მა-
საჟისტზე დაქორწინების მიზნით მიატოვა. მიუხედავად იმი-
სა, რომ ჯეკი და ყრუ-მუნჯი მამიკო წარმოშობით ისტ ქოუს-
თის ცნობილი არისტოკრატიული ოჯახიდან იყვნენ, ჯეკმა,
ვიდრე ოცდაათისა გახდებოდა, თავისი ჰარვარდული ღირსე-
ბა დაივიწყა, საცხოვრებლად სამხრეთ კაროლინაში გადავი-
და და უძრავი ქონების ბიზნესში საკმაო წარმატებას მიაღწია.
ჯეკის შესახებ ემილის მონათხრობს თუ დავუჯერებთ, ის
ასპროცენტიან სამხრეთელად გარდასახულა, ჩალის ღეჭვი-
თა და თუთუნის გადმოფურთხებით, რაც ცხადია, მირანდას
დონის ნატიფი, დახვეწილი საზოგადოებისთვის მიუღებელი
იყო. ყრუ-მუნჯმა მამიკომ მისდამი სიყვარულისგან დაბრმა-
ვებულ მირანდას პატარა ძამიკოსთვის წვეულების ორგანი-
ზება სთხოვა და ისიც იძულებული გახდა, დასთანხმებოდა.
თუკი მირანდა რაიმე ღონისძიების გამართვას გადაწყვეტდა,

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

დარწმუნებული უნდა ყოფილიყავი, რომ უზადოდ გაართმევ-
და თავს, თუნდაც ეს მისი „სამხრეთელი" მაზლის პატივსაცე-
მი წვეულება ყოფილიყო.

ღრმად პატივცემულო წევრებო... ბლა, ბლა ბლა... მოგმარ-
თავთ თხოვნით, რომ ულამაზესი საღამოს გამართვის საშუა-
ლება მომცეთ... ბლა, ბლა, ბლა... გმადლობთ გულისხმიერების-
თვის... ბლა, ბლა. მიმართვას კიდევ ერთხელ გადავხედე, რომ
სადმე თვალში საცემი შეცდომა არ გაპარულიყო. სწრაფად
დავაწერე სახელი და კურიერს დავურეკე, რომ რაც შეიძლება
სწრაფად წაელო.

ყურმილი დავდე თუ არა, ოფისის კარზე — მას დილაობით
ვკეტავდი, რადგან შენობაში ჩემ გარდა არავინ იყო — კაკუნი
გავიგონე, გაოცებული დავრჩი კურიერთა ოპერატიულობით,
მაგრამ კარი გაიღო და ყრუ-მუნჯმა მამიკომ შემოაბიჯა, მო-
მეჩვენა, რომ დილის რვა საათისთვის ზედმეტად ენერგიულად
ილიმოდა.

— ანდრეა, — შესძახა და მაგიდას იმდენად ჩქარი ნაბიჯი-
თა და გულწრფელი ღიმილით მოუახლოვდა, რომ მისდამი ჩემი
ალმაცერი დამოკიდებულების გამო შემრცხვა კიდეც.

— დილა მშვიდობის, მისტერ ტომლინსონ. ასე ადრიანად
რამ შეგაწუხათ? — ვკითხე, — ვწუხვარ, მაგრამ მირანდა ჯერ
არ მოსულა.

ჩაიხითხითა და ცხვირი პატარა თაგუნიასავით აუთამაშდა.

— ჰო, ჰო, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ის სადილამდე
არ იქნება. ენდი, დიდი ხანია, რაც მე და შენ არ გვისაუბრია. აბა,
მოუყევი მისტერ ტომლინსონს, როგორ მიდის შენი საქმეები?

— მომეცით, — ვუთხარი და მირანდას სარეცხით სავსე ტი-
ლოს ჩანთა გამოვართვი. მან ბისერებით გაწყობილი „ფენდის"
ნაჭრის ჩანთაც გამომიწოდა. ეს ხელნაკეთი ჩანთა, რომელიც
მირანდას ხმარებაში ისევ გამოჩნდა, საგანგებოდ მისთვის
შეკერა თვით სილვია ვენტურინი ფენდიმ, რათა მხარდაჭერის-
თვის მადლობა გამოეხატა. ჩვენმა მოდის განყოფილებამ სულ
მცირე, ათი ათას დოლარად შეაფასა ნახელავი. შევამჩნიე, რომ
ჩანთას თხელი ტყავის ერთ-ერთი სახელური ისევ მოსწყდო-
მოდა, მიუხედავად იმისა, რომ აქსესუარების განყოფილებამ
„ფენდის სახლს" ის ათჯერ მაინც მიუბრუნა შესაკეთებლად.
ეს ჩანთა ფაქიზი მოპყრობისთვის იყო განკუთვნილი, მასში პა-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტარა საფულეს, სათვალეს ან, აუცილებლობის შემთხვევაში, მცირე ზომის მობილურს თუ ჩადებდით, მაგრამ მირანდას ეს სულაც არ ადარდებდა, შიგნით „ბულგარის“ სუნამოს უშველებელ ფლაკონს ტენიდა. მასშივე ჩაედო ქუსლმოტეხილი ფეხსაცმელი, რომელიც მეწაღესთან ალბათ მე უნდა მიმეტანა, ასევე — ლეპტოპზე უფრო მძიმე, „ჰერმესის“ ტელეფონების წიგნისხელა ბლოკნოტი, საოცრად დიდი ზომის ძაღლის საყელური, ჩემი აზრით, ეს ან მედელინის, ან კარზე მომდგარი ჩვენების კოლექციის ნაწილი უნდა ყოფილიყო და წიგნი, რომელიც წინა ღამით მივუტანე. ჩანთა ჩემი რომ ყოფილიყო, გავყიდდი და მთელი წლის ბინის ქირას გადავიხდიდი, მაგრამ მირანდა მას ხარახურის ჩასაყრელად იყენებდა.

— გმადლობ, ენდი. შენ ყველას მიმართ ისეთი გულისხმიერი ხარ. აბა, ახლა მისტერ ტომლინსონი გისმენს, რა ხდება შენს ცხოვრებაში?

— რა ხდება? რა ხდება და! მმ... აბა ვნახოთ. ალბათ მნიშვნელოვანი არაფერი, რადგან უმეტესად ვცდილობ ნებაყოფლობითი მონობის პირობებში შენს მოძალადე ცოლს გადავურჩე. თუ სამუშაო საათებში შემთხვევით თავისუფალი დრო გამომიჩნდა, არ შემარგებს და აუცილებლად რაღაც დამამცირებელ საქმეს დამავალებს. გარდა ამისა, ვცდილობ, გონება მოვიკრიბო და ყურადღება არ მივაქციო მისი უფროსი თანაშემწის სულელურ ლაპარაკს და იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა შენობის გარეთ გავდივარ, საკუთარი თავი დავარწმუნო, რომ კრიმინალური არაფერია იმაში, თუ დღეში რვაას კალორიაზე მეტს მივიღებ, რომ ექვსი ზომის ტარება სიმსუქნეს სულაც არ ნიშნავს. ასე რომ, მგონი, პასუხი მოკლეა: კარგი არაფერი.

— განსაკუთრებული არაფერი, მისტერ ტომლინსონ. ბევრი სამუშაო მაქვს. თავისუფალ დროს კი საუკეთესო მეგობართან და შეყვარებულთან ერთად ვატარებ. შეძლებისდაგვარად, ვცდილობ, მშობლებიც მოვინახულო, — მინდოდა დამემატებინა, — ადრე ბევრს ვკითხულობდი და სპორტს დიდ დროს ვუთმობდი, მაგრამ ისე ვიღლები, არც კითხვის და არც სპორტზე სიარულის თავი არ მაქვს-მეთქი.

— ოცდახუთი წლის ხარ, არა? — მკითხა დაბნეულმა. ნეტა ახლა რა მოუვიდა თავში?

— არა, ოცდასამის, უნივერსიტეტი მაისში დავამთავრე.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— აჰ! ოცდასამის? გასაგებია, — ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, ვერ გადაეწყვიტა, ეთქვა თუ არა. მოვემზადე, — აბა უთხარი მისტერ ტომლინსონს, როგორ ერთობიან ოცდასამი წლის ახალგაზრდები ამ ქალაქში? რესტორნებში, კლუბებსა და ასეთ ადგილებში დადიხარ? — ისევ ღიმილით მკითხა. გავიფიქრე, ნუთუ მართლა ასე აკლია ყურადღება-მეთქი. მისი ინტერესის მილმა არავითარი ბოროტი აზრი არ იმალებოდა, უბრალოდ ვინმესთან ლაპარაკის წყურვილი კლავდა.

— მმ, იცით, სიმართლე გითხრათ — არა. კლუბები, ბარები და მსგავსი ადგილები არ მიყვარს. თუ საშუალება მაქვს, რესტორანში ვსადილობ ან კინოში მივდივარ.

— მომწონს, კარგად ჟღერს. შენს ასაკში რომ ვიყავი, მეც სულ დავდიოდი, ახლა კი სულ ვმუშაობ და საქველმოქმედო ლონისძიებების ორგანიზებით ვარ დაკავებული. ენდი, სანამ შეგიძლია, ისიამოვნე, — მითხრა და გამოთაყვანებულივით თვალი ჩამიკრა.

— გასაგებია, ყველანაირად ვეცდები, — პასუხის გაცემა მოვახერხე. გთხოვთ, ახლა წადით რა, წადით რა, წადით რა, წადით, გონებაში ვეუბნებოდი. ძლივს თავისუფლების სამი წუთი მომეცა და ამ კაცს მათი წართმევა გადაეწყვიტა.

ის-ის იყო, რაღაცის თქმა დააპირა, რომ კარი გაიღო და ემილი შემოვიდა. ყურსასმენები ეკეთა და ცეკვავდა. მისტერ ტომლინსონის დანახვაზე პირი დააღო.

— მისტერ ტომლინსონ! — შესძახა, ყურსასმენები სწრაფად მოიხსნა და აიპოდი „გუჩის“ ტილოს ხელჩანთაში ჩააგდო — ხომ ყველაფერი რიგზეა? მირანდა ხომ კარგადაა? — გულწრფელად შეწუხებული ჩანდა. მუდამ ყურადღებიანო და თავაზიანო თანაშემწევ — ხუთიანი პლუსით წარმოდგენაში.

— გამარჯობა, ემილი. ყველაფერი რიგზეა. მირანდა მალე მოვა. მისტერ ტომლინსონმა უბრალოდ მისი ნივთების მოსატანად შემოგირბინათ. აბა, როგორ ხარ, ემილი?

ემილი მისმა ყურადღებამ აღაფრთოვანა. ნეტა, მართლა თუ სიამოვნებდა ეს.

— ძალიან კარგად. მოკითხვისთვის გმადლობთ. თავად? ანდრეა ხომ დაგეხმარათ?

— ოჰ, რა თქმა უნდა, დამეხმარა, — უპასუხა და თან მემილიონედ გამიღიმა, — მინდოდა ჩემი ძმის საპატივცემულო

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

წვეულებასთან დაკავშირებით რაღაც დეტალები დამედგინა, მაგრამ მგონი, ეს ცოტათი ნაადრევია, არა? — წამით გავიფიქრე, ალბათ დილაუთენია თავზე დადგომას გულისხმობს-მეთქი და პასუხად „დიახ!“ კინაღამ შევკივლე, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ წვეულების დეტალებზე შეთანხმება ჰქონდა მხედველობაში. მისტერ ტომლინსონი ემილისკენ შეტრიალდა.

— ემილი, ჩინებული შემცვლელი მოგიძებნეს, არ მეთანხმები?

— სრულებით გეთანხმებით, — გამოსცრა ემილიმ, — საუკეთესო, — უპასუხა და გაიკრიჭა. პასუხად მეც გავიკრიჭე.

მისტერ ტომლინსონმა კიდევ ერთხელ ისეთი ენთუზიაზმით გაგვილიმა, ვიფიქრე, ტვინში ქიმიური დისბალანსი ან ჰიპომანია ხომ არა აქვს-მეთქი.

— აბა, ჯობს მისტერ ტ. გზას გაუდგეს. გოგონებო, თქვენთან საუბარი ყოველთვის მიხარია. აბა, ორივეს სასიამოვნო დღეს გისურვებთ და კარგად იყავით!

— ნახვამდის, მისტერ ტომლინსონ! — მიაძახა ემილიმ, როცა ის დერეფანში გაუჩინარდა. — ასე რატომ ეუხეშე? — მკითხა და თხელი ტყავის ქურთუკი გაიხადა. შიგნით კორსეტის სტილში შეკერილი თასმებიანი აბრეშუმის ბლუზა ეცვა.

— ვეუხეშე? ნივთები გამოვართვი და შენს მოსვლამდე უყურადღებოდ არ დამიტოვებია. სად დაინახე აქ უხეშობა?

— მაგალითად, წასვლისას არ დაემშვიდობე და ისეთი გამომეტყველება გქონდა...

— როგორი?

— აი, ისეთი, შენთვის დამახასიათებელი, რომლითაც ყველას ეუბნები, რომ მათზე მაღლა დგახარ და რომ აქ მუშაობა არ მოგწონს. შეგიძლია ჩემთან ეს არ დამალო, მაგრამ მისტერ ტომლინსონი სხვა საქმეა. ის მირანდას მეუღლეა და ასე ვერ მოექცევი.

— ემ, არ გგონია, რომ ის ცოტათი, არ ვიცი, როგორ ვთქვა, უცნაურია? პირს არასოდეს აჩერებს. როგორ შეიძლება ასეთი კარგი პიროვნება იყოს და მისი ცოლი კი ასეთი ცუდი? — ემილიმ მირანდას ოთახში შეიხედა და გადაამოწმა ჟურნალები მაგიდაზე სწორად დავულაგე თუ არა.

— უცნაური? კარგი რა, ანდრეა. მთელ მანჰეტენზე ის საგადასახადო სისტემის ერთ-ერთი გამოჩენილი იურისტია.

გაგრძელება აღარ ღირდა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არაფერია, ყურადღებას ნუ მიაქცევ ჩემს სისულელეებს. შენკენ რა ხდება? როგორი ღამე გააატარე?

— ოჰ, საუცხოო. მე და ჯესიკა ერთად წავედით საყიდლებზე, პატარძლის მეჯვარეებისთვის საჩუქრები უნდა გვეყიდა. სად არ ვიყავით „სკუპიში", „ბერგდროფში", „ინფინიტშიც" კი, მოკლედ — ყველგან. პარიზისთვის რაღაცები შევარჩიე, მაგრამ მგონი, ჯერ ადრეა.

— პარიზისთვის? მიდიხარ? იმის თქმა გინდა, რომ მასთან მარტო მტოვებ? — ბოლო კითხვის გაჟღერება არ მინდოდა, მაგრამ მაინც წამომცდა.

ისევ გიჟივით ვიქცეოდი.

— დიახ, ოქტომბერში პარიზში საზაფხულო კოლექციის ჩვენებაზე მირანდასთან ერთად მივდივარ. მას ყოველ წელს, პარიზის საზაფხულო დეფილეზე უფროსი თანაშემწე დაჰყავს, რათა უჩვენოს, რა როგორ ხდება. ცხადია, ბრაიანთ პარკში ჩვენებაზე მილიონჯერ ვყოფილვარ, მაგრამ ევროპული მოდის ჩვენებები მაინც სულ სხვაა.

სწრაფად გადავთვალე:

— ოქტომბერში, ანუ შვიდ თვეში? და შენ გინდა თქვა, რომ ტანსაცმელი მოგზაურობისთვის შვიდი თვით ადრე შეარჩიე? — არ მინდოდა უხეშად გამომსვლოდა, მაგრამ თავი ვერ შევიკავე. ემილი თავის მართლებას შეეცადა.

— ჰო, იმის თქმა მინდა, რომ არაფრის ყიდვას არ ვაპირებდი, იმ დროისთვის ბევრი რამ შეიცვლება და მოდიდან გადავა, მაგრამ ამაზე უკვე ვფიქრობ. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ამბავია. ხუთვარსკვლავიანი სასტუმროები, ყველაზე გიჟური წვეულებები და, ღმერთო ჩემო, ყველაზე სექსუალური, ყველაზე ექსკლუზიური კოლექციების ჩვენებებზე დასწრება.

ემილის ნათქვამი ჰქონდა, რომ მირანდა წელიწადში ოთხჯერ დადიოდა ევროპაში მოდის კვირეულებზე. ლონდონის ჩვენებებს ყოველთვის აცდენდა, მაგრამ მილანისა და პარიზისას — არასოდეს. ოქტომბერში საზაფხულო კოლექციების სანახავად მიემგზავრებოდა, ივლისში — ზამთრის კოლექციებისა, ხოლო მარტში — შემოდგომის. იშვიათად რივიერასაც[59] სტუმრობდა. ჩვენ შეშლილებივით ვმუშაობდით, რათა მომდევნო თვის ბოლოს დაგეგმილი ჩვენებისთვის მირანდა მზად

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყოფილიყო. საინტერესოა, თანაშემწე ყოველთვის რატომ არ დაჰყავდა თან?

— ყველა ჩვენებაზე რატომ არ დაჰყავხარ? — მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, პასუხი გრძელი იქნებოდა, შევეკითხე. აღფრთოვანებული ვიყავი იმ ფაქტით, რომ მირანდა ოფისში მთელი ორი კვირა არ იქნებოდა (ერთი კვირა მილანში და ერთიც — პარიზში), მასთან ერთად ემილის თავიდან მოშორებაც ძალიან მახარებდა. თვალწინ დამიტრიალდა ბეკონი და ჩისბურგერები, დაგლეჯილი ჯინსები და დაბალძირიანი ფეხსაცმელები. ჯანდაბა, ბოტასებსაც კი ჩავიცვამდი! — რატომ მხოლოდ ოქტომბერში?

— მოკლედ, მირანდა თანაშემწის გარეშე არასოდეს რჩება. იტალიური და ფრანგული „პოდიუმები" ყოველთვის უგზავნიან საკუთარ თანაშემწეებს, ხშირად რედაქტორებიც ეხმარებიან მას. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ საზაფხულო კოლექციის ჩვენებისას ის ძალიან დიდ წვეულებას მართავს, მოდის სამყაროში ეს წვეულება წლის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევა. პარიზში მხოლოდ ერთი კვირით მივყვები, რაც ნიშნავს, რომ მირანდა მენდობა და მიიჩნევს, რომ მის დახმარებას მხოლოდ მე შევძლებ.

ცხადია.

— მმ, ჩანს, წინ მაგარი დროს ტარება გელის. გამოდის, აქ უფროსად მე ვრჩები, არა?

— აჰა, ასე გამოდის, მაგრამ სახუმარო ამბავი არ გეგონოს. მუშაობის ყველაზე ძნელი კვირები გელის, მირანდა სულ ხაზზე იქნება და უამრავ რამეში დასჭირდება შენი დახმარება.

— ო, ღმერთო, — ვუპასუხე და თვალები გადავატრიალე.

თვალგახელილს მეძინა და თან კომპიუტერის ცარიელ ეკრანს მივშტერებოდი, ოფისი ნელ-ნელა თანამშრომლებით გაივსო და მეც გამოვფხიზლდი. ათ საათზე „კლარკელების" პირველი ნაკადი გამოჩნდა. მშვიდად წრუპავდნენ ლატეს, რათა წინა ღამის შამპანურის ნაბახუსევიდან გამოსულიყვნენ. ჯეიმსი, რომელმაც, როგორც ყოველთვის, შეამოწმა, მირანდა თავის ოფისში იყო თუ არა, ჩემს სამუშაო მაგიდასთან დაყოვნდა და განმიცხადა, რომ წინა ღამეს „ბალთაზარში" თავის მომავალ მეუღლეს შეხვდა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ბართან იჯდა, საუცხოო წითელი ტყავის ქურთუკი ეცვა, მსგავსი არავისზე მინახავს. და მინდა გითხრა, რომ ქურთუკის გარეშეც თვალისმომჭრელად გამოიყურებოდა. ხამანწკებს ისე სექსუალურად ყლაპავდა... — ხმამაღლა დაიკვნესა, — ოჰ, რა-ღაც არაჩვეულებრივი იყო.

— ესე იგი, ტელეფონის ნომერი მოგცა? — ვკითხე.

— ნომერი? ნომერი კი არა, შარვალი! თერთმეტი საათისთვის ჩემს დივანზე ტიტველი კოტრიალებდა. წარმოგიდგენია! უნდა გითხრა, რომ...

— ყოჩაღ, ჯეიმს, ყოჩაღ! როგორც ჩანს, შენ მათ რიცხვს არ ეკუთვნი, ვინც უსაფრთხო სექსზე ზრუნავს, არა? ჯეიმს, პირდაპირ გეტყვი, შენი მხრიდან ეს ძალიან სულელურად ჟღერს. შიდსზე არაფერი გსმენია?

— საყვარელო, შენც კი, „მის სრულყოფილებასა“ და „ჩემიშეყვარებულიფრთაშესხმულიანგელოზიას“, გული წაგივიდოდა, ის ბიჭი რომ გენახა. რაღაც გასაოცარი ვინმეა. უბრალოდ გასაოცარი!

თერთმეტი საათისათვის ყველამ იცოდა, ვის რა ეცვა, ვინ დააბიჯებდა „თეორი მექსის“ ახალი შარვლითა და პრაქტიკულად სანთლით საძებარი „სევენის“ მაისურით. სადილის დრო ახლოვდებოდა. თანამშრომლები ჩვეულ ადგილას, დერეფნის გასწვრივ ჩამწკრივებულ ტანსაცმლის შტატივებთან, საჭორაოდ იკრიბებოდნენ. ყოველ დილით ჯეფი შტატივებზე დაკიდებულ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს გამოალაგებდა ხოლმე. იქ იყო კაბები, საცურაო კოსტიუმები, შარვლები, პერანგები, ასევე პალტოები და ყველა სახის ფეხსაცმელი, რაც კი შესაძლებელი იყო, რომ ფოტოსესიისთვის დასჭირვებოდათ. ამ ყველაფერს მთელ სართულზე გრძელი დერეფნის კედელთან გამოფენდა და ყველა რედაქტორს შეეძლო სასურველი ნივთი ამოერჩია, ამით გარდერობში სავარაუდო ალიაქოთს თავიდან ეცილებდით.

გარდერობს ოთახს ნაკლებად უწოდებდი, ის უფრო მცირე დარბაზს ჰგავდა. კედლები დაფარული იყო თაროებით, სადაც ნებისმიერი ზომის, ფერისა თუ სტილის ფეხსაცმელი ელაგა. ის „ვილი ვონკას“ ქარხანას მოგაგონებდათ წიგნიდან „ჩარლი და შოკოლადის ქარხანა“, ოღონდ შოკოლადების ნაცვლად ასობით სხვადასხვა ტიპის ფეხსაცმელს ნახავდით: სტელეტოები,

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩექმები, სანდლები, უძიროები, მაღალქუსლიანები, ნვრილ-ქუსლიანები, დახრილქუსლიანები, ბისერებით გაწყობილები... კედლის უჯრებში ყველა ტიპის წინდა, ლიფი, საცვალი, ღამის პერანგი თუ კორსეტი იდო, ხოლო მათი ნაწილი დარბაზის კუ-თხეებში იყო მიყრილი. „ლა პერლას" ლეოპარდის ფერებში გაწყობილი ლიფი გინდოდათ? მხოლოდ გარდერობში უნდა შეგეხედათ. „დიორის" ავიატორი სათვალეები ან ხორცისფერი აჟურული წინდა გსურდათ? ამასაც გარდერობში ნახავდით. დარბაზის ორი კედელი აქსესუარებით სავსე თაროებსა და უჯრებს ეკავა. ფასზე რომ არაფერი ვთქვათ, მათი რაოდენობა გასაოცარი იყო. ზღვა საწერ-კალმები, ძვირფასეულობა, თეთრეული, შარფები, ხელთათმანები და სათხილამურო კეპე-ბი, პიჟამები, მოსაცმელები, შალის მოსასხამები, საკანცელა-რიო ნივთები, აბრეშუმის ყვავილები, ქუდები, თავსაბურავის უთვლელი რაოდენობა და ბოლოს ჩანთები. ღმერთო, ჩანთები! ტილოს ჩანთები, სპორტული ჩანთები, ზურგჩანთები, ხელ-ჩანთები, კოსმეტიკის ჩანთები, კონვერტის ფორმის ჩანთები, სკივრის ფორმის ჩანთები — დიზაინერთა ექსკლუზიური ნახე-ლავი იყო. მათი ფასი საშუალო ამერიკელის თვიურ ხელფასს უდრიდა. ოთახში ტანსაცმლის საკიდრებს ბოლო არ უჩანდა. მათი სიმჭიდროვის გამო შიგნით თავისუფლად მოძრაობა შეუძლებელი იყო.

ასე რომ, დღის განმავლობაში ჯეფი ცდილობდა, გარ-დერობი შედარებით გაეთავისუფლებინა და მოდელების-თვის (ჩემნაირი თანაშემწეებისთვისაც) „თითქმის" მოხმარე-ბადი გაეხადა. ვირგებდით ტანსაცმელს, ფეხსაცმელებსა და ჩანთებსაც კი, თუკი ტანსაცმლიანი შტატივების გაწევ-გა-მოწევას შევძლებდით. არ მინახავს ერთი სტუმარიც კი — ჟურნალისტი, შეყვარებული, კურიერი თუ სტილისტი — რომ ჩვენს სართულზე ამოსვლისას ადგილზე არ გაქვავებულიყო და დერეფანში ამ ურიცხვი რაოდენობის სამოსის დანახვაზე პირი არ დაეღო. ტანსაცმელი გადაღებების ადგილის (სიდ-ნეი, სანტა ბარბარა) მიხედვით ლაგდებოდა, ხანდახან კატე-გორიისა და ტიპის მიხედვით (ბიკინი, კოსტიუმის ქვედაბო-ლოები), მაგრამ ხშირად ეს ექსკლუზიური ძვირად ღირებული ტანსაცმელი უბრალოდ არეულ-დარეულად ეკიდა საკიდრე-ბზე. მიუხედავად ამისა, განურჩევლად ყველა ჩერდებოდა,

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

აკვირდებოდა და ხელით ეხებოდა ბუმბულივით სასიამოვნო ქიშმირის სამოსსა თუ მძივებით უზადოდ გაწყობილ საღამოს კაბებს, მხოლოდ „კლარკელებს“ შეეძლოთ ტანსაცმლის გარშემო ამდენი კრიახი, უკომენტაროდ ისინი არავის დატოვებდნენ.

— მეგი რაიზერი ერთადერთი ქალია სამყაროში, ვისაც შეუძლია „კაპრის“[60] შარვლის ჩაცმა, — ხმამაღლა აცხადებდა ჰოუფი, მოდის განყოფილების ერთ-ერთი თანაშემწე, ვისი წონაც „საშინელ“ ორმოცდათხუთმეტ კილოგრამს, ხოლო სიმაღლე მეტრსა და ოთხმოცდახუთს შეადგენდა. ის შარვალს გარედან იზომებდა და თან ოხრავდა, — ამაში ალბათ ორჯერ დიდი საჯდომი გამომიჩნდება, ვიდრე მაქვს.

— ანდრეა, — დამიძახა მისმა მეგობარმა, გოგონას კარგად არ ვიცნობდი, მაგრამ ის აქსესუარების განყოფილებაში მუშაობდა, — გთხოვ, ჰოუფს უთხარი, რომ მსუქანი არ არის.

— მსუქანი არ ხარ, — ავტომატურად ვუთხარი. გაცილებით დამეზოგებოდა დრო, ეს სიტყვები მაისურზე რომ წამეწერა ან, უკეთესი იქნებოდა, შუბლზე ამომესვირინგებინა. დღეში ათასჯერ მაინც მიწევდა „პოდიუმელების“ დარწმუნება, რომ ისინი მსუქნები არ იყვნენ.

— ღმერთო ჩემო! აბა, ერთი კარგად დამაკვირდით? ნელი სრულებით აღარ მაქვს! უბრალოდ, სიმახინჯე ვარ!

სიმსუქნე ყველას პირზე ეკერა. ემილი იფიცებოდა, რომ მას „საშინლად სქელი ბარძაყები“ ჰქონდა. ჯესიკას კი „დონდლო და სქელი მკლავები“ აწუხებდა, ამბობდა, როზანა ბარივით[61] გამოვიყურებიო. ჯეიმსიც კი იმას წუწუნებდა, საშხაპიდან გამოსული თავის დუნდულებს რომ ხედავდა სარკეში, სერიოზულად ფიქრობდა ლიპოსაქციაზე.

— მსუქანი ვარ? — თავიდან ვცდილობდი, მსგავს შეკითხვებზე რაც შეიძლება რაციონალურად მეპასუხა, — ჰოუფ, მაშ, ჩემზე რაღა ვთქვათ? მე შენზე რამდენიმე სანტიმეტრით დაბალი და მსუქანი ვარ.

— ოჰ, ენდი, კარგი რა! მსუქანი მე ვარ, შენ კი — გამხდარი და მზეთუნახავი!

რა თქმა უნდა, მატყუებდა, მაგრამ მალე მივხვდი, რომ ჰოუფს — „პოდიუმის“ სხვა ანორექსიული გოგო-ბიჭების მსგავსად — ძალზე ზუსტად შეეძლო ხალხის წონის შეფასება,

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ როდესაც თვითონ იყურებოდა სარკეში, მხოლოდ ბეჰემოთს ხედავდა.

თავდაცვის მიზნით საკუთარ თავს გამუდმებით ვუმეორებდი, რომ ნორმალური ვიყავი, ისინი კი — არა. სიმსუქნეზე ლაპარაკს უკვალოდ არ ჩაუვლია. ოთხი თვე იყო, რაც „პოდიუმში“ ვმუშაობდი და ჩემი აზროვნება იმდენად შეიცვალა, — ფსიქოზის ჩამოყალიბებაზე რომ არაფერი ვთქვათ, — ხანდახან მეგონა, კომენტარები სიმსუქნეზე პირდაპირ ჩემთვის იყო გამიზნული. დაახლოებით შემდეგნაირად: მე — მოდის განყოფილების მაღალი, მზეთუნახავი, ტანადი ასისტენტი ვთვალთმაქცობ, თითქოს თავი დაბალი და მსუქანი მგონია, რათა შენ — ეს საცოდავი პირადი თანაშემწე, ბოლოს და ბოლოს მიხვდე, რომ კუპატივით სქელი და მოუქნელი ხარ. სიმაღლეში მეტრი და სამოცდაცხრამეტი სანტიმეტრი, წონაში კი სამოცი კილოგრამი ვიყავი (ზუსტად იმდენივე, რამდენიც დიზენტერიის გადატანის შემდეგ) და თავი ჩემი ასაკის გოგონებზე გამხდარი წარმომედგინა. „პოდიუმამდე“ მიმაჩნდა, რომ გაცილებით მაღალი ვიყავი ქალების იმ ოთხმოცდაათ პროცენტსა და მამაკაცების იმ ორმოცდახუთ პროცენტზე, რომლებსაც ცხოვრებაში შევხვედროდი. თუმცა მუშაობის დაწყების დღიდან ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს დაბალი და მსუქანი ვარ, ერთადერთ ჯუჯას ადვილად შემამჩნევდით. ექვსი ზომა ტანსაცმელი მერგებოდა, მსუქანი და ჯმუხი ვიყავი. ოფისში ყოველდღიური საუბრები სიმსუქნეზე ამ აზრებისგან გათავისუფლების საშუალებას წუთითაც კი არ მაძლევდა.

— დოქტორი ეისენბერგი ამბობს, რომ „ზონა“ იმ შემთხვევაშია ნაყოფიერი, თუ რაციონიდან ხილსაც ამოიღებ, — დასძინა ჯესიკამ, რომელმაც საკიდარიდან „ნარცისო როდრიგესის“ ქვედაბოლო ჩამოხსნა და საუბარში ამის მერე შემოგვიერთდა.

ჯესიკა „გოლდმან საკსის“ ახალგაზრდა ვიცე-პრეზიდენტზე ახალდანიშნული იყო და მოახლოებული ქორწილის გამო დაძაბულობა ეტყობოდა.

— მართალია. ბოლო აწონის შემდეგ, სულ მცირე, ხუთი კილო დავიკელი.

მის ამგვარ შიმშილს შეგუებული ვიყავი, მაგრამ ამაზე ლაპარაკს უკვე ვერ ავიტანდი. არ მაინტერესებდა, რამდენად

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცნობილ ექიმებზე ლაპარაკობდა ან რამდენად ეფექტური იყო ესა თუ ის დიეტა, უბრალოდ ფეხებზე მეკიდა.

სადღაც პირველი საათისთვის ავჩქარდი, რადგან ყველა საღილისთვის ემზადებოდა. სადილი ჭამის ასოციაციას ნაკლებად იწვევდა ჩემში, რადგან ამ დროს ძირითადად სტუმრებს ვიღებდით. ზანტად ვაკვირდებოდი სტილისტებს, მწერლებს, თავისუფალ ჟურნალისტებს, მეგობრებსა და შეყვარებულებს — მოხიბლულებს გლამურით, რომელსაც იქაურობა აფრქვევდა და რომელსაც, ცხადია, ასობით ათასი დოლარის ღირებულების ტანსაცმელი, ლამაზი სახეები და გრძელი, მართლა ძალიან გრძელი ფეხები ქმნიდა.

მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ ემილიცა და მირანდაც სადილზე გავიდნენ, ჯეფი მომიახლოვდა და ორი უშველებელი ჩანთა მომაწოდა.

— აბა, ერთი ნახე. დასაწყისისთვის მშვენიერია.

ჩანთები მაგიდის გვერდით, იატაკზე დავაგდე, გავხსენი და თვალიერებას შევუდექი. „ჯოზეფის" გრძელი, გამოყვანილი, დაბალწელიანი, ღიანაცრისფერი შარვალი, რომელიც წარმოუდგენლად ფაფუკი შალისგან იყო დამზადებული. „გუჩის" ორი ცალი ზამშეს შარვალი — ისეთი საუცხოო, რომ მათში თავი მოდელი გეგონებოდა, „მარკ ჯეიკობსის" გაცვეთილი ჯინსის ორი შარვალი, რომელიც ისე მადგა ტანზე, თითქოს ჩემზე შეეკერათ, რვა თუ ცხრა ცალი სხვადასხვა სტილის ზედა, დაწყებული „კელვინ კლაინის" მოტკეცილი როლინგით, დამთავრებული „დონა კარანის[62]" ფართო, გამჭვირვალე ბლუზით. იყო ასევე წარმოუდგენლად ლამაზი ჭრელი კიმონო დიანა ვონ ფურსტენბურგერისაგან[63], მის გვერდით კი კოხტად დაკეცილი „თახარის"[64] ხავერდის ზღვისფერი შარვალი იდო. დავინახე თუ არა, შემიყვარდა მუხლამდე სიგრძის, ჯინსის პლისექვედაბოლო, რომელიც არაჩვეულებრივად ეხამებოდა ყვავილებით გაწყობილ „კატაიონ ადელის"[65] პიჯაკს.

— ეს... ყველაფერი მე? — ისეთმა აღელვებულმა ვკითხე, რომ იმედია, შეურაცხყოფად არ მიიღებდა.

— ჰო, მაგრამ ეს არაფერია. ესენი საუკუნეა გარდერობში მიდევს. გადაღებების შემდეგ დიზაინერებს მათ აღარ ვუბრუნებთ. რამდენიმე თვეში ერთხელ, ასეთი ნივთებისგან გარდე-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

რობს ვათავისუფლებ. ჰოდა ვიფიქრე, რომ მმ... შეიძლება მო-
გწონებოდა. ექვს ზომას ატარებ, არა?

დამუნჯებულმა, მხოლოდ თავის დაქნევა მოვახერხე.

— ასეც ვიცოდი, აქ უმეტესობა ორ ზომას ატარებს, ასე
რომ, თუ მოგწონს, შენი იყოს.

— ვაიმე! საუცხოოა, არც კი ვიცი, მადლობა რით გადაგიხა-
დო, ჯეფ! ყველაფერი ისე მომწონს!

— მეორეც გახსენი, — მითხრა და თითი მეორე ჩანთისკენ
გაიშვირა, ისიც იატაკზე იდო, — არც კი გაბედო ხავერდის კოს-
ტიუმზე ამ შენი საშინელი ჩემოდნის ხელში დაჭერა, გასაგებია?

მეორე ჩანთა უფრო სავსე იყო. მასში გამაოგნებელი ხა-
რისხის ფეხსაცმელები, ჩანთები და პალტოები იდო. „ჯიმი
ჩუს" ოცი ცალი მაღალქუსლიანი ჩექმა — ერთი მუხლამდე და
მეორე კოჭამდე სიგრძის, ორი წყვილი „მანოლო ბლანიკის"
სტელეტოები, „პრადას" შავი, კლასიკური მაღალქუსლიანები
და ერთი წყვილი „თოდის" ლოუფერები, რომლის სამსახურ-
ში ჩაცმაც ჯეფმა ამიკრძალა. ზამშეს წითელი უფორმო ჩანთა
მხარზე გადავიკიდე, კუთხეში ორი ერთმანეთზე გადაგრეხილი
„C" ასო ჰქონდა მიბნეული. თუმცა მასზე გაცილებით ლამაზი
იყო „სელინის" მუქი შოკოლადისფერი ტყავის ჩანთა. ყველა-
ფერი დააგვირგვინა „მარკ ჯეიკობსის" მკაცრი სტილის პალ-
ტომ, რომელსაც დიდი ზომის ღილები ეკეთა და ზედ დიზაინე-
რის ინიციალები იყო ამოტვიფრული.

— მეხუმრები, არა? — ვკითხე და ფრთხილად შევეხე „დიო-
რის" სათვალეს, რომელიც ჯეფმა ალბათ დაუფიქრებლად
ჩააგდო ჩანთაში, — ალბათ დამცინი!

კმაყოფილი გამომეტყველებით შემომხედა.

— უბრალოდ, დამდე პატივი და დღეიდან ეს ტანსაცმელი
ატარე, კარგი? და არავის უთხრა, რომ არჩევანში უპირატეს-
ობა მოგეცი, აქ გარდერობის გადახარისხების დღე უბრალოდ
ზეიმია, ხომ გესმის? — როდესაც დერეფანში ემილის ხმა გა-
ვიგონეთ, ჯეფი ოფისიდან შურდულივით გავარდა, მე კი ჩემი
ახალი ტანსაცმლით სავსე ჩანთები მაგიდის ქვეშ შევყარე.

სასადილო ოთახიდან ემილი თავისი ჩვეული სადილით ამო-
ბრუნდა: ხილის პიურე და ბროკოლის სალათა შეზავებული
არომატული ძმრით, და არანაირი ზეითუნის ზეთით, მხოლოდ
— ძმრით. მირანდა წუთი-წუთზე დაბრუნდებოდა, იურიმ და-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მირეკა და მითხრა, რომ მალე მოიყვანდა. ასე რომ, ჩემი ფუ-
ფუნების ჩვეული შვიდი წუთი — სასადილოში გასაქცევად,
რომ რაიმე კერძი მომეძებნა და ოფისში ფართხაფურთხით
ამოვბრუნებულიყავი — არ მომეცა. დრო გადიოდა და მართა-
ლია შიმშილისაგან თავბრუ მესხმოდა, მაინც ვერ შევძლებდი,
„კლარკერებს" შორის მერბინა, მოლარის დამცინავი მზერის-
თვის გამეძლო და თან იმაზე მეფიქრა, ცხელი სუჰის (ცარიელი
ცხიმი!) გადასანსვლით რაიმე ორგანო, მაგალითად, საჭმლის
მომნელებელი სისტემა, გამოუსწორებლად არ დამეზიანებინა.
გადავწყვიტე, რომ ჯანმრთელობა ამად არ მიღირდა. სადილის
გამოტოვების გამო არ მოვკვდებოდი. სიმართლე გითხრათ,
თანამიმდევრულად და საღად მოაზროვნე უკლებლივ ყველა
ჩემი თანამშრომელი ამასვე დაგიდასტურებდათ, პირიქით,
მათი აზრით, ასე უფრო კაჟდებოდი. გარდა ამისა, ორიათას-
დოლარიანი შარვლები ღორმუცელა გოგონებს სულ არ უხდე-
ბოდა. ამიტომ სკამზე დავეშვი და გავიფიქრე, თუ რაოდენ წარ-
მატებით ავითვისე ჟურნალ „პოდიუმის" სულისკვეთება.

11

სიზმარში ტელეფონის ხმა შემომესმა და ძილშივე ავნერ-
ვიულდი, „ის" ხომ არ მირეკავს-მეთქი. წარმოუდგენელი სიჩ-
ქარით გავაანალიზე, სად ვიყავი, ვინ იყო „ის" და რა დღე იყო.
იმასაც მივხვდი, რომ შაბათს, დილის რვა საათზე ტელეფონის
ზარი კარგს არაფერს მოასწავებდა. ჩემი არც ერთი მეგობარი
ასე ადრიანად არ ილვიძებდა, ხოლო მშობლები დარწმუნებული
იყვნენ, რომ მათ ქალიშვილს, სულ მცირე, თორმეტამდე ეძინა
და დიდი ხანია უთენია ალარ მირეკავდნენ. ამ ყველაფრის გა-
სააზრებლად სულ შვიდი წამი დამჭირდა, თუმცა იმ ზარის სა-
პასუხოდ სხვა მიზეზებიც მქონდა. უფრო სწორად, მუშაობის
პირველივე დღეს ემილის მიერ დასახელებული მიზეზები გა-
მახსენდა და სანამ ტელეფონი რეკვას შეწყვეტდა, ხელი გადა-
ვწიე და ყურმილი ავიღე.

— გისმენთ! — ძლიერი, მკაფიო ხმით ვუპასუხე, თითქოს
[illegible] ღამე რაიმე მნიშვნელოვანი საქმისთვის გამეთენები-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნა და არა — გაუნძრევლად ძილში. ხანგრძლივი ძილი და ამის მუდმივი მოთხოვნილება ჯანმრთელობის პრობლემებზე მიმანიშნებდა.

— დილა მშვიდობის, საყვარელო! მიხარია, რომ გღვიძავს. იმის სათქმელად გირეკავ, რომ მესამე ავენიუზე ვართ, მესამოცე ქუჩაზე, ასე რომ, სადღაც ათ წუთში შენთან ვიქნებით, კარგი? — მითხრა აღფრთოვანებულმა დედამ. გადასვლის დღე! გადასვლის დღე იყო! სულ დამავიწყდა, რომ მშობლები ჩამოდიოდნენ, რომ მე და ლილის ახალ ბინაში გადასვლაში დაგვხმარებოდნენ. ფოტოალბომებს, კომპაქტდისკებსა და ტანსაცმელს ყუთებში ჩვენ ჩავალაგებდით, ავეჯს კი მტვირთავები მანქანებით გადაზიდავდნენ.

— გამარჯობა, დე, — წავიბურტყუნე, ისევ დაღლილი ხმის რეჟიმზე გადავერთე, — ვიფიქრე „ის" მირეკავდა.

— შეგეშალა, დღეს დასვენება გაქვს. მოკლედ, მანქანა სად დავაყენოთ? სადმე ახლოს ავტოსადგომი ხომ არ არის?

— ჰო, ზუსტად შენობის ქვემოთ, მესამედან მარჯვნივ შემოუხვიეთ. ჩემი ბინის ნომერი უთხარით და ფასდაკლებით მოგემსახურებიან. ახლავე ავდგები და ჩავიცვამ. მალე გნახავთ.

— კარგი, საყვარელო! იმედია, დღეს მუშაობისთვის მზად ხარ!

ზურგზე გადავტრიალდი და ბალიშში ჩაფლული სერიოზულად დავფიქრდი ძილის გაგრძელების პერსპექტივაზე. არ გამოვიდოდა. მით უმეტეს, რომ ჩემი მშობლები დასახმარებლად კონექტიკუტიდან ჩამოვიდნენ. ზუსტად ამ დროს მაღვიძარაც ჩაირთო. აჰა! გამოდის, გუშინ მახსოვდა, რომ დღეს უნდა გადავსულიყავი! მაშ, ჯერ სრულ ჭკუაზე ვყოფილვარ! თუმცა ეს ნაკლებად მანუგეშებდა.

ლოგინიდან ადგომა თითქმის შეუძლებლად მეჩვენა, ბევრად გამიძნელდა, ვიდრე სხვა დროს, მიუხედავად იმისა, რომ მუშაობის დღეებში ამაზე გაცილებით ადრე ვდგებოდი ხოლმე. სხეული თითქოს მახსენებდა, რომ „ძილი მაკლდა" და დახარჯული ძალები აღდგენას საჭიროებდა — ეს ფსიქოლოგიიდან ვიცოდი. თავი ვაიძულე და წამოვდექი. ლოგინის მარცხნივ ტანსაცმელი გროვად ეყარა. ამ ტანსაცმლისა და კბილის ჯაგრისის გარდა ყველაფერი ჩალაგებული მქონდა. ლურჯი „ადიდასის"

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

სპორტული შარვალი, „ბრაუნის" კაპიუშონიანი ჟაკეტი და ჩემი ძველი ნაცრისფერი „ნიუ ბალანსები" ჩავიცვი, რომელთაც ყველგან თან დავატარებდი. ის-ის იყო, გავემზადე, რომ სადარბაზოს ზარის ხმაც გაისმა.

— გამარჯობა! ახლავე გაგიღებთ.

ორ წამში კარზე კაკუნი გავიგონე და ჩემი მშობლების ნაცვლად, ზღურბლზე ახალგაღვიძებული ალექსი დავინახე, რომელიც ყოველთვის, ძალიან კარგად გამოიყურებოდა. გახუნებული ჯინსის სათავე თეძოებზე ჰქონდა მორგებული და ლურჯი, გრძელსახელოიანი მაისური ტანზე ადგა. თხელჩარჩოიან სათვალეს მაშინ ატარებდა, როცა კონტაქტური ლინზებისგან თვალები ჰქონდა გაღიზიანებული (იმ დღეს თვალები გაწითლებული ჰქონდა). თმააჩეჩილი მიყურებდა. თავი ვერ შევიკავე, შემოსვლა არ ვაცადე და ეგრევე ჩავეხუტე. ბოლოს კვირას შევხვდი, შუადღე იყო, ყავა დავლიეთ. მთელი დღისა და ღამის ერთად გატარება გვქონდა დაგეგმილი, მაგრამ მირანდამ მომთხოვა კესიდთან დავრჩენილიყავი, თვითონ კი ქეროლაინი ექიმთან წაიყვანა. სახლში ძალიან გვიან დავბრუნდი, ალექსს კი მობეზრდა იმისთვის ლოდინი, რომ ჩემთვის მხოლოდ თვალი შეევლო, მისი კარგად მესმოდა. წინა ღამითაც სურდა ჩემთან დარჩენა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩემი და ალექსის ურთიერთობის შესახებ ყველამ იცოდა, მე მაინც მეუხერხულებოდა მშობლებთან და მერჩივნა დილით, როცა ისინი დასახმარებლად მოვიდოდნენ, მათ ალექსის გარეშე დავხვედროდი.

— გამარჯობა, პატარავ, ვიფიქრე, დღეს მივეხმარები-მეთქი, შენი მშობლები უკვე აქ არიან? ყავა მათთვისაც წამოვიღე, — მითხრა და ყავა დიდი ჭიქებით და ბეიგერლის პაკეტი გამოიწოდა, ვიცოდი, მასში ჩემი საყვარელი მარილიანი ფუნთუშებიც იდო.

— მეგონა, დღეს გაკვეთილი გქონდა, — ზუსტად იმ დროს ვუთხარი, როდესაც შავ კოსტიუმში გამოწყობილი შანტი თავისი საძინებლიდან გამოვიდა. მოგვესალმა, მძიმე სამუშაო დღესთან დაკავშირებით რაღაც წაიბუტბუტა და წავიდა. ჩვენ იმდენად იშვიათად ვსაუბრობდით, რომ დავინტერესდი, იცოდა თუ არა, რომ იმ დღეს მათთან ჩემი თანაცხოვრების ბოლო დღე იყო.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მართალი ხარ, მაგრამ ორი პატარა გოგონას მშობლებს დავურეკე და გაკვეთილი ხვალისთვის გადავატანინე. ასე რომ, დღეს მხოლოდ შენი ვარ!

— ენდი! ალექს! — ალექსის უკან, ზღურბლზე მამაჩემი იდგა და ისეთი გაცისკროვნებული გვიყურებდა, თითქოს დედამიწაზე მისთვის საუკეთესო დილა გათენებულიყო. დედა კი ისეთი ენერგიული ჩანდა, ვიფიქრე, წამლების ზემოქმედების ქვეშ ხომ არაა-მეთქი. სიტუაციას თვალი სწრაფად შევავლე და მივხვდი, რაც გაიფიქრეს — მე და ალექსი სპორტულებში, საუზმის პაკეტითა და ყავით. გარდა ამისა, კარი ისევ ღია იყო. აუუუ...

— ენდიმ გვითხრა, რომ დღეს მოსვლას ვერ შეძლებდი, — უთხრა მამამ, თან სასტუმრო ოთახის მაგიდაზე ფუნთუშების — ისინი უეჭველად მარილიანი იყო — შეკვრა და ყავა დადო. ჩემთვის თვალებში განზრახ არ შემოუხედავს, — მოხვედი თუ მიდიხარ?

გამეცინა და ალექსს შევხედე. იმედი მქონდა, ასე დილაადრიან ჩემთან სტუმრობას უკვე არ ნანობდა.

— ოჰ, არა, ახლახან მოვედი, დოქტორო საქს, — უპასუხა ალექსმა თავაზიანად, — მოსწავლეებს გაკვეთილი გადავუტანე, რადგან ვიფიქრე, ჩემი დახმარება დაგჭირდებოდათ.

— ძალიან კარგი! მშვენიერია! დარწმუნებული ვარ, ძალიან გამოგვადგები. აი, ფუნთუშები მიირთვი, მაგრამ ალექს, უნდა გვაპატიო, შენთვის ყავა არ წამოგვიღია, რადგან არ გელოდით, — მამაჩემი გულწრფელად შეწუხებული ჩანდა, რაც ძალიან გულისამაჩუყებელი იყო. ვიცოდი, რომ მამას უჭირდა შეგუებოდა აზრს, რომ მის უმცროს ქალიშვილს შეყვარებული ჰყავდა, თუმცა ცდილობდა, ეს არ გაემჟღავნებინა.

— არაფერია, დოქტორო საქს. რაღაცები მეც მოვიტანე, ასე რომ, ყველაფერი გვაქვს, თქვენ არ იდარდოთ.

მამა და შეყვარებული ყოველგვარი უხერხულობის გარეშე ჩამოსხდნენ დივანზე და ერთადაც ისაუზმეს.

ფუნთუშები ორივე პაკეტიდან გავსინჯე და იმაზე დავფიქრდი, თუ რა მშვენიერი იქნებოდა ლილისთან ერთად ცხოვრება. უნივერსიტეტი თითქმის წელიწადია, რაც დავამთავრეთ, ვცდილობდით დღეში ერთხელ ტელეფონით გველაპარაკა, მაგრამ მაინც ისეთი შეგრძნება გვქონდა, რომ ერთმანეთი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

საგან შორს ვიყავით. ახლა კი ერთად ვიცხოვრებდით, საღამოებს ერთად გავატარებდით და პრობლემებსაც ერთმანეთს შევჩივლებდით, ზუსტად ისე, როგორც სტუდენტობისას.

ალექსი და მამაჩემი სპორტზე (მგონი, კალათბურთზე) საუბრობდნენ, დედა კი ჩემს ოთახში წარწერებს უკეთებდა ყუთებს და ახარისხებდა. სამწუხაროდ, ბევრი რამ არ მქონდა: თეთრეულისა და ბალიშების მხოლოდ რამდენიმე ყუთი, ფოტოალბომები, სხვადასხვა საკანცელარიო ნივთი (თუმცა, სამუშაო მაგიდა არ გამაჩნდა), კოსმეტიკა, აბაზანის ნივთები და რამდენიმე დიდი ჰერმეტული ჩანთა „არასაპოდიუმე" ტანსაცმლით. მათზე წარწერების გაკეთებაც არ ღირდა, მაგრამ უეცრად ჩემში მდივანი ალაპარაკდა. მგონი.

— მოდი, დავიწყოთ! — დაიძახა მამამ სასტუმრო ოთახიდან.

— ჩჩჩ! კენდრას გააღვიძებ, ჯერ მხოლოდ დილის ცხრის ნახევარია და თან შაბათი, დაგავიწყდა?

ალექსმა თავი გააქნია.

— ვერ დაინახე, რომ შანტისთან ერთად გავიდა? ყოველ შემთხვევაში მე ასე მგონია. ნამდვილად წავიდნენ, ორივეს კოსტიუმი ეცვა და ძალიან მოწყენილად გამოიყურებოდნენ. თუ გინდა, მათი საძინებელი შეამოწმე.

პაწაწინა ოთახის კარი მიხურული იყო. ფრთხილად შევაღე. საწოლი უზადოდ გაესწორებინათ, ზედ ბალიშები დაეწყოთ. ორივე საწოლზე ერთნაირი სათამაშო ძაღლუკა იჯდა. მხოლოდ იმ წუთებში მივხვდი, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში, რაც იქ ვცხოვრობდი, გოგონების საძინებელში ერთხელაც არ შემიხედავს, მათთან ნახევარ წუთზე მეტხანს არ მისაუბრია, წარმოდგენა არ მქონდა, რას აკეთებდნენ, სად დადიოდნენ, ერთმანეთის გარდა სხვა მეგობრები თუ ჰყავდათ, თუმცა გულის სიღრმეში მაინც მიხაროდა, რომ გადავდიოდი.

ამასობაში ალექსმა და მამამ საუზმის ნარჩენები გადაყარეს და მუშაობის გეგმა შეადგინეს.

— მართალი ხარ, ორივე წასულა, მგონი, არც კი იციან, რომ დღეს გადავდივარ.

— შენც ადექი და „სკრაბლის" დაფაზე წერილი დაუტოვე, — შემომთავაზა მამამ.

ამ თამაშისადმი სიყვარული მამაჩემისგან გენეტიკურად გამომყვა. მას მთელი თეორია ჰქონდა შემუშავებული, თუ რატომ

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

უნდა დაგეტოვებინა ძველი დაფა და ახალ სახლში ცხოვრება ახალი სათამაშო დაფით დაგეწყო.

ქვებით ხუთ წუთში ავაწყვე: „ყველაფრისთვის გმადლობთ, წარმატებები, გკოცნით, ენდი.“ ორმოცდაცხრამეტი ქულა. ცუდი არ არის.

სადღაც ერთ საათში ორივე მანქანა ავეჯითა და სხვა ნივთებით გამივსეს, იმ ხნის განმავლობაში, რაც ისინი ავეჯს ქვემოთ ეზიდებოდნენ, მე ან კარს ვულებდი, ან ქუჩაში მანქანებს ვდარაჯობდი. მტვირთავები — რომელთა მომსახურება უფრო ძვირი ღირდა, ვიდრე თვით გადასაზიდი საწოლი — იგვიანებდნენ, ასე რომ, მამა და ალექსი მათ არ დაელოდნენ და ახალ ბინაში წავიდნენ.

ლილიმ ჩვენი ახალი ბინა გაზეთ „ვილიჯ ვოისში“ განთავსებული განცხადებით იპოვა, მე ის თვალით არ მენახა.

— ვიპოვე! ვიპოვე! იცი, რა მაგარია? აბაზანაში წყალი მოდის, მართალია ხის პარკეტი ალაგ-ალაგ დეფორმირებულია, მაგრამ რაც იქ ვიყავი, მღრღნელები არ შემინიშნავს. შეგიძლია ახლა მოხვიდე და ერთად ვნახოთ?

— ხომ კარგად ხარ? — ვუჩურჩულე, — აქ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ ფეხს ვერსად გავდგამ.

— უნდა მოხვიდე. ხომ იცი, როგორც ხდება ყველაფერი, საბუთები თან მაქვს.

— ლილი, ხომ იცი, ახლა ვერაფრით გამოვალ, გულის ტრანსპლანტაციას რომ საჭიროებდეს ვინმე, ოფისს მაინც ვერ დავტოვებ, რადგან იმწამსვე გამათავისუფლებენ და ხომ ვერ მეტყვი, ბინის გამო აქაურობა როგორ მივატოვო?

— მოკლედ, თუ დაგვაგვიანდა, სხვა იქირავებს, სულ მცირე, ოცდახუთი მსურველია და ისინი ახლა განაცხადებს ავსებენ. საქმე ახლავე უნდა მოვაგვაროთ.

მანჰეტენზე საცხოვრებლად ვარგისი ბინის დაქირავება იშვიათად იყო შესაძლებელი, და თითქმის ნორმალური, ტრადიციული ორიენტაციის მქონე მამაკაცის პოვნაზე უფრო დიდ გამართლებად მიიჩნეოდა. იმასაც თუ დავუმატებთ, რომ ქირის ფასიც ხელმისაწვდომი იყო, მისი ხელში ჩაგდება გაცილებით რთული იქნებოდა, ვიდრე აფრიკის სამხრეთით რომელიმე კერძო კუნძულის დაპატრონება. გასაქირავებელი ბინების უმეტესობა დამპალი პარკეტით, დაბზარული კედლებითა და

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

პრეისტორიული სველი წერტილებით ორმოც კვადრატულზე მეტი არ იყო. ამ ბინაში კი თაგვები და ტარაკნებიც კი არ დარბოდნენ. მას ხელიდან ვერ გავუშვებდით!

— ლილი, ხომ იცი, რომ გენდობი, ჰოდა, ადექი და განაცხადი შენ შეავსე. შეგიძლია აღწერილობა ელფოსტით გამომიგზავნო? — ვცდილობდი, მასთან საუბარი რაც შეიძლება მალე დამესრულებინა, მირანდა არტგანყოფილებიდან ნებისმიერ წუთში შეიძლებოდა დაბრუნებულიყო და თუ მობილურით ხელში დამინახავდა, ჩემი საქმე წასული იყო.

— ჰო, შენი გადახდის ჩეკების ასლები თან მაქვს — მინდა გითხრა, ისინი არცთუ საინტერესოდ გამოიყურება, რადგან ანგარიშზე ბევრი არაფერია... ასევე ამობეჭდილი მაქვს ჩვენი საბანკო ბალანსები, საკრედიტო ისტორია და განცხადება შენი სამსახურიდან. ერთადერთი პრობლემა ისაა, თუ ვინ ჩაგვიდგება თავდებში. ის სამი შტატიდან (ნიუ-იორკი, ნიუ-ჯერსი და კონექტიკუტი) ერთ-ერთის მცხოვრები უნდა იყოს და თვეში ჩვენს ქირაზე ორმოცჯერ მეტს გამოიმუშავებდეს. აქ ბებიაჩემი ნამდვილად არ გამოგვადგება, რადგან ამდენი ფულის პატრონი ნამდვილად არაა. როგორ გგონია, შენი მშობლები არ დაგვეხმარებიან?

— აბა, რა ვიცი, ლილი! არ მიკითხავს და ახლა ნამდვილად ვერ დავურეკავ. მიდი, შენ დაურეკე რა!

— კარგი, მაგრამ თუ იცი, რამდენს გამოიმუშავებენ? — არ ვიცოდი, მაგრამ ლილის სხვა ვისთვის ეკითხა?

— უბრალოდ დაურეკე, კარგი? უთხარი, რა დღეშიც ვართ და მოუბოდიშე, რომ თვითონ ვერ ვუკავშირდები.

— კარგი, — მიპასუხა, — როგორც კი ბინა ჩვენი იქნება, გირეკავ, — და გამითიშა.

რამდენიმე წამში ტელეფონი ისევ აწკრიალდა, ოფისის ტელეფონის ეკრანზე ნომერი ამოვიცანი. ემილიმ წარბების მალლა აწკეპით მიმანიშნა, ვხვდები, რომ მეგობარს ელაპარაკებიო. ტელეფონს ხელი ვტაცე, მაგრამ ემილის ვუპასუხე.

— მნიშვნელოვანია, — სისინით ვუთხარი, — მე და ჩემი დაქალი ახალი ბინის დაქირავებას ვცდილობთ და რადგანაც ამ წყეულ ოფისს ვერ ვტოვებ...

ერთდროულად სამი ხმა გავიგონე: ემილის მოზომილ[illegible] მშვიდი ხმა, რომელშიც გამაფრთხილებელი ნოტები [illegible]

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

და — „ანდრეა, გთხოვ", მითხრა მან ზუსტად იმ დროს, როცა ლილის კიკილი მოესმა — „შენი მშობლები დაგვეხმარებიან, ენდი! გაიგე? მისმენ?" და მოუხედავად იმისა, რომ ორივე მელაპარაკებოდა, მათი ხმა ერთადერთმა გადაფარა — ეს მირანდას ხმა იყო:

— პრობლემაა, ან-დრ-ეა? — სასწაულია, ამჯერად საბელით მომმართა. თავზე დამტრიალებდა და მისი გამომეტყველება კარგს არაფერს მოასნავებდა. ლილის უმალ გავუთიშე, ვიმედოვნებდი, რომ გამიგებდა და არ გამიბრაზდებოდა. თავდასხმისთვის მოვემზადე.

— არა, არანაირი პრობლემა, მირანდა.

— ძალიან კარგი. ახლა კი, ნაღების ნაყინი მინდა, ნამდვილი ნაყინი და არა გამდნარი მასა. ვანილის ნაყინი — და არა იოგურტი. გასაგებია? არანაირი გაყინული რძე, არანაირი საქარინი და არანაირი ნაკლები კალორია! შოკოლადის სიროფში ათქვეფილი ნაღებით მინდა. ჩამოსასხმელი და არა პაკეტის, გასაგებია? ნამდვილი ნაღებით. სულ ესაა. მითხრა და ისევ არტგანყოფილებისკენ გაბრუნდა. მე კი ისეთი შეგრძნებით ვიჯექი, რომ შესამოწმებლად შემობრუნდებოდა. ემილიმ ჩაახველა. ტელეფონი რეკავდა. ისევ ლილი იყო. ჯანდაბა, არ შეუძლია, რომ ელფოსტით გამომიგზავნოს? ვუპასუხე, რომ არაფერი მესმოდა.

— კარგი, ვიცი, რომ ვერ ლაპარაკობ, ამიტომ მე გეტყვი. შენი მშობლები თავდებში ჩაგვიდგნენ, რაც უბრალოდ მაგარია. ბინას მხოლოდ ერთი საძინებელი აქვს, მაგრამ როცა სასტუმრო ოთახს გადავტიხრავთ, შიგნით ორადგილიანი საწოლი თავისუფლად დაეტევა. მართალია, სააბაზანოში აბაზანა არაა, მაგრამ საკმაოდ კარგი საშხაპე გვაქვს. ჭურჭლის სარეცხი მანქანა არ არის, არც სათავსია, და არც კონდიციონერი, მაგრამ შეგვიძლია ვენტილატორი დავდგათ. სამრეცხაო სარდაფშია, შენობას ნახევარ განაკვეთზე მომუშავე კონსიერჟი ჰყავს, მეტრომდე ერთი კვარტალია და გამოიცანი, კიდევ რა გვაქვს? აივანი! — ალბათ ხმამაღლა ვსუნთქავდი, რადგან ის უფრო ალფრთოვანდა, — ვიცი! საუცხოოა! მართალია, ისეთი აივანი აქვს, რომ გეგონება, საცაა ჩამოინგრევაო, მაგრამ მაინც აივანია! ორივე თავისუფლად დავეტევით, შეგვიძლია იქ მოვწიოთ ხოლმე, ოო... უბრალოდ გლიჯავს!

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ფასი? — წავილულლულე, და გადავწყვიტე, რომ ეს ჩემი ბოლო სიტყვები იქნებოდა.

— ორი ათას ორას ოცდარვა დოლარი თვეში. წარმოგიდგენია, რომ აივანი მხოლოდ ათას ას დოლარად ჩავიგდეთ ხელში? ეს ბინა საუკუნის ალმოჩენაა. აბა, რას იტყვი, თანახმა ხარ?

ვდუმდი. ლაპარაკი მინდოდა, მაგრამ მირანდა ორ ნაბიჯში იყო და თან სარეკლამო განყოფილებიდან ვილაც გოგოს ყველას თვალწინ ლანძღავდა. იმ დღეს საშინელ გუნებაზე იყო და მე კი საყვედურები თავზე საყრელად მქონდა. საწყალ გოგონას სირცხვილისაგან ლოყები ასწითლებოდა და თავი დაეხარა. მისთვის ვლოცულობდი. უმჯობესი იქნებოდა, თუ არ იტირებდა.

— ენდი! ეს ოხერი, დამცინი თუ რა გჭირს? უბრალოდ მითხარი: კი ან არა! დღეს აქ მოსასვლელად ლექციები გავაცდინე, შენ კი სამსახურიდან არ გამოხვედი, რომ გენახა მაინც და ახლა იმაზეც კი არ იწუხებ თავს, რომ მარტივად მითხრა — კი თუ არა? მე რა შენი...

ლილიმ გაჭედა, მაგრამ მე მისი აბსოლუტურად მესმოდა, გათიშვის გარდა სხვა გზა არ დამრჩენოდა. ისე კიოდა, მისი ხმა მთელ ოფისში ისმოდა, მირანდა კი ჩემგან ზუსტად ორ ნაბიჯში იდგა. შევწუხდი და მომინდა სარეკლამო განყოფილების გოგონასთვის ხელი მეტაცა და ტუალეტში გამექცია, რომ მასთან ერთად მეტირა. ან იქნებ ჯობდა შეთქმულება მოგვეწყო და მირანდაც შიგნით შეგვეთრია? თავისუფლად შემოხვეულ „ჰერმესის" შარფს იმ წვრილ კისერზე მაგრად წავუჭერდით. ნეტა მე რას ავირჩევდი: მის გაკავებას თუ კისერზე შარფის მოჭერას? ან იქნებ უკეთესი ყოფილიყო პირში ჩაგვეჩარა და იმის ყურებით დავმტკბარიყავით, თუ როგორ იბრძოლებდა ჰაერის ჩასაყლაპად...

— ან-დრ-ეა! — გაისმა მისი ცივი ხმა, — ხუთი წუთის წინ რა გითხარით?

ჯანდაბა, ნაყინი! სულ გადამავიწყდა.

— მანდ ჯდომის რაიმე კონკრეტული მიზეზი გაქვთ? რატომ არ ასრულებთ დავალებას? თქვენ ასე ხუმრობთ? ან იქნებ მე გავაკეთე, ან ვთქვი რაიმე ისეთი, რომ ხუმრობად მიიღეთ? არასერიოზული გითხარით რამე? ა? მიპასუხეთ! — ყოველგვარი ყვირილის გარეშე მეკითხებოდა თვალებგადმოკარკლული და თან ჩემკენ მოაბიჯებდა, ნელ-ნელა მიახლოვდებოდა. პირი გავაღე, რომ ამეხსნა, მაგრამ ემილიმ დამასწრო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

— ბოდიში, მირანდა, ჩემი ბრალია, ანდრეას ვთხოვე, ტელეფონის ზარისთვის ეპასუხა, მეგონა, ქეროლაინი ან კესიდი იყვნენ, რადგან მე მეორე ხაზზე „პრადას“ იმ პერანგს ვუკვეთდი, თქვენ რომ დამავალეთ. ანდრეა უკვე გადიოდა, მე დავაყოვნე. ბოდიშს გიხდით, ეს აღარ განმეორდება.

„ჰოი, საოცრებავ! სრულყოფილება ალაპარაკდა! და არც მეტი, არც ნაკლები, ჩემს დასაცავად.“

მირანდა მაშინვე დამშვიდდა.

— კეთილი. ან-დრ-ეა, ნაყინი ახლავე მომიტანეთ, — მითხრა და ოფისში შევიდა, ტელეფონი აიღო და ყრუ-მუნჯ მამიკოსთან ბაასი გააბა.

ემილის შევხედე, თავს იკატუნებდა, ვითომ მუშაობდა. ერთსიტყვიანი გზავნილი მივწერე.

„რატომ?“

„რადგან აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავი, რომ გაგაგდებდა, მე კი სხვა ვილაცის მომზადების თავი აღარ მაქვს,“ — წამში მიპასუხა.

ოფისიდან გამოვედი და „იდეალური“ ნაყინის ძებნას შევუდექი, თან ვესტიბიულიდანვე ლილის გადავურეკე.

— ბოდიში, ლილი, ძალიან დიდი ბოდიში. უბრალოდ...

— მისმინე, ახლა ამის მოსასმენად დრო ნამდვილად არ მაქვს, — მიპასუხა ლილიმ მტკიცედ, — არ გგონია, რომ ყველაფერს აზვიადებ? როგორ დავიჯერო, „კი“ ან „არას“ პასუხი არ შეგეძლო?

— ამის ახსნა ძნელია, ლილ, უბრალოდ...

— დაივიწყე. ახლა გავრბივარ. ბინის პასუხს გაგაგებინებ, თუმცა ჩანს, ეგ ამბავი შენ ნაკლებად გადარდებს.

მინდოდა მეპასუხა. მეთქვა, რომ ცდებოდა, მაგრამ ტელეფონი გამითიშა. ჯანდაბა! რატომ მეგონა, რომ ლილი გამიგებდა, ზუსტად ოთხი თვის წინ ეს ყველაფერი მე თვითონაც სასაცილოდ მეჩვენებოდა. ძალიან ცუდად მოვიქეცი, მანჰეტენზე ბინის მოსაძებნად მარტო გავუშვი და მერე ტელეფონზე პასუხის ღირსადაც კი არ ჩავთვალე, მაგრამ აბა, სხვა რა გზა მქონდა?

ღამის თორმეტი საათის მერე დავურეკე და მან მითხრა, რომ ბინა ჩვენი იყო.

— მაგარია, ლილ. არც კი ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადო, ბეფიცები, ჩემს საქციელს გამოვისყიდი, კარგი? — ამის

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

თქმა იყო და, თავში გიჟური იდეა მომივიდა. სპონტანურობა! „ელიას-კლარკის“ ავტოსადგომში დავრეკავდი და ჰარლემში, მეგობრისთვის მადლობის სათქმელად პირადად მივიდოდი. აი ასე! — ლილ, სახლში ხარ? შენთან მოვდივარ, მოდი, ეს ამბავი აღვნიშნოთ, რას იტყვი?

მეგონა სიხარულისგან გააფრენდა, მაგრამ მშვიდად მიპასუხა.

— არ შეწუხდე, „საუტერნე კომფორტს“ მივირთმევ და „ბეჭდიანი ბიჭი“ მყავს სტუმრად. რაც მჭირდება, ყველაფერი მაქვს.

გული მეტკინა, მაგრამ გავუგე. იშვიათად, მაგრამ თუკი ლილი გაბრაზდებოდა, უმჯობესი იყო გასცლოდი, ვიდრე არ დამშვიდდებოდა. გავიგონე, სითხე ჭიქაში რომ ჩაასხეს, გავიგონე ყინულების ჩხრიალიც და ისიც, თუ როგორ მოსვა ლილიმ გრძელი ყლუპი.

— კარგი. თუ დაგჭირდი, დამირეკე, კარგი?

— რატომ? შენს მდუმარებას რომ ვუსმინო? არა, გმადლობ.

— ლილ...

— ჩემზე ნუ დარდობ. მშვენივრად ვარ, — კიდევ ერთი ყლუპი მოსვა, — მოგვიანებით შეგეხმიანები. და მართლა, გილოცავ!

— ჰო, მეც გილოცავ, — მივუგე, მაგრამ მას უკვე გათიშული ჰქონდა. ალექსთან დარეკვა გადავწყვიტე, ვიფიქრე მასთან წავიდოდი, მაგრამ ჩემი ხმის გაგონებით დიდად აღფრთოვანებული თითქოს არ ჩანდა. მე კი ამას ველოდი.

— ენდი, ხომ იცი, როგორ მინდა შენი ნახვა, მაგრამ ახლა მაქსთან და ბიჭებთან ერთად ვარ. შენ უკვე მთელი კვირა დაკავებული ხარ, ამიტომ დღევანდელი საღამო ბიჭებთან ერთად დავგეგმე.

— აა, კარგი, ბრუკლინში ხართ? ვიფიქრე, თუ შორიახლოს იყავით, შემოგიერთდებოდით, რას იტყვი? — ვკითხე, თუმცა ვიცოდი, სავარაუდოდ, სადმე აფერ ისტ საიდში, ჩემს სახლთან ძალიან ახლოს ისხდებოდნენ, რადგან ბიჭების უმეტესობა აქეთ ცხოვრობდა.

— სხვა ნებისმიერ დროს, მაგრამ ახლა მხოლოდ ბიჭების საღამო გვაქვს.

— ოჰ, კარგი, გასაგებია. ლილისთან შეხვედრას ვაპირებდი, რომ ბინის ამბავი აღგვენიშნა, მაგრამ წავიჩხუბეთ. მას

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

არ ესმის, სამსახურიდან თავისუფლად ლაპარაკი რომ არ შემიძლია.

— იცი, ენდი, უნდა გითხრა, რომ ეს ხანდახან არც მე მესმის. ჰო, მას მძიმე ხასიათი აქვს, გასაგებია, მაგრამ ყველაფერს, რაც მას ეხება, შენ გაცილებით მძიმედ აღიქვამ, — ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს თავს აიძულებდა, აღელვების გარეშე ესაუბრა ჩემთან.

— იქნებ მართლაც ზედმეტად სერიოზულად აღვიქვამ, — მივუგე მკვახედ, მწყინდა, რომ ჩემი ნახვა არ უნდოდა და არც იმას მთხოვდა, იქ მივსულიყავი, სადაც მეგობრებთან ერთად ატარებდა დროს, კიდევ ის მწყინდა, რომ ლილის მხარეს იჭერდა და არა ჩემსას, მიუხედავად იმისა, რომ ჩემთან ორივე მართლები იყვნენ, — ეს ჩემი ცხოვრებაა, იცი? ჩემი კარიერაა! ჩემი მომავალი! ნეტა რა ჯანდაბა უნდა ვქნა? ფეხებზე დავიკიდო?

— ენდი, ჩემს სიტყვებს ამახინჯებ. კარგად იცი, რაც ვიგულისხმე.

მაგრამ მე უკვე ვკიოდი, თავს ვერ ვიკავებდი. ჯერ ლილი, ახლა ალექსი და ეს ყველაფერი მირანდას შემდეგ! მთელი დღე, ყოველდღე! ამის ატანა აღარ შემეძლო. ტირილი მინდოდა, მაგრამ ამის ნაცვლად ალექსს ვუყვიროდი ტელეფონში:

— თქვენთვის ეს სასაცილოა, არა? ასე უყურებთ ჩემს სამსახურს, არა? „ო, ენდი, შენ მოდის ჟურნალში მუშაობ, რა არის აქ ძნელი?" — გამოვაჯავრე. ვაგრძელებდი და თან საკუთარ თავზე ნერვები სულ უფრო და უფრო მეშლებოდა, — იცით, რა? ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ ყველანი ანგელოზები ვერ ვიქნებით, ვერც დოქტორანტები! ძალიან დიდი ბოდიში თუ...

— მაშინ დამირეკე, როცა დაწყნარდები, — გამომიცხადა, — ამის მოსმენას არ ვაპირებ, — მითხრა და გამითიშა. გამითიშა! ველოდი, როდის დამირეკავდა, მაგრამ სულ ტყუილად, არც უფიქრია. ღამის სამი საათი იქნებოდა, რომ ჩამეძინა და ამ ხნის განმავლობაში არც ალექსს და არც ლილის არ დაურეკავთ.

კვირის თავზე კი გადასვლის დრო დადგა. მართალია, თითქოს არავინ არავისზე ბრაზობდა, მაგრამ ძველებურად მაინც ვერ ვიყავით. ჟურნალი სეზონს ხურავდა და იმდენი საქმე მქონდა, ვერაფრით მოვახერხე ლილისთვის დანაპირები შემესრულებინა, ყველაფერს გამოვასწორებ-მეთქი, რომ ვუთხარი. იმედი მქონდა, როცა საცხოვრებლად ერთად გადავიდოდით, ყველაფერ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE Scanned by CamScanner

რი თავისით დალაგდებოდა, ჩვეულ რიტმს დაუბრუნდებოდა, თითქოს ისევ სტუდენტები ვიყავით და ცხოვრება გაცილებით სასიამოვნო და მხიარული მომეჩვენებოდა.

მტვირთავები, როგორც იქნა, ათისთვის მოვიდნენ. ცხრა ნუთში ჩემი ძვირფასი საწოლი დაშალეს და სატვირთო მანქანაში მოათავსეს. მე და დედა მზიდავებს გავყევით. ალექსი და მამა უკვე იქ იყვნენ, კონსიერჟს ელაპარაკებოდნენ, ის ზედგამოჭრილი ჯონ გალიანო[66] იყო, ჩემი ყუთები ვესტიბიულში, კედელთან მიეწყოთ.

— ენდი, კარგია, რომ მოხვედი, მისტერ ფიშერი ბინის კარს იქამდე არ გახსნის, ვიდრე მდგმურს პირადად არ შეხვდება, — მითხრა მამამ ფართო ღიმილით, — მისი მხრიდან ეს ძალიან ჭკვიანური საქციელია, — დასძინა და კონსიერჟს თვალი ჩაუკრა.

— ოჰ, ლილი ჯერ არ მოსულა? მითხრა, ათიდან თერთმეტის ნახევრამდე ვიქნებიო.

— აქ არ არის, არ დამინახავს. დავურეკო? — მკითხა ალექსმა.

— ჰო, მიდი. მე კი მისტერ ფიშერს ზემოთ ავყვები და ნელ-ნელა ნივთებსაც ავზიდავთ. ლილის ჰკითხე, დახმარება თუ სჭირდება, — მისტერ ფიშერმა გამიღიმა. ამ ღიმილის ასახსნელად მხოლოდ ერთი სიტყვა მოიძებნებოდა — გარყვნილი.

— გთხოვ, ახლა ჩვენ ერთი ოჯახი ვართ, — მითხრა და თან მკერდზე დამაშტერდა, — ჯონი დამიძახე.

ჩემი გაცივებული ყავა გადამცდა და კინაღამ დავიხრჩვე. გავიფიქრე, შესაძლებელია, მსოფლიოში ყველაზე სათაყვანებელი კაცი, რომელმაც „დიორის“ ბრენდი შექმნა, გარდაცვლილიყო ისე, რომ ამის შესახებ არაფერი მცოდნოდა და ჩემი კონსიერჟის სახით გამომცხადებოდა.

ალექსმა თავი დამიქნია და სათვალე მაისურზე გაიწმინდა. მიყვარდა, ასე რომ აკეთებდა.

— შენ მშობლებს აჰყევი, მე კი ლილის დავურეკავ.

ვერ ვხვდებოდი, მამაჩემისა და კონსიერჟის (დიზაინერის) ასეთი დაძმობილება კარგი იყო თუ ცუდი. ამ კაცს ამიერიდან ჩემი ყველა ნაბიჯი ეცოდინებოდა. ვესტიბიული ცოტათი რეტროს სტილში იყო, მაგრამ სასიამოვნოდ გამოიყურებოდა. კედლები რაღაც ღია ფერის ქვით იყო მოპირკეთებული და

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლოფტების წინ არაკომფორტული შესახედაობის სავარძლები იდგა, მათ უკან კი ფოსტის ოთახი იყო განთავსებული. ჩვენი საცხოვრებელი შენობის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა, ეს კი, რამდენადაც ვხვდებოდი, ძალიან კარგი უნდა ყოფილიყო. ჯონმა კარი გაგვილო და ამაყი მშობლის გამომეტყველებით უკან დაიხია.

— აა, ნახეთ, — თავმომწონედ განგვიცხადა.

პირველი შევედი. რატომღაც მოველოდი, რომ შესვლისთანავე გოგირდის სპეციფიკური სუნი მეცემოდა ცხვირში ან ჭერში ღამურებს დავინახავდი, მაგრამ ყველაფერი ძალიან სუფთად და სასიამოვნოდ გამოიყურებოდა.

სამზარეულო მარჯვნივ იყო. ვიწრო ოთახი თეთრი კაფელითა და მეტლახით მოპირკეთებინათ, იქ ერთი ადამიანი თუ იტრიალებდა მხოლოდ. კარადებიც თეთრი ფერისა იყო. მაგიდის ლაქებიანი ზედაპირი გრანიტის ერთგვარ იმიტაციას მოგაგონებდათ, სამაგიეროდ, ქურის თავზე, კედელში, მიკროტალღოვანი ღუმელი იყო ჩამონტაჟებული.

— ძალიან კარგია, — თქვა დედამ, თან მაცივრის კარი გამოაღო, — ყინულის ლანგრებიც ჰქონია.

მზიდავებმა ოთახში ჩემი საწოლი შემოიტანეს. სამზარეულო სასტუმრო ოთახში გადიოდა, ის უკვე გადაეტიხრათ, ამის გამო, ბინაში ორი საძინებელი გვქონდა, მაგრამ სასტუმრო ოთახი ფანჯრის გარეშე დარჩენილიყო. არა უშავდა. ჩემი გადატიხრული საძინებელი საკმაოდ დიდი — ყოველ შემთხვევაში ძველ „საძინებელზე" გაცილებით ფართო მომეჩვენა. ფანჯარასა და აივანზე გასასვლელ შუშის კარს მთელი კედელი ეკავა. აბაზანა ვარდისფერი კაფელით სასტუმრო ოთახსა და ნამდვილ საძინებელს შორის იყო მოთავსებული. „ოო, ჩინებულია! „კიჩის"[67] სტილზე უკეთესი რა უნდა იყოს?" ნამდვილი საძინებელი ჩემსაზე გაცილებით დიდი აღმოჩნდა. ირგვლივ მიმოვიხედე. ვიწრო კარადა, ჭერზე ვენტილატორი და პატარა ჭუჭყიანი სარკმელი ჰქონდა. ის მოპირდაპირე შენობაში ერთ-ერთი ბინის ფანჯრებს უყურებდა. როცა ლილიმ ეს ოთახი მოინდომა, სიხარულით დავთანხმდი. მეცადინეობისთვის მას მეტი სივრცე სჭირდებოდა, რადგან გამოცდების წინ მთელი დღეები ოთახში უნდა ყოფილიყო შეკეტილი, სამაგიეროდ, მე ნათელი და აივნიანი ოთახი შემხვდა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— გმადლობ, ლილი, — ჩემთვის ჩავილაპარაკე. ვიცოდი, რომ ის ვერ გაიგონებდა.

— ძვირფასო, რა მითხარი? — მკითხა დედამ და ზურგიდან მომიახლოვდა.

— ოჰ, არაფერი. უბრალოდ, ლილიმ ძალიან მოინდომა, ეს ბინა რომ შეგვხვედროდა. წარმოდგენა არ მქონდა, რა დამხვდებოდა აქ, მაგრამ უნდა ვაღიარო, ძალიან კმაყოფილი ვარ. შენ რას იტყვი?

მის მზერაში წავიკითხე, რომ ცდილობდა თავისი აზრი თავშეკავებით გამოეთქვა.

— ჰო, ნიუ-იორკისთვის მშვენიერი ბინაა, უბრალოდ წარმოუდგენლად ძვირია. ხომ იცი, ჯილი და კაილი თვეში ათას ოთხასს იხდიდნენ ბინაში, სადაც ცენტრალური კონდენცირება იყო დამონტაჟებული, სამზარეულოში ჭურჭლისა და ტანსაცმლის ახალთახალი სარეცხი მანქანები იდგა, სამი საძინებელი და ორი მარმარილოს აბაზანა ჰქონდა! — ისე წარმოთქვა, თითქოს მნიშვნელობა ახლა გაეაზრებინოს. ორი ათას ორას ოთხმოცდ დოლარად ლოს-ანჯელესში, ოკეანის პირას, სახლს იქირავებდი, ჩიკაგოს ხეივნიან ქუჩაზე — ტრიპლექსს, მაიამიში — ოთხსაძინებლიან აპარტამენტს, ხოლო კლივლენდში — საერთოდ თხრილშემორტყმულ ციხესიმაგრეს.

ეს ყველამ ვიცოდით.

— და ორადგილიან ავტოსადგომს გოლფის მოედნით, სპორტული დარბაზითა და საცურაო აუზით, — დავეხმარე, — ჰო, ვიცი, მაგრამ გინდ დაიჯერე, გინდ არა, ეს ძალიან კარგი ბინაა. რატომღაც მგონია, რომ აქ ძალიან ბედნიერები ვიქნებით, — ვუპასუხე.

დედა ჩამეხუტა.

— მეც ასე ვფიქრობ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუშაობით თავს არ მოიკლავ და სიამოვნებას მიიღებ, — მითხრა უდარდელად.

ოთახში მამა შემოვიდა და თავისი სპორტული ჩანთა შემოათრია, რომელიც მთელი დღე ხელიდან არ გაუშვია. მეგონა, შიგნით სპორტული ფორმა ედო და მოგვიანებით კედლის ჩოგბურთის სათამაშოდ მიდიოდა, მაგრამ როცა ჩანთა გახსნა, ყავისფერი ყუთი დავინახე წარწერით: „შეზღუდული გამოცე-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მა!" „სკრაბლის" საკოლექციო გამოცემა იყო. მბრუნავ დაფას გვერდებზე პატარა კედლები ჰქონდა, რათა ქვებს აქეთ-იქით არ ესრიალათ. დაახლოებით ბოლო ათი წლის განმავლობაში მე და მამა სპეციალურ მაღაზიაში ამ გამოცემის ცქერას ვჯერდებოდით მხოლოდ, რადგან ყიდვა ვერ გაგვებედა.

— ო, მამიკო. არ უნდა გეყიდა! — ეს დაფა ორას დოლარზე მეტი მაინც ღირდა — აუჰ, ვგიჟდები, ისე მომწონს!

— ჰოდა, მზით გაცვითე! — მითხრა და ჩამეხუტა, — ან, უმჯობესია, თამაშში გაცვითო. ვნახოთ ერთი, რას იზამ მამაშენთან? მახსოვს, ადრე უფლებას გაძლევდი, მოგეგო. გითმობდი, რადგან ღამღამობით სახლში გაბუტული დააბიჯებდი. ახლა კი დავბერდი, გონება ისე აღარ მიმუშავებს, როგორც ადრე და ალბათ მართლაც ნავაგებ, — დაამატა.

ენაზე მადგა მეთქვა, რომ ეს თამაში საუკეთესო მოთამაშისგან, ანუ მისგან ვისწავლე. მაგრამ ამ დროს ოთახში შენუხებული სახით ალექსი შემოვიდა.

— რა მოხდა? — ვკითხე, ბოტასებიან ფეხებს მოუსვენრად ამოძრავებდა.

— მმ, არაფერი, — მოიტყუა და ჩემს მშობლებს გადახედა, შემდეგ კი მზერით მანიშნა, მოითმინეო.

— აი, ყუთი ამოვიტანე.

— მოდი, დანარჩენებიც ამოვიტანოთ, — უთხრა მამამ დედას და კარებისკენ ერთად წავიდნენ, — იქნებ მისტერ ფიშერს რაიმე პატარა ურიკასავით ჰქონდეს. ყველაფერს ერთიანად ამოვზიდავდით. მალე დავბრუნდებით.

ალექსს შევხედე, ორივე მოუთმენლად ველოდით, ლიფტის კარი როდის დაიხურებოდა.

— მოკლედ, ეს წუთია, ლილის ველაპარაკე, — დაიწყო ნელა.

— კიდევ ჩემზეა გაბრაზებული, არა? მთელი კვირა უცნაურად იქცეოდა.

— არა, არ მგონია.

— მაშინ რა?

— მოკლედ, სახლში არ იყო...

— აბა, სად არის? ღამით ვინმე ბიჭთან დარჩა? ვერ ვიჯერებ, რომ საკუთარი გადასვლის დღეს ასე იგვიანებს, — ვუთხარი და თან ფანჯარა გამოვაღე, რომ „ტყუილ" საძინებლებში სუფთა ცივი ჰაერი შემომეშვა სალებავის სუნის გასაფანტავად.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არა, სინამდვილეში ახლა ქალაქის პოლიციის ერთ-ერთ განყოფილებაშია, — მიპასუხა და თავი ძირს დახარა.

— სად არის? კარგად არის? ღმერთო ჩემო! დააყაჩაღეს თუ გააუპატიურეს? ახლავე მასთან უნდა წავიდე.

— ენდი, კარგადაა. უბრალოდ დაკავებულია, — ისე დამამშვიდა, თითქოს მოსწავლის მშობელს უხსნიდა, თუ რატომ ვერ გადავიდა მათი შვილი მეოთხე კლასში.

— დაკავებული? დააკავეს? — ვცდილობდი სიმშვიდე შემენარჩუნებინა, მაგრამ ცოტა ხანში მივხვდი, რომ ვკიოდი. ამ დროს ოთახში მამა შემოვიდა. უზარმაზარ ურიკას მოათრევდა, უსწორმასწოროდ დალაგებული ყუთები იქიდან გადმოცვენას ლამობდა.

— ვინ არის დაკავებული? — იკითხა უინტერესოდ, — მისტერ ფიშერმა ურიკა გვიშოვა.

ტვინს ვიჭყლეტდი, ტყუილი რომ მომეფიქრებინა, მაგრამ სანამ რაიმე აზრი მომივიდოდა, ალექსმა უპასუხა:

— აჰ, არავინ ისეთი, უბრალოდ ენდის ვუყვებოდი, რომ წუხელ „თი-ელ-სის“ ერთ-ერთი წევრი ნარკოტიკების მოხმარების გამო დაუკავებიათ. არადა ვინ წარმოიდგენდა...

მამამ თავი გააქნია და ოთახი მიათვალიერ-მოათვალიერა, ცალი ყურით გვისმენდა და ალბათ გაკვირვებული ფიქრობდა, მე და ალექსს ცნობილი პოპმომღერლების პირადი ცხოვრება როდის აქეთ გვაინტერესებდა.

— ჩემი აზრით, ეს ერთადერთი ადგილია ოთახში შენი საწოლის დასადგმელად, ასე თავით კედლისკენ იქნები, — მითხრა, — ჰო, ახლა ჩავალ, ვნახავ, ქვემოთ რას აკეთებენ.

შემოსასვლელი კარის მიხურვის ხმაზევე ალექსს პრაქტიკულად ვეცი.

— სწრაფად, მიდი, მომიყევი, რა მოუვიდა?

— ენდი, ასე ნუ კივი, ყველაფერი არც ისე ცუდადაა. სიმართლე გითხრა, ცოტა სასაცილოც კია, — მითხრა და თან თვალები აუთამაშდა, თითქოს სიცილს ვერ იკავებდა. წამით ედუარდო გამახსენა. ფუ.

— ალექს ფაინემან, გირჩევნია ახლავე მითხრა, რა უბედურებაში გაეხვია ჩემი მეგობარი...

— კარგი, კარგი, მშვიდად, — ეტყობოდა, რომ ხალისობდა, — მოკლედ, გუშინ ღამით, ვილაც ტიპთან ერთად ყოფილა. იცი,

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვინ არის „ენაში საყურეგაყრილი ბიჭი"? — გაკვირვებულმა შევხედე მოკლედ, სადღაც ყოფილან სავახშმოდ და „ენაში საყურეგაყრილ ბიჭს" ლილის სახლში გაცილება გადაუწყვეტია. ლილის კი უფიქრია, კარგი იქნებოდა თუ მას პირდაპირ ქუჩაში, რესტორნის წინ, „სექსუალურ სტრიპტიზს" აჩვენებ და... რომ უფრო მეტად მიეზიდა. თვითონ ასე მითხრა.

უცებ წარმოვიდგინე, დანაყრებული ლილი როგორ ხსნის სალეჭ რეზინს და პირში იდებს. რომანტიკული შეხვედრის შემდეგ რესტორნიდან გამოსული ზემოთ როგორ იწევს მაისურს ბიჭისთვის, რომელმაც ფული ენის გახვრეტაში გადაიხადა. ღმერთო!

ოჰ, არა, მან ხომ არ...

ალექსმა თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია, სიცილს ვერ იკავებდა.

გინდა მითხრა, რომ ჩემი საუკეთესო მეგობარი პოლიციამ იმისთვის დააკავა, რომ ქუჩაში ვიღაცას ძუძუებს უჩვენებდა? ეს ხომ სასაცილოა! ეს ნიუ-იორკია! ყოველდღე ვხედავ ქალებს, რომლებიც ტანს ზემოთ პრაქტიკულად შიშვლები სამსახურში დადიან, სამსახურში! — თავი ვერ შევიკავე და ისევ ავკივლდი.

— უკანალი, — მითხრა თავჩახრილმა და ლოყებალაჟლაჟებულმა, ოღონდ — სირცხვილისაგან თუ სიცილისგან, ამის თქმა გამიჭირდებოდა.

— რაა?

— ძუძუებს კი არა, უკანალს უჩვენებდა, სხეულის ქვედა ნაწილი ერთიანად გაიშიშვლა, ორივე მხრიდან — მითხრა და სიცილი ველარ შეიკავა. ისტერიკულად იცინოდა, ისე, რომ ვიფიქრე, ცუდად არ გახდეს-მეთქი.

— გთხოვ, მითხარი, რომ ეს სიმართლე არაა, — შენუხებულს აღმომხდა, ნეტა ამჯერად რა შარში გაეხვია ლილი?! — და პოლიციამ ეს ყველაფერი დაინახა და დააკავა?

— არა, ამას ორი ბავშვი შეესწრო, მათ დედას უთხრეს...

— ღმერთო, არა!

— ჰოდა, იმ ქალბატონმა ლილის სთხოვა, შარვალი აეწია. ლილიმ კი ხმამაღლა განუცხადა, თუ სად შეეძლო თავისი თხოვნის წაღება. ქალბატონი გაბრაზდა და გვერდით ქუჩაზე მდგარ პოლიციელს დახმარებისთვის მიმართა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ოჰ, არა, საკმარისია, აღარ გააგრძელო.

— მადროვე, ჯერ მთავარი არ მითქვამს. მოკლედ, იმ დროისთვის, როცა ის ქალბატონი პოლიციელთან ერთად დაბრუნდა, ლილის თქმით, ის და „ენაში საყურეგაყრილი ბიჭი“ უკვე კედელთან იდგნენ და ერთი ამბავი ჰქონდათ ატეხილი.

— ვისზე მიყვები? ჩემს მეგობარ ლილი გუდვინზე? ჩემს პატარა, მხიარულ და საყვარელ მერვეკლასელ გოგონაზე, რომელიც ახლა ქუჩაში შიშვლდება და კუთხეებში ყიმაობს? თან ვისთან? ენაში საყურეგაყრილ უცნობთან?

— ენდი, დამშვიდდი. მართლაც არაფერი უჭირს, მშვენივრადაა. დაკავების მიზეზი კი ის გახდა, რომ პოლიციელის შეკითხვაზე, მართლა გახდილი ჰქონდა თუ არა შარვალი, ლილიმ მას შუათითი უჩვენა...

— ო, ღმერთო ჩემო! მეტის მოსმენა აღარ შემიძლია. ახლა ვხვდები, რა დღეში არიან ხოლმე დედები.

— პოლიციამ ამჯერად ლილი მხოლოდ გააფრთხილა, ალბათ ახლა შინ მიდის, გონზე მოსვლა სჭირდება, როცა ველაპარაკე, ბოლომდე გამოფხიზლებული ჯერ კიდევ არ იყო. იმის თქმა მინდა, რომ ჩანს, ღამით ძალიან დათვრა, თორემ, როგორ გაბედავდა პოლიციელის ასე შეურაცხყოფას? ასე რომ, არ იდარდო. მოდი ახლა შენს ნივთებს მივხედოთ, მერე კი მის სანახავად წავიდეთ. კარგი? — მითხრა და მამას მიერ ამოტანილი ურიკისკენ გაიწია ყუთების გადმოსალაგებლად.

მე კი ვერ მოვიცდიდი. უნდა გამეგო, რა მოხდა. ლილიმ ყურმილი მეოთხე ზარზე აიღო, ზუსტად მაშინ, სანამ ავტომოპასუხე ჩაირთვებოდა, თითქოს ვერ გადაეწყვიტა, ეპასუხა თუ არა.

— კარგად ხარ? — მისი ხმის გაგონებისთანავე ვკითხე.

— გამარჯობა, ენდი. იმედია ჩვენი გადასვლის დღე არ ჩაგშალე. მანდ ხომ არ გჭირდები? ბოდიში რა ყველაფრის გამო.

— არა, ამაზე არ იდარდო, უბრალოდ შენზე ვნერვიულობ. ხომ კარგად ხარ? — მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ღამე პოლიციის განყოფილებაში გაატარა.

— ღამე იქ გაატარე? საკანში?

— ჰო, ასეც შეიძლება ითქვას. არც ისეთი ცუდი იყო. ფილმებში რომ აჩვენებენ, მსგავსი არაფერია. ოთახში ერთ სრულიად უწყინარ გოგონასთან ერთად მეძინა, ისიც ჩემნაირად, რაღაც სისულელის გამო დაეკავებინათ. მაგარი ზედამხედ-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ველი გვყავდა. მოკლედ, დიდი არაფერია, სანერვიულოდ არ ღირს. გისოსები და ეგეთები არ ყოფილა, — მითხრა და რაღაც უგულოდ გაიცინა.

შევეცადე შარდისგან აქოთებულ საკანში, აგრესიულ და მესაკუთრე ლესბოსელთან ერთად ჩემი პატარა, საყვარელი ჰიპი წარმომედგინა.

— ამ დროს სად ჯანდაბაში იყო „ენაში საყურეგაყრილი ბიჭი"? განყოფილებაში მიგატოვა? — მაგრამ სანამ ლილი მიპასუხებდა, თავში შემდეგი კითხვა დამებადა, სად ჯანდაბაში ვიყავი ამ დროს მე? ლილიმ რატომ არ დამირეკა?

— სიმართლე გითხრა, ის ძალიან კარგი ბიჭია, მან...

— ლილი, რატომ...

— ...ჩემი დატოვება არ უნდოდა და მზად იყო იურისტი მშობლებისთვის დაერეკა...

— ლილი, ლილი! წამით გაჩუმდი. მე რატომ არ დამირეკე? ხომ იცოდი, რომ შენთან იქამდე დავრჩებოდი, სანამ არ გამოგიშვებდნენ. რატომ? რატომ არ დამირეკე?

— ო, ენდი, ამას აზრი აღარ აქვს. გეფიცები, იქ ცუდად არ ვიყავი. რა სულელი ვარ, დამიჯერე, დღეიდან ასე აღარ დავლევ, მორჩა. ეს კარგს არაფერს მომიტანს.

— რატომ? რატომ არ დამირეკე? მთელი ღამე სახლში ვიყავი.

— მნიშვნელობა აღარ აქვს, მართლა. ვიფიქრე, რომ გვიანობამდე მუშაობდი, ან ძალიან, ძალიან დაღლილი იყავი. შენი შეწუხება არ მინდოდა, განსაკუთრებით კი პარასკევ ღამით.

ის ღამე უკან გადავახვიე და ერთადერთი, რაც გავიხსენე, იყო „ბინძური ცეკვები", რომელსაც „თი-ენ-თიზე" ზუსტად სამოცდამერვეჯერ ვუყურებდი. მე მგონი, მანამ ჩამეძინა, სანამ ჯონი განაცხადებდა, „ბეიბის ვერავინ დაჩაგრავსო" და ფეხზე დააყენებდა, მერე კი ექიმი ჰაუსმანი აღიარებდა, პენის გოგონას მამა ჯონი არ არისო და ზურგზე ხელს დაატყამდა ჯონის, ხოლო „ბეიბის" აკოცებდა, „ბეიბი" კი უკვე იმ ასაკში იყო, რომ ფრენსისს ეძახდნენ. მთელი ეს სცენა ზეპირად ვიცოდი.

— ვმუშაობდი? გეგონა ვმუშაობდი? და რა კავშირშია ეს დაღლილობასთან ან შენს დახმარებასთან? ლილი, არ მოგეშვები, თუ არ ამიხსნი.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მისმინე, ენდი, მოდი შევწყვიტოთ, კარგი? სულ მუშაობ, დღედაღამ, უქმე დღეებშიც კი, და როცა არ მუშაობ, მაშინ სამსახურზე ნუწუნებ. შენი მესმის, რადგან ძალიან კარგად ვიცი, რამდენად მძიმე სამსახური გაქვს, ისიც ვიცი, რომ დარეხვილი უფროსი გყავს და არ მინდოდა ის ადამიანი ვყოფილიყავი, რომელიც პარასკევ საღამოს შეგაწუხებდა, შეიძლება ისვენებდი ან ალექსთან ერთად ატარებდი დროს. ალექსისგან ვიცი, რომ ერთმანეთს პრაქტიკულად ვერ ხედავთ და არ მინდოდა, ეს საღამო თქვენთვის ჩამეშხამებინა, მისთვის ჩამეშხამებინა. თუ საქმე ცუდად წავიდოდა და მართლა დამჭირდებოდა შენი დახმარება, დაგირეკავდი და ისიც ვიცი, რომ ჩემს დასახმარებლად თავქუდმოგლეჯილი გამოიქცეოდი. მაგრამ გეფიცები, სერიოზული არაფერი ყოფილა. გთხოვ, დავივიწყოთ, კარგი? ახლა ძალიან დაღლილი ვარ, დიდი სურვილი მაქვს, შხაპი მივიღო და დავიძინო. — ისეთი გაოგნებული ვიყავი, რომ ხმას ვერ ვიღებდი, მაგრამ ლილიმ ჩემი მდუმარება თანხმობის ნიშნად მიიჩნია. — მანდ ხარ? — სადღაც ნახევარი წუთის შემდეგ მკითხა. მოსაბოდიშებელ სიტყვებს სასოწარკვეთილი ვეძებდი, მინდოდა რამენაირად მისთვის ამეხსნა. — მისმინე, სახლში ეს წუთია, რაც შემოვედი და მეძინება. მოგვიანებით დაგირეკავ, კარგი?

— მმ, აა, კარგი, — როგორც იქნა, ამოვღერღე, — ლილი, ბოდიში, თუ ასეთი წარმოდგენა შეგიქმენი ჩემზე... მაგრამ როგორ იფიქრე, რომ...

— ენდი, არ გინდა. ყველაფერი რიგზეა, არაფერი მწყენია. ჩვენ შორის ყველაფერი ძველებურადაა. მოდი, მერე ვილაპარაკოთ.

— კეთილი, აბა, კარგად გამოიძინე. დამირეკე, თუ რამე დაგჭირდეს...

— ასეც ვიზამ. მართლა, ჩვენი ახალი ბინა როგორ მოგწონს?

— საუცხოოა, ლილი, მართლაც ძალიან კარგია. ასეთი ბინა რომ გვაქვს, ეს მხოლოდ შენი დამსახურებაა. უკეთესს ვერც კი წარმოვიდგენდი. გული მიგრძნობს, ჩვენ აქ ცხოვრება ძალიან მოგვეწონება — ყურში ჩემი უემოციო ხმა ჩამესმოდა. მხოლოდ იმისთვის ვლაპარაკობდი ამდენს, რომ დავრწმუნებულიყავი, ჩვენს მეგობრობაში სამუდამო ბზარი არ გაჩენილა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მშვენიერია. მიხარია, რომ მოგწონს. იმედი მაქვს „ენაში საყურეგაყრილ ბიჭსაც“ მოეწონება, — იხუმრა, მაგრამ მასაც უემოციო ხმა ჰქონდა.

გავთიშეთ. სასტუმრო ოთახში გაშტერებული დავყურებდი ტელეფონს, სანამ დედა არ შემოვიდა და მითხრა, რომ მე და ალექსს სადილზე გვეპატიჟებოდნენ.

— რა მოხდა, ენდი? ლილი სად არის? ვიფიქრე, დახმარება დასჭირდება-მეთქი, მაგრამ სამის მერე ჩვენ აღარ გვცალია. გზაშია?

— არა, მმ, გუშინ ღამით ავად გახდა. ბოლო დღეები რაღაც ვერ იყო. ალბათ ხვალ გადმოვა. ტელეფონზე ახლა ველაპარაკე.

— კარგი, დარწმუნებული ხარ, რომ კარგადაა? ხომ არ ჯობს გვენახულა? ყოველთვის ისე განვიცდი ამ გოგონას ამ-ბებს, ამ ქვეყანაზე არავინ ჰყავს, მხოლოდ ენამწარე მოხუცი ბებია აბადია, — მითხრა და მხარზე ხელი ისე დამადო, თითქოს ტკივილის შემსუბუქებას ცდილობდა, — იღბლიანი გოგონაა, შენნაირი მეგობარი რომ ჰყავს, თორემ ამ სამყაროში სულ მარ-ტო იქნებოდა.

სიტყვები ყელში გამეჩხირა, მაგრამ რამდენიმე წამში პასუ-ხის გაცემა მაინც მოვახერხე:

— ჰო, ალბათ მართალი ხარ, მაგრამ ახლა კარგადაა, დაი-ძინებს და გამოშუშდება. მოდი სენდვიჩებზე წავიდეთ, კარგი? კარისკაცმა გვითხრა, რომ ოთხი სახლის მოშორებით ძალიან კარგი ბისტროა.

— მირანდა პრისტლის ოფისი, გისმენთ, — უკვე ჩვეული, უხალისო ხმით ვუპასუხე. იმედი მქონდა, ასე უფრო მივახ-ვედრებდი ზარის უდროობას ნებისმიერს, ვინც რამდენიმე თავისუფალი წუთის მოპარვა გამიბედა.

— გამარჯობა, ემ-ემ-ემ-ემილი ხარ? — ენის ბორძიკით მკი-თხა უცნობმა ქალმა.

— არა, ანდრეა ვარ. მირანდას ახალი თანაშემწე, — ვუპასუ-ხე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ასჯერ მაინც მითქვამს სატელე-ფონო ზარების ცნობისმოყვარე პატრონებისთვის.

— აჰ, მირანდას ახალი თანაშემწე, — შეჰყვირა უცნაური ხმის ქალმა, — მთელ მ-მ-მ-მსოფლიოში ყველაზე იღბლიანი გოგო შენზე ითქმის! აბა, როგორ უძლებ სამყაროს ყველაზე დიდ ბოროტებას?

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამის თქმაზე ეგრევე გამოვცოცხლდი. რაც „პოდიუმში“ ვმუშაობდი, ჯერ არ მსმენოდა, ვინმეს მირანდაზე ასე თამამად ლაპარაკი გაებედოს. სერიოზულად მეკითხებოდა? თუ ლაპარაკში მიწვევდა?

— მმ, იცით „პოდიუმში“ მუშაობა ნამდვილად დიდი გამოცდილების მომცემია, — ავბლუყუნდი, — ამ სამსახურისთვის მილიონობით გოგონა სულს ეშმაკსაც მიჰყიდდა.

„ეს რა, მე ვთქვი?“

წამიერ მდუმარებას ტურის მსგავსი ყმუილი მოჰყვა.

— ო, არა, ეს უბრალოდ ძალიან მ-მ-მ-აგარია! — კიოდა, თან სიცილსა და ხავილს შორის ხმას გამოსცემდა, — რა დაგმართა ასეთი? ვესთ ვილიჯის ბინაში გამოგკეტა, „გუჩის“ ყველა ნივთი წაგართვა, ტვინი გამოგირეცხა და ბოლოს სულელივით ალაპარაკდი? მ-მ-მ-მაგარია! სასნაული ქალია! აბა, მის მოსიარულე გამოცდილებავ, ჩიტმა ამბავი მომიტანა, მირანდამ თანაშემწედ ამჯერად მაგარი მლიქვნელი აიყვანაო, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ როგორც ყოველთვის, ჩიტუნია შეცდა. შენ ალბათ „მაიკლ კორსის“ ჟაკეტიანი ბლუზები და „ჯ. მენდელის“ ბენვის ქურქები გიყვარს, არა? ყველაფერი გასაგებია, ფისუნიავ. კარგად შეეწყობით. ახლა კი, ეგ გამხმარი დუნდულები გაანძრიე და შენს უფროსთან შემაერთე.

გაოგნებული ვიყავი. პირველი, რაც თავში მომივიდა, ეს სიტყვები იყო: „გაეთრიე, ძუკნავ!“ მას უფლება არ ჰქონდა, ჩემთან ასე ელაპარაკა, რადგან არც კი მიცნობდა. მისი ყველაზე დიდი პრობლემა კი იმაში მდგომარეობდა, რომ სხვისი დამცირებით ცდილობდა საკუთარი ნაკლის — ენაბლუობის გადაფარვას. უფრო მეტად კი მინდოდა, ყურმილზე ტუჩები მიმებჯინა და მისთვის მეჩურჩულა: „მე აქ მისი მძევალი ვარ, გთხოვთ, გთხოვთ მიშველეთ, მიხსენით ამ გონებაგამორეცხილთა ჯოჯოხეთიდან! თქვენ სრულებით მართალი ხართ თქვენს შეფასებებში, მხოლოდ მე მათგან განვსხვავდები, მე გამონაკლისი ვარ!“ — მაგრამ ვერაფერიც ვერ ვუთხარი, რადგან მივხვდი, რომ წარმოდგენა არ მქონდა, ვის ველაპარაკებოდი, ვინ იყო ეს ენაბლუ, უკმეხი ქალი ტელეფონის მეორე ხაზზე? ღრმად შევისუნთქე და გადავწყვიტე, პირდაპირ საქმეზე გადავსულიყავი ისე, რომ მირანდას საკითხს არ შევხებოდი.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— იცით, „მაიკლ კორსზე“ მართლაც ვგიჟდები, მაგრამ უნდა გითხრათ, ჟაკეტიანი ბლუზების გამო — არა, „ჯ. მენდელის“ ბეწვის ქურქები არაჩვეულებრივია, მაგრამ ჭეშმარიტი „პოდიუმის“ მიმდევარი, რომელსაც განსხვავებული და უზადო გემოვნება აქვს, ალბათ ისეთ ტანსაცმელს ანიჭებს უპირატესობას, რომელსაც ოცდამეცხრე ქუჩაზე „პოლოჯორჯი“ მხოლოდ მისთვის კერავს. ოჰ, და მომავალში რომ იცოდეთ, მირჩევნია, ნაკლებად დამამცირებელი სახელით მომმართოთ, მაგალითად: „ხელქვეითი“ და არა „მლიქვნელი“. მოხარული ვიქნებოდი, სხვა მოსაზრებებსაც თუ შეგისწორებდით, მაგრამ იქნებ დამდოთ პატივი და მითხრათ, ვის ველაპარაკები?

— ტუშე[68], მირანდას ახალო თანაშემწევ, ტუშე! მე და შენ შ-შ-შეიძლება დავმეგობრდეთ კიდეც. მ-მ-მე მისი დაქირავებული რობოტები არ მომწონდა, ალბათ იმიტომ, რომ დიდად არც მირანდა მეხატება გულზე. ჩემი სახელია ჯუდით მასონი და იმ შ-შ-შემთხვევაში, თუ ეს სახელი არაფერს გეუბნება — თვეში ერთხელ, თქვენი ჟურნალისთვის მოგზაურობაზე სტატიებს მე ვწერ. ახლა კი მითხარი, რადგან შედარებით ახალი ხარ: თაფლობის თვე დასრულდა? — არ ვიცოდი, რა მეპასუხა. ამით რისი თქმა უნდოდა? ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ნელი მოქმედების ბომბს ველაპარაკებოდი, — აბა? რას მეტყვი, რა დრო გავიდა მას შემდეგ, რაც „პოდიუმის“ ჯადოსნური ფანჯარა შენთვის გაიღო? შენი სახელი უკვე ყველამ იცის, მაგრამ იმდენად კარგად არ გიცნობენ, რომ სისუსტეები იპოვონ და სააშკარაოზე გამოფინონ, არა? დამიჯერე, როცა ეს მოხდება, ამას დააფასებ, რადგან შენ ძალზე განსაკუთრებულ ადგილას მუშაობ, — სანამ პასუხს გავცემდი, დასძინა, — საკმარისია კ-კ-კ-კეკლუცობა, მეგობარო. თავი არ შ-შ-შ-შეიწუხო და არ უთხრა, რომ მე ვურეკავ, ჩემს ზარებს არასდროს პასუხობს, — ჩემი აზრით, მისი ბლუყუნი აღიზიანებდა, — უბრალოდ ჩემი სახელი და გ-გ-გვარი ბიულეტენში შეიტანე. გმადლობ და გ-გ-გკოცნი. წკაპ.

ყურმილი გაოგნებულმა დავკიდე და სიცილი დავიწყე. მირანდას ერთ-ერთი ხარჯთაღრიცხვის ანგარიშიდან ემილიმ თავი ასწია და მკითხა, რა მოხდაო. როდესაც ვუთხარი, რომ ჯუდითმა დარეკა, თვალები ისე გადაატრიალა, შემეშინდა, ასე არ დარჩეს-მეთქი, შემდეგ კი მითხრა:

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ეგ პირველი კლასის ძუკნაა, არც კი ვიცი, მირანდა როგორ ელაპარაკება მას. მის ზარებს არ პასუხობს, ასე რომ, მისი სახელი არ უხსენო, უბრალოდ სიაში შეიტანე და მირანდა მასთან ვინმეს დაარეკვინებს, — ისე გამოვიდა, რომ ჯუდითმა ჩემზე კარგად იცოდა, როგორ მუშაობდა ჩვენი ოფისი.

ჩემს ფირუზისფერ „მაკის" ეკრანზე „ბიულეტენი" ორჯერ დავაწკაპუნე და შინაარსს გადავავლე თვალი. ბიულეტენი მირანდა პრისტლის ოფისის მთავარ ღირებულებას წარმოადგენდა და ჩემი აზრით, მისი ცხოვრების მთავარ აზრსაც. ბიულეტენის იდეა დიდი ხნის წინ მის ერთ-ერთ თანაშემწეს შეუმუშავებია და თავიდან უბრალოდ „ვორდის" დოკუმენტი ყოფილა. ის საზიარო საქაღალდეში ინახებოდა და მისი გახსნა მხოლოდ მე და ემილის შეგვეძლო. ბიულეტენს ხან ემილი ხსნიდა და ხანაც — მე, ერთდროულად მისი გახსნა შეუძლებელი იყო. მას შემდეგ, რაც ახალ შეტყობინებას, იდეას ან შეკითხვას შევიტანდით, განახლებულ ვერსიას ვბეჭდავდით და საქაღალდეში ვაკრავდით, ის, ჩვეულებრივ, ჩვენს მაგიდებზე, საქაღალდეების ყუთში ინახებოდა, ძველ ვერსიებს კი ვყრიდით. მირანდა მხოლოდ რამდენიმე წუთით თუ გადახედავდა იმას, რასაც მე და ემილი მთელი დღის განმავლობაში ვამზადებდით, ვკრებდით, ვბეჭდავდით და მისთვის საქაღალდეში ვკინძავდით. ხშირად ერთმანეთს სისინით ვეუბნებოდით, რომ რომელიმეს ბიულეტენი ჩაეხურა, რათა მისი განახლება შეგვძლებოდა. ინფორმაციას საკუთარ პრინტერებზე ცალ-ცალკე ვბეჭდავდით და საქაღალდეში ვამაგრებდით ისე, რომ მათ შედარებამდე არც ერთმა არ ვიცოდით, რომლის ვერსია იყო უახლესი.

— ჯუდითის შეტყობინება უახლესია და ჩემს ვერსიაში შევიტანე, — ვუთხარი დაძაბულმა იმის შიშით, რომ მირანდა, ნებისმიერ წუთს ოფისის კარს შემოაღებდა და ჩემი ბიულეტენი მზად უნდა ყოფილიყო. ედუარდომ დამირეკა, ის უკვე ლიფტში შევიდა და მაღლა ამოდისო. სოფი დუმდა, მაგრამ ალბათ წამებში შეგვატყობინებდა, რომ უკვე მისაღებში იყო.

— მე კი ჯუდითის შემდეგ კონსიერჟი მყავს პარიზის „რიციდან," — თითქმის ყვირილით, ტრიუმფალურად განმიცხადა ემილიმ, სანამ ამას კლავიატურაზე კრეფდა. ჩემი ოთხი წუთის წინ განახლებული ბიულეტენი ავიღე და გადავათვალიერე. ტელეფონის ნომრების მითითებისას, ციფრებს შორის ტირე

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიუღებელი იყო, მხოლოდ წერტილები. დროის აღმნიშვნელ ციფრებს შორის ორწერტილს კი არა, უბრალოდ, წერტილს ვსვამდით და დროს ყოველთვის დამრგვალებულად მივუთითებდით. ნომერი, რომელზედაც მას უნდა დაერეკა, ყოველთვის ახალი ხაზიდან იწყებოდა, ეს ძებნას ამარტივებდა. დროის მწკრივი უჩვენებდა, თუ რა დროს ვინ დარეკა. სიტყვა „შენიშვნა" ჩემსა და ემილის სათქმელს აღნიშნავდა (რადგან მისი ნებართვის გარეშე მიმართვა უბრალოდ გამორიცხული იყო. ბიულეტენში ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია შედიოდა).

„შეხსენება" გულისხმობდა იმას, რასაც მირანდა ავტომოპასუხეზე ღამის პირველიდან დილის ხუთ საათამდე გვიტოვებდა. ჩვენთვის შეტყობინებაში დატოვებული დავალება დილით შესრულებული უნდა ყოფილიყო. ჩვენს თავს მესამე პირში მივმართავდით — ეს აბსოლუტურად გადამწყვეტი იყო, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკუთარი თავის ხსენება საჭიროებას წარმოადგენდა.

ხშირად გვავალებდა ვინმე კონკრეტული პიროვნების ნომრისა და ზუსტი დროის ცოდნას, რათა მასთან საუბარი შესძლებოდა. ასეთ შემთხვევებში თავს ყოველთვის იმაზე ვიმტვრევდით, თუ რომელ პარაგრაფში შეგვეტანა მსგავსი დავალება — „შენიშვნებში" თუ „შეხსენებებში". მახსოვს ერთხელ ვფიქრობდი, რომ ბიულეტენის საშუალებით გავეცანი მოდას, მაგრამ მილიარდერები, მაღალი მოდის ნაღები საზოგადოება და სუპერშთამბეჭდავი ხალხი ჩემთვის „განსაკუთრებულთა" სიაში აღარ შედიოდნენ. ჩემი ახალი რეალობიდან გამომდინარე, „პოდიუმისთვის" თეთრი სახლის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანაშემწის ზარი გაცილებით ნაკლებად საინტერესო ინფორმაციის შემცველი იყო, ვიდრე ზარი ვეტერინარული კლინიკიდან ლეკვის აცრასთან დაკავშირებით (დაგენაძლევებით, მირანდა მას ნამდვილად გადაურეკავდა!).

ხუთშაბათი, 8 აპრილი

7.30: დარეკა სიმონამ პარიზის ოფისიდან. მან მისტერ ტესტინოსთან რიოში გადაღებების თარიღები შეათანხმა და ასევე დაუკავშირდა ჟიზელის აგენტს, მაგრამ რაღაც საკითხებზე კონსულტაცია მაინც სჭირდება თქვენთან. გთხოვათ, დაურეკოთ: 011.33.1.55.91.30.65

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

8.15: დარეკა მისტერ ტომლინსონმა. გთხოვათ, მობილურზე დაურეკოთ.

შენიშვნა: ანდრეა ბრუსს ელაპარაკა. მისი თქმით, თქვენს ფოიეში, დიდ სარკეს, ზედა მარცხენა კუთხეში, ორნამენტი მოსძვრა. მან იდენტურ სარკეს ბორდოს ერთ-ერთ ანტიკვარიატის მაღაზიაში მიაგნო. გსურთ, რომ შეუკვეთოს?

8.30: დარეკა ჯონათან კოულმა. შაბათს მელბურნში მიემგზავრება და სურს გამგზავრების მიზანი კიდევ ერთხელ გადაამოწმოს. გთხოვათ, დაურეკოთ.

555.7700

შეხსენება: დაურეკეთ კარლ ლაგერფილდს წლის წვეულების მოდელის შერჩევის საკითხთან დაკავშირებით. ბიარიცში, სახლში იქნება საღამოს 8.00-8.30.

011.33.1.55.22.06.78: სახლი

011.33.1.55.22.58.29: სტუდია-სახელოსნო

011.33.1.55.22.92.64: მძღოლი

011.33.1.55.66.76.33: თანაშემწე პარიზში, იმ შემთხვევაში, თუ ვერ დაიჭერთ.

9.00: დარეკა ნატალიმ „გლორიას ფუდიდან", აინტერესებდა, რომელი გირჩევნიათ, „ვაშერონი 69" ათქვეფილი ალუბლებით თუ თბილი კომპოტი. გთხოვათ, დაურეკოთ: 555.9887.

9.00: დარეკა ინგრიდ სიშიმ ჟურნალის აპრილის ნომრის მოსალოცად. ამბობს, რომ ყდა „როგორც ყოველთვის, შთამბეჭდავია" და სურს იცოდეს იმ ვიზაჟისტის ვინაობა, ვინც ჟურნალის ყდაზე გოგონებს მაკიაჟი გაუკეთა. გთხოვათ, დაურეკოთ.

555.6246: სამსახური

555.8833: სახლი

შენიშვნა: დარეკა მიო კოსუდომ და მოგიბოდიშათ, რომ დემიან ჰერცის ყვავილების კომპოზიციის მოწოდებას ვერ შეძლებს. მთხოვა, გადმომეცა, რომ მას სახლის წინ ოთხი საათი ელოდა, მაგრამ არ გამოჩენილა. რადგან შენობას შვეიცარი არ ჰყავს, ნამოსვლა მოუხდა. ხვალ თავიდან შეეცდებიან.

9.15: დარეკა მისტერ სამუელსმა. საღილის შემდეგ, მასთან დაკავშირებას ველარ შეძლებთ და სურს შეგახსენოთ, რომ დღეს საღამოს „ჰორაცი მენში" მშობელთა კრება იმართება. სურს ნასწარ განიხილოს თქვენთან ქეროლაინის ისტორიის პროექტი.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

გთხოვათ დაურეკოთ 2.00 საათის შემდეგ, თავისუფალია 4.00 საათამდე.

555.5932

9.15: მისტერ ტომლინსონმა ისევ დარეკა. ანდრეას სთხოვა, მშობელთა კრების შემდეგ თქვენთან სავახშმოდ რესტორანში მაგიდა დაეჯავშნა. გთხოვათ, რომ მობილურზე დაურეკოთ.

შენიშვნა: ანდრეამ საღამოს 8.00 თქვენთვის და მისტერ ტომლინსონისთვის „ლა კარაველეში" დაჯავშნა მაგიდა. რიტა ჟამემ გადმოგცათ, რომ ერთი სული აქვს, როდის გნახავთ, ასევე დასძინა, რომ უბრალოდ აღფრთოვანებულია იმით, რომ სავახშმოდ მისი რესტორანი აირჩიეთ.

9.30: დარეკა დონატელა ვერსაჩემ. ამბობს, რომ თქვენი ვიზიტისთვის ყველაფერი მზადაა. აინტერესებს, მძღოლის, შეფმზარეულის, მწვრთნელის, თმის სტილისტის, ვიზაჟისტის, პირადი თანაშემწის, სამი მოახლისა და იახტის კაპიტნის გარდა, თუ დაგჭირდებათ ვინმე? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვათ მას მილანში გამგზავრებამდე დაუკავშირდეთ. იქ ყოფნისას ვერ შემოგიერთდებათ, რადგან ჩვენებებისთვის ემზადება.

011.3901.55.27.55.61

9.45: დარეკა ჯუდით მასონმა. გთხოვათ, დაურეკოთ.

555.6834

ჩემი ვერსია დავჭმუჭნე და მაგიდის ქვემოთ სანაგვე ურნაში ჩავაგდე, მანამდე ჩაყრილმა, მირანდას ნომერ მესამე საუზმის ცხიმმა ქაღალდი სწრაფად გაჟღინთა. ჯერჯერობით ყველაფერი რიგზე იყო, თუ ბიულეტენს არ ჩავთვლიდით. „ჰოთმეილის" გახსნა დავაპირე, ჩემი ფოსტა რომ მენახა და ამ დროს ოფისში მირანდა შემოვიდა. ჯანდაბა, სოფი, დარეკვა და გაფრთხილება ისევ დაგავიწყდა!

— იმედია, ბიულეტენი განახლებულია, — ყინულივით ცივი ხმით ისე გვითხრა, რომ ჩვენთვის არც კი შემოუხედავს. გვერდით ისე ჩაგვიარა, თითქოს იქ არ ვმდგარიყავით.

— დიახ, მირანდა, — ვუპასუხე და გავუწოდე. „ორი სიტყვით" — გავიფიქრე ჩემთვის და გულში ლოცვა დავიწყე, რომ თუ ასე გავაგრძელებდი, დღეში სამოცდათხუთმეტ სიტყვაზე მეტი არ გამომივიდოდა. ნელამდე სიგრძის ნაულის ქურქი გაიხადა და მაგიდაზე დამიგდო. თავი ძლივს შევიკავე, ფაფუკ

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბეწვში თავი რომ არ ჩამერგო. ქურქი კარადაში ჩამოსაკიდად ნავიღე და როცა მკვდარი ცხოველის არაჩვეულებრივ ბეწვს სახე მივადე, ვიგრძენი, რომ ის ცივი და ნესტიანი იყო. ბეწვზე ჯერ კიდევ ჩანდა გაყინული წყლის წვეთები. დროულია...

ლატეს თბილ ჭიქას თავსახური მოვხადე და ცხიმიანი ბეკონი, სოსისი და ყველიანი ღვეზელები გაურეცხავ თეფშზე ფრთხილად დავალაგე. მის ოფისში თითის წვერებზე შევედი და ლანგარი მაგიდის კუთხეში მოკრძალებით დავუდე. მირანდა „დემფსისა და ქეროლის" საკანცელარიო ქაღალდზე რაღაცას გაფაციცებით წერდა.

— ან-დრ-ეა, ნიშნობის წვეულებასთან დაკავშირებით საკითხები უნდა განვიხილო. ბლოკნოტი მოიმარჯვეთ, — ისე ნაზად მითხრა, რომ თითქმის ვერ გავიგონე.

თავი დავუქნიე და იმავდროულად გავიაზრე, რომ თავის დაქნევა სიტყვიერი თანხმობის ტოლფასი იყო. ნიშნობა „პოდიუმში" ჩემს პერსონალურ სასჯელს წარმოადგენდა. წვეულებამდე ერთი თვე რჩებოდა, მაგრამ ვინაიდან მირანდა ევროპულ ჩვენებებზე მიემგზავრებოდა, სამზადისი ადრე დავიწყეთ, რასაც ჩვენი სამუშაო დროის უმეტესი ნაწილი მიჰქონდა. მის ოფისში ბლოკნოტითა და კალმით შევბრუნდი, თან შინაგანად მოვემზადე, რომ მისი ნათქვამიდან სიტყვასაც ვერ გავიგებდი. კარნახის პროცესი უფრო კომფორტული რომ ყოფილიყო, ვიფიქრე, ცოტა ხნით მაინც ჩამოვჯდები-მეთქი, მაგრამ გონს დროულად მოვეგე და თავი შევიკავე.

მირანდამ ისე ამოიხვნეშა, თითქოს უზომოდ გადაქანცული იყო ამ ყველაფრით და შესაძლოა, ვერც მიეყვანა საქმე ბოლომდე, შემდეგ კი „ჰერმესის" თეთრი შარფი სამაჯურივით დაიხვია მაჯაზე და დაიწყო:

— დაუკავშირდით ნატალის „გლორიას ფუდიდან" და გადაეცით, რომ თბილი კომპოტი მირჩევნია. თავი არ მოატყუებინოთ, რომ ამ საკითხზე ჩემთან პირადი კონსულტაციაა საჭირო, რადგან ეს ასე არ არის. ასევე, დაელაპარაკეთ მიოს და ყვავილების კომპოზიციასთან დაკავშირებით ჩემი პოზიცია გააგებინეთ. მომიძებნეთ და სადილამდე ტელეფონით დამაკავშირეთ რობერტ ისაბელთან, რომ სუფრებთან, სტუმრების ადგილებთან და ლანგრებთან დაკავშირებით მოველაპარაკო. ასევე, დაუკავშირდით „მეტროპოლიტენის მუზეუმიდან" იმ

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

გოგონას და დარწმუნდით, რომ ყველაფერი განრიგის მიხედვით მიდის. გადაეცით, მაგიდების კონფიგურაციების სქემები ფაქსით გამომიგზავნოს, რათა სტუმრებისთვის ადგილების შერჩევა შევძლო. სულ ეს არის.

ეს ყველაფერი ისე ჩამოთვალა, წამით არ შეჩერებულა და როცა დაასრულა, გამზადებული ჩანაწერი მომაწოდა. ბლოკნოტში ყველაფერი ჩანიშნული მქონდა. ვიმედოვნებდი, რომ არაფერი შემშლია და მისი ბრძანებები სწორად გავიგე, თუმცა ეს არ იყო ადვილი, თუკი მის ბრიტანულ გამოთქმასა და მეტყველების ტემპს გავითვალისწინებდით.

— გასაგებია, — წავიბურტყუნე და გასასვლელისკენ შევბრუნდი, ახლა უკვე მირანდასთვის ნათქვამი სიტყვების რაოდენობა ოთხამდე გაიზარდა. იქნებ ორმოცდაათამდე არც ავიდეს-მეთქი, ვფიქრობდი და ვგრძნობდი, ზედ უკანალზე რომ მიყურებდა. მომინდა შემოვბრუნებულიყავი და ოფისი უკუსვლით დამეტოვებინა, ზუსტად ისე, როგორც ღვთისმოსავი ებრაელი იქცევა ხოლმე, როცა გოდების კედელს შორდება. ამის ნაცვლად ჩემს სამუშაო მაგიდას შევეფარე, იქამდე ლამის სირბილით მივედი და გონებაში „პრადას" შავი ფერის გრძელ სამოსში გამოწყობილი ათასობით ჰასიდი წარმოვიდგინე, რომელიც მირანდა პრისტლის ირგვლივ ზურგშექცევით დადიოდა წრეზე.

12

როგორც იქნა, დადგა დღე, რომელსაც ასე ვნატრობდი. მირანდა არათუ ოფისში, შეერთებულ შტატებშიც კი არ იმყოფებოდა! საათიც არ იყო გასული, რაც მან „კონკორდში" დაიკავა ადგილი და რამდენიმე ევროპელ დიზაინერთან შესახვედრად გაემგზავრა, რითიც მთელ დედამიწაზე ყველაზე ბედნიერ ადამიანად მაქცია. ემილი მარწმუნებდა, რომ მირანდა ქვეყნის გარეთ ბევრად მომთხოვნი იყო, ვიდრე ოფისში, მაგრამ ამას ვერ ვიჯერებდი. ვფიქრობდი, როგორ გავატარებდი ორ კვირას და სწორედ მაშინ ალექსის ელექტრონული წერილი მივიღე:

„გამარჯობა, პატარავ", როგორ ხარ? სულ მცირე, იმედი მაქვს, რომ შენი სამუშაო დღე კარგად მიდის. ალბათ მისი გამ-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

გზავრების გამო სიხარულისგან მეცხრე ცაზე ხარ, არა? თავისუფლებით დატკბი! მოკლედ, შენი ნახვა მინდოდა და თუ მოახერხებ, სადღაც ოთხის ნახევრისთვის დამირეკე. კითხვის პროგრამის დაწყებამდე ფანჯარა მაქვს და უნდა დაგელაპარაკო. არაფერი სერიოზული, მაგრამ მაინც მინდა შენთან ამაზე ლაპარაკი. მიყვარხარ, ა".

წერილზე სწრაფად ვუპასუხე. მაინტერესებდა, რა მოხდა, მაგრამ არაფერი მოუწერია, რადგან უკვე გასული იყო. შევეცადე არ დამვიწყებოდა და მისთვის ზუსტად ოთხის ნახევარზე გადამერეკა. მახარებდა შეგრძნება, რომ ის აქ არ იყო და ხელს ვერ შემიშლიდა, თუმცა ყოველ შემთხვევაში ფურცელზე დავწერე: „დღეს 3:30-ზე დავურეკო ალექსს" და კომპიუტერის მონიტორზე მივაკარი. ის-ის იყო, უნდა შევხმიანებოდი სკოლის ძველ მეგობარს, რომელსაც შეტყობინება სახლის ავტომოპასუხეზე დაეტოვებინა, რომ ჩემი ტელეფონი აწკრიალდა.

— მირანდა პრისტლის ოფისი, გისმენთ, — ყურმილი ავიღე და თან ღრმად ამოვისუნთქე იმაზე ფიქრით, რომ დედამიწაზე არავინ მეგულებოდა, ვისთანაც იმ წუთებში საუბარს მოვისურვებდი.

— ემილი, ემილი, თქვენ ხართ, ემილი? — გაისმა ხმა და ის მხოლოდ ერთადერთი ადამიანის შეიძლებოდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხმას ოთახის მეორე ბოლოში ვერ გაიგონებდი, ემილიმ თავი ასწია და მომაჩერდა.

— გამარჯობა, მირანდა. გისმენთ, ანდრეა ვარ. რით შემიძლია დაგეხმაროთ? — ნეტა რამ დაარეკვინა? სწრაფად გადავამოწმე ცხრილში მისი მარშრუტი, ემილიმ ის ყველას ამოგვიბეჭდა, ახლა მისი თვითმფრინავი ექვსი წუთის აფრენილი უნდა ყოფილიყო!

— ამის იმედი მაქვს. ახლახან გადავხედე ჩემს განრიგს და შევამჩნიე, რომ ხუთშაბათის საღამოსთვის თმის სტილისტისა და ვიზაჟისტისგან პასუხი დაუდასტურებელია.

— აა, იცით, მირანდა, ალბათ იმიტომ, რომ მისიე რენომ მათგან ზუსტი პასუხი მოისმინა, მაგრამ ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტით დაგვიდასტურა, რომ მოიცლიან და...

— ან-დრ-ეა, მითხარით, თქვენთვის ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი იგივეა, რაც — ასი? ეს გარანტირებული დადებითი პასუხია? — მაგრამ სანამ რაიმეს ვეტყოდი, გავიგონე თუ

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

როგორ უპასუხა, სავარაუდოდ, ბორტგამცილებელს, რომ „არ აინტერესებს შეიძლება თუ არა ფრენისას ელექტრონული ნივთებით სარგებლობა“ და „მსგავსი სისულელეებით სხვამ აიტკივოს თავი.“

„მაგრამ, მემ, ეს წესების დარღვევაა, სანამ დასაშვებ სიმაღლეს არ მივაღწევთ, ვალდებული ვარ, კიდევ ერთხელ გთხოვოთ, გათიშოთ თქვენი მობილური ტელეფონი. ეს ძალიან სახიფათოა,“ ემუდარებოდა ბორტგამცილებელი.

— ან-დრ-ეა, გესმით ჩემი? მისმინეთ...

„მემ, მოვითხოვ ახლავე გათიშოთ ტელეფონი. გთხოვთ, ახლავე გათიშეთ.“ ისე ფართოდ ვიღიმოდი, პირი ამტკივდა — წარმომედგინა, თუ რა ემართებოდა მირანდას „მემ“-ის ყოველ გაგონებაზე. ყველამ კარგად იცოდა, რომ ამ ფორმით მხოლოდ ასაკოვან ქალბატონებს მიმართავენ.

— ან-დრ-ეა, ბორტგამცილებელი გათიშვას მაიძულებს. როცა დარეკვის ნებას დამრთავენ, გადმოგირეკავთ. ამ დროში კი სტილისტისა და ვიზაჟისტის საკითხი მოაგვარეთ და ასევე, ახალი ძიძის თანამდებობაზე კანდიდატებს გაესაუბრეთ. სულ ეს არის, — მითხრა და გამითიშა, თუმცა მანამდე მოვასწარი და ბორტგამცილებლის ხმა გავიგონე: „მემ, ეს ბოლო გაფრთხილებაა!“

— რა უნდოდა? — ემილიმ შეწუხებული გამომეტყველებითა და შეჭმუხნილი შუბლით მკითხა.

— სამჯერ მომმართა და სამივეჯერ სწორად წარმოთქვა ჩემი სახელი, — განვუცხადე. მსიამოვნებდა, რომ პასუხს განგებ ვაგვიანებდი, ის კი მოუთმენლად მელოდა, — სამჯერ, წარმოგიდგენია? ჩემი აზრით, ეს მიანიშნებს, რომ ჩვენ საუკეთესო მეგობრები გავხდით, არა? ვინ წარმოიდგენდა? ანდრეა საქსი და მირანდა პრისტლი — დაქალები?

— ანდრეა, რა უნდოდა?

— მოკლედ, სურს, რომ ხუთშაბათისთვის თმის სტილისტი და ვიზაჟისტი ასი პროცენტით თავისუფლები იყვნენ, რადგან ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი მისთვის დამარწმუნებლად არ ჟღერს. ჰო, და კიდევ მითხრა, ახალი ძიძის თანამდებობაზე გასაუბრება ჩაუტარე კანდიდატებსო თუ რაღაც მსგავსი. ალბათ სწორად ვერ გავიგე. მოკლედ, რაც უნდა იყოს, ოცდაათ წამში ისევ გადმორეკავს.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ემილიმ ღრმად შეისუნთქა და ძალა მოიკრიბა, რომ მსგავსი სისულელეები მისთვის დამახასიათებელი გრაციოზულობით მოესმინა.

— არა, არ მგონია, რომ შეცდომა იყოს, კარა მირანდასგან ნავიდა. ასე რომ, ცხადია, ახალი ძიძა სჭირდება.

— რა თქვი? რას ნიშნავს „მირანდასგან ნავიდა"? თუკი ასეა, მაშინ ახლა სად ჯანდაბაშია? ძალიან გამიჭირდა იმის დაჯერება, რომ კარამ მოულოდნელი გამგზავრების შესახებ არც კი გამაგებინა.

— მირანდამ გადაწყვიტა, რომ კარასთვის უკეთესია სხვა ოჯახში იმუშაოს, — მიპასუხა ემილიმ, რაც ალბათ მირანდას ნათქვამის დიპლომატიური პერიფრაზირება იყო, თითქოსდა მირანდას სულ სხვების გაბედნიერება ადარდებდა!

— ემილი, გთხოვ, მითხარი, სინამდვილეში რა მოხდა!

— გოგონებისგან ვიცი, რომ კარამ ისინი უხეშობისთვის დასაჯა, თავიანთი ოთახებიდან გამოსვლა აუკრძალა. მირანდამ გადაწყვიტა, რომ ძიძისგან მსგავსი საქციელი მიუღებელია. ამაში მეც ვეთანხმები. იმის თქმა მინდა, რომ კარა მათი დედა არ არის. ვცდები?

— ჰო, გასაგებია. რა თქმა უნდა, ძიძის საქმე არ არის გოგონების კეთილდღეობაზე ზრუნვა! — სერიოზულად ვუთხარი, — კარას იქ არაფერი ესაქმება.

ემილიმ არათუ შეაფასა ჩემი სარკაზმი, ვერც კი ჩაავლო მას:

— სწორედ ასეა. გარდა ამისა, მირანდას ის არასოდეს მოსწონდა, ფრანგული არ იცოდა. სად ან ვისგან უნდა ესწავლათ გოგონებს სუფთა ფრანგული გამოთქმა?

„ოჰ, აზრზე არ ვარ. ალბათ, წელიწადში თვრამეტიათასდოლარიან კერძო სკოლაში, სადაც ფრანგული სავალდებულო საგანია და მას სამი ფრანგი მასწავლებელი ასწავლის! ან იქნებ საკუთარი დედისგან, რომელიც ფრანგულად თავისუფლად მეტყველებს, რადგან წლების განმავლობაში საფრანგეთში ცხოვრობდა და ახლაც წელიწადის ნახევარ დროს იქ ატარებს. ფრანგულად წერა-კითხვა უპრობლემოდ შეუძლია და ჭეშმარიტი ფრანგივით მეტყველებს!" მაგრამ ამ ყველაფრის ნაცვლად სულ სხვა რამ ვუპასუხე.

— აბა რა, ყველაფერში მართალი ხარ, რაში გვჭირდება ძიძა, რომელმაც ფრანგული არ იცის! შენი მესმის.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ახლა, ძიძის პოვნა შენი პასუხისმგებლობაა. აი, იმ სააგენტოების ნომრები, რომლებთანაც ვთანამშრომლობთ, — მითხრა და მათი რეკვიზიტები ელექტრონულ ფოსტაზე გადმოგიგზავნა, — მათ იციან, როგორი მომთხოვნია მირანდა — რაც, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, — ასე რომ, ცუდ კანდიდატურებს არ შემოგვთავაზებენ.

მას გაოგნებულმა შევხედე და ჩემთვის გავიფიქრე, ნეტა მისი ცხოვრება მირანდა პრისტლიმდე როგორი იყო-მეთქი. ასე ვიდექი მიჩერებული, სანამ ტელეფონის ხმა არ გაისმა. საბედნიეროდ, ემილიმ უპასუხა.

— გამარჯობა, მირანდა. დიახ, დიახ, მესმის თქვენი. საერთოდ არანაირი პრობლემა. დიახ, ხუთშაბათისთვის სტილისტი და ვიზაჟისტი თქვენს განკარგულებაში იქნებიან, და დიახ, ანდრეა უკვე შეუდგა ახალი ძიძის საკითხის მოგვარებას. სამი შესაფერისი კანდიდატი უკვე შევარჩიეთ. როგორც კი დაბრუნდებით, თავად შეძლებთ მათთან გასაუბრებას, — უთხრა, თავი გვერდზე გადასნია და ტუჩებით ფანქრის ბოლოს შეეხო, — მმმ, დიახ, დიახ, დანამდვილებით, ასი პროცენტით და არა ოთხმოცდაცხრამეტით. რა თქმა უნდა, დიახ, მირანდა. დიახ, თავად გადავამოწმე და დარწმუნებული ვარ. დიახ, თქვენთან შეხვედრას მოუთმენლად ელიან. კარგი, ნახვამდის. კეთილი მგზავრობა! დიახ, ეგეც დაზუსტებულია. ახლავე ფაქსით გადმოგიგზავნით. კეთილი. ნახვამდის, — ყურმილი დადო და აკანკალდა.

— რატომ იქცევა ეს ქალი ასე? — მკითხა, თმის სტილისტმა და ვიზაჟისტმა დაადასტურეს თუ არა, რომ ხუთშაბათს მისთვის ეცლებათ. ვუპასუხე. პასუხი კი ორმოცდაათჯერ გამამეორებინა! დაბოლოს, იცი, რა მითხრა?

თავი გავუქნიე.

— არა? იცი, რა მითხრა? ვინაიდან ამ ყველაფერმა ასე გაანერვიულა, მომიწევს მისი განრიგი გადავაკეთო, მასში შევიტანო სტილისტისა და ვიზაჟისტის მიღების ზუსტი დროცხრილი სასტუმრო „რიცში" ფაქსით უნდა გადავუგზავნო, რათა იმ დროისთვის, როცა პარიზში ჩაფრინდება, სასტუმროში ყველაფერი წესრიგში დახვდეს. ამ ქალისთვის ყველაფერს ვაკეთებ — მის ყველა ბრძანებას ვასრულებ — ის კი როგორ მელაპარაკება? — ისე მიყურებდა, მეგონა მალე ატირდებოდა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაოგნებული ვიყავი იმით, რომ საშუალება მომეცა, მირანდაზე გაბრაზებული ემილის საყვედურები მომესმინა. თუმცა ვიცოდი „პოდიუმის“ ფსიქოზი თავს სულ მალე იჩენდა, ეს გარდაუვალი იყო, ამიტომ ფრთხილად უნდა ვყოფილიყავი — მის მგრძნობიარე სიმებს შევხებოდი და ამავე დროს საკითხისადმი ინდიფერენტულობა მეჩვენებინა.

— შენი ბრალი არ არის, ემ, მართლა. მან იცის, როგორ სერიოზულად ეკიდები სამუშაოს, არაჩვეულებრივი თანაშემწე ხარ, ასე რომ არ ფიქრობდეს, თავიდან უკვე დიდი ხანია მოგიცილებდა, ხომ იცი, ეს არ მოერიდება, შენ ხომ მას კარგად იცნობ.

ემილიმ ცრემლების ღვრა შეწყვიტა და სახეზე თანდათან დაეტყო, რომ მეთანხმებოდა. რაიმე გაუფრთხილებლად რომ მეთქვა, უმალ თავგანწირვით დაიცავდა მირანდას. „სტოკჰოლმის სინდრომი“ ფსიქოლოგიის კურსის გავლისას ვისწავლე. ამ დროს მსხვერპლი თანაუგრძნობს მოძალადეს და ყველანაირად ცდილობს მისი საქციელის გამართლებას. სინდრომის არსი მაშინ კარგად ვერ გავიგე. იქნებ ღირდა ჩემი და ემილის საუბარი ვიდეოზე ჩამეწერა და უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის კათედრისთვის გამეგზავნა. პირველკურსელებისთვის კარგი მაგალითი იქნებოდა. ყველანაირი სიფრთხილე გვერდზე გადავდე, ღრმად შევისუნთქე და ემილის სათქმელი პირდაპირ ვუთხარი.

— ის არანორმალურია, ემილი, — მსუბუქად, თავდაჯერებულად ვუთხარი, მინდოდა დამთანხმებოდა, — შენი ბრალი არ არის. ის უბრალოდ, გაბოროტებული, ავი ძუკნაა, რომელსაც არაფერი აბადია ძვირფასი ტანსაცმლის გარდა, — ემილიმ სახე დამანჭა, ბრაზისგან კისრის ძარღვები დაეჭიმა და ხელები აღარ უკანკალებდა. ვიცოდი, ამ სიტყვებისთვის ნებისმიერ წუთს მიწასთან გამასწორებდა, მაგრამ თავი ვერ შევიკავე, — არ შეგიმჩნევია, რომ მეგობრები საერთოდ არ ჰყავს? არა? მართალია, მისი ტელეფონი დღედაღამ არ ჩერდება, მსოფლიოში ცნობილი ადამიანები ურეკავენ, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ თავიანთ ოჯახებზე, შვილებზე, სამომავლო გეგმებზე ესაუბრონ, არამედ რეკავენ იმისთვის, რომ მისგან რაღაც ითხოვონ. წარმოდგენაც მზარავს. წარმოგიდგენია, მთელი ცხოვრება ხალხი მხოლოდ იმისთვის გირეკავდეს, რომ მათ...

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

- გაჩუმდი! მიკივლა და ცრემლები გადმოყარა, — ახლა-ვე გააჩუმე ენა! სულ რამდენიმე თვის წინ მოხვედი ამ ოფისში და უკვე თავს უფლებას აძლევ, ვინმე განსაჯო? თვით მისი უდიდებულესობა სარკაზმი! თვით მისი უდიდებულესობა ქედმაღლობა თქვენ ჩემამდე რას მოხვალთ!

- ემ...

- ნუ მანყვეტინებ! ენდი, დამამთავრებინე. ვიცი, მირანდა რთული ადამიანია. ვიცი, ზოგჯერ ჭკუიდან შეგშლის, ისიც ვიცი, რას ნიშნავს, როცა ღამით ვერ იძინებ, როცა ტელეფონის ყოველ ზარზე ტანში გცრის და გვერდით ერთი ადამიანიც არ მოგეძებნება, რომელიც ამას გაიგებდა. ვიცი! მაგრამ თუკი ეს ყველაფერი ასე გძულს და არაფერი შეგიძლია იმის გარდა, რომ ოცდაოთხი საათი ამაზე იწუწუნო, რატომ არ მიდიხარ? გითხრა? იმიტომ, რომ შენი მთავარი პრობლემა დამოკიდებულებაა. ამბობ, რომ მირანდა არანორმალურია, სამაგიეროდ, ჩემი აზრით და, ამაში უამრავი ადამიანი დამეთანხმება, ის ნიჭიერი და არაჩვეულებრივი ქალია და სიმართლე გითხრა, ისინი არანორმალურად შენ ჩაგთვლიან, რაკი ასეთი შესანიშნავი ქალის დახმარებას არ ცდილობ. ის მართლაც შესანიშნავი პიროვნებაა, ენდი, შე-სა-ნიშ-ნა-ვი!

მის ნათქვამზე დავფიქრდი და მივხვდი, რომ არ ტყუოდა. მირანდა მართლაც სრულიად განსაკუთრებული რედაქტორი იყო. ჟურნალში მისი ნებართვის გარეშე სიტყვაც არ იბეჭდებოდა, ამგვარი ძალაუფლების მოხვეჭა კი ძალზე რთული იყო. ის არასოდეს თანხმდებოდა უხარისხოდ მომზადებული მასალის გამოქვეყნებას, უკან არ იხევდა, მოითხოვდა დაწუნებული მასალის გადაკეთებას და არ აინტერესებდა, რად უჯდებოდა ეს ავტორს. მიუხედავად იმისა, რომ გადაღებებს მრავალრიცხოვანი რედაქტორები ამზადებდნენ, ტანსაცმელი და მოდელები ყოველთვის მირანდას შერჩეული იყო; გადაღებას თავად არ ესწრებოდა, თუმცა ყველა რედაქტორი მის მიერ დეტალურად შემუშავებული ინსტრუქციით ხელმძღვანელობდა. მირანდა არჩევდა თითოეულ სამაჯურს, თითოეულ ჩანთას, ფეხსაცმელს, სამოსს, ვარცხნილობას, სიუჟეტს, ინტერვიუს, ავტორს, ფოტორაკურსს, მოდელს, გადაღებების ადგილს და ფოტოგრაფს ყოველი ნომრისთვის. ჩემი აზრით, „პოდიუმის" ყოველთვიური გამაოგნებელი ნარმატების მიზეზი სწორედ

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეს იყო. „პოდიუმი“ „პოდიუმი“ არ იქნებოდა, და საერთოდ, ყურადღებასაც არავინ მიაქცევდა, რომ არა მირანდა პრისტლი! ჯანდაბა! ჩემი ჩათვლით ეს ყველამ კარგად იცოდა, მაგრამ ამის მიუხედავად, მას უფლება არ ჰქონდა, ასე მოქცეოდა ადამიანებს. ნუთუ სან-სებასტიანის ჩიხის, დიდმკერდიანი, გრძელფეხება აზიელი გოგონასა და „ბოლმეინის“ საღამოს კაბის ერთიან უზადო სახედ შერწყმის უნარი აძლევდა კი ამდენის უფლებას? ამ აზრს ვერ ვეგუებოდი, თუმცა, მე რა გამეგებოდა ცხოვრებისა? ემილის ჩემზე მეტი ესმოდა.

— ემილი, მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ შენ საუკეთესო თანაშემწე ხარ და მირანდას გაუმართლა, რომ მასთან მუშაობ. სამსახურისადმი ასეთი ერთგული სხვა არავინ მეგულება. მინდა იცოდე, რომ თუ უკმაყოფილოა, შენი ბრალი არ არის. ის უბრალოდ უბედური ადამიანია. თავზემოთ ძალა არ იყო, იმაზე მეტს ვერ გააკეთებდი.

— ვიცი. მართლაც ასეა, მაგრამ შენ ზედმეტს ითხოვ მისგან, ენდი. ამაზე დაფიქრდი. იმის თქმა მინდა, რომ თავად განსაჯე, ის თხემით ტერფამდე საქმიანი ქალბატონია, მას უამრავი მსხვერპლის გაღება მოუხდა, აქამდე რომ მოსულიყო. განა იგივე არ ითქმის მათზე, ვინც მსგავს სიმაღლეებს სხვა სფეროებში მიაღწია? მითხარი, რომელი გენერალური თუ აღმასრულებელი დირექტორი, ან ნებისმიერი მაღალი თანამდებობის პირი არ არის უხეში და მომთხოვნი ათასობით ხელქვეითის მიმართ? ეს სამუშაოს ნაწილია.

ამ თემაზე საუბრისას ერთმანეთს თვალებში არ ვუყურებდით. ნათელი იყო, რომ ემილი ბოლომდე ერთგულებდა მირანდას, „პოდიუმსა“ და იმ ყველაფერს, რაც მათთან აკავშირებდა. თუმცა ამის მიზეზს ვერ ვხვდებოდი. ის არაფრით გამოირჩეოდა ასობით სხვა რედაქტორის, რედაქტორ-ასისტენტის, უფროსი თუ უმცროსი რედაქტორის, გამომცემლობის რედაქტორის, ჟურნალის მოდის განყოფილების მთავარი რედაქტორის თანაშემწეებისგან. მაინც არ მესმოდა. ვხედავდი, როგორ ამცირებდნენ, ლანძღავდნენ და შეურაცხყოფნენ მათ თავიანთი რედაქტორები მხოლოდ იმიტომ, რომ როგორც კი დაწინაურდებოდნენ, ასეთივე დღეში სხვები ჩაეგდოთ. რისთვის სჭირდებოდათ ეს? ნუთუ იმისთვის მიძვრებოდნენ კარიერის კიბეზე, რომ გადაქანცულნი დღის ბოლოს „ივ სენ-ლო-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

რანის"[70] მალალი მოდის კვირეულის ჩვენებაზე პირველ რიგში დამსხდარიყვნენ? ან საკუთარი კოლექცია „პრადას" რამდენიმე ჩანთით უფასოდ გაემდიდრებინათ? დრო იყო უბრალოდ დავთანხმებოდი.

— ვიცი, — ამოვიოხრე და საბოლოოდ დავნებდი, — უბრალოდ მინდა იცოდე, რომ მისი ყველა ახირების ულაპარაკო მორჩილებით, კარგ საქმეს სულაც არ უკეთებ, — ვთქვი და მორიგ თავდასხმას დაველოდე, მაგრამ ემილიმ პასუხად გამიღიმა.

— ხომ გაიგონე, რამდენჯერ გამამეორებინა სტილისტთან და ვიზაჟისტთან ჩაწერაზე დასტურის პასუხი?

თავი დავუქნიე. ის კი სიხარულისგან გაბრწყინდა.

— ყველაფერი მოვიტყუე. გადასამოწმებლად არავისთვის დამირეკავს! — ეს ბოლო ნაწილი აღფრთოვანებულმა პრაქტიკულად წაიმღერა.

— ემილი, ამას სერიოზულად ამბობ? ახლა რა უნდა ვქნათ? ლამის იფიცებოდი, რომ ყველაფერი პირადად გადაამოწმე და ხუთშაბათისთვის შეათანხმე! — რაც იქ ვმუშაობდი, პირველად მომინდა ემილის ჩავხუტებოდი.

— ენდი, გთხოვ, შენ მართლა ფიქრობ, რომ მისთვის მაკიაჟისა და ვარცხნილობის გაკეთებაზე რომელიმე ჭკუათამყოფელი უარს იტყვის? ალბათ — მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საკუთარი კარიერის განადგურება სწადია. თანაც, შეშლილი უნდა იყო, უარი თქვა საუკეთესო რეკლამაზე. დარწმუნებული ვარ, მსგავსი აზრადაც არ მოსვლიათ. ალბათ, მოგზაურობის გეგმები ახლიდან გაიარეს, ან რაღაც მსგავსი. გადამოწმება საჭირო არაა, რადგან ასი პროცენტით ვიცი, ყველაფერი რიგზე იქნება. სხვაგვარად, აბა, როგორ? ის ხომ მირანდა პრისტლია! — ახლა მე მომინდა მეტირა, მაგრამ ამის ნაცვლად ვკითხე:

— მაშ, ახალი ძიძის დასაქირავებლად რა ვიღონო? მგონი, ჯობს საქმეს ახლავე შევუდგე.

— ჰო, — დამეთანხმა, მაგრამ ჯერ კიდევ საკუთარი საზრიანობით იყო აღტყინებული, — ნამდვილად კარგი იდეაა.

პირველი გოგონა, რომელსაც გასაუბრებისთვის დავუკავშირდი და ოფისში მოვიწვიე, სიხარულისგან ცას ეწია.

— ღმერთო ჩემო! ო, ღმერთო ჩემო! არ მეხუმრებით? ო, ღმერთო! მმ... ეს რას ნიშნავს? კი თუ არა? დიახ, დიახ, რა თქმა

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

უნდა! „პოდიუმში“? ო, ღმერთო ჩემო! ერთი სული მაქვს, მეგობრებს როდის ვეტყვი. გაგიჟდებიან. უბრალოდ გაგიჟდებიან. მითხარით, სად მოვიდე და როდის.

— იმედია, გესმით, რომ მირანდა ამჟამად ევროპაშია, ასე რომ, მე გაგესაუბრებით, გასაგებია?

— დიახ, სრულებით.

— იმედია, ასევე გესმით, რომ თქვენი მოვალეობა მირანდას გოგონების მოვლა იქნება, ამას კი სრულებით არ აქვს კავშირი „პოდიუმთან“, გასაგებია?

ღრმად ამოისუნთქა, თითქოს ბედის უსამართლობას უჩიოდა.

— დიახ, რა თქმა უნდა, მესმის.

სინამდვილეში კი ვერაფერი გაიგო. შესაფერისად კი გამოიყურებოდა (მაღალი, ტანადი, კოხტად ჩაცმული და რა თქმა უნდა, დიეტებისაგან გაძვალტყავებული იყო), მაგრამ მისი შეკითხვების უმეტესობა რედაქციაში მუშაობას ეხებოდა. შევეცადე გოგონას ენთუზიაზმი დელიკატურად დამეცხრო.

— მმმ... რედაქციაში მუშაობა, ამაზე უკვე ვისაუბრეთ, გახსოვთ? უბრალოდ გასაუბრებას მირანდას ოფისში ვატარებ, მაგრამ მისი ტყუპი აქ არ ცხოვრობს, იმედია, ამას ხვდებით, არა?

— დიახ, დიახ, — დამეთანხმა, მაგრამ მისი კანდიდატურა სიაში უკვე გადახაზული მქონდა.

მომდევნო სამი კანდიდატურა გაცილებით უკეთესი აღმოჩნდა. მირანდას გარეგნულ სტანდარტებს აკმაყოფილებდნენ (სააგენტომ ზედმიწევნით იცოდა მირანდას მოთხოვნები, მაგრამ ჩემს მომავალ დისშვილს მათ არ ვანდობდი), მეც სწორედ იმ კრიტერიუმებით ვხელმძღვანელობდი გასაუბრებისას. ერთერთს პედიატრიაში ჰქონდა დაცული ხარისხი და კორნელის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული იყო, მაგრამ როდესაც სამუშაოს ახსნა დავიწყე, შევამჩნიე, რომ ყურს დიდად არ მიგდებდა. მეორე „ენ-ბი-აის“ ვარსკვლავს ხვდებოდა, რაც მისი აზრით, უფლებას აძლევდა ეფიქრა, რომ „ცნობილების სამყაროზე“ ყველაფერი იცოდა, მაგრამ როდესაც ვკითხე ცნობილი ოჯახების შვილებთან მუშაობის გამოცდილებაზე, ცხვირი აიბზუა და განმიცხადა, „სახელოვან ადამიანებს გათამამებული შვილები ჰყავთ.“ ესეც გადავხაზე. მესამე და ყველაზე იმედისმომცემი კი მანჰეტენზე იყო გაზრდილი და მელბურნის უნივერსიტეტი ახლახან დაემთავრებინა. სურდა ერთი წლით ძიძად

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ემუშავა და პარიზში მოგზაურობისთვის ფული დაეგროვებინა. როცა ვკითხე, ფრანგული თუ იცოდა. თავი დამიქნია. მიუხედავად იმისა, რომ ნიუიორკელი იყო, პრობლემა მაინც შეგვექმნა — მას მართვის მოწმობა არ გააჩნდა. კითხვაზე, მანქანის მართვის სწავლების სურვილი თუ გაქვს-მეთქი, არაო, მიპასუხა. მისი აზრით, ნიუ-იორკის ქუჩებს კიდევ ერთი მძღოლი არ სჭირდებოდა. სიაში მესამე და ბოლო კანდიტატიც გადავხაზე. ნახევარი დღე იმის ფიქრში გავატარე, როგორ ამეხსნა მირანდასთვის გასაგებად, რომ მშვენიერი გარეგნობისა და აღნაგობის გოგონა, რომელსაც გამოჩენილ ხალხთან კომუნიკაცია არ უჭირდა, ცხოვრობდა მანჰეტენზე, გააჩნდა მართვის მოწმობა, დაცული ჰქონდა ხარისხი, იცოდა ცურვა, საუბრობდა ფრანგულად და შეეძლო საკუთარი დრო სურვილისამებრ გამოეყენებინა, ძნელად თუ დათანხმდებოდა ძიძობას.

ჩვენ შორის ალბათ ტელეპათიური კავშირი არსებობდა, რადგან მაგიდაზე ტელეფონი აწკრიალდა. გონებაში გამოვთვალე და მივხვდი, რომ მირანდას თვითმფრინავი უკვე დე გოლის აეროპორტში იდგა. ემილის მიერ განახლებული სამარშრუტო გეგმის მიხედვით, ის უკვე სასტუმრო „რიცისკენ" მიმავალ მანქანაში უნდა მჯდარიყო.

— მირანდა პრი...

— ემილი! — შემაწყვეტინა ისტერიკული ხმით. ჭკუას მოვუხმე, რომ მისთვის არ შემესწორებინა, — ემილი! მძღოლს ტელეფონის ნომრების სია არ გადმოუცია, რის გამოც ვერავის ვუკავშირდები. ეს მიუღებელია. უბრალოდ მიუღებელია! საინტერესოა, როგორ უნდა ვიმუშაო, როცა ნომრები არ მაქვს? ახლავე დამაკავშირეთ მისტერ ლაგერფილდთან.

— დიახ, მირანდა, ერთი წუთით დამელოდეთ, — ლოდინის რეჟიმზე გადავიყვანე და დასახმარებლად ემილის ვუხმე, მაგრამ უმჯობესი იყო, ყურმილი გადამეყლაპა, რადგან ჩვენ კარლ ლაგერფილდის ადგილსამყოფელი არ ვიცოდით, ხოლო სანამ რაიმეს დავადგენდით, მირანდა უბრალოდ გაცოფდებოდა და აყვირდებოდა: „სად ჯანდაბაშია? რატომ ვერ პოულობთ? ტელეფონის გამოყენება იცით?"

— კარლთან დაკავშირება უნდა! — გავძახე ემილის. ამის გაგონებაზე ემილი ისე აფორიაქდა, რომ გავიგონე, როგორ ცვიოდა, იყრებოდა და იხეოდა ქაღალდები.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— კარგი, ახლა მისმინე, სულ ოცი-ოცდაათი წამი გვაქვს. შენ ბეატრიცსა და მძღოლს მიხედე, მე კი — პარიზსა და თანაშემწეს, — ხმამაღლა განმიცხადა და მისმა თითებმა კლავიატურაზე ზებუნებრივი სიჩქარით დაიწყო ფრენა. ორ-ორჯერ გადავამოწმე ათასობით აბონენტის გრძელი სია, რომელიც მე და ემილის ასეთი შემთხვევებისთვის, ორად გვქონდა გაყოფილი. მისი მითითებით, ძირითადად ხუთ ნომერზე ვცდილობდი დაკავშირებას — ბეატრიც მეინის პირველი სახლი, ბეატრიც მეინის მეორე სახლი, ბიატრიც მეინის სტუდია, ბეატრიცის საცურაო აუზი, ბეატრიცის მძღოლი. თვალი შევავლე ემილის სიას, მას კარლ ლაგერფილდის შვიდი პარიზული ნომერი ჰქონდა, მაგრამ ნიუ-იორკისა და მილანის ნომრებზეც ხომ უნდა დაგვერეკა? მირანდა გაგვანადგურებდა. ბიატრიცის მეორე სახლის ნომერს ვკრეფდი, როცა ემილიმ აპარატზე მიმანიშნა, მასზე წითელი ნათურა აღარ ციმციმებდა, ესე იგი, მირანდა ხაზზე აღარ იყო. ჯერ მხოლოდ ათი-თხუთმეტი წამი იყო გასული, იმ დღეს განსაკუთრებით მოუთმენელი ჩანდა. რა თქმა უნდა, წამებში ისევ გადმორეკა. მუდარის თვალებით შევხედე ემილის, ამჯერად ტელეფონს მან უპასუხა. მისალმების შემდეგ სიტყვის თქმა ვერ მოასწრო, მხოლოდ თავს აქნევდა და მის დამშვიდებას ცდილობდა. მე ისევ ბეატრიცს ვურეკავდი. სასწაული მოხდა და მას „ბეატრიცის საცურაო აუზის" ნომერზე დავუკავშირდი. უეცრად აღმოვაჩინე, რომ ეს ქალი ინგლისურად ვერ ლაპარაკობდა, სიტყვაც კი არ იცოდა. „რა სჭირს ამ ხალხს! ნუთუ ყველა ფრანგულითაა შეპყრობილი?".

— დიახ, მირანდა, დიახ. მე და ანდრეა ახლავე გავარკვევთ. რამდენიმე წამი დაგვჭირდება. დიახ, მესმის, ვიცი, რომ იმედგაცრუებული ხართ. თუ კიდევ რამდენიმე წამს დამელოდებით, აუცილებლად მოვძებნი და დაგაკავშირებთ, კარგი? — უთხრა, ლოდინის რეჟიმზე გადაიყვანა და ისევ რეკვას შეუდგა.

მესმოდა თუ როგორი დამტვრეული ფრანგულით ელაპარაკებოდა ვილაცას, რომელსაც წარმოდგენაც არ ჰქონდა ვინ იყო კარლ ლაგერფილდი. „მირანდა მოგვკლავდა". ის-ის იყო ფრანგულად მოჟღურტულე ქალს გავუთიშე, რომ აპარატზე წითელი ნათურა ისევ აციმციმდა. მირანდა რეკვას განაგრძობდა...

— აი ისევ! — შევყვირე ექიმი-რეანიმატოლოგის ხმით, თითქოს ის-ის იყო, აპარატზე გულის გაჩერება დამენახოს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

— შენი ჯერია, უპასუხე! — დამიძახა, მისი თითები ახლა ტელეფონის ციფერბლატზე დაფრინავდა. ყურმილი კი ავიღე, მაგრამ თქმა ვერაფრის გავბედე, რადგან ვიცოდი, ლაპარაკს არ დამაცდიდა. ასეც იყო.

— ან-დრ-ეა! ემილი! რომელს ველაპარაკები?.. და რატომ თქვენ, და არა მისტერ ლაგერფილდს? რატომ?

ინტუიცია მკარნახობდა, სიჩუმე შემენარჩუნებინა, რადგან ვერბალური თავდასხმა ჯერ დასრულებული არ ჰქონდა. რო-გორც ყოველთვის, ინტუიციამ ამჯერადაც მიმტყუნა.

— მისმენთ? ბოლოს და ბოლოს გამცემთ თუ არა ხმას? ნუთუ ჩემი ორი თანაშემწისთვის ზარის ერთიდან მეორეზე გადართვა ასე ძნელია?

— არა, მირანდა, რა თქმა უნდა, არა, ბოდიში, მაგრამ ეს... — ხმა ამიკანკალდა, მას ვერ ვიმორჩილებდი, — უბრალოდ მისტერ ლაგერფილდს ჯერჯერობით ვერ ვპოულობთ. სულ მცირე, რვა ნომერზე უკვე დავრეკეთ...

— „მისტერ ლაგერფილდს ჯერჯერობით ვერ ვპოულობთ" — ხმა დაინვრილა, მაგრამ ჩემს ხმას ვერ მიამსგავსა, — რა ნიშნავს „ვერ ვპოულობთ"?

„ნეტა, რა ვერ გაიგო ამ ორსიტყვიანი წინადადებიდან? ვერ ვპოულობთ. ჩემთვის ძალიანაც გასაგებია. ვერ ვპოულობთ იმ ოხერს და რა ვქნათ! ამიტომაც ვერ ელაპარაკები მას ახლა. თუ ასეთი მაგარი ხარ, თვითონ მოძებნე და დაუკავშირდი". თავში ათასობით პასუხი მიტრიალებდა, მაგრამ ენის ბორძიკით ელაპარაკობდი, იმ ახალ მოსწავლეს ვგავდი, მასწავლებელი კლასის წინაშე რომ დააყენებს და აიძულებს, თავი გაგვაცანიო.

— მმმ... იცით, მირანდა, დაკავშირება ჩვენს ხელთ არსებულ ყველა ნომერზე ვცადეთ, მაგრამ ის არსად ჩანს, — პასუხის გაცემა მოვახერხე.

— რა თქმა უნდა, ვერ იპოვეთ! — თითქმის ყვიროდა. ყოველთვის თავდაჭერილი მირანდა ახლა ისტერიკის ზღვარზე იყო. მაინც მოახერხა — ღრმად შეისუნთქა და მშვიდად მითხრა:

— ან-დრ-ეა. თქვენ საერთოდ იცით, რომ მისტერ ლაგერფილდი ამჟამად პარიზში იმყოფება? — თავი ისე ვიგრძენი, თითქოს მეორე კლასის ინგლისურის გრამატიკას მიხსნიდნენ.

— რა თქმა უნდა, მირანდა. ემილი ყველა ნომერზე რეკავს...

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— იცით, რომ მისტერ ლაგერფილდმა თქვა, პარიზში მასთან დაკავშირებას მხოლოდ მობილური ტელეფონის საშუალებით შევძლებდი? — მშვიდი ხმა რომ შეენარჩუნებინა, ალბათ ყელის ყველა იოგი დაჭიმული ჰქონდა.

— აჰ, ჩვენ მისი მობილურის ნომერი არ გვაქვს, არც კი ვიცოდით, მისტერ ლაგერფილდს მობილური ტელეფონი თუ ჰქონდა, მაგრამ ახლა ემილი მის თანაშემწეს ელაპარაკება და დარწმუნებული ვარ, მალე მობილურის ნომერი გვეცოდინება. — ემილიმ ზემოთ აწეული ცერი მიჩვენა და ფურცელზე სწრაფად დაიწყო რაღაცის ჩანიშვნა.

— მერსი, ოჰ, დიახ, გმადლობთ, მერსი! — ემილი ისევ და ისევ ფრანგულად იმეორებდა.

— მირანდა, ნომერი გვაქვს. გნებავთ, ახლავე დაგაკავშირებთ მასთან? — მესმოდა, სიამაყით სავსეს მკერდში გული როგორ მიცემდა. დავალებას თავი კარგად გავართვით! ამგვარი დაძაბულობის პირობებში დავალება ხუთიანზე შევასრულეთ. ულამაზესი ბამბის ბლუზა, რომელზეც მოდის განყოფილების არაერთ თანაშემწეს რჩებოდა თვალი, იღლიის ქვეშ დამსველებოდა, მაგრამ ამაზე აღარ ვდარდობდი. წამების წინ სრულიად შეურაცხად ქალს, დედამიწის მეორე ნახევარსფეროში წადილი ავუსრულე და გადავურჩი. ეს ძალიან მახარებდა.

— ან-დრე-ა? — კითხვასავით ჟღერდა, მაგრამ იმ წუთებში მხოლოდ მისი მხრიდან ჩვენდამი არასწორი მომართვის მრავალსახეობაზე ვფიქრობდი. თავიდან მეგონა, ასე განგებ იქცეოდა, ჩვენ რომ დავემცირებინეთ, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ამის გარეშეც სავსებით აკმაყოფილებდა ჩვენი საბრალო, უმწეო მდგომარეობა და ზედმეტად აღარ ირჯებოდა ისეთი წვრილმანისთვის, როგორიც, მაგალითად, ორი თანაშემწის სახელის დამახსოვრება იყო. ემილიმაც დამიდასტურა, რომ მას ხან „ემილის" ეძახდა, ხან — „ანდრეას", ხანაც — „ელისონს", ყოფილი თანაშემწის სახელს. ეს რომ მოვისმინე, გულზე მომეშვა.

— დიახ? — ისევ ავწრიპინდი. ჯანდაბა! არ შეიძლებოდა, რომ ამ ქალთან საუბრისას ცოტაოდენი ღირსება შემენარჩუნებინა?

— ან-დრ-ეა, არ მესმის, რა განგაში ატეხეთ მისტერ ლაგერფილდის მობილური ნომრის გამო? მისი ნომერი ახლა ხელში მაქვს. ხუთი წუთის წინ თავად მომცა, მაგრამ საუბრისას ტე-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლეფონი გაგვეთიშა და ახლა მისი სწორად აკრეფა მიჭირს, — ისე განმიცხადა, თითქოს მთელ სამყაროს ადანაშაულებდა.

— ოჰ, თქვენ მისი ნომერი გქონდათ? და ამ ხნის განმავლობაში ეს იცოდით? — უფრო ემილის გასაგონად ვუმეორებდი და წყობიდან გამოვიყვანე.

— თქვენ ჩემი არ გესმით? მინდა ახლავე დამაკავშიროთ ამ ნომერზე 03.55.23.56.67.89. ახლავე! ძალზე ძნელია?

ემილი თავს გაოცებული აქნევდა და თან იმ ნომერს დაჰყურებდა, რომლის მოსაპოვებლად პრაქტიკულად ომი გადავიხადეთ.

— არა, არა, მირანდა, რა თქმა უნდა, ძნელი არაა. ახლავე დაგაკავშირებთ. ერთი წუთით დამელოდეთ, — „დისპეტჩერის" ღილაკს დავაჭირე, ნომერი ავკრიფე, ასაკოვანი მამაკაცის ხმა გავიგონე და ისევ „დისპეტჩერის" ღილაკს დავაჭირე — მისტერ ლაგერფილდ, მირანდა პრისტლი, ხაზზე ხართ, — სატელეფონო ოპერატორივით განვუცხადე, როგორც ფილმის „პატარა სახლი პრერიაზე" ერთ-ერთმა პერსონაჟმა.

ძალიან მინდოდა „გათიშვის" ნაცვლად „მიკროფონზე" დამეჭირა და მე და ემილის მათი საუბარი მოგვესმინა, მაგრამ ბოლოს ყურმილი დავდე. ცოტა ხნით ასე ჩუმად ვისხედით. ვცდილობდი თავი შემეკავებინა, მირანდაზე რამე ცუდი რომ არ წამომცდენოდა. შუბლი ხელით მოვიწმინდე და ღრმად დავიწყე სუნთქვა. პირველი ემილი ალაპარაკდა:

— ანუ, მთელი ამ ხნის განმავლობაში ნომერი ჰქონდა და უბრალოდ არ იცოდა მასზე როგორ დაერეკა? სწორად გავიგე?

— ან იქნებ ნომრის აკრეფის გუნებაზე არ იყო? — დავეხმარე. ყოველთვის მიხაროდა მე და ემილი მირანდას წინააღმდეგ პირს რომ შევკრავდით ხოლმე, მით უფრო, რომ ასეთი რამ ძალზე იშვიათად ხდებოდა.

— უნდა მცოდნოდა, — მითხრა და თავი ისე გააქნია, თითქოს თავისი საქციელით უზომოდ უკმაყოფილო იყო, — ნამდვილად უნდა მცოდნოდა. ყოველთვის ისეთ ხალხთან მთხოვს დაკავშირებას, ვინც მის მეზობელ აპარტამენტში ან მეზობელ სასტუმროშია. ადრე ძალიან უცნაურად მეჩვენებოდა, პარიზიდან ნიუ-იორკში რომ გვირეკავდა ხოლმე მხოლოდ იმისთვის, რომ პარიზშივე მყოფ ადამიანს აქედან დაკავშირებოდა. ახლა კი ამაში უჩვეულოს ვერაფერს ვხედავ. დღესაც, თავიდანვე უნდა მივმხვდარიყავი.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ის-ის იყო, სადილისთვის სასადილოში უნდა გავქცეულიყავი, რომ ტელეფონმა ისევ დარეკა. ელვის სისწრაფით ვუპასუხე.

— მირანდა პრისტლის ოფისი, გისმენთ!

— ემილი! თავსხმა წვიმაში ვდგავარ რუ დე რივოლიზე, ჩემი მძღოლი კი სადღაც გაუჩინარდა! გაუჩინარდა! გესმით? გაუჩინარდა! ახლავე იპოვეთ! — ისტერიკა ჰქონდა, რაც იქ ვმუშაობდი, ეს პირველი და ალბათ უკანასკნელი შემთხვევა იყო, როცა მირანდას ასეთ მდგომარეობაში ვუსმენდი.

— ერთი წამით, მოითმინეთ, მირანდა. მისი ნომერი წინ მიდევს, — მაგიდისკენ მივბრუნდი, მაგრამ მხოლოდ ქაღალდებს, ძველ ბიულეტენებსა და ერთმანეთზე დაწყობილ ჟურნალის ძველ ნომრებს ვხედავდი. სამ-ოთხ წამში თავს უკვე ისე ვგრძნობდი, თითქოს მასთან ერთად ვიდექი თავსხმა წვიმაში, ვუცქერდი როგორ აწვიმდა „ფენდის" ქურქს და როგორ ჩამოსდიოდა მაკიაჟი სახეზე. თითქოს ველოდი, როდის გამილაწუნებდა სახეში და არარაობას, უნიჭოს, უვარგისს მინდებდა. დასამშვიდებლად დრო არ მქონდა, საკუთარ თავს შევუძახე, ის რიგითი ადამიანია (თეორიულად), რომელსაც არ უხარია თავსხმაში დგომა და საკუთარ თანაშემწესთან ხუთი ათას შვიდას ოთხმოცდაცამეტ კილომეტრზე ტელეფონით საუბარი. ჩემი ბრალი არ იყო. ეს ჩემი ბრალი არ იყო. ჩემი ბრალი ეს სულაც არ იყო!

— ან-დრე-ა! რას დაემსგავსა ჩემი ფეხსაცმელი! გესმით ჩემი? მისმენთ? ახლავე მომიძებნეთ მძღოლი!

ემოციური კოლაფსის ზღვარზე ვიყავი, ყელში სპაზმი მქონდა, კისრის კუნთები დამეჭიმა, სიცილი მინდოდა თუ ტირილი, არ ვიცოდი, ორივე დამღუპველი იყო. რა თქმა უნდა, ემილი ყველაფერს მიხვდა, რადგან სკამიდან წამოხტა და სამარშრუტო გეგმის ასლი წინ გადამიშალა. ტელეფონების მწკრივში მძღოლის ნომერიც კი გამიმუქა, სულ სამი ნომერი იყო: მანქანის, მისი პირადი და სახლის. რა თქმა უნდა!

— მირანდა, წამით კიდევ უნდა დამელოდოთ, სანამ დავუკავშირდები. შეგიძლიათ? — პასუხს არ დაველოდე. ვიცოდი, რომ ეს სულ გადარევდა და მისი ზარი ლოდინის რეჟიმზე გადავიყვანე და ისევ პარიზის ნომერი ავკრიფე. როცა მძღოლმა პირველივე ზარზე მიპასუხა, იმედი მომეცა და უმალვე გამიცრუვდა, რადგან აღმოვაჩინე, მან არ იცოდა ინგლისური.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

თვითგვემა არასოდეს მიზიდავდა, მაგრამ მახსოვს, მაშინ
თავში ხელები ნავიშინე. ამის შემყურე ემილიმ ტელეფონი
გამომართვა და ყვირილი მორთო. იმიტომ არ ყვიროდა, რომ
მძღოლს უკეთ გაეგო მისი დამტვრეული ფრანგული, უბრა-
ლოდ, ცდილობდა ასე მაინც მიეხვედრებინა მისთვის ვითა-
რების სიმძიმე. ახალ მძღოლებს ეს უნდა სცოდნოდათ, რად-
გან წარმოდგენა არ ჰქონდათ, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა
მირანდას ორმოცდახუთწამიან დაყოვნებას ქუჩაში. სწორედ
მათი ამგვარი მიდგომის წინააღმდეგ ვიბრძოდით მე და ემილი.

საბოლოოდ ემილიმ მძღოლი ისე შეაშინა, რომ საბრალო გი-
ჟივით გავარდა ქუჩისკენ, სადაც მირანდა ოთხი-ხუთი წუთის
წინ დატოვა. მახსოვს, იმ შემთხვევის შემდეგ ჭამის სურვილი
დავკარგე, ძალიან განერვიულებული ვიყავი. „პოდიუმის" გა-
რემო მოქმედებდა? თუ უბრალოდ ადრენალინი და ნერვიუ-
ლობა იყო უმადობის მიზეზი? ზუსტად! შიმშილობას იქ ეპიდე-
მიური ხასიათი ჰქონდა, ფაქტობრივად, თვითგვემის ფორმას
წარმოადგენდა; ეს იყო სხეულის ფიზიოლოგიური რეაქცია
მუდმივ შიშსა და ირგვლივ გამეფებულ ფსიქოზზე, შიმშილის
გრძნობა თავისით ქრებოდა. გადავწყვიტე, ამ თეორიას უფრო
ჩავლრმავებოდი. ალბათ, მირანდა გაცილებით ჭკვიანი იყო, ვი-
დრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა. სავარაუდოდ, მან აგრესიული
ქალის იმიჯი იმისთვის შეიქმნა, რომ დაზაფრულ ხელქვეითებს
ჭამა არასოდეს გახსენებოდათ.

— გოგონებო, გოგონებო, გოგონებო! თავები მაღლა! წარ-
მოიდგინეთ, რომ „დედიკო" გიყურებთ! როგორ გაგიბრაზ-
დებოდათ? — ღიღინით გვითხრა კართან მდგარმა ჯეიმსმა.
რაღაცნაირი ცხიმიანი ჟელეთი, რომელსაც „ლოგინის ჟელე"
(ეროტიკული სახელია — ცდუნებას ვერ გაუძლებდი!) ერქვა,
შავი თმა უკან გადაესვლიპა, რომელიღაც ფეხბურთის გუნდის
მოტკეცილი ნაქსოვი ჟაკეტი ეცვა და ზედ, ორივე მხარეს, „69"
ეწერა. როგორც ყოველთვის, მის დახვეწილ გარეგნობაში რა-
ღაც უთქმელი, იდუმალი იგრძნობოდა.

არც ერთ ჩვენგანს მისკენ არ გაუხედავს. კედლის საათი
ოთხს აჩვენებდა, მაგრამ ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს
ღამის თორმეტი საათი ყოფილიყო.

— კარგი, მაშინ შევეცდები გამოვიცნო. გადარეულმა „დე-
დიკომ" იმისთვის დაგირეკათ, რომ გზად „რიციდან" ალენ

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

დუკასის რესტორნამდე საყურე დაკარგა და მის პოვნას გთხოვთ, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ პარიზშია თქვენ კი აქ, ნიუ-იორკში?

ამოვიხვნეშე.

— შენი აზრით, ასეთ მდგომარეობაში უბრალო საყურის გამო ალმოვჩნდებოდით? ეს ხომ ჩვენი სამუშაოა. მსგავს დავალებებს ყოველდღიურად ვასრულებთ. რამე უფრო რთული მოიფიქრე.

ჩემს ნათქვამზე ემილისაც კი გაეცინა.

— სერიოზულად, ჯეიმს, არ გამოგივიდა. დაკარგულ საყურეს მსოფლიოს ნებისმიერ ქალაქში ათ წუთში ვიპოვი, — ჩემთვის გაუგებარი მიზეზის გამო, უეცრად ჩვენს საუბარში მონაწილეობის სურვილი გამოხატა.

— საქმეს მხოლოდ ის გამირთულებდა, თუ ქალაქი არ მეცოდინებოდა, მაგრამ დაგენაძლევები, მაინც ვიპოვიდი.

ჯეიმსი უკუსვლით ოფისიდან გაპარვას ცდილობდა და თან თავს გვაჩვენებდა, თუ რამდენად შეშინებული იყო ამის მოსმენით.

— კარგი, გოგონებო, სასიამოვნო დღეს გისურვებთ! აბა თქვენ იცით! კიდევ კარგი, თქვენთვის ტვინები მთლად არ გამოურეცხავს. არა? მადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ ჯანმრთელად ხართ. აჰა, მმ, ახლა გავიქეცი და აბა, თქვენ იცით...

— ცუნცულ, სად გარბიხარ? — დერეფნიდან ხმამაღალი, მკვეთრი ხმა შემოგვესმა, — ახლავე დაბრუნდი და გოგონებს უამბე, რაზე ფიქრობდი, როცა დილით ასე გამოეწყვე! — ყვიროდა ნაიჯელი, ჯეიმსისთვის მარცხენა ყურში ჩაევლო ხელი და ჩვენკენ მოათრევდა.

— ოო, კარგი რა, ნაიჯელ, — წუწუნებდა ჯეიმსი, თავს იკატუნებდა, თითქოს ნაიჯელის ასეთი მოპყრობა აღიზიანებდა, სინამდვილეში კი პირიქით, — ძალიანაც სიამოვნებდა, — ვიცი, ეს ჟაკეტი თვითონაც ძალიან მოგწონს.

— ჟაკეტი მომწონს? შენი აზრით, შეიძლება ეს საშინელი, გეი-ფეხბურთელის ჟაკეტი მომწონდეს? ჯეიმს, შენ მგონი, ტვინში საქმე მთლად კარგად ვერ გაქვს, არა?

— რას უწუნებ ამ შემოტკეცილ ნაქსოვ ჟაკეტს? ჩემი აზრით, ძალიანაც სექსუალურია. შეიძლება ძალიან დახვეწილი არაა, მაგრამ მაინც მოდურია. გარდა ამისა, ჩემთვის ცოტა უხერ-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხულია, რჩევებს იმ კაცისაგან ვისმენდე, რომელსაც სწორედ ახლა შავ-თეთრი ზოლებით ჩექმა და ტოტებჩაკეცილი ჯინსის შარვალი აცვია, ასევე — შავი სვიტერი სამკუთხა ყელით და ზურგზე ჭუჭრუტანებით, საიდანაც კუნთები მოუჩანს და ამ ყველაფერს უსახური ჩალის ქუდი და (მაგარია, ჩაეთვალა!) თვალის შავი ლაინერი აგვირგვინებს.

— ბიჭუნავ, მოდა ის კი არაა, მაისურზე შენი სექსუალური ორიენტაცია გამოაჭენო. არა, არა! სულაც არა! სხეულის გამოჩენა გინდა? მიდი, არავინ გიშლის, პირიქით, სექსუალურიც კია! გინდა, მოტკეცილ ზმანებში ეგ შენი მკვრივი ფორმები ჩანდეს? არც მაგას გიშლის ვინმე! მაგრამ რა საჭიროა ჩაცმის სტილით მსოფლიოს გააგებინო, რა სახით გირჩევნია პარტნიორთან კოტრიალი?

— ნაიჯელ! — ჯეიმსი დამარცხებულის სახით ცდილობდა შეენიღბა, რომ ნაიჯელის ყურადღება სიამოვნებდა.

— არავითარი „ნაიჯელ", ძვირფასო. წადი ჯეფრისთან და უთხარი, რომ მე გამოგგზავნე. უთხარი მოგცეს „კელვინ კლაინის" ახალი პერანგი, რომელიც მაიამიში გადალებებისთვის ვითხოვეთ. ის საუცხოო შავკანიან მოდელს ეცვა — ღმერთო, რომ მახსენდება, ნერწყვი მომდის! რძიანი შოკოლადის ფერი აქვს, გახდის სურვილს მომენტალურად დაკარგავ! წადი, რას მიყურებ? გაიქეცი და დაბრუნება არ დაგავიწყდეს, მაინტერესებს, როგორ მოირგებ!

ჯეიმსი გარდერობისკენ შურდულივით გავარდა, ნაიჯელი კი ჩვენ მოგვიბრუნდა:

— ტანსაცმელი შეუკვეთა? — კონკრეტულად არც ერთისთვის არ უკითხავს.— არა, არ შეუკვეთავს, რადგან ჯერ კატალოგები არ უნახავს, — უხალისოდ უპასუხა ემილიმ, — ასე თქვა, დავბრუნდები და მივხედავო.

— კეთილი, მაშინ წინასწარ გამაგებინეთ, რომ დღის განრიგში რაღაცები შევცვალო! — გვითხრა და გარდერობისკენ გაემართა, ალბათ ჯეიმსისთვის თვალის შევლება უნდოდა.

მირანდას გარდერობის განახლების პროცესს ერთხელ შევესწარი. მუშაობა ახალი დაწყებული მქონდა, როცა მირანდა ევროპაში ჩვენებიდან ჩვენებაზე ბლოკნოტით ხელში დარბოდა, ალბათ იმისთვის ემზადებოდა, რომ შტატებში დაბრუნების შემდეგ ნიუ-იორკის მაღალი საზოგადოებისთვის ეცნობები-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნა, თუ რას ჩაიცვამდნენ, ხოლო საშუალო ამერიკელებისთვის — რისი ჩაცმის სურვილი ექნებოდათ მომდევნო წელს. და ეს ყველაფერი მხოლოდ ერთადერთი ჟურნალის — „პოდიუმის" — მეშვეობით იყო შესაძლებელი. თურმე მირანდა ჩვენებებს იმისთვისაც ესწრებოდა, რომ ყურადღებით შეერჩია სამოსი, რომლითაც საკუთარ გარდერობს მომდევნო თვეების მანძილზე გაამდიდრებდა.

სამსახურში დაბრუნებიდან ორ კვირის შემდეგ, მირანდამ ემილის იმ დიზაინერთა სია გადასცა, რომელთა ჩვენებებმა მათი კატალოგების ნახვის სურვილი აღუძრა. როგორც წესი, დიზაინერები კისერს იტეხდნენ, რომ რაც შეიძლება მალე შეედგინათ კატალოგები — ზოგიერთი, მირანდას მოთხოვნის მოლოდინში, ფოტოებსაც კი არ ამჟღავნებდა. ასეთ დღეებში მთელი „პოდიუმი" ფეხზე იდგა. რა თქმა უნდა, ნაიჯელის იქ ყოფნა აუცილებლობას წარმოადგენდა, რადგან ის ტანსაცმლის შერჩევაში ეხმარებოდა მირანდას, აქსესუარების რედაქტორი კი — ჩანთებისა და ფეხსაცმელების შერჩევაში, მოდის რედაქტორსაც მზადყოფნა მოეთხოვებოდა, რათა ყველაფერს უმაღლეს დონეზე ჩაევლო, იმ შემთხვევის ჩათვლით, თუკი მირანდა გარდერობის შერჩევისას ბეწვეულით ან გამოსასვლელი კაბებით დაინტერესდებოდა.

იმ დროისთვის, როდესაც მოდის სახლები თავიანთ ტანსაცმელსა და აქსესუარებს გამოგზავნიდნენ, „პოდიუმს" რამდენიმე დღით მირანდას პირადი მკერავი სტუმრობდა, რათა ყველაფერი მის ტანზე მოერგო. ამ დროს ჯეფრი გარდერობს მთლიანად ცვლიდა და სანამ მირანდა და მისი მკერავი საქმეს არ დაასრულებდნენ, იქ ცხვირსაც ვერავინ შეყოფდა. ერთხელ გარდერობს ზუსტად იმ დროს ჩავუარე, როცა მირანდა ტანსაცმელს იზომებდა. ნაიჯელის შეძახილები გავიგონე: „მირანდა პრისტლი! ეს ძონძი ახლავე გაიხადეთ. ამ კაბაში ბოზს ჰგავხართ! ქუჩის ბოზს!" კართან ატუზული ვუსმენდი მათ საუბარს და საკმარისი იყო ვინმეს კარი გამოელო, რომ ჩემს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე დაემუქრებოდა, მაგრამ მხოლოდ ჩურჩულით ნათქვამი თანხმობა და ქსოვილების შრიალის ხმა მესმოდა.

უკვე საკმარისი გამოცდილება დავაგროვე იმისთვის, რომ მირანდასთვის ტანსაცმლის შეკვეთის პატივი მრგებოდა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

წელიწადში ოთხჯერ, საათივით, კატალოგებს ისე ათვალიერებდა, თითქოს ყველაფერი, რაც იქ იყო, მის პირად საკუთრებას წარმოადგენდა. „ალექსანდრე მაკქვინის[71]“ კოსტიუმსა და „ბალენსიაგას“[72] შარვლებს ისე არჩევდა, თითქოს „ელ ელ ბინის“ ყოველდღიური მაისურები ყოფილიყო. „ფენდის“ ბანანის სტილის შარვალი ყვითლად მოინიშნებოდა, „შანელის“ მკაცრი სტილის კოსტიუმსაც ასეთივე ნიშანი დაესმებოდა, ხოლო აბრეშუმის ბლუზას დიდი „არა“ მიეწერებოდა. გადაფუცლავდა, მონიშნავდა, გადაფურცლავდა, მონიშნავდა. ასე არჩევდა ოტ-კუტიურის სამოსს თავისი გარდერობისთვის. ხშირად ისე ხდებოდა, რომ სასურველი მოდელები ჯერ შეკერილიც არ იყო.

ვუყურებდი, თუ როგორ გადაუგზავნა ემილიმ ფაქსით მირანდას მიერ შერჩეული სია სხვადასხვა დიზაინერს, ზომებისა და ფერების მიუთითებლად, რადგან ყველა თავმოყვარე დიზაინერმა იცოდა, თუ რას ანიჭებდა უპირატესობას მირანდა პრისტლი. რა თქმა უნდა, ზომაზე შეკერვა საკმარისი არ იყო, როცა რედაქციაში ტანსაცმელს მოიტანდნენ, მაინც საჭირო ხდებოდა მათი გადაკეთება — სიგრძის მოკლება, შეკეცვა ან სხვა რამ. ამის შემდეგ სამოსი საგანგებოდ მირანდასათვის შეკერილ კოლექციად მიიჩნეოდა. მას შემდეგ, რაც გარდერობს ერთიანად შეუკვეთდა, გადააკეთებინებდა და მძღოლს ლიმუზინით პირდაპირ შინ მიატანინებდა, მირანდას ძველ სამოსს „ივ სენ-ლორანის“, „სელინის“, „ჰელმუტ ლანგის“ იარლიყებით, ნაგვის ყუთებში ალაგებდნენ და რედაქციაში მოჰქონდათ. ყველაზე ძველი ტანსაცმელი ექვსი თვისა იყო, ერთხელ ან ორჯერ ნაცვამი თუ იქნებოდა, ბევრი კი — საერთოდ უხმარი. ყველაფერი მოდური და საუცხოო ჰქონდა, მათ უმეტესობას მაღაზიაში ნამდვილად ვერ ნახავდით. თუმცა ამ დაძველებული, გასული სეზონის ტანსაცმელს მირანდასთვის იგივე ღირებულება ჰქონდა, რაც „მასიმო დუტიეს“[73] ხელოვნური ტყავისგან შეკერილ შარვალს.

ხანდახან, მირანდას ტანსაცმელში ძალიან პატარა ზომის მაისურებს ვპოულობდი, მათ ვმალავდი და მოგვიანებით ათიდან ცამეტ წლამდე გოგონების მშობლებს ვაძლევდი, მსგავს სამოსს მხოლოდ იმ ასაკის ბავშვები თუ ჩაიცვამდნენ. წარმოვიდგენდი, პატარა გოგონები ბიჭური აღნაგობით „პრადას“ ქვედაბოლოებსა და „დოლჩე-გაბანას“[74] აბრეშუმის ბრეტელე-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბიან კაბებში როგორ დააბიჯებდნენ. თუ გადარჩევისას რაიმე ძალიან ძვირფასსა და ძვირად ღირებულს აღმოვაჩენდი, შეკ-ვრიდან ვიღებდი და მაგიდის ქვეშ ვმალავდი, რომ მოგვიანებით შინ ჩუმად წამელო. ერთს შევირბენდი მედისონ ავენიუზე მდებარე რომელიმე ელიტარულ ბუტიკში და, — ჩემი მწირი ხელფასის გამო დეპრესია მიქრებოდა. ამას ქურდობა არ ერქვა, და თუ სწორად გავაანალიზებდი, ეს ჩემს ხელთ არსებული ნივთების გონივრული გამოყენება იყო.

მირანდამ საღამოს ექვსიდან ცხრა საათამდე ექვსჯერ დარეკა, პარიზის დროით კი — ღამის თორმეტი საათიდან დილის სამამდე. მან პარიზში ჩასულ სხვადასხვა ადამიანთან დაკავშირება დაგვავალა. სახლში წასვლამდე მის ყველა დავალებას თავაუღებლად ვასრულებდი, ბოლოს ჩემი ნივთები შევაგროვე და სანამ ტელეფონი კიდევ ერთხელ დარეკავდა, წასასვლელად მზადება დავიწყე. დაღლილმა პალტო ძლივს ჩავიცვი და ამ დროს მონიტორზე მიკრული ქაღალდი შევნიშნე. სწორედ იმიტომ მივაკარი, რომ არ დამვიწყებოდა: „დღეს 3:30-ზე დავურეკო ალექსს“. მთელი დღე თავი მიბრუოდა, კონტაქტური ლინზების სიმშრალე თვალებს მწვავდა და ახლა ამ ყველაფერს თავის ტკივილიც დაერთო. ყრუ ტკივილი მქონდა, აი ისეთი, ზუსტად რომ არ იცი, სად გტკივა, მაგრამ ნელ-ნელა რომ ძლიერდება და შედეგად, გული მიგდის, ან უბრალოდ, თავი გისკდება. ამ საგიჟეთში, ოკეანის გადაღმა ტელეფონის საშუალებით დავალებების შესრულებაში, ალექსთან დარეკვა გადამავიწყდა. ვერ მოვიფიქრე, ოცდაათი წამით შემეწყვიტა მუშაობა და შემესრულებინა უმარტივესი თხოვნა ადამიანისა, რომელსაც ჩემთვის თითქმის არასოდეს არაფერი უთხოვია. ჩაბნელებულ და მდუმარე ოფისში დავჯექი და ყურმილი ავიღე, ის მირანდასთან გაუთავებელი საუბრებისას დასველებულიყო. ალექსი სახლის ტელეფონს არ იღებდა, ბოლოს ავტომოპასუხე ჩაირთო. შემდეგ მობილურზე დავურეკე და უმალ მიპასუხა.

— გამარჯობა, — მითხრა, რადგან იცოდა, მე ვურეკავდი, — როგორ ჩაიარა დღემ?

— როგორც ყოველთვის. ალექს, ბოდიში, რომ არ დაგირეკე. უბრალოდ ვერ მოვახერხე... საგიჟეთი იყო, განუწყვეტლივ მირეკავდა...

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მისმინე, დაივიწყე, კარგი? არაფერია. მოკლედ, ახლა ვერ გელაპარაკები. ხვალ დაგირეკავ, შევთანხმდით? — მისი ხმა ცუდად ისმოდა, მეგონა შორიდან მელაპარაკებოდა, თითქოს დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ვყოფილიყავით.

— მმ, კეთილი, მაგრამ ხომ ყველაფერი კარგადაა? იქნებ სწრაფად მითხრა, რის თქმას აპირებდი? ძალიან ვნერვიულობ-დი, რომ რაღაც მოხდა.

წამით ჩუმად იყო, შემდეგ კი მითხრა:

— ჰო? რაღაც არ გეტყობოდა, ასე თუ ნერვიულობდი. ერ-თხელ გთხოვე დაგერეკა, როცა მოახერხებდი. აღარაფერს ვამ-ბობ იმაზე, რომ შენი უფროსი ახლა ქვეყანაში საერთოდ არაა, შენ კი ექვსი საათის განმავლობაში ვერ მოიცალე, ერთხელ აგეკრიფა ჩემი ნომერი? ვერ დარეკე? რაღაც არ მეჩვენება, რომ ძალიან ნერვიულობდი. არ მეთანხმები? — ყოველგვარი სარკაზმის გარეშე, ფაქტებით მესაუბრებოდა.

ტელეფონის კაბელი მექანიკურად ისე შემოვიხვიე თითზე, მასში სისხლის ცირკულაცია შემიჩერდა, ერთიანად გამითე-თრდა, პირში კი სისხლის გემო მქონდა და უცებ მივხვდი, რომ ლოყას ვიკვნეტდი.

— ალექს, შენთან დარეკვა არ დამვიწყებია, — ურცხვად ვიტყუებოდი და ვცდილობდი მისი „საბრალდებო განაჩენი" როგორმე შემემსუბუქებინა, — უბრალოდ ერთი თავისუფალი წამი არ მქონდა და რადგან ვიცოდი, რომ რაღაც სერიოზულ-ზე გინდოდა საუბარი, მხოლოდ იმისთვის, რომ ორ წუთში ისევ დაგმშვიდობებოდი, დარეკვა არ მინდოდა. მინდა აგიხსნა, რომ მართალია, ის აქ არ არის, მაგრამ ყოველ წუთას რეკავს და ყო-ველ დარეკვაზე რაღაც სასწრაფო დავალებას მაძლევს. ემილი ხუთზე წავიდა და ტელეფონთან მე დამტოვა. მირანდა კი არ გაჩერებულა. უბრალოდ რეკავს, რეკავს და რეკავს, როდესაც შენთან დარეკვა მინდოდა, ხაზი სულ დაკავებული იყო. მე... მმ, გესმის?

თავის მართლების მცდელობა ჩემთვისაც კი უსუსურად ჟღერდა, მაგრამ ვერ ვჩერდებოდი. ორივემ ვიცოდით, რომ მისთვის დარეკვა გადამავიწყდა. არა, იმიტომ კი არა, რომ არ მადარდებდა ან არ მაინტერესებდა, უბრალოდ, სამსახურში მისვლის წუთიდან, ყველაფერი, რაც მირანდას არ ეხებოდა, ჩემთვის უმნიშვნელო გახდა. რაღაც უცნაური გრძნობა და-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეუფლა, თითქოს მთელი სამყარო გაუჩინარდა, სადღაც უკ-
ვალოდ გაქრა და ერთადერთი, რაც არსებობდა, „პოდიუმი"
იყო. ამას ვერ ვხსნიდი და არც სხვები შემიწუხებია, ჩემთვის
გაეგოთ. ამ ფენომენის ახსნა განსაკუთრებით იმიტომ მიჭირ-
და, რომ ეს ერთადერთი გრძნობა იყო, რომლის გამოც საკუ-
თარი თავი მძულდა, ამავე დროს, მას ყველაფერზე მაღლა
ვაყენებდი.

— მისმინე, ჯოუის უნდა მივხედო. მეგობრები ჰყავს და ალ-
ბათ ახლა მთელი სახლი ყირაზეა.

— ჯოუი? შენ რა, ლარჩმონტში ხარ? ხომ ოთხშაბათობით
ჩადიხარ ხოლმე? ალექს, ხომ ყველაფერი რიგზეა? — ყველა-
ნირად ვცდილობდი ლაპარაკი სხვა თემაზე გადამეტანა და
ამით გადამეფარა ჩემი დანაშაული. მაშინ ეს საუკეთესო გა-
მოსავლად მეჩვენებოდა. გამახსენდა, ადრე მიყვებოდა ხოლმე
შემთხვევებზე, როცა დედამისს სასწრაფოდ საავადმყოფოში
ან მშობელთა კრებაზე იძახებდნენ, ანდა ძიძა ვერ ახერხებდა
მისვლას და ალექსი ძმასთან რჩებოდა. ალექსი ამაზე არასო-
დეს წუწუნებდა, ყოველ შემთხვევაში — ჩემთან.

— ყველაფერი რიგზეა. დედა კერძო პაციენტთან გამოი-
ძახეს. ენდი, მართლა უნდა გავიქცე. უბრალოდ, რაღაც კარგი
ამბავი მქონდა სათქმელი შენთვის, მაგრამ შენ არ დარეკე, —
მითხრა მტკიცედ.

თითზე ტელეფონის კაბელის დახვევა ისევ დავიწყე, ის უკვე
თავისით მოშვებულიყო. ამჯერადაც ისე მჭიდროდ მოვიჭირე,
რომ შუათითში პულსაცია ვიგრძენი.

— ბოდიში, — ძლივს ვუთხარი. მიუხედავად იმისა, რომ
ვიცოდი, მართალი იყო, მე კი დამნაშავედ ვგრძნობდი თავს,
ძალიან დაღლილი ვიყავი იმისთვის, რომ თავის დასაცავად
რამე საფუძვლიანი მომეფიქრებინა, — ალექს, გთხოვ. გთხოვ,
ასე არ დამსაჯო და სასიხარულო ამბავი არ დამიმალო. შენ არ
იცი, რამდენი ხანია ვინმესგან სასიამოვნო სიახლე არ მსმენია!
გთხოვ, მითხარი.

ვიცოდი, რომ ამაზე უარს არ მეტყოდა და მართალიც აღმო-
ვჩნდი.

— მოკლედ, ასე გაგიჟებაც არ ღირს, უბრალოდ უნივერსი-
ტეტის დამთავრების აღსანიშნავად დაგეგმილი წვეულების-
თვის რაღაც საკითხები წინასწარ მოვაგვარე.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მართლა? ესე იგი, მივდივართ? — ადრე რამდენჯერ-
მე შევთავაზე ერთად წავიდეთ-მეთქი, მაგრამ ალექსი უარზე
იდგა, რადგან სასტუმროში ოთახის ან რესტორანში მაგიდის
დაჯავშნა ჯერ ძალიან ადრე იყო. მეც შევეშვი, ვიფიქრე, მერე
დაველაპარაკები-მეთქი. ჩანდა, მიხვდა, როგორ მინდოდა
მასთან ერთად წვეულებაზე წასვლა და ყველაფერს თვითონ
გაუკეთა ორგანიზება.

— ჰო, მივდივართ. ჯიპი დავიქირავე და „ბილთმოურში"
ოთახიც დავჯავშნე.

— „ბილთმოურში?" დამცინი? იქ დაჯავშნე ოთახი? რა მა-
გარია!

— ყოველთვის იქ გინდოდა გაჩერება და ვიფიქრე, რატომაც
არა-მეთქი. კვირისთვის კი „ალ ფორნოში" ათკაციანი მაგიდა
შევუკვეთე და ყველა ერთად შევძლებთ შეკრებასა და დროის
გატარებას.

— მართლა? ეს ყველაფერი უკვე გააკეთე?

— ჰო. ვიფიქრე, გაგიხარდებოდა. ამიტომ მინდოდა დღეს
შენთან ლაპარაკი, ერთი სული მქონდა, როდის მოგიყვებოდი,
მაგრამ შენ თურმე ძალიან დაკავებული ყოფილხარ.

— ალექს, ძალიან გამახარე, ვერც კი გადმოგცემ, როგორ
მიხარია. ვერ ვიჯერებ, რომ მარტომ გააკეთე ამდენი რამ და
ძალიან ვწუხვარ, რომ დღეს ვერ გელაპარაკე, მაგრამ ახლა ოქ-
ტომბერს სულმოუთქმელად ველი. ერთად საუკეთესო დროს
გავატარებთ და ამ ყველაფერს შენ უნდა გიმადლოდე.

რამდენიმე წუთით კიდევ ვილაპარაკეთ. დამშვიდობებისას,
მას გაბრაზებული ხმა აღარ ჰქონდა, მაგრამ მე დაღლილო-
ბისგან ძლივს ვინძრეოდი. დარჩენილი ენერგია მისი ნდობის
თავიდან მოპოვებას დავახარჯე, შევეცადე სიტყვები სწორად
შემერჩია და დამერწმუნებინა, რომ მასზე ვფიქრობდი, რომ
ძალიან ბედნიერი ვიყავი, წვეულებაზე ერთად რომ მივდიო-
დით. ოფისიდან გათანგული გამოვედი. არც კი მახსოვს, მან-
ქანაში როგორ ჩავჯექი და სახლში მივედი, არც ის მახსოვს,
ვესტიბიულში ჯონ ფიშერ-გალიანოს თუ მივესალმე. მთელი
სხეული ისე მტკიოდა, რომ თითქოს სიამოვნებასაც კი ვგრძ-
ნობდი, შვება მომეცა, როცა ლილიმ ოთახის კარი მიიხურა.
ვიფიქრე საჭმელი შემეკვეთა, მაგრამ როგორც კი წარმოვიდ-
გინე, რომ მენიუს ბუკლეტი და ტელეფონი უნდა მეპოვა, მა-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბინეე გადავიფიქრე, შიმშილს გაცილებით ადვილად ავიტანდი. ჩემს ცარიელ აივანზე გავედი და ძირს დავჯექი. სიგარეტს მოეკიდე. ნაფაზის თავი არ მქონდა, ამიტომ კვამლი უბრალოდ ჩავყლაპე. რალაც მომენტში მგონი, ლილის კარი გაიღო, რადგან დერეფნიდან ფეხის ხმა შემომესმა. ჩემთან შუქი სწრაფად გავთიშე და ასე ვიჯექი ჩუმად, სიბნელეში. თხუთმეტსაათიანი ლაპარაკის შემდეგ მეტს ველარ გავუძლებდი.

13

— აიყვანე, — ბრძანა მირანდამ, როცა ანაბელს შეხვდა. ის იყო მეთორმეტე კანდიდატი, რომელსაც გავესაუბრე და — ერთ-ერთი იმ ორიდან, რომელიც, ჩემი აზრით, მირანდას გოგონებისთვის შესაფერი ძიძა იქნებოდა. ანაბელი სუფთა ფრანგი იყო (ინგლისური ისე ცუდად იცოდა, მის ნათქვამს ტყუპი მითარგმნიდა) — სორბონის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, მალალი, ტანადი, ლამაზი ყავისფერი თმით. თავისი სტილი ჰქონდა, სამსახურში სტელეტოებით სიარული არ უჭირდა და არც მირანდას ამპარტავნობა და უხეში გამოხდომები აწუხებდა, ალბათ იმიტომ, რომ სიუხეშე და ქედმაღლობა თავადაც ახასიათებდა, თვალებში არასოდეს გიყურებდა, მოსაწყენი, უინტერესო და ზედმეტად თავდაჯერებული მეჩვენებოდა. მირანდამ მის აყვანაზე თანხმობა რომ მომცა, გამიხარდა, რადგან ამით რამდენიმეკვირიანი გასაუბრებები დასრულდა და მეც, რალაც-რალაცები უკვე ვიცოდი, თუ რა — ამას დაზუსტებით ვერ ვიტყოდი, თუმცა ყველაფერი, რამდენადაც შესაძლებელი იყო, მშვენივრად მიდიოდა.

მისი გარდერობის შეკვეთისას უმნიშვნელო შეცდომა მოგვიდა. ძალიან არ გაბრაზებულა, როცა „ჟივანშის"[75] შეკვეთა ვუჩვენე და სწორად ვერ წარმოვთქვი: ჟივ-ენ-ში ვუწოდე ჟივან-შის ნაცვლად. დამცინავი მზერებისა და დამამცირებელი კომენტარების შემდეგ სწორად წარმოთქმის ინსტინქტი გამომიმუშავდა. ყველაფერი კარგად მიდიოდა, სანამ არ ვაცნობე, რომ მის მიერ შეკვეთილი „რობერტო კავალის" კაბები მზად არ იყო და მათ დამზადებას კიდევ სამი კვირა დასჭირდებოდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

თუმცა მე მალე ეს საკითხიც მოვაგვარე: მირანდას მკერავს ს-ათებზე შევუთანხმდი და მასთან სახლში, მისი პირადი კარადა, რომელიც ნიუ-იორკის საშუალო ბინისხელა იყო, თითქმის და-ვალაგე.

მირანდას ქალაქში არყოფნისას წვეულებისთვის მზადე-ბა ჩვეულ რიტმში მიმდინარეობდა, მაგრამ მისი დაბრუნების დღიდან გაოთხმაგდა, მიუხედავად ამისა, მას განგაშის სახე არ შეუძენია, ყველაფერი წესრიგში იყო და მომდევნო პარასკევს ღონისძიებას უნაკლოდ უნდა ჩაევლო. მირანდას ევროპაში ყოფნის პერიოდში „შანელმა" კოჭებამდე სიგრძის წითელი, ბი-სერებით გაწყობილი საღამოს კაბა მოგვიტანა, რომელიც დაუ-ყოვნებლივ ქიმწმენდაში გავგზავნე.

ერთი თვის წინ „შანელის" მსგავსი კაბა, ოღონდ — შავი ფე-რისა, ჟურნალ „მოდის ბიბლიაში" ვნახე და ემილის რომ ვუთხა-რი, თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია.

— ორმოცი ათასი დოლარი, — და თავი მეორედ ისე დამიქ-ნია, თვალი მონიტორისთვის არც კი მოუშორებია. „style.com"-ზე დადებულ შავ შარვალს ორჯერ დააწკაპუნა, რამდენიმე თვეა, რაც მირანდასთან ერთად ევროპაში მოგზაურობისათვის ემზადებოდა და საინტერესო იდეებს ინტერნეტით ეძებდა.

— რამდენი ათასი?

— მისი კაბის, „შანელის" წითელი კაბის ფასია. თუმცა ორ-მოცი ათასს იმ შემთხვევაში აფასებენ, თუკი ჩვეულებრივი მომხმარებელი ხარ. რა თქმა უნდა, მირანდა არაფერს იხდის, მაგრამ არც მთლად უფასოდ აძლევენ. მაგარია, არა?

— ორმოცი ათასი დოლარი? — გავიმეორე, ჯერ კიდევ ვერ ვიჯერებდი, რომ სულ რაღაც ერთი საათის წინ ეს ძვირად ღირებული კაბა ხელში მეჭირა. თავი ვერ შევიკავე და გადავ-თვალე: ორმოცი ათასი დოლარით უნივერსიტეტში სწავლის ორი წლის საფასურს დაფარავდი, ახალი სახლის შესაძენად პირველ შესატანს გადაიხდიდი, საშუალო ამერიკელის ოთხ-სულიანი ოჯახისთვის ეს წლიური შემოსავლის ტოლი იყო და, სულ მცირე, ამ თანხით „პრადას" ძალიან, ძალიან ბევრ ჩანთას შეიძენდი, მაგრამ ამდენი ფული ერთ კაბაში? მეგონა, უკვე ვე-რაფერი გამაოცებდა, მაგრამ შევცდი.

ელიტარული ქიმწმენდიდან დაბრუნებულ კაბას თან ერ-თვოდა კონვერტი ლამაზი კალიგრაფიით, მასზე შემდეგი

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

იკითხებოდა: „ქალბატონ მირანდა პრისტლის“. შიგნით კი კრემისფერ მუყაოს თხელ ქაღალდზე ხელით ნაწერი ანგარიშ-ფაქტურა იდო:

„სამოსის ტიპი: საღამოს კაბა. დიზაინერი: „შანელი“. სიგრძე: ტერფამდე. ფერი: წითელი. ზომა: ნულოვანი. აღწერილობა: ხელით ნაქარგი ბისერებით, უბრეტელო, ღრმა დეკოლტე, ელვაშესაკრავი შიდა მხრიდან, მდგრადი აბრეშუმის სარჩული. ჩატარებული სამუშაო: ძირითადი, პირველადი წმენდა. საფასური: $670“.

მასში ასევე იდო მაღაზიის მფლობელი ქალბატონის წერილი. **დარწმუნებული ვიყავი, იმ თანხით, რომელსაც ის მირანდას** ძვირფასი ტანსაცმლის ქიმწმენდის საფასურად „ელიას-კლარკისგან“ იღებდა, ალბათ მაღაზიისა და სახლის ქირასაც უპრობლემოდ დაფარავდა:

მოხარული ვართ იმით, რომ ასეთი ძვირფასი საღამოს კაბა ჩვენ გვანდეთ და იმედს ვიტოვებთ, რომ მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმში გამართულ წვეულებაზე მას სიამოვნებით ჩაიცვამთ. როგორც შევთანხმდით, კურიერი კაბის წასაღებად 24 მაისს მოვა. გთხოვთ დაუყოვნებლივ შეგვატყობინოთ თუ ჩვენგან სხვა, დამატებითი ტიპის მომსახურების სურვილი გაგიჩნდებათ.

საუკეთესო სურვილებით,

კოლეტი“.

ასე იყო თუ ისე, უკვე ხუთშაბათს მირანდას ახალთახალი „შანელის“ საღამოს კაბა, რომელიც ქიმწმენდიდან წამების წინ იყო გამოტანილი, მის კარადაში „ჯიმი ჩუს“ იმ ვერცხლისფერ სანდლებთან ერთად ეკიდა, რომლებიც ემილიმ მირანდას თხოვნის თანახმად შეუკვეთა. თმის სტილისტი პარასკევს მასთან საღამოს ხუთ საათზე უნდა მისულიყო, ვიზაჟისტი კი — ექვსს რომ თხუთმეტი აკლდა, ხოლო იური მირანდასა და მისტერ ტომლინსონს მუზეუმში წასაყვანად ზუსტად შვიდის თხუთმეტ წუთზე მიაკითხავდა.

კესიდის ტანვარჯიშის გაკვეთილებზე დასასწრებად მირანდა სამსახურიდან ადრე წავიდა, იმედი მომეცა, მეც დროულად მივიდოდი შინ და ლილის გავახარებდი, სადმე დავპატიჟებდი და მისი ბოლო გამოცდის ჩაბარებას ერთად აღვნიშნავდით.

www.PDF.ChiaturaINFO.GE Scanned by CamScanner

— ემ, შენი აზრით, შვიდის ნახევრისთვის ან შვიდზე თავისუფალი ვიქნები? მირანდამ მითხრა, რომ დღეს „წიგნი" არ სჭირდება, რადგან სიახლე არაფერია, — სწრაფად დავამატე, თავი უხერხულად ვიგრძენი, რადგან ადრე წასასვლელად ნებართვის აღება თანატოლისგან მიხდებოდა.

— მმ, კეთილი. მოკლედ, ჰო. მე უკვე წავედი, — კომპიუტერის მონიტორს შეხედა, ვიცოდი, რომ ექვსის წუთები იყო, — მოკლედ შვიდისთვის გადი. ამ სალამოს ტყუპთანაა და არ მგონია, დარეკოს, — თვითონ კი, იმ ლოსანჯელესელ ბიჭთან ჰქონდა პაემანი, საახალწლო წვეულებაზე რომ გაიცნო. როგორც იქნა, ის ნიუ-იორკს ესტუმრა და რაც უნდა გასაკვირი იყოს, ემილის მართლაც შეეხმიანა. სალამოს ბარში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, შემდეგ, რა თქმა უნდა, თუკი ლოსანჯელესელი ღირსეულად მოიქცეოდა, ემილი „ნობუში" აპირებდა გაგრძელებას. ადგილები იქ მირანდას სახელზე დაჯავშნა ჯერ კიდევ ხუთი კვირის წინ, როგორც კი ყმაწვილისგან ელექტრონული ფოსტით მიიღო შეტყობინება, რომ ის ნიუ-იორკში გეგმავდა ჩამოსვლას.

— და რას იზამ, როცა ნახავენ, რომ მირანდა პრისტლი არ ხარ? — სულელური კითხვა დავუსვი.

როგორც ყოველთვის, შემომხედა, თვალები გადააბრიალა და ღრმად ამოისუნთქა.

— ავუხსნი, რომ მირანდა პრისტლი ქალაქიდან მოულოდნელად გაემგზავრა, ვუჩვენებ მათ ჩემს სავიზიტო ბარათს და ვეტყვი, რომ მისი თხოვნაა, შეკვეთილი მაგიდით მე ვისარგებლო-თქო. აი, ასე, ძალიან მარტივად.

ემილის წასვლის შემდეგ მირანდამ მხოლოდ ერთხელ დარეკა, მითხრა, რომ ხვალ სამსახურში შუადღემდე არ მოვიდოდა, მაგრამ ითხოვდა ინფორმაციას იმ ახალ რესტორანზე, რომლის შესახებაც „გაზეთებში" ამოიკითხა. გავბედე და ვკითხე, შემთხვევით ხომ არ ახსოვდა, რა ერქვა რესტორანს ან გაზეთს. ამით მისი გაღიზიანება გამოვიწვიე.

— ან-დრე-ა, ისედაც შეხვედრაზე ვაგვიანებ. ნერვებს ნუ მიშლით. ის იყო აზიური რესტორანი და დღევანდელი გაზეთი. სულ ეს არის, — წკაპ და თავისი „მოტოროლა V 60" დახურა.

იმედი დავიტოვე, რომ ერთ მშვენიერ დღესაც, როცა სათქმელს კვლავ ასე უცერემონიოდ შემაწყვეტინებდა, იმ ლამაზ

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნიულმანიკიურიან თითებს მოიყოლებდა კიდეც მობილურში. მირანდას უზადო მანიკიურის გაფუჭება „მოტოროლას“ ალბათ განსაკუთრებით ძვირად დაუჯდებოდა.

ბლოკნოტში, სადაც მირანდას დავალებები მეწერა, სასწრაფოდ კიდევ ერთი ჩავინიშნე — რესტორნის ძებნა დილიდანვე დამეწყო და ამის მერე კი ავტოფარეხისკენ გავიქეცი, თან ლილის ვურეკავდი. როცა მიპასუხა, სახლთან ახლოს ვიყავი, ჯონ ფიშერ-გალიანოს ხელი დავუქნიე (თმა მოზრდოდა და უნიფორმაზე შებმული ახალი ჯაჭვებით დიზაინერს სულ უფრო დამსგავსებოდა).

— გამარჯობა, როგორ ხარ? ეს მე ვარ.

— გაგიმარჯოს! — გახარებულმა მიპასუხა, დიდი ხანია ლილის ასეთი ბედნიერი ხმა აღარ გამეგონა, — მოვრჩი. დავამთავრე! ზაფხულის სემესტრამდე საქმე არაფერი მაქვს, მერე კი მხოლოდ სადისერტაციო თემას შევარჩევ, ისიც ნებისმიერ დროს შემიძლია შევცვალო. ასე რომ, ივლისის შუა რიცხვებამდე თავისუფალი ვარ. წარმოგიდგენია? — ძალიან გახარებული ჩანდა.

— ჩინებულია, ძალიან მიხარია! აბა, რას იტყვი, ეს ამბავი სადმე რომ აღვნიშნოთ? სადაც გაგიხარდება, ყველაფერს „პოდიუმი“ იხდის!

— მართლა? სადაც მოვისურვებ?

— სადაც მოისურვებ. ქვემოთ მანქანით გელოდები. ჩამოდი, სადმე კარგ ადგილას წავიდეთ.

სიხარულისგან შეჰკივლა.

— მაგარია! დიდი ხანია მინდა „ფროიდისტ ბიჭზე“ მოგიყვეის ისეთი სიმპათიურია! დამელოდე, ჯინსებს ჩავიცვამ და წამებში ქვემოთ ვიქნები.

ხუთ წუთში ქვემოთ იყო, დიდი ხანია ასეთი საყვარელი და ბედნიერი არ მენახა. გაცვეთილი ჯინსები თეძოებზე შემოტკეცოდა, ზემოთ ბამბის თავისუფალი პერანგი ეცვა გრძელი სახელოებით, ხოლო ფეხზე — ჩემთვის უცნობი ღია ფეხსაცმელი ყავისფერი ტყავის თასმებითა და ზედ ფირუზისფერი ბისერებით. მაკიაჟიც კი გაეკეთებინა, კულულები ისე უთამაშებდა, თითქოს წუთის წინ თმა ფენით გაეშრო.

— საუცხოოდ გამოიყურები — ვუთხარი, როგორც კი მანქანაში ჩაჯდა, — გამოტყდი, რაშია შენი საიდუმლო?

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რა თქმა უნდა, „ფროიდისტ ბიჭში“, ძალიან მაგარი ვინმეა. მგონი, შემიყვარდა. ჯერჯერობით თითქმის ათივე ქულა მისია. წარმოგიდგენია?

— ჯერ ის მითხარი, სად წავიდეთ. არსად არაფერი დამიჯავშნია, მაგრამ შემიძლია მირანდას სახელი გამოვიყენო. ადგილი აირჩიე.

ლილი სარკეში იყურებოდა, თან უფერო პომადას ისვამდა.

— ესე იგი, ნებისმიერი ადგილი? — უდარდელად მკითხა.

— ნებისმიერი. იქნებ „ჩიკამაში“ წავიდეთ? იქ საუკეთესო „მოხიტო“ მზადდება, — შევთავაზე, ვიცოდი, ლილი რესტორნებს კერძების მიხედვით კი არა, სასმელებით არჩევდა, — ან „მითზე“ რას იტყვი? იქ გასაოცარი „კოსმოპოლიტენი“ აქვთ, შეგვიძლია „ჰადსონ ჰოტელშიც“ შევიდეთ, იქნებ მოვახერხოთ და ტერასაზეც კი ვიპოვოთ ადგილი? თუკი ღვინო გირჩევნია, მაშინ ერთი არაჩვეულებრივი ადგილი ვიცი...

— ენდი, გინდა „ბენიხანაში“[76] წავიდეთ? იქ წასვლა დიდი ხანია მინდა, — მორცხვად მითხრა.

— „ბენიხანაში“? გინდა, რომ „ბენიხანაში“ წავიდეთ? რესტორანში, სადაც ტურისტები და მათი მტირალა ბავშვები სხედან და უმუშევარი აზიელი მსახიობები კერძებს ცხვირწინ გიმზადებენ? ნუთუ ის „ბენიხანა“ გაქვს მხედველობაში?— თავს ენერგიულად მიქნევდა, ასე რომ, სხვა გზა არ მქონდა, მისამართის გასაგებად ტელეფონი ავიღე.

— არა, არ გინდა, მე ვიცი, სადაცაა. 56-ე ქუჩაზე მეხუთე და მეექვსე ავენიუს შორის, ჩრდილოეთის მხრიდან! — გასძახა მძღოლს.

ჩემი მეგობარი იმდენად იყო აღფრთოვანებული, რომ ვერც კი ამჩნევდა, როგორ მივჩერებოდი. ისევ იმ „ფროიდისტ ბიჭს“ ახსენებდა, ასე იმიტომ შეურქმევია, რომ ის ასპირანტურაში ფსიქოლოგიის ბოლო კურსზე იყო. ერთმანეთი სემინარზე, სარდაფის ბიბლიოთეკის დარბაზში გაეცნოთ. მისი ღირსებებიც სწრაფად ჩამომითვალა: ოცდაცხრა წლის („დაღვინებული, მაგრამ არც იმდენად“), წარმოშობით მონტერილიდან („საყვარელი ფრანგული აქცენტით, მაგრამ სრულიად გაამერიკელებული“), ოდნავ გრძელი თმით („მაგრამ არც იმდენად გრძელი, რომ ქაჯური კიკინა ეკეთოს“) და წვერით („რომელიც სამ დღეში ერთხელ თუ არ მოიპარსა, ანტონიო ბანდერასს ემსგავსება.).

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

სამურაის გარეგნობის შეფმზარეული და მსახიობები თავიანთ საქმეს ასრულებდნენ, ხორცს პატარა კუბებად ჭრიდნენ და იმ ნაჭრებით ჟონგლიორობდნენ. ლილი პატარა გოგონასავით იცინოდა და ტაშს ისე უკრავდა, თითქოს საცირკო სანახაობას პირველად ესწრებოდა. დაჯერება მიჭირდა, რომ ლილის „ფროიდისტი ბიჭი" მართლა მოეწონა. კიდევ უფრო ვერ წარმომედგინა ის, რომ მათ შორის ჯერჯერობით არაფერი ხდებოდა („ორ კვირაზე მეტია, ყოველდღე ვხვდებით, მაგრამ სექსი არ გვქონია! ხომ ამაყობ ჩემით?"). როცა ვკითხე, ჩვენთან სტუმრად მოსული რატომ ერთხელაც ვერ ვნახე-თქო, გამილიმა და ამაყად განმიცხადა: „სახლში ჯერ არ დამიპატიჟებია. არ ვჩქარობთ." ზუსტად რესტორნის წინ ვიდექით და ლილი რაღაც სასაცილო ამბებს მიყვებოდა, როცა უეცრად ჩემ წინ კრისტიან კოლინსვორთი გაჩნდა.

— ანდრეა, ძვირფასო ანდრეა. უნდა გამოვტყდე და, ძალიან გაოცებული ვარ, რომ „ბენიხანას" მოყვარულთა რიცხვს ეკუთვნით... მირანდა რას იტყვის ამაზე? — გამოჯავრებით მკითხა და მხრებზე ხელი მომხვია.

— მე, აჰ, მოკლედ... — უცებ ენა დამება. სიტყვები სწორად მინდოდა დამელაგებინა, მაგრამ თავში იმდენი აზრი ირეოდა: „ბენიხანაში" ვიყავი და კრისტიანმა ეს იცის! მირანდა „ბენიხანაში"! ტყავის სპორტულ ქურთუკში ისე საყვარლად გამოიყურება! ალბათ „ბენიხანას" სუნელების სუნი იგრძნო! ლოყაზე არ აკოცო! ლოყაზე აკოცე! — მოკლედ, ეს ის არ არის, რომ, აი...

— სწორედ ახლა ვფიქრობდით, სად გადაგვენაცვლა, — გადაჭრით თქვა ლილიმ და კრისტიანს ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად. მაშინლა მივხვდი, რომ ის მარტო იყო, — ჩვენ ისეთი გაცხარებით ვსაუბრობდით, ვერც კი შევამჩნიეთ, რომ შუა ქუჩაში ვდგავართ! ჰა, ჰა! არა, ენდი? მე ლილი ვარ, — კრისტიანმა თავაზიანად ჩამოართვა ხელი და თვალიდან კულული გადაიწია, ზუსტად ისე, როგორც მაშინ, წვეულებაზე.

კვლავ უცნაური შეგრძნება დამეუფლა — შემეძლო საათები, არა, დღეები მეცქირა თუ როგორ იწევდა ერთ პატარა, საყვარელ კულულს სრულყოფილი სახიდან. ხან ერთს და ხანაც მეორეს მივჩერებოდი და ბოლოს მივხვდი, რომ რაღაც უნდა მეთქვა, მაგრამ ჩემი ჩარევის გარეშეც მშვენივრად საუბრობდნენ.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ლილი, — გაიმეორა კრისტიანმა, — ლილი, ლამაზი სახელია. თითქმის ისეთივე ლამაზი, როგორიც ანდრეა.

მათ საუბარს ვაკვირდებოდი და შევნიშნე, როგორ გაუბრწყინდა ლილის სახე ამ სიტყვების მოსმენისას. დარწმუნებული ვიყავი, ფიქრობდა, ეს ყმაწვილი არა მარტო მასზე უფროსი, არამედ ძალიან მომხიბლავიც იყო, ცდილობდა გამოეცნო, მომწონდა თუ არა კრისტიანი, ალექსთან ჩემი ურთიერთობის მიუხედავად, ან, იმ შემთხვევაში, თუ კრისტიანით მართლა მოხიბლული ვიყავი, შეეძლო მოვლენების დასაჩქარებლად რაიმე მოეფიქრებინა? ლილის ძალიან უყვარდა ალექსი, სხვაგვარად არც შეიძლებოდა, თუმცა არ ესმოდა, როგორ შეეძლო ორ ახალგაზრდას ასეთი ხანგრძლივი სიყვარული ჰქონოდა, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეუბნებოდა და მშვენივრად ვხვდებოდი, რომ მხოლოდ ჩვენი ურთიერთობის ინტიმურ ნაწილს გულისხმობდა. ასე რომ, ზუსტად ვიცოდი, ჩემსა და კრისტიანს შორის რაიმე ნაპერწკალიც რომ შეემჩნია, ლილი მის გასაღვივებლად იბრძოლებდა.

— სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, ლილი. მე ანდრეას მეგობარი ვარ, კრისტიანი. სალაპარაკოდ ყოველთვის „ბენიხანას" წინ ჩერდებით? — გვკითხა და გაგვიღიმა. მისი ღიმილის გამო გული ამიფრიალდა.

ლილიმ ყავისფერი დალალები ხელით უკან გადაიწია.

— რა თქმა უნდა, არა, კრისტიან! ახლახან ვივახშმეთ „თაუნში" და იმაზე ვფიქრობდით, თუ სად დაგველია. რაშეს ხომ არ შემოგვთავაზებთ?

„თაუნი"! ეს ქალაქში ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული და მოდური რესტორანი იყო. იქ მირანდა, ჯესიკა და მისი საქმრო დადიოდნენ. ემილიც გამუდმებით ლაპარაკობდა, თუ როგორ ეწადა იქ წასვლა. მაგრამ ლილი?

— მართლა? რა უცნაურია, — თქვა კრისტიანმა. ჩანდა, ჩვენს ტყუილს იჯერებდა, — ეს-ესაა ჩემს აგენტთან ერთად იქიდან გამოვედი. მიკვირს, რომ თქვენ ვერ შეგამჩნიეთ...

— ალბათ იმიტომ, რომ უკან ვისხედით, ბარს ვეფარებოდით, — სწრაფად მივუგე და თან აზრები მოვიკრიბე. საბედნიეროდ, ერთხელ ემილიმ საიტზე „cityserch.com" იმ რესტორნის პაწაწინა ფოტო მაჩვენა, აინტერესებდა, რამდენად შესაფერი ადგილი იყო პაემნისთვის. ფოტოზე ბარიც მოჩანდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

— მმმ, — ოდნავ დაბნეული, მაგრამ როგორც არასდროს, ისეთი საყვარელი გამომეტყველებით დაგვიქნია თავი, — გადის ახლა, გოგონებო, რამის დასალევად მიდიხართ?

ვიგრძენი, რომ უზომოდ მინდოდა საშხაპეში შევვარდნილიყავი და „ბენიხანას" მძაფრი სუნი თმიდან და ტანსაცმლიდან ჩამომერეცხა. ნეტა კრისტიანმა თუ იგრძნო? ის იმდენად სექსუალური იყო, ლილის კი — იმდენად მტკიცე გამომეტყველება ჰქონდა, რომ გაჩუმება ვარჩიე.

— ჰო, ვერაფერი შევარჩიეთ. რას შემოგვთავაზებ? ორივეს გაგვიხარდება, თუ შემოგვიერთდები, — განაგრძო ლილიმ და მკლავზე მხიარულად ჩამოქაჩა, — ახლოს რაიმე სასიამოვნო ადგილი ხომ არ გეგულება?

— იცით, ცენტრი მაინცდამაინც განთქმული არ არის ბარებით, მაგრამ ჩემს აგენტს „ო-ბარში" ვხვდები, ის ახლა სამსახურში რაღაც საბუთებზე მიბრუნდა. თუ სურვილი გაქვთ, ერთად წავიდეთ. ენდი, კარგი იქნება, ჩემს აგენტს თუ გაიცნობ. რა იცი, რა დროს შეიძლება დაგჭირდეს პროფესიონალის დახმარება? ასე რომ, წავიდეთ „ო-ბარში", აბა, რას იტყვით?

ლილი თვალებით მეუბნებოდა დავთანხმებულიყავი, მისი თვალები უბრალოდ კიოდა „ენდი, რა კარგი ვინმეა! რა ლამაზი ბიჭია! წარმოდგენა არ მაქვს, ვინ ჯანდაბაა, მაგრამ ახლა მას შენგან სურს მოისმინოს, თუ როგორ მოგწონს „ო-ბარი"!

— ვგიჟდები „ო-ბარზე", — შევეცადე დამაჯერებლად მეთქვა, მიუხედავად იმისა, რომ იქ არასოდეს ვყოფილვარ, — ჩემი აზრით, შესაფერისი ადგილია.

ლილიმ და კრისტიანმა გამიღიმეს და ბარისკენ ერთად გავემართეთ. მე და კრისტიან კოლინსვორთი ბარში ერთად მივდიოდით. ეს შეიძლება პაემნად ჩაითვალოს? რა თქმა უნდა, არა. ნუ სულელობ! საკუთარი თავი დავტუქსე. ალექსი, ალექსი, ალექსი — ვიმეორებდი გულში, რათა წამით არ დამვიწყებოდა, რამდენად საყვარელი შეყვარებული მყავდა. ამავე დროს ძალზე იმედგაცრუებული ვიყავი, რომ საკუთარი თავისთვის ამის შეხსენება მჭირდებოდა. მართალია, ერთი ჩვეულებრივი ხუთშაბათი საღამო იყო, მაგრამ „გამომძალველები თეთრ თათმანებში" მთელი სერიოზულობით მუშაობდნენ: ბარში შესვლა შეზღუდული არ იყო, უარს არავინ გეტყოდა მას შემდეგ, რაც ოც დოლარს გადაიხდიდი. სანამ საფულეს ამო-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვიღებდი, კრისტიანმა ჯიბიდან სამი ოცდოლარიანი ამოაცურა
და უსიტყვოდ მიაწოდა წინ. წინააღმდეგობის გაწევა ვცადე,
მაგრამ კრისტიანმა თითი ტუჩებზე მომადო:

— ძვირფასო ენდი, ამ პატარა და ლამაზ თავს მსგავსი რა-
ღაცებით ნუ შეიწუხებ, — და სანამ ტუჩებიდან მის თითებს
მოვიშორებდი, ჩემი სახე ხელებში მოიქცია. სადღაც ღრმად,
ჩემი აბსოლუტურად უმოძრაო ტვინი ნიშანს მაძლევდა, რომ
მალე მაკოცებდა. ვიცოდი, ვგრძნობდი კიდეც, მაგრამ ვერ ვინ-
ძრეოდი, ამ წამიერი დაბნეულობით ისარგებლა, სავარაუდოდ,
ალბათ თანხმობადაც მიიღო და ყელზე ნაზად მაკოცა, ძალიან
სწრაფად, მხოლოდ შემეხო. ჰო, შეიძლება ოდნავ ენითაც, ყურ-
თან. ალბათ, მაინც უფრო — ყელზე. მერე ხელი ჩამკიდა და
შიგნით შემიყვანა.

— კრისტიან, მოიცადეთ! მე, აჰ, რაღაც უნდა გითხრათ,
— დავიწყე, მაგრამ დარწმუნებული არ ვიყავი, თუ ერთი უმ-
ნიშვნელო ამბორი ყელზე და არა ტუჩებში იმის თქმად ღირდა,
რომ დაკავებული ვიყავი, შეყვარებული მყავდა და არ მინდო-
და, რაიმე არასწორად გაეგო. თუმცა ჩანდა, კრისტიანს ეს
ნაკლებად ადარდებდა, რადგან ბნელ კუთხემდე მიმაცილა, იქ
დივანი იდგა და მასზე დაჯდომა მიბრძანა. ბრძანებას დავმორ-
ჩილდი და დავჯექი.

— სასმელს მოვიტან, კარგი? ასე ნუ განიცდი. არ ვიკბინე-
ბი, — სიცილით მითხრა. წითელი ვაშლივით გავწითლდი, —
და თუ გიკბენ, გპირდები, ძალიან მოგეწონება, — მითხრა და
ბარისკენ წავიდა. გული რომ არ წამსვლოდა და იმაზე არ მეფი-
ქრა, რაც წამების წინ მოხდა, ნახევრად ჩაბნელებულ სივრცეში
ლილის ძებნა დავიწყე. სამი წუთი არ იყო, რაც შიგნით ვიყავით
და ვიღაც მაღალ, შავკანიან ტიპს უკვე სერიოზულად ესაუბრე-
ბოდა. მის ყოველ ნათქვამზე თავს უკან სწევდა და აღფრთო-
ვანებით იცინოდა. მათთან მისასვლელად გზა „საერთაშორისო
მსმელებს" შორის გავიკვლიე, საინტერესოა, როგორ ხედება ეს
ხალხი, თუ სად აქვთ დალევის უფლება ამერიკული პასპორტის
გარეშე? რამდენიმე, ასე ოცდაათ წლამდე მამაკაცს ჩავუარე
მგონი, იაპონურად გაჰყვიროდნენ; ორი ქალი ენერგიულ
ჟესტიკულაციით ლაპარაკობდა არაბულად. ახალგაზრდა
მონყენილი წყვილი კი ერთმანეთს უცქერდა და მგონი, ესპა-
ნურად, შეიძლება პორტუგალიურადაც ჩურჩულებდა. ლილის

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ახალ ბიჭს ხელი მის წელზე შემოეხვია და მოჯადოებული უყურებდა. გადავწყვიტე, რომ თავაზიანობის დრო არ იყო, კრისტიან კოლინსვორთმა ახლახან ტუჩებით მასაჟი გამიკეთა ყელზე. უცნობს ზედ არ შევხედე, ლილის მარჯვენა მკლავზე ხელი ვტაცე და შევეცადე დივნისკენ წამეთრია.

— ენდი, გეყოფა! — სისინით მითხრა და ხელის გათავისუფლებას შეეცადა, თან სახიდან ღიმილი არ შორდებოდა, — უხეშად იქცევი, ჩემი ახალი მეგობარი მინდა გაგაცნო. უილიამ, ეს ანდრეაა, ჩემი დაქალი, რომელიც მინდა დაგარწმუნო, ყოველთვის ასეთი არ არის. ენდი, ეს კი უილიამია. როდესაც მე და უილიამმა ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით, ლილი ბედნიერი სახით გვიცქერდა.

— აბა, ან-დრ-ეა, მითხარი, რატომ ცდილობ შენი მეგობარი მომტაცო? — მკითხა უილიამმა ბოხი ხმით, რომელიც ყურებში იმქვეყნიურ ექოსავით ჩამესმა. მისი ზრდილი ღიმილი, ფეხზე ნამოდგომა და საკუთარი ადგილის თავაზიანად დათმობა შეიძლება სხვა დროს ან სხვა ადგილას სასიამოვნო ჟესტად აღმექვა, მაგრამ ახლა ერთადერთმა რამ მიიქცია ჩემი ყურადღება — მისმა ბრიტანულმა გამოთქმამ. მართალია, ეს მაღალი, შავკანიანი მამაკაცი მირანდა პრისტლის არც ზომით ჰგავდა და არც ფორმით, მაგრამ საკმარისი იყო, ჩემი სახელი ზუსტად მირანდასავით, ბრიტანული გამოთქმით წარმოეთქვა, რომ უმალ გული ამიჩქარდა.

— უილიამ, ბოდიში, ეს პირადულია. უბრალოდ რაღაც პატარა პრობლემა მაქვს და ლილი მჭირდება. ძალიან მალე დაგიბრუნებთ უკან, — ვუთხარი და ამჯერად უფრო მჭიდროდ მოვკიდე ხელი ლილის და გვერდით გავიყვანე. საკმარისი იყო სისულელეები. მეგობარი მჭირდებოდა!

როგორც კი იმ დივანზე დავსხედით, სადაც კრისტიანმა დამტოვა, სასმელების დახლისკენ გავიხედე, იქ ტრადიციული ორიენტაციის მამაკაცი კიდევ დიდხანს ვერ მიიქცევდა ბარმენის ყურადღებას, ამიტომ ღრმად შევისუნთქე და დავიწყე:

— კრისტიანმა მაკოცა.

— მერე, რა პრობლემაა? ცუდად გაკოცა? ოჰ, ცუდად, არა? ეგეიძლია კიდევ ერთხელ სცადო და დარწმუნდე, რომ...

— ლილი! რას ნიშნავს „ცუდად“ ან „კარგად“? რა მნიშვნელობა აქვს? — თვალები შუბლზე აუვიდა, რაღაცის თქმას აპი-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

რებდა, მაგრამ არ ვაცადე, — შეიძლება ბევრი არაფერი, მან კი-
სერზე მაკოცა და არა ტუჩებში. საქმე ამაში არ არის, მთავარი
თვით კოცნის ფაქტია. ალექსზე რას იტყვი? ხომ მიცნობ, ისეთი
არ ვარ, რომ ყოველ შემხვედრს ვკოცნიდე.

— ჰო, რაც არასოდეს მესმოდა, — წაიბურტყუნა თავისთვის,
— ენდი, უბრალოდ სასაცილო ხარ. შენ გიყვარს ალექსი, მას კი
შენ უყვარხარ, მაგრამ ცუდი არაფერია იმაში, თუ ხანდახან სხ-
ვისი კოცნის სურვილიც გიჩნდება. ღვთის გულისათვის! ჯერ
მხოლოდ ოცდაოთხი წლის ხარ. ცოტა გაილაღე!

— მაგრამ მე მისთვის არ მიპასუხია... მხოლოდ მან მაკოცა!

— პირველ რიგში, მოდი, სათქმელს პირდაპირ გეტყვი.
გახსოვს, მონიკას ბილთან ორალური სექსი რომ ჰქონდა?
მთელი ქალაქი, ჩვენი მშობლების ჩათვლით, იმას გაიძახოდა,
სექსი ჰქონდათო. ჰოდა, მინდა გითხრა, რომ ასე არ იყო. შენს
შემთხვევაში ეს თითქმის იგივეა, ვილაც ლოყისკენ დაიხაროს
და კისერზე მოუხვდეს. ეს კი არაფერს ნიშნავს.

— კი მაგრამ...

— მოკეტე და დამამთავრებინე. უფრო მნიშვნელოვანი ის
არის, რომ ეს შენც ძალიან გინდოდა. გამოტყდი, ენდი! მიუხე-
დავად იმისა, რამდენად „ცუდ", „არასწორ" და „უწესო" საქციე-
ლად მიგაჩნია. თუ გულწრფელად არ აღიარებ, რომ სურვილი
გქონდა, მაშინ მატყუარა ყოფილხარ.

— ლილი, სერიოზულად! არა მგონია, ეს სწორი საქციელი
იყოს...

— ენდი, ცხრა წელია გიცნობ. გგონია, ვერ ვხედავ? სახეზე
გაწერია, რომ მას აღმერთებ. იცი, რომ ეს არასწორია, ის კი არ
გეშვება, ასეა? მაგრამ ის სწორედ ამის გამო უფრო მოგწონს.
უბრალოდ მოეშვი და ისიამოვნე. თუ ალექსია შენი ბედი, მაშინ
არსად გაგექცევა და ერთად იქნებით. ახლა კი, უნდა მაპატიო,
რადგან მგონი, ჩემს საბედოს შევხვდი... — მითხრა, წამოხტა
და ისევ უილიამთან მივიდა, ეს უკანასკნელი ძალიან ბედნიერი
ჩანდა ლილის უკან დაბრუნებით.

ხავერდის დივანზე მარტო ჯდომით თავი უხერხულად ვი-
გრძენი და თვალებით კრისტიანის ძებნა დავიწყე. ბართან ალარ
იდგა. ცოტა ხნით ლოდინი ვარჩიე. იქნებ ლილიმ უკეთ იცოდა
და კრისტიანი მართლაც მომწონდა? ის ხომ ისეთი ჭკვიანი,
მომხიბლავი, თავდაჯერებული და წარმოუდგენლად სექ-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

სუალური იყო. ასეთ ადამიანთან დროის სასიამოვნო გატარება ღალატს სულაც არ ნიშნავდა. დარწმუნებული ვიყავი, წლების განმავლობაში მსგავსი შემთხვევები ალექსსაც ექნებოდა. სამსახურში ან სასწავლებელში რომელიმე მიმზიდველი გოგონას მიმართ მსგავსი სურვილები რომ გასჩენოდა, განა ამის გამო მას ღალატში დავადანაშაულებდი? რა თქმა უნდა, არა. ახალშეძენილი თავდაჯერებულობით (და უკვე კრისტიანის ნახვის მოუთმენელი სურვილით) ბარში მისი ძებნა დავიწყე. მარჯვენა ხელს ეყრდნობოდა და ელეგანტურ კოსტიუმში გამოწყობილ ჭაღარა მამაკაცს ესაუბრებოდა. კრისტიანი ხელის ქნევით ამბობდა რაღაცას. მისი გამომეტყველებით ძნელი იყო გაგერჩია, ბრაზობდა თუ არა, თანამოსაუბრე კი მოთმინებით უსმენდა. საკმაოდ შორს ვიდექი და სიტყვები არ მესმოდა, მაგრამ ალბათ ისე ვიყავი მათზე მიჩერებული, რომ ჭაღარა მამაკაცმა შემამჩნია, თვალებში შემომხედა და გამიღიმა. კრისტიანი უკან გადაიხარა, მის მზერას გააყოლა თვალი და გადამაწყდა.

— ენდი, ძვირფასო, — მისი ხმა ახლა სრულებით სხვანაირად ჟღერდა, ჩანდა ოსტატურად შეეძლო მაცდური მამაკაციდან „ოჯახის მეგობრად" გარდასახულიყო, — შემოგვიერთდი, მინდა ჩემი მეგობარი გაგაცნო. ანდრეა, ეს გაბრიელ ბრუკსია, ჩემი აგენტი, ბიზნესმენეჯერი და უბრალოდ გმირი კაცი. გაბრიელ, ეს კი ანდრეა საქსია, რომელიც ამჟამად „პოდიუმში" მოღვაწეობს.

— ანდრეა, ძალიან სასიამოვნია თქვენი გაცნობა, — მითხრა გაბრიელმა და ხელი ისე ჩამომართვა, თითქოს მეუბნებოდა: „ხელს ისე არ გართმევთ, როგორც მამაკაცს შეეფერება, რადგან მეშინია ეგ პატარა და სათუთი ძვლები არ დაგიმსხვრიოთ." — კრისტიანმა თქვენზე ბევრი რამ მიამბო.

— მართლა? — ვკითხე და შევეცადე ხელი გამომეთავისუფლებინა, — იმედია, კარგი რამეები გიამბოთ?

— ცხადია, მისი თქმით, თქვენ ძალიან მონდომებული მწერალი ხართ, როგორც ჩვენი საერთო მეგობარი — ღიმილით მიპასუხა. მოსმენილით გაკვირვებული დავრჩი, რადგან ჩვენ მწერლობაზე თითქმის არაფერი გვითქვამს.

— დიახ, მე წერა ძალიან მიყვარს, და იმედია, ოდესმე...

— თუ მართლაც ისეთი კარგი მწერალი ხართ, როგორიც მის მიერ შემოთავაზებული სხვა ავტორები, სიამოვნებით გავეც-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნობოდი თქვენს შემოქმედებას, — მითხრა, ჯიბიდან ტყავის პორტმონე ამოიღო და თავისი სავიზიტო ბარათი ამოაძვრინა.

— ვიცი, მზად არ ხართ, მაგრამ როცა გადაწყვეტთ, გამიხარდება თუ პირველი გაგახსენდებით, — სისულელის წამოროშვისგან თავის შეკავება და აკანკალებულ ფეხებზე მშვიდად დგომა დიდ ძალისხმევად დამიჯდა. „გაუხარდება თუ პირველის გამახსენდა"? ეს კაცი კრისტიან კოლინსვორთის, გენიოსი მწერალი ბიჭუნას აგენტი იყო და მეუბნებოდა, რომ გავახარებდი თუ გამახსენდებოდა. ყურებს არ ვუჯერებდი!

— ძალიან დიდი მადლობა, — ძლივს ვუპასუხე და ბარათი ჩანთაში შევინახე, მას პირველივე შესაძლებლობისას მივუბრუნდებოდი და დეტალურად შევისწავლიდი. ორივემ გამიღიმა და მივხვდი, რომ ზედმეტი ვიყავი.

— მისტერ ბრუკს, გაბრიელ, თქვენთან შეხვედრა ძალიან სასიამოვნო იყო. ახლა კი სახლში უნდა წავიდე, იმედია, მალე შევხვდებით.

— პირიქით, ანდრეა, თქვენმა გაცნობამ ფრიად გამახარა, კიდევ ერთხელ გილოცავთ ასეთ არაჩვეულებრივ სამსახურს. უნივერსიტეტიდან პირდაპირ „პოდიუმში" მუშაობის დაწყება ძალიან შთამბეჭდავია.

— გაგაცილებ, — მითხრა კრისტიანმა და ხელმკლავი გამომდო, თან გაბრიელს ანიშნა, მალე მოვბრუნდებიო.

ლილისთან შევჩერდი, მინდოდა შემეთავაზებინა შინ წავსულიყავით, მაგრამ განმიცხადა, რომ რჩებოდა, თან ამ დროს უილიამს ეხუტებოდა. გასასვლელში, კიბესთან, რომელიც ქუჩაში გადიოდა, კრისტიანმა გამოსამშვიდობებლად ლოყაზე მაკოცა.

— გამიხარდა, რომ ერთმანეთს ასე მოულოდნელად შევხვდით. ისეთი შეგრძნება მაქვს, შენზე სიახლეებს მალე გაბრიელისგან შევიტყობ, — სიცილით მითხრა.

— ერთმანეთს სულ ორი სიტყვა ვუთხარით, — შევახსენე და თან მიკვირდა, რატომ მათამამებდნენ ქათინაურებით.

— ჰო, ენდი, ჯერ ვერ აცნობიერებ, რამდენად პატარაა მწერალთა სამყარო. მნიშვნელობა არ აქვს, დეტექტივებს წერ, ისტორიულ რომანებს თუ სულაც საგაზეთო სტატიებს, ყველამ იცის, ვინ ხარ და რას წარმოადგენ. გაბრიელს არ სჭირდება იცოდეს ყველაფერი შენ შესახებ. იმაზე, თუ რა პოტენცია გაქვს, ისიც მეტყველებს, „პოდიუმში" რომ მუშაობ,

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

შენ საინტერესო მოსაუბრე ხარ, კარგად მეტყველებ და ბოლოს და ბოლოს, თავი რომ დავანებოთ ყველაფერს, შენ ჩემი მეგობარი ხარ. არაფერს დაკარგავს თუ სავიზიტო ბარათს შემოგთავაზებს. მან ხომ არ იცის, იქნებ და ახალი ბესტსელერების ავტორი აღმოაჩინა. დამიჯერე, გაბრიელ ბრუკსი საჭირო კაცია.

— მმმ, ალბათ მართალი ხარ. მოკლედ, ახლა სახლში უნდა ვიყიდე, რადგან რამდენიმე საათში სამსახურში უნდა ვიყო. ყველაფრისათვის გმადლობ. ძალისხმევას ძალიან გიფასებ, — ლოყაზე ვაკოცე, თუმცა თან გულის სიღრმეში ველოდი, რომ სახეს მოაბრუნებდა და ერთმანეთს ვეამბორებოდით, მაგრამ მან უბრალოდ გამიღიმა:

— პირიქით, ეს ჩემთვის იყო პატივი, ანდრეა საქს, — მითხრა და სანამ რაიმე გონივრულს ვუპასუხებდი, უკვე ბარში შებრუნდა. თვალები გადავატრიალე და საკუთარ თავს დავცინე, შემდეგ კი ქუჩაში ტაქსის დასაჭერად გავედი. წვიმა წამოვიდა, კოკისპირული არ იყო, მაგრამ მაინც კარგად დაუშვა. რა თქმა უნდა, ასეთ ამინდში მანჰეტენზე ტაქსის ვერ დაიჭერდი, „ელიას-კლარკის" ავტოსადგომზე დავრეკე, ჩემი ვიპ-ნომერი მივეცი და ზუსტად ექვს წუთში მანქანაც მოსრიალდა. ალექსს ავტომოპასუხეზე შეტყობინება დაეტოვებინა, აინტერესებდა ჩემმა სამუშაო დღემ როგორ ჩაიარა და გამაგებინა, რომ მთელი ღამე საკონტროლოების გეგმის შედგენაზე უნდა ემუშავა. დიდი ხანი იყო, რაც მისთვის სიურპრიზი არ გამეკეთებინა. დრო იყო, ცოტათი სპონტანური გავმხდარიყავი. მძღოლმა მითხრა, რომ რამდენიც საჭირო იყო, იმდენ ხანს დამელოდებოდა. სახლში ავირბინე, შხაპი მივიღე, თმა მოვიწესრიგე და პატარა ჩანთაში მომდევნო დღისთვის ტანსაცმელი ჩავყარე. თორმეტი იყო დაწყებული და ქალაქში მანქანები თითქმის არ მოძრაობდა, ამიტომ ალექსის სახლამდე, ბრუკლინში, თხუთმეტ წუთში მივედით. ჩემმა დანახვამ ის ძალიან გაახარა. სულ იმას იმეორებდა, როგორი დაუჯერებელი იყო ბრუკლინში მასთან ასე გვიან რომ მივედი და რომ უკეთეს საჩუქარს ვერც ინატრებდა. თავი ჩემს საყვარელ ადგილას — მის მკერდზე მედო, მხატვრულ ფილმ „კონანს" ვუყურებდი და მის სუნთქვას ვუსმენდი, ალექსი კი ხელში ჩემს თმას ათამაშებდა. კრისტიანი აღარც გამხსენებია.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მმ, გამარჯობა, შეგიძლიათ კულინარიის განყოფილების რედაქტორს დამალაპარაკოთ? არა? კარგი, მაშ, იქნებ მის თანაშემწესთან შემაერთოთ? ან მასთან, ვისაც რესტორნების მიმოხილვა ავალია? — პირდაპირ მივახალე „ნიუ-იორკ თაიმსის" ერთ-ერთ უკმაყოფილო მდივანს, რომელიც ყურმილის აღებისთანავე უკმეხად მპასუხობდა.

— რა გნებავთ? — ალბათ თავს მაჩვენებდა, რომ ჩვენ სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობდით. თუმცა შეიძლება ასე არც იყო. ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და სახელი სამჯერ რომ ვკითხე („ქალბატონო, სახელს ვერ გეტყვით"), მენეჯერთან დაბეზღებით რომ დავემუქრე („რაა? მას სულ ფეხებზე ჰკიდია! გინდათ ახლავე გადაგრთოთ?"), დაბოლოს, როცა მოთმინებადაკარგულმა დავიფიცე, რომ მათ ოფისში თაიმს სკვერზე მივიდოდი და მის გასათავისუფლებლად ყველაფერს ვილონებდი („უი, მართლა? შიშისგან გული მისკდება!"), დაიღალა და ვილაცასთან გადამრთო.

— რედაქცია, გისმენთ, — გაღიზიანებული ხმით მიპასუხა მორიგმა ქალბატონმა.

„ნეტა მირანდას ზარებს მეც ასე ვპასუხობდი? თუკი — არა, ალბათ მალე დავიწყებდი" — გავიფიქრე. კეთილგანწყობილი, თავაზიანი მოსაუბრის მოსმენა ალბათ იმდენად მოულოდნელი იქნებოდა, რომ ყურმილს გავთიშავდი.

— გამარჯობა, თქვენთან მხოლოდ ერთი შეკითხვა მაქვს, — სასოწარკვეთილმა წარმოვთქვი, სანამ ყურმილს დამიხეთქებდა, — მაინტერესებს, თქვენს გუშინდელ ნომერში რომელიმე აზიური რესტორნის მიმოხილვა ხომ არ დაბეჭდილა?

ისე ამოიხვნეშა, თითქოს სამეცნიერო ექსპერიმენტში მეთხოვოს მონაწილეობის მიღება. შემდეგ კიდევ ამოიხვნეშა:

— გაზეთის ელექტრონული ვერსია ხომ არ გიცდიათ?

— დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, ვცადე, მაგრამ უშედეგოდ...

— თუ ჩვენთან მსგავსი მიმოხილვა მართლაც გამოქვეყნდა, მხოლოდ ასე შეძლებთ მის ნახვას, ხომ გესმით?

ღრმად შევისუნთქე და შევეცადე სიმშვიდე შემენარჩუნებინა.

— ზედმეტად გულისხმიერმა რეგისტრატორმა თქვენთან იმიტომ გადმომრთო, რომ არქივის განყოფილებას წარმოად-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

გენთ. რამდენადაც ვიცი, თქვენს განყოფილებას ევალება თვალი მიადევნოს მსგავს საკითხებს.

— მისმინეთ, გაურკვეველი აღწერილობის სტატიების ძებნა რომ დავიწყო, სხვა საქმე გვერდზე მომრჩება, ამიტომ გირჩევთ, გაზეთის ონლაინვერსია ნახოთ, — და კიდევ ორჯერ ამოიხვნეშა. ამასობაში ისე ავნერვიულდი, რომ შესაძლებელია, ფილტვების ჰიპერვენტილაციაც დამწყებოდა.

— არა, არა, ერთი წუთით მომისმინეთ, — შემართებით დავიწყე, ყველაფერზე წავიდოდი, იმ ზარმაცი გოგოსთვის თავისი სამუშაოს შესრულება მეიძულებინა, — მე გირეკავთ მირანდა პრისტლის ოფისიდან, საქმე ისაა, რომ...

— უკაცრავად, მირანდა პრისტლის ოფისიდან გვირეკავთ? — მკითხა და ვიგრძენი, როგორ ცქვიტა ყურები მირანდას სახელის გაგონებაზე, — მირანდა პრისტლი... „პოდიუმიდან"?

— ერთადერთი და განუმეორებელი. რატომ მეკითხებით? იცით, ვინ არის?

ამის თქმა იყო და, რედაქტორის გაღიზიანებული თანაშემწე უმალ მოდაზე თავდავიწყებით შეყვარებულ თანამშრომლად იქცა.

— ვიცი თუ არა? რა თქმა უნდა, ვიცი! ვინ არ იცნობს მირანდა პრისტლის! ის მოდის ინდუსტრიაში ყველაზე გავლენიანი ქალბატონია. რას მეუბნებოდით, რას ვეძებო?

— სარეკლამო მიმოხილვა. გუშინდელი გაზეთი. ელექტრონულ ვერსიაში ვერ მივაგენი, შეიძლება კარგად არ დავათვალიერე, — ვიტყუებოდი, რადგან „ნიუ-იორკ თაიმსის" მთელი გასული კვირის ინტერნეტგვერდი გულმოდგინედ შევამოწმე, მაგრამ იქ მსგავსი არაფერი იყო. რა თქმა უნდა, ეს მისთვის არ მითქვამს. იქნებ „შიზოფრენიით დაავადებულმა გოგომ" მოახდინოს სასწაული და იპოვოს?

„თაიმსში", „პოსტში", „დეილი ნიუსში" უკვე დავრეკე და მათ მსგავსი არაფერი გამოექვეყნებინათ. კორპორაციული ბარათის ნომრით „ვოლ სთრით ჯორნალის" არქივშიც კი შევედი, მაგრამ მხოლოდ ქალაქგარეთ გახსნილი ახალი ტაილანდური რესტორნის შესახებ მივაგენი ინფორმაციას. ის არ გამომადგებოდა, რადგან იქ კერძის საშუალო ფასი შვიდი დოლარი იყო, ხოლო საიტზე citysearch.com მის გასწვრივ ყვითლად მხოლოდ ერთი ვარსკვლავი ანათებდა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მოკლედ, არ ვიცი, ერთი წამით... ახლავე გადავამოწმებ, — მითხრა და უეცრად იმ პატარა „საიდან-უნდა-ვიცოდე-ლაფერი-რაც-გაზეთში-იწერება“ გოგონამ, კლავიატურაზე თითების წკაპუნი და ღიღინი დაიწყო.

ჯოჯოხეთურად გატარებული ღამის გამო თავი მისკენ ვერ ვ-და. გახარებული ვიყავი, ჩემმა სტუმრობამ ალექსი ასე რომ გა-ხარა, მაგრამ დაძინება ძალიან გამიჭირდა. მართალია, მოვეპუ-და ვისვენებდი, მაგრამ დანაშაულის გრძნობა არ მტოვებდა. მახსენდებოდა, როგორ მაკოცა კრისტიანმა ყელზე, თუ როგორ ჩავხტი მანქანაში და როგორ გავიქეცი ალექსთან, თუმცა მის-თვის მაინც არაფერი მომიყოლია. ყველანაირად ვცდილობდი ამაზე არ მეფიქრა, მაგრამ ძალიან მიჭირდა. პირიქით, საწინააღ-მდეგო შედეგს ვიღებდი. საბოლოოდ, როცა ჩამეძინა, საშინელი სიზმარი ვნახე, თითქოს ალექსი მირანდას ტყუპის ახალი ძმა ყოფილიყო და საცხოვრებლად მათთან გადასულიყო (ცხადში ძიძა მათთან სახლში არ ცხოვრობდა). ალექსი რომ მენახა, მი-რანდასთან ერთად მანქანით უნდა წავსულიყავი. მირანდა კი თავისას არ იშლიდა, სულ ემილის მეძახდა და მიუხედავად იმი-სა, რომ ვუმეორებდი, შეყვარებული უნდა მოვინახულო-მეთქი, სხვადასხვა დავალების შესასრულებლად მგზავნიდა. დილით კი, როცა საბოლოოდ, მის ნახვას ველირსე, ალექსი მოჯადო-ბული დამხვდა. უკვე აღარ ესმოდა, თუ რატომ მიმაჩნდა მირან-და ბოროტების განსახიერებად. მეტიც, მირანდა და კრისტია-ნი ერთმანეთს ხვდებოდნენ. ეს ჯოჯოხეთური სიზმარი იმით დასრულდა, რომ მირანდა, კრისტიანი და ალექსი კვირაობით მირანდას სასადილო ოთახში საუზმობდნენ, იცინოდნენ და „თაიმსს“ კითხულობდნენ. მე კი მათ ვემსახურებოდი.

მოკლედ რომ ვთქვათ, გუშინდელი ძილი ისეთივე დამამშვი-დებელი იყო, როგორიც შუალამით ჰარლემში მარტო სეირ-ნობა. მთელი მომდევნო დღე კი წყეული რესტორნის ძიებას ჩამიშხამა.

— მმმ, არა, ამ ბოლო დროს აზიურ რესტორანზე არაფერი დაგვიწერია. ვცდილობ, გავიხსენო, კარგი აზიური რესტორ-ნები, ხომ გესმით, ისეთები, მის მირანდა რომ წავიდოდა, — თითქოს ჩვენი საუბრის გახანგრძლივებას ცდილობდა.

მის კადნიერებას, მირანდა პრისტლის „მის მირანდად“ მოხსე-ნიებას ყურადღება არ მივაქციე და საუბრის დასრულება ვცადე

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

— გასაგებია, რა გაეწყობა! ასეც ვიფიქრე. დიდი მადლობა. თქვენს ძალისხმევას ვაფასებ, ნახვამდის.

— მოითმინეთ! — ბოლო ხმაზე ჩაჰყვირა ყურმილში, რომელიც თითქმის გათიშული მქონდა, იძულებული გავხდი ბოლომდე მომესმინა.

— დიახ?

— ოჰ, იცით, მე, მმ... უბრალოდ მინდოდა მეთქვა, რომ თუ დახმარებას შევძლებ, ან რომელიმე ჩვენგანი აქ... ძალიან გთხოვთ არ მოგერიდოთ და შეგვეხმიანეთ, კარგი? მის მირანდა ყველას ძალიან გვიყვარს და გაგვიხარდება, თუკი რამეში გამოვადგებით.

ისე ლაპარაკობდა, თითქოს „შიზოფრენიით დაავადებულ გოგონას" ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ქალბატონი პრეზიდენტისთვის მოსალოდნელ ომზე ინფორმაციის მოძებნას სთხოვდა, და არა რაღაც უსახელო რესტორნის მიმოხილვას — უსახელო გაზეთში. ამ ისტორიის ყველაზე სასტიკი ნაწილი კი ის იყო, რომ ასეთი რეაქცია მისგან სრულებით არ მიკვირდა, ვიცოდი, მალე გონს მოეგებოდა.

— კარგი, აუცილებლად გადავცემ. დიდი მადლობა.

ემილიმ ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციიდან თავი ასწია და შემომხედა:

— ჯერ ვერაფერი გაარკვიე?

— წარმოდგენა არ მაქვს, რომელ გაზეთზე ლაპარაკობდა და როგორც ჩანს, ეს მთელ ქალაქში არავინ იცის. მანჰეტენის ყველა იმ გამომცემლობას დავუკავშირდი, რომელთა გაზეთებსაც მირანდა კითხულობს, არ დამიტოვებია ონლაინგაზეთები, არქივები, ვესაუბრე იმ ავტორებს, კულინარიის თემაზე რომ წერენ, დავეკითხე რესტორნების შეფმზარეულებსაც. ერთმა მათგანმაც ვერ მიპასუხა. ეს ქალი ნამდვილად გაგიჟდა. ახლა რა ვქნა?

სკამზე გადავიწიე და თმა შევიკარი. დილის ცხრა საათი არ იყო და თავის ტკივილს მხრებისა და კისრის ტკივილიც დაემატა.

— მგონი, — დაიწყო ნელი და შეწუხებული ხმით, — სხვა გზა არ გაქვს, დაკონკრეტება უნდა სთხოვო.

— ო, არა! ოღონდ ეგ არა! წარმოგიდგენია, რა რეაქცია ექნება?

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ემილიმ, როგორც ყოველთვის, სარკაზმი არ დამიფასა.

— შუადღისთვის მოვა. შენს ადგილზე, სათქმელს წინასწარ მოვიფიქრებდი, რადგან თუ რესტორნის მიმოხილვას არ დაახ-ვედრებ, არა მგონია, კმაყოფილი დარჩეს. მით უმეტეს, რომ გუშინ დაგავალა, — ღიმილს ძლივს იკავებდა. აშკარა იყო, რომ ჩემი გარდაუვალი გაკიცხვა ახალისებდა.

ლოდინის გარდა სხვა არაფერი დამრჩენოდა. ბედი მწყა-ლობდა, რომ თვეში ერთხელ ფსიქოთერაპიის კურსს გადიოდა („მას უბრალოდ დრო არ აქვს, იქ კვირაში ერთხელ მივიდეს", მითხრა ემილიმ, როცა დავინტერესდი, სად უჩინარდებოდა ხოლმე სამი საათით). ასე გაჩნდა დღის განრიგში სამსაათიანი შუალედი, რომლის დროსაც მირანდას ზარები არ გვაწუხებდა. მე კი, რა თქმა უნდა, მაინცდამაინც იმ დროს დამჭირდა მასთან საუბარი. წერილების დასტა, რომელსაც ბოლო ორი დღის გან-მავლობაში ყურადღებას ვერ ვაქცევდი, მალე მაგიდაზე ველარ დაეტეოდა, მაგიდის ქვეშ კი მისი ბინძური ტანსაცმელი მედო. ამოვიკვნესე, მინდოდა ჩემი უბედურების შესახებ ყველას გაე-გო, შემდეგ ყურმილი ავიღე და ქიმწმენდაში დავრეკე.

— გამარჯობა, მარიო, მე ვარ. ჰო, ვიცი, ორი დღეა არ გვი-ლაპარაკია. შეგიძლია წასაღებად მოხვიდე? კარგი. გმადლობ, — ყურმილი დავდე და თავი ვაიძულე, ტანსაცმლის ნაწილი კალათაში ჩამელაგებინა. მათ მოგვიანებით დავახარისხებდი და ინფორმაციას კომპიუტერში შევინახავდი. იმ შემთხვევაში თუ მირანდა დილის 9:45-ზე დამირეკავდა და მკითხავდა, თუ სად იყო მისი „შანელის" შარვალი და პიჯაკი, სიას გავხსნიდი და ვეტყოდი, დღის რომელ მონაკვეთში მიაწვდიდნენ სამოსს. კომპიუტერში იმ დღის ტანსაცმელიც შევიტანე („მისონის" ბლუზა, „ალბერტ ფერეტის" ორი წყვილი იდენტური შარვალი, „ჯილ სანდერსის" სვიტერები, „ჰერმესის" ორი თეთრი შარფი და მაყვლისფერი მანტო). ეს ყველაფერი ცელოფანის ყუთში მოვათავსე წარწერით „პოდიუმი". შემდეგ კურიერს ვთხოვე, ქვემოთ ჩაეტანა, იქიდან კი ქიმწმენდაში წაიღებდნენ.

საზიზღრობა! ერთ-ერთი ყველაზე საძულველი დავალება ქიმწმენდა იყო, რადგან ყოველ ჯერზე ცუდად მხდიდა სხვისი გასარეცხი ტანსაცმლის დახარისხება და ჩანთებში ჩალაგება. ამის შემდეგ ხელების დასაბანად გავრბოდი: მირანდას სამოსი „ბულგარის" სურნელით იყო გაჟღენთილი, რომელსაც ხანდა-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხან ყრუ-მუნჯი მამიკოს თამბაქოს სუნიც ერთვოდა. სიმართლე გითხრათ, მთლად უსიამოვნო სურნელი არ იყო, მაგრამ მეცუდად მხდიდა. ბრიტანული გამოთქმა, „ბულგარის“ სუნამო და აბრეშუმის თეთრი შარფი — ეს პატარ-პატარა ცხოვრებისეული სიხარულები, სიცოცხლის ბოლომდე შემძულდა.

მირანდა მისადმი გამოგზავნილი წერილების ოთხმოცდაათ პროცენტს არასდროს კითხულობდა. ყველა წერილი, წარწერით: „მთავარ რედაქტორს“, ეგზავნებოდა მას, ვინც რედაქციაში „წერილების გვერდს“ ხელმძღვანელობდა. ჟურნალის ამგვარი ტაქტიკა მრავალმა მკითხველმა გამოიცნო და ამიტომ წერილებს პირდაპირ მირანდას სახელზე გზავნიდნენ. ერთი თვალის შევლება და ვიცოდი, რომელი წერილი სად უნდა წასულიყო, რედაქტორის წერილები — ცალკე, საქველმოქმედო საღამოებზე მოსაწვევები — ცალკე, ხოლო ძველი მეგობრების გზავნილები კი საერთოდ უნდა გადამეყარა. იმ დღეს ჩემს მაგიდაზე წერილების მთა იდგა. მათ შორის იყო თინეიჯერი გოგონების, დიასახლისებისა და რამდენიმე ჰომოსექსუალის (ასევე მოდის საუკეთესო მცოდნე, ტრადიციული ორიენტაციის მამაკაცთა) ქება-დიდების ბარათები: „მირანდა პრისტლი, თქვენ არა მარტო პირველი ქალბატონი ხართ მოდის სამყაროში, არამედ ჩემი დედოფალიც!“, „აპრილის ნომერში თქვენი არჩევანი, შავს წითელი ფერი ჩანაცვლებოდა, უნდა ვაღიარო, იყო თამამი, მაგრამ გენიალური!“... რამდენიმე წერილი ეხებოდა „გუჩის“ სარეკლამო ფოტოს, რომელზეც სტელეტოებსა და საცვლებში ლოგინზე წამოწოლილი ორი გოგონა ერთმანეთს მჭიდროდ ეკვროდა, ფოტო ზედმეტად ეროტიკულად მიაჩნდათ; წერდნენ ასევე თვალებამოღამებულ, გალეულ, ჰეროინზე შემჯდარ მოდელებზეც, რომელთა ფოტოებს „პოდიუმი“ „ჯანმრთელობის“ რუბრიკისთვის იყენებდა; სტანდარტული ღია ბარათის უკანა მხარეს კი ლამაზი კალიგრაფიით შემდეგი იკითხებოდა: „მირანდა პრისტლის. რატომ? რატომ გამოსცემთ ასეთ მოსაწყენ და სულელურ ჟურნალს?“ ხმამაღლა გამეცინა და ღია ბარათი ჩანთაში ჩავიდე ჩემი კერძო კოლექციისთვის, კრიტიკული წერილებისა და ღია ბარათებისგან რომ შედგებოდა და თუ ასე გაგრძელდებოდა, მალე მოზრდილი არქივის მფლობელი გავხდებოდი. ლილი მიიჩნევდა, რომ ნეგატიური, აგრესიული ემოციით დატვირთული წერილების შინ მიტანით,

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცუდ კარმას ვქმნიდი, თუმცა ბოლოს შეეგუა ჩემს დაჟინებულ პასუხებს, მიხვდა, რომ მირანდასადმი მიმართული ნებისმიერი ნეგატივი მახალისებდა, ამიტომ აღარ მეწინააღმდეგებოდა, მხოლოდ თავს გააქნევდა ხოლმე.

ბოლო ბარათი, რომელიც სხვა უამრავ გზავნილსა და მოსაწვევს შორის ამოვარჩიე (მირანდას სახელზე დღეში ათასობით მოდიოდა), გულებითა და ღიმილებით გაეფორმებინათ, ეს თინეიჯერი გოგონასთვის ჩვეული წერილი იყო. თავიდან ვიფიქრე, გადავხედავ-მეთქი, მაგრამ იმდენად გულწრფელი და სევდიანი აღმოჩნდა, თანაც — ხვეწნა-მუდარითა და თხოვნით სავსე, რომ ბოლომდე ჩავიკითხე. კითხვისთვის განკუთვნილმა წამებმა გაირბინა, მაგრამ წერილს თვალს ვერ ვწყვეტდი:

„ძვირფასო მირანდა,

ჩემი სახელია ანიტა. ჩვიდმეტი წლის ვარ და ნიუარკში, ნიუ-ჯერსის შტატში ვცხოვრობ. ბერინჯერის სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე ვარ და მიუხედავად იმისა, რომ ყველა მეუბნება მსუქანი არ ხარო, საკუთარი სხეულის გამო მაინც მრცხვენია. მინდა ისე გამოვიყურებოდე, როგორც თქვენი ჟურნალის ფოტოებზე — მოდელები. ყოველთვე „პოდიუმის“ ახალ ნომერს ველოდები და ყურადღებას არ ვაქცევ დედას, რომელსაც ჯიბის ფულის ხარჯვა მოდის ჟურნალებში სისულელედ მიაჩნია. თქვენგან განსხვავებით, მას არ ესმის, რომ მე ოცნება მაქვს, თქვენ კი გესმით! ბავშვობიდან ამაზე ვოცნებობ, მაგრამ არა მგონია, ოდესმე ამიხდეს. რატომ? იმიტომ, რომ ბრტყელმკერდიანი ვარ, ხოლო უკანალი თქვენს მოდელებზე დიდი მაქვს, რის გამოც ძალიან მრცხვენია. თავს სულ ვეკითხები, მინდა თუ არა ასეთი ცხოვრება და ვპასუხობ — არა!!! მინდა, შევიცვალო, ლამაზი ვიყო და ცხოვრება მიხაროდეს. აი, ამიტომ გთხოვთ დახმარებას. მინდა ჩემს ცხოვრებაში პოზიტიური ცვლილება შევიტანო ისე, რომ როცა სარკეში ჩავიხედავ, ჩემი მკერდისა და უკანალის გამო არ შემრცხვეს, მინდა ზუსტად ისეთი მქონდეს, როგორიც მსოფლიოს საუკეთესო ჟურნალის გოგონებს აქვთ!!!

მირანდა, ვიცი, რომ თქვენ არაჩვეულებრივი ადამიანი და რედაქტორი ხართ და შეგიძლიათ მე ახალ ადამიანად მაქციოთ. დამიჯერეთ, ამის გამო სიცოცხლის ბოლომდე თქვენი მადლობელი ვიქნები, მაგრამ თუ ჩემს დახმარებას

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვერ შეძლებთ, იქნებ ძალიან, ძალიან, ძალიან ლამაზი კაბა მაინც მაჩუქოთ? მართალია, შეყვარებული არ მყავს და პაემნებზეც არავინ მეპატიჟება, მაგრამ დედა მეუბნება, რომ მარტოსაც შემიძლია საღამოობით გასართობად გასვლა. ვაპირებ მისი რჩევა გავითვალისწინო, მაგრამ მხოლოდ ერთი ძველი კაბა მაბადია და ის დიზაინერის ნახელავი სულაც არ არის, არც ისეთია, „პოდიუმის" ფოტოებზე მოდელებს რომ აცვიათ. ჩემი საყვარელი დიზაინერებია: პრადა (1), ვერსაჩე (2) და ჟან-პოლ გოტიე[77] (3). ბევრი საყვარელი დიზაინერი მყავს, მაგრამ ეს სამი ჩემი უსაყვარლესია. მათი არაფერი მაქვს და არც მალაზიაში მინახავს (ნიუარკის მაღაზიებში არ მგონია, მათი ტანსაცმელი იყიდებოდეს, მაგრამ შემთხვევით თუ იცით, გთხოვთ მიმწეროთ, წავალ და ახლოდან დავათვალიერებ), თუმცა მე „პოდიუმში" ნანახი სხვა ტანსაცმელიც ძალიან, ძალიან მომწონს.

კარგი, თავს ალარ შეგაწყენთ, მხოლოდ მინდა იცოდეთ, ეს წერილი რომც გადააგდოთ, მაინც თქვენი ჟურნალის ერთგული ვიქნები, რადგან ძალიან მიყვარს ტანსაცმელი, მოდელები და ყველაფერი, რაც მასში იბეჭდება. და რა თქმა უნდა — თქვენ, მირანდა. მე თქვენ ძალიან მიყვარხართ.

პატივისცემით,

ანიტა ალვარესი

P.S. ჩემი ტელეფონის ნომერია: 973-555-3948. შეგიძლიათ მომწეროთ ან დამირეკოთ, მაგრამ გთხოვთ 4 ივნისამდე, რა! ახალი კაბა მაგ დრომდე ძალიან მჭირდება. მიყვარხართ!! დიდი მადლობა"!!!!!!

წერილი „ჯინ ნეითის" სურნელით იყო გაჟღენთილი. ჩანდა, რომ თინეიჯერ გოგონებში ეს მძაფრი სუნამო ძალზე პოპულარული იყო, მაგრამ ამის გამო არ შევწუხებულვარ, მე უფრო იმან შემაწუხა, ასეთი ანიტა ძალიან ბევრი რომ იყო ირგვლივ. პატარა გოგონები, რომლებსაც ცხოვრებაში გასახარი არც ისე ბევრი ჰქონდათ, საკუთარი თავის ფასს, თავდაჯერებულობასა და საერთოდ არსებობას „პოდიუმში" ნანახი ტანსაცმლითა და მოდელებით საზღვრავდნენ. ნეტავ კიდევ რამდენი ეთაყვანებოდა ქალს — ჯადოსნური ფანტაზიის დედოფალს — რომელიც თაყვანისცემის ღირსი სრულებით არ იყო? რამდენმა იცოდა, რომ მათი კერპი სინამდვილეში მარტოსული, უბედური

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

და გულქვა ადამიანი იყო და ბავშვური სიყვარულის და პატ-
ვისცემის გრამსაც არ იმსახურებდა?

ანიტას და სხვა პატარა გოგონების გამო, რომლებიც მთელი
გულითა და სულით ცდილობდნენ შალომს, სტელას ან კარმენს
დამსგავსებოდნენ, გული მიკვდებოდა. ისინი ცდილობდნენ
შთაბეჭდილება მოეხდინათ, ესიამოვნებინათ ქალისთვის, რო-
მელიც მათ წერილებს, სადაც ისინი საკუთარ თავზე ჰყვებოდ-
ნენ, ამრეზით უყურებდა, ხევდა, ან სულაც მხრებს იჩეჩდა და
სინანულის გარეშე გადაუძახებდა ხოლმე ნაგვის ურნაში. ამას
ვერ დავუშვებდი, ამიტომ წერილი ჩემი მაგიდის ზედა უჯრაში
შევინახე და დავიფიცე, რომ ანიტას რამენაირად დავეხმარე-
ბოდი. მისი ისტორია განსაკუთრებით გულისამაჩუყებელი იყო.
ანიტას პირველი პაემნისთვის, რომელიც იმედია, ძალიან მალე
აქნებოდა, ერთი პატარა კაბის შოვნა, ჩემი შესაძლებლობის პა-
ტრონისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა.

— ეი, ემ, ქვემოთ უნდა ჩავირბინო, ვნახავ, ერთი თუ მოიტა-
ნეს „მოდის ბიბლია", წარმოდგენა არ მაქვს, რატომ იგვიანებენ
დღეს. გინდა რამე გიყიდო?

— დიეტურ „კოლას" წამომიღებ? — მკითხა.

— რა თქმა უნდა. წამში აქ გავჩნდები, — ვუთხარი, დერე-
ფანში შტატივებზე ჩამწკრივებულ ტანსაცმელს სწრაფად
ჩავუქროლე და ლიფტისკენ გავემართე. მესმოდა ჯესიკასა
და ჯეიმსის საუბარი, ისინი სიგარეტს აბოლებდნენ და თან
მირანდას წვეულებაზე დაპატიჟებული სტუმრების სიას გა-
ნიხილავდნენ. როგორც იქნა, აჰმედმა „მოდის ბიბლია" მომ-
ცა, რის გამოც შვება ვიგრძენი, შემდეგ ემილისთვის დიეტური
„კოლა" ავიღე, ჩემთვის კი — „პეპსი", მერე გადავიფიქრე და
ჩემთვისაც დიეტური „კოლა" ვამჯობინე. ჭამა და სიამოვნება
შეურაცხმყოფელ კომენტარებად და დამცინავ მზერებად არ
მიღირდა, დარწმუნებული ვიყავი, ამას საკუთარ მაგიდასთან
მისვლამდე დავიმსახურებდი.

ჟურნალის გარეკანზე ტომ ჰილფინგერის ფოტოს ცქერამ
იმდენად გამიტაცა, რომ ვერც შევამჩნიე, როგორ გაიღო ლიფ-
ტის კარი. უეცრად მწვანე ფერს მოვკარი თვალი. ძალიან მკ-
ვეთრი, საუცხოო მწვანე იყო — სწორედ მირანდას „შანელის"
ტვიდის კოსტიუმის ფერი. მსგავსი ცხოვრებაში არ მენახა,
ძალიან მომწონდა. ვიცოდი, გვერდით მირანდა მედგა, მაგრამ

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლიფტთან გაშტერებული მზერით, უაზროდ ვიდექი და სულაც არ გამკვირვებია, რომ მაკვირდებოდა. მხრებში გამართული, სვეტივით იდგა, თმა, როგორც ყოველთვის, უკან ჰქონდა გადავარცხნილი და შეშინებულ, დაბნეულ თვალებში მომჩერებოდა. სხვა გზა არ მქონდა, ლიფტში მასთან ერთად უნდა შევსულიყავი.

— დილა მშვიდობის, მირანდა, — ვუთხარი, მაგრამ ნაჩურჩულებასავით გამომივიდა.

ჩვენ უკან კარი დაიხურა: მეჩვიდმეტე სართულამდე მხოლოდ ორს უნდა გვემგზავრა. ჩემთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ ტყავის ორგანაიზერი ამოიღო და ფურცვლას შეუდგა. გვერდიგვერდ ვიდექით, მისალმებაზე არ უპასუხია, სიჩუმე თანდათან აუტანელი გახდა. ნეტა საერთოდ თუ მცნობს? დავინტერესდი. ნუთუ შესაძლებელია, რომ აქამდე ვერ მცნობდეს? იცის, რომ ბოლო შვიდი თვის მანძილზე მისი უმცროსი თანაშემწე ვარ? ან იქნებ ისე ჩუმად მივესალმე, რომ ვერ გაიგონა? ნეტა რატომ არ მკითხა, აზიური რესტორნის შესახებ რა გავარკვიე? ან მისი შეტყობინება თუ მივიღე ფაიფურის ახალი ჭურჭლის შეკვეთაზე? ან რატომ არ გაარკვია, ყველაფერი წესრიგშია თუ არა საღამოს წვეულებისთვის? მაგრამ ისე იქცეოდა, თითქოს ლიფტში მარტო ყოფილიყო, თითქოს მის გვერდით სულიერი არავინ ჭაჭანებდა. უფრო ზუსტად კი, პატარა სივრცეში ჩემი შემჩნევა ყურადღებად არც კი ულირდა.

დაახლოებით ერთ წუთში მივხვდი, რომ ლიფტი არ მოძრაობდა. ღმერთო ჩემო! რადგან მასთან ერთად ვიდექი, იფიქრა, რომ ღილაკს თითს დავაჭერდი, მე კი მასთან შეხვედრამ ისე გამაოცა, რომ ეს არც კი გამხსენებია. შეშინებულმა წინ წავიწიე, მეჩვიდმეტე ღილაკს დავაჭირე და შინაგანად მოვემზადე, რომ მალე რაღაც იფეთქებდა. ლიფტი ამოძრავდა, რაც მირანდამ მგონი, ვერც კი შენიშნა. მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე... ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ სართულიდან სართულზე ასასვლელად ათი წუთი გჭირდებოდა. სიჩუმემ ლამის დამაყრუა. ბოლოს საკმარისი მხნეობა მოვიკრიბე და თვალი მირანდასკენ გავაპარე. ის ყურადღებით მათვალიერებდა, დაჟინებული მზერით ჩემი შესწავლა ქვემოდან დაეწყო — ჯერ ფეხსაცმელები, შემდეგ შარვალი, პერანგი, დაბოლოს სახე და თმა. ამ ხნის განს-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მავლობაში, ჩემთვის თვალებში შემოხედვას თავს არიდებდა. მის სახეზე „პასიური ზიზღის" გამომეტყველებას ვკითხულობდი. ზუსტად ისეთს — კრიმინალური სერიალის, „დანაშაული და სასჯელის" დეტექტივებს რომ აქვთ მორიგი დასახიჩრებული და სისხლიანი გვამის თვალიერებისას. სწრაფად გავიხსენე თუ რა მეცვა. ვფიქრობდი, რას შეეძლო გამოეწვია მირანდაში მსგავსი რეაქცია. მოკლემკლავიანი, სამხედრო სტილის პერანგი მეცვა და „სევენის" ახალი ჯინსები, რომელიც შინ მხოლოდ იმიტომ მომიტანეს, რომ „პოდიუმში" ვმუშაობდი; მოხდილ, შავი ფერის ფეხსაცმელს, არც ძალიან მაღალი ქუსლი ჰქონდა (სულ ხუთი სანტიმეტრი), მხოლოდ ასეთ ქუსლებზე შემეძლო დღეში ოთხჯერ „სტარბაქსის" ყავის მოსატანად სირბილი ისე, რომ ფეხისგულები არ დამჭიმოდა, რედაქციაში ხომ ჩექმას, ბოტასსა და ლოუფერებს ვერ ჩავიცვამდი. ვცდილობდი „ჯიმი ჩუს" ფეხსაცმლით მევლო, მაგრამ კვირაში ერთი დღე ფეხებს ტკივილისგან ვასვენებდი. ახალდაბანილი თმა მსუბუქად მქონდა შეკრული, ემილი ასეთი ვარცხნილობის ტარების ნებას მრთავდა — მისგან შენიშვნა არ მიმილია. ფრჩხილებზე მანიკური არ მესვა, მაგრამ ისინი გრძელი და ლამაზი ფორმისა იყო. ჰო, იღლია წინადღით გავიპარსე, სამაგიეროდ, სახე გადაკრიალებული მქონდა. ჩემი „ფოსილისი"[78] საათის ციფერბლატს მაჯის შიდა მხარეს ვატრიალებდი, მარკისათვის თვალი რომ არ მოეკრათ. მარჯვენა ხელით სწრაფად შევამოწმე ლიფის ბრეტელებიც, ისინი არ ჩანდა. მაშ, ნეტა რა მოხდა? მისი ასეთი რეაქცია რამ გამოიწვია?

მეთორმეტე, მეცამეტე, მეთოთხმეტე... ლიფტი გაჩერდა, კარი გაიღო და კიდევ ერთი ქათქათა მისალები გამოჩნდა. დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლის ქალბატონმა ლიფტში ფეხი შემოდგა თუ არა, შეჩერდა.

— ოჰ, მე... — ენა დაება და გამწარებული ეძებდა მიზეზს, რომ ლიფტში არ შემოსულიყო. მიუხედავად იმისა, რომ მისი დამგზავრება გამახარებდა, გაქცევის მცდელობის გამო მას არ ვამტყუნებდი, — მე, მმ... ოჰ! სულ დამავიწყდა, რომ თათბირისთვის ფოტოები დამრჩა, — როგორც იქნა, მოახერხა და „მანოლოს" მაღალ ქუსლებზე წონასწორობადაკარგული სწრაფად გატრიალდა, უკან, თავისი ოფისისკენ გაემართა. მგონი, მირანდამ ვერც ეს შენიშნა. კარი ნაზად დაიხურა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეთხუთმეტე, მეთექვსმეტე და როგორც იქნა — როგორც იქნა! — მეჩვიდმეტე. კარის გაღებისთანავე „პოდიუმის" მოდის განყოფილების თანაშემწეთა ჯგუფი დავინახეთ. ალბათ სიგარეტის, დიეტური „კოლასა" და ბოსტნეულის სალათის საყიდლად მიდიოდნენ. ლამაზ და ახალგაზრდა გოგონებს სახეზე შიში აესახათ, ხოლო ზოგიერთი კანკალმა აიტანა. შეეცადნენ მირანდასთვის გზა დაეთმოთ და გაიყვნენ, სამი მათგანი ერთ მხარეს, ორი კი — მეორე, მირანდამ მათ შორის გაიარა. ყველამ უხმოდ გააყოლა თვალი. მისაღებში მიაბიჯებდა. სხვა გზა არ დამრჩენოდა, უკან უნდა გავყოლოდი. ალბათ ვერაფერს შეამჩნევს, გავიფიქრე. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ლიფტში ხუთი წუთი კი არა, მთელი კვირა ერთად გაგვეტარებინოს. ამ დროს, მას ჩემი გვერდით ყოფნა არც შეუმჩნევია, მაგრამ საკმარისი იყო, რომ ერთ სართულზე ალმოვჩენილიყავით, უმალ შემნიშნა, მომიტრიალდა:

— ან-დრე-ა? — ცივი ხმით დამიძახა, ისე რომ ოთახში გამეფებული უხერხული სიჩუმე დაარღვია. ეგრევე არ მიპასუხია, რადგან ეს რიტორიკულ კითხვად ჩავთვალე, მაგრამ ის მელოდა.

— ან-დრე-ა?

— დიახ, მირანდა?

— ვისი ფეხსაცმელი გაცვიათ? — მკითხა, ცალ თეძოზე ხელი მსუბუქად შემოიდო და მომაშტერდა. ლიფტი ისე დაიკეტა, რომ მოდის განყოფილების თანამშრომლები შიგნით არ ჩამსხდარან, რადგან მონუსხულებივით იდგნენ მირანდა პრისტლის ცოცხლად ნახვისა და მოსმენის წყურვილით შეპყრობილნი. მათი მზერა ფეხებზე ვიგრძენი. ფეხსაცმელები, რომელშიც რამდენიმე წუთის წინ თავს თავისუფლად და კომფორტულად ვგრძნობდი, მოდის განყოფილების ხუთი თანაშემწისა და მოდის ქალღმერთის მზერის ქვეშ იწვოდა. მირანდასთან მოულოდნელმა შეხვედრამ და მასთან ერთად ლიფტში მგზავრობამ (პირველად), შემდეგ კი თანამშრომლების მზერამ, გონება ამირია და როცა მირანდამ მკითხა, თუ ვისი ფეხსაცმელი მეცვა, ვუპასუხე:

— მმ, ჩემი, — ვერც კი მივხვდი, რომ ჩემი პასუხი არა მარტო საშინლად უხერხულად ჟღერდა, არამედ უპატივცემლოდაც, უბრალოდ, სამარცხვინოდ. „კლარკერების" ტკვარცალი გავიგონე, განრისხებული მირანდა მათკენ შებრუნდა:

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ძალიან მაინტერესებს, რატომ დგანან უსაქმურად მოდის განყოფილების თანამშრომლები და პატარა გოგონებივით კუთხე-კუთხე რატომ ჭორაობენ? — დაიწყო და მათკენ თითგაშვერილმა ყველას სათითაოდ ჩამოუარა. მისთვის შუბლზე იარაღი რომ მიგედოთ, ერთი მათგანის სახელსაც ვერ გაიხსენებდა, — თქვენ! — გადაჭრით უთხრა სიცოცხლით სავსე გოგონას, ახალ თანამშრომელს, რომელიც მირანდას ალბათ პირველად ხედავდა, — ამისთვის აგიყვანეთ სამსახურში თუ იმისთვის, რომ ფოტოგადაღებებისთვის საჭირო ტანსაცმელი შეუკვეთოთ? — გოგონამ თავი დახარა და ბოდიშის მოხდას აპირებდა, მაგრამ მირანდამ გააგრძელა, — თქვენ კი! — მიუახლოვდა და პირდაპირ ჯოსელინის წინ დადგა, ის ყველაზე გამოცდილ და რედაქტორების რჩეულ თანამშრომლად ითვლებოდა, — როგორ ფიქრობთ, მაღალ მოდაში თქვენნაირი კვალიფიკაციით არავინ მოიძებნება, რომ თქვენი თანამდებობა დაიკავოს? მილიონობით გოგონაა ასეთი!

ნაბიჯით უკან დაიხია, ნელა მოავლო თვალი თითოეულს, ზუსტად იმდენ ხანს ათვალიერებდა, თავი მსუქნად, მახინჯად, უგემოვნო ჩაცმულად რომ ეგრძნოთ, შემდეგ კი სამუშაო მაგიდებთან დაბრუნება უბრძანა. თავი თანხმობის ნიშნად დაუკრეს და ასე თავდახრილები, სწრაფი მობოდიშების მცდელობაში საკუთარ სამუშაო ადგილებს დაუბრუნდნენ. უეცრად მივხვდი, რომ მე და მირანდა ისევ მარტო დავრჩით.

— ან-დრ-ეა? ვერ ვიტან, როდესაც თანაშემწე ასე მპასუხობს, — განმიცხადა, და დერეფნის კარისკენ გაემართა. ვერ გადამეწყვიტა, უკან გავყოლოდი თუ არა. იმედს ვიტოვებდი, რომ ედუარდომ ან სოფიმ მოასწრეს და ემილი გააფრთხილეს, რომ მირანდა შენობაში იყო.

— მირანდა, მე...

— საკმარისია, — მითხრა, კართან შეჩერდა და შემომხედა, — ვისი ფეხსაცმელი გაცვიათ? — შეკითხვა გაღიზიანებული ხმით გაიმეორა.

ჩემს შავ, ღია ფეხსაცმელს დავხედე და იმაზე დავფიქრდი, როგორ გამემხილა დედამიწის დასავლეთ ნახევარსფეროში ყველაზე მოდური ქალისთვის, რომ „ენ ტეილორ ლოფტის“ [79] ფეხსაცმელი მეცვა. სახეზე შევხედე თუ არა, მივხვდი, რომ სიმართლეს ვერ ვეტყოდი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

— ესპანეთში ვიყიდე, — ვუპასუხე სწრაფად და თვალები მოვარიდე, — ბარსელონაში, „ლას ლამბრასთან“,[80] პატარა ბუტიკში, დამწყები ესპანელი დიზაინერის ხაზია, — ეს საიდანლა მოვიტანე?

ხელები მუშტებად შეკრა, ნიკაპის ქვეშ ამოიდო და თავი გვერდზე გადასწია. შუშის კარში ჯეიმსი დავინახე, მეორე მხრიდან გვიახლოვდებოდა, მაგრამ როგორც კი მირანდა დაინახა, გატრიალდა და გაიქცა.

— ან-დრ-ეა, მსგავსი ფეხსაცმელი უბრალოდ მიუღებელია. ჩემი გოგონები „პოდიუმის“ სახეს წარმოადგენენ და არ მგონია, თქვენი ფეხსაცმელი კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდეს. გარდერობში რაიმე შესაფერისი იპოვეთ და ყავა მომიტანეთ, — მითხრა, შემომხედა და შემდეგ კარს შეხედა. სათქმელს მივუხვდი. მივედი და კარი გავულე. შიგნით ყოველგვარი მადლობის თქმის გარეშე შებრძანდა. ყავის მოსატანად გავემართე, მაგრამ ამისთვის ჯერ ფული და სიგარეტი უნდა ამეღო. თუმცა თავი არ მქონდა, მის უკან ერთგული ძაღლივით მერბინა, ამიტომ გავტრიალდი და პირდაპირ ლიფტისკენ გავემართე. იმედი მქონდა, რომ ედუარდო ლატეს საყიდლად ხუთ დოლარს მასესხებდა, თვეები იყო, რაც მისგან ასე ვსესხულობდი. აჰმედი კი სიგარეტებს „პოდიუმის“ ანგარიშზე წერდა. უკნიდან ისევ მისი ხმა შემომესმა. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს თავში ნიჩაბი ჩამარტყეს.

— ან-დრ-ეა!

— დიახ, მირანდა? — ცერებზე გავჩერდი და მისკენ შევტრიალდი.

— აზიური რესტორნის შესახებ სარეკლამო მიმოხილვა იმედია მაგიდაზე მიდევს!

— აჰ, იცით, სიმართლე გითხრათ, მისი მოძებნა ცოტა არ იყოს გამიჭირდა. ყველა გამომცემლობას ველაპარაკე და ყველა ამბობს, რომ ამ ბოლო დღეების მანძილზე მსგავსი მიმოხილვა არ დაუბეჭდავთ. შემთხვევით, აჰ, რესტორნის სახელი ხომ არ გახსოვთ? — ვერც კი მივხვდი, სუნთქვაშეკრული რომ ველოდებოდი მის აფეთქებას.

როგორც ჩანს, ჩემმა ახსნა-განმარტებამ დააინტერესა, რადგან თავისი ოფისისკენ სვლა განაგრძო.

— ან-დრ-ეა, ხომ გითხარით, რომ „პოსტში“ წავიკითხე — ნუთუ მისი პოვნა ასე გაგიჭირდათ? — მითხრა და ოთახში გაუჩინარდა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

„პოსტში"? იმ დილით მათი რესტორნების რეცენზენტს ველაპარაკე და დაიფიცა, მსგავსი არაფერი დაგვიბეჭდავს, რადგან ბოლო დროს ყურადღების ღირსი არაფერი გახსნილაო. გაფრენილი ჰქონდა, აზრზე არ იყო, რას ბოდავდა და ბოლოს ყველაფერს ისევ მე დამაბრალებდა.

ყავის მოსატანად რამდენიმე წუთი დამჭირდა, რადგან შუადღეს კაფეში ნაკლები ხალხი იყო, ამიტომ ალექსთან სალაპარაკოდ სულ რაღაც ათი წუთი გამოვძებნე, მას ზუსტად პირველის ნახევარზე სადილის დრო ჰქონდა. საბედნიეროდ, ტელეფონს თვითონ უპასუხა და სხვა მასწავლებლებთან ლაპარაკს გადავურჩი.

— გამარჯობა, პატარავ, როგორ არის შენი საქმეები? — გახარებული ჩანდა, ზედმეტადაც კი, ამიტომ თავს შევახსენე, არ გავლიზიანებულიყავი.

— როგორც ყოველთვის, საუცხოოდ. ვგიჟდები ჩემს სამსახურზე. უკანასკნელი ხუთი საათი ამ შეშლილი ქალის მოთხოვნით წარმოსახვითი სტატიის ძებნას მოვანდომე, მაგრამ მგონი, სიკვდილი ურჩევნია, ვიდრე აღიაროს, რომ შეცდა. შენკენ რა ხდება?

— ჩემკენ რა ხდება და, ძალიან კარგი დილა მქონდა. გახსოვს, შონაზე გიყვებოდი? — ტელეფონში თავი დავუქნიე თანხმობის ნიშნად, მიუხედავად იმისა, რომ ვერ მხედავდა. შონა მისი ერთ-ერთი პატარა მოსწავლე გოგონა იყო. ის ლაპარაკზე უბრალოდ უარს ამბობდა. რას არ დაჰპირდა მას ალექსი, ცალკეც კი ამეცადინებდა, მაინც სიტყვა ვერ დააცდენინა. კინაღამ გადაირია, როცა სოციალური მუშაკისგან გაიგო, რომ მიუხედავად იმისა, ბავშვი ცხრა წლის იყო, სკოლა თვალითაც არ ენახა. იმ დღიდან მოყოლებული, ალექსი შონას დახმარების სურვილით უბრალოდ შეპყრობილი იყო, — ჰოდა, დღეს არ ჩერდება, იმდენს ლაპარაკობს! მის ალაპარაკებას თურმე ერთი სიმღერა სჭირდებოდა. დღეს გაკვეთილზე ფოლკლორისტი მოვიწვიე, ბავშვებისათვის რამდენიმე სიმღერა გიტარაზე რომ შეესრულებინა, შონა სიმღერაში აჰყვა. მას შემდეგ, რაც ყინული გალღვა, ველარ ვაჩუმებთ. ინგლისურად ლაპარაკობს და თავისი ასაკისთვის შესაფერისი ლექსიკა აქვს. სრულიად ნორმალური ბავშვია! — მისმა სიხარულმა ღიმილი მომგვარა და უეცრად მივხვდი,

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ ძალიან მენატრებოდა. ასე ის გენატრება, ვისაც ხშირად და რეგულარულად ხვდები, მაგრამ მასთან სერიოზული ურთიერთობის დამყარებისგან მაინც თავს იკავებ. წინა ღამით მისთვის სიურპრიზის გაკეთება სასიამოვნო იყო, მაგრამ გადაღლილობის გამო კარგი კომპანიონობა ვერ გავუწიე. ორივემ ვიცოდით, რომ განაჩენი მე უნდა გამომეტანა. ველოდით, როდის გავიდოდა მონური მუშაობის წელიწადი და როდის დაუბრუნდებოდა ყველაფერი ძველ კალაპოტს. მართალია, ალექსი ძალიან მენატრებოდა, მაგრამ კრისტიანის გამო სინდისის ქენჯნა მაინც არ მაწუხებდა.

— რა კარგია! გილოცავ! ალბათ გამეორება საჭირო არ არის, რომ საუკეთესო მასწავლებელი ხარ, მაგრამ მაინც გეუბნები! წარმოდგენილი მაქვს, როგორ გიხარია!

— ჰო, სიხარულს ვერ ვმალავ.

ტელეფონში ზარის ხმა გავიგონე.

— მისმინე, ამ საღამოს შენი შემოთავაზება შეხვედრაზე ისევ ძალაშია? — იმ იმედით ვკითხე, რომ იქნებ სხვა არაფერი დაეგეგმა, თუმცა შესაძლებელი იყო, უკვე სხვა გეგმები ჰქონოდა. დილით, როცა ძლივს წამოვდექი და ჩემს გამოფიტულ სხეულს აბაზანაში შხაპის მისაღებად შესვლა ვაიძულე, ოთახიდან დამიძახა, ვიდეოგაქირავებიდან ფილმს გამოვიტან, საჭმელს შევუკვეთ და დრო ერთად გავატაროთო. რაღაც სრულიად უადგილო და სარკასტული პასუხი გავეცი, — სამსახურიდან დაქანცული ვბრუნდები და თანაც ისე გვიან, რომ ჩემზე დროის დახარჯვა არ ღირს, პარასკევია, ერთ-ერთმა ჩვენგანმა მაინც ისიამოვნოს ცხოვრებით-მეთქი. მინდოდა მისთვის მეთქვა, რომ მირანდაზე, „პოდიუმზე", საკუთარ თავზე ვბრაზობდი, მაგრამ მასზე — არა. ყველაფერს მერჩივნა, პარასკევი საღამო მის ტახტზე, ერთმანეთთან ჩახუტებულებს გაგვეტარებინა.

— რა თქმა უნდა, ძალაშია, — სასიამოვნოდ გაოცებული ხმით მიპასუხა, — შენთან დაგელოდები. იქ მოვიფიქროთ, რა და როგორ, კარგი? შენს მოსვლამდე ლილისთან ვიქნები.

— იდეალურად ჟღერს. თან „ფროიდისტ ბიჭზე" მოისმენ ამბებს.

— ვისზე?

— არაფერი. მისმინე, ახლა გავიქეცი. დედოფალს ყავას ვერ დავუგვიანებ. ერთი სული მაქვს, როდის გნახავ საღამოს!

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

ედუარდომ მხოლოდ მას შემდეგ ამიშვა ზემოთ, რაც „ცეცხლი ჩვენ არ გაგვიჩალებია“ (ჩემი არჩევანი!) ორი სტროფი მამღერა. როცა მირანდას ყავა მაგიდის მარცხენა კუთხეში დავუდგი, ის ვიღაცას ტელეფონზე გაცხარებული ელაპარაკებოდა. მომდევნო საათები „ნიუ-იორკ პოსტის“ თითქმის ყველა რედაქტორთან და მათ თანაშემწესთან კამათში გავატარე. ვუმტკიცებდი, რომ მათი გაზეთი მათზე უკეთ ვიცოდი და ვერ ვხვდებოდი, რა პრობლემა იყო, მოეძებნათ ერთი პატარა აზიური რესტორნის მიმოხილვა, რომელიც წინადღის ნომერში გამოაქვეყნეს!

— მემ, უკვე მეასეჯერ გიმეორებთ, რომ ჩვენ აზიურ რესტორანზე არანაირი მიმოხილვა არ დაგვიწერია. მესმის, რომ მისის პრისტლი გიჟია, ეჭვიც არ მეპარება, ალბათ ცხოვრება ჯოჯოხეთად გიქციათ, მაგრამ საიდან გაგიჩინოთ სტატია, რომელიც არ დაწერილა? ახლა გესმით?

მართალია, ის „პოსტის“ ასოცირებული თანამშრომელი იყო და „სიქს ფეიჯში“ მუშაობდა, მაგრამ ჩემი საკითხის განხილვა და თავიდან მოშორება მას ჰქონდა დავალებული. მოთმინებით და გულისყურით მისმენდა, მაგრამ მის ქველმოქმედებასაც ჰქონდა საზღვარი. ამ დროს, მეორე ხაზზე ემილი კულინარიის საკითხებში მათივე შტატგარეშე კორესპონდენტს ელაპარაკებოდა, ჯეიმსსაც კი ვაიძულე, თავის ყოფილ შეყვარებულთან სარეკლამო განყოფილებაში დაერეკა, იმ იმედით, რომ რამენაირად დამეხმარებოდა. თითქმის სამი საათი სრულდებოდა, დღე იწურებოდა და ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მის დავალებას ვერ ვასრულებდი.

— ემილი! — საეჭვოდ მხიარული ხმით დაგვიძახა თავისი ოფისიდან.

— დიახ, მირანდა? — ორივემ ერთდროულად ვუპასუხეთ, ფეხზე წამოვხტით, რადგან არ ვიცოდით, რომელ ჩვენგანს ეძახდა.

— ემილი, ყური მოვკარი, რომ ახლა „პოსტს“ ელაპარაკებოდით, — ნამდვილმა ემილიმ შვებით ამოისუნთქა და თავის ადგილს დაუბრუნდა.

— დიახ, მირანდა, ზუსტად ახლა დავემშვიდობე. მათი სამი სხვადასხვა თანამშრომელი გამოვკითხე, მაგრამ დაჟინებით იმეორებენ, რომ მანჰეტენზე გახსნილი ახალი აზიური რესტორნის მიმოხილვა ბოლო კვირის განმავლობაში მათთან არ

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაბეჭდილა. იქნებ ძველი ნომერი წაიკითხეთ? — თავდახრილი ვბუტბუტებდი და თან „ჯიმი ჩუს“ ათსანტიმეტრიანი ქუსლის შავ ფეხსაცმელს დავყურებდი. ის ჯეფმა შემირჩია.

— მანჰეტენი? — დაბნეული და გაბრაზებული ხმით წარმოთქვა — ვინ ახსენა მანჰეტენი? — ახლა მე დავიბენი, — ან-დრ-ეა, სულ მცირე, ხუთჯერ მაინც გაგიმეორეთ, რომ მიმოხილვა ეხებოდა აზიურ რესტორანს, რომელიც ვაშინგტონში გაიხსნა და რადგანაც ერთ კვირაში იქ ვიქნები, მაგიდის დაჯავშნა მინდოდა, — თავი უკან გადასწია და ღვარძლიანად გამიღიმა, — რა იყო აქ ასეთი ძნელი?

ვაშინგტონი? ხუთჯერ გამიმეორა, რომ რესტორანი ვაშინგტონშია? კი აბა, როგორ არა! ცხადი იყო, რომ ჭკუას კარგავდა ან უბრალოდ ჩემი გამწარებით სიამოვნებას იღებდა, რადგანაც სრულ იდიოტად მთვლიდა. მეც იმედები არ გავუცრუე და ისევ დაუფიქრებლად წამოვაყრანტალე:

— ჰო, მაგრამ მირანდა, სრულიად დარწმუნებული ვარ „ნიუ-იორკ პოსტი“ ვაშინგტონის რესტორნებს არ მიმოიხილავს. ისინი მხოლოდ ნიუ-იორკის ახალ რესტორნებს სტუმრობენ და სტატიებსაც მხოლოდ მათზე წერენ.

— ეს თქვენი აზრით, ხუმრობაა, ან-დრ-ეა? — უკვე ღიმილდაკარგულმა მკითხა და სკამიდან წინ გადმოიხარა. იმ სვავს ჰგავდა, რომელიც ნადავლს მოუთმენლად უვლის გარშემო.

— მმ... არა, მირანდა, ვიფიქრე...

— ან-დრე-ა, მგონი, არაერთხელ გითხარით გარკვევით, რომ სტატია, რომელსაც მე ვეძებ, „ვაშინგტონ პოსტშია“. ერთი პატარა გაზეთია ასეთი, იმედია, გსმენიათ მის შესახებ, თუ არც ეს იცით? როგორც ნიუ-იორკი გამოსცემს „ნიუ-იორკ თაიმსს“, ასე ვაშინგტონი — „ვაშინგტონ პოსტს“, კოლუმბიის ოლქსაც საკუთარი გაზეთი აქვს. ახლა გასაგებია?

მისი ხმა დაცინვის საზღვრებს გასცდა, ცოტაც და, როგორც ჩვილს, ისე დამელაპარაკებოდა.

— ახლავე მოგიძებნით, — რაც შემეძლო მშვიდად ვუთხარი და ოთახიდან გამოვედი.

— ჰოდა, აი კიდევ რა, ან-დრე-ა, — გული ამიჩქარდა და მუცელში დამიარა. ნეტა თუ შევძლებდი კიდევ ერთი მოულოდნელობის გადატანას, — იმედია, დღეს საღამოს წვეულებაზე იქნებით და სტუმრებს მიიღებთ. სულ ეს არის.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ემილის შევხედე, რომელიც სრულიად გაოგნებული სახით მიყურებდა, მის შუბლზე ნაოჭები ზუსტად იმას გამოხატავდა, რასაც იმ მომენტში მე განვიცდიდი.

— სწორად გავიგე? — ჩურჩულით ვკითხე მას. ემილიმ მხოლოდ თავის დაქნევა მოახერხა და ხელით მანიშნა, რომ ოთახი გადამეკვეთა და მასთან მივსულიყავი.

— ამის მეშინოდა, — შეწუხებული სახით მიჩურჩულა. ზუსტად ისე, როგორც ქირურგი ავადმყოფის ოჯახის წევრებს გაუმხელს ხოლმე, თუ რა საშინელება აღმოაჩინა პაციენტის გაჭრისას.

— წარმოუდგენელია, ეს სერიოზულად ეთქვა. ახლა მხოლოდ ოთხი საათია. წვეულება კი შვიდზეა. იქ საღამოს კაბებში მივლენ, ეს ხომ ქვეყნის ყველაზე მდიდარი ხალხის წვეულებაა. ღმერთო ჩემო — რა მეშველება?! — შეშფოთებულმა მაჯის საათს დავხედე და შევეცადე მისი ნათქვამი დაწვრილებით აღმედგინა.

— ოო, დამიჯერე, სერიოზულად გითხრა, — მიპასუხა ემილიმ და თან ყურმილი აიღო, — დაგეხმარები, კარგი? მიდი, შენ რესტორანზე მიმოხილვა იპოვე, წასვლამდე ასლი მაგიდაზე უნდა ედოს, მალე იური მოაკითხავს. სახლში სტილისტი და ვიზაჟისტი ელოდებიან. კაბასა და დანარჩენს, რაც ამ საღამოსთვის დაგჭირდება, მე გიშოვი, კარგი? შენ არ იდარდო, ყველაფერს მოვასწრებთ, — მითხრა და ცეცხლწაკიდებულივით დაიწყო რეკვა, თან ჩურჩულით აძლევდა სასწრაფოდ შესასრულებელ მითითებებს. მე კი ასე გაოგნებული ვიდექი და ვიყურებოდი სადღაც, ვიდრე ემილიმ თვალებთან ხელი არ ამიქნია და რეალობაში დამაბრუნა.

— გაინძერი, — მიჩურჩულა და მისთვის უჩვეულო თანაგრძნობით შემომხედა. სხვა რა გზა დამრჩენოდა, ავდექი და საქმეს მივხედე.

14

— იქ ტაქსით მისვლა სირცხვილია, — მითხრა ლილიმ იმ დროს, როდესაც „მეიბელინის“ ახალი ტუშით წამწამების აპრეხას ვცდილობდი, — მაღალი საზოგადოების წვეულებაა,

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ღვთის გულისათვის! რა მოხდება, მანქანა ავტოსადგომიდან
რომ გამოიძახო? — ცოტა ხნით კიდევ უყურა ჩემს ტანჯვას,
შემდეგ ტუში ხელიდან გამომტაცა და თვითონ დამიწყო წასმა.

— მგონი, მართალი ხარ, — ამოვიოხრე. ჯერ ისევ ვერ ვიჯე-
რებდი, რომ პარასკევი საღამო მეტროპოლიტენის ხელოვნე-
ბის მუზეუმში საღამოს კაბაში გამოწყობილს უნდა გამეტარე-
ბინა და ჯორჯიიდან, ჩრდილოეთ და სამხრეთ კაროლინიდან
ჩამოსული ძალიან მდიდარი, მაგრამ ნაკლებად ზრდილობია-
ნი სტუმრები მიმელო. ამასთან, უნიჭოდ დახატულ სახეზე
თავაზიანი ღიმილი უნდა გადამეფინა. ჩაცმისთვის, მაკიაჟისა
და მომზადებისთვის სულ სამი საათი მრჩებოდა, ასევე უნდა
შემეცვალა ჩემი უქმეების გეგმები და ამ საგიჟეთში ტრანს-
პორტის საკითხი გადამეწყვიტა.

საბედნიეროდ, ქვეყნის ერთ-ერთ უმსხვილეს რედაქციაში
ვმუშაობდი (მილიონობით გოგონა სულს ეშმაკსაც კი მიჰყი-
დდა, ოღონდ კი იქ ემუშავა!), რომელსაც თავისი უპირატესო-
ბები ჰქონდა. ხუთის ნახევრისთვის უკვე ვამაყობდი, რომ ჩემს
განკარგულებაში „ოსკარ დე ლა რენტას" კოჭამდე სიგრძის
შავი ელეგანტური საღამოს კაბა იყო, ის ჩემთვის ჯეფმა —
გარდერობის კეთილმა ფერიამ და ყველანაირი ქალური ნივ-
თის მოყვარულმა შეარჩია:

— პატარავ, ასეთ წვეულებაზე თუ მიდიხარ, „ოსკარის"
კაბაზე უკეთესს ვერაფერს ჩაიცვამ და ამაზე ნულა ვილაპა-
რაკებთ. ახლა კი ნუ მორცხვობ, ეგ შარვალი გაიხადე და კაბით
ჯეფს ასიამოვნე.

ღილების შეხსნა დავიწყე თუ არა, ჯეფს გააჟრჟოლა. ვკი-
თხე, ნახევრად შიშველი სხეული აღაგზნებდა თუ არა, რაზეც
მიპასუხა, რა თქმა უნდა, არაო. თურმე ჩემს საცვალს აუღელ-
ვებია. მოდის განყოფილების თანაშემწეებს უკვე მოეტანათ
ჩემი ზომის „მანოლოს" ვერცხლისფერი ფეხსაცმელი, ხოლო
აქსესუარების განყოფილების თანამშრომლები „ჯუდით ლეი-
ბერის[81] ჯაჭვის გრძელსაკიდიან ბრჭყვიალა ვერცხლისფერ
საღამოს ჩანთას მთავაზობდნენ. მე „კელვინ კლაინის" მოკლე
ჩანთა უფრო მომეწონა, მაგრამ ჩემს იდეაზე ჯეფმა დამცინა-
ვად ჩაიფრუტუნა და ისევ „ჯუდითი" მომაჩეჩა ხელში. სტეფი
ორჭოფობდა, რომელი ყელსაბამი შემერჩია, ელისონი კი, სი-
ლამაზის განყოფილების ახალდაწინაურებული ერთ-ერთი

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

რედაქტორი, ტელეფონით ესაუბრებოდა მემანიკიურეს, რო-
მელიც გამოძახებით მუშაობდა.

— საკონფერენციო დარბაზში შეგხვდება, ხუთს რომ
თხუთმეტი დააკლდება, — მითხრა ელისონმა შიდა ტელეფო-
ნით, — შავი კაბა გეცმება, არა? „შანელის“ ლალისფერი გააკე-
თებინე და უთხარი, ჩვენს ანგარიშზე ჩაწეროს.

მთელი ოფისი ფეხზე იდგა, მასობრივ ისტერიკამდე არაფე-
რი უკლდათ, იმდენად იყვნენ გატაცებული გალა-წვეულების-
თვის ჩემი მორთვა-მოკაზმვით. რა თქმა უნდა, თავს იმიტომ
არ იკლავდნენ, რომ ჩემზე გიჟდებოდნენ ან ჩემი დახმარების
წყურვილი კლავდათ; ამით სურდათ მირანდასათვის თავიანთი
გემოვნების მაღალი დონე ეჩვენებინათ.

ლილიმ საქველმოქმედო მაკიაჟის გაკეთება დაასრულა.
ვიფიქრე, ნეტა რამდენად შეეფერებოდა „ოსკარ დე ლა რენ-
ტას“ საღამოს კაბა „ბონე ბელეს“ იაფფასიან პომადას. იქნებ
შევცდი, როდესაც მთელი პერსონალის მიერ შემოთავაზებულ
ვიზაჟისტზე, რომელიც მაკიაჟის გასაკეთებლად ჩემთან შინ
მოვიდოდა, მტკიცე უარი განვაცხადე. საზღვარი ყველაფერს
ჰქონდა.

ათსანტიმეტრიან მანოლოს სტელეტოებზე შემდგარი საძი-
ნებელში ბარბაცით შევედი და ალექსს შუბლზე ვაკოცე. წიგნს
კითხულობდა და თავი არც კი აუწევია.

— თერთმეტისთვის აუცილებლად შინ ვიქნები და ერთად
ვივახშმოთ, ცოტაც დავლიოთ, კარგი? ძალიან ვწუხვარ, რომ
წასვლა მიწევს, მართლა. თუ საღამოს გატარებას ბიჭებთან
ერთად გადაწყვეტ, დამირეკე და მეც იქ მოვალ, კარგი? — რო-
გორც დამპირდა, სკოლიდან პირდაპირ ჩემთან მივიდა, რომ
ღამე ერთად გაგვეტარებინა, მაგრამ როცა სახლში ახალი გეგ-
მით დავბრუნდი, ვიცი, ვაწყენინე. ჩემი ოთახის აივანზე იჯდა,
„ამაოების ბაზარს“ კითხულობდა და იმ ლუდს შეექცეოდა, ლი-
ლის სტუმრებისთვის მაცივარში რომ ჰქონდათ გადანახული.
ავუხსენი, თუ რატომ ვერ შევძლებდი მასთან ერთად საღამოს
გატარებას და უეცრად შევამჩნიე, რომ ლილი ჩვენთან ერთად
არ იყო.

— სად არის? — ვკითხე, — დღეს ლექციები არა აქვს და
ზუსტად ვიცი, ზაფხულში პარასკეობით არ მუშაობს, — ალე-
ქსმა ლუდი მოსვა და მხრები აიჩეჩა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

— ალბათ სახლშია. კარი დახურული აქვს, მაგრამ დავინახე, შიგნით ვილაც ბიჭი როგორ შევიდა.

— ვილაც ბიჭი? იქნებ დააკონკრეტო? — ვინმე ხომ არ შემოიპარა, ან „ფროიდისტი ბიჭი“ ხომ არ მოიპატიჟა-მეთქი, ვიფიქრე.

— არ ვიცი, მაგრამ საშიში გარეგნობისა კი იყო. ტატუირება, პირსინგი, „ბოქსიორი“ მაისური — მოკლედ, მთელი კომპლექტი. წარმოდგენა არ მაქვს, ასეთი ტიპი სად გაიცნო, — თქვა და თითქოს არაფერიო, ლუდის სმა განაგრძო.

არც მე მქონდა წარმოდგენა, სად შეიძლება გაეცნო ასეთი ტიპი, ბარიდან თერთმეტზე წამოვედი და ვფიქრობდი, ზრდილობიანი ყმაწვილის, სახელად უილიამის საზოგადოებაში დავტოვე-მეთქი. მას კი, რამდენადაც მახსოვს, არც სვირინგი ჰქონდა, არც პირსინგი, „ბოქსიორ“ მაისურზე რომ არაფერი ვთქვა.

— ალექს, სერიოზულად! გინდა მითხრა, რომ ჩემს ბინაში ვილაც საეჭვო ადამიანი თავისუფლად დააბიჯებს? შეიძლება სულაც კრიმინალია, ან შესაძლოა ლილის არც კი მოჰყოლია. ნუთუ ეს არ გადარდებს? უბრალოდ კომიკური სიტუაციაა! ახლა რა უნდა ვქნათ? — ვკითხე, სკამიდან წამოვხტი და გავიფიქრე, ნეტა ეს აივანი სიმძიმეს თუ გაუძლებს და ძირს არ ჩავარდება-მეთქი.

— ენდი, დაწყნარდი. კრიმინალი ნამდვილად არაა, — წიგნი გადაფურცლა, — შეიძლება ოდნავ აგრესიული შესახედაობის პანკია, მაგრამ კრიმინალს არ ჰგავს.

— მაგარია, ეს ოხერი, უბრალოდ მაგარია! აბა, რას იზამ, ნამომყვები? უნდა გავარკვიო, ვინაა ის ტიპი ლილის ოთახში, შენ მთელი ღამე აქ ჯდომას აპირებ?

თვალს ისევ მარიდებდა და მივხვდი, რომ ნაწყენი იყო. მისი მესმოდა, ნვეულების გამო თვითონაც გაღიზიანებული ვიყავი, ნერვები მეშლებოდა, რომ უნდა მემუშავა და რომ ვერაფერს შევცვლიდი.

— მიდი და თუ დაგჭირდი, დამიძახე.

— კარგი, — გაბრაზებულმა მივახალე და ოთახში შევბრუნდი, — სინდისის ქენჯნა ნუ შეგანუხებს, თუ ჩემს დანაწერებულ სხეულს აბაზანაში ნახავ. რა პრობლემაა.. — ბოლთას ვცემდი ოთახში და „უცხოს“ ყოფნის მტკიცებულებას ვეძებდი.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთადერთი, რაც უცნაური მეჩვენა, ნიჟარაში ჩადებული „ქეთელ ვანის“ არყის ბოთლი იყო. ნუთუ შუალამეს არყის ყიდვა, გახსნა და მისი მთლიანად დალევა მოახერხა? ლილის ოთახის კარზე დავაკაკუნე. არავინ მიპასუხა. ამჯერად ცოტათი ძლიერად დავაკაკუნე და მამაკაცის ხმა გავიგონე, ამბობდა, რომ კარზე ვილაც აკაკუნებდა. როდესაც კარი არავინ გამიღო, სახელური გადავატრიალე და შევალე.

— გამარჯობა? არის აქ ვინმე? — დავიძახე, ვცდილობდი შიგნით არ შემეხედა, თავი მხოლოდ ხუთი წამით შევიკავე. იატაკზე დაყრილი ჯინსები, სკამზე გადაფენილი ლიფი და სიგარეტის ნამწვებით გადავსებული საფერფლე დავინახე. ოთახი თამბაქოს სუნად ყარდა. თავი საძმოების საერთო საცხოვრებელში გეგონებოდა. დრო აღარ დამიკარგავს და პირდაპირ იმ ლოგინთან მივედი, სადაც ჩემი დაქალი ჩემგან ზურგშექცევით შიშველი იწვა. ავადმყოფური შესახედაობის ახალგაზრდას ზედა ტუჩზე ოფლის წვეთებით, ცხიმიანი თმითა და დაკლაკნილი გველის ათობით სვირინგით ლილის მომწვანო-მოლურჯო პლედის ფონზე ძნელად გამოარჩევდი. წარბში ოქროსფერი რგოლი ჰქონდა გაყრილი, ყურებში — სხვადასხვა ფორმის საყურე, ხოლო ნიკაპზე რაღაც ორი პატარა მომრგვალო რკინა მოუჩანდა. მადლობა ღმერთს, ტრუსები ეცვა, მაგრამ ისეთი ჭუჭყიანი და ძველი, რომ იქნებ ჯობდა კიდეც, არ სცმოდა. სიგარეტი სერიოზული გამომეტყველებით, დინჯად მოქაჩა და კვამლი განზრახ ჩემი მიმართულებით გამოუშვა.

— ჰეი, — მითხრა და თან სიგარეტიანი ხელი ჩემკენ გამოიშვირა, — იქნებ კარი გაიხურო, მეგობარო?

„რაო? მეგობაროო? რას ბედავს ეს ბინძური ავსტრალიელი?“

— შენ რა მარიხუანას ეწევი? — ვკითხე გაცოფებულმა, არც ზრდილობა მადარდებდა და არც შიში. ჩემზე დაბალი იყო, წონაში კი, რამდენადაც ვხვდებოდი, სამოცზე მეტის არ იქნებოდა. მთავარი იყო არ შემხებოდა. უეცრად გამაჟრჟოლა, წარმოვიდგინე როგორ და რამდენჯერ შეეხო ლილის, რომელსაც მის გვერდით ჯერ კიდევ ღრმა ძილით ეძინა, — თავი ვინ გგონია? ეს ჩემი სახლია და მინდა ახლავე წახვიდე აქედან, ახლავე! — სიმამაცეს დროის ფაქტორი აათმაგებდა: ზუსტად ერთ საათ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

ში ჩემი კარიერის ყველაზე სტრესული წვეულებისთვის უნდა გავლამაზებულიყავი და ვიღაც არარაობასთან დროის კარგვა ჩემს გეგმებში არ შედიოდა.

— უუუუფ, დამიწყნარდი, — ბოლი გამოუშვა და შემდეგ ისევ მოქაჩა, — ვერ ვატყობ, რომ შენს მეგობარს ჩემი წასვლა უნდოდეს...

— დამიჯერე, ენდომებოდა, რომ ელვიძოს, დეგენერატო! — ვუკიოდი, შეძრწუნებული იმ აზრით, რომ ლილის შესაძლოა მასთან სექსი ჰქონოდა, რაც სრულიად შესაძლებელი იყო, — გარწმუნებ, როცა გეუბნები, აქედან ახლავე გაეთრიე-თქო, ორივეს სახელით ვლაპარაკობ!

მხარზე ხელი ვიგრძენი, შევტრიალდი და შეშფოთებული ალექსი დავინახე, სიტუაციას აფასებდა.

— ენდი, წადი, შხაპი მიიღე, აქ კი მე მივხედავ საქმეს, კარგი? — მართალია, მასზე ვერავინ იტყოდა, ფიზიკურად ძლიერიაო, მაგრამ იმ წუთებში, იმ არარაობასთან შედარებით, პროფესიონალი მოჭიდავე გეგონებოდათ. ის კი თავის რკინებიან სახეს ჩემი მეგობრის ზურგს უხახუნებდა.

— მინდა, რომ — თითი მისკენ გავიშვირე, რომ გასაგები ყოფილიყო, ვის ვგულისხმობდი — ჩემი ბინიდან წავიდეს.

— ვიცი, რომ გინდა და ის უკვე წასასვლელად ემზადება, ასე არაა, მეგობარო? — მშვიდი ხმით ჰკითხა ალექსმა, თითქოს ლოგინზე ცოფიან ძაღლს ელაპარაკებოდა და მის გალიზიანებას ერიდებოდა.

— ძმაკაც, არ გეწყინოს, მაგრამ მე და ლილი ცოტა გავერთეთ. გუშინ ღამით „ო-ბარში" არ მომეშვა, ვისაც გინდა ჰკითხე, გეტყვიან. მეხვეწებოდა, ჩემთან წამოდიო.

— რაღაც ეჭვი მეპარება, — მოკლედ მოუჭრა ალექსმა, — ის ძალიან მეგობრული გოგონაა, მაგრამ ხანდახან ზედმეტი მოსდის და საკუთარ საქციელს ვერ აცნობიერებს. ასე რომ, მეგობრულად გირჩევ, ჯობს წახვიდე აქედან.

იმ მახინჯმა სიგარეტი ჩააქრო და ხელები დამცინავად ასწია, გნებდებითო.

— ძმაკაც, უპრობლემოდ. უბრალოდ სწრაფად შხაპს მივიღებ, ჩემს პატარა ლილის შესაფერისად გამოვემშვიდობები და წავალ, — ლოგინიდან ფეხები გადმოსწია და საწერი მაგიდის გვერდზე გადაკიდებულ პირსახოცს დასწვდა. ალექსმა სწრა-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფად წინ წაინია, პირსახოცი ხელიდან ოსტატურად წაჰგლიჯა და თვალი თვალში გაუყარა.

— არა. შენი წასვლის დროა. ახლავე, — მას თითქმის სამი წელი იყო ვიცნობდი და ასეთი არასოდეს მენახა, ჩემ წინ ახალი ალექსი იდგა. ის „დარეხვილ პანკს" გადაუდგა და თავისი სიმალლით აგრძნობინა, რომ ჩანაფიქრი არ გამოუვიდოდა.

— მშვიდად, ძმაკაც. უკვე გავდივარ, — მშვიდად უთხრა ალექსს, როცა მიხვდა, რომ მისთვის თვალებში შესახედად თავი მაღლა უნდა აეწია, — მადროვეთ, ჩავიცვამ და გავალ, — იატაკიდან ჯინსის შარვალი აიღო და დაგლეჯილი მაისური ლილის შიშველი სხეულის ქვეშიდან გამოაძვრინა. ამასობაში ლილიმ თვალები გაახილა.

— გადააფარე! — უბრძანა ალექსმა უხეშად, დამცველის როლი ნამდვილად სიამოვნებდა. „დარეხვილმა პანკმა", შეპასუხების გარეშე, ლილის საბანი ისე გადააფარა, რომ მხოლოდ მისი შავი კულულები მოჩანდა.

— რა ხდება? — იკითხა ლილიმ და თვალები მოიფშვნიტა. მოტრიალდა და დამინახა, რომ კართან ვიდექი და სიბრაზისგან ვკანკალებდი, ალექსი მუშტმოღერებული იდგა, ხოლო „დარეხვილი პანკი" ცდილობდა ყვითელი თასმების სწრაფად შეკვრას. ის გასაქცევად ემზადებოდა. დააგვიანა.

— შენ ვინ ჯანდაბა ხარ? — ჰკითხა და ვერც კი მიხვდა, რომ ლოგინში შიშველი წამოჯდა. მე და ალექსი ინსტინქტურად შევტრიალდით, სანამ საბანს აიფარებდა, გაოგნებული ჩანდა, „დარეხვილმა პანკმა" კი გარყვნილი ღიმილით გაუღიმა და ურცხვად დაუწყო შიშველ ძუძუებზე ცქერა.

— პატარავ, გინდა მითხრა, რომ არ გახსოვვარ? — ჰკითხა მკვეთრი ავსტრალიური კილოთი, რომელიც აუტანლად ჟღერდა, — აკი, გუშინ იცოდი, ვინ ვიყავი? — ლილის მიუახლოვდა და ალბათ სანოლზეც ჩამოუჯდებოდა, ალექსს რომ არ მოედო მკლავზე ხელი და დაჯდომის საშუალება მიეცა.

— ახლავე წადი, თორემ ძალით გაგათრევ, — უბრძანა, თავი ალბათ უძლეველი ეგონა და ეტყობოდა, რომ ამით ამაყობდა. ძალიან საყვარელი იყო.

„დარეხვილმა პანკმა" ხელები მაღლა ასწია.

— მე წავედი, ლილი, დამირეკე, მაგარი ღამე იყო, — სანინებლიდან სწრაფად გავიდა, ალექსი უკან გაჰყვა, — მეგობა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

რო, დამიჯერე, თვითონ ამეკიდა, — გავიგონე, როგორ უთხრა ალექსს გასასვლელში, სანამ კარი გაჯახუნდებოდა, მადლობა ღმერთს, ლილიმ ეს ვერ გაიგონა. მაისური გადაიცვა და ლოგინიდან წამოდგა.

— ლილი, ეს ვინ ჯანდაბა იყო? ყველაზე საშინელი დეგენერატია, ვინც კი აქამდე შემხვედრია. არაფერს ვამბობ მის გულისამრევ გარეგნობაზე.

თავი ნელა გააქნია, ეტყობოდა, რომ მის გახსენებას მთელი გულით ცდილობდა.

— გულისამრევი. მართალი ხარ, გულისამრევი ვინმე იყო. მე კი წარმოდგენაც არ მაქვს, რა მოხდა. მახსოვს ვილაც, ძალიან სასიამოვნო ბიჭს ვესაუბრებოდი, მას კოსტიუმი ეცვა, ვსვამდით, სულ ესაა.

— ლილი, წარმოიდგინე, რამდენად უგონოდ მთვრალი იყავი, რომ ასეთ ტიპს არა მარტო სექსზე დათანხმდი, არამედ სახლშიც კი მოიყვანე! — მეგონა იმას ვამბობდი, რაც თავისთავად ნათელი იყო, მაგრამ ლილის თვალები გაუფართოვდა და გაოგნებული მიცქერდა.

— შენი აზრით, მასთან სექსი მქონდა? — მკითხა ნაზად, ჩანდა ამის გააზრება უჭირდა.

ალექსის სიტყვები გამახსენდა, რამდენიმე თვის წინ რომ მითხრა: „ლილი ზედმეტს სვამს, ყველა ნიშანი სახეზეა. ლექციებს რეგულარულად აცდენს, ერთხელ დააკავეს კიდეც და ახლა კი სახლში ყველაზე საშინელი გარეგნობის ტიპიც მოათრია, ვინც კი ოდესმე მინახავს." გამახსენდა მისი ერთ-ერთი პროფესორის შეტყობინებაც, სასწავლო წლის დამამთავრებელი გამოცდების წინ, ავტომოპასუხეზე რომ დატოვა. პროფესორი იტყობინებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ლილიმ საკურსო ნაშრომი ბრწყინვალედ დაწერა, ის დაგვიანებით ჩააბარა, ამავე დროს, ბევრი გაცდენა ჰქონდა, რაც, სამწუხაროდ, მის საბოლოო ნიშანზე აისახა კიდეც. გადავწყვიტე, ნიადაგი მომესინჯა.

— ლილი, საყვარელო, ჩემი აზრით, პრობლემა ბიჭში არ არის, ვფიქრობ, ყველაფერი ზედმეტი ალკოჰოლის ბრალია.

მან თმის ვარცხნა დაიწყო, მივხვდი, რომ წინა საღამოდან მოყოლებული, ლოგინიდან მხოლოდ ახლა ადგა, — ხომ იცი, სმის წინააღმდეგი არ ვარ, — ვუთხარი, შევეცადე საუბარი რაც შეიძლება მშვიდად გამეგრძელებინა, — ხომ იცი, სმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

თვითონაც მიყვარს. უბრალოდ მაინტერესებს, ამ ბოლო დროს ასე რატომ იქცევი? სასწავლებელში ხომ ყველაფერი რიგზეა?

ის-ის იყო რალაცის თქმა დააპირა, რომ ამ დროს ალექსმა შემოიხედა და ჩემი მკივანა ტელეფონი მომაწოდა:

— ის არის, — მითხრა და ოთახიდან გავიდა.

აჰ! ამ ქალს ნამდვილად ნიჭი აქვს, ცხოვრება გამირთულოს.

— ბოდიში, — ვუთხარი ლილის და ტელეფონს დავხედე. მის ეკრანზე „მირანდა პრისტლი" ციმციმებდა, — წესით, ჩემს დამ-ცირებასა და საყვედურებით ავსებას წამში ახერხებს, ამიტომ მხოლოდ წამით დამელოდე.

ლილიმ სავარცხელი დადო და პასუხს დაელოდა.

— მირან... — კინალამ ისე ვუპასუხე, როგორც ოფისში ვპა-სუხობ ხოლმე, — გისმენთ, — სწრაფად გამოვასწორე შეცდომა და თავდაცვისთვის მოვემზადე.

— ან-დრ-ეა, ხომ იცით, რომ სალამოს შვიდის ნახევარზე გე-ლით? ყოველგვარი მისალმების გარეშე დამიყეფა.

— ოჰ, მმ, თქვენ ხომ შვიდი საათი მითხარით. დრო მჭირდე-ბა, ჯერ...

— არა, მე შვიდის ნახევარი გითხარით, ახლა გიმეორებთ. შვიიიიდის ნახევარიიი. ახლა გაიგეთ? — წკაპ. გამითიშა, მაჯის საათზე დავიხედე. შვიდის ხუთი წუთი იყო. სერიოზული პრო-ბლემა მქონდა.

— მას უნდა, რომ ოცდახუთ წუთში იქ ვიყო, — ხმამაღლა ვთქვი. ჩემს ნათქვამზე ლილის თითქოს მოეშვაო.

— მაშ, საქმეს შევუდგეთ, კარგი?

— შუა საუბარში ვიყავით და ეს მნიშვნელოვანია. აბა, რის თქმას აპირებდი? — საჭირო სიტყვები კი ვუთხარი, მაგრამ ნათელი იყო, რომ დაწყებულ საუბარს ჩვენს ფიქრებში უკვე კილომეტრობით დავშორებოდით. შხაპის მიღების დრო არ მრ-ჩებოდა, შავ, სალამოს კაბაში როგორმე თხუთმეტ წუთში უნდა ჩავტეულიყავი და შემდეგ მანქანით მეფრინა.

— სერიოზულად, ენდი, უნდა გაინძრე, მოემზადო, ამაზე საუბარს კი სხვა დროსაც შევძლებთ.

კვლავ არჩევანის გარეშე დავრჩი, უნდა მეჩქარა. გული ამო-ვარდნაზე მქონდა, კაბა ჩავიცვი, თმას უბრალოდ სავარცხელი ჩამოვუსვი, პარალელურად ვცდილობდი, სურათების საშუა-ლებით იმ სტუმრების სახელები დამემახსოვრებინა, რომელიც

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

კეთილმა ემილიმ ამომიბეჭდა. ლილი ამ ყველაფერს ინტერესით აკვირდებოდა, მაგრამ გულში ვიცოდი, რომ „დარეხვილ ბიჭთან" მომხდარი ამბავი ადარდებდა, თავი საშინლად ვიგრძენი, რომ მისი დახმარება არ შემეძლო. ალექსი უმცროს ძმას ტელეფონით ელაპარაკებოდა. ცდილობდა დაერწმუნებინა, რომ ჯერ ძალზე პატარა იყო იმისთვის, რომ კინოში ცხრასაათიან სეანსზე წასულიყო და რომ დედა, რომელიც ამას უკრძალავდა, გულქვა სულაც არ იყო.

ლოყაზე ვაკოცე და როცა კაბაში გამოწყობილი დამინახა, დაუსტვინა. მეგობრებთან შეხვედრა გადაწყვიტა, სადმე ერთად ივახშმებდნენ და თან ჩემს ზარს დაელოდებოდა, რა თქმა უნდა, მასთან შესახვედრად თუ მოვიცლიდი. კოჭლობით ისევ სასტუმრო ოთახში შევირბინე, სადაც ლილი არაჩვეულებრივი შავი აბრეშუმის ქსოვილით დამხვდა. ეჭვის თვალით შევხედე.

— მოსახვევი შენი დიდი წვეულებისთვის, — სიმღერით მითხრა, თან ქსოვილს ისე აქნევდა, როგორც ლოგინის ზეწარს, — მინდა, ჩემი ენდი ამ სალამოს ისე გამოიყურებოდეს, როგორც ჩაქცეული მილიონერები კაროლინიდან, რომელთა მიღებაც წილად ხვდა, როგორც ერთ უბრალო მიმტანს. ბებიამ მიყიდა დიდი ხნის წინ, ერიკის ქორწილისთვის. ვერ გეტყვი, ლამაზია თუ საშინელი, მაგრამ ამ მდიდრულ წვეულებაზე გამოგადგება, ბოლოს და ბოლოს „შანელია."

ჩავეხუტე.

— დამპირდი, რომ თუ მირანდა რაიმე შეცდომის გამო მომკლავს, შენ ჯერ ამ კაბას შეუნთებ ცეცხლს, შემდეგ კი — მე, ოღონდ „ბრაუნის" სპორტულებში ჩაცმულს. დამპირდი! — ტუშს ხელი სტაცა და ჩემი წამწამების აპრეხას შეუდგა.

— მაგრად გამოიყურები, ენდი, მართლა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ მირანდას ერთ-ერთ წვეულებაზე „ოსკარ დე ლა რენტას" კაბაში გამოპრანჭულს გნახავდი. ძალიან გიხდება. ახლა კი გაიქეცი.

„ჯუდით ლეიბერის"[8] ბრჭყვიალა, ულარუნა ჩანთა მომაწოდა და კარი გამიღო. გავედი და მისი ხმა გავიგონე,

— აბა, შენი იცი, კარგად გაერთე!

მანქანა გარეთ მელოდებოდა და ჯონმა, რომელსაც თანდათან ეტყობოდა, უმალლესი დონის გარყვნილი იყო, ზუს-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტად იმ დროს დამისტვინა, როცა მძღოლი მანქანის კარს მი-
ღებდა.

— აბა, შენი იცი, სექსო! — მომაძახა, და თვალი ისე ჩამიკრა,
სახის ნახევარი კუნთები დაჭიმა, — მოგვიანებით გნახავ!

რა თქმა უნდა, მას წარმოდგენა არ ჰქონდა, სად მივდიოდი,
თუმცა ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ აუცილებლად დავბრუნდე-
ბოდი. არ ყოფილა ცუდი იდეა, გავიფიქრე, როცა „თაუნ ქარის"
სასიამოვნო სავარძელში მოვკალათდი, მაგრამ საკმარისი იყო
გავნძრეულიყავი, რომ კაბის ჭრილი გადაიხსნა და ფეხებზე
ტყავის სავარძლის ყინულივით ცივი ზედაპირი შემეხო. გამა-
ჟრჟოლა. ან, შესაძლებელია, ყველაფერი მართლაც ისე ცუდად
წასულიყო, როგორც ველოდი!

მძღოლი მანქანიდან გადმოხტა, ჩემთვის კარი რომ გაე-
ღო, მაგრამ იმ დროისთვის, მე უკვე ბორდიურზე ვიდექი.
მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმში ადრეც ვყოფილ-
ვარ. მაშინ დედასთან და ჯილისთან ერთად ნიუ-იორკის
ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად ჩამოვედი. ზუს-
ტად არ მახსოვს, იმ დღეს რომელ გამოფენაზე ვიყავით, მაგრამ
შესასვლელში დაუსრულებელი თეთრი კიბე და ის შეგრძნებაც,
რომ კიბეზე ასვლას საუკუნე დასჭირდებოდა, არასოდეს დამა-
ვიწყდება. ახლაც მახსოვს, როგორ საშინლად მტკიოდა ახალ
ფეხსაცმელებში ტერფები იქ ასვლის შემდეგ.

კიბე ისევ იქ იყო, სადაც დავტოვეთ, თუმცა ჩემს გაფერმკრ-
თალებულ ხსოვნას ის სხვანაირი შემორჩა. ზამთრის ცივ და
მოკლე დღეებს თითქოს უკვე მიჩვეული ვიყავი, მაგრამ მაინც
უცნაურად მეჩვენა, როცა შვიდის ნახევრისთვის უკვე ბნე-
ლოდა. იმ საღამოს კიბე მედიდურად გამოიყურებოდა. ის ბე-
ვრად ლამაზი იყო, ვიდრე „ესპანური კიბე" და ბევრად ჯობდა
კოლუმბიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისა და ვაშინგტონის
კაპიტოლიუმის კიბეებსაც. სადღაც ალბათ მეათე საფეხურზე
ვიყავი, როცა ეს ქათქათა თეთრი ალმართი შემძულდა. რა ბო-
როტი და სადისტი უნდა ყოფილიყავი, რომ საღამოს გრძელ კა-
ბაში, მაღალ ქუსლებზე შემდგარი ქალისთვის ასეთ საშინელე-
ბაზე ასვლა გეიძულებინა? ვინაიდან შენობის არქიტექტორსა
და მუზეუმის ხელმძღვანელობაზე, რომელმაც იგი დაიქირავა,
ვერ გავბრაზდებოდი, იძულებული გავხდი, ჩემი გასაჭირი მი-
რანდასთვის გადამებრალებინა. მისი სიძულვილისთვის მორი-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

გი საბაბი მომეცა და ეს პირდაპირ თუ ირიბად ჩემს ცხოვრებასა და ტანჯვასთან იყო კავშირში.

ბოლო საფეხურამდე დაახლოებით ერთი მილი მრჩებოდა, როცა უეცრად ფიტნესკლუბის გამოცდილება და ველოსიპედზე პედლების ტრიალი გამახსენდა. ვიღაც ნაცისტი ინსტრუქტორი თავის პატარა ველოსიპედზე იჯდა და იდეალური სამხედრო სტოკატოთი[82] მითითებებს გვაძლევდა: „ატრიალეთ, ატრიალეთ, ისუნთქეთ, ისუნთქეთ! მიაწექით! გააგრძელეთ! ზევით! ტემპი! ბრძოლა გადარჩენისთვის! არ მოეშვათ!" თვალები დავხუჭე და წარმოვიდგინე, რომ ისევ პედლებს ვატრიალებ, ქარი თმას მიწეწავს, ინსტრუქტორს ვეჯახები, მაგრამ არ ვჩერდები ვაგრძელებ, ვაგრძელებ. ყველაფრისთვის მზად ვიყავი, რომ დაჭიმული ფეხისგულების გაუსაძლისი ტკივილი დამეწყებინა. კიდევ ათი საფეხური და დამთავრდა! ღმერთო! ნეტა ფეხსაცმელში სისველის შეგრძნება რისი ბრალი იყო? სისხლი მდიოდა? ნუთუ მირანდას წინაშე „ოსკარის" გაოფლილი კაბითა და სისხლიანი ტერფებით მომიწევდა დგომა? გთხოვთ, გთხოვთ, მითხარით, რომ.... და აი, ისიც კიბისთავი! ბოლო საფეხურზე ასვლისას ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სპრინტის მსოფლიო ჩემპიონატში ოქროს მედალი მომეპოვებინოს. ღრმად შევისუნთქე, სიგარეტის მოწევა ისე მომინდა, ხელები მუშტებად შევკარი და ჩემი უბრალო მაკიაჟი შევისწორე. დრო იყო, სტუმრებს ნამდვილი ქალბატონის ამპლუაში დავხვედროდი. დაცვამ კარი გამიღო, თავი დამიკრა და გამიღიმა, ალბათ სტუმარი ვეგონე.

— გამარჯობა, მის, თქვენ ალბათ ანდრეა ხართ. ილანამ მთხოვა, აი, იქით მიმეცილებინეთ, რამდენიმე წუთში თავადაც მოგხედავთ, — მითხრა, შემდეგ გატრიალდა და მაჯაზე მიმაგრებულ მიკროფონში რაღაც გადასცა, როდესაც ყურის მიკროფონში უპასუხეს, თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

— დიახ, აქეთ, მის, როგორც კი გათავისუფლდება, გეახლებათ.

უშველებელ ფოიეში მიმოვიხედე, თავის მონესრიგებისა და ლოდინის გუნებაზე ნამდვილად არ ვიყავი, გარდა ამისა, ვინ იცის, როდის მომეცემოდა შესაძლებლობა, მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმის დათვალიერებისა? სალაროები ცარიელი იყო, ხოლო პირველ სართულზე, გალერეაში

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბნელოდა, როგორც ჩანდა, იქ არავინ იყო, თუმცა ისტორიასა და კულტურასთან სიახლოვე ჩემში ალფრთოვანებას იწვევდა. იქ გაბატონებული სიჩუმე თავისთავად გამაყრუებელი იყო.

დაახლოებით თხუთმეტწუთიანი ხეტიალის შემდეგ, რომლის დროსაც ვცდილობდი, საიდუმლო სამსახურის აგენტს ძალიან არ მოვცილებოდი, გრძელ ზღვისფერ კაბაში გამოწყობილი ძალიან სადა გარეგნობის გოგონა მომიახლოვდა. გაოცებული ვიყავი, რომ ასეთი არაჩვეულებრივი სამსახურის (მუზეუმში განსაკუთრებული ღონისძიებების ორგანიზატორი იყო) მიუხედავად, ასე უბრალოდ და ბუნებრივად ეცვა. თავი ძალიან უხერხულად ვიგრძენი, იმ პროვინციელს ვგავდი, რომელიც ცდილობს, ელეგანტური კაბით წარდგეს მალალი საზოგადოების წინაშე. ილანა კი ისე გამოიყურებოდა, თითქოს საღამოს კაბის ჩაცმით თავის შეწუხება არ მოისურვა. მოგვიანებით ჩემი ეჭვი გამართლდა.

— ვისთვის? — სიცილით მითხრა, — აქ მოსული ადამიანები ზედაც არ მიყურებენ — ყავისფერი თმა ლამაზად ედგა, თუმცა რაიმე განსაკუთრებული ვარცხნილობა არ ჰქონდა. საშინლად უგემოვნო ყავისფერი ფეხსაცმელი ეცვა, მაგრამ კეთილი, ლურჯი თვალები უციმციმებდა. დანახვისთანავე მომეწონა.

— თქვენ ალბათ ილანა ხართ, — მივუგე და ვიგრძენი, რომ დრო იყო, სიტუაციის მართვის სადავეები ხელში ამელო, — მე ანდრეა ვარ, მირანდა პრისტლის პირადი თანაშემწე, აქ თქვენს დასახმარებლად მომიწვიეს.

შვებით ამოისუნთქა, ნეტა მირანდამ ასეთი რა უთხრა? ვარაუდები უსასრულო იყო, მაგრამ რატომღაც მეგონა, რომ მირანდა მას აუცილებლად რაიმე დამამცირებელს ეტყოდა, ალბათ მის ულიმლამო ჩაცმულობას გაუსვამდა ხაზს. ჟრუანტელმა დამიარა იმის გაფიქრებისას, თუ რა სისაძაგლეებს ეტყოდა ამ საყვარელ გოგონას. იმედია ამის გამო ჩემთან არ ატირდებოდა. მაგრამ ის წინ გადმოიხარა, დიდი, უცოდველი თვალებით შემომხედა და არც ისე ხმადაბლა განმიცხადა:

— შენი უფროსი უმაღლესი დონის ძუკნაა.

სახტად დავრჩი, მაგრამ მალევე მოვეგე გონს:

— სრულიად გეთანხმები! — მივუგე და ორივეს ერთდროულად გაგვეცინა, — აბა, რით დაგეხმარო? მირანდა ათ წამში

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

იგრძნობს, რომ აქ ვარ, ასე რომ, უმჯობესია, საქმით დაკავებული მნახოს.

— მაშინ, მაგიდას გაჩვენებ, — მითხრა და დერეფანში, ძველი ეგვიპტური ექსპოზიციის განყოფილებისკენ გამიძღვა, — საუცხოოა, — ჩოგბურთის მოედანივით მომცრო გალერეაში შევედით, რომლის შუაგულში ოცდაოთხ პერსონაზე გაწყობილი მართკუთხედის ფორმის მაგიდა იდგა, რობერტ ისაბელის შესაფერი. ის ნიუ-იორკში წვეულებების ცნობილი ორგანიზატორი იყო, ერთადერთი — ვისაც ბოლომდე მიენდობოდი, რადგან თითოეულ დეტალს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა. რობერტი ზომიერად მოდური იყო, ფუფუნებას არ გაურბოდა, თუმცა არც ძალიან ბრჭყვიალებდა, უდავოდ ვირტუოზულად ასრულებდა თავის საქმეს. მირანდას მოთხოვნით წვეულებების ორგანიზებას მხოლოდ მას ავალებდნენ. რობერტის ოსტატობაში უფრო ადრე, კესიდისა და ქეროლაინის დაბადების დღის აღსანიშნავ მიღებაზე დავრწმუნდი. რაღაცნაირად მოახერხა და მირანდას კოლონიური სტილის სასტუმრო ოთახი, თანამედროვე თინეიჯერებისთვის შესაფერ მოდურ კლუბად გარდაქმნა (ბარით, სადაც გამაგრილებელ სასმელებს მარტინის ჭიქებით მიირთმევდნენ, სასიამოვნო ხავერდის შეტყუპებული სავარძლები, მრავალფეროვანი აპარატურა, მაროკოულ კარვად გადაკეთებული აივანი, რომელიც საცეკვაო ადგილს წარმოადგენდა), მაგრამ მუზეუმში ნანახმა ყველაფერს გადააჭარბა.

იქაურობა თეთრად ელავდა — ღია თეთრი, გამჭვირვალე თეთრი, გლუვი თეთრი, კაშკაშა თეთრი, მუქი თეთრი და ქათქათა თეთრი.

რძისფერი იორდასალამების თაიგულები მაგიდიდან ამოზრდილი გეგონებოდა. ლამაზად გაფურჩქნილ ყვავილებს სიმაღლეც შესაბამისი ჰქონდა, მაგიდასთან ერთმანეთის პირისპირ მსხდომ სტუმრებს საუბარში ხელი რომ არ შეშლოდათ. ძვლისფერი ფაიფურის ჭურჭელი (ასევე თეთრი მოხატულობით) თეთრი ზოლებით გამშვენებულ სუფრაზე ლამაზად დაეწყოთ. მაღალზურგიანი მუხის სკამებისთვის თეთრი ხავერდის ქსოვილი გადაეკრათ (ფრთხილად, საშიშია!), ამ ყველაფერს აგვირგვინებდა თეთრი ფუმფულა ხალიჩა, რომელიც მხოლოდ იმ საღამოსთვის დაეგოთ. თეთრი სანთლები უბრალო ფაიფუ-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

რის შანდლებში იორდასალამებს შორის მკრთალად კიაფობდა (მაგრამ არაფერს წვავდა), რალაცნაირად, ქვემოდან ანათებდ-ნენ და მთელ მაგიდას მშვიდი შუქი ეფინებოდა. მხოლოდ კედ-ლებზე წარმოდგენილი ძველი ეგვიპტური გამოსახულებების, მწვანის, მუქი ლურჯისა და ოქროს სხვადასხვა ტონის ციაგი ანათებდა მთელ ოთახს. თეთრი მაგიდებისა და უძველესი, ფას-დაუდებელი ტილოების ფერთა ხელოვნური კონტრასტი უბრა-ლოდ სრულყოფილება იყო.

თავს აქეთ-იქით ვატრიალებდი და მშვენიერი თეთრი ფე-რების ლივლივით ვტკბებოდი („ეს რობერტი უბრალოდ გენიო-სია!"), თვალი წითელმა ფიგურამ მომტაცა. კუთხეში, ერთ-ერ-თი გობელენის ქვეშ, წითელი ბისერებით განყობილ „შანელის" კაბაში, რომელიც მხოლოდ ამ წვეულებაზე ჩასაცმელად სა-განგებოდ მისთვის შეიქმნა, მირანდა მხრებში გამართული იდგა. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული დახარჯული პენი ვიცოდი (პენი პენს ემატება და საბოლოოდ ათასობით დო-ლარს აღწევს), ის გამაოგნებლად გამოიყურებოდა. ის თავად იყო მხატვრული შედევრი. ამაყად ნიკაპაწეული, იდეალური აღნაგობით, ცოცხალი ნეოკლასიკური რელიეფი „შანელის" აბრეშუმში. მასზე ლამაზიაო, ვერ იტყოდი, პატარა, მოელვარე თვალებით, სახის ნაკვთებთან შედარებით ზედმეტად მკაცრი ვარცხნილობით, ჩემთვის გაუგებარი მიზეზის გამო, ის მაინც უზომოდ თვალწარმტაცი იყო. მისადმი გულგრილობა და მშვე-ნიერი ინტერიერით დატკბობა არ გამომდიოდა, რადგან მირან-დას თვალს ვერ ვწყვეტდი.

ისევ მისმა ხმამ გამომაფხიზლა.

— ან-დრე-ა, იმედია დაპატიჟებული სტუმრების არა მარტო სახელები იცით, არამედ სახეზედაც ცნობთ მათ, ასეა? ალბათ, მათი სურათები გადაათვალიერეთ და დაიმახსოვრეთ კიდეც. იმედს ვიტოვებ, ამ წვეულებაზე ისე არ შემარცხვენთ, რომ სტუმარს სხვისი სახელით მიმართოთ, — განმიცხადა ისე, რომ კონკრეტულად არავისთვის შეუხედავს, მხოლოდ ჩემი სახელი მიუთითებდა იმას, რომ მე მომმართავდა.

— მმმ, დიახ, ყველას სახელი ვიცი, — ვუპასუხე, შევეცადე თავი მომეთოკა, რადგან მას ბავშვივით მივშტერებოდი, — რამდენიმე წუთით დავმშვიდდები და დარწმუნებული ვარ, არაფერი შემეშლება.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ისე შემომხედა, თითქოს თვალებით მკითხა: „მერე აქ რას
დგახარ, იდიოტო! გაინძერი!" თავი ვაიძულე, გვერდზე გამეხე-
და და გალერეიდან გამოვსულიყავი. ილანა უკან გამომყვა.
— რა გითხრა? — ჩურჩულით მკითხა, — სურათებიო? ეჰ,
რა გიჟია!
ნახევრად ბნელ დერეფანში არაკომფორტულ ხის სკამზე
ჩამოვსხედით, ორივეს ძალიან დიდი სურვილი გვქონდა, სადმე
დავმალულიყავით.
— აჰ, ჰო, სულ მცირე, ერთი კვირა დამჭირდებოდა სტუმრე-
ბის სურათების მოსაძებნად და შემდეგ მათი ვინაობის დასა-
მახსოვრებლად, რომ შეხვედრისას მცოდნოდა თუ ვინ-ვინ
იყო, — განვუმარტე შეძრწუნებულ ილანას, რომელიც სკეპ-
ტიკურად მიცქერდა, — მაგრამ რადგანაც დღეს განმიცხადა,
რომ წვეულებაზე მეც უნდა ვყოფილიყავი, მათ დასამახსოვრე-
ბლად მხოლოდ რამდენიმე წუთი მქონდა, ისიც მანქანაში. შენ
რა, — ვკითხე, — გგონია, ეს უცნაურია? ჩათვალე, მსგავსი რამ
სტანდარტია მირანდას წვეულებისთვის.
— მე კი მეგონა, რომ დღეს აქ მოდის სამყაროდან არავინ იქ-
ნებოდა დაპატიჟებული, — მიპასუხა.
მირანდას მიერ გალერეაში გამართული ძველი წვეულებე-
ბი ჰქონდა მხედველობაში. ის მეტროპოლიტენის ხელოვნების
მუზეუმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემწირველი იყო, რის
გამოც განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდა, მა-
გალითად — პირადი წვეულებებისა და კოქტეილ-საღამოების
გამართვისას. საკმარისი იყო მისტერ ტომლინსონს სიტყვა
დასცდენოდა და მირანდა უკვე ტყავიდან ძვრებოდა, რათა
მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმში მაზლის საპატივ-
ცემლოდ არნახული წვეულება გაემართა. მისი აზრით, მდიდარ
სამხრეთელებსა და მათ „ნანადირევზე", ანუ ცოლებზე, დიდ
შთაბეჭდილებას მოახდენდა ნადიმი მუზეუმში. მართალიც გა-
მოდგა.
— ჰო, ისეთი სტუმრები არიან, რომლებსაც ერთი დანახვით
ვერ ვიცნობ, მედისონ-დიქსონის[83] საზღვართან დიდი მიწების
მესაკუთრე მილიარდერებს არასოდეს შევხვედრივარ. ზოგა-
დად, როცა სტუმრების სახეების დამახსოვრებაა საჭირო, მათ
ფოტოებს ინტერნეტში, ჟურნალებში ან სადმე სხვაგან ვპოუ-
ლობ. იმის თქმა მინდა, რომ მაგალითად, ნურის დედოფლის,

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაიკლ ბლუმბერგის ან სულაც იოკო იამამოტოს ფოტოს იოლ-
ად ვიპოვი, მაგრამ სად მოვძებნო მისტერ და მისის პეკარდი
ჩარლსტონების გამოსახულება? დიდი თავსატეხია. იმ დროს
როდესაც „პოდიუმის" თანამშრომლები ჩემს მორთვა-მოკაზ-
მვას ცდილობდნენ, მირანდას მეორე თანაშემწე სტუმართა
ფოტოებს აგროვებდა. საბოლოოდ, როგორც იქნა, თითქმის
ყველას ფოტო მათი მშობლიური ქალაქის ადგილობრივ გაზე-
თებსა და სხვადასხვა კომპანიის ვებგვერდებზე აღმოაჩინა, მა-
გრამ მინდა გითხრა, ეს ძალიან მოსაბეზრებელია!

ილანა გაოგნებული მომჩერებოდა. ვხვდებოდი, რომ რობ-
ტივით ვლაპარაკობდი, მაგრამ ვერ ვჩერდებოდი. მისმა გამო-
მეტყველებამ ხასიათი უფრო გამიფუჭა.

— მხოლოდ ერთი წყვილია, რომლებსაც სახეზე ვერ ვცნობ,
მაგრამ, მგონი, დედუქციის მეთოდს გამოვიყენებ, — ვუთხარი.

— ღმერთო დიდებულო! აზრზე არ ვარ, როგორ უძლებ!
მე კი იმაზე გავწიწმატდი, როცა გავიგე, პარასკევი საღამო
აქ უნდა გამეტარებინა. არადა შენი სამუშაო გაცილებით მძი-
მეა, მისი შესრულება სრულებით წარმოუდგენლად მეჩვენება.
მაინც როგორ უძლებ? როგორ აძლევ უფლებას, ასე გელაპა-
რაკონ? ან ასე მოგექცნენ?

დავიბენი, არ ვიცოდი, მოულოდნელ შეკითხვაზე რა მეპასუ-
ხა: ჩემს სამუშაოზე ჯერ არავის უთქვამს რაიმე უარყოფითი.
მე კი ყოველთვის მეგონა, რომ მე ვიყავი ერთადერთი (განსხ-
ვავებით იმ მილიონობით გოგონასგან, რომლებიც „პოდიუმის-
თვის" სულს ეშმაკსაც კი მიჰყიდდნენ), ვინც ამ სამსახურით
უკმაყოფილო იყო. მის თვალებში შეძრწუნებისა და განგაშის
დანახვა ჩემთვის უფრო მძიმე და აუტანელი აღმოჩნდა, ვიდრე
„პოდიუმის" შეშლილი ყოველდღიურობა. ძალიან იმოქმედა სი-
ბრალულით აღსავსე მისმა სუფთა და გულწრფელმა თვალებმა
და გავაკეთე ის, რაც თვეების მანძილზე არაადამიანურ პი-
რობებში, არაადამიანი უფროსის თანაშემწედ მუშაობისას
არ გამიკეთებია — მიუხედავად იმისა, ვიცოდი ემოციისთვის
შესაფერისი დრო არ იყო, მაინც ავტირდი. რითაც ილანა უფრო
მეტად გავაოცე.

— ო, საყვარელო, დამშვიდდი, მაპატიე, ცუდი არაფერი
მიგულისხმია. ამ კუდიანთან მუშაობას რომ უძლებ, უბრა-
ლოდ წმინდანი ხარ, გესმის? აბა წამომყევი, — ხელი ჩამკიდა

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

და სხვა, ნახევრად ჩაბნელებული დერეფნის გავლით ოფისში შემიყვანა, — აი, აქ მოისვენე, დამშვიდდი და დაივიწყე ყველა სტუმრის სახე, — ცხვირი დამეხშო, ვსრუტუნებდი, თავს ძალიან უხერხულად ვგრძნობდი, — ჩემი ნუ მოგერიდება, კარგი? გული მიგრძნობს, დიდი ხანია შენთვის ინახავ ამ ემოციებს, ამიტომ ჯობს იტირო, ყველაფრისგან დაიცალო.

ლოყებზე ჩამოსული ტუშის მოცილებას თითებით ვცდილობდი, ილანა კი თავისი მაგიდის უჯრაში რაღაცას ეძებდა.

— აი, — ამაყად მითხრა, — მე ამას დავხევ და იცოდე, ცუდად იქნება შენი საქმე, ნანახის შესახებ ვინმეს თუ ეტყვი. აბა, შეხედე! ხომ საუცხოო ფოტოა? და ღიმილით გამომიწოდა კონვერტი წარწერით „კონფიდენციალური".

კონვერტი გავხსენი და მწვანე საქაღალდე ამოვიღე. მასში იდო ფერადი ფოტო, რომელზეც მირანდა ერთ-ერთი რესტორნის დივანზეა გაწოლილი. უმალ ვიცანი, ეს ცნობილი ფოტოგრაფის მიერ დონა კარანის დაბადების დღეს „პასტისში" გამართულ წვეულებაზე იყო გადაღებული, ფოტო ჟურნალ „ნიუ-იორკში" უკვე დაებეჭდათ და სავარაუდოდ, მალე სხვა ჟურნალებშიც გამოქვეყნდებოდა. მასზე მირანდას თეთრსა და ყავისფერში გაწყობილი გველის ტყავის მანტო ეცვა. ჩემი აზრით, ამ ფოტოზე ის მართლაც გველს ჰგავდა. და როგორც ჩანს, ასე მხოლოდ მე არ ვფიქრობდი — ამ ვერსიაში ვიღაცას ძალზე პროფესიონალურად დიანას ფეხების ნაცვლად ჩხრიალა გველის კუდი დაემონტაჟებინა. „გველი მირანდა დივანზე" არაჩვეულებრივი იყო. ხელები იდაყვებში მოეხარა, წვრილი ნიკაპი ხელისგულებზე ჩამოედო და დივანზე გართხმულიყო, რკალივით დაკლაკნილი კუდი დაბლა ეშვებოდა. გენიალურია!

— ხომ მაგარია? — მკითხა ილანამ და გვერდით მომიჯდა, — დღეს ლინდა შემოვიდა ჩემთან, ოფისში. თურმე მთელ დღეებს მირანდასთან ტელეფონით საუბარში ატარებდა. ვახშმისთვის გალერეას არჩევდნენ. ლინდამ, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი და ყველაზე ლამაზი სივრცე შესთავაზა, მაგრამ მირანდას მაინცდამაინც ეგვიპტის გალერეაში სურდა სტუმრების მიღება. იმ დარბაზის სიახლოვეს სუვენირების მაღაზიაა. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ საბჭომ, როგორც იქნა, ნება დართო მირანდას წვეულების იქ გასამართად. ლინდამაც უმალ

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

დაურეკა, ეს ამბავი რომ ეხარებინა, აბა, გამოიცანი, რა უპასუ-ხა მან...

— რა თქმა უნდა, გადაიფიქრა, — მივუგე მშვიდად, — და სწორედ ის გალერეა მოისურვა, რომელსაც ლინდა თავიდან სთავაზობდა. და ეს მხოლოდ იმიტომ გააკეთა, რომ ლინდას, ისე როგორც მუზეუმის ხელმძღვანელობას, მის დაკრულზე ეცეკვათ. ასე იყო?

— სწორედაც. ამან ძალიან გამაბრაზა. აქამდე არასდროს მენახა, რომ ვინმეს ახირების გამო მთელი მუზეუმი თავდაყირა დამდგარიყო. ღმერთო, თვით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რომ ეთხოვა ვახშმის აქ გამართვა, უფლებას არ მისცემდნენ! შენს უფროსს კი ჰგონია, რომ შეუძლია ბრძანებე-ბი გასცეს და ჩვენი ცხოვრება ჯოჯოხეთად აქციოს. მოკლედ, ეს ლამაზი ფოტო იმისთვის გავაკეთე, რომ ლინდა გამეხალი-სებინა. მან კი იცი, რა მოიფიქრა? ასლი დააპატარავა და ახლა საფულით ატარებს. ეჰ, ჩანს, ყველაზე ცუდ მდგომარეობაში შენ ხარ, თუმცა იცოდე — არა მხოლოდ შენ.

ფოტო საქაღალდეში ჩავდე და უკან დავუბრუნე.

— ძალიან მაგარი გოგო ხარ, — ვუთხარი და მხარზე ხელი დავადე, — ძალიან, ძალიან მადლიერი ვარ ასეთი გამხნევებისთვის. გპირდები, ამის შესახებ არავის ვეტყვი, მაგრამ ასლი მეც უნდა გადმომიგზავნო, კარგი? არ მგონია, „ლეიბერის" ხელჩანთაში ჩამეტიოს, მაგრამ ძალიან მინდა, რომ მქონდეს. შინ გამო-მიგზავნი?

გამიღიმა და მითხრა, მისამართი დამიწერეო, შემდეგ წამოვ-დექით და უკან (მე თითქმის კოჭლობით) ფოიეში დავბრუნდით.

შვიდი სრულდებოდა და მალე სტუმრებიც დაიწყებდნენ მოსვლას. მირანდა და ყრუ-მუნჯი მამიკო საპატიო სტუმარს, სასიძოს ელაპარაკებოდნენ, მას სამხრეთული უნივერსიტე-ტის სტუდენტის, მოღიმარი ქერათმიანების გულთამპყრო-ბლის გარეგნობა ჰქონდა. ევროპელი და ამერიკელი ფეხ-ბურთელი, ლაკროსისა და რაგბის მოთამაშე ერთდროულად გეგონებოდათ. ოცდაექვსი წლის მოღიმარი ქერათმიანი საპა-ტარძლო მის გვერდით ჩუმად იდგა და მას შეყვარებული თვა-ლებით უცქერდა. ხელში ბოკალი ეჭირა და საქმროს ხუმრობე-ბზე იცინოდა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მირანდას ყრუ-მუნჯი მამიკოსთვის ხელკავი გამოედო და ყალბად იღიმოდა. საჭირო არ იყო იმის ცოდნა, თუ რაზე საუბრობდნენ, რადგან ის ძალიან გულგრილი სახით პასუხობდა. მაღალ საზოგადოებაში ტრიალი მის ძლიერ მხარეს არ წარმოადგენდა, თავაზიან საუბრებს ვერ უძლებდა, მაგრამ ზუსტად ვიცოდი, წვეულებაზე სამაგალითოდ ითვალთმაქცებდა. მირანდას „მეგობრები" ორ კატეგორიად იყოფოდნენ: „მაღლა მდგომნი", რომელთაც ის აღფრთოვანებაში მოჰყავდათ. თუმცა ასეთი ძალიან ცოტა იყო, მათ შორის — ივ რავიცი, ოსკარ დე ლა რენტა, ჰილარი კლინტონი და ჰოლივუდის გამოჩენილი ვარსკვლავები. მეორე კატეგორიას წარმოადგენდნენ „ქვემოთ მდგომნი", რომელთაც სისტემატურად ამცირებდა, რათა თავიანთი ადგილის დავიწყების საშუალება არ მიეცა მათთვის. ეს კატეგორია მოიცავდა თითქმის მთელ „პოდიუმს", ყველა დიზაინერს, სხვა ჟურნალების რედაქტორებს, მოდის სამყაროს უკლებლივ ყველა წარმომადგენელს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც, ასევე — საკუთარი ოჯახის წევრებს და შვილების მეგობრების მშობლებს, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელნი „მაღლა მდგომნი" არ იყვნენ.

საღამოზე მოწვეულთა შორის ორივე კატეგორიის წარმომადგენლები იყვნენ, რის გამოც მირანდა იძულებული იყო, მეორე კატეგორიის წარმომადგენლებს ისევე მოქცეოდა, როგორც პირველისას, თუნდაც იმიტომ, რომ ისინი მისტერ ტომლინსონსა და მის ძმას იცნობდნენ. იშვიათად მქონდა საშუალება, მირანდა ასეთ ვითარებაში მენახა, ალბათ იმიტომ, რომ სინამდვილეში მას ბუნებრივი მომხიბვლელობის ნატამალი არ გააჩნდა.

პირველი სტუმრების მოსვლა მათ დანახვამდე ვიგრძენი. ოთახში დაძაბულობამ იმატა. ამობეჭდილ ფერად ფოტოებზე აღბეჭდილი სახეები სწრაფად გავიხსენე, მათ შესახვედრად გავემართე და ქალბატონს ბეწვის მოსასხამის მოხსნაში მივეხმარე.

— მისტერ და მისის ვილკინსონ, თქვენი სტუმრობით ძალიან გაგვახარეთ. გთხოვთ შებრძანდეთ, ამას მე მივხედავ. ეს კი ილანაა, ის თქვენ კოქტეილის მაგიდასთან მიგაცილებთ, — ვიმედოვნებდი, რომ მონოლოგის წარმოთქმისას მათ არ მივჩერებოდი, რადგან საოცარი სანახავები იყვნენ. მირანდას

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

წვეულებებზე ისეთი ქალებიც მინახავს, ქუჩის ბოზებივით რომ ეცვათ, ხოლო მოდელებს პრაქტიკულად არ ეცვათ. აქ კი სულ სხვაგვარად გამოწყობილი ხალხი მოდიოდა, მსგავსი არასოდეს მენახა. წინდაწინ ვიცოდი, რომ „ნიუ-იორკის" ბოლო მოდაზე ჩაცმულ საზოგადოებას აქ არ შევხვდებოდი, ვფიქრობდი, „დალასის" პერსონაჟების ყაიდაზე მორთულ ადამიანებს უფრო ვნახავდი, თუმცა ვერ წარმომედგინა, „გათავისუფლების" პერსონაჟებთან ურთიერთობა თუ მელოდა.

თვით მისტერ ტომლინსონის შეევერცხლილთმიანმა ძამიკომაც დიდი შეცდომა დაუშვა, როცა მაისში თეთრი ფრაკი ჩაიცვა, აქსესუარებად კი კუბოკრული ცხვირსახოცი და ხელჯოხი არჩია. ალარაფერს ვამბობ მის საცოლეზე, რომელსაც კოშმარული ზურმუხტისფერი ტაფტის კაბა ემოსა. ქსოვილი მოძრაობდა, იბერებოდა და მის უზარმაზარ მკერდს ისე მალლა სწევდა, იფიქრებდი, ჰა-ჰა და, სილიკონის ძუძუები დაახრჩობსო. ყურზე მტრედის კვერცხის ზომის ბრილიანტის საყურე უბრჭყვიალებდა. გაცილებით დიდი თვალი ჰქონდა მისი ნიშნობის ბეჭედს. პერეჰიდროლით გალიავებული თმა სითეთრეში მხოლოდ მის კბილებს თუ გაეჯიბრებოდა, ფეხსაცმლის ქუსლები ისეთი მაღალი და წვრილი იყო, რომ სიარული უჭირდა, ამერიკული ფეხბურთის ვეტერანივით დააბიჯებდა.

— ძვირ-ფასე-ბო, ისე მიხარია, ამ პა-ა-ტარა წვეულებაზე რომ გვეწვიეთ! აბა, ვის არ უყვარს წვეულებები? — ფალცეტოში მღეროდა მირანდა. მომავალმა მისის ტომლინსონმა ისეთი გამომეტყველება მიიღო, იფიქრებდი, საცაა გული წაუვაო. მის წინ ერთადერთი და განუმეორებელი მირანდა პრისტლი იდგა! მისმა საზეიმო განწყობამ ოდნავ უხერხულ მდგომარეობაშიც კი ჩაგვაგდო. საზოგადოებამ მირანდას წინამძღოლობით ძველი ეგვიპტის ატრიუმში[84] გადაინაცვლა.

წვეულება ერთფეროვნად მიმდინარეობდა. ყველა სტუმარს ვცნობდი და ისეთი არაფერი წამომცდენია, მირანდას რომ შერცხვებოდა. თეთრი სმოკინგები, შიფონის ფერადი კაბები, ლამაზი ვარცხნილობები და მასიური სამკაული, რომელიც ძალიან ახალგაზრდა გოგონებს ეკეთა, უკვე ალარ მაკვირვებდა, თუმცა მირანდას ცქერით მაინც არ ვიღლებოდი. ის ჭეშმარიტად მაღალი საზოგადოების ქალბატონი იყო, რის გამოც წვეულების დანარჩენი ქალბატონები შურით ალივსნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ, ფულით ვერ იყიდდნენ მის რანგსა და ელეგანტურობას, ამის წყურვილი მაინც კლავდათ.

გულწრფელად გამელიმა, როცა, როგორც ყოველთვის, მადლობისა და დამშვიდობების გარეშე ვახშმიდან დამითხოვა (ან-დრე-ა, ამ სალამოს აღარ დაგვჭირდებით. შეგიძლიათ მიბრძანდეთ). ილანას მოძებნა ვცადე, მაგრამ აღმოჩნდა, ის უკვე გაპარულიყო. მანქანამ გამოძახებიდან დაახლოებით ათ წუთში მომაკითხა. ერთი გაფიქრება გავიფიქრე, მეტროთი წავალ-მეთქი, მაგრამ „ოსკარ დე ლა რენტას" კაბა და ჩემი ფეხები ამას ვერ გადაიტანდა. მანქანის უკანა სავარძელში დაქანცული, მაგრამ დამშვიდებული ჩავეშვი.

როცა ლიფტისკენ მიმავალმა ჯონს გვერდით ჩავუარე, მან თავისი პატარა მაგიდიდან კონვერტი აიღო და გამომიწოდა.

— რამდენიმე წუთის წინ მოიტანეს. „სასწრაფოაო", ზედ აწერია. — მადლობა გადავუხადე და ვესტიბიულის ერთ-ერთ კუთხეში მივჯექი, — ვის უნდა გამოეგზავნა პარასკევ სალამოს, ათ საათზე „სასწრაფო" წერილი? — კონვერტი გავხიე და ბარათი ამოვიღე.

„უძვირფასესო ანდრეა,

მოხარული ვარ, ამ სალამოს რომ გაგიცანი! იქნებ მომდევნო კვირას სუშის რესტორანში ან სადმე სხვაგან ერთად წავსულიყავით! გზად სახლისკენ ამის დასატოვებლად შემოგირბინე, ვიფიქრე მძიმე სამუშაოს შემდეგ გახალისება არ გაწყენდა. აბა, შენ იცი, ისიამოვნე!

გკოცნი,

ილანა".

შიგნით „გველი მირანდას" ფოტო იდო, რომელიც ილანას გაედიდებინა. რამდენიმე წუთი ყურადღებით ვაკვირდებოდი. „მანოლოს" წვრილქუსლიანი ფეხსაცმელი უკვე გახდილი მქონდა. შიშველ ფეხებს ვიზელდი და თან მირანდას თვალებში ვუყურებდი. სურათზედაც ისეთივე ძუკნა იყო, როგორიც ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგრამ ამჯერად ნაღვლიანი და მარტოსული მომეჩვენა. ამ სურათის მაცივარზე მიკვრა, ლილისთან და ალექსთან ერთად მასზე ხალისი ფეხებში ტკივილს ვერ გამიყუჩებდა და ვერც პარასკევ სალამოს დამიბრუნებდა, ამიტომ ფოტო დავხიე და კოჭლობით გავემართე შინ.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

15

— ანდრეა, ემილი ვარ, — ჩახლეჩილი ხმა გავიგონე, — გეს-
მის ჩემი? — თვეები იყო, რაც ემილის ჩემთან სახლში ასე გვიან
არ დაერეკა. უმალვე მივხვდი, რალაც სერიოზული ამბავი იყო.
— გამარჯობა. საშინელი ხმა გაქვს, — ვუპასუხე და ლო-
გინში წამოვჯექი. პირველი, რაც გავიფიქრე, ეს იყო: ნეტა რა
გაუკეთა მირანდამ ასეთი, რომ ხმა დაკარგვია-მეთქი. მახსოვს,
ადრეც შემაშინა ასე: ერთ შაბათ საღამოს, თერთმეტ საათზე
მირანდას ემილისთვის დაურეკავს და დაუვალებია, მისთვის
და მისტერ ტომლინსონისთვის კერძო თვითმფრინავი დაექი-
რავებინა მაიამიდან შინ ჩარტერული რეისით გამოსაფრენად.
უამინდობის გამო რეგულარული ფრენები გადაედოთ. სწო-
რედ მაშინ ემილი საკუთარი დაბადების დღის აღსანიშნავად
სახლიდან გადიოდა, ამიტომ დაუყოვნებლივ ჩემთან გადმორე-
კა და დახმარება მთხოვა, მაგრამ შეტყობინება მხოლოდ მეორე
დილით წავიკითხე. და როცა დავურეკე, ჯერ კიდევ ტიროდა:
— საკუთარი დაბადების დღის წვეულება გავაცდინე, ან-
დრეა, — ყურმილის აღებისთანავე აქვითინდა, — ჩემი წვეუ-
ლება გავაცდინე იმიტომ, რომ მათთვის ჩარტერული რეისის
ორგანიზება გამეწია!
— ნუთუ არ შეეძლოთ ჩვეულებრივი ადამიანების მსგავსად
სასტუმროში აეღოთ ნომერი და მეორე დღეს გამოფრენილი-
ყვნენ? — ვკითხე. ვცდილობდი მომხდარისთვის ბუნებრივი
ახსნა მომეძებნა.
— როგორ გგონია, მე კი არ ვიფიქრე ამაზე? შვიდ წუთში
პენტჰაუზები ვიქირავე მათთვის „შორ კლუბში", „ალბიონ-
სა" და „დელანოში", მეგონა გადავაფიქრებინებდი. იმის თქმა
მინდა, რომ, ო, ღმერთო, შაბათი იყო! ვინ შეძლებდა შაბათს,
ღამით, ჩარტერული რეისისთვის თვითმფრინავის შოვნას?
— რატომღაც მგონია, რომ პენტჰაუზში ღამის გათევის
იდეით დიდად მოხიბლული არ დარჩა, ასეა? — ვკითხე მშვიდი
ხმით და თავი დამნაშავედ ვიგრძენი, რომ ვერ დავეხმარე, მა-
გრამ თან მიხაროდა, მის რისხვას რომ გადავურჩი.
— ჰო. სრულებით არ მოიხიბლა. ყოველ ათ წუთში რეკავდა,
ითხოვდა ამეხსნა, ასე რატომ ვაჭიანურებდი მისი დავალების
შესრულებას, რატომ ვერ ვშოულობდი თვითმფრინავს, ამის

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

გამო სხვა სატელეფონო ხაზები ლოდინის რეჟიმზე გადამყავ-
და, არადა ეს სწორედ ის ხალხი იყო, ვისთანაც თვითმფრინავის
საკითხის მოგვარებას ვცდილობდი, ხოლო როცა მირანდა ლა-
პარაკს ამთავრებდა და მე სხვა ხაზებს ვუბრუნდებოდი, მათ
უკვე გათიშული ჰქონდათ, — ღრმად ამოიოხრა, — ჯოჯოხე-
თური ღამე გავათიე.

— მეშინია გკითხო, მაგრამ საბოლოოდ როგორ დასრულდა
ეს ამბავი?

— როგორ დასრულდა? ფლორიდის შტატის ყველა კერძო
ჩარტერულ კომპანიას პირადად დავურეკე, მაგრამ როგორც
ხვდები, არც ერთი მათგანი შაბათს შუალამეს ყურმილს არ
იღებდა, მერე მფრინავთან ვცადე დაკავშირება, დახმარებას
ვთხოვდი ადგილობრივ ავიაკომპანიებს, მაიამის საერთაშორი-
სო აეროპორტის ერთ-ერთ ხელმძღვანელსაც კი ველაპარაკე,
ვუთხარი, რომ ორი მგზავრის ნიუ-იორკში გადასაფრენად
ნახევარ საათში თვითმფრინავი მჭირდებოდა და იცი, რა მიპა-
სუხა?

— რა?

— სიცილი აუტყდა. გიჟივით იცინოდა. მითხრა, შენ ან ტე-
როორისტი ხარ, ან ნარკომოვაჭრე, ამ დროს თვითმფრინავისა
და მფრინავის პოვნა, რამდენსაც გინდა იხდიდე, წარმოუდ-
გენელია, იმ შემთხვევაში გაგიმართლებს, ვირებმა თუ ფრენა
დაიწყესო. შემდეგ დამემუქრა, რომ თუ რეკვას არ შევწყვეტდი,
იძულებული გახდებოდა შეერთებული შტატების გამოძიების
ფედერალური ბიუროსთვის მიემართა. ეს ოხერი, წარმოგიდ-
გენია? გამოძიების ფედერალური ბიურო?

— რატომღაც მგონია, მირანდა არც ამით იქნებოდა აღფრ-
თოვანებული, ვცდები?

— არა, ამაზე სულ გადაირია. ოცი წუთი ვუმტკიცებდი, რომ
თვითმფრინავის შოვნა შეუძლებელი იყო. და რომ შემძლებოდა
კიდეც, ღამით ჩარტერული რეისის შესრულებას მაინც ვერა-
ვინ გარისკავდა.

— მერე? — მივხვდი, რომ ამ ამბავს კეთილი დასასრული არ
ექნებოდა.

— სადღაც ღამის ორის ნახევარზე საბოლოოდ დარწმუნდა,
რომ ნიუ-იორკში ვერ ჩამოვიდოდა. სასწრაფო არაფერი იყო,
რადგან ტყუპი მამასთან რჩებოდა, საჭიროების შემთხვევაში

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ძიძა მიაკითხავდათ და მთელ კვირადღეს მათთან გაატარებდა. მიბრძანა, მომდევნო დღეს, დილის რეისზე მეყიდა ბილეთები.

უცნაური იყო, თუ ფრენა უამინდობის გამო გადაიდო, ავიაკომპანია ხომ ვალდებული იყო, ისინი მომდევნო რეისით გამოეშვა? თანაც თუ მირანდას სუპერპრივილეგირებულ სტატუსსა და მის ბიზნესკლასის ბილეთს გავითვალისწინებთ, ავიაკომპანიისგან პრობლემები ნამდვილად არ უნდა შეჰქმნოდათ. ემილის ჩემი ეჭვები გავანდვე.

— ჰო, „კონტინენტალმა" დილის 7:50 საათზე პირველივე რეისი შესთავაზა, მაგრამ მირანდამ სადღაც ყური მოჰკრა, რომ ვილაც „დელტათი" 7:35 საათზე გაფრინდა და ამან გააცოფა. გამოუსწორებელ იდიოტს მეძახდა და ერთსა და იმავე კითხვას მისვამდა, — რაში სჭირდებოდა ჩემნაირი გამოუსადეგარი თანაშემწე, რომელიც ისეთ მარტივ დავალებასაც ვერ ართმევდა თავს, როგორიც უბრალო ფრენის ორგანიზებაა, — ცხვირი მოიხოცა და რალაც მოსვა, ალბათ ყავა.

— უფალო ღმერთო! ვხვდები, რის თქმას აპირებ. მითხარი, რომ ვცდები!

— არ ცდები!

— ეს როგორ გააკეთე? ალბათ ხუმრობ? თხუთმეტი წუთის გამო?

— გავაკეთე! სხვა გზა არ მქონდა! ჩემით ისეთი უკმაყოფილო იყო, რომ ვიფიქრე, სულ მცირე, ასე მაინც გამოვასწორებდი შეცდომას, ერთი-ორი ათასი დოლარის ზედმეტად გადახდა დიდს არაფერს ცვლიდა! ყურმილი განრისხებულმა გამითიშა, სხვა რა გზა მქონდა?

ამის თქმა და, ორივეს სიცილი წაგვსკდა. ორივემ ვიცოდით, თუ რატომ იყიდა ემილიმ „დელტასგან" დამატებით ბიზნესკლასის ორი ბილეთი. ცხადია, ეს მხოლოდ იმიტომ გააკეთა, რომ მირანდას მასზე თავდასხმები და ლანძღვა-გინება შეეწყვიტა.

სიცილით ვიგუდებოდით.

— ანუ, იმ დროისთვის, როცა „დელანოში" მათ წასაყვანად მანქანა შეუკვეთე...

— ...ფრენამდე სამი საათი რჩებოდა. სალამოს თერთმეტის შემდეგ მობილურზე ზუსტად ოცდაორჯერ დამირეკა. სანამ ისინი პენტჰაუზში შხაპს მიიღებდნენ და გამოიცვლიდნენ,

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მძღოლი სასტუმროსთან ელოდათ, რომ უკან, აეროპორტში, ნაეყვანა.

— შეწყვიტე! გთხოვ, — სიცილისგან ცრემლები მდიოდა, სულს ვერ ვითქვამდი, — ეს ყველაფერი შენი ფანტაზიის ნაყოფია, არა?

ემილიმ სიცილი შეწყვიტა და სერიოზული ხმით განაგრძო:

— მართლა ასე ფიქრობ? გგონია ამით დამთავრდა? მადროვე, ჯერ მთავარი არ მითქვამს.

— ოჰ, მაშ მიდი, გააგრძელე! — ძალიან მახარებდა, რომ მე და ემილიმ მოვახერხეთ და ერთხელ მაინც გამოვძებნეთ რაღაც საერთო. ბრძოლაში საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანება და გუნდის წევრად თავის მიჩნევა ძალიან სასიამოვნო შეგრძნება იყო. პირველად დავფიქრდი იმაზე, თუ რამდენად უკეთესი წელიწადი იქნებოდა, მე და ემილი თუ დავმეგობრდებოდით, ურთიერთნდობა გვექნებოდა, ერთმანეთს დავიცავდით და მირანდას წინააღმდეგ საერთო ფრონტს გავხსნიდით. ალბათ ჩვენი სამუშაო გაცილებით მშვიდ, სასიამოვნო გარემოში წარიმართებოდა, მაგრამ იშვიათი შემთხვევების გარდა, ჩვენ ცხოვრებას სხვადასხვა თვალით ვუყურებდით.

— მოკლედ, ყველაზე კარგი ის იყო, რომ... — სათქმელი რამდენიმე წამით გაწელა, — ამას, რა თქმა უნდა, ვერ მიხვდა, მაგრამ მიუხედავად „დელტას" ადრიანი აფრენისა, ის რვა წუთით გვიან ჩაფრინდა, ვიდრე „კონტინენტალი"!

— მოკეტე! ცუდად ვარ! — სიცილისაგან ვიგუდებოდი, — ალბათ დამცინი, არა?

საბოლოოდ, როცა ერთმანეთს დავემშვიდობეთ, გაოცებულმა აღმოვაჩინე, რომ როგორც ნამდვილმა მეგობრებმა, საათზე მეტი ვილაპარაკეთ.

რა თქმა უნდა, ორშაბათიდან ძველ ურთიერთობას დავუბრუნდით, მაგრამ უქმეების შემდეგ ჩემი დამოკიდებულება ემილისადმი სიმპათიით შეიცვალა. ცხადია — იმ წუთამდე, რადგან არც იმდენად მესიმპათიურებოდა, რომ იმ დილაუთენია მისი ზარისა და უკმეხად გაცემული მითითებებისთვის გამეძღო.

— მართლაც საშინელი ხმა გაქვს, ავად ხარ? — ვეცადე მულწრფელად შევწუხებულიყავი, მაგრამ აგრესიულად და ეჭვით ვკითხე.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჰო, — მოასწრო ეთქვა, ვიდრე ხველა აუტყდებოდა, — ძალიან ავად...

სამედიცინო დიაგნოზით თუ არ დადასტურდებოდა, რომ სიცოცხლისთვის პოტენციურად საშიში სნეულება გქონდა, „პოდიუმში" ერთ დღესაც ვერ გააცდენდი. ასე რომ, როცა ემილის ხველა შეუჩერდა, განმიცხადა, ორშაბათს სამსახურში ვერ მოვალო და მის სიტყვებში ეჭვიც კი არ შემიტანია. ბოლოს და ბოლოს ის თვრამეტ ოქტომბერს მირანდასთან შესახვედრად პარიზში მიფრინავდა, იქამდე კი კვირაზე ცოტა მეტი დრო იყო. გარდა ამისა, მე თავად ორჯერ მქონდა გადატანილი ანგინა, რამდენჯერმე — ბრონქიტი და მწვავე ინტოქსიკაცია, გამუდმებულ ხველაზე, მწეველის ქრონიკულ ხველაზე ხომ აღარაფერს ვამბობდი.

ერთადერთხელ შევძელი ექიმთან მისვლა, ისიც იმიტომ, რომ ანგინა გამიგრძელდა და ანტიბიოტიკებით მკურნალობას ვსაჭიროებდი (ექიმის კაბინეტში შევვარდი, ვუბრძანე სასწრაფოდ გავესინჯე, ვინაიდან ამ დროს ემილისა და მირანდას ეგონათ, რომ მე მისტერ ტომლინსონისთვის ახალი მანქანის შესათვალიერებლად ვიყავი). პრეზენტაციული ზომების მისაღებად დრო სულ არ მქონდა. მართალია, „პოდიუმში" მუშაობის განმავლობაში მარშალისგან თმის ფერთან დაკავშირებით უამრავი იმედისმომცემი შეფასება მოვისმინე, სპაცენტრების ადმინისტრატორებმა, რომელთაც მირანდას თანაშემწის მასპინძლობა პატივად მიაჩნდათ, რამდენჯერმე მიწვევაც გამომიგზავნეს, მანიკიურის, პედიკიურისა და ვიზაჟის სპეციალისტები კი მაღალი დონის მომსახურებას მთავაზობდნენ, მაგრამ წელი სრულდებოდა, მათთან ვიზიტისთვის კი არა, კბილის ექიმთან და გინეკოლოგთან მისასვლელად ვერ გამომენახა დრო.

— მე რით შემიძლია დაგეხმარო? — ვკითხე და შევეცადე ბუნებრივი ვყოფილიყავი, ამავდროულად ტვინს ვიჭყლეტდი, თუ რატომ მირეკავდა მაინცდამაინც მე იმის სათქმელად, რომ ცუდად იყო. რამდენადაც ორივემ ვიცოდით, ამას აზრი არ ჰქონდა, რადგან ორშაბათს სამსახურში აუცილებლად უნდა გამოცხადებულიყო.

მაგრად დაახველა და გასაგები გახდა, რა მდგომარეობაში ჰქონდა ფილტვები, ნახველი ახრჩობდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

— მმმ, ჰო, ამის თქმა მინდოდა. ღმერთო, არ მჯერა, რომ ეს მემართება!

— რა? რა გემართება?

— მირანდასთან ერთად პარიზში ვერ წავალ, მონონუკლეოზი მაქვს.

— რა?

— რაც გაიგე. ვერ წავალ. ექიმმა დღეს სისხლის ანალიზის პასუხი შეამოწმა და მითხრა, მომდევნო სამი კვირის განმავლობაში სახლიდან გასვლა მეკრძალება.

სამი კვირა?! ალბათ დამცინის. სრულებით არ მეცოდება! ზუსტად ახლა მითხრა, რომ ევროპაში ვერ მიდის და წამში გამინადგურა სიხარული, რომელსაც მირანდასა და ემილისთან მთელი სამკვირიანი განშორების გამო განვიცდიდი.

— ემ, მოგკლავს, რამე უნდა ილონო, უნდა წაჰყვე! იცის? — ემილი დუმდა.

— მმ, კი იცის.

— დაურეკე?

— ჰო. უფრო სწორად, ჩემი პირადი ექიმი ესაუბრა, რადგან იქამდე მას მონონუკლეოზის დიაგნოზი სამსახურის გაცდენის სერიოზულ მიზეზად არ მიაჩნდა, ექიმმა კი აუხსნა, რომ ვირუსის გავრცელება შემეძლო და მოკლედ... საუბარი შეწყვიტა და მე საშინელების მოლოდინში გავირინდე...

— რის თქმას აპირებ? — თვითგადარჩენის ინსტინქტმა იძალა ჩემში.

— მოკლედ, სურს, რომ პარიზში შენ გაჰყვე.

— უნდა, რომ მასთან ერთად წავიდე? უნდა, არა? ჰმ, საუცხოოა! სინამდვილეში რა თქვა, ის მითხარი! იმედია, ავადმყოფობის გამო სამსახურიდან გაგდებით არ დაგემუქრა?

— ანდრეა, მე... — კიდევ ერთხელ მძიმედ დაახველა, ხმა შეეცვალა, შემეშინდა, ტელეფონით საუბრისას ხელში არ ჩამკვდომოდა, — გულახდილად, სრულიად გულახდილად გეუბნები, თქვა, რომ საზღვარგარეთ მისი თანაშემწეები იდიოტები არიან და მათ ფონზე შენ საუკეთესო ხარ.

— აჰ, თუკი ასე თქვა, მაშ, მივფრინავ! ადამიანის დასაყოლიებლად მლიქვნელობაზე უკეთესი რა უნდა იყოს. სერიოზულად გეუბნები, ასეთი სასიამოვნო სიტყვები ჩემზე არ უნდა დაეხარჯა. გავწითლდი! — არ ვიცოდი, რაზე მომეხდინა კონ-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცენტრირება: იმაზე, რომ მირანდას სურდა, პარიზში გავყოლოდი, თუ იმაზე, რომ ეს მხოლოდ იმიტომ სურდა, ანორექსიულ ფრანგ იდიოტებზე ცოტა მეტი ტვინი რომ მქონდა.

— ოჰ, გთხოვ, მოკეტე, — ხველებით მითხრა. მისი ხველაც კი მალიზიანებდა.

— ეს ოხერი, როგორ გიმართლებს! ამ შესაძლებლობას ორი წელი, გესმის, ორი წელი ველოდი და ახლა ვერ მივდივარ. ბედის ასეთი დაცინვა ძალიან მწარეა, ხვდები თუ არა?

— რა თქმა უნდა, ვხვდები! ასეა, ეს მოგზაურობა შენთვის მთელი ცხოვრების მიზანი იყო, ჩემთვის კი — სასჯელი, მაგრამ მე მივდივარ, შენ კი — რჩები. ცხოვრება მხიარულია! ისე, ძალიან კი მეცინება, თავს ძლივს ვიკავებ! — განწირული ხმა მქონდა და სრულებით არ მეცინებოდა.

— გასაგებია, მეც ვფიქრობ, რომ ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვართ, მაგრამ რას ვიზამთ? ჯეფს უკვე დავურეკე, ვუთხარი, ტანსაცმელი შეგირჩიოს და მოგაწოდოს. ბევრის ნაღება მოგიწევს, ყოველ ჩვენებაზე, წვეულებაზე და, რა თქმა უნდა, მირანდას გრანდიოზულ მიღებაზე, სასტუმრო „კოსტესში", სხვადასხვა სამოსი უნდა გეცვას. მაკიაჟის მხრივ ელისონი დაგეხმარება. აქსესუარების განყოფილებიდან სტეფს დაელაპარაკე, ჩანთები, ფეხსაცმელები და სამკაულები შეგირჩიოს. მხოლოდ ერთი კვირა დარჩა. ასე რომ, სამზადისს ხვალიდანვე შეუდექი, კარგი?

— ვერ ვიჯერებ, რომ ჩემგან ამას მოითხოვს!

— გირჩევ, მალე დაიჯერო, რადგან მირანდა ნამდვილად არ ხუმრობდა. ავად ვარ, სამსახურში ვერ ვივლი და იქაც შენ მოგიწევს...

— რაო? სამსახურშიც კი არ მოხვალ?

არ მახსოვს, რომელიმე ჩვენგანს ბიულეტენი მოეთხოვოს, როცა მირანდა სამსახურში იყო. მხოლოდ ერთხელ დადგა ამის აუცილებლობა. მაშინ ემილის დიდედა გარდაეცვალა, მაგრამ მან ფილადელფიაში ჩასვლა, დაკრძალვაზე დასწრება და უკან, სამსახურში დაბრუნება ისე მოახერხა, წუთით არ დაუგვიანია. აი, ასე მუშაობდა სისტემა. წერტილი. სამსახურში გამოუცხადებლობის მიზეზებად ითვლებოდა შემდეგი: ვინმეს მოულოდნელი გარდაცვალება (ოჯახის წევრის), დამბლა (საკუთარი) და ბირთვული ომი (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აშშ-ის ოფიცია-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლური მთავრობა გამოაცხადებდა, რომ მანჰეტენი მოვლენების ეპიცენტრშია). აი, ასეთი ურყევი იყო მირანდა პრისტლის რეჟიმი.

— ანდრეა, მონონუკლეოზი მაქვს. ინფექციის მოსიარულე წყარო ვარ. ეს სერიოზულია. ჩემი სახლიდან გასვლა ყავის საყიდლადაც კი არ შეიძლება, არათუ — სამსახურში სიარული. მირანდას ეს ესმის, ასე რომ, ყველაფერს შენ უნდა მიხედო. პარიზში გამგზავრებამდე უამრავი რამ გექნება მოსაწესრიგებელი. მირანდა ოთხშაბათს მიფრინავს მილანში, მომდევნო სამშაბათს კი შენ გაემგზავრები და ერთმანეთს პარიზში შეხვდებით.

— ემილი, ამბობ, მირანდას „ესმისო"?! გამოტყდი, აბა, სინამდვილეში რა გითხრა? — ვერ ვიჯერებდი, რომ მირანდა ისეთ პროზაულ დაავადებას, როგორიც მონონუკლეოზია, საპატიო მიზეზად ჩათვლიდა და თავს ასე იოლად დაანებებდა ემილის, — ცოტა მაინც გამახალისე! ბოლოს და ბოლოს მომდევნო რამდენიმე კვირა ცხოვრება ოფიციალურ ჯოჯოხეთად უნდა მექცეს!

ემილიმ ამოიხვნეშა და ალბათ თვალებიც გადაატრიალა.

— მოკლედ, გაცოფებული იყო. სიმართლე გითხრა, მასთან არ მილაპარაკია, ხომ გესმის, მაგრამ ჩემმა ექიმმა მითხრა, თურმე დაჟინებით ეკითხებოდა, მონონუკლეოზი „ნამდვილად" დაავადება იყო თუ არა, მაგრამ, როცა პასუხი მოისმინა, გაგებით მოეკიდა საკითხს.

ხმამაღლა გავიცინე.

— ამაში დარწმუნებული ვარ, ემ, სრულიად დარწმუნებული. არაფერზე იდარდო, კარგი? შენ მხოლოდ გამოჯანმრთელებაზე იფიქრე, დანარჩენს მე მივხედავ.

— ყველაფრის სიას ელექტრონული ფოსტით გამოგიგზავნი, რომ არაფერი დაგავიწყდეს.

— ნუ გეშინია, არაფერი დამავიწყდება. ევროპაში შარშან ოთხჯერ იყო, ყველაფერი ჩაწერილი მაქვს. „ელიას-კლარკის" პირველ სართულზე ბანკის ფილიალიდან ნაღდ ფულს გამოვიტან და ევროში გადავცვლი, ამასთან რამდენიმე ათასი დოლარის ღირებულების სამოგზაურო ტალონებს ავიღებ და სამჯერ გადავამოწმებ სტილისტისა და ვიზაჟისტის მიღების საათებს, კიდევ რა? „რიცის" ადმინისტრაციასთან მოვაგვარებ, რომ ამჯერად მობილურის ნომრები უშეცდომოდ მისცენ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE Scanned by CamScanner

გავაფრთხილებ მძღოლებს, რომ ქუჩაში არ ალოდინონ. წინ. დაწინ ვიცი, თუ რომელ თანამშრომლებს დასჭირდებათ მისი განრიგის ცოდნა, თვითონვე გავაკონტროლებ, რომ განრიგს სამსახურში ყველა გაეცნოს. რა თქმა უნდა, მირანდას დეტალური ინფორმაცია ენდომება იმის შესახებ, როდის სწავლობს თუ თამაშობს ტყუპი, მოითხოვს ასევე მის სახლში მომუშავე პერსონალის განრიგებს. ხედავ? ასე რომ, არ იდარდო, ეს ყველაფერი ვიცი.

— ხავერდი და შარფები არ დაგავიწყდეს! — ეს ბოლო სიტყვები მექანიკურად, ხველებით მითხრა.

— აბა, რა! სიაში უკვე შეტანილი მაქვს.

სანამ მირანდა ჩაბარგდებოდა, უფრო სწორად, ვიდრე მისი ეკონომი ჩემოდნებს ჩაულაგებდა, მე და ემილი ხავერდის უზარმაზარ რულონებს ვყიდულობდით და მასთან სახლში ავვქონდა. იქ კი ეკონომთან ერთად იმგვარ ფორმასა და ზომაზე ვჭრიდით, რომ ყველა ნივთი თუ სამოსი, რომლის ნაღებასაც აპირებდა, ხავერდოვან ქსოვილში სათითაოდ გაგვეხვია. ხავერდის შეკვრებს კოხტად ვალაგდებდით „ლუის ვიტონის" ჩემოდნებში, რომელსაც ზემოდან დამატებით ვაფენდით ხავერდს. პარიზში ამობარგებისას მირანდა ხომ უხეშად ამოყრიდა და მიმოფანტავდა მათ. ჩემოდანში უმეტესი ადგილი ეკავა „ჰერმესის" ნარინჯისფერ ყუთებს თეთრი აბრეშუმის თითო შარფით, რომლებსაც მირანდა, სავარაუდოდ, დაკარგავდა, სადმე დატოვებდა ან უადგილო ადგილას დადებდა, ანაც უბრალოდ გადააგდებდა.

მთელი გულით ვცდილობდი, თანამეგრძნო ემილისთვის, ყურმილი გავთიშე და ლილის სანახავად გავედი. ამ დროს ის დივანზე იწვა, სიგარეტს ეწეოდა და კოქტეილის ჭიქიდან რაღაცას წრუპავდა, წყალი ნამდვილად არ იყო.

— მეგონა, აქ არ ვეწეოდით, — ვუთხარი, გვერდზე მივუჯექი და ფეხები ხის დაბალ მაგიდაზე შემოვაწყვე, ის ჩემმა მშობლებმა მოგვცეს.

— წინააღმდეგი არ ვარ, ისე გკითხე, მეგონა, შენი წესი იყო.

ლილი თქვენი მონა-მორჩილივით აქტიური მწეველი არ იყო. ის მხოლოდ მაშინ ეწეოდა, როცა სვამდა, მაგრამ სიგარეტს არასოდეს ყიდულობდა. დიდი ზომის საშინაო პერანგის გულისჯიბიდან „ქემელი სუპერლაითი" მოუჩანდა. ფეხზე

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩუსტიანი ფეხი მივარტყი და სიგარეტზე ვანიშნე. სანთებელასთან ერთად მომაწოდა.

— ვიცოდი, წინააღმდეგი არ იქნებოდი, — მითხრა და ნელა მოქაჩა, — რალაც დამრჩა და მოწევა კონცენტრაციაში მეხმარება.

— რა დაგრჩა? — ვკითხე, სიგარეტს მოვუკიდე და უკან გადაეგდე. წინა სემესტრში ძალიან ჩამორჩა, ამიტომ სასწავლო პროცესს რომ დასწეოდა და საერთო საშუალო ქულა დაეგროვებინა, ჩვიდმეტ საგანში უნდა მიელო ჩათვლა. ვუყურებდი, როგორ დაარტყა ნაფაზი და მას რალაც „არანყლისებრი" სასმელი დააყოლა. გზააბნეულს ჰგავდა.

მრავლისმეტყველად და მძიმედ ამოიოხრა, პირში სიგარეტგაჩრილი ლაპარაკობდა, ღერი ზევით-ქვევით მოძრაობდა და ნებისმიერ წუთს შეიძლება პირიდან ჩამოვარდნოდა. დაუბანელი, მოუნესრიგებელი თმითა და ჩამოდღაბნილი გაკიაჟით ისე გამოიყურებოდა, როგორც სატელევიზიო შოუს, „მოსამართლე ჯუდის" ბრალდებული (ან იქნებ — მომჩივანი, იქ ხომ ყველა კბილებჩაცვენილი, თმადაუბანელი, თვალებამოლამებული და ენაბლუა).

— აკადემიური ეზოტერიკული მიმართულების ჟურნალისთვის სტატია მაქვს მოსამზადებელი, თუმცა მას არასდროს არავინ წაიკითხავს. მაინც უნდა დავწერო, სათქმელი რომ მქონდეს, ჩემი სტატია სადღაც დაბეჭდილა-მეთქი.

— ცუდად ჟღერს. როდისთვის უნდა გქონდეს მზად?

— ხვალისთვის, — მიპასუხა გულგრილად. სულ არ ღელავდა.

— ხვალ? მართალს ამბობ?

თვალებით გამაფრთხილა, როგორც მისი მეგობარი, მის მხარეს უნდა ვყოფილიყავი.

— ჰო, ხვალ. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ რედაქტირებაზე პასუხისმგებელი „ფროიდისტი ბიჭია". როგორც ჩანს, არავის ანალვლებს ის ფაქტი, რომ ის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ასპირანტია და არა — რუსული ლიტერატურის. რედაქტორების სიმცირეა. რაც უნდა იყოს, სტატიას დროულად ვერ მივაწვდი. წავიდეს მაგის...

კიდევ ერთხელ მოსვა, შეეცადა, გემო არ გაესინჯა, მაგრამ მაინც დაიჯღლანა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ლილი, რა მოხდა? მეგონა, მართალი იყო, რამდენიმე
თვის წინ რაც მითხარი, მეგონა, თქვენ არ ჩქარობდით და ის
იდეალური ბიჭი იყო. რა თქმა უნდა, ასე იმ დღემდე ვფიქრობ-
დი, ვიდრე იმას არ მოათრევდი სახლში, მაგრამ... — კიდევ
ერთხელ მესროლა გამაფრთხილებელი მზერა, მაგრამ ამჯე-
რად თვალებში ბრაზი ჰქონდა. რამდენჯერმე მოვისურვე მას
„დარეხვილ პანკზე" დავლაპარაკებოდი, მაგრამ ერთმანეთის-
თვის გული რომ გადაგვეშალა, ან დრო არ გვქონდა, ანდა —
მარტონი არ ვრჩებოდით. მაგრამ როცა კი ამ თემაზე მასთან
დალაპარაკებას ვცდილობდი, ლილი სიტყვას ბანზე მიგდებდა,
ამიტომაც შევეშვი, არ მინდოდა უხერხულობა ეგრძნო. მშვენი-
ვრად იცოდა, რომ წმინდანი არ იყო, მაგრამ მაინც არ სურდა
ელიარებინა, რომ უზომოდ სვამდა და რომ ის ინციდენტიც მისი
სიმთვრალის ბრალი იყო.

— ჰო, მოკლედ, თურმე ერთ სალამოს მისთვის „ო-ბარიდან"
დამირეკავს და მუდარით მითხოვია შეხვედრა, — თვალებს
მარიდებდა, ხელში მუსიკალური ცენტრის პულტი ეჭირა
და ავტომატურად რთავდა „ჯეფ ბაკლის" სამგლოვიარო
სიმღერებს, რატომღაც ეს დისკი ჩვენს მუსიკალურ ცენტრში
ჩაცემენტებული იყო.

— მერე? შეგხვდა და დაგინახა, რომ სხვას ელაპარაკებოდი?
— ვცდილობდი ძალიან არ შემეწუხებინა შეკითხვებით ან საყვე-
დურნარევი ხმით არ მელაპარაკა. ნათელი იყო, თავში უამრავი
რამ უტრიალებდა. სწავლის და სმის პრობლემები, გაუთავებე-
ლი პაემნები ბიჭებთან. მინდოდა, გული გაეხსნა. ადრე არაფერს
მიმალავდა, რადგან ჩემ გარდა არავინ ჰყავდა, ბოლო ხანებში კი
ჩაიკეტა. რა უცნაური იყო, რომ ოთხი თვის განმავლობაში ერთ-
მანეთთან გულახდილი საუბარი არ გვქონია.

— არა, ასეც არ იყო, — თქვა მწარედ, — „მორნინგსაიდ ჰეი-
თიდან" ჩემი თხოვნით მოვიდა და მე იქ არ დავხვდი. ჩანს, მობი-
ლურზე დამირეკა და მას კენიმ უპასუხა, უხეშად.

— ვინ არის კენი?

— ვინ და ის, სახლში რომ მოვათრიე, გახსოვს?

— აჰ, როგორც ვხვდები „ფროიდისტ ბიჭს" ეს სულაც არ
მოეწონა?

— ასე იყო. მოკლედ, დასაკარგი ჯობს ადრე დაიკარგოს,
ასე არ არის? — წამოდგა, სამზარეულოში შევიდა და დავინახე,

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ქეთელ ვანის“ ნახევრად დაცლილი ბოთლიდან არაყი როგორ დაისხა, ცოტა გაზიანი სასმელი ჩაუმატა და უკან შემობრუნდა.

გადავწყვიტე, რაც შეიძლება ფრთხილად მეკითხა, თუ რატომ სვამდა არაყს ნაცვლად იმისა, რომ სტატიაზე ემუშავა. იუნებ მოესწრო კიდეც მისი რედაქციაში მიტანა მომდევნო დღეს. სწორედ ამ დროს სადარბაზოდან კონსიერჟის ზარი გაისმა.

— ვინ არის? — ლილაკს თითი მივაჭირე და ჯონს ვკითხე.

— მისტერ ფაინემანს მის საქსის ნახვა სურს, — ძალიან ოფიციალურად მიპასუხა, სხვების დასანახად ასე ლაპარაკობდა.

— მართლა? მმ, ძალიან კარგი, სთხოვეთ.

ლილიმ შემომხედა, წარბები ასწია და მივხვდი, რომ საუბარს ისევ ვერ დავასრულებდით.

— ძალიან გახარებულიც არ ჩანხარ, — ჩაეცინა, — შეყვარებულის მოულოდნელმა სტუმრობამ არ გაგახარა, ასეა?

— რა თქმა უნდა, გამიხარდა, — ვუპასუხე, მაგრამ ორივემ ვიცოდით, რომ ვტყუოდი.

ბოლო რამდენიმე კვირა ჩემსა და ალექსს შორის დაძაბულობამ იმატა, საკმაოდ იმატა. ოთხწლიანი არაჩვეულებრივი რომანტიკული ურთიერთობის შემდეგ ერთმანეთს იმდენად კარგად ვიცნობდით, რომ ვხვდებოდით, რისი მოსმენა გვსურდა ერთს ან მეორეს. როცა მე სამსახურში ვიყავი, ის სკოლაში დამატებით საათებს იღებდა, ითავსებდა სპორტის მასწავლებლის, კლასის დამრიგებლის ფუნქციებს, გაკვეთილების შემდეგ, როგორც მოხალისე რჩებოდა ხოლმე და ჩამორჩენილ ბავშვებს მეცადინეობაში ეხმარებოდა, მხარს უჭერდა კარგ იდეებსა და ინიციატივებს და როდესაც, საბოლოოდ, ერთმანეთს ვხვდებოდით, უკვე ისე გამოვიყურებოდით, როგორც ორმოცი წლის ცოლ-ქმარი. უსიტყვო შეთანხმება გვქონდა, რომ ჩემი მუშაობის წლისთავზე ყველაფერი ძველ კალაპოტს დაუბრუნდებოდა, მაგრამ გავურბოდით იმაზე ფიქრს, თუ რა სახეს მიიღებდა ამასობაში ჩვენი ურთიერთობა. ორი ყველაზე ახლობელი ადამიანი — ჯილი (რომელმაც შუალამისას იმისთვის დამირეკა, რომ ჩემსა და ალექსის გართულებულ კავშირზე გველაპარაკა) და ლილი — დაუფარავად მიმანიშნებდნენ, რომ მე და ალექსმა ყურებამდე შეყვარებული წყვილის შეხედულება

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

დავკარგეთ. უნდა ვალიარო, რომ ლილიმ, თავისი აზროვნებისა და შეხედულებების მიუხედავად, ჩვენს ურთიერთობაზე სიმართლე მითხრა. გულის სილრმეში ალექსის სტუმრობა სულ არ გამხარებია. არ ვიცოდი, როგორ მეთქვა, რომ ევროპაში მივდიოდი, გული მისკდებოდა იმ მოსალოდნელი ჩხუბის გამო, რომელიც გარდაუვალი იყო. ვცდილობდი, ეს უსიამოვნო საუბარი რამდენიმე დღით მაინც გადამედო. სულ ტყუილად. ალექსი უკვე კართან იდგა და აკაკუნებდა.

— გამარჯობა! — ძალზე არაბუნებრივად შევძახე და მოვეხვიე — როგორი სასიამოვნო მოულოდნელობაა!

— წინააღმდეგი ხომ არ ხარ, ასე მოულოდნელად რომ შემოგირბინე? მაქსს შევხვდი აქვე, კაფეში, ლუდი დავლიეთ, ჰოდა, ვიფიქრე, შევუვლი, მოვიკითხავ-მეთქი.

— რა თქმა უნდა, არ ვარ წინააღმდეგი, სულელო! პირიქით, ძალიან გამახარე, შემოდი, — ვხვდებოდი, არანორმალურივით ვლაპარაკობდი, ამას სავარძელში მოკალათებული ნებისმიერი ფსიქოლოგი მიხვდებოდა, რადგან გადამეტებული ენთუზიაზმით ვცდილობდი შინაგანი მღელვარების დამალვას.

ლუდის ბოთლს ხელი ვტაცე, ლილის ლოყაზე ვაკოცე და ღიანარინჯისფერ სავარძელში მოვკალათდი, ჩემმა მშობლებმა ეს სავარძელი სამოცდაათიანებიდან იმ იმედით შეინახეს, რომ ოდესმე შთამომავლობას გადასცემდნენ.

— აბა, რა ხდება? — მკითხა და მუსიკალურ ცენტრზე მანიშნა, „ალილუიას“ გულისგამაწვრილებელი ვერსია ისმოდა.

ლილიმ მხრები აიჩეჩა.

— კონცენტრაციაში მეხმარება. რა იყო?

— მოკლედ, რაღაც ახალი ამბავი მაქვს სათქმელი — შევეცადე მხიარული ხმით მეთქვა, ვცდილობდი საკუთარი თავიც და ალექსიც დამერწმუნებინა, რომ ახალი ამბავი მართლაც სასიამოვნო იყო. ალექსს უზომოდ ახარებდა, რომ უნივერსიტეტის დამთავრების წლისთავისადმი მიძღვნილი ბანკეტისთვის ყველაფერი მზად ჰქონდა, მე კი ახლა უნდა მეთქვა, რომ წასვლას ვერ შევძლებდი. გეგმების შესაცვლელად მას კვირაზე ოდნავ მეტი დრო რჩებოდა. მთელი ღამე იმაზე ლაპარაკში გავატარეთ, თუ ვის დავპატიჟებდით კვირას დიდ სადილზე, ისიც კი ვიცოდით, სად და ვისთან გავატარებდით დროს შაბათს, „ბრაუნ-დართმაუთის“ თამაშის წინ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

ერთხანს ორივე უცნაურად მიყურებდა, ბოლოს ალექსმა მკითხა.

— ჰო? აბა, რა ხდება?

— მოკლედ, ახლახან დამირეკეს და მითხრეს, რომ ერთი კვირით პარიზში მივდივარ! — იმ გინეკოლოგს ვგავდი, რომელიც უნაყოფო წყვილს ატყობინებს, რომ მალე ტყუპი შეეძინებათ.

— სად მიდიხარ? — მკითხა გაოცებულმა ლილიმ, მაგრამ დიდი ინტერესი არ გამოუხატავს.

— რატომ მიდიხარ? — მკითხა ალექსმა ლილისთან ერთად, რომელსაც ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მეთქვას, სიფილისი მჭირს-მეთქი.

— ემილის მონონუკლეოზი შეეყარა და მირანდას სურს, რომ მის ნაცვლად პარიზის მოდის კვირეულზე მე წავიდე. ხომ კარგია? — სახეზე სიმწრის ღიმილი დამედო. საშინელებაა. ძლივს დავაჯერე თავი, რომ იქ წასვლა საუკეთესო შესაძლებლობა იყო, მაგრამ ალექსის დარწმუნება იმავეში გაცილებით ძნელი აღმოჩნდა.

— არ მესმის. ნუთუ წელიწადში ათასჯერ დადის ჩვენებებზე? — მკითხა ალექსმა. თანხმობის ნიშნად თავი დავუკარი, — და რატომ დასჭირდი შენ ახლა, ასე მოულოდნელად?

ლილიმ ხელში „ნიუ-იორკერი" აიღო და ინტერესით შეუდგა მის თვალიერებას. ჟურნალის ბოლო ხუთი წლის ყველა ნომერი მქონდა.

— ყოველ წელს, პარიზში, ზაფხულის მოდის კვირეულის დასრულების შემდეგ, მირანდა დიდ წვეულებას მართავს და ამისთვის ამერიკელი თანაშემწე სჭირდება.

— ჰოდა, ეს ამერიკელი თანაშემწე შენ უნდა იყო, და ამის გამო კურსდამთავრებულთა ბანკეტი გააცდინო, ასეა? — მტკიცე ხმით დაასკვნა ალექსმა.

— ჰო, თუმცა ჩვეულებრივ ასე არ ხდება ხოლმე, ეს ძალიან დიდი პრივილეგიაა, მას ყოველთვის უფროსი თანაშემწე მიჰყავება, მაგრამ ემილი ავად გახდა და მის ნაცვლად მე მიწევს წასვლა. სამშაბათს მივფრინავ, ამიტომ უქმეებზე პროვიდენტში ვერ წამოვალ. ძალიან, ძალიან ვწუხვარ ამის გამო, — ვუთხარი და სკამი მისკენ მივწიე, რომ ახლოს ვყოფილიყავი, მაგრამ ალექსი უმალვე დაიძაბა.

— მოკლედ, ყველაფერი ასე მარტივადაა, არა? არადა სასტუმროში ნომერი უკვე ავიღე, თანხა გადავიხადე, იმაზე აღა-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

რაფერს ვამბობ, რომ მთელი კვირის განრიგი შევცვალე, დე-
დაჩემს ვუთხარი, ძიძა აეყვანა, რადგან მე ვერ ჩავიდოდი, და
ეს ყველაფერი იმიტომ, რომ იქ წასვლა შენ ასე ძალიან გინ-
დოდა. არა უშავს, არა? „პოდიუმის" მორიგი სასწრაფო საქმე.

მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ერთად ვიყავით, ალე-
ქსი ასეთი გაბრაზებული არ მენახა. ლილიმ კითხვა შეწყვიტა,
მოგვიბოდიშა და ოთახიდან გასვლით თავს უშველა, რადგან იქ
მალე ომი გაჩაღდებოდა.

შევეცადე კალთაში ჩავჯდომოდი, მაგრამ მან ფეხები გა-
დააჯვარედინა და ხელი გააქნია.

— სერიოზულად, ანდრეა... — ასე მაშინ მომმართავდა,
როცა ჩემზე ძალიან გაბრაზებული იყო, — ნუთუ ეს ყველაფე-
რი ამად გიღირს? ერთი წამი მაინც იყავი ჩემთან გულწრფელი.
გიღირს?

— რას გულისხმობ? კურსდამთავრებულთა ბანკეტი, რო-
მელიც კიდევ ათჯერ გაიმართება, მიღირს თუ არა სამსახუ-
რად? სამსახურად, რომელიც ისეთი შესაძლებლობების კარს
გამიღებს, რომელზეც ვერც კი ვიოცნებებდი და თან გაცი-
ლებით უფრო ადრე, ვიდრე წარმომედგინა? ჰო! მიღირს. წა-
მით თავდახრილი იჯდა, მეგონა ტიროდა, მაგრამ როდესაც
თავი ასწია, სახეზე გააფთრება ეწერა, — შენ რა, გგონია, რომ
შენთან ყოფნას ვიღაცის ოცდაოთხსაათიანი ხელქვეითობა
მირჩევნია? — ვკიოდი, სულ გადამავიწყდა, რომ ლილი სახლში
იყო, — წამით არ დაგიშვია, რომ იქ წასვლა სულაც არ მინდა,
მაგრამ სხვა გზა არ მაქვს?

— სხვა გზა არ გაქვს? უამრავი გზა გაქვს, ენდი! ეს უკვე
სამსახური აღარ არის, უკვე ვეღარც ამჩნევ, რომ მას მთელი
შენი ცხოვრება მიაქვს! — დამილრიალა, სახე, ყურები და კი-
სერი გასწითლებოდა. სხვა დროს ვიფიქრებდი, რომ ის ძალიან
საყვარელი იყო, სექსუალურიც კი, მაგრამ იმ საღამოს უბრა-
ლოდ ძილი მინდოდა.

— ალექს, მისმინე...

— არა, შენ მისმინე! წამით დაივიწყე, არა მგონია, გაგიჭირ-
დეს, მაგრამ მაინც, დაივიწყე, რომ ერთმანეთს პრაქტიკულად
ველარ ვხვდებით, რადგან შენ სულ სამსახურში ხარ და ბოლო
არ უჩანს შენს „სასწრაფო გამოძახებებზე" სირბილს. შენს მშო-
ბლებზე რას იტყვი? ბოლოს როდის ნახე ისინი? შენი და? ხვ-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

დები მაინც, რომ პირმშო შეეძინა და საკუთარი დისშვილი არც კი გინახავს? განა ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს შენთვის? — ხმას დაუწია და ჩემკენ გადმოიხარა, ვიფიქრე, ბოდიშის მოხ-დას აპირებს-მეთქი, — ლილიზე რას იტყვი? ნეტა თუ ამჩნევ, რომ შენი დაქალი სერიოზული ლოთია? — ეტყობა, იმდენად შოკირებული გამომეტყველება მქონდა, რომ ისევ კითხვით მომმართა, — არ მითხრა, რომ არ შეგიმჩნევია, ენდი, ბრმა უნდა იყო, ეს რომ ვერ დაინახო.

— ჰო, რა თქმა უნდა სვამს, ისევე როგორც შენ, მე და კი-დევ სხვები. ლილი სტუდენტია და სტუდენტები სვამენ ხოლ-მე, ალექს. რა არის ამაში უცნაური? — როდესაც ეს ხმამაღლა ნარმოვთქვი, საშინლად გამომივიდა. მან თავი გააქნია. რამდე-ნიმე წუთით ჩუმად ვისხედით.

— ვერაფერი გაგაგებინე, ენდი. არ ვიცი, ეს როგორ მოხ-და, მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ აღარ გიცნობ. ჩემი აზრით, ერთმანეთისგან უნდა დავისვენოთ.

— რაა? რის თქმას აპირებ? დავშორდეთ? — ვკითხე მას შემდეგ, რაც მივხვდი, თუ რამდენად სერიოზულად ლაპარაკობდა.

ალექსი ისეთი საყვარელი, გამგები, მხარში მდგომი ადა-მიანი იყო, ამას მივეჩვიე და მიმაჩნდა, რომ ეს ასეც უნდა ყო-ფილიყო, — ჩემთვის უნდა ესმინა, მძიმე დღის ბოლოს რჩევა მოეცა, გავემხიარულებინე, მაშინაც კი, როცა სხვები თავს მა-რიდებდნენ. ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ სანაცვლოდ მე ძალიან ცოტას ვაძლევდი.

— არა, სულაც არა. კი არ დავშორდეთ, უბრალოდ ცოტა ხანი აღარ შევხვდეთ. ჩემი აზრით, ორივესთვის ასე აჯობებს, მდგომარეობას გადავაფასებთ. ბოლო დროს ჩემით დიდად კმაყოფილი არ ხარ და მეც იგივე შემიძლია ვთქვა შენზე. იქნებ ცოტა ხნით დაშორება მოგვიხდეს კიდეც.

— მოგვიხდეს? შენი აზრით, „მოგვიხდება“? — ამ ბანალუ-რი სიტყვების გამო კივილი მინდოდა. იმის თქმა, რომ „ერთ-მანეთისგან დასვენება“ ერთმანეთთან დაახლოებაში დაგ-ვეხმარებოდა, თან სწორედ იმ დროს, როცა წლის ბოლო იყო, „პოდიუმში“ სასჯელის მოხდა მთავრდებოდა და დღეები მრჩე-ბოდა ნამდვილი კარიერის დაწყებამდე, — მისი მხრიდან ძალზე ეგოისტურად ჟღერდა. სინდისის ქენჯნა, წუთის წინ რომ ვგრძ-ნობდი, გაბრაზებამ შეცვალა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— კარგი, ნულარ შევხვდებით, — დამცინავად და მწარედ წარმოვთქვი, — დავისვენოთ. მშვენიერი აზრია.

დიდრონი ყავისფერი თვალებით მომაჩერდა, მათში დიდი გაოცება და წყენა იკითხებოდა, შემდეგ თვალები დახუჭა, ალბათ ჩემი სახის დავიწყებას ცდილობდა:

— კარგი, ენდი. თავს აღარ შეგაწყენ და წავალ. პარიზში კარგი დროის ტარებას გისურვებ. გულით. შეხვედრამდე, — მითხრა და სანამ მივხვდებოდი თუ რა ხდებოდა, ლოყაზე მაკოცა, ისე როგორც ლილის ან საკუთარ დედას აკოცებდა და კარისკენ გაემართა.

— ალექს, იქნებ გველაპარაკა? — ვკითხე, რაც შეიძლება მშვიდი ხმით, თან იმაზე ვფიქრობდი, მართლა თუ წავიდოდა.

შემოტრიალდა და სევდიანად გამიღიმა.

— ამ საღამოსთვის საკმარისია, ენდი. ბოლო რამდენიმე თვე უნდა გველაპარაკა, მთელი წელი და საქმე აქამდე არ მიგვეყვანა. დაფიქრდი ყველაფერზე, კარგი? რამდენიმე კვირაში დაგირეკავ, როცა დაბრუნდები და დამშვიდდები. წარმატებები პარიზში! ვიცი, რომ კარგად იქნები, — მითხრა, კარი გააღო, გავიდა და ჩუმად გაიხურა.

ლილის ოთახში შევვარდი. მინდოდა ეთქვა, რომ ალექსს ზედმეტი მოუვიდა, რომ პარიზში წასვლა გამართლებული ნაბიჯი იყო, რომ ჩემი მომავლისთვის ასე ჯობდა, რომ გალოთება არ ემუქრებოდა, რომ გასაკიცხი არ ვიყავი იმის გამო, რომ ჩემი ახალდაბადებული დისშვილი ნანახი არ მყავდა, მაგრამ ლილის, თანაც ჩაცმულს, ღრმა ძილით ჩასძინებოდა, გვერდითა ტუმბოზე კოქტეილის ჭიქა იდგა. „ტოშიბას“ გაშლილი ლეპტოპი გვერდით ედო. დავინტერესდი, ნეტა რამე თუ დაწერა-თქო. ჩავიხედე და, ბრავო! მხოლოდ სახელი, გვარი, კლასის ნომერი, პროფესორის სახელი და სტატიის სავარაუდო სახელწოდება: „მწერლისადმი სიყვარულის ფსიქოლოგიური ასპექტები“ — დაეწერა. ხმამაღლა გამეცინა, მაგრამ ის არც კი განძრეულა. კომპიუტერი მაგიდაზე გადავდე, მაღვიძარა დილის შვიდ საათზე დავაყენე და გამოსვლამდე ოთახში შუქი ჩავაქრე.

ჩემს საძინებელში რომ შევედი, მობილურის ხმა გავიგონე. როცა ის მირეკავდა ხოლმე, გული მიჩქარდებოდა. მობილური გავხსენი, ალექსი მეგონა. ვიცოდი, რომ ასე ვერ დამშორდებო-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

და. ეს ის ბიჭი იყო, რომელიც ძილის წინ მუდამ მკოცნიდა, ტკ-
ბილ სიზმრებს მისურვებდა. ვიცოდი, რომ უბრალოდ გაბრაზე-
ბული იყო და დიდი ხნით დაშორებას ვერ შეეგუებოდა, გული
ვერ გაუძლებდა.

— გამარჯობა, პატარავ, — ვუთხარი და ამოვისუნთქე,
უკვე ძალიან მენატრებოდა. თუმცა მაინც მიხაროდა, რომ
ტელეფონზე ველაპარაკებოდი და არა პირისპირ. თავი და
მხრები საშინლად მტკიოდა და უბრალოდ მისგან იმის მოსმე-
ნა მინდოდა, რომ ეს ყველაფერი დიდი შეცდომა იყო და ხვალ
ძველებურად დამირეკავდა, — გამიხარდა, რომ დამირეკე.

— პატარავ? ნუთუ წინსვლა გვაქვს, ენდი? ფრთხილად,
თორემ ვიფიქრებ, რომ ჩემთან ყოფნა გინდა, — ხავერდოვანი
ხმით მითხრა კრისტიანმა, ვიცოდი, რომ იღიმოდა, — მეც გა-
მიხარდა, რომ დაგირეკე.

— ოჰ, შენ ხარ?

— ეს კი აღარ მომწონს, ყველაზე ცივი სალამია, რაც კი ოდეს-
მე მიმილია! რა ხდება, ენდი? ბოლო დროს სულ გამირბიხარ!

— რა თქმა უნდა, არა — მოვიტყუე, — უბრალოდ ცუდი
დღე მქონდა, როგორც ყოველთვის. აბა, რა ხდება?

გაეცინა.

— ენდი, ენდი, კარგი რა! მოწყენის მიზეზი არ გაქვს.
ნინ დიდი საქმეები გელის. ჰო, მართლა, იმის გამო გირეკავ,
რომ მინდა „პენის" დაჯილდოების ცერემონიაზე დაგპატი-
ჟო, ის ხვალ საღამოსაა. უამრავი საინტერესო ადამიანი მოი-
ყრის თავს, თანაც შევხვდებით კიდეც, წმინდა პროფესიული
თვალსაზრისით, რა თქმა უნდა.

როგორც „კოსმოს" ერთგულ მკითხველს, რომელსაც საკ-
მაოდ ბევრი სტატია მქონდა წაკითხული სახელწოდებით —
„როგორ მივხვდეთ მზად არის თუ არა ერთგულებისთვის", წე-
სით, ჩემს თავში ანთებული გამაფრთხილებელი ნათურისთვის
ყურადღება უნდა მიმექცია, მაგრამ მისი უგულებელყოფა ვარ-
ჩიე. ძალიან გრძელი დღის შემდეგ თავს უფლება მივეცი მე-
ფიქრა, — რამდენიმე წუთით — რომ ის შესაძლოა, შესაძლოა,
მართლაც გულწრფელი ყოფილიყო. ჯანდაბა! მსიამოვნებდა,
რომ ჩემდამი არაკრიტიკულად განწყობილ მამაკაცთან ვსაუ-
ბრობდი, ის ვერაფრით ეგუებოდა იმას, რომ მე უკვე დაკავე-
ბული ვიყავი. მის მიწვევას არ დავთანხმდებოდი, მაგრამ ტე-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლეფონში გაბმული ფლირტის რამდენიმე უცოდველი წუთით არაფერს დავაშავებდი.

— ნუთუ მართლა? — მხიარულად ვკითხე, — აბა გისმენ.

— გინდა ჩამოგითვალო მიზეზები, რატომაც უნდა წამოხ-ვიდე ამ სალამოზე? პირველი მარტივია: ვიცი, რომ ძალიან მო-გეწონება. ნერტილი.

ღმერთო! რა ქედმაღალი იყო და მაინც რატომ მომწონდა ასე?

თამაში გავაგრძელეთ და ჩემი დამოკიდებულება პარიზში გამგზავრებასთან, არყისადმი ლილის საშინელ მიდრეკილებას-თან და ალექსის სევდიან თვალებთან, სულ რამდენიმე წუთში ემოციურად საშიშ, მაგრამ უდავოდ სექსუალურ და მხიარულ კრისტიანთან საუბრის ფონზე სრულიად გაუჩინარდა.

16

გეგმის მიხედვით, მირანდა ევროპაში ჩემზე ერთი კვირით ადრე გაფრინდა. მილანის მოდის კვირეულზე იგი ორი ადგი-ლობრივი თანაშემწით დაკმაყოფილდა. პარიზში კი დილით ერთდროულად უნდა ჩავფრენილიყავით და შეხვედრისთანავე წვეულების დეტალები შეგვეთანხმებინა, როგორც დიდი ხნის მეგობრებს. ჰა! „დელტამ" უარი განმიცხადა, ბილეთზე ემილის სახელი ჩემით შეეცვალა, ნერვების შლას, გადავწყვიტე, უბრა-ლოდ ახალი ბილეთი მეყიდა. ვინაიდან პარიზში მოდის კვირეუ-ლი იმართებოდა, მე კი ბილეთს ბოლო წუთებში ვყიდულობდი, ის ათას შვიდასი დოლარი დამიჯდა. კორპორაციული ბარათის გამოყენებამდე წამით შევყოვნდი. სასაცილო იყო. მირანდა ამ თანხას, თმასა და მაკიაჟზე, კვირაში ხარჯავდა.

როგორც მირანდას უმცროს თანაშემწეს, „პოდიუმში" ყვე-ლაზე დაბალი პოზიცია მეკავა. თუმცა, თუ ძალაუფლების თვალსაზრისით შევხედავდით, გამოდიოდა, რომ მოდის სამყა-როში მე და ემილი ყველაზე გავლენიანი თანამშრომლები ვიყა-ვით: ჩვენ ვწყვეტდით, ვინ და რა დროს შეხვდებოდა მირანდას (შეხვედრას ყველა დილით ამჯობინებდა, რადგან ვარცხნილო-ბა და მაკიაჟი ახალი ჰქონდათ, სამოსი მოწესრიგებული), რო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

ველ შეტყობინებას გადავცემდით (თუ თქვენი სახელი ბიულეტენში შეტანილი არ იყო, თქვენ უბრალოდ არ არსებობდით).

ასე რომ, თუკი რომელიმე ჩვენგანი ითხოვდა დახმარებას, მთელი „პოდიუმი" ფეხზე იდგა. გეთანხმებით, რა თქმა უნდა, სასიამოვნო არ იყო იმის ცოდნა, რომ მირანდა პრისტლის თანაშემწეობა რომ არა, იგივე ხალხი ალბათ თავიანთი ძვირფასი მანქანებით ზედ გადაგვივლიდა, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ მასთან ვმუშაობდით, საჭიროების შემთხვევაში საკმარისი იყო ერთი სატელეფონო ზარი და ჩვენს დასახმარებლად კარგად გაწვრთნილი მწევრებივით გამორბოდნენ. ჟურნალის მომდევნო ნომერზე მუშაობა შეჩერდა, ყველას ყურადღება იქით იყო მიმართული, რომ „შესაფერისად" მცმოდა პარიზში. მოდის განყოფილების სამმა თანამშრომელმა საჩქაროდ შეადგინა ჩემი გარდერობი, რომელიც პარიზული ღონისძიებებისთვის აუცილებელ ყველა წვრილმანს შეიცავდა, სახლში წასვლამდე კი ლუსიამ, მოდის განყოფილების რედაქტორმა, პირობა მომცა, რომ ჩემს განკარგულებაში არა მარტო ის მრავალფეროვანი სამოსი იქნებოდა, არამედ ილუსტრირებული ალბომიც, რომელშიც პროფესიონალურად და დაწვრილებით წარმოადგენდნენ ფერთა შეხამების წესებსა და ზემოხსენებული სამოსის კომბინაციებს, რათა ყველაფერი გამეთვალისწინებინა და ჩემ გამო ევროპაში სირცხვილი არ ეჭამათ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არჩევანის უფლება ჩამომერთვა: მათი მითითებით თუ გამოვეწყობოდი, იქნებ ქალს დავმსგავსებოდი კიდეც. თუმცა ამის ნაკლებად მჯეროდა.

და იმ შემთხვევაში, თუ მირანდასთან ერთად ბისტროში შესვლა, მზრუნველ დედიკოსავით კუთხეში ჩუმად დგომა მომიწევდა, სანამ ის ბორდოს წრუპავდა, — მაშინ? — ასეთი შემთხვევისთვის „ფიერის" მუქი ნაცრისფერი, ტოტებაკეცილი შარვალი და „სელინის" შავი, აბრეშუმის დახურული ზედა გამომადგებოდა. ან — თუ ჩოგბურთს ითამაშებდა, მე კი კლუბში უნდა ვმჯდარიყავი, რომ ყოველ დასტვენაზე წყალი ან თეთრი შარფი მიმეწოდებინა მისთვის? — ამ შემთხვევისთვის საჭირო იყო შესაბამისი ეკიპირება: სპორტული ბრიჯი, კაპიუშონიანი (მოკლე, ჭიპის გამოსაჩენი) ჟაკეტი ელვაშესაკრავით, შიგნით კი ას ოთხმოცდახუთი დოლარის ღირებულების ბოქსიორის

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაისური და ზამშეს ბოტასი, და ყველაფერი ეს — „პრადასგან“. და თუ მართლა, უბრალოდ მართლა, შევძლებდი, როგორც ამას ყველა მიმტკიცებდა, და დეფილეების წინა რიგებში აღმოვჩნდებოდი, — მაშინ? ამისთვის უსასრულოდ დიდი არჩევანი უკვე ამ წუთებშივე (ორშაბათი, საღამო) მქონდა: ჩემი რჩეული „ანა სუის“[84] პლისექვედაბოლო — „სკოლის მოსწავლე“, „მიუ მიუს“[85] ძალიან თხელი, თითქმის გამჭვირვალე, მოქარგული თეთრი ბლუზა, „კრისტიან ლუბუტენის“[86] გამომწვევი შუზები, დაბოლოს „კატაიონ ადელის“ ტყავის ქურთუკი, რომელსაც ეპატაჟის ზღვართან მივყავდი. ჩემი „ექსპრესის“ ჯინსები და „ფრანკო სარტოს“ [87] ფეხსაცმელი კარადაში თვეობით დებისგან უკვე მტვერს დაეფარა და უნდა გამოვტყდე, მათი ჩაცმის სურვილი აღარც მქონდა.

დავრწმუნდი, რომ ელისონი, სილამაზის განყოფილების რედაქტორი, ამ თანამდებობას მართლა იმსახურებდა, პრაქტიკულად ამ პროფესიით ცხოვრობდა. ოცდაოთხსაათიანი მტკიცების შემდეგ, როგორც იქნა, დამარწმუნა, რომ მაკიაჟი აუცილებლად დამჭირდებოდა, მეტიც, კოსმეტიკის მიმართულებით უმნიშვნელოვანესი მითითებები და რჩევები მომცა. კოსმეტიკის „პატარა ჩემოდანში“ (რომელიც იმ ბორბლებიან ჩემოდანს უფრო ჰგავდა, ავიაკომპანიები სალონში შეტანის ნებას რომ არ გრთავენ) ყველა ტიპის თვალის ჩრდილი, ლოსიონი, ტუჩის პრიალა საცხი, თვალის ლაინერი და სხვა დანარჩენი კოსმეტიკური საშუალება ჩამილაგა. მათ შორის გლუვი თუ ბზინვარე ეფექტის მქონე, ულტრამდგრადი თუ გამჭვირვალე ტუჩსაცხები, ექვსი სხვადასხვა ფერის ტუში, დაწყებული ღიალურჯიდან, დამთავრებული ნახშირივით შავამდე, მასთან ერთად წამწამების ასაპრეხი და ორი ფუნჯი იმ შემთხვევისთვის, თუ წამწამები ერთმანეთს მიეწებებოდა (ვერ გავიგე?).

კოსმეტიკური შეკვრის ნახევარი პუდრებსა და ტონალურ საცხებს ეკავა. კანის გასანაზებლად თუ ნაკლოვანებების დასაფარავად თვალის კორექტორების, ტონალური კრემებისა და რუჯის ფერთა ისეთი მრავალფეროვნება იყო წარმოდგენილი, რომ საუკეთესო მხატვრის პალიტრაზეც ვერ იხილავდით. საღებავებიდან, ზოგი რუჯის ეფექტს ქმნიდა, ზოგიც ამა თუ იმ ნაკვთს გამოკვეთდა, ზოგიერთი კი კანს არისტოკრა-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტულ სიმკრთალეს სძენდა. ჯანმრთელი, ღაწვებშეფაკლული ეფექტის მისაღწევად შემეძლო თხევადი, მყარი, პუდროვანი ან კომბინირებული საშუალებები გამომეყენებინა, თუმცა ამათგან ყველაზე შთამბეჭდავი მაინც ტონალური საღებავი იყო. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ვილაცას ჩემი სახის კანის ნიმუში აეღო და სხვადასხვა კოსმეტიკური საშუალებით დაემუშავებინა. ტონალური გამოიყენებოდა კანისთვის ბზინვარების მისაცემად ან გამონაყარის დასაფარავად. ნებისმიერი შემთხვევისთვის ჩემი კანის შესაფერი ტონალური საღებავი პატარა ბოთლით შეირჩა, რომლის წასმის შემდეგაც კანი გაცილებით ნაზად გამოიყურებოდა. რამდენიმე პატარა კოსმეტიკურ ჩანთაში სხვადასხვა ნივთი ჩამილაგეს: ბამბის ქულები და ჩხირები, ხელსახოცები, მაკიაჟის ღრუბლები, ათობით სხვადასხვა ზომის ფუნჯი, სველი ხელსახოცები, ორი სხვადასხვა ტიპის მაკიაჟის გამწმენდები (დამატენიანებელი, არაზეთოვანი) და კანის დამატენიანებლები (სახის, ტანის, მასტიმულირებელი, მზისგან დამცავი, ბზინვარე, კომბინირებული, სურნელოვანი, ნაკლებსურნელოვანი, განსაკუთრებულად მგრძნობიარე კანისთვის, ალფაჰიდროქსიდით, ანტიბაქტერიული — არანაკლებ თორმეტი სახეობისა, გესმით, თორმეტი სახეობის!) და თუ შემთხვევით პარიზული ღრუბლიანი ამინდი მწველი მზიანი დღით შეიცვლებოდა, „ალოე ვერას“ საცხი საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა ჩემთვის.

„პატარა ჩემოდნის“ ერთ-ერთ ჯიბეში საილუსტრაციო ფოტოები იდო. მათზე სახეები სპეციალურად იყო გადიდებული, რომ მაკიაჟის დადების მექანიზმები და თანამიმდევრობა თვალსაჩინო ყოფილიყო ჩემთვის. ელისონმა ფოტოებს შესაბამისი წარწერები გაუკეთა. მაგალითად ერთ-ერთზე იკითხებოდა: „საღამოს მსუბუქი მაკიაჟი“, რომლის ქვემოთაც დიდად ეწერა: არაფორმალურ წვეულებაზე!! ყოველდღიურია!! „ყოველდღიური“ მაკიაჟი თხელი და გლუვი ეფექტის მქონე ტონალურს, მსუბუქად წასმულ ბრონზე-პუდრს, თხევად ან მყარ რუჯს, თვალის ძალზე სექსუალურ მუქ კონტურებსა და ჩრდილებს, ხოლო ნამწამებისთვის გიშრისფერ ტუშსა და ტუჩისფერ გამჭვირვალე პომადას გულისხმობდა. როცა ამოვიხვნეშე და ელისონს ვუთხარი, მსგავს მაკიაჟს ჩემით ვერასოდეს გავიკეთებ-მეთქი, ძალიან გამიბრაზდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

— საბედნიეროდ, ეს არც მოგიწევს — ისეთი გადაქანცული ხმით განმიცხადა, ვიფიქრე, ჩემს უვიცობას ნეტა როგორ უძლებს-მეთქი.

— მართლა? მაშინ რატომ მომეცი ეს ათობით „სახე" და მთელი ეს მოწყობილობა?

მისი გაცოფებული მზერა მირანდასას არაფრით ჩამოუვარდებოდა.

— ანდრეა, სერიოზულად. ეს ცოდნა საჭიროა მხოლოდ საგანგებო სიტუაციებისთვის — თუ მირანდა გთხოვს სადმე გაყოლას, შენი სტილისტი ან ვიზაჟისტი კი დაიგვიანებს, ან სულაც ვერ მოვა. ოჰ, კარგია, რომ გამახსენე! მინდა გაჩვენო სავარცხლები, რომლებიც ასევე ჩაგილაგე.

სანამ ელისონი ოთხი სხვადასხვა ტიპის მრგვალ სავარცხლებს მაჩვენებდა და ამიხსნიდა, თუ როგორ უნდა მომეწესრიგებინა თმა, მე მისი ნათქვამის გააზრებას შევეცადე. გამოდის, რომ საკუთარი სტილისტი და ვიზაჟისტი მეყოლება? როცა მირანდას პერსონალი შევარჩიე, ჩემთვის არავინ დამიქირავებია. სხვა გზა არ მქონდა, ელისონისთვის უნდა მეკითხა.

— პარიზის ოფისში, — მიპასუხა მან და ამოიოხრა, — შენ „პოდიუმის" წარმომადგენელი ხარ, მირანდა ამას ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს. შენ ყველაზე გლამურულ წვეულებებზე მოხვდები. როგორ გგონია, ამ ყველაფერს გაწვდები?

— არა, რა თქმა უნდა, არა. გაცილებით უკეთესია, თუ პროფესიონალი დამეხმარება. დიდი მადლობა.

ელისონმა დამატებით ორი საათი კიდევ მაყურყუტა, სანამ არ დარწმუნდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ თოთხმეტ სტილისტს ან ვიზაჟისტს რაიმე შეემთხვეოდა და ვერ მოვიდოდნენ, — მე მირანდას არ შევარცხვენდი, პომადასა და ტუშს ერთმანეთისგან გავარჩევდი, თმას გვერდებზე არ ავიპარსავდი და შემდეგ ყალყზე არ დავიყენებდი. როცა დავასრულეთ, ვიფიქრე, დრო მომეცა და სასადილოში ჩავირბენ, კალორიებით მდიდარ სუპს შევექცევი-მეთქი, მაგრამ ელისონმა ემილის ტელეფონი აიღო (რომელიც ადრე მას ეკუთვნოდა) და აქსესუარების განყოფილებაში სტეფთან დარეკა:

— გამარჯობა, ჩვენ დავასრულეთ, ახლა შენი ჯერია, ამოხვალ?

— მადროვეთ! მირანდას მოსვლამდე უნდა ვისადილო!

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელისონმა თვალები ემილივით გადაატრიალა. ნეტა ამ ადგილს ხომ არ ჰქონდა რაიმე მაგიური ძალა, რომელიც ადამიანებს უკმაყოფილების გამოხატვას ამგვარი ყესტით აიძულებდა?

— არა, შენთვის — არა, ანდრეას ვუთხარი, — უპასუხა და ნარბებანკეპილმა გაოცებით გადმომხედა, ზუსტად ისე, როგორც ემილიმ, — როგორც ჩანს, მოშივდა. ჰო, ვიცი, ვიცი, მაგრამ... ჭამას აპირებს.

სასადილოში ჩავედი, დიდი თეფშით ავიღე ბროკოლი ჩედერითა და ნაღებით. სამ წუთში უკან ავბრუნდი და აღმოვაჩინე, რომ მირანდა თავის სამუშაო მაგიდასთან იჯდა, ტელეფონით საუბრობდა და თან ყურმილი სახიდან ისე შორს ეჭირა, თითქოს წურბლებით ყოფილიყოს დაფარული. იმ საღამოს მილანში მიფრინავდა. ამ ამბავს გახარებული კინაღამ შევეწირე.

— ტელეფონი რეკავს, ანდრეა, მაგრამ როცა ვიღებ, ვინაიდან თქვენ აქ არ ხართ, არავინ მპასუხობს. შეგიძლიათ ეს ფენომენი ამიხსნათ? — მკითხა.

რა თქმა უნდა, ახსნა შემეძლო, მაგრამ მისთვის — არა. უიშვიათეს შემთხვევებში, როცა მირანდა მარტო რჩებოდა ოფისში და ზოგჯერ თვითონ პასუხობდა სატელეფონის ზარს, მისი ხმის გაგონებაზე დამფრთხალი ადამიანები ყურმილს ჰკიდებდნენ. ვინც მირანდასთან რეკავდა, სინამდვილეში მზად არ იყო მასთან სასაუბროდ, რადგან წინდაწინ იცოდა, რომ ამის შესაძლებლობა ნულის ტოლი იყო. ჩემს არყოფნაში ათობით ელექტრონული წერილი მივიღე, რედაქტორები თუ მათი თანაშემწეები მატყობინებდნენ, — თითქოს არ მცოდნოდა — რომ ყურმილს მირანდა იღებდა. „სად ხართ, გოგონებო? — ხალხი შეშფოთებული ჩანდა — ტელეფონს თავად პასუხობს“!!!

ამოვიკნავლე, რომ ხანდახან ყურმილს მეც მიკიდებდნენ, მაგრამ მირანდას ჩემი პასუხი აღარ აინტერესებდა, წვნიანით სავსე ფიალას მისჩერებოდა, იქიდან ცხიმი წვეთავდა. როგორც კი მიხვდა, რომ ფიალა მხოლოდ კი არ მეჭირა, მის დალევასაც ვაპირებდი, სახეზე ზიზღი დაეწერა.

— ახლავე გადაღვარეთ! — მიყვირა, — მისი სუნიც კი ცუდად მხდის.

შეურაცხყოფილმა წვნიანი ნაგვის ურნაში უსიტყვოდ გადავუშვი. ისევ გადაღვრილ კერძზე ვფიქრობდი, როცა მისმა ხმამ რეალობაში დამაბრუნა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

— მზად ვარ, მუშაობას შევუდგეთ! — შესძახა მას შემდეგ, რაც მშიერი დამტოვა და სკამის საზურგეს არხეინად მიეყრდნო — და როგორც კი დავასრულებთ, დაუყოვნებლივ სარედაქციო ჯგუფი მოიწვიეთ.

მის ყოველ სიტყვაზე გული მიჩქარდებოდა, რადგან არასდროს ვიცოდი, რას მომთხოვდა. შესაბამისად, მეშინოდა, რომ თავს ვერ გავართმევდი. გამომდინარე იქიდან, რომ მისი ყოველკვირეული შეხვედრების ორგანიზება ემილის ევალებოდა, შეხვედრების განრიგის გადასამოწმებლად მისი მაგიდისკენ გავქანდი. „სამ საათზე: შესარჩევი გადაღებები სედონაში. ლუსია და ჰელენა." ლუსიას შიდასატელეფონო ხაზით დავუკავშირდი და როგორც კი ყურმილი აიღო, სამხედრო მეთაურივით განვუცხადე:

— მზადაა.

ჰელენამ, ლუსიას თანაშემწემ, უსიტყვოდ გამითიშა. ვიცოდი, რომ ორივენი მირანდას ოფისისკენ უკვე მოემართებოდნენ. თუკი მომდევნო ოც-ოცდახუთ წამში არ გამოჩნდებოდნენ, მომიწევდა მომეძებნა და შემეხსენებინა, ცხადია, თუ შემთხვევით არ ემახსოვრებოდათ, რომ ნახევარი წუთის წინ ჩემი ზარი და სიტყვები „მზად არის" ნიშნავდა, რომ „ახლავე მზად არის". ეს სასჯელის ერთგვარი ფორმა იყო, ამას წვრილქუსლიან სტელეტოებზე სიარული ემატებოდა, — ნამდვილი წამება! სრულებით არ მახალისებდა სირბილი იმ ადამიანთა მოსაძებნად, რომელნიც მირანდას ამა თუ იმ კუთხეში ემალებოდნენ, თუმცა ყველაზე გაუსაძლისი მაშინ იწყებოდა, თუკი ჩემ მიერ ძებნილს საპირფარეშოში აღმოვაჩენდი. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რომელი სქესისთვის იყო განკუთვნილი საპირფარეშო, ეს უმოქმედობის მიზეზად არ გამომადგებოდა, ამიტომ შიგ შევარდნა და სათითაოდ ყველა განყოფილებაში ქვემოდან შეხედვა მიწევდა. თუ ფეხსაცმელს ამოვიცნობდი, თავაზიანად უნდა მეთხოვა, თუმცა ეს ძალზე დამამცირებელი იყო, მალე დაემთავრებინათ და პირდაპირ მირანდასთან შესულიყვნენ. სასწრაფოდ.

საბედნიეროდ, ჰელენა წამებში გამოჩნდა. ტანსაცმლით გადავსებულ ერთ გორგოლაჭებიან შტატივს წინ მოაგორებდა, მეორეს — უკან. მირანდას ოფისის კართან შეჩერდა და ქალბატონისგან შესვლის ნებართვას დაელოდა. როცა მირანდამ

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი ოდნავ დაუკრა, ტანსაცმლით დაზნექილი შტატივები სქელ ხალიჩაზე გადააგორა და შიგნით შევიდა.

— სულ ესაა? მხოლოდ ორი შტატივია? — იკითხა მირანდამ ისე, რომ მაგიდიდან თავი არ აუწევია. მირანდა სხვის თანაშემწეებს არასოდეს მიმართავდა, ლუსია კი ჯერ არ გამოჩენილიყო, ამიტომ დაბნეულ ჰელენას არჩევანი არ ჰქონდა:

— მმ, აჰ, არა, ლუსია წამებში აქ იქნება. მას კიდევ ორი შტატივი აქვს მოსატანი. გნებავთ, მმ, დავიწყოთ? — ჰკითხა და თან მაისურივით პერანგის ნერვიული სწორება დაიწყო.

— არა, — და შემდეგ, — ან-დრე-ა! ლუსია იპოვეთ. ჩემი საათის მიხედვით უკვე სამია, თუ მზად არ არის, მის ლოდინში დროს ვერ დავკარგავ.

ეს სიმართლეს არ ჰგავდა, რადგან ის ისედაც რაღაც დოკუმენტს უკირკიტებდა, თანაც ჩემი დარეკვიდან სულ რაღაც ოცდათხუთმეტი წამი იყო გასული. თუმცა შეპასუხება არც მიცდია.

— საჭირო არაა, მირანდა, უკვე აქ ვარ, — უპასუხა სუნთქვაშეკრულმა ლუსიამ და შტატივებით ჩამიარა, — დიდი ბოდიში, დამაგვიანდა. „ივ სენ-ლორანისგან“ ბოლო პალტოს ველოდებოდით.

საკიდრებზე ტანსაცმელი გარდერობის თანამიმდევრობით იყო ჩამწკრივებული (პერანგები, ზედა სამოსი, შარვლები, ქვედაბოლოები და კაბები), მირანდას მაგიდის წინ ნახევარრკალი შეიკრა. მას შემდეგ, რაც ჰელენა დაითხოვეს, მირანდა და ლუსია ყველაფრის სათითაოდ თვალიერებას შეუდგნენ. განიხილავდნენ, თუ რა თემა შეერჩიათ დამდეგი ფოტოგადაღებებისთვის, რომელიც სედონაში, არიზონის შტატში გაიმართებოდა. ლუსიას აზრით, „მედიდური ქალაქელი კოვბოი“ ჯობდა, თემა იდეალურად წარმოჩნდებოდა წითელი კლდოვანი მთების ფონზე, მაგრამ მირანდა უფრო „მედიდურ ქალაქელს“ ანიჭებდა უპირატესობას, რადგან „კოვბოი“ უკვე ოქსიმორონად ქცეული ცნება იყო. შეიძლება ასე იმიტომ ფიქრობდა, რომ მაზლისთვის გამართულ წვეულებაზე საკმარისად ნახა ველური დასავლეთის „ფერმერი ქალები“. მათი საუბრისთვის ყურადღება მანამდე არ მიმიქცევია, სანამ არ დამიძახა. ამჯერად თათბირზე აქსესუარების განყოფილების ხალხი იხმო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

ისევ ემილის ჟურნალს ჩავხედე და ჩემი ეჭვი გამართლდა — აქსესუარების განყოფილებასთან შეხვედრა დანიშნული არ გვქონდა. ვნატრობდი, ემილის ინფორმაციის ჟურნალში შეტანა დავიწყებოდა. სტეფს დავურეკე და გადავეცი, რომ მირანდა მათ სედონაში გადაღებებზე სალაპარაკოდ ელოდა. საბნუხაროდ, მათი შეხვედრა მომდევნო საღამოს იყო დანიშნული და შეკვეთილი აქსესუარების მეოთხედი მზად ჯერ კიდევ არ ჰქონდათ.

— წარმოუდგენელია. ვერ შევძლებთ, — განაცხადა სტეფმა. მის ხმაში გაცილებით ნაკლები თავდაჯერებულობა იყო, ვიდრე — სიტყვებში.

— ხუმრობ? და რა ვუთხრა? — ჩურჩულით ვკითხე.

— სიმართლე უთხარი, შეახსენე, რომ აქსესუარების შერჩევა ხვალისთვისაა დაგეგმილი, რომ ძალიან ბევრი ნივთი ჯერ არ მოუწოდებიათ. მართლა! დღეისთვის ველოდებით გამოსასვლელ ჩანთას, ხელის პატარა ჩანთას, სამ სხვადასხვა საფულეს ფოჩებით, ოთხ წყვილ ფეხსაცმელს, ორ ყელსაბამს, სამ...

— კარგი, რა გაეწყობა, გადავცემ. ტელეფონთან იყავი, შეიძლება ისევ დაგირეკო, და სტეფ, შენს ადგილზე რომ ვიყო, მოვემზადებოდი. თუ გინდა დაგენაძლევები, სულ არ აინტერესებს, როდის გაქვს დანიშნული მასთან შეხვედრა.

სტეფმა უსიტყვოდ დადო ყურმილი. მირანდას კარს მივუახლოვდი და მოთმინებით დაველოდე, სანამ შესვლის ნებას დამრთავდა. საბოლოოდ, როცა ჩემკენ გამოიხედა, ხმა ამოვიღე.

— მირანდა, ახლახან ველაპარაკე სტეფს და მითხრა, რომ აქსესუარების შერჩევაზე შეხვედრა ხვალ საღამოსთვისაა დაგეგმილი და შეკვეთილი აქსესუარები სრულად არ მოუტანიათ. მათ ალბათ...

— ან-დრე-ა, უბრალოდ ვერ წარმომიდგენია, როგორ იქნებიან მოდელები უჩანთოდ, უფეხსაცმლოდ და უსამკაულოდ, რადგან ხვალ საღამოს იტალიაში ვიქნები. სტეფს გადაეცი, რომ რაც აქვს, ის მაჩვენოს და რაც შეკვეთილია — მათი ფოტოები! — ლუსიასკენ შეტრიალდა და ისევ სამოსის საკითხს დაუბრუნდნენ.

სტეფს მისი ნათქვამი გადავეცი და გამოთქმას, „ცუდი ამბის მომტანს არ კლავენ“, ახალი დატვირთვა შევძინე. სტეფი მთლად გადაირია.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ეს ოხერი, ოცდაათ წამში როგორ უნდა მოვამზადო ყველაფერი? უბრალოდ წარმოუდგენელია! ჩემი ხუთი თანაშემწიდან ოთხი ადგილზე არაა, ის, რომელიც აქ არის, სრული იდიოტია. ანდრეა, მითხარი, რა ჯანდაბა ვქნა? — ყვიროდა.

სალაპარაკოდ დრო არ რჩებოდა.

— კარგი, მშვიდად, — მირანდას გავხედე, რომელსაც არაჩვეულებრივი სმენა ჰქონდა, — მირანდას ვეტყვი, რომ მალე აქ იქნები, — და ვიდრე ტირილს დაიწყებდა, გავუთიშე.

არ გამკვირვებია, როდესაც სტეფი ორწუთ-ნახევარში თავის სრულიად გამოშტერებულ თანაშემწესთან ერთად შემოვიდა, მათ თან ჯეიმსი და კიდევ ერთი თანაშემწე ახლდათ სილამაზის განყოფილებიდან. ხელში უშველებელი მოწნული კალათები ეჭირათ და ძალიან შეშინებულები ჩანდნენ. ჩემს მაგიდასთან იდგნენ აბუზულები, სანამ მირანდამ კიდევ ერთხელ თავის დაკვრით არ იხმო და მისი წყალობის მისაღებად არ გაქანდნენ. გამომდინარე იქიდან, რომ მირანდა უარს აცხადებდა ოფისის დატოვებაზე, იძულებული იყვნენ ტანსაცმლით გადავსებული შტატივები, ფეხსაცმლით სავსე ურიკები თუ აქსესუარებით გატენილი კალათები მასთან მიეზიდათ.

საბოლოოდ, როდესაც აქსესუარები მის წინ, ხალიჩაზე კოხტა რიგებად ჩაამწკრივეს, მირანდას ოფისი დაემსგავსა აზიურ ბაზარს, რომელიც შარმ ელ შეიხში კი არა, მედისონ ავენიუზე მდებარეობდა. ერთი რედაქტორი მას ორი ათასი დოლარის ღირებულების გველის ტყავის ქამრებს უფენდა თვალწინ, მეორე „კელის" უშველებელ ჩანთას სთავაზობდა, სხვები ცდილობდნენ „ფენდის" კოქტეილის კაბით მოეხიბლათ, ვიღაც კი შიფონის ნაჭრებს აფრიალებდა. სტეფმა ოცდაათ წამზე ნაკლებ დროში ლამაზად, თითქმის იდეალურად დაალაგა შერჩეული აქსესუარები, რიგს ბევრი რამ აკლდა. შევამჩნიე, რომ ცარიელი შუალედები ძველი ჩვენებების ნივთებით შეევსო. მირანდა დაარწმუნა, რომ ამათზე გაცილებით უკეთესები შეკვეთილი ჰქონდა. იქ ყველა თავისი საქმის ვირტუოზი იყო, მაგრამ მირანდას ვერც ერთი ვერ მისწვდებოდა. მასზე არ მოქმედებდა წინ გადაშლილი დიდებული სანახაობა, ცივად, უემოციოდ გადადიოდა ერთი მშვენიერი ნივთიდან მეორეზე, არანაირ ინტერესს არ გამოხატავდა. ბოლოს, — მადლობა ღმერთს! — როცა იღებდა გადაწყვეტილებას, თითით აჩვენებდა და ბრძანების

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

კილოთი (როგორც მოსამართლე „ძაღლების შოუში") მიუთითებდა, ხოლო დანარჩენები თანხმობის ნიშნად თავებს აქნევდნენ: „არაჩვეულებრივი გადაწყვეტილებაა", „ოჰ, რა თქმა უნდა, იდეალური არჩევანია!", ნივთებს სწრაფად ახვევდნენ, კალათებში ალაგებდნენ და აჩქარებით ტოვებდნენ იქაურობას, რომ ქალბატონს რაიმე არ გადაეფიქრებინა.

ეს ჯოჯოხეთი სულ რამდენიმე წუთს გაგრძელდა. როდესაც დასრულდა, ნერვიულობისა და ემოციებისგან ლონემიხდილები ვიყავით. დილით განმიცხადა, რომ სახლში სადღაც ოთხისთვის აპირებდა წასვლას, გამგზავრებამდე შვილებთან დროის გატარება სურდა. შესაბამისად, მისი ყველა შეხვედრა გავაუქმე, მათ შორის — შეხვედრა სარედაქციო ჯგუფთან, რის გამოც მთელმა განყოფილებამ შვებით ამოისუნთქა. ზუსტად 3:58-ზე ჩანთის ჩალაგება დაიწყო და წასასვლელად მოემზადა. იმ შემთხვევაში, თუ ოფისში რაიმე დარჩებოდა, სრულიად უმნიშვნელოც კი, საღამოს წიგნთან ერთად შინ მივუტანდი. მირანდასთვის ჩანთის ჩალაგება ძირითადად „გუჩის" საფულისა და „მოტოროლას" მობილური ტელეფონის „ფენდის" (რომელიც საშინელ დღეში ჰქონდა) ჩანთაში ჩატენას გულისხმობდა. გასული რამდენიმე კვირის მანძილზე ამ ათიათასიან მშვენებას, რომელსაც კესიდი სკოლის ჩანთადაც იყენებდა, არა მარტო ბისერები დაკარგოდა, არამედ სახელურიც მოსწყვეტოდა. ერთ მშვენიერ დღეს მირანდამ ჩანთა მაგიდაზე დამიგდო და მიბრძანა, შესაკეთებლად გამეგზავნა და იმ შემთხვევაში, თუ ვერ შეაკეთებდნენ, გადამეგდო. ჩემდა საამაყოდ, ცდუნებას გავუძელი. ძალიან მინდოდა მეთქვა, რომ ჩანთას არაფერი ეშველებოდა და ჩემთვის დავიტოვებდი, მაგრამ მის შერემონტებაში მხოლოდ ოცდახუთი დოლარი გადავიხადე.

როდესაც საბოლოოდ სამსახურიდან წავიდა, ინსტინქტურად ტელეფონს დავწვდი, რომ ალექსისთვის დამერეკა და მასთან მძიმე სამუშაო დღეზე მეწუწუნა. ნომერს ვკრეფდი, როცა ჩვენი „შესვენების" შესახებ გამახსენდა. სამი წლის მანძილზე ეს პირველი შემთხვევა იყო, მთელი დღე ერთმანეთისთვის სიტყვაც კი არ გვეთქვა. ასე ვიჯექი ტელეფონით ხელში და წინა დღით მისგან გამოგზავნილ ელექტრონულ წერილს მივშტერებოდი, ის მთავრდებოდა სიტყვით: „მიყვარხარ". და უეცრად გავიფიქრე, იმ სულელურ წინადადებაზე დათანხმებით საშინელი

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეცდომა ხომ არ დავუშვი-მეთქი. მისი ნომერი კიდევ ერთხელ ავკრიფე, მინდოდა ყველაფერზე თავიდან გველაპარაკა, დაშვებული შეცდომები მოგვეძებნა, მეთქვა, რომ ურთიერთობის გართულება ჩემი ბრალი იყო და ამაზე პასუხისმგებლობას ვილებდი, მაგრამ სანამ ამის თქმის საშუალება მომეცემოდა, სტეფი იმ აქსესუარებით დატვირთული დამადგა თავზე, პარიზში წასაღებად ჩემთვის რომ შეერჩია. მირანდასთან ბოლო შეხვედრის გამო ის ჯერ კიდევ გაღიზიანებული ჩანდა. უამრავი ფეხსაცმელი, ჩანთა, ქამარი, სამკაული, სათვალე და მაღალყელიანი წინდები იყო განსახილველი, რის გამოც იძულებული გავხდი, ყურმილი დამედო და კონცენტრაცია მის ინსტრუქციებზე მომეხდინა.

ტურისტული კლასის ბილეთით შვიდსაათიანი ფრენა შემოტკეცილი ტყავის შარვლით, თასმებიანი ღია სანდლებითა და მაისურზე მჭიდროდ მომდგარი პიჯაკით, წესით, მძიმედ უნდა გადამეტანა, მაგრამ სულაც არა. ჩემს ცხოვრებაში ის შვიდი საუკეთესო საათი იქნებოდა. მართალია, სხვადასხვა რეისებით, ის — მილანიდან, მე კი — ნიუ-იორკიდან, პარიზში ერთდროულად ჩავფრინდებოდით, მაგრამ იმ შვიდი საათის განმავლობაში, ის ჩემთან ვერ დარეკავდა. ეს იქნებოდა ერთადერთი ბედნიერი შემთხვევა, როცა მიუწვდომლობა ჩემი ბრალი არ იქნებოდა.

ჩემს მშობლებს პარიზში გამგზავრების სათქმელად დავურეკე, ისინი კი როგორც წარმომედგინა, ისე არ აღფრთოვანდნენ. გამიკვირდა.

— ოჰ, მართლა? — მკითხა დედამ მისთვის ჩვეული კილოთი, გაცილებით უფრო მეტს რომ გულისხმობდა, ვიდრე თვითონ სიტყვები, — მაშ, პარიზში? ახლა?

— რას ნიშნავს, დედა, „ახლა“?

— მხოლოდ იმას, რომ ევროპაში გასამგზავრებლად საუკეთესო დრო არ არის, — მომიგო ორაზროვნად, თუმცა ვგრძნობდი, რომ ებრაელი დედის დამნაშავის კომპლექსი ის-ის იყო ზვავივით დამატყდებოდა.

— და რატომ? შენი აზრით, მგზავრობისთვის შესაფერი დრო როდის იქნება?

— ნუ ბრაზობ, ენდი. თვეებია არ გვინახავხარ, არ გეგონოს გსაყვედურობდე, მე და მამაშენს გვესმის, რამდენად მძიმე

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

სამუშაო გაქვს, მაგრამ შენი ახალშობილი დისშვილის ნახვა არ გინდა? უკვე რამდენიმე თვისაა და შენ კი არ გინახავს!

— დე! დანაშაულის გრძნობას ნუ გამიმძაფრებ, კარგი? დიდი სურვილი მქონდა, მაგრამ ისააკის ნახვა ვერ შევძელი...

— ხომ იცი, ჰიუსტონამდე ბილეთს მე და მამა გიყიდდით.

— ჰო, მილიონჯერ მაინც მითხარი. ვიცი და ამას ძალიან ვაფასებ, მაგრამ აქ ფულზე არაა საქმე. სამუშაო მაქვს, მით უმეტეს ახლა, როდესაც ემილი ავადაა. შაბათ-კვირასაც ვერ ვახერხებ ჩამოსვლას. გეკითხები, რა აზრი აქვს, მთელ ქვეყანას მხოლოდ იმისთვის გადავუფრინო, რომ შაბათ დილით მირანდამ დამირეკოს და ტანსაცმლის ქიმწმენდიდან გამოსატანად უკან, ნიუ-იორკში ჩამიყვანოს? მიპასუხე.

— რა თქმა უნდა, არა, ენდი, ვინაიდან მირანდა მიემგზავრება, ჩვენ ვიფიქრეთ, რომ მომდევნო კვირაში შეძლებდი მათ მონახულებას და მაშინ მე და მამაც შენთან ერთად წამოვიდოდით, მაგრამ რაკი პარიზში მიფრინავ...

პირდაპირ მითხრა, რასაც ფიქრობდა: „მაგრამ რაკი პარიზში მიფრინავ“ ასე ითარგმნებოდა: „რაკი ოჯახის წინაშე ვალდებულებებს გაურბიხარ...“

— დედა, მოდი გავარკვიოთ. დასასვენებლად არ მივდივარ. დისშვილის გაცნობას პარიზში წასვლაზე არ ვცვლი, მაგრამ ეს ჩემზე არაა დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ შენ ეს მშვენივრად იცი, მაინც გაგიმეორებ, ისინი უარს არ იღებენ, ყველაფერი ძალიან მარტივადაა: ან მირანდას სამი კვირით პარიზში მივყვები, ან სამსახურიდან მათავისუფლებს. აქ არჩევანს ხედავ? თუკი ხედავ, სიამოვნებით გავიზიარებდი.

ერთხანს დუმდა, შემდეგ კი მითხრა:

— არა, რა თქმა უნდა, არა, საყვარელო. ხომ იცი, ჩვენ ყველაფერი გვესმის. უბრალოდ იმედი მქონდა, რომ რასაც აკეთებდი, ის მოგწონდა.

— ეს როგორ გავიგო? — უხეშად ვკითხე.

— არაფერია, არაფერი, — სწრაფად მიპასუხა, — იმის თქმა მინდოდა, რომ მე და მამა მხოლოდ შენს ბედნიერებაზე ვფიქრობთ. ამ ბოლო დროს კი ვამჩნევთ, რომ მმ, შენი თავის მიმართ ძალიან მომთხოვნი ხარ. ყველაფერი რიგზეა?

მის გულწრფელ მცდელობებზე გული მომილბა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— დიახ, დე, ყველაფერი მშვენივრადაა. მინდა იცოდე, პარიზში წასვლით აღფრთოვანებული სულაც არ ვარ. ზუსტად ვიცი, წინ რამდენად ჯოჯოხეთური კვირა და უძილო ღამეები მელის, მაგრამ მალე ეს წელიც დამთავრდება და ყველაფერს უკან მოვიტოვებ.

— ვიცი, საყვარელო, ვიცი, მძიმე წელი გქონდა. იმედი მაქვს, წლის ბოლოს ეს შრომა წყალში არ ჩაგეყრება.

— ჰო, მეც ამის იმედი მაქვს.

ისე დავემშვიდობეთ ერთმანეთს, აღარ გვიკამათია, თუმცა იმის დავიწყება მიჭირდა, რომ საკუთარ მშობლებს იმედები გავუცრუე.

დე გოლის აეროპორტში ბარგის აღება წამებად მექცა, მაგრამ როგორც კი პასპორტის კონტროლი გავიარე, დავინახე, რომ ელეგანტურად ჩაცმული მძღოლი დაფას იქნევდა და ზედ ჩემი სახელი იყო დაწერილი. მანქანაში ჩავსხედით თუ არა, მობილური ტელეფონი მომაწოდა:

— ქალბატონმა პრისტლიმ გადმოგცათ, რომ ჩამოსვლისთანავე დაურეკოთ. თავს უფლება მივეცი, მისი სასტუმროს ნომერი ჩამეწერა. ის კოკო შანელის აპარტამენტებშია.

— ოჰ, კეთილი, გმადლობთ. ახლავე დავურეკავ, — მისთვის ამის თქმა საჭირო არ იყო, მაგრამ მაინც ვუთხარი.

ღილაკებზე თითი დაჭერილიც არ მქონდა, რომ ტელეფონი აწკრიალდა, მისი ეკრანი წითლად განათდა. მძღოლის დაჟინებული მზერა რომ არა, ალბათ ხმას დავუწევდი და თავს მოვიკატუნებდი, ვითომ არ მესმოდა, მაგრამ ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ყველაფერთან ერთად მისთვის ჩემი თვალთვალიც დაევალებინათ. ისე გამომხედა, მივხვდი, რომ ტელეფონზე პასუხი ჩემს ინტერესებში შედიოდა.

— ალო, ანდრეა საქსი გისმენთ, — რაც შემეძლო საქმიანი ხმით ვუპასუხე, ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მირანდას გარდა სხვა არავინ მირეკავდა.

— ან-დრე-ა! თქვენი საათი რა დროს გიჩვენებთ?

დამცინის? ეს რა შეკითხვაა? „თქვენი საათი რა დროს გიჩვენებთ?"

— მმ, ახლავე გეტყვით, — საათზე დავიხედე, დილის ხუთის თხუთმეტი წუთი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, პარიზის დროზე გადაყვანა დამვიწყებოდა, — თერთმეტის თხუთმეტი წუთია,

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მხიარული ხმით მივუგე, ვიმედოვნებდი, რომ მგზავრობის შემდეგ, ჩვენი პირველი საუბრის სასიამოვნოდ წარმართვას შევძლებდი.

— დიდი მადლობა ამ უსარგებლო ინფორმაციისთვის, ან-დრე-ა. შეგიძლიათ მითხრათ, რით იყავით დაკავებული ბოლო ოცდათხუთმეტი წუთის განმავლობაში?

— იცით, მირანდა, რეისმა დაიგვიანა და აეროპორტში რამ-დენიმე წუთით გვიან დავფრინდით, შემდეგ კი...

— თქვენ მიერ შედგენილი განრიგით, რომელიც ახლა ხელთ მაქვს, დილით, ათს ოცდახუთი წუთი რომ აკლდა, იმ დროს უნდა ჩამოფრენილიყავით.

— დიახ, განრიგით ასე იყო, მაგრამ...

— მოსმენა აღარ მსურს, ან-დრ-ეა, მომდევნო კვირის გან-მავლობაში მსგავსი საქციელი სრულიად მიუღებელია, გასაგე-ბია?

— დიახ, რა თქმა უნდა. ბოდიში, — გული ამიჩქარდა, წუთში ალბათ მილიონჯერ ფეთქავდა. დამცირებისგან გავწითლდი. დამცირებაზე უარესი კი ის იყო, რომ ამას თავჩაღუნული ვი-ტანდი. წუთის წინ იმის გამო მოვუხადე ბოდიში — გულწრფე-ლი ბოდიში — რომ თვითმფრინავი დროულად არ დაფრინდა და ბარგის განყოფილებაში პრობლემა შემექმნა.

თავი ფანჯარას მივადე და ვუყურებდი, თუ როგორ იკვლევ-და გზას ლიმუზინი პარიზის ხმაურიან ქუჩებში. ქალები მაღლე-ბი ჩანდნენ, მამაკაცები კი უფრო დარბაისლები, კარგი აღნაგო-ბითა და მოხდენილი ჩაცმულობით მეფურად დააბიჯებდნენ. პარიზი აქამდე მხოლოდ ერთხელ მენახა, მაშინ ზურგჩანთით ვმოგზაურობდი და ქალაქის მეორე სანაპიროზე ჰოტელში ვცხოვრობდი. ახლა კი, როდესაც ლიმუზინიდან ტანსაცმლის პატარა ბუტიკებსა და ტროტუარებზე გამოფენილ მყუდრო კაფეებს გავცქეროდი, სულ სხვა გრძნობა მეუფლებოდა. ვფი-ქრობდი, ადაპტაცია არ გამიჭირდებოდა. ამის ფიქრში ვიყავი, მძღოლი რომ მომიტრიალდა, ალბათ ჩემი გამომეტყველებით იყო შეშფოთებული, და ამიხსნა, თუ სად ედო ბოთლით წყალი, იმ შემთხვევაში, თუ დამჭირდებოდა.

მანქანა სასტუმროს წინ გაჩერდა და გამორჩეული გარეგ-ნობის ჯენტლმენმა, რომელსაც, ჩემი აზრით, შეკვეთით დამ-ზადებული სამოსი ეცვა, კარი გამიღო.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მადმუაზელ საქს, რა სასიამოვნოა, ბოლოს და ბოლოს თქვენი გაცნობა. მე ჟერარ რენო გახლავართ, — მას მშვიდი და თავდაჯერებული ხმა ჰქონდა. შევერცხლილი თმა და სახეზე ნაოჭები მეტყველებდა, რომ გაცილებით ასაკოვანი იყო, ვიდრე მასთან სატელეფონო საუბრებისას წარმომედგინა.

— მისიე რენო, ჩემთვისაც დიდი სიამოვნებაა თქვენთან შეხვედრა! — მხიარულად მივუგე, თუმცა იმწუთას ყველაზე მეტად ნომერში შეღწევა, თბილ და რბილ ლოგინში შეწოლა და კარგად გამოძინება მინდოდა. მისიე რენომ ჩემი იმედები ერთი წინადადებით გაანადგურა.

— მადმუაზელ ანდრეა, მირანდა პრისტლის სურს, თავის აპარტამენტებში დაუყოვნებლივ ეახლოთ. ვშიშობ, ეს თქვენს დაბინავებამდე ვერ მოიცდის, — სახეზე თანაგრძნობა ეწერა, წამით საკუთარ თავზე მეტად ის შემეცოდა. ნათელი იყო, მსგავსი დავალების შესრულება დიდად არ სიამოვნებდა.

— საუცხოოა, ჯანდაბა! — წავიჩურჩულე, მაგრამ მისიე რენოს გაკვირვება მაინც მოვახერხე. ძალით გავულიმე და დავიწყე, — გთხოვთ მომიტევოთ, უზომოდ გრძელი და რთული ფრენა იყო. თუ შეიძლება, მირანდას აპარტამენტების პოვნაში დამეხმარეთ!

— რა თქმა უნდა, მადმუაზელ. ის თავის ოთახშია, და როგორც ჩანს, თქვენი ნახვის დიდი სურვილი აქვს.

მისტერ რენოს ყურადღებით ვაკვირდებოდი. მის თვალებში უკმაყოფილება დავინახე, მიუხედავად იმისა, რომ ტელეფონით საუბრებისას უზომოდ კორექტული ჩანდა. მზად ვიყავი ჩემი შეხედულებისთვის გადამეხედა. ის პროფესიონალი იყო, ჩემს ნათქვამს არაფრისდიდებით არ შეიმჩნევდა და რა თქმა უნდა, კრინტსაც არ დაძრავდა. მივხვდი, რომ მას მირანდა გულში ჩემნაირად სძულდა. მართალია ამის დამამტკიცებელი საბუთი არ მქონდა, მაგრამ ვერ დავიჯერებდი, მირანდა ვინმეს ჰყვარებოდა.

ლიფტის კარი გაიღო და მისიე რენომ ღიმილით მანიშნა, შებრძანდიო, შემდეგ მელიფტეს ფრანგულად რაღაც უთხრა, დამემშვიდობა და დაგვშორდა. მან ღილაკს თითი დააჭირა და ჩვენც მირანდას აპარტამენტებისკენ დავიძარით. კარზე დააკაკუნა და მირანდას პირისპირ მარტო დამტოვა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

ნეტა მირანდა თავად გამილებს კარს? არა, ეს წარმოუდ-
გენელი იქნებოდა. თორმეტი თვის მანძილზე მასთან სახლში
ბევრჯერ ვყოფილვარ, მაგრამ მირანდა რაიმე სახის სამუშაო-
თი დაკავებული, თუ არ ჩავთვლით ტელეფონზე საუბარს, კა-
რადიდან პიჯაკის ჩამოხსნასა და ჭიქაში წყლის დასხმას, არ
მახსენდებოდა. ღვთისმოსავი ებრაელივით იქცეოდა, იმ განსხ-
ვავებით, რომ მისთვის ყოველი დღე შაბათი იყო, ხოლო მე მისი
საშაბათო, არაებრაელი ხელზე მოსამსახურე გამოვდიოდი.
კარი ლამაზ უნიფორმაში გამოწყობილმა მოახლემ გამილო,
შემიპატიჟა და აცრემლებული თვალებით იატაკს დააშტერდა.

— ან-დრე-ა! — მომესმა ხმა ყველაზე გასაოცარი სას-
ტუმრო ოთახიდან, რაც კი ცხოვრებაში მენახა, — ან-დრე-ა!
დღეს ჩემი „შანელის" გაუთოებული კოსტიუმი მჭირდება, რა-
დგან მგზავრობისას სულ დაიჭმუჭნა. გგონიათ „კონკორდმა"
იცის, ბარგს როგორ მოეპყრას? ჩემი ნივთები საშინელ დღეშია.
შემდეგ ჰორაც მანს დაურეკეთ და გადაამოწმეთ, გოგონები
სკოლაში მივიდნენ თუ არა. ამის გაკეთება ყოველდღე მოგი-
წევთ, რადგან ანაბელს არ ვენდობი. ყოველ საღამოს პირადად
დაელაპარაკეთ ორივეს და მათი საკონტროლოებისა და გა-
მოცდების სია შეადგინეთ. დილით ამ საკითხზე ანგარიშს ვე-
ლოდები, ეს სასწრაფოა. დაბოლოს, დაუკავშირდით იმ იდიოტ
რენოს და უთხარით, რომ ჩემი აქ გაჩერებისას კომპეტენტურ
მომსახურე პერსონალს მოვითხოვ და თუ ეს მისთვის სირთუ-
ლეს წარმოადგენს, დარწმუნებული ვარ, მთავარი მენეჯერი
მოხარული იქნება, დამეხმაროს. მისი გამოგზავნილი გოგონა
უბრალოდ გონებრივად ჩამორჩენილია.

თვალები ნალვლიანი გოგონასკენ გამექცა, ის აბუზული
იდგა ფოიეში, საბრალო, ფოთოლივით თრთოდა და თვალებზე
მომდგარი ცრემლების შეკავებას ცდილობდა. მივხვდი, რომ
ინგლისური ესმოდა და თანაგრძნობით შევხედე, მაგრამ ის
ისევ ცახცახებდა. ოთახი მოვათვალიერე და სასოწარკვეთილი
მისი ნათქვამის დამახსოვრებას შევეცადე.

— ყველაფერს მივხედავ, — მისი ხმის მიმართულებით
დავიძახე, თან როიალსა და უშველებელ სასტუმრო ოთახში
ახალდაკრეფილი ყვავილებით გადავსებულ ჩვიდმეტ ლარნაკს
თვალი შევავლე. ისინი ოთახის სხვადასხვა კუთხეში იდგა, —
თქვენთვის სასურველ ნივთებთან ერთად წამში დავბრუნდები.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ნამში დაბრუნების" გამო გონებაში საკუთარი თავი გავიცხე და გასვლამდე საოცარ ოთახს კიდევ ერთხელ შევავლე თვალი. ეჭვგარეშეა, რომ ეს ყველაზე მდიდრული, ყველაზე საუცხოო ოთახი იყო, რაც კი ოდესმე მენახა. გონებაში ჩამრჩა ფარჩის ფარდები, სქელი კრემისფერი ხალიჩა, საუცხოოდ მოქარგული გადასაფარებელი მეფისთვის შესაფერ ლოგინზე, მაკაგონის თაროებსა და მაგიდაზე შემოწყობილი ლამაზი, ოქროსფერი სტატუეტები. მხოლოდ ბრტყელეკრანიანი ტელევიზორი და ვერცხლისფრად მოელვარე სტერეოაპარატურა არ გაძლევდა საშუალებას, გეთქვა, რომ აპარტამენტების ინტერიერი და დიზაინი გასული საუკუნის ყველაზე გამოჩენილ ხელოვანებს თავიანთი ოსტატობის დასამტკიცებლად შეექმნათ.

აქვითინებულ მოსამსახურეს გვერდით ჩავუარე და დერეფანში გავედი. უეცრად საიდანლაც შეშინებული კონსიერჟი გამოჩნდა.

— შეგიძლიათ ჩემს ოთახამდე მიმაცილოთ? — რაც შემეძლო გულთბილად ვკითხე, მაგრამ რატომლაც ეგონა, რომ მის დამცირებას შევეცდებოდი და წინ გავარდა.

— აქეთ, მადმუაზელ, იმედია, ყველაფრით კმაყოფილი დარჩებით.

მირანდას ოთახიდან დაახლოებით ოცი ნაბიჯის დაშორებით, რატომლაც უნომრო ოთახის კარი გამიღო. ნომერი მისი აპარტამენტის შემცირებული ასლი აღმოჩნდა. ლოგინი მეფის არა, მაგრამ დედოფლის შესაფერი კი იყო, მაკაგონის ხის დიდ, ნითელ მაგიდაზე ოფისისთვის საჭირო ნივთები ელაგა: ტელეფონი, კომპიუტერი, ლაზერული პრინტერი, სკანერი და ფაქსი. მართალია, ოთახში როიალი არ იდგა, მაგრამ სხვა მხრივ, ის გემოვნებით შერჩეული მდიდრული, დახვეწილი ავეჯით გაეწყოთ.

— მის, ამ კარით პერსონალის დერეფანში გახვალთ, ის ქალბატონი პრისტლის ოთახამდე მიგიყვანთ, — ამიხსნა და კარისკენ გაემართა.

— არა მგონია, მისი გამოყენება დამჭირდეს, თუმცა, მაინც გმადლობთ, რომ მითხარით, — და მის უნაკლოდ გაუთოებულ უნიფორმაზე მიმაგრებულ ბეიჯზე სახელი ამოვიკითხე, — გმადლობთ, სტეფან. ჩანთაში ფულის ძებნა დავიწყე, უცებ მიეხვდი, რომ ამერიკული დოლარი არ გადამიბურდავებია, გზად

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

არც ბანკომატი შემინიშნავს სადმე, — ოჰ, ძალიან ვწუხვარ, მე მხოლოდ ამერიკული კუპიურები მაქვს, თქვენთვის ეს პრობლემა ხომ არ იქნება?

განითლდა და გიჟივით მობოდიშება დაიწყო.

— ოჰ, რას ბრძანებთ მის, ძალიან გთხოვთ, ამაზე არც კი იფიქროთ, გამგზავრების დღეს ქალბატონი პრისტლი ასეთ დეტალებზე თავად ზრუნავს. თუმცა ვინაიდან ადგილობრივი ვალუტა დაგჭირდებათ, ნება მიბოძეთ, აი ეს გიჩვენოთ. — ვეებერთელა მაგიდას მიუახლოვდა, ზედა უჯრა გამოაღო და ფრანგული „პოდიუმის“ ლოგოთი კონვერტი გამომიწოდა. შიგნით დაახლოებით ოთხასი ათასი ამერიკული დოლარის ეკვივალენტის ევრო იდო. ასევე ბრიჟიტ ჯორდანის, მთავარი რედაქტორის წერილი, რომელიც ჩვენს მივლინებასა და მირანდას წვეულების საორგანიზაციო საკითხებზე იყო ასევე პასუხისმგებელი.

„ძვირფასო ანდრეა, თქვენი სტუმრობით ძალიან გაგვახარეთ! ჩემი დიდი თხოვნაა, კონვერტით გადმოცემული თანხა პარიზში ყოფნისას თავისუფლად გამოიყენოთ. მე ვესაუბრე მისიე რენოს, რომელიც ოცდაოთხი საათის განმავლობაში მირანდას განკარგულებაში იქნება. ქვემოთ იხილავთ მისი მოვალეობების სიასა და პირად ნომრებს, ასევე სასტუმროს მზარეულის, ფიტნესმწვრთნელის, ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირისა და რაღა თქმა უნდა, სასტუმროს მთავარი მენეჯერის ნომრებს. მირანდას ყველა მათგანი იცნობს და შესაბამისად პრობლემა არ შეგექმნებათ. შემთხვევით თუ რომელიმე თქვენგანს რაიმე დასჭირდება, ყოველთვის შეგიძლიათ სამსახურში დამირეკოთ, სასწრაფო საქმისთვის კი მობილურზე ან სახლის ტელეფონზე დამიკავშირდით, ასევე შეგიძლიათ გამომიგზავნოთ ფაქსი ან სულაც მომწეროთ პეიჯერზე. თუ დაგეგმილ დიდ წვეულებამდე შეხვედრის საშუალება არ მოგვეცა, მაშინ შაბათს თქვენთან შეხვედრას მოუთმენლად ველი.

დიდი სიყვარულით,

ბრიჟიტი“.

წერილის ბოლო გვერდი მოიცავდა „პოდიუმის“ ლოგოიან ქაღალდზე დაახლოებით ასამდე ტელეფონის ნომერს, დაწყებული პარიზის ყველაზე მოდური ყვავილების მაღაზიიდან,

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

დამთავრებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის პირადი ნომრებით. სულაც არ გამკვირვებია, რადგან ეს სია თავად შევადგინე, ბრიჟიტმა მხოლოდ ახალი ნომრები დაამატა და განახლებული ვერსია ფაქსით დამიბრუნა. შესაბამისად, რაიმე სახის გაურკვევლობა (გარდა მესამე მსოფლიო ომის დაწყებისა), რომელიც საზაფხულო მოდის კვირეულზე მირანდა პრისტლის დასწრებას ხელს შეუშლიდა ან მას რაიმე სახის დისკომფორტს შეუქმნიდა, უბრალოდ გამორიცხული იყო.

— დიდი მადლობა, სტეფან, რა გულისხმიერებაა თქვენი მხრიდან, — რამდენიმე კუპიურა გადავთვალე და ისევ შევთავაზე. მან კი თავი მოიკატუნა, თითქოს ვერაფერი შენიშნა და დერეფანში გაუჩინარდა. გამიხარდა, რომ ჩვენი საუბრის შემდეგ ის უკვე ნაკლებად ჰგავდა შეშინებულს.

უკლებლივ ყველა ვიპოვე, ვისი მოძებნაც მირანდამ დამავალა, დაღლილი თავი ძვირფას თეთრეულზე წამით ჩამოვდე და ის-ის იყო თვალები მივლულე, რომ ტელეფონიც აწკრიალდა.

— ან-დრე-ა, ახლავე გამოცხადდით ჩემთან, ოთახში, — შემომყეფა.

— დიახ, ახლავე მანდ ვიქნები, მირანდა. გმადლობთ, რომ ასე თავაზიანი ხართ. ჩემთვის ეს დიდი პატივია, — ჩავილაპარაკე. მოთენთილი სხეული ვაიძულე, ამდგარიყო და ქუსლით ხალიჩას რომ არ წამოვდებოდი, შიშით გავუყევი დერეფანს მისი ოთახისკენ. კარი ისევ მოახლემ გამიღო.

— ან-დრე-ა! დღეს ბრიჟიტის თანაშემწემ დამირეკა, აინტერესებდა, რამდენად გრძელია ჩემი დღევანდელი სიტყვა, რომელიც სადილის დროს უნდა წარმოვთქვა, — განმიცხადა, თან „ქალების ყოველდღიურ სამოსს“ ფურცლავდა. ალბათ ვინმემ, სავარაუდოდ, ელისონმა (მისმა გამოწრთობილმა ყოფილმა თანაშემწემ) ოფისიდან ფაქსით გამოუგზავნა, სანამ ორი სიმპათიური მამაკაცი მის ვარცხნილობასა და მაკიაჟზე ზრუნავდა. მაგიდაზე თეფშით ყველის ნაჭერი იდო. „სიტყვით გამოსვლა?! რა სიტყვით გამოსვლა?! დღევანდელი განრიგით, მირანდა რაღაც დაჯილდოებას უნდა დასწრებოდა, სადაც თხუთმეტი წუთით გაჩერდებოდა და შემდეგ მოწყენილობისგან უშველიდა თავს.“

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ბოდიში, სიტყვით გამოსვლა ახსენეთ?

— დიახ, — ჟურნალი ფრთხილად დაკეცა, მშვიდად დადო სხვა ჟურნალებზე, შემდეგ კი უხეშად იატაკზე მოისროლა და მის წინ ჩამუხლულ ერთ-ერთ მამაკაცს კინალამ მოარტყა.

— საინტერესოა, რატომ არავინ შემატყობინა იმის შესახებ, რომ დღეს რაღაც სულელურ ჯილდოს ვიღებდი? — სისინით მკითხა, სახეზე აქამდე არნახული ზიზღი ეწერა. მენახა თუ არა მის სახეზე უკმაყოფილება? ცხადია, დიახ. გაღიზიანება? მუდმივად ვხედავდი. მოწყენილობა, იმედგაცრუება, ზოგადი უგუნებობა? რა თქმა უნდა. მაგრამ ასეთი გაცოფებული — არასოდეს.

— მმ, მირანდა, ვწუხვარ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ამ ღონისძიებაზე პარიზის ოფისმა მიგიწვიათ, ჩემთვის კი არავის...

— გაჩუმდით, საკმარისია! თავის მართლების მეტს არაფერს აკეთებთ. ჩემი თანაშემწე ხართ, პარიზში იმიტომ წამოგიყვანეთ, რომ მსგავსი რამ ამარიდოთ, — თითქმის ყვიროდა. ერთ-ერთმა ვიზაჟისტმა ინგლისურად წყნარი ხმით გვკითხა, მარტო ხომ არ გვერჩია საუბარი, მაგრამ მირანდამ ის უპასუხოდ დატოვა, — ახლა თითქმის თორმეტი საათია, ორმოცდახუთ წუთში გავდივარ, როცა დავბრუნდები, იმედია ჩემს მოსაცდელ ოთახში, მაგიდაზე, მკაფიოდ და ლაკონიურად დაწერილი სამადლობელი სიტყვა დამხვდება. თუ ამას ვერ შეძლებთ, შეგიძლიათ ნივთები ჩაალაგოთ და სახლში დაბრუნდეთ. სამუდამოდ. სულ ეს არის.

დერეფანში ჩქარი ნაბიჯით მივდიოდი, პრაქტიკულად მივრბოდი. საერთაშორისო ზარებისთვის განკუთვნილი მობილური ტელეფონი ოთახში შევარდნამდე გავხსენი. სანამ ბრიჟიტის ნომერს ავკრეფდი, ხელები მიცახცახებდა, საბედნიეროდ, დარეკვა მაინც მოვახერხე, მისმა ერთ-ერთმა თანაშემწემ მიპასუხა.

— ბრიჟიტთან დამაკავშირეთ! — ვკიოდი, მისი სახელის წარმოთქმისას კინალამ ხმა ჩამიწყდა, — სად არის? სად? ახლავე დამაკავშირეთ. ახლავე!

გოგონა დამუნჯებული მისმენდა.

— ანდრეა? ეს თქვენ ხართ?

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჰო, და ახლავე ბრიჟიტი მჭირდება. სასწრაფო შემთხვევაა
— სად ჯანდაბაშია?

— ახლა ჩვენებაზეა, მაგრამ ნუ ღელავთ, მობილური ტელეფონი ყოველთვის თან აქვს. სასტუმროში ხართ? თქვენთან ახლავე დავარეკვინებ.

რამდენიმე წუთში ტელეფონი აწკრიალდა, მაგრამ მე მეგონა, რომ ერთი კვირა გავიდა.

— ანდრეა, — მკითხა თავისი საყვარელი ფრანგული კილოთი, — რა მოხდა, საყვარელო? მონიკამ გადმომცა, რომ თქვენ ისტერიკა გაქვთ.

— ისტერიკა? სწორედ ასეა, ისტერიკა მაქვს! ბრიჟიტ, ეს როგორ გამიკეთეთ? თქვენი ოფისი რაღაც ღონისძიებას აწყობს, სადაც ის არა მარტო ჯილდოს იღებს, არამედ სიტყვითაც უნდა გამოვიდეს და თავი არავინ შეიწუხეთ, რომ ეს ჩემთვის გეთქვათ?

— ანდრეა, დამშვიდდით. დარწმუნებული ვარ, ჩვენ გეტყოდით...

— სიტყვა მე უნდა დავუწერო! გესმით? დაჯილდოებაზე წარმოსათქმელი ლაკონიური სიტყვა სულ რაღაც ორმოცდახუთ წუთში იმ ენაზე უნდა დავწერო, რომელიც არ ვიცი. თუ ვერ შევძლებ, ჩემი საქმე წასულია. ახლა რა ვქნა?

— კარგი, დაწყნარდი. ყველაფერში დაგეხმარები. პირველ რიგში ცერემონია მანდვე, „რიცის“ ერთ-ერთ სალონში[88] გაიმართება.

— რა? რომელ სალონში? — საშუალება არ მქონია, სასტუმრო დამეთვალიერებინა, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ აქ „პაბის“ ტიპის ადგილები არ იქნებოდა.

— ეს ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს, მადროვეთ, მგონი, თქვენ, ამერიკელები, მისაღებ ოთახს ეძახით ასე. ჰოდა, მას მხოლოდ დაბლა ჩასვლა მოუწევს. ორგანიზატორი პარიზის „ფრანგული მოდის საბჭოა“, რომელიც მოდის კვირეულის ფარგლებში ყოველთვის მართავს ამ ღონისძიებას, რადგან ამ დროს ყველა პარიზშია. „პოდიუმი“ ჯილდოვდება „მოდის საუკეთესოდ გაშუქების“ ნომინაციაში. როგორც ამერიკელები იტყვით, ეს „დიდი არაფერია“. უბრალო ფორმალობაა.

— გასაგებია, ბოლოს და ბოლოს ახლა ის მაინც ვიცი, რა ტიპის ღონისძიებაზეა საუბარი, მაგრამ რა უნდა ვქნა? თუ

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეგიძლიათ, სიტყვა ინგლისურად მიკარნახოთ და შემდეგ მი-
სიე რენოს ვათარგმნინებ, რას იტყვით? გისმენთ, მე მზად ვარ.

ჩემმა ხმამ მხნეობა შეიძინა, მაგრამ კალმის ჭერისას ხელი
მაინც მიკანკალებდა. გადაღლილობა, სტრესი და შიმშილი
ხელს მიშლიდა, რომ ჩემ წინ დაწყობილ საწერ ფურცლებზე
მომეხდინა კონცენტრაცია.

— ანდრეა, ისევ გაგიმართლათ.

— ოჰ, მართლა? სიმართლე გითხრათ, ამას რაღაც ვერ
ვგრძნობ, ბრიჟიტ.

— ღონისძიება ყოველთვის ინგლისურ ენაზე იმართება.
თარგმნა საჭირო არაა. ინგლისურად დაწერას შეძლებთ ალ-
ბათ, არა?

— დიახ, დიახ. დავწერ, — წავიბუტბუტე და ყურმილი და-
ვდე. იმის გასააზრებლად დროც არ დამრჩა, რომ ეს იქნებო-
და ჩემი პირველი შესაძლებლობა მირანდასთვის მეჩვენებინა,
რომ მისთვის ლატეს ყიდვის გარდა სხვა რაღაცებიც შემეძლო.

გავთიშე თუ არა, მუშაობას შევუდექი, წუთში სამოც სიტყ-
ვას ვბეჭდავდი (ბეჭდვის გაკვეთილები იყო ერთადერთი სასარ-
გებლო საგანი, რომელიც დამამთავრებელ კლასებში ავირჩიე).
ჩემი აზრით, მირანდა ამის წაკითხვას სადღაც სამ წუთს მოან-
დომებდა. ზუსტად იმდენი დრო მრჩებოდა, რომ მომესვა ორი
ყლუპი „პელეგრინო" და შემეჭამა ერთი-ორი ცალი მარწყვი,
რომელიც ვიღაც ყურადღებიან ადამიანს მინიბარში დაეტო-
ვებინა ჩემთვის. ნეტა ჩისბურგერიც დაეხვედრებინათ-მეთქი,
ჩემთვის გავიფიქრე. გამახსენდა, რომ ჩემს ერთ-ერთ ჩანთაში,
რომელიც პერსონალს კედელთან კოხტად მიეწყო, „ტვიქსი"
მეგულებოდა, მაგრამ მის მოსაძებნად დროს ვერ დავკარგავ-
დი. მირანდას ბრძანებიდან ზუსტად ორმოცი წუთი იყო გასუ-
ლი. დადგა დრო, გამეგო, თუ რამდენად გავართვი დავალებას
თავი.

სხვა, თუმცა ანალოგიურად შეშინებულმა მსახურმა მი-
რანდას აპარტამენტების კარი გამიღო და სასტუმრო ოთა-
ხში შემიპატიჟა. ჯობდა ფეხზე არ ვმდგარიყავი, რადგან
ტყავის შარვალი, რომელიც აქამდე არ გამიხდია, მთელი
დღის აქეთ-იქით სირბილის გამო ტანზე მეწებებოდა, ხოლო
თასმიანი სანდლები, თვითმფრინავში დიდად რომ არ მაწუ-
ხებდა, ახლა უკვე სამართებლის გრძელი, მოძრავი და ბას-

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

რი პირებივით მისერავდა ტერფებს. გადავწყვიტე დივანზე ჩამოვმჯდარიყავი, ის-ის იყო, მუხლები მოვხარე და უკანალით ბალიშს დავაჯექი, რომ მისი საძინებლის კარი გაიღო. იმწუთშივე ფეხზე წამოვხტი.

— სად არის ჩემი სიტყვა? — მექანიკურად მკითხა. მეორე მოახლე უკან მოსდევდა ხელში ცალი საყურით, რომლის გაკეთებაც დავიწყებოდა, — მოამზადეთ თუ არა? — „შანელის" ერთ-ერთი კლასიკური კოსტიუმი ეცვა (საყელოზე ბეწვის არშიით) და დიდი ზომის მარგალიტის მძივი.

— რა თქმა უნდა, მირანდა, — ამაყად მივუგე, — ჩემი აზრით, ლონისძიებისთვის შესაფერი სიტყვაა, — მისკენ გავემართე, მეგონა, თვითონ არ გამომართმევდა, მაგრამ სანამ მივაწვდიდი, ხელიდან გამომტაცა. ვერც კი შევამჩნიე, რომ სუნთქვაშეკრული ვუყურებდი, თუ როგორ დარბოდა მისი თვალები აქეთ-იქით.

— კარგია. მომწონს. მართალია, დიდი არაფერია, მაგრამ არა უშავს. ახლა კი წავედით, — კოსტიუმისთვის შესაფერი ნაჭრისგან შეკერილი „შანელის" ხელჩანთა აიღო, მხარზე გადაიკიდა.

— პარდონ?

— გეუბნებით, წავედით. ეს სულელური ცერემონია თხუთმეტ წუთში იწყება და იქნებ გაგვიმართლოს, ოც წუთში იქ ვიყოთ. ვერ ვიტან მსგავს ღონისძიებებს.

ეჭვი არ იყო, რომ სიტყვები „წავედით" და „ჩვენ" წარმოთქვა. მასთან ერთად უნდა წავსულიყავი. ჩემს ტყავის შარვალსა და მოტკეცილ პიჯაკს დავხედე, ნეტა ჩემი ჩაცმულობა არ აღიზიანებდა? ალბათ გაღიზიანებულს ჩემი სამოსი რომ არ მოსწონებოდა, რაიმეს აუცილებლად მეტყოდა. თუმცა ყურადღებას აღარ ვაქცევდი, იქ ათასობით ჩემნაირი იქნებოდა, დავალებების შესასრულებლად აქეთ-იქით ირბენდნენ და აბა, ვინ მოიცლიდა ჩემი ჩაცმულობისთვის. „სალონი" ზუსტად ის იყო, რაც ბრიჟიტმა ამიხსნა, სასტუმროს მდიდრული მისაღები დარბაზი, ათობით მრგვალი მაგიდითა და პატარა შემაღლებით, რომელსაც საპრეზენტაციო სცენად იყენებდნენ. რამდენიმე სხვა თანამშრომელთან ერთად უკან ვიდექი, კედელთან ატუზული, და ვუყურებდი, როგორ წარადგინა საბჭოს პრეზიდენტმა საოცრად უემოციო, უინტერესო და

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოსაწყენი ვიდეო, თუ რა ზეგავლენა აქვს მოდას ადამიანების ცხოვრებაზე. დაჯილდოების დაწყებამდე ნახევარი საათის განმავლობაში მიკროფონთან სხვადასხვა ადამიანი იდგა. მიმტანების ჯარი აქეთ-იქით მიმოდიოდა, სტუმრების ჭიქებს ღვინით ავსებდნენ და ლანგრებით სალათებს დაარბენინებდნენ. მირანდას გადავხედე, ის მოწყენილი და შეწუხებული იჯდა. მისი გამომეტყველების დანახვაზე შევეცადე ქოთანში ჩარგული იმ ჯუჯა ხის უკან დავმალულიყავი, რომელსაც აქამდე ვეყრდნობოდი, რომ არ ჩამძინებოდა. ზუსტად არ ვიცი, რამდენი ხანი ვიყავი თვალდახუჭული, მაგრამ ის-ის იყო, კისრის კუნთებზე კონტროლი დავკარგე და თავი ჩავქინდრე, რომ მისი ხმა შემომესმა.

— ან-დრე-ა! ამ სისულელეებისთვის დრო არ მაქვს, — იმდენად ხმამაღლა მიჩურჩულა, რომ მეზობელი მაგიდიდან რამდენიმე „კლარკელმა" ჩვენკენ გამოიხედა, — ჩემთვის არ უთქვამთ, რომ მაჯილდოებდნენ და ამისთვის მზად არ ვარ. ახლავე მივდივარ, — მითხრა, შეტრიალდა და კარისკენ გაემართა.

უკან ბარბაცით გავედევნე, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა მხარში ვწვდომოდი.

— მირანდა! მირანდა! — ყურადღებას არ მაქცევდა, — მირანდა! ვინ აიღებს ჯილდოს თქვენს ნაცვლად? — რაც შემეძლო, მშვიდად ვუჩურჩულე, მაგრამ ისე, რომ მას ჩემი ნათქვამი გაეგო.

უცებ შემოტრიალდა და პირდაპირ თვალებში შემომხედა.

— თქვენი აზრით, ეგ მანაღვლებს? აბრძანდით და თავად მიიღეთ, — და სანამ პასუხს გავცემდი, მირანდა უკვე წასული იყო.

ღმერთო! ეს რა ხდებოდა ჩემს თავს? მეგონა, რომ ნებისმიერ წუთს ჩემს მყუდრო, არადედოფლურ, არც იმდენად ძვირფას თეთრეულში, ჩემს ლოგინში გავიღვიძებდი და აღმოვაჩენდი, რომ მთელი დღე, — არა, მთელი დღე კი არა, თითქმის მთელი ეს უბედური წელიწადი — მხოლოდ საზარელი სიზმარი იყო და სხვა არაფერი. მირანდა ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ალბათ, მე, დამწყები ჟურნალისტი, სცენაზე ავიდოდი და „პოდიუმის" სახელით მივიღებდი ჯილდოს, არა? დარბაზში სტუმრების თვალიერება შეშლილივით დავიწყე, „პოდიუმიდან" ვეძებდი ვინმეს, სამწუხაროდ, ვერავინ ვიპოვე. სკამზე დავეშვი, ერთი

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

კი გავიფიქრე, რჩევისთვის ემილის ან ბრიჟიტს დავურეკავ-მე-
თქი. მინდოდა რჩევა მეკითხა მათთვის, დავრჩენილიყავი თუ
მირანდას ფეხდაფეხ გავყოლოდი? მას ხომ ჯილდო სრულიად
არ ადარდებდა? ის-ის იყო ბრიჟიტის ოფისში დაირეკა (ვი-
მედოვნებდი, დროულად მოვიდოდა და იმ წყეულ ჯილდოს
თვითონ აიღებდა), რომ გაისმა:

— ჩვენთვის დიდი პატივია, ეს ჯილდო გადავცეთ ამერიკულ „პოდიუმს", მოდის სამყაროს გასაოცრად საინტერესოდ და სრულყოფილად გაშუქებისთვის! გთხოვთ მივესალმოთ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ მთავარ რედაქტორსა და მოდის ცოცხალ ლეგენდას, ქალბატონ მირანდა პრისტლის!

ოთახში ტაშის ცემა ზუსტად იმ დროს ატყდა, როდესაც ჩემმა გულმა ფეთქვა შეწყვიტა. ფიქრის დრო აღარ იყო. ბრიჟიტისა და მირანდას ლანძღვის წყურვილი ჩავიკალი, ამ მდგომარეობაში ხომ მათ გამო აღმოვჩნდი! ერთი მათგანი არც შეგვითანხმდა, ისე დაგვასწრო ღონისძიებას, ხოლო მეორე დარბაზიდან ისე გავარდა, რომ წარმოსათქმელი სიტყვაც თან გაიყოლა. ყველაზე მეტად მაინც საკუთარი თავის ლანძღვა-გინება მინდოდა, ამ აუტანელ სამუშაოზე რომ დავთანხმდი. ფეხები თავისით მოძრაობდა, მარცხნივ-მარჯვნივ, მარცხნივ-მარჯვნივ და სამსაფეხურიან სცენაზე ინციდენტის გარეშე ავედი.

საშინლად დაძაბული რომ არ ვყოფილიყავი, ალბათ შევამჩნევდი, რომ სცენაზე ჩემი ასვლისას ტაში თანდათან შეწყდა და დარბაზში სიჩუმე ჩამოწვა, ყველა ფიქრობდა, თუ ვინ იდგა მათ წინაშე, მაგრამ მე ვერაფერს ვამჩნევდი. პირიქით, იდუმალმა ძალამ მაიძულა გამელიმა, ხელი გამეწვდინა და მკაცრი გამომეტყველების მქონე საბჭოს პრეზიდენტისთვის ჯილდო გამომერთმია. ჯილდო აკანკალებული ხელით წინ კათედრაზე დავდე, თავი ავწიე და დავინახე, რომ ასობით დაბნეული და ცნობისმოყვარე თვალი მომშტერებოდა, სუნთქვის შეწყვეტამდე და სცენაზე უცაბედ სიკვდილამდე ბევრი არაფერი დამრჩენოდა. სადღაც ათი-თხუთმეტი წამი ასე ვიდექი, მაგრამ იმდენად საშინელი და ყოვლისმომცველი სიჩუმე იდგა, რომ ვიფიქრე, ალბათ უკვე მკვდარი ვარ-მეთქი. ხმას არავინ იღებდა. დანა-ჩანგლის წკარუნი, ჭიქების წკრიალი, ჩურჩულით გადალაპარაკების ხმაც კი არ ისმოდა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

უბრალოდ მიცქერდნენ. სხვა არაფერი დამრჩენოდა, მათ უნდა გავცნობოდი. დაწერილი სიტყვა სრულებით არ მახსოვდა, ამიტომ სახელდახელოდ უნდა მომეფიქრებინა სათქმელი.

— გამარჯობა, — მივმართე. საკუთარი ხმა ექოსავით მოგესმა, არ ვიცი, ეს მიკროფონის ბრალი იყო თუ — მაღალი წნევის. რა მნიშვნელობა ჰქონდა. ერთადერთი ის ვიცოდი, რომ ვკანკალებდი, თავი ხელში ვერ ამყავდა, — ჩემი სახელია ანდრეა საქსი, მე „პოდიუმის" თანამშრომელი ვარ. სამწუხაროდ, მირანდას, მმ, ქალბატონ პრისტლის რამდენიმე წუთის წინ წასვლა მოუხდა, ამიტომ ჩემთვის დიდი პატივია ამ ჯილდოს მთელი „პოდიუმის" სახელით მიღება. მადლობას ვუხდი, მმ... — საბჭოს პრეზიდენტის სახელი ვერ გავიხსენე — ამ არაჩვეულებრივი ჯილდოსთვის. ყველას სახელით გიხდით მადლობას და მინდა იცოდეთ, რომ ჩვენთვის ეს დიდი პატივია.

იდიოტო! ვბლუყუნებდი და ვკანკალებდი, სანამ არ შევამჩნიე, რომ აუდიტორია აფუსფუსდა. უხმაუროდ ჩამოვედი სცენიდან და ნელგამართული ნაბიჯით გავემართე კარისკენ, სადაც აღმოვაჩინე, რომ ჯილდო კათედრაზე დამრჩენოდა. როგორც ჩანს, წვეულების ერთ-ერთი ორგანიზატორი უკან გამომედევნა და ის ფოიეში, ერთ-ერთ სავარძელში სირცხვილისგან ჩაკეცილს გადმომცა. მის წასვლას დაველოდე და სასტუმროს დამლაგებელს ვთხოვე ჯილდო გადაეგდო. მან მხრები აიჩეჩა და ის სანაგვე ყუთში ჩაუძახა.

ოჰ, ეს ძუკნა! ვლანძღავდი მირანდას, გაცოფებული და გადაღლილი ვიყავი, თავიც არ მქონდა, ახალი სალანძღავი ეპითეტებით შემემკო და მისი მკვლელობის მეთოდები განმეახლებინა. ტელეფონმა დარეკა. ვიცოდი, ის იქნებოდა. ზარი გავთიშე და ჯინ-ტონიკი შევუკვეთე.

— გთხოვთ, ძალიან გთხოვთ, ვინმემ მომიტანოს.

ქალმა შემომხედა და თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია. ორ დიდ ყლუპში მთელი ჭიქა გამოვცალე და მისი აპარტამენტებისკენ გავემართე, ნეტა ამჯერად რა უნდოდა. პარიზში შუადღის ორი საათი იყო და მე უკვე სიკვდილს ვნატრობდი, თუმცა სიკვდილი ჩემ შემთხვევაში გამოსავალი არ იქნებოდა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

17

— მირანდა პრისტლის ოთახი, გისმენ, — ვუპასუხე ჩემი ახალი პარიზული ოფისიდან. ის სანატრელი ოთხი საათი, რომელიც ძილში უნდა გამეტარებინა, კარლ ლაგერფილდის თანაშემწემ თავისი გიჟური ზარით დილის ექვს საათზე შემაწყვეტინა. ზუსტად მაშინ ალმოვაჩინე, რომ მირანდას ოთახიდან ყველა სატელეფონო ზარი ჩემს ნომერზე იყო გადმომისამართებული. მგონი, მთელმა ქალაქმა იცოდა, რომ პარიზის მოდის კვირეულზე მირანდა ქალაქში რჩებოდა. ოთახში ფეხი შევდგი თუ არა, ტელეფონი არ გაჩუმებულა, რომ არაფერი ვთქვა ათობით შეტყობინებაზე, ავტომოპასუხეს რომ შეენახა ჩემთვის.

— გამარჯობა. მე ვარ, მირანდა როგორაა? ხომ ყველაფერი რიგზეა? რაიმე გაუთვალისწინებელი ხომ არ მომხდარა? სად არის და რატომ არ ხარ მასთან?

— გაგიმარჯოს, ემ! გმადლობ, რომ ასე ზრუნავ. ოჰ, მართლა, შენ თვითონ როგორ ხარ?

— რა? მე კარგად. ოდნავ სუსტად, მაგრამ უკეთ. მოკლედ. ის როგორ არის?

— ჰო, მოკლედ, მეც არა მიშავს, თუ, რა თქმა უნდა, გაინტერესებს. დიახ, ძალიან გრძელი და დამღლელი ფრენა იყო, ოც წუთზე მეტი არ მიძინია, რადგან ტელეფონი არ ჩერდება და ალბათ, არც გაჩერდება. ჰო! მართლა, სულ დამავიწყდა სახელდახელო გამოსვლის შესახებ მეამბნა. არადა, მისთვის სამადლობელი სიტყვა დავწერე, რადგან ხალხის გარკვეულ ნაწილს ღონისძიებაზე მირანდას მოსმენა სურდა, მას კი, როგორც ჩანს, ეს სულ ფეხებზე ეკიდა. მოკლედ, მათ წინაშე შეშლილივით ვიდექი, ეს ოხერი, ცოტაც და, გულის შეტევა დამემართებოდა. თუმცა შენ არ იდარდო, სხვა მხრივ ყველაფერი მშვენივრადაა.

— ანდრეა! სერიოზულად! ყველაფერზე ძალიან ვნერვიულობ. შენს მოსამზადებლად დიდი დრო არ მქონდა, ამიტომ თუ გეგმა აირევა, ხომ იცი, ყველაფერს მე დამაბრალებს.

— ემილი. ძალიან გთხოვ, არ გეწყინოს, მაგრამ უნდა გაგითიშო. დღეისთვის მეტისმეტია.

— რატომ? რამე მოხდა? როგორ ჩაიარა გუშინდელმა შეხვედრამ? დროულად მივიდა? ყველაფერი გაქვს, რაც გჭირდება?

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

დება? შესაბამისად ჩაცმული დადიხარ? დაიმახსოვრე, შენ „პოდიუმს" წარმოადგენ, ამიტომ ყოველთვის წესრიგში უნდა იყო.

— ემილი, ვთიშავ.

— ანდრეა! ძალიან განვიცდი. მითხარი, რას აკეთებდი...

— აბა, ვნახოთ. თავისუფალ დროს მასაჟებს ვიკეთებ, ორჯერ მყავდა ვიზაჟისტი და რამდენჯერმე მანიკიურიც გავიკეთე. მე და მირანდა იმდენად დავახლოვდით, რომ სპაცენტრშიც კი ერთად დავდივართ. საუკეთესოდ ვერთობით. ის ძალიან ცდილობს მომთხოვნი არ იყოს, სურს პარიზში ყოფნით ისიამოვნოს, ეს ხომ ისეთი არაჩვეულებრივი ქალაქია, ძალიან გამიმართლა, აქ რომ ვარ. მოკლედ, ძირითადად სულ ერთად ვართ და კარგად ვერთობით. საუკეთესო ღვინოებს ვწრუპავთ, საყიდლებზე დავდივართ, ნუ, ხომ ხვდები.

— ანდრეა! მორჩი ხუმრობას, კარგი? ახლა კი მითხარი, რა ჯანდაბა ხდება მანდ? — რაც უფრო ბრაზობდა, მით უფრო კარგ გუნებაზე ვდგებოდი.

— ემილი, არც კი ვიცი, რა გითხრა. რისი მოსმენა გსურს? რა ხდება? მოკლედ, უმეტეს დროს იმაზე ვფიქრობ, თუ როგორ დავიძინო გაუჩერებელი სატელეფონო ზარების ფონზე, ამავდროულად უთენია ვჭამ, რადგან დღის განმავლობაში ამის დრო არ მაქვს და მეშინია, შიმშილით სადმე გული არ წამივიდეს. ეს ოხერი, რამადანს ვინახავ! ემ, დღის საათებში ლუკმას ვერ ვიდებ. ასე რომ, გული ძალიანაც ნუ დაგწყდება აქ რომ არ ხარ, კარგი?

მეორე ხაზი აციმციმდა და ემილი მოლოდინის რეჟიმზე გადავიყვანე. ყოველ ზარზე რატომღაც ალექსი მახსენდებოდა, ნეტა დაერეკა და ეთქვა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. პარიზიდან მობილურზე ორჯერ დავურეკე, ორივეჯერ მიპასუხა, მაგრამ მისი ხმის გაგონებაზე ვიბნეოდი და სკოლის მოსწავლესავით ვთიშავდი. პირველი შემთხვევა იყო, როცა ასე დიდხანს არ გველაპარაკა, მისი ამბების გაგება ძალიან მინდოდა, თუმცა იმასაც ვერ უარვყოფდი, რომ რაც ურთიერთობა შევწყვიტეთ, ცხოვრება გაცილებით გამარტივდა და მაინც, მისი ზარის მოლოდინში სუთქვაშეკრული ვიყავი, სანამ მირანდას მკივანა ხმა არ შემომესმა.

— ან-დრე-ა, როდის მოდის ლუსია?

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ოჰ, გამარჯობა, მირანდა. ერთი წუთით განრიგში ჩავიხედავ, აი ისიც, განრიგის მიხედვით ის დღეს ჩამოფრინდა სტოკჰოლმის გადაღებებიდან და უკვე სასტუმროშია.

— დამაკავშირეთ.

— დიახ, ახლავე, მირანდა.

მოლოდინის რეჟიმზე გადავიყვანე და ისევ ემილის დავუბრუნდი.

— ისაა, დამელოდე.

— მირანდა, ლუსიას ნომერი ვიპოვე და ახლავე დავრეკავ.

— მოითმინეთ, ან-დრე-ა, მომდევნო ოც წუთში სასტუმროდან მთელი დღით გავდივარ. როცა დავბრუნდები, დამახვედრეთ შარფები და ახალი შეფმზარეული, რომელსაც ძირითადად ფრანგულ რესტორნებში მუშაობის სულ მცირე ათწლიანი გამოცდილება აქვს და კვირაში ოთხჯერ ოჯახური ვახშმისა და თვეში ორჯერ დიდი წვეულებისთვის სადილების მომზადებას შეძლებს. ახლა კი ლუსიასთან შემაერთეთ.

გამოდიოდა, რომ პარიზიდან ნიუ-იორკში ახალი შეფმზარეული უნდა მეპოვა მისთვის, მაგრამ იმის გაგონებამ, რომ მთელი დღე სასტუმროდან გადიოდა და თანაც ჩემ გარეშე, გული სიხარულით ამივსო. სწრაფად ემილის დავუბრუნდი და შეფმზარეულის შესახებ ვუთხარი.

— მე მოვძებნი, ენდი, — მითხრა ხველებით, — შესარჩევ გასაუბრებას ჩავატარებ, ფინალისტებს კი ბოლოს შენ გაესაუბრე. უბრალოდ გაარკვიე, მოიცდის თუ არა მირანდა შინ დაბრუნებამდე, თუ ურჩევნია, გასაცნობად პარიზში გამოვუშვა ისინი, კარგი?

— ალბათ ხუმრობ, არა?

— რა თქმა უნდა, არა. სერიოზულად გეუბნები. მირანდამ ძიძის თანამდებობაზე კარა შარშან მარბელეში ყოფნისას აიყვანა. ვინც კარამდე მუშაობდა, მოულოდნელად სამსახურიდან წავიდა, ამიტომ მომთხოვა, რომ ფინალისტები მარბელეში[89] მასთან შესახვედრად გადამეფრინა. შენ უბრალოდ ჰკითხე, კარგი?

— კარგი, — წავიჩურჩულე, — და გმადლობ.

ემილისთან ლაპარაკისას მასაჟის იდეა მომეწონა და გადავწყვიტე მომსახურებით მესარგებლა. ვინაიდან მასაჟის სპეციალისტები სალამომდე დაკავებულნი იყვნენ, ვიფიქრე, საუზ-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეს ოთახში შევუკვეთდი. პირსახოცის ფუმფულა ხალათსა და ისეთივე ჩუსტებში ვიყავი, როცა სასტუმროს პერსონალმა საუზმე ოთახში მომართვა. ირგვლივ ომლეტის, კროასანების, დანიური ფუნთუშების, მრგვალი ფუნთუშების, კარტოფილის, ხორბლის პურისა და ბლინების საამო სურნელი დაიფრქვა. მას შემდეგ, რაც ყველაფერი სრულად მივირთვი და ორი ფინჯანი ჩაიც დავაყოლე, ლოგინში ჩავწექი, ღამენათევს ისე სწრაფად ჩამეძინა, ვფიქრობდი, ფორთოხლის წვენში რამე ხომ არ ჩამიყარეს-მეთქი.

მშვენიერი დღე მასაჟმა დააგვირგვინა. ჩემს სამუშაოს სხვები აკეთებდნენ, მირანდამ მხოლოდ ერთხელ გამაღვიძა — მხოლოდ ერთხელ! — და მთხოვა, მისთვის მომდევნო დღის სადილისთვის მაგიდა დამეჯავშნა.

ცუდი სულაც არაა, გავიფიქრე, როცა ქალის ძლიერმა ხელებმა კისრის დაჭიმული კუნთების დაზელა დამიწყეს. მსგავსი წახალისება ურიგო არ იყო. ჩამთვლიმა თუ არა, მობილურის — რომლის წაღებაც არ მინდოდა, თუმცა მაინც წავიღე — ხმამ გამომაფხიზლა.

— გისმენთ? — ავიღე მხიარული ხმით, თითქოს შიშველი, გაზეთილი და ნახევრად მძინარე არ ვწოლილიყავი მაგიდაზე.

— ან-დრე-ა. სტილისტის ვიზიტი ადრე გადმოსწიეთ და უნგაროს[90] ხალხს გადაეცით, რომ დღეს შეხვედრა გადაიდო, საღამოს კოქტეილზე ვარ დაპატიჟებული, თქვენც ჩემთან ერთად მოდიხართ. მზად იყავით, ერთ საათში გავდივართ.

— მმ, კარგი, გასაგებია, — ჩავიბუტბუტე, თან იმის გააზრება ვცადე, რომ მასთან ერთად სადღაც მივდიოდი. გონებაში წინა შემთხვევამ გამიელვა — როცა ბოლო წუთებში განმიცხადა, რომ მასთან ერთად სადღაც მივდიოდი. ტვინში სისხლი მომეძალა და ვიგრძენი, სუნთქვა მიჭირდა. მასაჟისთვის მადლობა გადავიხადე და მომსახურების საფასური, მიუხედავად იმისა, რომ იქ მხოლოდ ათი წუთი ვიყავი, ოთახის ნომრის ანგარიშზე ჩავაწერინე. მაღლა, ჩემი ოთახისკენ გავემართე, ვფიქრობდი, ახალ წინააღმდეგობას როგორ გავმკლავებოდი. ოდესმე მივეჩვეოდი. ალბათ.

რამდენიმე წუთში მირანდას სტილისტსა და ვიზაჟისტს პეიჯერზე მივწერე (სამწუხაროდ, სხვადასხვა სტილისტი გვყავდა, მე ვილაც გაბრაზებული ქალი მემსახურებოდა, სიცოცხლის

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბოლომდე არ დამავიწყდება, როგორ შეიცხადა ჩემს დანახვაზე, არადა ცხოვრებაში პირველად მხედავდა. მირანდას კი ორი გეი ჰყავდა, ისინი ჟურნალ „მაქსიმიდან“ გადმოსულებს ჰგავდნენ), მათ შეხვედრის საათები უპრობლემოდ გადაცვალეს:

— არანაირი პრობლემა, — ძლიერი ფრანგული გამოთქმით, წრიპინა ხმით მიპასუხა ჯულიანმა, — უმალ თქვენთან გავჩნდებით. როგორც თქვენ, ამერიკელები იტყვით, „მხოლოდ დაუსტვინეთ!“ ცნობისთვის, ჩვენ მზად ვართ, მთელი კვირის განრიგი შევცვალოთ, იმ შემთხვევაში, თუ მირანდას დავჭირდებით.

ბრიჟიტს ისევ პეიჯერზე მივწერე და ვთხოვე უნგაროს ხალხს დაკავშირებოდა. ჩაცმის დრო იყო. საწოლის გვერდით, მაგიდაზე ჩემი ილუსტრირებული ალბომი წმინდა წიგნივით გადავშალე, ის თითქოს მაღალი მოდის სამყაროში დაკარგული სულის გადარჩენას ელოდა. სათაურებსა და ქვესათაურებს გადავხედე და შევეცადე, მთავარი არსი გამეგო:

დეფილე:

1. დღე
2. საღამო

კვება:

საუზმე

1. სადილი

ა) არაოფიციალური სადილი (სასტუმრო ან ბისტრო)

ბ) ოფიციალური სადილი (სასტუმრო „რიცის“ რესტორანი „ესპადონი“)

1. ვახშამი

ა) არაოფიციალური (ბისტრო, ოთახის მომსახურება)

ბ) ნახევრად ფორმალური (საშუალო კლასის რესტორანი)

გ) ოფიციალური (რესტორანი „ლა გრან ვეფური“)

წვეულებები:

1. არაოფიციალური (მსუბუქი საუზმე შამპანურით, შუადღის ჩაი)

2. ელეგანტური (არცთუ მნიშვნელოვანი ხალხის მიერ ორგანიზებული კოქტეილები, გამომცემლობების წვეულებები, „რაიმეს მოსაწრუპი წვეულებები“)

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

3. ბანკეტები (მნიშვნელოვანი ხალხის მიერ გამართული კოქტეილები, მუზეუმში ან გალერეაში გამართული ნებისმიერი წვეულება, ჩვენებების შემდეგ გამართული წვეულებები, რომლებსაც დიზაინერის გუნდი მასპინძლობს)

სხვადასხვა:

1. აეროპორტიდან-აეროპორტამდე
2. სპორტული ღონისძიებები (გაკვეთილები, შეჯიბრებები და ა.შ.)
3. მაღაზიები
4. დავალებების შესრულებისას

ა) მოდის სახლებში

ბ) მაღალი მოდის ბუტიკებსა და მაღაზიებში

გ) გასტრონომებში/პოლიკლინიკებში/აფთიაქებში.

ჩანაწერები დიდად ვერ გამომადგებოდა, რადგან ერთმანეთისგან ვერ გამერჩია თუ რომელ (მნიშვნელოვან თუ ნაკლებად მნიშვნელოვან) წრეს მიეკუთვნებოდა მასპინძელი. შეცდომის დაშვების დიდი შესაძლებლობა არსებობდა: შემეძლო „წვეულებების" პარაგრაფით მეხელმძღვანელა, ეს იყო პირველი ნაბიჯი, თუმცა ქვესათაურებმა დამაბნია. ვერ ვხვდებოდი, ეს წვეულება მე-2 კატეგორიას განეკუთვნებოდა, სადაც რაიმე ელეგანტური უნდა ჩამეცვა, თუ უფრო — მე-3-ს, სადაც განსაკუთრებულად უნდა გამოვწყობილიყავი? ალბომში „ან" და „თუ" შემთხვევები მითითებული არ იყო, მაგრამ საბედნიეროდ, სარჩევის ბოლოს ვიღაცას ნაჩქარევად წაეწერა: „როცა ეჭვი გეპარება (თუმცა, არ უნდა გეპარებოდეს), უმჯობესია, ნაკლებად გამოპრანჭული წახვიდე, ვიდრე გადაპრანჭული". მოკლედ, გასაგები იყო, რომ „წვეულების" პარაგრაფში, „ელეგანტურის" კატეგორიაზე უნდა შევჩერებულიყავი. ლუსიას მიერ მომზადებულ მსგავსი ღონისძიებებისთვის საგანგებოდ შექმნილ ექვს „ჩაცმულობას" გადავხედე და შევეცადე წარმომედგინა, თუ რომელში ვიქნებოდი ნაკლებად სასაცილო.

საკმაოდ ხანგრძლივი ძიების შემდეგ, დაწყებული უხერხული ბუმბულიანი ტოპმაისურიდან, დამთავრებული ლეოპარდის ტყავის (დიახ, მუხლს ზემოთ) ჩექმით, წვეულებისათვის შესაფერისი სამოსი ოცდამეცამეტე გვერდზე შევარჩიე. ეს

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

იყო „რობერტო კავალის“ ფერადი ნაჭრებისაგან შეკერილი ჭრელი და გაშლილი ქვედაბოლო უბრალო, მაგრამ საყვარელი მაისურითა და „დოლჩე-გაბანას“ ბაიკერების სტილის შავი ფერის ჩექმებით. ეფექტური, სექსუალური, ელეგანტური, მაგრამ არც ძალიან გადაპრანჭული ვარიანტი. ამ სამოსში, არც ვარიეტეს“ მოცეკვავის შეხედულება მექნებოდა, არც ოთხმოციანებში ჩარჩენილისა და არც ქუჩის ბოზის. სხვა რა მინდოდა? შესაფერი ჩანთის ძიებაში ვიყავი, როცა სტილისტ-ვიზაჟისტი გამომეცხადა, ჩემი „გაკეთილშობილების“ პროცედურას ის დაუყოვნებლივ და მოლუშული სახით შეუდგა.

— მმ, ხომ არ აჯობებდა, ქვედა ქუთუთოებზე ადგილები მსუბუქად გაგელიავებინათ? — ფრთხილად ვკითხე, თან ვცდილობდი მისი პროფესიონალური თავმოყვარეობა არ შემელახა. მერჩია, მაკიაჟი თავად გამეკეთებინა, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებდი, რომ მე გაცილებით მეტი ხელსაწყო და ინსტრუქციები მქონდა, ვიდრე „ნასას“ მეცნიერებს კოსმოსური შატლის ასაწყობად. თუმცა მომწონდა ეს თუ არა, „მაკიაჟის გესტაპო“ წუთი წუთზე მეცხადებოდა ხოლმე ნომერში.

— არა! — ბრაზიანად მითხრა. ჩემგან განსხვავებით ის ჩემს გრძნობებს სულაც არ უფრთხილდებოდა, — ასე უკეთესია.

საბოლოოდ, ქვედა წამწამებზე შავი ტუში სქლად წამისვა და ისე სწრაფად გაუჩინარდა, როგორც გამოჩნდა. ჩანთას დავნვდი („გუჩის“ ნიანგის ტყავის სპორტული ჩანთა) და ფოიეში თხუთმეტი წუთით ადრე ჩავედი, რათა კიდევ ერთხელ შემემოწმებინა, მზად იყო თუ არა მძღოლი. ზუსტად იმ დროს, როდესაც მე და მისიე რენო იმაზე ვბჭობდით, თუ როგორ მოისურვებდა მირანდა წასვლას — ცალკე მანქანით (ჩემთან საუბრით თავი რომ არ შეეწუხებინა), თუ — ერთად (მაგრამ მაინც, იქნებ არ სურდა, წვეულებაზე თანაშემწესთან ერთად მისული ენახა ვინმეს), რომ უეცრად ჩვენ წინ გაჩნდა. დაკვირვებით ამათვალიერ-ჩამათვალიერა, მისი გამომეტყველება სრულიად პასიური, ინდიფერენტულიც კი იყო. არჩევანი მომიწონა! ეს იყო პირველი შემთხვევა მას შემდეგ, რაც მუშაობა დავიწყე, რომ ზიზღით არ შემოუხედავს, არც დამამცირებელი კომენტარი უთქვამს, რასაც ნიუ-იორკის მოდის ყველაზე გამოჩენილი რედაქტორების „სპეცრაზმს“, პარიზელ სტილისტ-ვიზაჟისტსა და ჩემთვის შერჩეულ მსოფლიოს უძვირფასეს და უძვირეს სამოსს უნდა ვუმადლოდე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

— მანქანა მზად არის, ან-დრე-ა? — ნაოჭებიან, ხავერდის მოკლე კოქტეილის კაბაში გამაოგნებლად გამოიყურებოდა.

— დიახ, ქალბატონო პრისტლი, აქეთ მობრძანდით, — საუბარში მშვიდი ხმით მისიე რენო ჩაერია. სანამ მანქანამდე მივიდოდით, მოდის სხვა ამერიკელ რედაქტორებს ჩავუარეთ, ალბათ ისინიც კვირეულს სტუმრობდნენ. მოდის ნაღები საზოგადოების წარმომადგენლები ჩვენს დანახვაზე აფუსფუსდნენ. მირანდა ჩემზე ორი ნაბიჯით წინ იყო, წარმოსადეგი და გამხდარი, ძალიან, ძალიან უკმაყოფილო ჩანდა. თითქმის სირბილით მივყვებოდი, მიუხედავად იმისა, რომ ის ჩემზე ოცი სანტიმეტრით დაბალი იყო. სანამ ლიმუზინში ჩავსხდებოდით, წავიბორძიკე და მან ჩვეული ზიზღიანი მზერით გამომხედა, თითქოს მეუბნებოდა „აბა, რას ელოდებით?" როგორც იქნა, ჩავჯექი, მხოლოდ მის შემდეგ.

საბედნიეროდ, მძღოლმა იცოდა, სადაც მივდიოდით, რადგან ბოლო ერთი საათი იმაზე ვინერვიულე, რომ ნებისმიერ წუთს მომიბრუნდებოდა და უცნობი კოქტეილ-წვეულების ადგილმდებარეობას მკითხავდა. ჩემკენ მართლაც მოტრიალდა, მაგრამ არა — სასაუბროდ, ყრუ-მუნჯ მამიკოსთან მობილურზე ბაასი არჩია. სულ ერთსა და იმავეს უმეორებდა, რომ მის ჩამოსვლას შაბათის გრანდიოზულ წვეულებამდე ადრე ელოდებოდა, რომ ყრუ-მუნჯ მამიკოს გამოსაცვლელად და რამის დასალევად საკმარისი დრო ჰქონოდა. ის კომპანიის კერძო თვითმფრინავით მოფრინავდა. შემდეგ იმაზე განაგრძეს ბჭობა, ღირდა თუ არა ქეროლაინისა და კესიდის ჩამოყვანა. გომდინარე იქიდან, რომ მისტერ ტომლინსონი ორშაბათს უკან ბრუნდებოდა, მირანდას არ სურდა, რომ გოგონებს სკოლაში ერთი დღეც კი გაეცდინათ. ზუსტად იმ დროს, როდესაც ლიმუზინი წმინდა ჟერმანის ბულვარზე მრავალსართულიანი შენობის წინ გაჩერდა, თავში აზრმა გამიელვა, რა უნდა მეკეთებინა ამ წვეულებაზე მთელი ღამე? მირანდა ყოველთვის თავს იკავებდა თანაშემწეების საჯაროდ დამცირებისგან, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ მან ძალიან კარგად იცოდა, თუ როგორ გვექცეოდა. მოკლედ თუ მისთვის სასმლის მიტანასა და ქიმწმენდაში დარეკვას არ მიბრძანებდა, მაშინ რაღას დამავალებდა?

— ან-დრე-ა, ამ წვეულებას ჩემი მეგობარი ცოლ-ქმარი მართავს, რომლებთანაც პარიზში ცხოვრებისას ვმეგობრობდი. მათ

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მთხოვეს, რომ ჩემი თანაშემწე წამომეყვანა, რათა თქვენ მათი ვაჟიშვილისთვის მიგეხედათ, რომელსაც მსგავსი წვეულებები მოსაწყენად მიაჩნია. დარწმუნებული ვარ საერთო ენას გამონახავთ, — დაელოდა, სანამ მძღოლი კარს გაულებდა და „ჯიმი ჩუს" პლატფორმიანი მაღალქუსლიანებით მანქანიდან ელეგანტურად გადავიდა. სანამ მე მანქანის კარს გავაღებდი, ის უკვე კიბის მესამე საფეხურზე იდგა და მის მოლოდინში მყოფ მსახურს თავის ლაბადას აწვდიდა. ნაზი ტყავის სავარძელში წუთით უკან გადავწექი, შევეცადე ცივად გადმოცემულ ახალ ინფორმაციაზე დავფიქრებულიყავი. თმის ვარცხნილობა, მაკიაჟი, გეგმების შეცვლა, ალბომში შესაფერისი სამოსის გიჟივით ძებნა, ბაიკერის სტილის ჩექმები — ამდენი იმისთვის ვიწვალე, რომ მთელი ღამე ვილაც მდიდრების ცხვირმოუხოცავი შვილი გამერთო? თანაც ვილაც ფრანგების ცხვირმოუხოცავი შვილი?

სამი წუთი თავს ვახსენებდი, რომ „ნიუ-იორკერამდე" მხოლოდ ორი თვე რჩებოდა და მასთან მუშაობის პერიოდიც ამოიწურებოდა. ჩემი ოცნების სამსახურის გამო ტანჯვის კიდევ ერთ ღამეს როგორმე გავუძლებდი. ამაზე ფიქრმაც კი არ მიშველა. უეცრად ძალიან მომინდა ჩემი მშობლების სახლში ტახტზე მოკალათებულიყავი და დედაჩემის მიერ მიკროტალღოვან ჭურაში ადუღებული ჩაი დამელია და თან, მამასთან ერთად მეთამაშა სკრაბლი. ჯილი და კაილი პატარა ისააკთან ერთად გვესტუმრებოდნენ, ჩვილი ჩემს დანახვაზე გაიღიმებდა და „ალუს" მეტყოდა, მერე ალექსი დამირეკავდა და მეტყოდა, რომ ისევ ძველებურად ვუყვარდი. არავინ დაიჯღანებოდა ჩემი ლაქებიანი სპორტულების ან უპედიკიურო ფეხის თითების დანახვაზე, არავის გაუკვირდებოდა თუ დიდ, შოკოლადიან ეკლერს შევჭამდი. არავის ეცოდინებოდა, რომ ატლანტის ოკეანის გადაღმა მაღალი მოდის ჩვენება იმართებოდა, ამას ნამდვილად ფეხებზე დაიკიდებდნენ. როგორი შორეული იყო ყველაფერი, თითქოს წლების წინ ვცხოვრობდი ასე, ახლა კი მაღალი მოდის საზოგადოებაში, იმ ადამიანებს შორის ვტრიალებდი, რომლებიც მზად იყვნენ სიცოცხლე პოდიუმზე დაესრულებინათ. ჰოდა კიდევ, ფრანგულად მოჟღურტულე გათამამებული პატარა ბიჭუნა უნდა გამერთო.

როგორც იქნა, ლიმუზინიდან ჩემი ელეგანტურად ჩაცმული სხეული გადმოვათრიე, თუმცა მსახური იქ აღარ დამხ-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვდა. საიდანლაც ცოცხალი მუსიკის ხმა შემომესმა და პატარა ბალის ზემოთ ფანჯრიდან სურნელოვანი სანთლების სუნი შემომეფრქვა. ღრმად შევისუნთქე და ზარი დავრეკე, მაგრამ ის უეცრად გაილო და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს ცხოვრებაში იმაზე მეტად არაფერი გამკვირვებია, როგორც იმ საღამოს, ჩემ წინ მოლიმარი კრისტიანი რომ დავინახე.

— ენდი, ძვირფასო, შენი მოსვლით ისე გამახარე! — მითხრა, წინ გადმოიხარა და პირდაპირ ტუჩებზე მაკოცა, რაც ცოტათი უხერხული იყო, რადგან გაოცებისგან პირღია ვიდექი.

— აქ რას აკეთებ?

გამიცინა და შუბლზე მუდამ ჩამოვარდნილი კულული უკან გადაიწია.

— მეც ხომ იმავეს უნდა გეკითხებოდე? მუდამ უკან დამყვები, მალე იმასაც კი ვიფიქრებ, რომ ჩემს ლოგინში შეტყუებას ცდილობ.

გავწითლდი. შევეცადე თავი არ დამეკარგა და დამცინავად ხმამაღლა გავიცინე.

— ჰო, სულ ამის ფიქრში ვარ. სიმართლე გითხრა, აქ სულაც არ ვარ სტუმრის სტატუსით, უბრალოდ ძალიან ლამაზად ჩაცმული ძიძა ვარ. მირანდამ მთხოვა, მასთან ერთად წამოვსულიყავი და ორი წუთის წინ გამიმხილა, რომ ამაღამ მასპინძლების შვილი უნდა გავართო. ასე რომ, შენი ნებართვით, წავალ, რძესა და ფანქრებს მივუტანი.

— ოჰ, დამიჯერე კარგადაა. ზუსტად ვიცი, ამაღამ მას ძიძისგან მხოლოდ კიდევ ერთი კოცნა გაახარებს, — მითხრა, ჩემი სახე ხელებში მოიქცია და კიდევ ერთხელ მაკოცა. პირი პროტესტის ნიშნად გავაღე, მინდოდა მეკითხა, თუ რა ჯანდაბას აკეთებდა, მაგრამ ეს თანხმობად ჩამითვალა და ტუჩებს შორის მისი ენა ვიგრძენი.

— კრისტიან! — ხმადაბლა ვუთხარი. ნეტა მირანდას რომ დაენახა, ვილაც მამაკაცს წვეულებაზე ვკოცნიდი, რამდენად სწრაფად გამათავისუფლებდა სამსახურიდან? — რა ჯანდაბას აკეთებ? ახლავე გამიშვი! — შევეცადე თავი დამეხსნა, მაგრამ ის ისევ თავისი საყვარელი ღიმილით მიცინოდა.

— ენდი, რადგან გიჭირს გაიგო, რა ხდება, აგიხსნი, რომ ეს ჩემი სახლია. ჩემი მშობლები კი მასპინძლები არიან. მგონი, ძალიან ჭკვიანური იყო მათთვის მეთხოვა, შენს უფროსს აქ

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოეყვანე. რა? მირანდამ გითხრა, რომ ათი წლის ვიყავი? თუ ეს შენი ფანტაზიაა?

— ალბათ ხუმრობ, არა? ძალიან გთხოვ მითხარი, რომ მეხუმრები.

— სულაც არა. ხომ მოგეწონა? მას შემდეგ, რაც შეხვედრაზე ვერაფრით დაგითანხმე, ვიფიქრე, ამ ხერხისთვის მიმემართა. ადრე, როცა მირანდა ფრანგულ „პოდიუმში" მუშაობდა, ჩემს დედინაცვალთან მეგობრობდა, ჩემი დედინაცვალი ფოტოგრაფია და ადრე „პოდიუმისთვის" იღებდა ფოტოებს, ასე რომ, მან უთხრა მირანდას, მოწყენილი გერისთვის თავისი მიმზიდველი თანაშემწე წამოეყვანა. ხერხმა გაამართლა. წამოდი, ახლა რამე დავლიოთ, — ზურგზე ხელი მომადო და სასტუმრო ოთახში მასიური მუხის ხისგან მოპირკეთებული ბარისკენ წამიყვანა, სადაც სამი უნიფორმიანი ბარმენი სკოჩის ჭიქებში მარტინის ასხამდა და ელეგანტურ ფუჟერებში — შამპანურს.

— გამოდის, ამაღამ არავის ძიძობა არ მომიწევს? შემთხვევით პატარა ძმა ხომ არ გყავს ან რაიმე მსგავსი? — იმის დაჯერება მიჭირდა, რომ მირანდასთან წვეულებაზე ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე მოვედი და ერთადერთი, რაც მევალებოდა, ძალიან კარგ და ჭკვიან მწერალთან ერთად დროის გატარება იყო. იქნებ იმისთვის მომიწვიეს, რომ მათთვის მემღერა, მეცეკვა? ან იქნებ მიმტანები აკლდათ და ბოლო წუთებში გადაწყვიტეს, დახმარება მირანდასთვის ეთხოვათ? ან იქნებ გარდერობში უნდა შემეცვალა დაღლილი და მოწყენილად მჯდომი გოგონა? იმის დაჯერება მიჭირდა, რომ იქ კრისტიანის გამო ვიყავი.

— მოკლედ, იმის თქმა არ მინდა, რომ მთელი ღამით ჩემთან დარჩენა მოგეთხოვება, ყურადღება დიდად არ მჭირდება, თუმცა ეს უკეთესი საღამო იქნება, ვიდრე შენ იფიქრებდი. აქ იდექი, — ლოყაზე მაკოცა და სტუმრებს შორის გაუჩინარდა. წვეულებას მსოფლიოს ყველაზე ცნობილი მამაკაცები და ორმოცი-ორმოცდაათი წლის ელეგანტური მანდილოსნები სტუმრობდნენ. საზოგადოება ბანკირებისა და ჟურნალის თანამშრომელთა ნაზავს წარმოადგენდა, მათთან ერთად ასევე იყვნენ დიზაინერები, ფოტოგრაფები და რამდენიმე მოდელიც. სასტუმრო ოთახი ქვით მოკირწყლულ პატარა კოხტა ეზოში გადიოდა, რომელიც თეთრი სანთლების შუქით იყო განათე-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბული, იქ მუსიკოსი ნაზ მელოდიას უკრავდა ვიოლინოზე. გა-
რეთ გავიხედე. ანა ვინტური[92] ვიცანი, კრემისფერ აბრეშუმის
კაბასა და „მანოლოს“ ბისერებიან სანდლებში გამაოგნებლად
გამოიყურებოდა. უცნობ მამაკაცს ენერგიულად ელაპარაკე-
ბოდა, ის, სავარაუდოდ, ანას საქმრო უნდა ყოფილიყო, თუმცა
„შანელის“ უზარმაზარ სათვალეში მიჭირდა გამერჩია, უხარო-
და თუ ტიროდა. პრესას ამ ორი ქალის ერთმანეთთან შედარება
უყვარდა, თუმცა ჩემი აზრით, მირანდას მსგავსი აუტანელი
ქალი ამ ქვეყანაზე უბრალოდ არ დადიოდა. მის უკან, როგორც
მივხვდი, ჟურნალ „ვოგის“ რედაქტორები იდგნენ და ანას ისე
უცქერდნენ, როგორც მირანდას — ჩვენი „კლარკერები“, მათ
უკან კი დონატელა ვერსაჩე ემოციით საუბრობდა. ზედმეტი
მაკიაჟით სახეზე და გასაოცრად მოტკეცილი ტანსაცმლით კა-
რიკატურა გეგონებოდათ. როცა შვეიცარია პირველად ვნახე,
ვერც კი წარმომედგინა, თუ რაოდენ მსგავსებას ვიპოვიდი მის
მინიატიურულ მაკეტში, რომელიც ფლორიდის შტატის ქალაქ
ორლანდოს „დისნეი ლენდში“ იდგა. იმ მომენტში დონატელა
მის პაროდისტს უფრო ჰგავდა „შაბათის რეალითი შოუდან“,
ვიდრე საკუთარ თავს.

შამპანურს ვწრუპავდი (მე კი მეგონა, ვერ დავლევდი!) და
კრისტიანის გამოჩენამდე ერთ იტალიელ ბიჭს (მასავით ამაზრ-
ზენ ტიპს იშვიათად შევხვედრივარ) ველაპარაკებოდი. ის მიყ-
ვებოდა, რამდენად დიდ პატივს სცემდა ქალის სხეულს.

— ჰეი, ერთი წუთით წამომყევი, — მითხრა კრისტიანმა და
ხალხში გზა ისე გამაკვლევინა, რომ არავის დავჯახებივართ —
მისთვის დამახასიათებელ სტილზე ეცვა: იდეალურად გახეხი-
ლი ჯინსები, თეთრი მაისური, მუქი სპორტული ქურთუკი და
„გუჩის“ ლოუფერები. მოდურად ჩაცმა ბუნებრივად გამოს-
დიოდა.

— სად მივდივართ? — თვალებით მირანდას ვეძებდი, რო-
მელიც, კრისტიანის სიტყვების მიუხედავად, ჩემგან ალბათ კუ-
თხეში დგომას, ფაქსის გაგზავნას ან დღის განრიგის განახლე-
ბას ელოდა.

— პირველ რიგში, თითო ჭიქა კიდევ დავლიოთ და მერე ცე-
კვას გასწავლი.

— რამ გაფიქრებინა, რომ ცეკვა არ ვიცი? ცნობისთვის,
ძალიან ნიჭიერი მოცეკვავე ვარ.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჭიქით შამპანური მომაწოდა, ის თითქოს ჰაერიდან გაა-
ჩინა და მისი მშობლების ფორმალური სასტუმრო ოთახის-
კენ გამიძღვა. ოთახი არაჩვეულებრივ მუქლვინისფერში იყო
განყობილი. ექვსკაციანი ბენდი რაღაც ჰიპურს უკრავდა და
მასზე ათობით შუახნის ადამიანი ცეკვავდა. იფიქრებდით,
შეუკვეთესო, როდესაც მარვინ გეის „მოდი გავაგრძელოთ"
წამოიწყეს. კრისტიანმა თავისკენ მიმიზიდა. მისგან ძალიან
მამაკაცური სურნელი მოდიოდა, ძვირფასი ოდეკოლონი ესხა,
თითქოს რეტროს სტილში, „პოლო სპორტის" მსგავსი. ის მუსი-
კას ძალიან ბუნებრივად ჰყვებოდა და ჩემს ყურთან მელოდიას
ნაზად ღიღინებდა, ყოველგვარი ფიქრის გარეშე ვმოძრაობ-
დით. თავბრუ დამესხა, სხვების ცეკვა ბუნდოვნად მახსოვს,
ვილაც სადღაც სადღეგრძელოს ამბობდა, მაგრამ იმ წუთებში
მე მხოლოდ კრისტიანზე ვფიქრობდი. გონების კუნჭულში სინ-
დისი მახსენებდა, რომ სხეული, რომელსაც ასე ვეტმასნებოდი,
ალექსის არ ეკუთვნოდა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა.
იმ საღამოს ამას მნიშვნელობა საერთოდ არ ჰქონდა.

ორი საათი იყო დაწყებული, როცა გამახსენდა, რომ მირან-
დასთან ერთად ვიყავი, მისი ბოლო ნახვიდან დიდი დრო გავიდა.
დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი იქ ყოფნა სულ გადაავიწყდა
და სასტუმროშიც ჩემ გარეშე დაბრუნდა, მაგრამ როცა თავს
კრისტიანის მამის კაბინეტიდან გამოსვლა ვაიძულე, მირანდა
კარლ ლაგერფილდთან და გვინეტ პელტროუსთან ბედნიერად
მოჭუკჭუკე დავინახე. ყველამ იცოდა, რომ რამდენიმე საათში
კრისტიან დიორის ჩვენებისთვის მოუწევდათ მომზადება, მა-
გრამ ეს სულ არ ადარდებდათ. მე სწორედ იმ დროს შემამჩნია,
როდესაც ვორჭოფობდი, ღირდა თუ არა მასთან მისვლა.

— ან-დრე-ა! მომიახლოვდით, — დამიძახა წვეულებისთვის
დამახასიათებელი მხიარული ხმით, რომელიც უკვე დასასრულს
უახლოვდებოდა. ვილაცას შუქისთვის დაეწია და დარჩენილ
სტუმრებზე მოლიმარი ბარმენები ზრუნავდნენ. შამპანურით
გაბრუებულს მირანდას მიერ ჩემი სახელის გაღიზიანებით წარ-
მოთქმა სულ არ მაწუხებდა. არ მეგონა, წვეულებაზე ასე თუ
გავერთობოდი. ნათელი იყო, მირანდა თავისი გამოჩენილი მე-
გობრების გასაცნობად მეძახდა.

— დიახ, მირანდა? — მშვიდად მივუგე, და ვიგულისხ-
მე: „გმადლობთ, რომ ასეთ არაჩვეულებრივ წვეულებაზე

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

თქვენთან ერთად წამომიყვანეთ". ჩემკენ არც გამოუხედავს, ისე მიბრძანა:

— „პელეგრინო" მომიტანეთ და შეამოწმეთ, რომ მძღოლი გასასვლელში მელოდებოდეს. წასვლის დროა.

ორმა უცნობმა ქალმა და ვიღაც მამაკაცმა ამ სიტყვებზე ჩაიცინეს, მე კი სახე წითელი ვაშლივით ამილაჟღაჟდა.

— რა თქმა უნდა, ახლავე დავბრუნდები, — წყალი მივუტანე. როგორც ყოველთვის, მადლობა არ გადაუხდია. მძღოლის სანახავად გავემართე. მინდოდა კრისტიანის მშობლები მენახა და მათთვის მადლობა მეთქვა, მაგრამ გადავიფიქრე და კარისკენ წავედი, კრისტიანი იქვე იდგა და თვითკმაყოფილი გამომეტყველებით მიცქერდა.

— აბა, პატარა ენდი, გასიამოვნეთ თუ არა ამ საღამოს? მართალია, ენა ცოტათი ეშლებოდა, მაგრამ იმ მომენტში ეს მის მომხიბვლელობას ჩრდილს ვერ აყენებდა.

— მგონი, კი, ცუდი არ იყო.

— მხოლოდ „ცუდი არ იყო"? ალბათ გინდოდა, ღამე საძინებელში გაგვეგრძელებინა არა, ენდი? ყველაფერს თავის დრო აქვს, მეგობარო, ყველაფერს.

ხელი მკლავზე მხიარულად მივარტყი.

— გეგონოს, კრისტიან, გეგონოს! დიდი მადლობა გადაეცი შენს მშობლებს ჩემგან, — ვუთხარი და ამჯერად მე თვითონ ავიწიე თითის წვერებზე და სანამ რაიმეს მოიმოქმედებდა, ლოყაზე ვაკოცე, — ღამე მშვიდობის.

— ეშმაკუნავ! — მითხრა, თუმცა ამჯერად უფრო ენაბნეულმა, — დიდი ეშმაკუნა ხარ, მაგრამ შენს შეყვარებულს ეს შენში ალბათ ძალიან მოსწონს, არა?

ყოველგვარი ცინიზმის გარეშე ღიმილით მითხრა. მისთვის ეს ფლირტის ნაწილი იყო, მაგრამ ალექსის ხსენებამ წამით გამომაფხიზლა და მივხვდი, რომ ასე კარგად დრო დიდი ხანია არ გამეტარებინა. შამპანურის ნრუპვამ, მასთან ჩახუტებულმა ცეკვამ, წელზე ხელების შემოხვევამ, თავისკენ მიზიდვამ მაგრძნობინა, რომ ცოცხალი ვიყავი. „პოდიუმში" მუშაობის დაწყებიდან თვეების განმავლობაში დამცირების, უზომო დალლილობისა და იმედგაცრუების გარდა არაფერი მიგრძნია. უკვე მესმოდა, თუ რატომ იქცეოდა ლილი ასე — ბიჭები, გაუთავებელი წვეულებები, ახალგაზრდობა, მხიარულება, სუნთქვა-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთი სული მქონდა, მას როდის დავურეკავდი და ყველაფერს მოვუყვებოდი.

ხუთ წუთში მირანდა მანქანაში გვერდით მომიჯდა, გასაოცარი იყო, მაგრამ ბედნიერი გამომეტყველება ჰქონდა. ვიფიქრე, ცოტა ხომ არ შეთვრა-მეთქი, მაგრამ უმალ გამოვრიცხე, რადგან შესაბამის გარემოშიც კი ის ერთ-ორ ყლუპზე მეტს არასოდეს სვამდა. შამპანურს მირანდა „პერეს" ან „პელეგრინოს" ამჯობინებდა, ხოლო „კოსმოსს" რძის კოქტეილს ან ლატეს. ასე რომ, ვარაუდი, რომ შესაძლოა, მირანდა შეზარხოშებული ყოფილიყო, უსაფუძვლო იყო.

ხუთი წუთის განმავლობაში ტვინი გამიბურღა მომდევნო დღის განრიგის თაობაზე (საბედნიეროდ, არ დამვიწყებია და განრიგის ასლი წამოსვლამდე ჩანთაში ჩავიგდე), ბოლოს ჩემკენ შემოტრიალდა და ისე შემომხედა, თითქოს პირველად მხედავდა.

— ემილი... ან-დრე-ა, რამდენი ხანია, რაც ჩემთან მუშაობთ?

ეს იმდენად მოულოდნელი შეკითხვა იყო, რომ ტვინი საკმარისად სწრაფად ვერ ავამუშავე, რომ მის შეკითხვაში ფარული მოტივი მეპოვა. მეუცნაურა, ამას რომ მეკითხებოდა და არა იმას, თუ რატომ ვიყავი ასეთი იდიოტი და არ ვეძებდი უკეთეს სამსახურს, სადაც პოვნა, მოტანა ან შეკეთება არ დამევალებოდა. არ მახსოვს, აქამდე ჩემი ცხოვრებით დაინტერესებულიყო, ვფიქრობ, არც ჩემი გასაუბრების დეტალები ახსოვდა, რადგან ისეთი სახით მიცქერდა, როგორც მუშაობის პირველ დღეს. მას წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ რომელი უნივერსიტეტი დავამთავრე (თუ დავამთავრე საერთოდ?), სად ვცხოვრობდი (მანჰეტენზე?) ან რას ვაკეთებდი იმ ძვირფას საათებში, როდესაც მას უკან არ დავდევდი. ეს შეკითხვა მირანდას სტილში არ იყო და ინტუიცია მკარნახობდა, რომ საუბარი ჩემზე იქნებოდა.

— მომდევნო თვეს ერთი წელი შემისრულდება, მირანდა.

— და როგორ გგონიათ, ისწავლეთ რამე, რაც სამომავლოდ გამოგადგებათ? — მკითხა და ისე მომაშტერდა, რომ გამიჭირდა თავი შემეკავებინა და სახეში არ მიმეხალა ის ათასობით რამ, რაც მასთან მუშაობისას „ვისწავლე". მაგალითად: თუ როგორ მეპოვა უცნობი რესტორნის ან მაღაზიის სარეკლამო მიმოხილვა ქვეყნის ათობით გაზეთში, როგორ მომეთაფლა ორი პატარა გოგონა, რომლებმაც ცხოვრების შესახებ გაცილებით

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეტი იცოდნენ, ვიდრე ჩემმა დედ-მამამ ერთად, თუ როგორ მესაუბრა, როგორ მეთხოვა, როგორ მეკივლა, მეიძულებინა ან მომეხიბლა ადამიანები, დაწყებული ემიგრანტი კურიერით და დამთავრებული ცნობილი გამომცემლობების მთავარი რედაქტორებით, რომ მიზნისთვის მიმელწია, რა თქმა უნდა — როგორ შემესრულებინა პრაქტიკულად შეუძლებელი დავალებები საათზე ნაკლებ დროში და როგორ მეცხოვრა ამ გამოთქმების გარეშე: „დარწმუნებული არ ვარ" ან „ეს შეუძლებელია". ნამდვილად ძალიან წარმატებული წელი მქონდა.

— ოჰ, რა თქმა უნდა, — ამოვისუნთქე, — ამ ერთი წლის მანძილზე თქვენგან გაცილებით მეტი ვისწავლე, ვიდრე სადმე სხვაგან შევძლებდი ამას. დამიჯერეთ, ბედნიერებაა, როცა საკუთარი თვალით ხედავ, როგორ მუშაობს მსოფლიოში ერთ-ერთი მთავარი — უმთავრესი — ჟურნალი, აკვირდები, როგორ მოძრაობს პროდუქცია, როგორ მუშაობენ პროფესიონალები, დაბოლოს, როცა პირადად გხედავთ, თუ როგორ ხელმძღვანელობთ ამ ყველაფერს! ჩემთვის ეს გასაოცარი წელი იყო! ძალიან დიდი მადლობა ამისთვის, მირანდა!

„ისეთი მადლობელი ვარ, რომ აგერ უკვე თვეებია, რაც უკანა კბილები მტკივა და კბილის ექიმთან ვერ მივსულვარ, რადგან სულ ვმუშაობ. ეგ არაფერი! „ჯიმი ჩუს" ხელნაკეთ ფეხსაცმელებში ცოდნის გაღრმავება ამ ტკივილად მიღირდა."

რა უბედურებას ვროშავდი? მირანდასკენ თვალი გავაპარე. ჩანდა, რომ ჩემი სჯეროდა, რადგან თავს კმაყოფილი მიქნევდა.

— თქვენ ალბათ გსმენიათ, ან-დრე-ა, რომ ჩემთან ერთი წლის მუშაობის შემდეგ, თქვენი დაწინაურება მართებულ ნაბიჯად მიმაჩნია.

გული ამიჩქარდა. მეღირსა? ნუთუ მართლა მეტყოდა, რომ უკვე „ნიუ-იორკერში" მიშოვა ადგილი? მნიშვნელობა არ ჰქონდა, ოღონდ იქ მემუშავა და ყველაფერზე წამსვლელი ვიყავი. ალბათ ამას თავად მიხვდა, რადგან ის არცთუ ისე გულგრილი ადამიანია?

— რა თქმა უნდა, თქვენზე ჩემი აზრი მაქვს. არ გეგონოთ, არ ვიცოდე, ენთუზიაზმის ნაკლებობას რომ განიცდით, არ მესმოდეს თქვენი კვნესა, ან ვერ ვამჩნევდე სახის გამომეტყველებას, როცა იმას გავალებთ, რისი შესრულებაც დიდად არ გსურთ. იმედი მაქვს, ეს მხოლოდ თქვენი მოუმწიფებლობის

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბრალია, რადგან სხვა საკითხებში საკმაოდ კომპეტენტური ხართ. კონკრეტულად რა გაინტერესებთ?

საკმაოდ კომპეტენტური! მისი მხრიდან ასეთი შეფასება ტოლფასი იყო ეთქვა, რომ ყველაზე განათლებული, დახვეწილი, ბრწყინვალე და იმედისმომცემი ახალგაზრდა ვიყავი, ვისთანაც კი ოდესმე შეხვედრის პატივი ჰქონია. მირანდა პრისტლიმ ახლახან მითხრა, რომ მე საკმაოდ კომპეტენტური ვიყავი!

— იცით, სიმართლე გითხრათ, რა თქმა უნდა, მოდა მიყვარს, განა ვის არ უყვარს ის — უმალ დავძინე, თან მის გამომეტყველებას სიფრთხილით ვაკვირდებოდი. რა თქმა უნდა, ის არ იცვლებოდა, — უბრალოდ, ჩემი ოცნება იყო მწერალი გავმხდარიყავი, იმედი მქონდა, რომ ეს იქნებოდა სფერო, რომელშიც საკუთარ თავს ვიპოვიდი.

ხელები კალთაში დაიწყო და ფანჯარაში გაიხედა. ნათელი იყო, რომ ორმოცდახუთწამიანი საუბარი უკვე მოსწყინდა, ამიტომ დრო იყო, რამე ეთქვა:

— მართალია, წარმოდგენა არ მაქვს, შეგიძლიათ თუ არა წერა, მაგრამ წინააღმდეგი არ ვარ, ჟურნალისთვის პატარა სტატიები მოამზადოთ, ვნახოთ, რა გამოვა. შეგიძლიათ სპექტაკლზე რეცენზია ან პატარა სტატია განათავსოთ სიახლეების სვეტში და რა თქმა უნდა, ამან ხელი არ უნდა შეუშალოს თქვენს სხვა ვალდებულებებს, შესაბამისად, წერას თქვენს თავისუფალ დროს მოახმართ.

— რა თქმა უნდა, გასაგებია. უბრალოდ შესანიშნავია! — ჩვენ ვსაუბრობდით, ჩვენ შორის პირველად შედგა სრულფასოვანი კომუნიკაცია, რომლის განმავლობაშიც მას სიტყვები „საუზმე“ და „ქიმწმენდა“ არ უხსენებია.

ყველაფერი კარგად მიდიოდა და დრო იყო, სათქმელი მეთქვა.

— ჩემი ოცნებაა, რომ ერთ მშვენიერ დღეს „ნიუ-იორკერში“ ვიმუშაო.

ჩანს, რომ გაფანტული ყურადღება მოიკრიბა და ისევ გადმომხედა.

— ნეტავ რამ მოგანდომათ? არანაირი სილამაზე და გლამური იქ არ არის, მხოლოდ შავ-თეთრი, მოსაწყენი სტრიქონები, — ვერ მივხვდი, ეს რიტორიკული შეკითხვა იყო თუ არა, და ამიტომ დუმილი ვარჩიე.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩემი დრო იწურებოდა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სასტუმროს ვუახლოვდებოდით და მეორეც — მირანდა ინტერესს კარგავდა. შემოსულ ზარებს ათვალიერებდა თავის მობილურ ტელეფონზე, მაგრამ მაინც გააგრძელა.

— ჰმ, „ნიუ-იორკერი“ „კონდე ნასტი“,[93] — მის სიტყვებზე თავს შეშლილივით ვაქნევდი, მაგრამ ის ზედაც არ მიყურებდა, — რა თქმა უნდა, იქ უამრავ მნიშვნელოვან ხალხს ვიცნობ. ვნახოთ, როგორ ჩაივლის ეს მოდის კვირეული და როცა დავბრუნდებით, იქნებ საჭირო ხალხსაც შევეხმიანო.

მანქანა შესასვლელთან გაჩერდა და გადაქანცული შესახედაობის მქონე მისიე რენომ მირანდასთვის კარის გაღება შვეიცარს დაასწრო.

— ქალბატონებო! იმედია მშვენიერი საღამო გაატარეთ, — გვითხრა და მიუხედავად დაღლილობისა, გულით გაგვიღიმა.

— ხვალ დილით კრისტიან დიორის ჩვენებაზე წასასვლელად მანქანა დაგვჭირდება. ცხრის ნახევარზე, საუზმეზე, ფოიეში შეხვედრა მაქვს. მიხედეთ, რომ იმ პერიოდში არავინ შემაწუხოს, — მშრალი ხმით მითხრა. მისი ადამიანურობა წამში გადნა, ისე როგორც მზეში — თოვლი. იმის საშუალებაც კი არ მომცა, საუბრის დასასრულ რაიმე მეთქვა, რადგან ის უკვე ლიფტში გაუჩინარდა. მისიე რენოს თანაგრძნობით შევხედე, თითქოს ვეუბნებოდი „მე მესმის თქვენი“ და ლიფტისკენ გავემართე.

საწოლის გვერდით ტუმბოზე ვერცხლის ლანგარი დამხვდა და ზედ პაწაწინა და უგემრიელესი შოკოლადები. ამან იდეალური საღამო უფრო გამიხალისა. ერთ ჩვეულებრივ საღამოს მოულოდნელად მოდელად ვიქეცი, ყველაზე მაგარ ბიჭთან, ვისაც კი ცხოვრებაში შევხვედრივარ, ვიცეკვე, მხიარული დრო ვატარე და ბოლოს თვით მირანდა პრისტლისაგან ქათინაური მივიღე. ვგრძნობდი, რომ საბოლოოდ ყველაფერი ლაგდებოდა, რომ გასული წლის ტანჯვა-წამებას ტყუილად არ ჩაუვლია და ნაყოფს მალე გამოიღებდა. ლოგინზე გადავწექი ჩაცმული და ჭერს მივაშტერდი, ჯერ კიდევ ვერ ვიჯერებდი, რომ მირანდა პრისტლის თვალი გავუსწორე და ვუთხარი „ნიუ-იორკერში“ მუშაობა მინდა-მეთქი, მან კი არ დამცინა, არ დამიყეფა და არც სხვა ფორმითა და მეთოდით შეურაცხმყო. საყვედურიც კი არ უთქვამს და არც ის, რომ იდიოტი ვარ, რადგან დაწინაურე-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბას „პოდიუმში“ არ ვითხოვდი. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ჟურნალში სტაჟირება გავიარე, მისი დასრულების შემდეგ კი მან მე მომისმინა და გამიგო. გამიგო და დამეთანხმა. ამის დაჯერება მიჭირდა. ტანსაცმელი ნელა გავიხადე, იმ ღამის ყოველი წუთით ვტკბებოდი. სულ იმას ვიხსენებდი, თუ როგორ დამატარებდა ოთახ-ოთახ და როგორ მაცეკვებდა კრისტიანი, როგორ მიყურებდა მოჭუტული თვალებით, შუბლზე კულულ-ჩამოვარდნილი, თუ როგორ დამიქნია თავი მირანდამ, როცა ვუთხარი, სად მინდოდა მუშაობა. ჭეშმარიტად საუკეთესო ღამე იყო ჩემს ცხოვრებაში. პარიზში თითქმის ღამის ოთხის ნახევარი იყო, ნიუ-იორკში კი ათის ნახევარი, იდეალური დრო ლილისთან საჭორაოდ, სანამ ღამის ცხოვრებით დაკავდებო-და. ის-ის იყო, ნომერი უნდა ამეკრიფა, რომ შევამჩნიე, აპარატი ციმციმებდა. სიურპრიზი! შეტყობინება მელოდა. მხიარულად ავიღე „რიცის“ ბლოკნოტი და ჩასაწერად მოვემზადე. წინ ალ-ბათ, მომაბეზრებელი თხოვნების გრძელი სია მელოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ზღაპრულ განწყობილებას ვერაფერი გამი-ფუჭებდა.

პირველი მისიე რენო იყო და მისი თანაშემწეები, მომდევნო დღის სხვადასხვა მარშრუტის შესახებ მაწვდიდნენ ინფორ-მაციას. მიუხედავად იმისა, რომ მირანდას პერსონალური თოჯინა ვიყავი, მაინც მსიამოვნებდა, როდესაც მათ არ ავიწყ-დებოდათ და მშვიდობიან ღამეს მისურვებდნენ. ამას ძალიან ვუფასებდი. სადღაც მესამე და მეოთხე შეტყობინების წინ მი-ვხვდი, რომ ერთდროულად მინდოდა და თან არც მინდოდა, რომ რომელიმე შეტყობინება ალექსისგან ყოფილიყო. მეოთხე — სწორედ მისგან იყო.

„გამარჯობა, ენდი, მე ვარ, ალექსი. მისმინე, ბოდიში, რომ გაწუხებ, დარწმუნებული ვარ, სასწაულად დაკავებული ხარ, მაგრამ უნდა დაგელაპარაკო, ამიტომ როგორც კი ამ შეტყობი-ნებას მოისმენ, მაშინვე მობილურზე გადმორეკე. მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენად გვიანი იქნება, უბრალოდ დამირეკე, კარგი? ჰჰ, კარგი აბა, კარგად!“

უცნაური იყო, რომ არ მითხრა, მიყვარხარო, მომენატრეო, ან ერთი სული მაქვს, როდის დაბრუნდებიო, მაგრამ ალბათ მსგავსი სიტყვების თქმა „არაშესაფერის“ კატეგორიებში ხვდე-ბა, როცა ადამიანები „დროებით დაშორებას“ გამოაცხადებენ.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ნაშლის“ ღილაკს დავაჭირე და გადავწყვიტე, რომ საჩქარო ისეთი არაფერი იქნებოდა, საქმე ხვალამდე მოითმენდა, თან მის ხმაშიც საგანგაშო არაფერი შემინიშნავს. თავი არ მქონდა, ასეთი მშვენიერი საღამოს შემდეგ, ღამის სამ საათზე „ჩვენი ურთიერთობების სტატუსი“ მერკვია.

ბოლო და უკანასკნელი შეტყობინება დედაჩემისგან იყო და მისი ხმაც უცნაური მომეჩვენა, გაურკვევლად ლაპარაკობდა.

„გამარჯობა, საყვარელო, დედა ვარ. ჩვენი დროით რვა საათია, აზრზე არ ვარ, მანდ რა დროა, მაგრამ საჩქარო არაფერია — ყველაფერი კარგადაა — თუმცა ძალიან გაგვახარებდი, ამის მოსმენის შემდეგ თუ სახლში დაგვირეკავდი. შენს ზარს დაველოდებით, როცა მოახერხო, მაშინ დარეკე, უმჯობესია, დღესვე. მე და მამას იმედი გვაქვს, რომ კარგად ერთობი. მოგვიანებით დაგელაპარაკებით. გვიყვარხარ!“

ნამდვილად რაღაც ხდებოდა. ორივემ, დედამ და ალექსმა, პარიზში დამირეკა და სანამ მათთან საუბრის საშუალება მომეცემოდა, გადარეკვა მთხოვა, მიუხედავად იმისა, თუ რა დროს მოვისმენდი შეტყობინებას. დედა და მამა ზოგადად გვიან იძინებენ, მაგრამ თუ „ლატერმანის შოუს“ მონოლოგამდე არ ჩაეძინათ, ესე იგი, ნამდვილად რაღაც მოხდა. თუმცა ამავე დროს შეშფოთებული ხმა არც ერთს არ ჰქონდა. ჯობდა აბაზანაში ჩავწოლილიყავი და „რიცის“ სურნელოვანი საშუალებებით დამებანა, შემდეგ კი მათთან დასარეკად მოვმზადებულიყავი. არ მინდოდა იმ ღამაზ საღამოს დედაჩემის რჩევა-დარიგებებისთვის მესმინა ან ალექსთან „ჩვენი ურთიერთობის ეტაპები“ განმეხილა.

ცხელ აბაზანაში ფუფუნების ყველა საშუალება მქონდა, როგორც ამას პარიზის „რიცის“ სასტუმროში კოკო შანელის აპარტამენტებთან დაკავშირებული ოთახი იმსახურებდა. რამდენიმე წუთი კიდევ მქონდა, ამიტომ ტანზე სურნელოვანი დამატენიანებელი საცხი მსუბუქად შევიზილე. შემდეგ კი ყველაზე ფუმფულა პირსახოცის ხალათში გავეხვიე და დასარეკად მოვემზადე.

ყოველგვარი ფიქრის გარეშე ჯერ დედასთან დავრეკე, რაც ალბათ შეცდომა იყო: „ალოც“ კი ძალიან მძიმედ წარმოთქვა.

— გამარჯობა, მე ვარ. ყველაფერი კარგადაა? ხვალ ვაპირებდი თქვენთან დარეკვას. აქ ისეთი არეულობაა, მოიცადე,

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ახლა მოგიყვები იმ არაჩვეულებრივ საღამოზე, რომელზეც დღეს ვიყავი! — ზუსტად ვიცოდი, რომ ყველანაირ რომანტიკულ დეტალს კრისტიანთან დაკავშირებით გამოვტოვებდი, რადგან თავი არ მქონდა, მშობლებისთვის ჩემი და ალექსის დაძაბული ურთიერთობა ამეხსნა. ვიცოდი, რომ მშობლებს უზომოდ გაახარებდათ, როცა გაიგებდნენ, რომ მირანდა ჩემი იდეისადმი საკმაოდ პოზიტიურად განეწყო მას შემდეგ, რაც „ნიუ-იორკერში" მუშაობის შესახებ დაველაპარაკე.

— ძვირფასო, არ მინდა შეგაწყვეტინო, მაგრამ რაღაც მოხდა. დღეს „ლენოქს ჰილის ჰოსპიტლიდან" დაგვირეკეს, რომელიც მგონი, 77-ე ქუჩაზეა, როგორც ჩანს, ლილის უბედურება შეემთხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემ მიერ წარმოთქმული სიტყვები ინგლისურ ენაში ძალზე გაცვეთილია, წამით გული გამიჩერდა და მეტი ვერაფერი მოვახერხე, გარდა:

— რა? რას მეუბნები? რა უბედური შემთხვევა?

ამის შემდეგ ჩემი დამშვიდება დაიწყო, ცდილობდა მშვიდი ხმით, რაციონალურად აეხსნა ყველაფერი. ალბათ მამამ ურჩია, რომ ჩემთვის სიმშვიდისა და თავდაჭერილობის მაგალითი ეჩვენებინა.

— ავტოსაგზაო შემთხვევაა, საყვარელო. ვშიშობ, საკმაოდ სერიოზული შეჯახება მოხდა. საჭეს ლილი მართავდა, მასთან ერთად ვილაც ბიჭი იყო, მისი ინსტიტუტიდან. როგორც გვითხრეს, ლილიმ არასწორად შეუხვია იმ ქუჩაზე, რომელზეც ცალმხრივი მოძრაობა იყო და საათში ორმოცი მილის სიჩქარით ტაქსის შეასკდა. პოლიციამ თქვა, სასწაულია, რომ საერთოდ გადარჩაო.

— არ მესმის. ეს როგორ მოხდა? ახლა როგორაა?— ისეთი ხმა მქონდა, თითქოს რაღაც მახრჩობდა, შევამჩნიე, დედაჩემი სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობდა და მდგომარეობის სიმძიმის ასახსნელად ფრთხილად არჩევდა შესაფერის სიტყვებს.

— დედა, ახლა სადაა ლილი? გამოჯანმრთელდება?

ამ შეკითხვამდე ვერც შევამჩნიე, რომ დედაჩემიც ჩემთან ერთად, ოღონდ ჩუმი ხმით ტიროდა.

— ენდი, მამას ელაპარაკე. ბოლოს ექიმებს ის შეხვდა. მიყვარხარ, სიხარულო, — ბოლო სიტყვები უკვე ქვითინით მითხრა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— გამარჯობა, ძვირფასო. როგორ ხარ? ვწუხვართ, რომ ასეთი ამბებით გირეკავთ, — მამაჩემის ბოხი ხმა მშვიდი იყო და უეცრად წარმოვიდგინე, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. მეტყოდა, რომ ლილიმ ფეხი მოიტეხა, შეიძლება მას ერთი-ორი ნეკნიც გაებზარა, რომ ძალიან კარგი პლასტიკური ქირურგი გამოიძახეს, ოპერაცია ჩაუტარდა და სახეზე მხოლოდ რამდენიმე ნაკაწრით, სულ მალე საავადმყოფოდან გამოწერდნენ.

— მამი, ძალიან გთხოვ მითხარი, სინამდვილეში რა მოხდა? დედამ თქვა, ლილი საჭესთან იჯდაო, დიდი სიჩქარით ტაქსის შეასკდაო, ასეა? მაგრამ არ მესმის. ლილის მანქანა არ ჰყავს და ტარებაც სძულს. მანჰეტენის დასათვალიერებლად ტურისტულ ავტობუსშიც კი არ მჯდარა. ეს როგორ გაიგეთ? ვინ დარეკა? და რა სჭირს ლილის? — ისტერიულად ვლაპარაკობდი, მაგრამ ისევ მისმა ხმამ დამამშვიდა.

— ღრმად ისუნთქე, რაც ვიცი, ყველაფერს მოგიყვები. ავტოსაგზაო შემთხვევა გუშინ მოხდა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ დღეს გავიგეთ.

— გუშინ! გუშინ მოხდა და მე არავინ გამაგებინა? გუშინ?

— საყვარელო, შენთან დარეკეს. ექიმმა მითხრა, რომლის ბლოკნოტის თავფურცელზე „საგანგებო შემთხვევისას საკონტაქტო პირის" გრაფაში შენი ტელეფონის ნომერი ჩაეწერა, რადგან ბებიამისის იმედი არ ჰქონდა. მოკლედ, საავადმყოფოდან სახლშიც და მობილურზეც დაგირეკეს, მაგრამ, რა თქმა უნდა, შენ არ გიპასუხია. როდესაც საავადმყოფოში არავინ დარეკა და ლილის სანახავადაც ოცდაოთხი საათის განმავლობაში არავინ მივიდა, მისი ბლოკნოტი დაათვალიერეს და რადგან ჩვენ ერთი გვარი გვაქვს, აქ დაგვირეკეს და გვკითხეს, როგორ დაგკავშირებოდნენ. მე და დედაშენს პარიზის მისამართი არ გვახსოვდა, ამიტომ სასტუმროს სახელის გასაგებად ალექსს დავურეკეთ.

— ღმერთო ჩემო! ეს გუშინ მოხდა. მთელი ეს დრო მარტო იყო? ისევ საავადმყოფოშია? — უფრო სწრაფად კითხვის დასმა აღარ შემეძლო, თუმცა იმის შეგრძნება არ მტოვებდა, რომ ჩემი კითხვები უპასუხოდ რჩებოდა. ერთადერთი, რაც ზუსტად ვიცოდი, ის იყო, რომ ლილიმ ბლოკნოტში „საგანგებო შემთხვევების" გრაფაში ჩემი სახელი და გვარი ჩაწერა, რადგან გადაწყვიტა, რომ მის ცხოვრებაში ყველაზე ახლობელი ადამიანი ვიყავი. მსგავს რაღაცებს ბლოკნოტის პირველ ფურცელზე

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვინიშნავთ, მაგრამ სერიოზულად არასოდეს აღვიქვამთ. ხოლო როცა მას მართლა ვჭირდებოდი, რადგან დედამიწის ზურგზე ჩემ გარდა არავინ ჰყავდა, ვერ მიპოვეს. უკვე აღარ ვიხრჩობოდი, მაგრამ ლოყებზე სიმწრის თბილი ცრემლები ღაპაღუპით ჩამომდიოდა. ყელში კი საშინელ ტკივილს ვგრძნობდი, თითქოს ის პემზის ქვით ჩამეხეხოს.

— ჰო, ჯერ ისევ საავადმყოფოშია. სიმართლეს გეტყვი, ენდი. დარწმუნებული არ ვართ, როგორ იქნება.

— რა? რისი თქმა გინდა? იქნებ უფრო კონკრეტულად ამიხსნა?

— საყვარელო, უკვე ათობით ექიმს ველაპარაკე და დარწმუნებული ვარ, რომ მასზე საუკეთესოდ ზრუნავენ, ყურადღებას არ აკლებენ, მაგრამ ლილი კომაშია, ფისუნია, მართალია, ექიმებმა დამარწმუნეს, რომ...

— კომაში? ლილი კომაშია? — ყველაფერმა აზრი დაკარგა. ნათქვამის გააზრებაზე უარს ვამბობდი.

— ძვირფასო, შეეცადე დამშვიდდე. ვიცი, ეს ძალიან მძიმეა და არ მინდოდა ტელეფონით მეთქვა, მე და დედამ გადავწყვიტეთ, რომ დაბრუნებამდე შენთვის ამის თქმა საჭირო არ იყო, მაგრამ ვინაიდან მანდ კვირაზე მეტხანს კიდევ დარჩები, გადავწყვიტეთ, რომ ყველაფრის ცოდნის უფლება გქონდა. შენ არ ინერვიულო, მე და დედაშენი მივხედავთ. შენ ძალიან კარგად იცი, რომ ის ჩვენთვის შვილივითაა, ასე რომ, ლილი მარტო არ იქნება.

— ღმერთო ჩემო! უნდა დავბრუნდე, მამა, სახლში უნდა დავბრუნდე! ჩემს მეტი არავინ ჰყავს, მე კი ოკეანის გადაღმა ვარ. ოჰ, მაგრამ მირანდას წყეული წვეულება ზეგ არის, ეს ერთადერთი მიზეზია, რატომაც აქ წამომიყვანა და მასთან ერთად თუ არ ვიქნები, აუცილებლად გამათავისუფლებს. უნდა დავფიქრდე! უნდა ვიფიქრო!

— ენდი, უკვე გვიანია. ჩემი აზრით, უმჯობესია ახლა დაიძინო, დამშვიდდე და დაფიქრდე. რა თქმა უნდა, სახლში დაბრუნება გიჯობს, ეს მესმის, რადგან შენ ასეთი ადამიანი ხარ, მაგრამ ლილი კომაშია. მისმა ექიმმა დამარწმუნდა, რომ ლილის კომიდან გამოსვლის დიდი შანსი აქვს, სავარაუდოდ, ორ-სამ დღეში მისი მდგომარეობა გაუმჯობესდება, ახლა მისი ორგანიზმი უბრალოდ ღრმა ძილის შესაძლებლობას იყენებს, რომ ამით გა-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოჯანმრთელების პროცესი დააჩქაროს. თუმცა დაზუსტებით მაინც ვერავინ ვერაფერს იტყვის, — ნაზად დაამატა.

— და რომ არ გამოჯანმრთელდეს? გონებაში ათასი აზრი მომდის. ხომ შეიძლება, რომ დაზიანებული ტვინით გაიღვიძოს, ან ბოლომდე პარალიზებული დარჩეს! ღმერთო ჩემო, ამას ვერ გავუძლებ.

— ექიმებმა დაზუსტებით ჯერ არაფერი იციან. ისინი ამბობენ, რომ მას მგრძნობელობა კიდურებში არ დაუკარგავს, რაც სასიხარულო ამბავია, რადგან პარალიზებას გამორიცხავს. თუმცა, თავის ქალის სხვადასხვა ადგილას მრავალი შეშუპება აქვს, მის გონზე მოსვლამდე დაზუსტებით არაფერი გვეცოდინება, — ცოტა ხნით კიდევ ვილაპარაკეთ, მერე ყურმილი დავდე და ალექსს მობილურზე დავურეკე.

— გამარჯობა, მე ვარ. ნახე? — ყოველგვარი მისალმების გარეშე ვკითხე. უმცროს მირანდად ვიქეცი.

— ენდი. გამარჯობა. ესე იგი, გაიგე?

— ჰო, ახლახან ველაპარაკე მშობლებს. ლილი ნახე?

— ჰო, ახლაც საავადმყოფოში ვარ. მის ოთახში არ მიშვებენ, რადგან მონახულების საათები ამოწურულია, მე კი მისი ნათესავი არ ვარ. მაინც აქ ვრჩები იმ შემთხვევაში, თუ გონზე მოვა, — ძალიან გაფანტული საუბრობდა, თითქოს საკუთარ ფიქრებში იყო ჩაკარგული.

— რა მოხდა? — დედამ მითხრა, საჭესთან მჯდარა და ტაქსის შეასკდაო თუ რაღაც მსგავსი. ცოტა უცნაურად ჟღერს.

— აჰ, საშინელებაა, — მითხრა და ამოიოხრა, ჩანდა, რომ გაბრაზებული იყო, რადგან მომხდარის შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდი — ზუსტად არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ იმ ბიჭს ველაპარაკე, ვინც მასთან ერთად იყო. ბენჯამენი გახსოვს? ინსტიტუტში რომ ხვდებოდა, სამ გოგოსთან რომ შეუსწრო?

— რა თქმა უნდა, ახლა ერთ შენობაში ვმუშაობთ. დროდადრო ვხედავ ხოლმე. მასთან ერთად რა ჯანდაბას აკეთებდა? ლილის ის სძულს. ბოლომდე ვერ დაივიწყა ის ამბავი.

— ვიცი, მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ, როგორც ჩანს, ბოლო დროს ერთმანეთს ხვდებოდნენ და იმ ღამესაც ერთად იყვნენ. მითხრა, რომ „ნასაუს კოლეზეუმში" „ფიშის" კონცერტს დაესწრნენ. ჩანს, ბენჯამენმა ბევრი მოსწია და ამიტომ საჭესთან ლილი დაჯდა. ქალაქში უპრობლემოდ ჩამოვიდნენ, სანამ ლი-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლიმ წითელზე არ გაიარა. შემდეგ ცუდად შეუხვია და მედისონ-
ზე არასწორი მიმართულებით, საწინააღმდეგო ხაზზე გავიდა.
მძღოლის მხრიდან შეეჯახა ტაქსის. მოკლედ, დანარჩენი იცი,
— ბოლო სიტყვების წარმოთქმისას კინაღამ დაიხრჩო და მივხ-
ვდი, რომ მდგომარეობა ძალზე მძიმე იყო.

ნახევარი საათის განმავლობაში შეკითხვების დასმის მეტი
არაფერი მიკეთებია — ჯერ ჩემი მშობლები, ახლა კი ალექსი,
მაგრამ თავი ვერ ვაიძულე, რომ ყველაზე მთავარი კითხვა და-
მესვა, რატომ გაიარა ლილიმ წითელზე და რატომ შეეცადა მან-
ქანის საწინააღმდეგო მიმართულებით შეტრიალებას? მაგრამ
ამის კითხვა არ დამჭირდა, რადგან, როგორც ყოველთვის,
ალექსი ჩემს ფიქრებს კითხულობდა.

— ენდი, მის სისხლში ალკოჰოლის დაშვებულზე ორჯერ
მეტი რაოდენობა აღმოაჩინეს, — მშვიდად და მკაფიოდ განმი-
ცხადა, ალბათ გამეორება რომ არ დასჭირვებოდა.

— ღმერთო ჩემო!

— თუ... როდესაც გონზე მოვა, წინ ძალიან დიდი უსიამოვნე-
ბები ელის. საბედნიეროდ, ტაქსის მძღოლი მსუბუქად დაშავდა
— რამდენიმე დაჟეჟილობა და ჩალურჯება, ბენჯამინს კი მარ-
ცხენა ფეხი სულ დალეწილი აქვს. ისიც კარგად იქნება. ლილის
გონზე მოსვლას უნდა დაველოდოთ. როდის ჩამოდიხარ?

— რაა? — ჯერ კიდევ იმაზე ვფიქრობდი, რომ ლილი „ხვდე-
ბოდა“ ბიჭს, რომელიც მისი თქმით, ეზიზღებოდა და რომ ახლა
კომაში იყო და რომ ყველაფერი მის გამო მოხდა და საჭესაც
ნასვამი მართავდა, — გეკითხები, როდის ბრუნდები-მეთქი? —
როცა არ ვუპასუხე, გააგრძელა, — ჩამოხვალ, არა? როცა შენი
საუკეთესო მეგობარი საავადმყოფოში წევს, როცა კომაშია,
იმედია, მანდ დარჩენაზე არ იფიქრებ, არა?

— რაზე მიმანიშნებ, ალექს? გინდა დამაბრალო, რომ ვერ
განვჭვრიტე რა ემუქრებოდა? რომ ლილის საავადმყოფოში
ყოფნის მიზეზი ჩემი პარიზში ყოფნაა? რომ მცოდნოდა მისი
და ბენჯამენის ურთიერთობა, ეს არ მოხდებოდა? რის თქმას
ცდილობ? — ვჩხუბობდი. ყველა განცდა ერთმანეთში ამერია
და რომ არ დავცლილიყავი, ავფეთქდებოდი.

— არა, ეს არ მიგულისხმია. ეს თავად თქვი. მე კი ვიფიქრე,
რომ რაც შეიძლება მალე დაბრუნდებოდი შინ, რომ მასთან
ერთად ყოფილიყავი. სულაც არ გკიცხავ, ენდი, და ეს კარგად

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოგეხსენება. ისიც ვიცი, რომ მანდ გვიანია და ორ საათში ვერაფერს შეცვლი, ამიტომ მაშინ დამირეკე, როცა შენი რეისი გეცოდინება. აეროპორტში დაგხვდები და მის სანახავად ერთად წავიდეთ საავადმყოფოში.

— კარგი. გმადლობ, რომ მასთან ხარ და მარტოს არ ტოვებ. ამას ძალიან ვაფასებ და ვიცი, რომ ლილიც იმავეს გრძნობს. დაგირეკავ და გეტყვი, რას ვიზამ.

— კარგი, ენდი. ძალიან მენატრები და ვიცი, რომ შენ სწორ გადაწყვეტილებას მიიღებ, — მითხრა და ისე გამითიშა, რომ მის ბოლო ფრაზა უპასუხოდ დამრჩა.

სწორ გადაწყვეტილებას მიიღებ? სწორ გადაწყვეტილებას? რა ჯანდაბას გულისხმობდა? რადგან თვითონ ჩემი შინ დაბრუნება ივარაუდა, ჩანთებს ხელს დავავლებდი და თვითმფრინავში ჩავხტებოდი? მისი დამრიგებლური ტონი მაღიზიანებდა, თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს მისი ერთ-ერთი მოსწავლე ვიყავი, რომელიც გაკვეთილზე ლაპარაკისას გამოიჭირა. მაღიზიანებდა, რომ ლილისთან, ჩემს მეგობართან ახლა ის ათენებდა და რომ ჩემსა და მშობლებს შორის შუამავლის როლს თამაშობდა, მაღიზიანებდა, რომ ის ასეთი კეთილშობილი იყო და მე ჭკუას მარიგებდა. წარსულს ჩაჰბარდა ის დრო, როცა მასთან უბრალოდ ყოფნა დამამშვიდებდა, როცა ერთად ვიყავით და ნებისმიერი სირთულის ერთად გადალახვა შეგვეძლო. რა დაგვემართა? თავი არ მქონდა მისთვის ამეხსნა, რომ ადრე დაბრუნების შემთხვევაში, მირანდა უმალვე მომხსნიდა და ერთწლიანი ტანჯვა წყალში ჩამეყრებოდა. მოვახერხე და საშინელი აზრები ჩავახშვე. ვფიქრობდი იმაზეც, რომ ჩემი იქ ყოფნით თუ არყოფნით ლილის ვერაფერში დავეხმარებოდი, რადგან ის საავადმყოფოში უგონოდ იწვა. თავში სხვადასხვა აზრი მიტრიალებდა, იქნებ ჯობდა, წვეულებამდე დავრჩენილიყავი, მირანდას მიღების ორგანიზებაში დავხმარებოდი, შემდეგ კი ლილის მდგომარეობა ამეხსნა, მომავალ სამსახურზე შევვედრებოდი და თუ ამასობაში ლილი გონს მოვიდოდა, მას ვინმე აუხსნიდა, რომ პირველივე შესაძლებლობაზე, სავარაუდოდ ორ დღეში, შინ დავბრუნდებოდი. განთიადისას აზრები ძალზე გონივრულად მეჩვენა. გულის სიღრმეში ვიცოდი, რომ არც ერთი მათგანი გონივრული არ იყო.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ან-დრე-ა, ჰორაც მანს შეატყობინეთ, რომ გოგონები ორშაბათს სკოლას გააცდენენ, ისინი პარიზში ჩემთან იქნებიან. ამიტომ იმ გაკვეთილების სია შეადგინეთ, რაც სამეცადინო ექნებათ. ასევე, ვახშამი ცხრის ნახევარზე გადაიტანეთ, თუ მათ არ ისურვეს, სულ გააუქმეთ. ის წიგნი თუ მოიძიეთ, გუშინ რომ დაგავალეთ? მათთან რესტორანში შეხვედრამდე ოთხი ეგზემპლარი მჭირდება, ორი ფრანგულად, ორი ინგლისურად. ჰო, აი კიდევ რა, მინდა ჩემი შესწორებების საფუძველზე წვეულებისთვის განახლებული მენიუს საბოლოო ვერსია მომიტანოთ. დარწმუნდით, რომ მასში „სუში" და მსგავსი რამ არ შევიდეს. გესმით ჩემი?

— დიახ, მირანდა, — მივუგე და „სმითსონის" ტყავისყდიან ბლოკნოტში, რომელიც აქსესუარების განყოფილებამ მზრუნველად გადმომცა ჩანთებთან, ფეხსაცმელებთან, სამკაულებთან და ქამრებთან ერთად, წერა დავიწყე. მის ნათქვამს მანქანაში, გზად „დიორის" ჩვენებაზე, რაც შემეძლო სწრაფად ვინიშნავდი. ასეთი მასშტაბის ჩვენებას პირველად უნდა დავსწრებოდი. მირანდა გაუთავებლივ ლაპარაკობდა და სულ არ ადარდებდა, რომ ორ საათზე მეტხანს არ მიძინია. დილით, რვას რომ თხუთმეტი აკლდა, კარზე კაკუნის ხმამ გამაღვიძა. მისიე რენოს ერთ-ერთი კონსიერჟი იყო, რომელსაც ჩემი გაღვიძება ჰქონდა დავალებული, რადგან მირანდასთან ერთად ჩვენებაზე წასვლამდე მოწესრიგება უნდა მომესწრო (მირანდას ექვსი წუთით ადრე გადაუწყვეტია, რომ ჩვენებაზე დავჭირდებოდი). კონსიერჟმა თავაზიანად დახუჭა თვალი იმ ფაქტზე, რომ აულაგებელ ლოგინზე მეძინა და შუქიც მთელი ღამე არ გამითიშავს. შხაპის მისაღებად, მოდის ალბომიდან სამოსის შესარჩევად, ჩასაცმელად და გამოსაპრანჭად ოცდახუთი წუთი მქონდა, რადგან ვიზაჟისტ-სტილისტი ასე ადრე არ დამიბარებია. მცირე ნაბახუსევზე გავიღვიძე, მაგრამ თავის ტკივილმა მაშინ იმატა, როცა ტელეფონის ზარები გამახსენდა. ლილი! სიახლეების გასაგებად ალექსისა და მშობლებისთვის უნდა დამერეკა. მართალია, ლილის უბედურების შესახებ ერთი-ორი საათის წინ შევიტყვე, მაგრამ ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ერთი კვირის ამბავი იყო. მათთან დარეკვას ველარ მოვასწრებდი, დრო არ ითმენდა.

ლიფტში იმ აზრამდე მივედი, რომ კიდევ ერთი დღე, ერთი უბედური დღეც უნდა დავრჩენილიყავი და წვეულებისთვის

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიმეხედა. შემდეგ კი სახლში, ლილისთან დავბრუნდებოდი. სამსახურში ემილის გამოსვლის შემდეგ იქნებ მცირეხნიანი შვებულებაც ამელო და ლილის გამოჯანმრთელებაში დავხმარებოდი. იქამდე კი მას ალექსი და ჩემი მშობლები მიხედავდნენ. საკუთარ თავს ვამშვიდებდი, რომ მარტო არ იქნებოდა. აქ კი ჩემი ცხოვრება, კარიერა, მთელი ჩემი მომავალი წყდებოდა. ვერ ვხედავდი აუცილებლობას, დაუფიქრებლად მიმეტოვებინა ყველაფერი იმ ადამიანის გამო, რომელიც უგონოდ იყო. ჩემი დაბრუნება ლილისთვის არაფერს შეცვლიდა, ხოლო ჩემთვის და რა თქმა უნდა, მირანდასთვის — ძალიან ბევრს. ლიმუზინში ჩაჯდომა როგორღაც მირანდამდე მოვახერხე და მართალია, მას შიფონის კაბისთვის თვალი არ მოუშორებია, ჩემს სამოსზე მაინც არაფერი უთქვამს. „ბოტეგას" ჩანთაში „სმითსონის" ბლოკნოტი ჩავდე თუ არა, ჩემი ახალი მობილური აწკრიალდა. ადრე მირანდას თანდასწრებით ჩემს ტელეფონს არ დაურეკავს, ამიტომ სწრაფად მოვძებნე და ხმას ჩავუწიე, თუმცა მან ნება დამრთო, ტელეფონზე მეპასუხა.

— გისმენთ? — თან მირანდას ვუყურებდი. ის დღის განრიგს ფურცლავდა და თავი ისე ეჭირა, თითქოს არ მისმენდა.

— ენდი, გამარჯობა საყვარელო, — მამაჩემი, — მინდოდა შენთვის ახალი ამბები მეთქვა.

— გისმენ, — ვცდილობდი, რაც შეიძლება ნაკლები სიტყვა მეთქვა, რადგან მირანდას თანდასწრებით ტელეფონზე ლაპარაკი წარმოუდგენლად მეჩვენებოდა.

— ექიმმა ეს-ესაა დამირეკა და მითხრა, რომ საქმე უკეთაა. მოკლედ, ლილი შეიძლება მალე გამოვიდეს კომიდან. როგორი სასიხარულოა, არა? ვიფიქრე, დამერეკა და გამეხარებინე.

— ძალიან კარგია, ძალიან.

— რა გადაწყვიტე, როდის ჩამოდიხარ?

— მმ... ჯერ ვერ შევძლებ. მირანდა ხვალ სალამოს წვეულებას მართავს და ძალიან ვჭირდები... მამა, მისმინე, ბოდიში, მაგრამ ახლა ლაპარაკი არ შემიძლია. მერე დაგირეკავ, კარგი?

— კეთილი, როცა გინდა, მაშინ, — შეეცადა წყენა დაეფარა.

— გმადლობ, რომ გამაგებინე. დროებით.

— ვინ იყო? — მკითხა მირანდამ, რომელიც ჯერ კიდევ დღის განრიგს ათვალიერებდა. წვიმა ახალი დაწყებული იყო და ლიმუზინზე წვეთების რაკუნის ხმა მირანდას ხმას ახშობდა.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მმმ? აჰ, მამაჩემი, ამერიკიდან, — რას ვროშავდი? „ამერიკიდან“?

— და რას გთხოვდათ ასეთს, რაც შესაძლებელია ხვალინდელ წვეულებაზე თქვენს მოვალეობებთან დაკავშირებით კონფლიქტში მოვიდეს?

სულ რაღაც ორ წამში ათასობით ტყუილი მომივიდა აზრად, თუმცა თითოეულის დეტალებზე სამუშაოდ დრო აღარ მქონდა, მით უფრო ახლა, როცა მთელი თავისი ყურადღება ჩემკენ მოეპყრო. სხვა გზა არ იყო, სიმართლე უნდა მეთქვა.

— ოჰ, განსაკუთრებული არაფერი, ჩემი მეგობარი საავტომობილო შემთხვევისას დაშავდა, ის ახლა საავადმყოფოში წევს, კომაშია. მამამ მისი მდგომარეობა შემატყობინა და აინტერესებდა, როდის ვბრუნდები.

ერთხანს დაფიქრდა, თავი თანხმობის ნიშნად ნელა დამიქნია, შემდეგ კი „ინტერნაციონალ ჰერალდ ტრიბუნე“ აიღო, რომელიც წინდახედულმა მძღოლმა საგანგებოდ მისთვის იყიდა.

— გასაგებია.

არც უფიქრია, ეთქვა — „ძალიან ვწუხვარ“, ან ეკითხა „ხომ კარგადაა შენი მეგობარი?“, ამის ნაცვლად — მხოლოდ ყინული, გაურკვეველი ფრაზები და უკმაყოფილო გამომეტყველება.

— მაგრამ, რა თქმა უნდა, სახლში ჯერ ვერ დავბრუნდები. მესმის, რამდენად მნიშვნელოვანია ხვალინდელი წვეულება, ჩემი აქ ყოფნა და დავრჩები კიდეც, მირანდა. ამაზე ბევრი ვიფიქრე. მინდა იცოდეთ, რომ პასუხისმგებლობას არ გავურბივარ. როგორც თავიდან ვთქვი, აქ დავრჩები და ჩემს მოვალეობას შევასრულებ.

მირანდამ ჯერ არაფერი მიპასუხა, შემდეგ მსუბუქად გამიღიმა:

— ანდ-რე-ა, თქვენი გადაწყვეტილება ძალიან მახარებს. ეს აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილებაა და ამას ვაფასებ. ანდ-რე-ა, უნდა გითხრათ, რომ თავიდან თქვენთან დაკავშირებით გარკვეული ეჭვები მქონდა. ცხადია, მოდაზე არაფერი გაგეგებათ და ეს დიდად არც გადარდებთ. ცდებით, თუ ფიქრობთ, რომ როცა რაიმეს გავალებთ, თქვენს უკმაყოფილებას ვერ ვამჩნევ. თქვენი კომპეტენტურობა მოსაწონია, თუმცა თქვენი დამოკიდებულება, რბილად რომ ვთქვათ, არასტანდარტული.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ოჰ, მირანდა, ნება მომეცით...

— ჯერ არ დამიმთავრებია! თქვენი ერთგულების მჯერა და მაქვს საფუძველი ვიფიქრო, რომ იმსახურებთ იმ ადგილს, რომელიც ასე ძალიან გინდათ. თქვენ შეგიძლიათ საკუთარი თავით იამაყოთ, ანდ-რე-ა.

ამ სულისშემძვრელი მონოლოგის დროს — სიხარულისა თუ ტკივილისგან, არ ვიცი — მეგონა, გული წამივიდოდა. ამით არ დასრულებულა. მირანდამ მისთვის სრულიად არაბუნებრივი მოძრაობა გააკეთა — ხელი ხელზე დამადო:

— საკუთარ თავს მახსენებთ თქვენს ასაკში.

და სანამ ერთი სიტყვის წარმოთქმას მოვახერხებდი, მძღოლმა მანქანა „კარუსელ დე ლუვრის" წინ დაამუხრუჭა და მანქანიდან ჩვენთვის კარის გასაღებად გადავიდა. ჩანთებს ხელი ვტაცე და იმაზე დავფიქრდი, როგორ მიმელო მისი ეს სიტყვები — ყველაზე დიდ დამცირებად თუ ყველაზე დიდ ჯილდოდ?

პარიზული მოდის კვირეულის პირველი დღე ძალიან ბუნდოვნად ჩამრჩა მეხსიერებაში. ბნელოდა და მუსიკა იმ დონის ელეგანტური ჩვენებისთვის საკმაოდ ხმამაღლა ჟღერდა. მთელ იმ აურზაურში მხოლოდ ფიზიკური ტკივილის შეგრძნება მახსოვს. „შანელის" ჩექმამ, რომელიც ჯოსელინმა სიყვარულით შეუხამა სამოსს („მალოს" მჭიდროდ მომდგარ ქიშმირის სვიტერსა და შიფონის ქვედაბოლოს), ჩემი ტერფები ისეთ დღეში ჩააგდო, რომ მეგონა სიარულისას ლურსმნები მერჭობოდა. ნაბახუსევისა და ემოციების გამო თავი მტკიოდა, ამას შიმშილი და გულისრევის პერიოდული შეგრძნება ერთვოდა. დარბაზის ბოლოს ვიდექი, მესამეხარისხოვან ჟურნალისტებთან ერთად, რომელთა პოზიციებიც იმდენად მაღალი არ იყო, რომ დეფილესთვის თვალყური საკუთარი ადგილებიდან ედევნებინათ. ცალი თვალით მირანდას ვუყურებდი, მეორით კი გასასვლელს ვეძებდი, გულისრევის შემთხვევაში უხმაუროდ რომ გავპარულიყავი. „საკუთარ თავს მახსენებთ თქვენს ასაკში, საკუთარ თავს მახსენებთ თქვენს ასაკში, ... თქვენს ასაკში" — გონებაში მისი სიტყვები ექოსავით ჩამესმოდა, თითქოს შუბლში რაღაცას მირტყამდნენ.

დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში მირანდას ჩემი არსებობა გადაავიწყდა, მაგრამ შემდეგ გავახსენდი და რეკვა დაიწყო. თავიდან, მიუხედავად იმისა, რომ დარბაზში მას-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

თან ერთად ვიყავი, დამირეკა და „პელეგრინო“ მთხოვა. მერე კი ათ-თერთმეტ წუთში ერთხელ მიკავშირდებოდა და მისი ყოველი ახალი ზარი ტვინს მიხვრეტდა. დრ-რ-რ-რ. „მისტერ ტომლინსონთან დამაკავშირეთ თვითმფრინავში (ყრუ-მუნჯ მამიკოსთან დარეკვა თექვსმეტჯერ მაინც ვცადე, მაგრამ ის თვითმფრინავის ტელეფონს არ პასუხობდა). დრ-რ-რ-რ. „შეახსენეთ „პოდიუმის“ ყველა რედაქტორს, რომ რადგან აქ, პარიზში იმყოფებიან, ეს უფლებას არ აძლევთ დაივიწყონ საკუთარი მოვალეობები ნიუ-იორკში. მინდა, რომ ყველაფერი ბოლო ვადამდე მოესწროს!“ („პოდიუმის“ თანამშრომლები, რომლებთან დაკავშირებასაც პარიზის სხვადასხვა სასტუმროში ვახერხებდი, ჩემს ნათქვამზე იცინოდნენ და ყურმილს დებდნენ) დრ-რ-რ-რ. „ნორმალური სენდვიჩი მომიტანეთ ამერიკული ინდაურის ხორცით. ლორი ყელში ამომივიდა“ (უზომოდ შემაწუხებელ მაღალქუსლიან ჩექმაზე შემდგარმა ორი მილი ვიარე, მაგრამ რა თქმა უნდა, სენდვიჩს ინდაურის ხორცით ვერსად მივაგენი. დარწმუნებული ვარ, შესანიშნავად იცოდა, რომ ვერ მივუტანდი, რადგან ამერიკაში, სადაც სენდვიჩი ინდაურის ხორცით ყოველ ნაბიჯზე იყიდებოდა, არასოდეს მოუთხოვია) დრ-რ-რ-რ. „როდესაც დეფილედან დავბრუნდებით, იმედია მაგიდაზე თქვენ მიერ შერჩეული სამი საუკეთესო შეფმზარეულის დოსიე დამხვდება“ (ემილიმ იხვნეშა, ისლუკუნა, იწუწუნა, მაგრამ დამპირდა, რომ კანდიდატებზე ინფორმაციას ფაქსით გადმომიგზავნიდა, რომ მათზე „დოსიეს“ შედგენა შემძლებოდა) დრ-რ-რ-რ! დრ-რ-რ-რ! დრ-რ-რ-რ! „საკუთარ თავს მახსენებთ თქვენს ასაკში“.

გამოფიტული მოდელების ყურება იმდენად აუტანელი გახდა, რომ სიგარეტის მოსაწევად გარეთ გავედი. რა თქმა უნდა, ის-ის იყო სიგარეტისთვის უნდა მომეკიდებინა, რომ ჩემი მობილური ტელეფონი კვლავ აწკრიალდა.

— ან-დრე-ა! ან-დრე-ა! სად ხართ? სად ჯანდაბაში ხართ?

მოუკიდებელი სიგარეტი გადავაგდე და უკან შევვარდი, კუჭი ისე ძლიერად მეწვოდა, რომ ვიცოდი, მალე ავად გავხდებოდი, საქმე ის იყო, როდის ან სად მოხდებოდა ეს.

— აქ ვარ, მირანდა, დარბაზის ბოლოში, მირანდა! — ვუპასუხე, კარში გავძვერი და ზურგით კედელს მივეყრდენი, — ზუსტად კარიდან მარცხნივ. მხედავთ?

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვუყურებდი, თუ როგორ ამოძრავებდა თავს წინ და უკან, სანამ თვალებით არ მიპოვა. გათიშვა გადავწყვიტე, მაგრამ მან ჩურჩულით განაგრძო:

— არ გაინძრეთ, გესმით? ფეხი არ მოიცვალოთ! თანაშემწე იმისთვის წამოვიყვანე, რომ საჭიროების შემთხვევაში დამეხმაროს და არა იმისთვის, რომ აქეთ-იქით იწანწალოს. თქვენი საქციელი მიუღებელია, ან-დრე-ა!

მირანდა გზას დარბაზის ბოლოსკენ, მონიწებით მდგარი სტუმრების ზღვაში ნელ-ნელა მოიკვლევდა და სულ მალე ჩემ წინ იდგა გრძელ, წელში გამოყვანილ მოელვარე ვერცხლისფერ საღამოს კაბაში. გრეგორიანული მუსიკის ჰანგები ხმაურიანმა მძიმე მეტალმა შეცვალა. ის ტელეფონით ვილაცას სისინით ელაპარაკებოდა, მაგრამ როგორც კი მომიახლოვდა, ტელეფონი დაკეცა და შეინახა. მეც მის მაგალითს მივბაძე.

— ან-დრე-ა, სერიოზული პრობლემა გვაქვს. უფრო სწორად, თქვენ გაქვთ ძალიან სერიოზული პრობლემა. ახლახან ველაპარაკე მისტერ ტომლინსონს. მას ანაბელმა შეატყობინა, რომ ტყუპის პასპორტებს გასულ კვირას გაუვიდა ვადა, — მომაჩერდა, მაგრამ მე მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, როგორმე გული არ ამრეოდა.

— ოჰ, ნუთუ მართლა? — ძლივს აღმომხდა, მაგრამ ნათელი იყო, რომ არასწორად ვუპასუხე. ჩანთას ხელი მოუჭირა და გრგვინვა დაიწყო:

— „ოჰ, ნუთუ მართლა?“ — გამომაჯავრა, და ამ დროს მისი ხმა აფთრის ყმუილივით გაისმა. ყველამ ჩვენკენ გამოიხედა, — ოჰ, მართლა? ეს გაქვთ პასუხად? ოჰ, მართლა?

— არა, რა თქმა უნდა, არა, მირანდა. ეს არ მიგულისხმია. რით შემიძლია დაგეხმაროთ?

— „რით შემიძლია დაგეხმაროთ?“ — ამჯერად ჩემი სიტყვები ასლუკუნებული ბავშვის ხმით გაიმეორა. მის ადგილას ნებისმიერს სახეში ვუთავაზებდი, — გირჩევნიათ გაინძრეთ, ან-დრე-ა, რადგან ნათელია, მსგავს საკითხებზე წინასწარ არ გიზრუნიათ, ახლა როგორც გინდათ, მოაგვარეთ პრობლემა, რომ გოგონები საღამოს ფრენისთვის მზად იყვნენ. არ დავუშვებ, რომ მათ ხვალინდელი საღამო გააცდინონ, გესმით ჩემი?

მესმოდა კი მისი? ჰმ, ძალიან დროული შეკითხვა იყო. არ მესმოდა, რატომ ვიყავი დამნაშავე იმაში, რომ ათი წლის ბავშვების

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

პასპორტებს ვადა გაუვიდა? რატომ — მე? როცა მათ, თეორიულად მაინც ჰყავდათ მშობლები, ჰყავდათ მამინაცვალიც, ხოლო ძიძას ოცდაოთხი საათი სწორედ მსგავს საკითხებზე თვალყურის დევნება ევალებოდა? მაგრამ მივხვდი, რომ ყოველივე ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან თუკი მირანდამ გადაწყვიტა, რომ დამნაშავე მე ვიყავი, აზრს არ შეიცვლიდა. გასაგები იყო, რომ გოგონების პასპორტები საღამოს ფრენისთვის მზად თუ არ იქნებოდა, მირანდა ჩემ მიერ მოყვანილ მიზეზებს არც კი მოუსმენდა. არაფერი შემეძლო. სამ საათზე ნაკლებ დროში უცხო ქვეყნიდან ვადაგასული პასპორტების განახლება ან ახლის აღება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. წერტილი. როგორც იქნა, ისეთი დავალება მომცა, რომლის შესრულებაც ჩემს ძალებს ნამდვილად აღემატებოდა. არ ჰქონდა მნიშვნელობა, რამდენს მიყვირებდა, ან როგორ შეურაცხმყოფდა, მაინც ვერაფერს გავხდებოდი. საკუთარ თავს მახსენებთ თქვენს ასაკში. მირანდას დედაც, პარიზის დედაც, დეფილეებისა და იმ უაზრო თამაშების დედაც, რომელთაც სახელად „ვაიმე, რა მსუქანი ვარ!" ჰქვია! ჯანდაბამდე გზა ჰქონია ყველას, ვინც „პოდიუმს" ფურცლავს და ჰგონია, რომ ცნობილი ფოტოგრაფებისა და ძვირფას სამოსში გამოწყობილი მოდელების საუკეთესო კომბინაცია მირანდას გარდა არავის შეუძლია, მაგის დედაც, თუ ფიქრობს, რომ მას რამით ვგავარ. და რაც ყველაზე მთავარია, მაგის დედაც, იმიტომ, რომ მართალს ამბობს! რა ჯანდაბას ვაკეთებ აქ, მასთან? რატომ ვაძლევ ამ ეშმას ჩემი დამცირებისა და ჩემი შრომის აბუჩად აგდების უფლებას? მხოლოდ იმიტომ, რომ სადღაც ოცდაათი წლის შემდეგ, ვითომდა ჩემით აღფრთოვანებული უამრავი ადამიანის წინაშე თანაშემწე ასევე დავამცირო?

ტელეფონი ამოვიღე და სწრაფად ავკრიფე ნომერი, მირანდა გაფითრდა:

— ან-დრე-ა! — სისინით დაიწყო, ჯერ კიდევ ცდილობდა წესიერების ფარგლები დაეცვა, — როგორ იქცევით? მე გეუბნებით, რომ ჩემს ქალიშვილებს დაუყოვნებლივ ესაჭიროებათ ახალი პასპორტები, თქვენ კი ფიქრობთ, რომ ახლა ტელეფონით ლაქლაქის დროა? ხომ არ გავიწყდებათ, პარიზში რისთვის წამოგიყვანეთ?

დედამ ტელეფონი მესამე ზარზე აიღო, არ მივსალმებივარ:

— დე, თვითმფრინავში ვჯდები და მალე შინ ვიქნები, აეროპორტიდან დაგირეკავ, — ვიდრე მიპასუხებდა, გავუთიშე, ტელეფონი დავკეცე და მირანდას შევხედე.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ის გამშრალი იდგა. როცა დამუნჯებულ მირანდას თვალებში შევხედე, გამელიმა და ვიგრძენი, რომ თავის ტკივილმა და გულისრევამ უმალ გამიარა. საუბედუროდ, ძალიან მალე მოვეგე გონს. სამსახურის შენარჩუნების შესაძლებლობა უმცირესი იყო, სინანული უნდა მეჩვენებინა და ხვეწნა-მუდარა ამეტეხა, მაგრამ ამის არც ძალა მქონდა, აღარც — სურვილი.

— ან-დრე-ა, ნუთუ ხვდებით, რა ჩაიდინეთ? ნუთუ გესმით, რომ თუ ახლა, ასე უბრალოდ წახვალთ, მე იძულებული ვიქნები...

— შენი დედაც, მირანდა, შენი დედაც!

სუნთქვა შეეკრა, ელდანაცემმა ხელი პირზე აიფარა და ვიგრძენი, რომ „პოდიუმის" რამდენიმე თანამშრომელი უკვე გვიყურებდა, ჩვენზე ანიშნებდნენ ერთმანეთს, ჩურჩულებდნენ. ისინი მირანდაზე არანაკლებ გაოგნებულნი ჩანდნენ იმით, რომ მოდის ცოცხალ ლეგენდას ერთმა უბრალო თანაშემწემ ამდენი გაუბედა.

— ან-დრე-ა! — ხელში კატის ბრჭყალებივით ჩამასო ფრჩხილები, მაგრამ მყისვე გავითავისუფლე და გავულიმე. მივხვდი, რომ დრო იყო, ჩურჩული შემეწყვიტა და ჩვენი პატარა საიდუმლო ყველასთვის გამენდო.

— ძალიან ვწუხვარ, მირანდა, — პირველად პარიზში ჩამოსვლის შემდეგ ჩემი ხმა აღარ კანკალებდა, — მაგრამ არ მგონია, ხვალინდელ წვეულებაზე შევძლო დარჩენა. ალბათ გესმით ჩემი, ხომ ასეა? დარწმუნებული ვარ, საღამო ჩინებულად ჩაივლის. ასე რომ, შეეცადეთ და ისიამოვნეთ. სულ ეს არის, — და სანამ სიტყვის თქმას მოახერხებდა, მხარზე ჩანთა შევისწორე და ტერფების გაუსაძლისი ტკივილის მიუხედავად, მშვიდად გავედი გარეთ. არ მახსოვს, ოდესმე თავი უკეთესად მეგრძნოს. შინ ვბრუნდებოდი.

18

— ჯილ, ასე ხმამაღლა ნუ ყვირი! — უმწეოდ კიოდა დედა, — მგონი, ჯერ კიდევ სძინავს, — ცოტა ხანში კიბეებზე უფრო ხმამაღალი ძახილი გავიგონე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

— ენდი, გძინავს? — ჩემი ოთახის მიმართულებით ყვიროდა. თვალი გავახილე და საათს შევხედე. ცხრის თხუთმეტი წუთი იყო. ღმერთო, რა სჭირდა ამ ხალხს? თავი ვერ ავწიე, ძლივს წამოვჯექი, მაგრამ მთელი სხეული ცოტა ხნით ისევ ძილის გაგრძელებას მთხოვდა.

— დილა მშვიდობის! — ღიმილით მითხრა ლილიმ და ჩემკენ გადმოიხარა, სულ ახლოს მოიტანა სახე, — ამ სახლში გვიანობამდე ძილი არ უყვართ.

ჯილი, კაელი და ბავშვი მადლიერების დღეს ჩვენთან, სახლში შეხვდნენ. ლილი იძულებული გახდა, ჯილის ძველი ოთახი მათთვის დაეთმო, ჩემთან გადმოსულიყო და ჩემს ბავშვობისდროინდელ გასაშლელ დივანზე (ის გორგოლაჭებზე იდგა და გამოცურება შეგეძლო) დაეძინა.

— რა გაწუწუნებს? ბრაზობ, რომ ადრე გაგაღვიძეს? თუმცა არც ისე ადრეა, — იდაყვს დაეყრდნო, გაზეთს ფურცლავდა და ფინჯნიდან, რომელსაც წამდაუწუმ საწოლის გვერდით, ზედ იატაკზე დგამდა, ყავას წრუპავდა, — ისააკი მთელი ღამე ტიროდა.

— ტიროდა? მართლა?

— ნუთუ არ გესმოდა? შვიდის ნახევრიდან არ გაჩერებულა. საყვარელი ბიჭია, მაგრამ, ენდი, დილიდან ასეთი კონცერტის გამართვა?

— გოგონებო! — ისევ დედა გვეძახდა, — ისევ გძინავთ? მიპასუხეთ! არ მაინტერესებს გძინავთ თუ არა, უბრალოდ მითხარით, რამდენი ვაფლი გავაკეთო!

— გთხოვ, უპასუხე, თორემ ჩემი ხელით დავახრჩობ, ლილ! — შემდეგ კი გავძახე, — ნუთუ ვერ ხვდებით, რომ გვძინავს? თანაც — ღრმა ძილით? არც ბავშვის ტირილი გვესმის და არც თქვენი ხმაური გვაწუხებს! — შემდეგ კი გადავტრიალდი. ლილის გაეცინა.

— დაწყნარდი, — მითხრა მისთვის უჩვეულოდ, — უბრალოდ უხარიათ, რომ სახლში ხარ, იმავეს ვიტყოდი ჩემზეც, აქ ყოფნა მიხარია. ერთი-ორი თვეც და მივეჩვევით, აქ არც ისე ცუდია.

— კიდევ ამდენი? უკვე ერთი თვე გავიდა და მზად ვარ შუბლში ტყვია დავიხალო, — საღამური (ალექსის ერთ-ერთი ძველი პერანგი) გავიხადე და მაისური ჩავიცვი. კარადასთან

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯინსის შარვალი ეგდო, რომელიც ბოლო დღეების მანძილზე არ გამიხდია. როცა ამოვიცვი, მივხვდი, რომ ზუსტად მადგა. ახლა, როდესაც ცხელი სუპის სწრაფად დალევა არ მიწევდა, ან მარტო სიგარეტითა და „სტარბაქსის“ ყავით აღარ ვარსებობდი, ჩემმა ორგანიზმმა ის დაკარგული ხუთი კილოგრამი აღიდგინა, რაც „პოდიუმში“ მუშაობისას დავიკელი. ეს სულაც არ მადარდებდა. ლილისა და დედას ვეთანხმებოდი, რომ მსუქანი კი არა, ჯანმრთელი წონის პატრონი ვიყავი.

ლილიმ მამაკაცის განიერ ტრუსებზე სპორტული შარვალი ამოიცვა და ხუჭუჭა თმაზე ბენდენა მოიხვია. შუბლზე ჯერ კიდევ ეტყობოდა საქარე მინასთან შეჯახებით დატოვებული წითელი ადგილები, რომლებიც თანდათან უფერულდებოდა. ექიმმა გვითხრა, რომ ნაკერების მოხსნის შემდეგ ლილის შუბლზე იარა არ დარჩებოდა.

— ენდი, — მითხრა და კოსმეტიკის ჩანთა, რომელსაც ყველგან თან დაატარებდა, ხელში აიღო, — დღეს მიდიან და მგონი, ამაღამ მშვიდი ძილი გველირსება.

— ნუთუ სანამ ძირს არ ჩავალთ, ყვირილს არ შეწყვეტს? — წავიბურდღუნე და მკლავში ხელი მოვკიდე, რათა წამოდგომაში დავხმარებოდი. ლილის მარჯვენა ფეხი თაბაშირში ჰქონდა, ზედ მთელი ჩემი ოჯახის ავტოგრაფებს ნახავდით, კაილის სულელურ წარწერაზე რომ არაფერი ვთქვა, რომელიც მან ისააკის სახელით წააწერა.

— ოღონდ ეს არა.

კარის ზღურბლზე ჯილი ბავშვით ხელში გამოჩნდა, ისააკს ნიკაპზე დორბლი ჩამოსვლოდა და კმაყოფილი ხითხითებდა.

— ნახეთ, ვინ მოვიდა! — ელაპარაკებოდა ბედნიერ ისააკს და მკლავებში ფრთხილად ანანავებდა, — ისააკ, დეიდა ენდის უთხარი, ნუ ჭირვეულობს, რადგან ძალიან, ძალიან მალე მივდივართ. ხომ გადასცემ, დედიკომ რაც დაგაბარა, საყვარელო?

პასუხად ისააკმა საყვარლად დაიჭყივლა, ჯილს კი ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ხელში ზრდასრული ვაჟი სჭეროდა და შექსპირის სონეტიდან ამონარიდს ისმენდა მისგან.

— ენდი, დაინახე? გაიგონე? ოჰ, დედიკოს პატარა, საყვარელი ბიჭი!

— დილა მშვიდობის, — მივესალმე და ლოყაზე ვაკოცე, — ხომ იცი, თქვენი წასვლა სულაც არ მინდა. ისააკს შეუძლია აქ

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმდენ ხანს დარჩეს, რამდენიც გაუხარდება, ოღონდ ღამით ტირილი შეწყვიტოს, არც კაილის წინააღმდეგი ვარ, თუ პირობას დადებს, რომ ბევრს არ ილაპარაკებს. ხედავ? ყველაფერი ძალიან მარტივადაა!

ლილი კოჭლობით ქვემოთ ჩავიდა და სამსახურში წასასვლელად გამზადებულ ჩემს მშობლებს მიესალმა, ისინი ამ დროს კაილს ემშვიდობებოდნენ. საწოლი გავასწორე და მის ქვემოთ ლილის ლოგინი შევაგორე. კარადაში შენახვამდე კი მისი ბალიში გავაფუმფულე.

ლილი კომიდან მაშინ გამოვიდა, როცა პარიზიდან გამოვფრინდი. პირველად ის ალექსმა ნახა, შემდეგ კი მე. ექიმებმა მას ათასობით ტესტი ჩაუტარეს, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ ორგანიზმი სათანადოდ ფუნქციონირებდა და სახეზე, კისერსა და მკერდზე შერჩენილი რამდენიმე ნაკერის და მოტეხილი ფეხის გარდა მის ჯანმრთელობას საფრთხეს არაფერი უქმნიდა. თავიდან, რა თქმა უნდა, საშინლად გამოიყურებოდა — აბა რა იქნება, როცა შემხვედრ მანქანას მთელი სიჩქარით შეასკდები — მაგრამ სხვა მხრივ ყველაფერი რიგზე ჰქონდა, აქეთ-იქით დადიოდა და იმ ადამიანის პირობაზე, რომელმაც ასეთი რამ გადაიტანა, მშვენიერ ხასიათზე იყო.

ეს მამაჩემმა მოიფიქრა, რომ ნოემბერ-დეკემბერში მათთან გადავსულიყავით და ჩვენი ბინა ქვეიჯარით გაგვეცა. იდეა განსაკუთრებით ჩემთვის იყო ხელსაყრელი, რადგან უსამსახუროდ დარჩენილს თანხმობის გარდა, სხვა არაფერი დამრჩენოდა. გარდა ამისა, ლილისთვისაც არაჩვეულებრივი საშუალება იყო, დროებით ქალაქს გაშორებოდა, უკან მოეტოვებინა ჭორები და თავიდან აეცილებინა შეკითხვები, რომლებსაც ნაცნობები შეხვედრისას უსვამდნენ. ინტერნეტში განვათავსეთ განცხადება, რომ მანჰეტენზე „დღესასწაულებზე" ქირავდებოდა არაჩვეულებრივი ბინა, საიდანაც მთელი ნიუ-იორკი ხელისგულზე მოჩანდა. შოკში ჩავვარდით და გაოცებას ვერ ვმალავდით, როდესაც ხანდაზმულმა შვედმა წყვილმა, რომელთა შვილებიც ნიუ-იორკში ცხოვრობდნენ, მთელი თანხა — ექვსასი დოლარი (იმაზე მეტი, რასაც ჩვენ ვიხდიდით) ყოველგვარი შევაჭრების გარეშე გადაგვიხადა. მე და ლილის თვეში სამასი დოლარი დაგვეზოგებოდა, რადგან ჩემი მშობლების წყალობით საჭმელში, სარეცხსა და ტრანსპორტირებაში (მშობლებმა ძველი „ტოიო-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტა" გვათხოვეს) ფული არ გვეხარჯებოდა. შვედმა წყვილმა ბინა ახალი წლის შემდეგ, ერთ კვირაში დაცალა, ზუსტად იმ დროს, როცა ასპირანტურაში სწავლა იწყებოდა (ლილი სემესტრს თავიდან გაივლიდა) მე კი ახალი სამსახური უნდა მომეძებნა.

სამსახურიდან ოფიციალურად ემილიმ გამათავისუფლა. მას შემდეგ, რაც თავს უფლება მივეცი, მირანდა საზოგადოების თვალწინ შემერცხვინა, ჩემი ახალი სოციალური სტატუსი იმთავითვე განსაზღვრული იყო, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ განრისხებული მირანდა ამას თავად გააკეთებდა... ოფიციალური გათავისუფლების პროცედურას სულ რაღაც სამი-ოთხი წუთი დასჭირდა — სწრაფად, დაუნდობლად, ეფექტურად — „პოდიუმის" საუკეთესო ტრადიციების დაცვით.

ის-ის იყო ტაქსი დავიჭირე, ცალი ჩექმა გავიხადე და მარცხენა გასივებულ ფეხს ვათვალიერებდი, რომ ტელეფონმა დარეკა. ინსტინქტურად წამით გული ამიჩქარდა და დავწვდი, რომ სწრაფად მეპასუხა, მაგრამ შემდეგ გამახსენდა, საით გავუშვი მირანდა თავისი სიტყვებიანად „საკუთარ თავს მახსენებთ თქვენს ასაკშიო" და მივხვდი, რომ ის არ დამირეკავდა. წარმოვიდგინე თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები პარიზში ჩვენი საუბრის პირველივე წუთებიდან: მირანდა გაოცებისგან გაღებულ პირს სწრაფად დაკეტავდა და „პოდიუმელების" თვალწინ (ისინი ალბათ მას მიშტერებოდნენ და ჩურჩულებდნენ) ისევ ჩვეულ ცივ და ამპარტავან გამომეტყველებას დაიბრუნებდა. მეორე: ჩანთიდან მობილურ ტელეფონს ამოიღებდა და ნიუ-იორკში ემილისთან დარეკავდა, მესამე: დეტალებში მოუყვებოდა ჩემი საშინელი, უპრეცედენტო საქციელის შესახებ და ემილი კი მას დაარწმუნებდა, რომ „ყველაფერს თავად მიხედავდა." რადგანაც ჩემი ტელეფონის ეკრანზე დაეწერა „დაფარული ნომერი" ძნელი გამოსაცნობი არ იყო, თუ ვინ მირეკავდა.

— გამარჯობა, ემ, როგორ ხარ? — პრაქტიკულად სიმღერით ვუთხარი, რადგან ამავდროულად ვცდილობდი, შიშველი ტერფი ისე დამეზილა, რომ ბინძურ ტაქსიში ფეხი ძირს არ დამედო.

მისი ტონით თუ ვიმსჯელებთ, ჩემი პასუხით გაოცებული დარჩა:

— ანდრეა?

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჰო, გისმენ. აბა, რა ხდება? ცოტა არ იყოს, ვჩქარობ და ასე რომ... — ვიფიქრე, პირდაპირ მეკითხა, გათავისუფლების თაობაზე მირეკავდა თუ არა, მაგრამ გადავიფიქრე და ვერბალური თავდასხმის საშუალება მივეცი. დარწმუნებული ვიყავი, არ დააყოვნებდა და მოჰყვებოდა, თუ როგორ დავალალატე იგი, „პოდიუმი" და მთელი მოდის სამყარო. ბლა, ბლა, ბლა. მაგრამ ემილის ამაზე კრინტიც არ დაუძრავს.

— აა, რა თქმა უნდა. მოკლედ, მირანდას ველაპარაკე და...

— გაჩუმდა, ალბათ იმ იმედით, რომ მე გავაგრძელებდი და ყველაფერს ავუხსნიდი. ვეტყოდი, რამდენად დიდი შეცდომა დავუშვი, ვთხოვდი არ ენერვიულა, რადგან ოთხიოდ წუთის წინ ყველაფერი თავად მოვაგვარე.

— როგორც ვხვდები, იცი, რაც მოხდა, ასეა?

— აჰ! ენდი, რა ხდება?

— ეს, ჩემზე უკეთ იცი, არა? — სიჩუმე — ემ, მისმინე, ვგრძნობ, იმის სათქმელად მირეკავ, რომ სამსახურიდან უნდა გამათავისუფლო. შენ არ იდარდო, ვიცი, რომ ამას შენი ნებით არ აკეთებ. მოკლედ, გასაგებია ყველაფერი, ჩემი თავიდან მოშორება გიბრძანა, ასეა? — ასეთი ლაღი დიდი ხანია არ ვყოფილვარ, თუმცა შევამჩნიე პასუხის მოლოდინში სუნთქვა როგორ შემეკრა, იქნებ სასწაული მომხდარიყო, მირანდას ჩემი სიტყვები შეურაცხყოფად არ მიეღო და პირიქით, მის თვალში პატივისცემა დამემსახურებინა?

— ჰო, მთხოვა გადმომეცა, რომ გათავისუფლებული ხარ და რომ „რიციდან" მის დაბრუნებამდე გადახვიდე, — მითხრა ნაზად, სინანულით. შესაძლოა, იმიტომ ნანობდა, რომ ახალი თანაშემწის მოძიებასა და შემდეგ მის განვრთნაში ხელახლა უნდა გარჯილიყო, მაგრამ რატომღაც მეგონა, რომ ვცდებოდი.

— ემ, ხომ მოგენატრები? მიდი, ალიარე! ნუ გეშინია, არავის ვეტყვი. სამარე ვარ, ვიცი, რომ ჩემი წასვლა არ გინდა, ხომ ასეა? — ჰოი, საოცრებავ! ჩემს ნათქვამზე გაეცინა.

— ასეთი რა უთხარი? სულ იმას იმეორებდა, როგორი უხეში ხარ და როგორ თავხედურად მოიქეცი. კონკრეტულად ვერაფერი გავიგე.

— ოჰ, ეს ალბათ იმიტომ, რომ ვუთხარი, ჯანდაბამდე გზა გქონია-მეთქი.

— იტყუები!

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

— აკი მითხარი, გაგათავისუფლაო? ასე რომ, გარწმუნებ, არ ვიტყუები.

— ღმერთო დიდებულო!

— ჰო, სიმართლე გითხრა, ჩემს ულიმლამო ცხოვრებაში ეს ყველაზე სასიამოვნო წუთები იყო, რის გამოც საგამომცემლო ბიზნესში ყველაზე გავლენიან ქალს თავი მოვახსნევინე. ახლა კი ჩემი „მასტერ ქარდის“ ბარათი თითქმის ცარიელია და გამომცემლობებში სამსახურის პოვნის დიდი იმედი არ მაქვს. რას იტყვი, მირანდას რომელიმე კონკურენტთან ხომ არ მეცადა სამუშაოს მოძებნა? მგონი, სიხარულით ამიყვანდნენ, არა?

— რა თქმა უნდა. შენი რეზიუმე ანა ვინტურს გაუგზავნე, ერთმანეთი არასოდეს ეხატებოდათ გულზე.

— ჰმ, ღირს ამაზე დაფიქრება. მისმინე, ემ, არ გეწყინოს, კარგი? — ორივემ შესანიშნავად ვიცოდით, რომ ჩვენ მირანდა პრისტლის გარდა არაფერი გვაკავშირებდა, მაგრამ რადგანაც ასე მეგობრულად ვსაუბრობდით, ვიფიქრე, კიდევ უფრო წინ წავსულიყავი.

— აბა რა, არაფერია, — უხერხულად მოიტყუა. მშვენივრად ესმოდა, რომ ამიერიდან მე მაღალი საზოგადოებისთვის პერსონა ნონ-გრატა ვიყავი. შესაძლებლობა იმისა, რომ ჩვენი საუბრის შემდეგ ემილი ჩემთან ნაცნობობას ოდესმე აღიარებდა, ნულის ტოლი იყო. ალბათ ათიოდ წელიწადში, როცა ის მაიკლ კორსის დეფილეზე პირველ რიგში იჯდებოდა, ხოლო მე ისევ „ბენიხანაში“ ვისადილებდი და უნივერმაღებში ნაყიდი ტანსაცმლით ვივლიდი, ამ ყველაფერზე გულიანად გაიცინებდა, თუმცა შეიძლება არც გასცინებოდა.

— იცი, სიამოვნებით გავაგრძელებდი შენთან ჭორაობას, მაგრამ ახლა ცუდ დღეში ვარ, ზუსტად არც ვიცი, როგორ მოვიქცე. როგორმე სახლში უნდა დავბრუნდე. შენი აზრით, ბილეთს გამოვიყენებ? მართალია, ჩემი გათავისუფლება შეუძლია, მაგრამ ნუთუ უცხო ქვეყანაში ასე მიმაგდებს?

— ანდრეა, ასეც რომ მოიქცეს, ვერ გაამტყუნებ! — აჰა! ესეც შენ, ვინ თქვა, რაიმე მწარეს არ გეტყვისო? ის მამშვიდებდა, რომ ამ ქვეყანაზე რაღაც მაინც არ იცვლებოდა, — ბოლოს და ბოლოს სამსახური თვითონ მიატოვე და მას შენი გაგდება აიძულე. თუმცა მაინც არ მგონია, ასეთი გულძვირი ადამიანი

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

იყოს. შენ მაინც სცადე, ბილეთი გადაცვალე და დანარჩენს მე მივხედავ.

— გმადლობ, ემ. ამას ძალიან ვაფასებ და წარმატებები! ოდესმე შენგან არაჩვეულებრივი მოდის რედაქტორი დადგება.

— მართლა? მართლა ასე ფიქრობ? — ემილიმ დაუფარავი ენთუზიაზმით მკითხა, თუმცა ვერ ვხვდებოდი, მოდის სფეროში ჩემნაირი უმეცრის სიტყვებს ასეთ დიდ მნიშვნელობას რატომ ანიჭებდა. ფაქტია, ჩემმა ნათქვამმა ძალიან გაახარა.

— რა თქმა უნდა, ამაში ეჭვი არ შეგეპაროს.

როგორც კი ემილის დავემშვიდობე, კრისტიანმა დამირეკა. ვერ წარმოვიდგენდი, რომ მან მომხდარის შესახებ უკვე ყველაფერი იცოდა. ეს უბრალოდ დაუჯერებელი იყო. ისეთი სიამოვნებით უსმენდა იმ ამბის ბინძურ დეტალებს, შემდეგ კი დაპირებებისა და მიწვევების ისეთი კორიანტელი დაატრიალა ჩემს საბრალო თავზე, რომ გულისრევის შეგრძნება განმიახლდა. შევეცადე მშვიდად მეთქვა მისთვის, რომ ძალიან ბევრი პრობლემა მქონდა მოსაგვარებელი და მადლობელი ვიქნებოდი, თუ ჩემთან რეკვას შეწყვეტდა. ხოლო სურვილის შემთხვევაში, თავად დავუკავშირდებოდი.

გამიკვირდა, მაგრამ სასტუმროში ჩემი გათავისუფლების შესახებ ჯერ არაფერი იცოდნენ, მისიე რენომ და კომპანიამ შეუძლებელი შეძლეს, როცა გაიგეს, რომ საგანგებო სიტუაციის გამო სასწრაფოდ შინ ვბრუნდებოდი. სასტუმროს პერსონალის პატარა ჯგუფმა ჩემი ნივთები ჩემოდნებში ჩაალაგა და ლიმუზინის საბარგულში ჩამიდო, რათა შარლ დე გოლის აეროპორტიდან ნიუ-იორკში პირველივე რეისით გავფრენილიყავი. მძღოლი ლაპარაკის ხასიათზე ჩანდა, თუმცა მე დიდად არ ვპასუხობდი. მინდოდა ჩემი დაბალანაზღაურებადი, მაგრამ მრავალი უპირატესობის მქონე სამსახურის ბოლო წუთებით დავმტკბარიყავი. ფუჟერში შამპანური დავისხი და დიდებული სასმლის გრძელი ყლუპი მოვსვი. თერთმეტი თვე, ორმოცდაოთხი კვირა და სამი ათას ოთხმოცი სამუშაო საათი დამჭირდა იმისთვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ მივმხვდარიყავი — მირანდა პრისტლი ჩემი იდეალი არ იყო.

პასპორტის კონტროლის გავლის შემდეგ, ნაცვლად უნიფორმაში გამოწყობილი მძღოლისა, რომელსაც ზემოთ აწეულ დაფაზე ჩემი სახელი ეწერა, ჩემი ნახვით უზომოდ გახარე-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბული მშობლები დამხვდნენ. ერთმანეთს მას შემდეგ გადა-ვეხვიეთ, რაც ჩემი ჩაცმულობით გაოცებულნი (მოტკეცილი „დოლჩე-გაბანას“ ზედმეტად გახეხილი ჯინსები, რკინის წვრილქუსლიანები და პრაქტიკულად სრულიად გამჭვირვალე მაისური — კატეგორია „სხვადასხვა“ ქვეკატეგორია „აეროპორტიდან-აეროპორტამდე“) გონს მოეგნენ. ისინი შესანიშნავი ამბით დამხვდნენ: ლილი კომიდან გამოსულიყო. პირდაპირ საავადმყოფოში წავედით, სადაც ლილიმ იმდენი მოახერხა, რომ შესვლისთანავე ჩემს ჩაცმულობაზე გამოთქვა აზრი.

რა თქმა უნდა, მას კანონდარღვევა ჰქონდა. ბოლოს და ბოლოს არაფხიზელ მდგომარეობაში მანქანას მალალი სიჩქარით, ცალმხრივი მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით მიაქროლებდა და ტაქსის შეასკდა. თუმცაღა, რადგან სერიოზულად არავინ დაშავებულა, სასამართლომ მის მიმართ გულისხმიერება გამოიჩინა და მინიმალური სიმძიმის განაჩენი გამოუტანა. არაფხიზელ მდგომარეობაში მანქანის მართვამ, მისი, როგორც მძღოლის ისტორიას, დაღი დაასვა. სასჯელი ალკოჰოლიზმის იძულებით მკურნალობასა და თვეში ერთხელ ადმინისტრაციულ სამუშაოსაც ითვალისწინებდა. ბევრი ვილაპარაკეთ, ალკოჰოლზე დამოკიდებულების ხმამაღლა აღიარება უჭირდა, მაგრამ ისტ ვილიჯში ანონიმური ალკოჰოლიკების ჯგუფურ შეხვედრაზე მე თავად წავიყვანე. მისი დასრულების შემდეგ მითხრა, რომ ეს „გულისამაჩუყებელი“ კი არა, „უზომოდ მოსაწყენი!“ შეხვედრა იყო. თუმცა, როცა წარბები ავწიე და ლილის ისე გადავხედე, თითქოს ვეუბნებოდი, ადგილზე გაგაქვავებ-მეთქი, ჭირვეულობა შეწყვიტა, შეხვედრაში მონანილე რამდენიმე სასიამოვნო ბიჭზეც მიამბო და დასძინა, რომ სულაც არ იყო წინააღმდეგი, პაემანზე ერთხელ მაინც ფხიზელი წასულიყო.

ძალიანაც კარგი. მიუხედავად შიშისა, ჩემმა მშობლებმა ლილი დაარწმუნეს, რომ მისთვის უმჯობესი იქნებოდა დეკანთან მისვლა და ყველაფრის მოყოლა. ეს მართებული ნაბიჯი აღმოჩნდა. დეკანმა მას ჯერ ამოწურული სემესტრის გაცდენები გაუუქმა, შემდეგ საბუთებიც კი გადაგზავნა ბუღალტერიაში და მოითხოვა, რომ ლილის მიერ შეტანილი თანხა მომდევნო სემესტრზე გადაენაწილებინათ. ლილის ცხოვრება და

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

ჩვენი მეგობრობა ძველ კალაპოტს დაუბრუნდა, მაგრამ ჩემი და ალექსისა — ვერა. ის ლილის თავთან იჯდა, როდესაც პალატაში შევედი. როგორც კი დავინახე, ვინატრე, ჩემი მშობლები კაფეტერიაში ასე მარჯვედ არ გაპარულიყვნენ. ერთმანეთს უხერხულად მივესალმეთ და ლილის მდგომარეობაზე ბევრი ვისაუბრეთ, ნახევარ საათში კი ქურთუკი ჩაიცვა და ისე დამემშვიდობა, ჩვენს ურთიერთობაზე სიტყვაც არ დაგვიძრავს. სახლში რომ მივედი, დავურეკე, მაგრამ ავტომოპასუხე ჩაირთო. რამდენჯერმე ვცადე. ამაოდ. ძილის წინ კიდევ ერთხელ დავრეკე. მიპასუხა, თუმცა თავშეკავებულად:

— გამარჯობა! — მივესალმე, რაც შეიძლება ბედნიერი და გახარებული ხმით.

— გაგიმარჯოს, — ნათელი იყო, რომ ჩემი მხიარული ხმა მასზე არ მოქმედებდა.

— მისმინე, ვიცი, რომ ლილი შენი მეგობარიცაა და შენ ალბათ ნებისმიერზე იზრუნებდი ასე, მაგრამ მაინც, ლილის გამო სიცოცხლის ბოლომდე ვალში ვარ შენთან. არასოდეს დამავიწყდება, თუ როგორ დაეხმარე მშობლებს ჩემს პოვნაში, თუ როგორ იჯექი ლილისთან საათობით. გულწრფელად გიხდი მადლობას.

— არაფრის. ასე მოიქცეოდა ნებისმიერი, თუკი მის ახლობელს რაიმე უბედურება შეემთხვეოდა. სამადლობელი არაფერია, — თუმცა მის სიტყვებში სხვა აზრი იდო: ჰო, ასე მოიქცეოდა ყველა, გარდა შენნაირი ეგოისტი და საკუთარ თავზე შეყვარებული ადამიანისა.

— ალექს, გთხოვ, მოდი ვილაპარაკოთ...

— არა. ახლა ვერ ვილაპარაკებთ. გასული წელი შენთან ლაპარაკის მოლოდინში გავატარე, ხანდახან გემუდარებოდი კიდეც, მაგრამ არც დაინტერესებულხარ. იმ წელს ჩემი ენდი, რომელიც მიყვარდა, დავკარგე. არ ვიცი როგორ, არ ვიცი, ზუსტად რა მოხდა, მაგრამ შენ ის ნამდვილად აღარ ხარ, ვინც „პოდიუმში" მუშაობის დაწყებამდე იყავი. ჩემი ენდი არასოდეს მიატოვებდა გაჭირვებაში მყოფ მეგობარს წვეულებებისა და ჩვენებების გამო. ძალიან მიხარია, რომ სახლში დაბრუნდი და მინდა გითხრა, რომ ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, მაგრამ მე მჭირდება დრო, რომ ჩემს საკუთარ გრძნობებში, შენდამი გრძნობებში გავერკვე და საერთოდ გავიგო, რა დაგვემართა. ეს

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

ახლა არ დაწყებულა, ენდი. ეს ძალიან დიდი ხანია, ასეა. უბრალოდ, შენ ვერ მოიცალე, რომ ეს შეგენიშნა.

— ალექს, ჩემთვის წუთიც კი არ მოგიცია, რომ პირისპირ დაგლაპარაკებოდი და ყველაფერი ამეხსნა. შეიძლება მართალიც ხარ, შევიცვალე და სულ სხვა ადამიანი გავხდი, მაგრამ არა მგონია, ყველაფრის მიუხედავად, ასეთი ცუდი ვიყო. ნუთუ ასე დავშორდით ერთმანეთს?

ჩემთვის ლილიზე საუკეთესო მეგობარი ალექსი იყო, ამაში ეჭვიც არ მეპარებოდა, მაგრამ ბოლო თვეების მანძილზე ის ჩემი შეყვარებული აღარ ყოფილა. მივხვდი, რომ ალექსი სიმართლეს ამბობდა, დრო იყო, იგივე გამეკეთებინა. ღრმად შევისუნთქე და ვთქვი ის, რისი აღიარებაც უზომოდ მიჭირდა:

— მართალი ხარ.

— ანუ, მეთანხმები?

— ჰო. შენ მიმართ ძალიან უსამართლო ვიყავი და ეგოისტურად ვიქცეოდი.

— ახლა რა ვქნათ? — მკითხა შერბილებული ხმით, თუმცა დიდად გულდაწყვეტილი არ ჩანდა.

— არ ვიცი. რა უნდა ვქნათ? ერთმანეთს არ ველაპარაკოთ? აღარც შევხვდეთ? არ ვიცი, ეს როგორ გამოგვივა, მაგრამ მინდა, რომ მაინც ჩემი ცხოვრების ნაწილი იყო, რადგან უშენოდ ცხოვრება ვერ წარმომიდგენია.

— მეც ასე ვარ, მაგრამ არ მგონია, ეს დიდი ხნით შევძლოთ. მეგობრები არასდროს ვყოფილვართ და ახლა ჩვენ შორის მხოლოდ მეგობრობა უბრალოდ წარმოუდგენელია. მაგრამ ვინ იცის? იქნებ დროთა განმავლობაში, როდესაც ყველაფერზე კარგად დავფიქრდებით...

ყურმილი დავდე და ჩამოსვლის პირველივე ღამეს ძალიან ბევრი ვიტირე. იმ ღამეს არა მარტო ალექსი გამოვიტირე, არამედ ყველაფერი, რაც ბოლო წლის მანძილზე ასე შეიცვალა. „ელიას-კლარკ-ბილდინგში" საშინლად ჩაცმულმა გულუბრყვილო და გამოუცდელმა პატარა გოგონამ შევაბიჯე და ის-ის იყო, ცხოვრებაში გარკვევა დავიწყე, რომ უკან ისეთივე საშინლად ჩაცმული და ნახევრად გაზრდილი გამოვბრუნდი (საქმე ის იყო, რომ უკვე ვხვდებოდი, თუ რამდენად საშინლად ვიცვამდი მაშინ). თუმცა ამავე დროს ისეთი გამოცდილება შევიძინე, რომ ასობით სხვა სამსახურს, სადაც ახალი კურსდამთავრებულები

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

მუშაობენ, არც კი შევადარებდი. მართალია, რეზიუმეში იმის ჩაწერა მომიწევდა, რომ წინა სამსახურიდან გამათავისუფლეს, ხოლო შეყვარებულმა მიმატოვა და ჩემოდნისა (ჰო, კარგი, „ლუის ვიტონის“ ოთხი ჩემოდნის) და დიზაინერების ძვირფასი ტანსაცმლის გარდა, არაფერი დამრჩა, ნუთუ ეს ყველაფერი ამად ღირდა? ტელეფონს ხმა ჩავუწიე, უჯრიდან ჩემი ძველი ბლოკნოტი ამოვიღე და წერას შევუდექი.

მამა თავის სამუშაო ოთახში იჯდა, დედა კი ავტოფარეხისკენ მიემართებოდა, როცა ქვემოთ ჩავედი.

— დილა მშვიდობის, საყვარელო. არ ვიცოდი, თუ უკვე გელვიძა, გავრბივარ, ცხრაზე სტუდენტი მყავს. ჯილი შუადღით ჩამოფრინდება, ამიტომ გირჩევ, ადრე გახვიდე, რომ პიკის საათში არ მოხვდე. ტელეფონი ჩართული მაქვს და თუ რაიმე პრობლემა შეიქმნა, დარეკე. ჰო, და აი რისი კითხვა მინდოდა, ლილი დღეს სადილზე მოვა?

— საიდან უნდა ვიცოდე? ახლახან გავიღვიძე, ჯერ ყავაც არ დამილევია და შენ უკვე სადილზე მეკითხები?

მაგრამ ჩემი წუწუნის მოსასმენად ყურიც არ უთხოვებია, სანამ პირს გავაღებდი, უკვე გასულიყო.

ლილი, ჯილი, კაილი და ბავშვი სამზარეულოში მაგიდის გარშემო მშვიდად ისხდნენ და „თაიმსის“ სხვადასხვა რუბრიკას კითხულობდნენ. მათ წინ, მაგიდის შუაში, თეფშზე ნაკლებად მადისალმძვრელი ვაფლის გროვა, ბავშვის სიროფი „დეიდა ჯემას“ ბოთლით და მაცივრიდან ახალგამოღებული საკარაქე იდო. ყველა მაინც ყავას ეტანებოდა. მის მოსატანად მამა დილაუთენია „დანქი დონატსის“ საკონდიტროში გაიქცა, გასაგები მიზეზების გამო მამას არც დედას მოდუღებული ყავა მოსწონდა. ვაფლს ჩანგალი ჩავარჭვე, ქაღალდის თეფშზე გადავიტანე, მისი დაჭრა დავიწყე და ის გამოუმცხვარ მასად დაიშალა.

— ამის ჭამა არ შეიძლება. შემთხვევით დღეს მამას დონატები ხომ არ უყიდია?

— თავის ოთახში აქვს, კარადაში დამალა, — სამხრეთული მეტყველებით მითხრა კაილმა, — არ უნდოდა, დედაშენს ენახა. თუ იქით მიდიხარ, იქნებ ყუთით წამოგელო?

ის-ის იყო, ნადავლის მოსატანად მოვემზადე, რომ ტელეფონმა დარეკა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE Scanned by CamScanner

— გისმენთ! — გაღიზიანებული ხმით ვუპასუხე. უკვე გადაჩვეული ვიყავი ფრაზას „მირანდა პრისტლის ოფისი, გისმენთ!"

— გამარჯობა. თუ შეიძლება ანდრეა საქსს სთხოვეთ!

— მე ვარ. ვის ველაპარაკები?

— ანდრეა, გამარჯობა, მე ლორეტა ანდრიანო ვარ ჟურნალ „სევენთინიდან".[94]

გული ამიჩქარდა. სადღაც ორიათასსიტყვიანი მოთხრობა დავწერე მოზარდ გოგონაზე, რომელსაც უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა თავში აუვარდა, მშობლებისა და მეგობრების უგულებელყოფა დაიწყო. ამ სისულელის დაწერას სულ ორი საათი მოვანდომე, მაგრამ მგონი, მხიარული და გულისამაჩუყებელი გამოვიდა.

— გაგიმარჯოს! როგორ ხართ?

— გმადლობთ, კარგად. მისმინეთ, ხელში თქვენი მოთხრობა ჩამივარდა და მინდა გითხრათ, აღფრთოვანებული ვარ. რა თქმა უნდა, შესწორებები საჭიროა და ენასაც დახვეწა, გამარტივება სჭირდება, რადგან ჩვენი მკითხველი ძირითადად ბავშვები და მოზარდები არიან. მოკლედ, ძალიან გამიხარდება, თუ თებერვლის ნომერში დავბეჭდავთ.

— მართლა? — ვერ ვიჯერებდი. მოთხრობა ათობით საყმაწვილო ჟურნალს გავუგზავნე, შემდეგ გავართულე და ახლა, ქალთა ჟურნალებს შევთავაზე, მაგრამ არავინ გამომხმაურებია.

— ეჭვიც არ შეგეპაროთ. სიტყვაში დოლარსა და ორმოცდაათ ცენტს გადაგიხდით, რამდენიმე საბუთის შევსებაც დაგჭირდებათ. უშტატო მწერლად ხომ არ გიმუშავიათ?

— სიმართლე გითხრათ, არა, მაგრამ ადრე „პოდიუმში" ვმუშაობდი, — წარმოდგენა არ მქონდა, ეს რამდენად დამეხმარებოდა, მით უფრო, რომ ერთადერთი, რასაც იქ ვწერდი, მირანდა პრისტლის შენიშვნები იყო, რითაც შემდეგ ხალხს ვაწუხებდი, მაგრამ ჩანდა, ლორეტამ ეს ვერ შეამჩნია.

— ოჰ, მართლა? უნივერსიტეტის შემდეგ პირველი სამუშაო „პოდიუმში" მოდის რედაქტორის თანაშემწის თანამდებობა იყო. იქ წელიწადში გაცილებით მეტი ვისწავლე, ვიდრე მომდევნო ხუთი წლის მანძილზე.

— „პოდიუმში" დიდ გამოცდილებას იღებ. გამიმართლა, რომ იქ მუშაობის საშუალება მომეცა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE Scanned by CamScanner

— რა გეეალებოდათ?

— მირანდა პრისტლის თანაშემწე ვიყავი.

— მართლა? საბრალო გოგონავ, არ ვიცოდი. აჰ! მგონი, ის ხარ, პარიზში რომ გაათავისუფლა, ასეა?

ჩემს დიდ შეცდომას გვიან მივხვდი. შინ რომ დავბრუნდი, მომხდარის შესახებ „ფეიჯ სიქსში" ვრცელი სტატია დამხვდა. ალბათ რომელიმე „კლარკერმა", ინციდენტის მოწმემ თუ უამბო მათ ჩემი უხეშობის შესახებ, განა სხვა ვინ იქნებოდა, თუ არა რომელიმე მათგანი, მით უფრო, რომ ჟურნალი ჩემს სიტყვებს ზუსტად ციტირებდა. როგორ შემეძლო იმის დავიწყება, რომ ასეთ სტატიებსაც ჰყავდა მკითხველი. დარწმუნებული ვიყავი, სამი წუთის წინ შემოთავაზებულ წინადადებას ლორეტა უკან ნაიღებდა და დიდად მოხიბლულიც არ დარჩებოდა ჩემით. ეს გარდაუვალი იყო:

— ჰო. არც იმდენად ცუდად იყო საქმე, როგორც ამაზე გაზეთები წერენ. დამიჯერეთ „ფეიჯ სიქსში" გადააჭარბეს.

— იმედია, არაფერი გაუზვიადებიათ! ვილაცას ხომ უნდა მიეზლო საკადრისი იმ ქალისთვის, და თუკი ეს თქვენ იყავით, ქედს ვიხრი თქვენ წინაშე! მიუხედავად იმისა, რომ „პოდიუმში" მუშაობისას მასთან პირადი შეხება არ მქონია, მირანდა პრისტლიმ ცხოვრების ერთი წელი ჯოჯოხეთად მიქცია! მისმინეთ, ახლა საქმიან შეხვედრაზე მაგვიანდება, მაგრამ იქნებ დავმსხდარიყავით და გვესაუბრა? ანკეტების შესავსებად მოსვლა მაინც მოგიწევთ, თანაც გაგიცნობდით. არ დაგავიწყდეთ, ყველაფერი, რაზეც ახლა მუშაობთ, თან წამოიღეთ.

— ჩინებულია! ძალიან კარგია! — ვუპასუხე და შეხვედრა მომდევნო პარასკევს სამ საათზე დავუთქვი. ყურმილი დავდე და იმის დაჯერება გამიჭირდა, რაც ჩემს თავს ხდებოდა.

კაილმა და ჯილიმ ბავშვი ლილის დაუტოვეს, თვითონ კი ჩასაცმელად და ჩასაბარგებლად მაღლა ავიდნენ. მშობლების გარეშე დარჩენილმა ისააკმა ჭინთვა და ტირილი მორთო, ცოტაც და, გადაფიჩინდებოდა. ხელში ავიყვანე და მხარზე მივიხუტე, ზურგზე დავუწყე ფერება, რაც უნდა გასაკვირი იყოს, გაყუჩდა.

— ვერასოდეს გამოიცნობ, ახლა ვინ დამირეკა, — ვმღეროდი და ისააკით ხელში ცეკვა-ცეკვით დავდიოდი ოთახში. ჟურნალ „სევენთინის" მთავარმა რედაქტორმა! მალე ჟურნალში დამბეჭდავენ!

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მართლა? შენი ცხოვრების ისტორიას დაბეჭდავენ?

— ჩემსას კი არა, — „ჯენიფერის" ცხოვრების ისტორიას. სულ ორი ათასი სიტყვაა, დიდი არაფერია, მაგრამ დასაწყისისთვის არა უშავს.

— აჰა, როგორც იტყვი! ახალგაზრდა გოგონა, რომელიც წარმატებას მიაღწევს და შემდეგ, მის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვან ხალხს შეაქცევს ზურგს. ნამდვილად ჯენიფერის ცხოვრების ისტორიაა! აჰა, აჰა, დაგიჯერე, — ლილიმ გამიცინა და თვალები გადააატრიალა.

— ეს უმნიშვნელო დეტალებია. მთავარი ის არის, რომ რედაქცია მოთხრობას თებერვლის ნომერში დაბეჭდავს და სამი ათას დოლარს გადამიხდის. როგორია?

— გილოცავ, ენდი. მართლა გეუბნები, ძალიან მიხარია. ეს სამომავლოდ გამოგადგება, არა?

— ჰო, ალბათ ასე იქნება. მართალია, ეს „ნიუ-იორკერი" არ არის, მაგრამ პირველი ნაბიჯისთვის მშვენიერია. თუ მსგავსი მოთხრობების გამოქვეყნებას რამდენიმე სხვა ჟურნალშიც მოვახერხებ, იქნებ რაიმე უფრო სერიოზულიც გამომივიდეს. რედაქტორს პარასკევს ვხვდები, მან ჩემთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა და აინტერესებს, ამჟამად რაზე ვმუშაობ. ფრანგული ვიცი თუ არა, არც კი უკითხავს და მირანდა მასაც ჩემნაირად სძულს. ვიცი, მასთან მუშაობას უპრობლემოდ შევძლებ.

ტეხასელები აეროპორტში წავიყვანე, მერე კი სადილად ორი კარგა ცხიმიანი „ბურგერ კინგი" ავიღე ჩემთვის და ლილისთვის. საუზმის შემდეგ ჩემი კუჭი ამას იმსახურებდა და მთელი დღე, ისე როგორც მომდევნო დღეები, მირანდა პრისტლის მოძულე ლორეტასთვის მოთხრობის წერაში გავატარე.

19

— თუ შეიძლება, ერთი დიდი კაპუჩინო ვანილით, — 57-ე ქუჩაზე „სტარბაქსის" ჩემთვის უცნობ ბარმენს შევუკვეთე. ბოლოს აქ ხუთი თვის წინ ვიყავი, როცა ყავითა და ფუნთუშებით გადავსებული ლანგრის ჭერისას წონასწორობის შენარჩუნებას ვცდილობდი, ვჩქარობდი, არ უნდა დამეგვიანა. მეშინოდა, რომ

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

მირანდა სუნთქვის გამოც კი მომხსნიდა. როცა ამაზე ვფიქრობ, სიამოვნებით მახსენდება, თუ როგორ ვუთხარი მირანდას, ჯანდაბამდე გზა გქონიათ-მეთქი. მოხსნისთვის ეს გაცილებით უკეთესი საბაბი იყო, ვიდრე ყავაში შაქრის დაკლება. ერთი და იგივე შედეგი, თუმცა სრულიად განსხვავებული მიზეზი.

ვინ წარმოიდგენდა, რომ „სტარბაქსი" ასე ხშირად ცვლიდა თავის პერსონალს? დახლის უკან ერთი ნაცნობი სახეც ვერ დავინახე. იმ ხნის განმავლობაში, რაც აქ აღარ დავრბოდი, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ხუთ თვეზე მეტი დრო იყო გასული. კარგად მომდგარ შავ შარვალზე (არა დიზაინერისგან) ხელი გადავისვი და ქვემოთ დავიხედე იმის შესამოწმებლად, შარვლის აკეცილ ტოტებზე ტალახი ხომ არ შემშხეფებოდა. ვიცოდი, ერთი ცნობილი მოდის ჟურნალის თანამშრომლები ამაში არ დამეთანხმებოდნენ, პირიქით, აღშფოთდებოდნენ კიდეც, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი მეორე გასაუბრებისთვის ძალიან კარგად გამოვიყურებოდი. არა მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ზოგადად, რედაქციაში კოსტიუმით არავინ დადიოდა, მაღალი მოდის ჟურნალში ერთწლიანმა მუშაობამ (ეს ალბათ იქაური ჰაერის ბრალი იყო) მსგავსი ცოდნა ჩემი ტვინის ღრმა კუნჭულებში ჩალექა.

კაპუჩინო ძალიან ცხელი იყო, მაგრამ გაყინულ და სუსხიან დღეს მისი წრუპვა საოცრად მსიამოვნებდა. შუადღის მოლრუბლული ცა საოცარი სანახავი იყო, თითქოს გიგანტური ფანტელების რკალი ნისლში ხვევდა ქალაქს. ადრე ასეთი ამინდი დეპრესიაში ჩამაგდებდა. ბოლოს და ბოლოს ეს წელიწადის ყველაზე დეპრესიული თვის (თებერვლის) ერთ-ერთი დეპრესიული დღე იყო. ასეთ დღეებში გამოუსწორებელი ოპტიმისტებიც კი საბნების ქვეშ იმალებიან, ხოლო პესიმისტებს მიაჩნიათ, რომ მსგავს დღეებს ანტიდეპრესანტების გარეშე ვერ გადაიტანენ, თუმცა „სტარბაქსის" მყუდრო გარემომ მხნეობა შემმატა და მათ დიდ მწვანე სავარძელში მოვკალათდი. შევეცადე იმაზე არ მეფიქრა, თუ ვის ჰქონდა სავარძლის საზურგეზე თავისი ჭუჭყიანი თავი ბოლოს მიდებული.

გასული სამი თვის განმავლობაში ლორეტა ჩემი ზედამხედველი, ჩემი გმირი და გადამრჩენელი იყო. ჩვენი პირველი შეხვედრიდან ის სულ უფრო თბილად და კეთილად მექცეოდა. ფეხი შევდგი თუ არა მის დიდ, მაგრამ არეულ ოფისში, გაო-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცებისაგან პირი დავაღე, ლორეტა მსუქანი ქალი იყო. ახსნა გამიჭირდება, მაგრამ ვიცოდი, რომ მასთან მუშაობა ძალიან მომეწონებოდა. დამსვა და ყველაფერი, რაზედაც მთელი წინა კვირა ვმუშაობდი, ყურადღებით წაიკითხა: პაროდიული ისტორიები დეფილეებზე, სარკასტული ამბები თემაზე: „გამოჩენილი ადამიანის თანაშემწე", გულისამაჩუყებელი ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ დასრულდა სამწლიანი ურთიერთობა ადამიანთან, რომელიც ძალიან გიყვარდა, მაგრამ მრავალი მიზეზის გამო ერთად ვერ იქნებოდით. ბულვარულ რომანს ჰგავდა, მაგრამ მე და ლორეტამ ერთმანეთს შესანიშნავად გავუგეთ, „პოდიუმში" გატარებული ტანჯვისა და საშინელებათა წლები (საშინელებებს ჯერ კიდევ სიზმრად ვხედავდი, ბოლო სიზმარში განსაკუთრებით საზარელი ერთი ეპიზოდი იყო: პარიზული მოდის პოლიციამ ჩემი მშობლები მხოლოდ იმიტომ ჩაცხრილა, რომ ისინი ქუჩაში შორტებით გადაეყარნენ მირანდა პრისტლის, ამ უკანასკნელს კი როგორღაც ჩემი კანონიერი გზით შვილად აყვანა მოეხერხებინა) ერთმანეთს გავუზიარეთ და იმ დასკვნამდე მივედით, რომ ერთი და იგივე გადავიტანეთ მხოლოდ შვიდი წლის სხვაობით.

მას შემდეგ, რაც თავში ბრწყინვალე იდეა მომივიდა და „პოდიუმიდან" შემორჩენილი ჩემი ძვირფასი სამოსი მედისონ ავენიუს ერთ-ერთ საკომისიო მაღაზიაში მივიტანე, ხელმოკლეს ველარ დამიძახებდით, ამის გამო თავს უფლება მივეცი, არცთუ მაღალანაზღაურებად სამსახურებში მემუშავა, რომელთაც დიდი სიფრთხილით ვარჩევდი. დიდი ხანი ველოდე, რომ ემილი ან ჯოსელინი დამირეკავდნენ, კურიერს ვგზავნით „პოდიუმიდან" საჩუქრად მიღებული ნივთების უკან წასაღებადო, მაგრამ არავინ შემხმიანებია. ასე რომ, ყველაფერი მე დამრჩა. „დაიანა ვონ ფურშტენბერგის" კიმონოს გარდა ყველაფერი ერთად ჩავაწყვე. როგორც აღმოჩნდა, ემილიმ ჩემი სამუშაო მაგიდა გაათავისუფლა და ერთ ყუთში ჩალაგებული ნივთები ფოსტით გამომიგზავნა. მათი დახარისხებისას ანიტა ალვარესის წერილს გადავაწყდი აი, იმას, სადაც „პოდიუმს" სიყვარულს ეფიცებოდა. „დაიანა ვონ ფურშტენბერგის" კიმონოს გაგზავნა მისთვის დიდი ხანია მინდოდა, მაგრამ სამწუხაროდ, დრო ვერასოდეს გამოვნახე. ჭრელფერებიანი კიმონო აბრეშუმის მსგავს ქსოვილში გავახვიე, „მანოლოს" ერთი წყვილი ფეხ-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

საცმელიც შევფუთე და ზედ ყალბი წერილიც დავადე, მირანდასგან. საუბედუროდ, აღმოვაჩინე, რომ ეს ნიჭი ჯერ კიდევ შემრჩენოდა. იმ პატარა გოგონამ ცხოვრებაში ერთხელ მაინც ხომ უნდა განიცადოს ლამაზი ნივთის ტარების სიამოვნება და რაც უფრო მნიშვნელოვანია, დაიჯეროს, რომ სადღაც იქ, მის ნერილებს ვილაც კითხულობს და თანაუგრძნობს.

კაბის, მოტკეცილი და ძალზე სექსუალური „დოლჩე და გაბანას" ჯინსისშარვლისა და უალრესად კლასიკური, დალიანდაგებული, ჯაჭვის სახელურიანი ჩანთის გარდა, რომელიც დედაჩემს ვაჩუქე (ოჰ, ძვირფასო, რა სილამაზეა! კიდევ ერთხელ შემახსენე ამ ბრენდის სახელი?) ყველაფერი გავყიდე: მაისურები, ტყავის შარვლები, წვრილი და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები, ქუსლიანი ჩექმები, თასმიანი სანდლები, ღია ფეხსაცმელები, მოკლედ, — ყველაფერი. გამყიდველმა მაღაზიის მეპატრონეს დაუძახა. საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მათ მაღაზია ორი საათით დაკეტეს, რათა ყველაფერი შეესწავლათ და შეეფასებინათ. მხოლოდ „ლუი ვიტონის" პროდუქციამ — ორი დიდი ჩემოდანი: ერთი, საშუალო ზომის აქსესუარებისთვის განკუთვნილი, მეორე კი სკივრისხელა — ექვსი ათასი დოლარი მომიტანა. საბოლოოდ, როდესაც ჩურჩული და კისკისი დაასრულეს, მაღაზიიდან ოცდათვრამეტი ათასი დოლარის ოდენობის ჩეკით გამოვედი, რაც ჩემი გამოთვლებით, სამუშაოს შოვნამდე ერთი წლის ქირისა და საჭმლისთვის უპრობლემოდ მეყოფოდა. თუმცა მალე ჩემს ცხოვრებაში ლორეტა გამოჩნდა და ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალა.

ლორეტა უკვე თანახმა იყო, ჩემგან ოთხი მოთხრობა ეყიდა, უფრო სწორად კი, ერთი ანოტაცია, ასევე მეორე ანოტაცია, რომელიც ციტატაზე ოდნავ დიდი უნდა ყოფილიყო, ორი ხუთასსიტყვიანი ნაამბობი და ორიც ათასსიტყვიანი მოთხრობა. მეტიც, ლორეტას სურდა, საქმიანი კავშირების გაბმაში დამხმარებოდა, მისი მონდომებითა და ძალისხმევით მრავალ სხვა რედაქციას დავუკავშირდი, რომლებსაც უშტატო მწერლები სჭირდებოდათ. აი, რატომ ვიჯექი ახლა იმ ზამთრის ერთ ულიმლამო დღეს „სტარბაქსის" კაფეში, უკან, „ელიას-კლარკში" ვბრუნდებოდი. ჩემს უფროსს დიდი ძალისხმევა დასჭირდა ჩემს დასარწმუნებლად, რომ შენობაში შესვლისთანავე მირანდა არ გამომიდგებოდა და თავში არ მითავაზებდა რაიმეს.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუმცა მე მაინც ვღელავდი. მართალია, მობილური ტელეფონის ხმაზე ძველებურად ალარ ვშეშდებოდი, მაგრამ გული მიჩქარდებოდა იმის გაფიქრებაზე, რომ შეიძლებოდა სადმე მისთვის თვალი მომეკრა, ან ემილის შევხვედროდი, ან ვინმე სხვას, ჯეიმსის გარდა, რომელსაც ჩემთან მეგობრობა არ შეუნყვეტია.

სერიოზული მიზეზის გამო თუ ისე, უბრალოდ, ლორეტამ ძველ უნივერსიტეტელ მეგობარს დაურეკა, რომელიც ჟურნალ „ბაზში" ქალაქის სიახლეების განყოფილებას ხელმძღვანელობდა და ჩემ შესახებ უთხრა, რომ ალმოაჩინა „ახალი" მწერალი, იგივე მე. გასაუბრება დღეს გვქონდა დანიშნული, ლორეტამ ისიც უამბო, თუ როგორ გამომაგდეს „პოდიუმიდან", რაზედაც მან გემრიელად იცინა და განაცხადა, რომ მირანდას მიერ დაწუნებული ყველა მწერლისა თუ ჟურნალისტისთვის რომ უარი ეთქვა, ალბათ თანამშრომლების გარეშე დარჩებოდა.

კაპუჩინო ბოლომდე დავლიე. მოვიმარჯვე ჩემი პორტფოლიო, რომელშიც სხვადასხვა სტატია მელაგა და ახალი ენერგიით და, ამჯერად, მშვიდი ნაბიჯით ყოველგვარი სატელეფონო ზარებისა და ყავით გადავსებული ლანგრის გარეშე „ელიას-კლარკ-ბილდინგისაკენ" გავემართე. ტროტუარიდან რამდენიმეწუთიანი დაზვერვის შედეგად დავრწმუნდი, რომ „პოდიუმის" თანამშრომლები ვესტიბიულში არ იყვნენ. მბრუნავ კარში შესასვლელად მთელი ჩემი ძალები გამოვიყენე. ხუთი თვის განმავლობაში არაფერი შეცვლილა, ყველაფერი ძველებურად იყო: ვხედავდი დახლის უკან მდგარ აჰმედს. უზარმაზარი და პრიალა პლაკატი იტყობინებოდა, რომ კვირას „ჭორიკანა" დიდ წვეულებას მართავდა „ლოტუსში". მართალია, ჯერ ხელი სარეგისტრაციო ჟურნალში უნდა მომეწერა, მაგრამ მე პირდაპირ ტურნიკეტისკენ გავემართე. არ დაუყოვნებია და ნაცნობი ხმაც მომესმა.

„არ მახსოვს, ვიტირე თუ არა, როდესაც მისი დაქვრივება შევიტყვე, გული კი ამიჩუყდა და იმ დღეს მუსიკა მოკვდაო, გავიგეე, ჩვენ კი ვმღეროდით..." „ამერიკული ნამცხვარი!" რა საყვარელია! გავიფიქრე. ეს გამოსამშვიდობებელი სიმღერა იყო, რომლის შესრულების საშუალებაც არ მომეცა. შევტრიალდი და ედუარდო დავინახე, როგორც ყოველთვის, ზორბა, საყვარელი და მოცინარი იყო. მაგრამ ამჯერად მე არ მიცინოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

დაკეტილი ტურნიკეტის წინ გიშრისფერთმიანი და მწვანეთვალება გამხდარი გოგონა იდგა, რომელსაც ტანზე მოტკეცილი ნვრილზოლიანი შარვალი და ჭიპამდე მაისური ეცვა. ცალ ხელში პატარა ლანგრით „სტარბაქსის" ყავა ეჭირა და ცალ მკლავზე ჟურნალ-გაზეთებით სავსე ჩანთა ეკიდა, ხოლო მეორეზე — სამი საკიდარი ტანსაცმლით და გატენილი ჩანთა ინიციალებით „მ. პ". მისი მობილური ტელეფონი აწკრიალდა და მივხვდი, რაც ხდებოდა, გოგონა შიშმა მოიცვა, მეგონა ტირილს დაიწყებდა, მაგრამ როცა ტურნიკეტში მისი გასვლა მარცხით დასრულდა, ღრმად ამოიოხრა და სიმღერა წამოიწყო.

„მშვიდობით, მშვიდობით, მის ამერიკავ, გშორდები ჩემი მანქანით, ეს განშორება მშრალია... აგერ სვამენო, ძველები და თან სიკვდილზე მღერიან, ოდესლაც ყველა მოვკვდებით, მოვკვდები მხოლოდ სიმღერით... ერთ დღეს ვიცი, რომ მოვკვდები..."

ედუარდოს გავხედე, მანაც შემომხედა, გამილიმა და თვალი ჩამიკრა. სანამ შავგვრემანი ლამაზმანი სიმღერას დაამთავრებდა, ედუარდომ ტურნიკეტში ისე გამატარა, თითქოს ვინმე მნიშვნელოვანი ფიგურა ვყოფილიყავი.

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ᲞᲠᲐᲓᲐ (იტალ. Prada) მაღალი მოდის კომპანია (ასევე ცნობილი, როგორც სახელი ან ლეიბლი), რომელიც მამაკაცებისა და ქალების ფუფუნების საგნებს ამზადებს (ტყავის პრეტ-ა-პორტეს, აქსესუარებს, ფეხსაცმელსა და სხვ.). პრადა მოდის ინდუსტრიაში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ტანსაცმლის დიზაინერად ითვლება.

1. ᲛᲐᲜᲝᲚᲝ ᲑᲚᲐᲜᲘᲙᲘ (ესპ. Manolo Blahnik) ცნობილი ესპანელი დიზაინერი და ამავე სახელის მქონე მოდის ლეიბლი, რომელიც მსოფლიოში ქალის ერთ-ერთ ყველაზე სახელგანთქმულ ფეხსაცმელს ქმნის.

2. ᲒᲣᲩᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ — უკეთ ცნობილი უბრალოდ გუჩი (იტალ. Gucci) — იტალიური მოდისა და ტყავის ნივთების ლეიბლი. იგი დაარსებულია **ᲒᲣᲩᲘᲝ ᲒᲣᲩᲘᲡ** მიერ ფლორენციაში, 1921 წელს. გუჩი ითვლება მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ, პრესტიჟულ და ადვილად ცნობად მოდის ბრენდად.

3. ᲞᲝᲠᲨᲔ — მანქანების მწარმოებელი გერმანული კომპანია, რომელსაც ფლობენ პორშეებისა და პიეხების ოჯახები. კომპანია მდებარეობს გერმანიაში, შტუტგარტის ოლქში. დაარსდა 1930 წელს ფერდინანდ პორშეს მიერ (1875-1951).

4. ᲯᲘᲛᲘ ᲩᲣ — მალაიზიელი მდიდრული მოდის დიზაინერი. მოღვაწეობს ლონდონში. ცნობილია ქალის ხელნაკეთი ფეხსაცმელებით.

5. ᲛᲘᲣᲩᲘᲐ ᲞᲠᲐᲓᲐ, ᲘᲒᲘᲕᲔ „ᲞᲠᲐᲓᲐ“ — კომპანია „პრადას“ ფუძემდებელი და ხელმძღვანელი.

6. ᲯᲝᲠᲯᲝ ᲐᲠᲛᲐᲜᲘ, იგივე **„ᲐᲠᲛᲐᲜᲘ“** — კომპანია „ჯორჯო არმანის“ ერთადერთი ხელმძღვანელი და აქციონერი.

7. ᲓᲝᲜᲐᲢᲔᲚᲐ ᲕᲔᲠᲡᲐᲩᲔ, იგივე **„ᲕᲔᲠᲡᲐᲩᲔ“** — კომპანია „ვერსაჩეს გრუფის“ მთავარი დიზაინერი და შემქმნელი.

8. ᲡᲢᲔᲚᲔᲢᲝ(ᲔᲑᲘ) — ფეხსაცმელი რკინის ქუსლებზე (უმეტესად შავი ფერის).

9. ᲙᲣᲢᲘᲣᲠᲘᲔ — მაღალი მოდის ტანსაცმლისა და აქსესუარების შემქმნელი.

10. „ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲔᲠᲘ“ — ცნობილი ყოველდღიური პოლიტიკურ-ლიტერატურული ჟურნალი. ძალიან დიდ გავლენას ახდენს აშშ-ის ლიტერატურაზე. დაფუძნებულია 1925წ.

11. ᲰᲐᲠᲚᲔᲛᲘ — უბანი ნიუ-იორკში.

12. ᲤᲣᲟᲔᲜᲘ — ჯაზ-ფიუჟენი (ინგლ. Jazz fusion) — როკმუსიკის ჟანრის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც წარმოიშვა 1960-იან წლებში, ჯაზისა და სხვადასხვა მუსიკალური სტილის აღრევით. იგი შეიცავდა ფანკისა და rnb-ის ელემენტებს და მოგვიანებით დაემატა ელექტრონუ-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლი ინსტრუმენტები. ჯაზ-ფიუჟენი ხშირად ჟღერდა ამა თუ იმ მუსიკოსის ჩანაწერებში, რომლებიც გამოირჩეოდა იმპროვიზაციით.

13. ბალეტკები — უქუსლო, დაბალძირიანი ფეხსაცმლის სახეობა.

14. თვიგი — **ლესლი ჰორნბი** (ინგლ. Lesley Hornby) ბრიტანელი სუპერმოდელი, მსახიობი მომღერალი. უფრო ცნობილია როგორც თვიგი (Twiggy პირდაპირ ითარგმნება — Twig — წნელი; წკეპლა).

15. სინგ-სინგის ციხე — ნიუ-იორკში არსებული მკაცრი რეჟიმის ციხე.

16. რიკერსის კუნძული — ნიუ-იორკში არსებული მკაცრი რეჟიმის ციხე, კვინსისა და ბრონქსის უბნებს შორის.

17. ლატერმანი — დევიდ ლატერმანის სატელევიზიო კომედიური შოუ.

18. ჯეტა — „ფოლკსვაგენ ჯეტა", ცნობილი გერმანული მარკის მანქანა.

19. „ჰელზე ქიჩენ" — (ინგლ. Hell's Kitchen) — „ჯოჯოხეთური სამზარეულო" უბანი ნიუ-იორკში, გამოირჩევა მაღალი კრიმინალით. დასახლებულია ძირითადად ირლანდიელი და გერმანელი ემიგრანტებით.

20. ძენი — ბუდისტური სექტა იაპონიაში, ქადაგებს გამჭრიახობასა და ინტუიციას, როგორც აზროვნების საფუძველს.

21. ტოპეკა — აშშ-ის შტატ კანზასის დედაქალაქი.

22. ჯერი ლუისი (ინგლ. Jerry Lewis) ამერიკელი კომიკოსი, მსახიობი, მომღერალი, პროდიუსერი, სცენარისტი და რეჟისორი. მისი იუმორი მთელ ამერიკაშია ცნობილია.

23. მაიკლ კორსი — ცნობილი ამერიკელი დიზაინერი.

24. ფენდი — (იტალ. Fendi) — იტალიური მოდის სახლი, რომელიც ცნობილია თავისი „ბატონის" ტიპის ხელჩანთებით. იგი 1918 წელს დაარსდა, როგორც ბეწვისა და ტყავის ქსოვილების მაღაზია, თუმცა დღეს იგი საერთაშორისო ფუფუნების საგნების ბრენდია. სახლის კრეატიული ხელმძღვანელი კარლ ლაგერფელდია.

25. შანელი — (ფრანგ. Chanel) პარიზული მოდის სახლი, რომელიც კოკო შანელმა დააარსა.

26. ბარნის ნიუ-იორკი (ინგლ. Barneys New York) — 1932 წელს დაარსებული უნივერმაღების ქსელი. მისი სათავო ოფისი ნიუ-იორკში მდებარეობს. უნივერმაღში იყიდება ისეთი დიზაინერების ტანსაცმელი, როგორებიცაა ჯორჯო არმანი, მანოლო ბლანიკი, ფენდი, ჟივანში, მარკ ჯეიკობსი, პრადა, ჯილ სანდერი, დაიან ფონ ფურშტენბერგი და ერმენეჯილდო ძენია.

27. ქლოე (ფრანგ. Chloé) — ფრანგული მდიდრული მოდის სახლი. იგი 1952 წელს ჟაკ ლენუამ და ეგვიპტური წარმოშობის ფრანგმა — გაბი აგიონმა დააარსეს. ქლოეს სათავო ოფისი პარიზში მდებარეობს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

28. კელვინ კლაინი — (ინგლ. Celvin Klein) ამერიკული მოდის სახლი, დააარსა ამერიკელმა დიზაინერმა კელვინ კლაინმა.

29. „ბერგდორფ გუდმანი" (ინგლ. Bergdorf Goodman) — მსოფლიოში ცნობილი ფუფუნების საგნების უნივერმაღი, რომელიც 1899 წელს გაიხსნა. იგი ნიუ-იორკის ერთ-ერთი რაიონის — მანჰეტენის მიდთაუნის ნაწილში მდებარეობს. მისი მფლობელია ნიმან მარკუსი.

30. რობერტო კავალი — (იტალ. Roberto Cavalli) ცნობილი იტალიელი დიზაინერი.

31. საკს ფიფთ ავენიუ (ინგლ. Saks Fifth Avenue) — მაღალი კლასის ამერიკული უნივერმაღი, რომელიც ბაზარზე კონკურირებს ისეთ ქსელებთან, როგორებიცაა ნეიმან მარკუსი, ბერგდორფ გუდმანი და ბარნის ნიუ-იორკი. „საკსის" ცენტრალური ოფისი ნიუ-იორკში მდებარეობს.

32. ვიპი (||ვი-აი-პი) — (ინგლ. **VIP** — Very Important Person) — ძალიან მნიშვნელოვანი პერსონა.

33. ჟიზელ კაროლინ ბუნდჰენი (გერმ. Gisele Caroline Bündchen) — გერმანული წარმომავლობის ბრაზილიელი სუპერმოდელი.

34. ენი ლეიბოვიცი — ცნობილი ამერიკელი ფოტოგრაფი.

35. ადრიენ ვიტადინი (Adrienne Vittadini 1945, ბუდაპეშტი) აღიარებული ამერიკელი დიზაინერი, ასევე ბრენდის სახელი. იყენებს მყვირალა ფერებს, ცნობილია ტანსაცმელებისა და აქსესუარების ხაზით.

36. ნარცისო როდრიგესი — ცნობილი ამერიკელი დიზაინერი.

37. კრისტიან დიორი (ფრანგ. Christian Dior) — გავლენიანი ფრანგი მოდის დიზაინერი. ერთ-ერთი წამყვანი მოდის სახლის — „დიორის" დამაარსებელი. დიორის მოდის სახლის ბუტიკები გახსნილია პარიზში, მილანში, ლონდონში, ნიუ-იორკში, ტოკიოში, ჰონკონგში, სან-პაულუში, სეულში, მადრიდში, ნიუ-დელიში, შანხაისა და მსოფლიოს სხვა ქალაქებში.

38. ჰერმეს ინტერნაციონალი (Hermès International S.A.) ან უბრალოდ **ჰერმესი** (Hermès) — ფრანგული უმაღლესი საქონლის საწარმო მარკა დაარსდა 1837 წელს, დღესდღეობით სპეციალიზდება ტყავის სხვადასხვა აქსესუარის, სუნამოებისა და ფუფუნების საგნების წარმოებაში. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მისი ლოგოა ეტლში შებმული ცხენი.

39. შარვალი „კარგო" (ინგლ. Cargo pants) — სამხედრო სტილის მრავალჯიბიანი შარვალი, სალაშქრო შარვალი.

40. ქეთსუითი (ინგლ. catsuit) — ტანზე მომდგარი კომბინეზონი, რომელსაც ელასტიკური მასალისაგან ამზადებენ, ისეთისაგან, როგორიცაა: ლიკრა, შიფონი, ტყავი, ლატექსი და ა.შ. ძირითადად იკვრება ელვაშესაკრავით.

41. „ლოლიტა" (ინგლ. Lolita) — ვლადიმერ ნაბოკოვის რომანი. პირველად დაიწერა ინგლისურად და გამოიცა პარიზში 1955 წელს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

შემდეგ კი ავტორმა რუსულად თარგმნა და 1958 წელს ნიუ-იორკში გამოსცა. რომანმა სახელი გაითქვა ინოვაციური წერის სტილითა და სკანდალური თემით: „ლოლიტაში" მოთხრობილია საშუალო ასაკის მამაკაცზე — ჰუმბერტ ჰუმბერტზე, რომელსაც თავდავიწყებით შეუყვარდება 12 წლის გოგონა, სახელად დოლორეს ჰეიზი, და მასთან ინტიმურ ურთიერთობას იწყებს. რომანი მყისვე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნაწარმოები გახდა და ნაბოკოვს უდიდესი სახელი მოუხვეჭა. მცირე ხანში რომანი კლასიკის ჟანრში მოხვდა და XX საუკუნის ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ყველაზე სკანდალური ნაწარმოები გახდა. სახელი ლოლიტა პოპკულტურაში სექსუალურად გათვითცნობიერებული გოგონას სინონიმია.

42. მარკ ჯეიკობსი — (ინგლ. Mark Jacobs) — ამერიკელი მოდის დიზაინერი. იგი „მარკ ჯეიკობსის" ბრენდის მთავარი დიზაინერია. ამავდროულად, ჯეიკობსი პრესტიჟული ფრანგული დიზაინის სახლის „ლუი ვიუტონის" კრეატიული ხელმძღვანელია.

43. „Pièce de résistance" — ფრანგ. ცდუნებებით სავსე.

44. ჩედერი (ინგლ. Cheddar) — ინგლისური ყველის სახეობა. სახელი ეწოდა პირველწარმოების ადგილის მიხედვით — სოფ. ჩედერი, სომერსეტის საგრაფო, ინგლისი. ყველის კონსისტენცია პლასტიკურია, სპილოსძვლის ფერი ან მოყვითალო, ხშირად წარმოების პროცესში მას ბუნებრივ საღებავს — anatos — უმატებენ. ჩედერს თხილისებური, ოდნავ მომწარო-მომჟავო გემო აქვს.

45. საშიმი (იაპონ.) — იაპონური დელიკატესი შემდგარი უმი ზღვის პროდუქტისგან, რომელიც დაჭრილია თხელი პატარა ზომის ნაჭრებად. საშიმი დაახლოებით 2,5 სმ სიგანის, 4 სმ სიგრძისა და 0,5 სმ სისქის ნაჭრებია, თუმცა მისი ზომები დამოკიდებულია პროდუქტის ტიპსა და მზარეულზე. მას მიართმევენ საწებელთან (სოიის სოუს „ვასაბის" პასტით და თხლად დაჭრილი პონზუსა ან კოჭას ფესვით.) და გარნირად, დაჭრილ დაიკონის ბოლოკთან ერთად.

46. ბეიგელი — ტრადიციული ამერიკული მრგვალი ფუნთუშა.

47. ნორა ეფრონი — ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი, ესეისტი და დრამატურგი.

48. ვენდი ვასერშტაინი — ცნობილი ამერიკელი დრამატურგი, სცენარისტი. პულიტცერის პრემიის ლაურეატი.

49. ელესდე — ერთ-ერთი ნარკოტიკული საშუალება.

50. ბალი — პროვინცია ინდონეზიაში.

51. შაკილ ო' ნილი — ცნობილი აფროამერიკელი კალათბურთელი.

52. აკნე — კანის დაავადება, გამონაყარი სახეზე გარდატეხის ასაკში.

53. ლოუფერები (ინგლ. loafers) – როგორც მამაკაცის, ასევე ქალის ფეხსაცმელი, მოკასინის ტიპის.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

54. ჰუგო ბოსი (ინგლ. Hugo Boss AG), მოდის სახლი, ტანსაცმლის მწარმოებელი გერმანიაში.

55. „აბერქრომბის" (ინგლ. Abercrombie and Fitch), A&F ამერიკული ტანსაცმლის მწარმოებელი, ძირითადად 18-22 ასაკისათვის.

56. ეპეფენია — რომის კათოლიკურ ეკლესიაში მაცხოვრის განცხადებას ნიშნავს, ის 6 იანვარს ნათლისღებასთან ერთად აღინიშნება.

57. ეტკინსის დიეტა — ცნობილი დიეტა ამერიკაში, შეიმუშავა რ. ეტკინსმა.

58. ქვინსი — ნიუ-იორკის ერთ-ერთი უბანი, ძირითადად დასახლებულია აფროამერიკელებით.

59. რივიერა — ლაჟვარდოვანი ნაპირი (ფრანგ. Côte d'Azur იგივეა, რაც საფრანგეთის რივიერა) — ხმელთაშუა ზღვის მთაგორიანი სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო ზოლი საფრანგეთში. მდებარეობს ქალაქ ტულონის სამხრეთით. საფრანგეთის რივიერის ფარგლებშია აგრეთვე სახელმწიფო მონაკო. ოფიციალური საზღვრები არ არსებობს, თუმცა ჩვეულებრივ განიხილება როგორც სანაპირო ზოლი, რომელიც ვრცელდება იტალიიდან აღმოსავლეთით სენ-ტროპემდე, იერამდე და კასისამდე.

60. შარვალი კაპრი — (იტალ. pantalone alla Capri) — იტალიური სტილის მოკლე შარვალი. ის ძალზე მოდური იყო XX საუკუნის 1940-1950 წლებში.

61. როზანა ბარი — ცნობილი კომედიური როლების შემსრულებელი ამერიკელი მსახიობი ქალი.

62. დონა კარანი — ცნობილი ამერიკელი დიზაინერი.

63. დაიან ფონ ფურშტენბერგი (გერ. Diane von Fürstenberg 31 დეკემბერი, 1946, ბრიუსელი, ბელგია) — ებრაელი ამერიკელი მოდის დიზაინერი, განთქმულია მისი ხელწერის შემოსახვევი კაბით. დაიბადა მდიდარი ებრაელის ოჯახში. მამამისი ლეონ ჰალფინი წარმოშობით რუსი ებრაელი იყო, რომელმაც მეორე მსოფლიო ომი შვეიცარიაში გაატარა, დედამისი კი წარმოშობით ბერძენი ებრაელი ლილიან ნამიასი, რომელიც ჰოლოკოსტს გადაურჩა. დაიან ფონ ფურშტენბერგი ეკონომიკას სწავლობდა ჟენევის უნივერსიტეტში.

64. ელი თახარისი — ცნობილი ებრაული წარმოშობის ამერიკელი დიზაინერი.

65. კატაიონ ადელი — ცნობილი ირანელი წარმოშობის ამერიკელი დიზაინერი.

66. ჯონ გალიანო — ცნობილი ფრანგი დიზაინერი.

67. კიჩი — წარმოადგენს მასობრივ კულტურულ სტილს, იგივე ფსევდო ხელოვნება, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექსტრავაგანტურობას ექცევა, ახასიათებს მყვირალა ელემენტები. ამ სტილმა სხვადასხვა ფორმით ძალიან დიდი პოპულარობა პოვა საყოფაცხო-

Scanned by CamScanner
www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერებო ნივთების გალამაზება-მორთვაში. მას ასევე სენტიმენტალურ ხელოვნებასთან აიგივებენ.

68. ტუშე — ფრანგ. (Tuché) ბარი-ბარში.

69. ვაშერინი (საფრანგეთში Vacherin du Haut-Doubs შვეიცარიაში კი — Vacherin Mont-d'Or) ძროხის რძისაგან დამზადებული ნაზი ყველი, მზადდება საფრანგეთსა და შვეიცარიაში.

70. ივ სენ-ლორანი (ფრანგ. Yves Henri Donat Mathieu-Saint-Laurent) — ცნობილი ფრანგი მოდელიერი.

71. ალექსანდრ მაკქუინი (ინგლ. Alexander McQueen) ბრიტანული იმპერიის ორდენის კავალერი, მოდის ინგლისელი დიზაინერი. ლონდონის ისტ ენდში დაბადებული მაკქუინი, ტაქსის მძღოლის შვილია. კაბების შეკერვა მან ადრეულ ასაკში, თავისი დებისთვის დაიწყო და ამ დროსვე გამოთქვა სურვილი, გამხდარიყო მოდის დიზაინერი.

72. ბალენსიაგა (ესპ. Balenciaga) — ესპანელი მოდის დიზაინერის, კრისტობალ ბალენსიაგას მიერ დაარსებული მოდის სახლი. მან ქალების ტანსაცმლის სამყაროში მალალი მოდისთვის დამახასიათებელი ფორმები შემოტანა. კრისტიან დიორმა კი ბალენსიაგას „ოსტატთა ოსტატი" უწოდა.

73. მასიმო დუტი (ესპ. Massimo Dutti) — ცნობილი ესპანური მამაკაცის ტანსაცმლის მწარმოებელი კომპანია.

74. დოლჩე და გაბანა (იტალ. Dolce & Gabbana) — იტალიური მოდის სახლი. მათ პროდუქციას ისეთი ცნობილი ადამიანები ატარებენ, როგორებიცაა სოფი ლორენი, უიტნი ჰიუსტონი, მადონა, მონიკა ბელუჩი, აიუმი ჰამასაკი, კრისტინა აგილერა, ისაბელა როსელინი და კაილი მინოუგი. კომპანიის წლიური ფულადი ბრუნვა 700 მლნ ევროს აჭარბებს.

75. ჟივანში (ფრანგ. Givenchy) — ფრანგული ტანსაცმლის, აქსესუარების და „ჟივანში პარფიუმთან" ერთად, პარფიუმერიის და კოსმეტიკის ბრენდი. იგი 1952 წელს მოდის დიზაინერმა, იუბერ ჟივანშიმ დააარსა, რომელმაც ამ კომპანიაში 1995 წლამდე იმუშავა.

76. ბენიხანა — ცნობილი იაპონური რესტორანი, სადაც თავად უყურებ თუ როგორ გიმზადებენ შეკვეთილ კერძს.

77. ჟან-პოლ გოტიე — (ფრანგ. Jean-Paul Gautier) — ცნობილი ფრანგი დიზაინერი.

78. ფოსილი — ამერიკული მარკის მაჯის საათი, საშუალო ფასი 55 ამერიკული დოლარი.

79. ენ ტეილორ ლოფტი — საშუალოფასიანი ქალის ფეხსაცმლის მაღაზიათა ქსელი ამერიკაში.

80. ლას ლამბრას — ბარსელონას ისტორიული, სავაჭრო და ტურისტული უბანი.

81. ჯუდით ლეიბერი — უნგრული წარმოშობის ამერიკელი დიზაინერი, ცნობილია ხელჩანთებითა და სხვა აქსესუარებით.

www.PDF.ChiaturaINFO.GE
Scanned by CamScanner

82. სტაკატო (იტალ. staccato < staccare — მოწყვეტა, გამოცალკევება), ბგერათა მოკლედ, წყვეტილად შესრულება, მათი მკვეთრად გამოყოფა ერთიმეორისაგან. ლეგატოს საწინააღმდეგო შტრიხი. აღინიშნება სიტყვით staccato, ან წერტილებით ნოტებს ზემოთ, ან ქვემოთ.

83. მედისონ-დიქსონის საზღვარი — პენსილვანიის სამხრეთი საზღვარი; სამოქალაქო ომამდე წარმოადგენდა სიმბოლურ საზღვარს თავისუფალ (თანამედროვე) და მონათმფლობელ (სამხრეთულ) შტატებს შორის.

84. ანა სუი (ინგლ. Anna Sui) — ცნობილი ამერიკელი დიზაინერი.

85. მიუ მიუ (იტალ. Miu Miu) — იტალიური მოდის ბრენდი. ითვლება, რომ „მიუ მიუს" ხაზის ტანსაცმელი უფრო ყოველდღიურ მოხმარებაზეა გათვლილი, რადგან „პრადას" ეს ბრენდი უფრო ხელმისაწვდომი ფასების პოლიტიკას ატარებს. მისი სახელწოდება მიუცია პრადას მეტსახელიდან მომდინარეობს, რომელიც ამავდროულად მიუ მიუს ხელმძღვანელიცაა.

86. კრისტიან ლუბუტენი (ფრანგ. Christian Louboutin) — ცნობილი ფრანგი ფეხსაცმლისა და მაღალი მოდის დიზაინერი. მის მეგობრებსა და კლიენტებს შორის არიან მონაკოს პრინცესა კაროლინა და მსახიობი კატრინ დენევი.

87. ფრანკო სარტო — (იტალ. Franco Sarto) ცნობილი იტალიელი ფეხსაცმლის, ხელჩანთებისა და სხვა აქსესუარების დიზაინერი.

88. სალონი (ინგლ. Saloon) — ამერიკულ ინგლისურში ეს სიტყვა აღნიშნავს: ბარს, პაბის, ადგილს, სადაც იყიდება ალკოჰოლური სასმელები, თუმცა ფრანგულში იგივე სიტყვა ნიშნავს დარბაზს, მისაღებ, მოსაცდელ ოთახს.

89. მარბელა — ქალაქი ესპანეთის სამხრეთით, კონკრეტულად ანდალუსიაში.

90. ემანუელ უნგარო — ცნობილი ფრანგი მოდელიერი.

91. ვარიეტე — მსუბუქი ჟანრის ე.წ. „მცირე ფორმების" თეატრი, რომლის სპექტაკლში შეხამებულია სასცენო ხელოვნების სხვადასხვა სახეობა.

92. ანა ვინტური — ჟურნალ „ვოგის" მთავარი რედაქტორი.

93. კონდე ნასტის გამომცემლობა — მსხვილი ნიუიორკული ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა.

94. „სევენთინი" — პოპულარული ამერიკული ყოველთვიური-ჟურნალი მოზარდებისათვის, იყიდება დაახლოებით ორი მილიონი ტირაჟით.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE